ლაშარელა

.ვაი, შენ ქალაქო, რომელსა შინა
მეფე შენი ჭაბუკ!

ეკლესიასტე

თავი პირველი. ლაშარის გორზე

ღამისმთევლები შეჩოჩქოლდნენ და გალავანს მიაწყდნენ: ხმელგორზე ცხენოსნები ამოდიოდნენ, წინ ლურჯაზე ამხედრებული მეფე მოუძღოდათ.

ვიღაცამ შორითვე იცნო ხელმწიფე და „ლაშაო“, აღტაცებით ამოიძახა.

ღამისტეხითა და ლოცვით გაბრუებულ ხატიონებს „ლაშარი“ ჩაესმათ და ძლევამოსილი ღვთაების გამოცხადების სასწაული დაიჯერეს. ხალხი ჩურჩულით იმეორებდა მთიელთა მფარველისა და ლაშქრობის ღმერთის სახელს და კრძალვით გაჰყურებდა მათკენ მომქროლავ ფაფარგაშლილ ლურჯაზე ამხედრებულ მეფეს.

მხედრებმა ამოივაკეს. ხალხი შუაზე გაიყო, მოსულებს გზა მისცა და მუხლებზე ჩაიჩოქა.

გალავანთან დაიქვეითეს ბრწყინვალედ აღკაზმულმა ჭაბუკმა მეფემ და მისმა მხლებლებმა.

სალოცავიდან ხევისბერი გამოეგება მეფეს, სანთლები აანთო და დაამწყალობა... შემდეგ მეფეს რაღაც წასჩურჩულა და, თანხმობა რომ მიიღო, დასტურებს თვალით ანიშნა.

დასტურები უცებ მოსწყდნენ ადგილიდან და იმწამსვე ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა:

_ გზა! გზა!..

გალავანში ბრდღვინვით შემოვარდა ყელზარიანი კურატი. კურატს რქებზე ანთებული სანთლები ჰქონდა მიკრული და დაფეთებულ პირუტყვს ოთხი ვაჟკაცი ჯაჭვებით ძლივს აკავებდა. როგორც იყო, მოზვერი სასაკლაოს ორმოსთან მიაგდეს და ორივ მხრიდან მაგრა დაჰქაჩეს.

კურატმა ოდნავ წამოიჩოქა და მორივით სქელი კისერი დაედრიკა.

ხევისბერი ზვარაკთან მივიდა. ის იყო სანთლით შუბლი შეუტრუსა და ზარი მოხსნა, რომ ლაშას ხმალმაც იელვა და კურატის თავი მიწაზე გაგორდა.

მეფე ხალისით ასრულებდა მსხვერპლთშეწირვის წესს. იგი მოჯადოებულივით თვალებში შესცქეროდა ხევისბერს და მის ნება-სურვილზე მოქმედებდა.

* * *

მსხვერპლთშეწირვა და დამწყალობება დასრულდა. შალვა ახალციხელმა ხელი მაღლა აღმართა და ხალხს გაჩუმება ანიშნა. ხალხი გაინაბა და სმენად იქცა.

მეფე წინ წარსდგა და შეკრებილთ მოკლე სიტყვით მიმართა.

ომახიანი, ვაჟკაცური ხმით ლაპარაკობდა საქართველოს მეფე გიორგი მეოთხე _ ლაშა. მსმენელებს ჯერ თავისი ნეტარი დედის დიდი თამარის უხვი წყალობა და ზრუნვა მოაგონა. მერე გულისტკივილით გაიხსენა ტახტისაგან ფხოველთა განდგომა და მეამბოხეთა სასტიკი დასჯა საქართველოს ზოგიერთ თავნება ხელისუფალს დააბრალა. ფხოველთა სარწმუნოებას ქართველთა ჭეშმარიტი სარწმუნოება უწოდა და ამიერიდან მთიელებს მის დაცვასა და განმტკიცებაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

საქართველოს ხელმწიფის, დიდი თამარის მემკვიდრის სიტყვას ხალხი აღტაცებით ისმენდა, ნაჭრევებით დაღარულ სახეებზე ხევისბერებსა და გვარის მეთაურებს სიხარულის ცრემლები სდიოდათ.

ხოლო როცა მეფემ სიტყვის დასასრულს ლაშარის ხატისათვის მამულებისა და ქონების შეწირვა გამოაცხადა, ხალხმა ერთბაშად იხუვლა, მუხლზე დაემხო და ხელაპყრობით მადლობა შეჰღაღადა.

ჯერ ხევისბერები და თემის უფროსები მისწვდნენ სამთხვევად მეფის კალთას, მერე მთელი ხალხი ნაგუბარი წყალივით დაიძრა და მეფეს ოთხივ მხრიდან შემოადგა.

აწვებოდნენ, ერთმანეთს ასწრებდნენ, დედები ჩვილ ყრმებს შორით იტატებდნენ, ხეიბრები და დავრდომილები გზებს იკაფავდნენ, მეფის კალთის შეხებას ესწრაფოდნენ.

_ ლაშა! ლაშარელა! _ ისმოდა ფეხისწვერებზე შემდგარი მეფის მაცქერლების აღტაცებული ჩურჩული.

თხუთმეტიოდე წლის გოგონას დედა ზურგში ამოდგომოდა და მეფისაკენ გზას მიუკვლევდა. გოგონას უჭირდა ხალხის ამ ჯგლეთაში მხარის გატანა და ძლივსძლივობით, შეშინებული მიიწევდა წინ. მის პირდაპირ, მეფის ამალის უკან, გოლიათი ვაჟკაცი იდგა და გოგონას მისჩერებოდა. დარცხვენილი ქალი თვალს ვერ უსწორებდა ვაჟკაცის მზერას. სუსტი გოგონა აქამდე, ალბათ, ათასჯერაც გაეცლებოდა ხალხის ამ ზედახორას, მაგრამ დედის მტკიცე ხელი ჯიუტად და დაჟინებით სწევდა წინ, მეფისაკენ.

უკვე სულ ახლო იყო.

გოგონა ფეხისწვერებზე შედგა, მეფეს შეხედა და, დანახულის ბრწყინვალებით მოხიბლულმა, აღტაცებით ამოიძახა:

_ ღმერთო, რა ლამაზია!

რამდენიმე კაციღა ჰყოფდა დედა-შვილს მეფისაგან. წამით ქალიშვილმა დედის ხელისაგან გათავისუფლება იგრძნო. უკან მოიხედა და გაოცდა: დედას მანდილი ისე მოეხურა, რომ სახის ნაკვთი აღარ უჩანდა, დამფრთხალი უკან-უკან მიიწევდა და იქაურობის გაცლას ლამობდა.

მოულოდნელობით გაოცებული გოგონა გაურკვეველმა შიშმა აიტანა, ისიც ანგარიშმიუცემლად შებრუნდა და დედას გამოუდგა.

* * *

უკვე შუადღე იქნებოდა, სუფრები რომ გაიშალა. ხალხი ხმელგორზე ვერ დაეტია, დაბლა ფერდობებს ჩაჰყვა და ჭალა თეთრი და ლურჯი სუფრებით აჭრელდა.

ცალ-ცალკე სუფრებზე ისხდნენ ფშავის სხვადასხვა ხევიდან მოსული მახვეწარები, თუშები და ხევსურები, კახეთში გადასახლებული ფხოველები.

უზარმაზარი ქვაბებიდან საკლავის ოხშივარი ნისლად დგებოდა, მთვრალი დევებივით მიწოლილი ვეება რუმბები ნელ-ნელა იფუკებოდა, სუფრებზე კახურ ღვინოებს მთის ლუდი და არაყი ენაცვლებოდა.

მეფე და მისი ამალა _ შალვა ახალციხელი და თორღვა პანკელი, თურმან თორელი და გვარამ მარგველი, მემნი ბოცოსძე და ბიბლა გურკელი, ფხოვის თავკაცებთან და ხევისბერებთან ერთად, ცალკე უსხდნენ გორაკზე გაშლილ სუფრას.

აქედან ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა: დაბლა გაშლილი სუფრებიც, ჩარდახიანი ურმებიც, ლამაზი ჭრელი ხურჯინებიც, მთიელთა ნაირ-ნაირი ტანსაცმელიც და სუფრიდან სუფრისაკენ წაბანდალებული, უკვე შემთვრალი მოქეიფეებიც.

ყველგან თავგამეტებული სმა იყო. უწესრიგო ყაყანი და სიმღერა ერთიმეორეს ფარავდა. მხოლოდ მეფის სუფრაზე სუფევდა სრული წესრიგი. სუფრას ფხოველების ახლობელი კაცი _ თორღვა პანკელი თამადობდა.

კარგ გუნებაზე იყო თორღვა, დიდი ხნის ნატვრა აუხდა _ ფხოველები სამეფო ტახტს შეარიგა და შემოამტკიცა. დიდი სასმისებით სვამდა საუკეთესო კახურ ღვინოს და დაცლილ ჯიხვებს ხევისბერებთან გადადიოდა.

დინჯად იჯდა ჩაფიქრებული ბუმბერაზი შალვა ახალციხელი. მეფის ამალაში ყველაზე უფროსი, შამქორის გმირი, ცოტას ლაპარაკობდა. დიდრონ სასმისებს იოლად სცლიდა, თავის ადგილზედ უდრტვინველად ჯდებოდა და ისევ ფიქრს ეძლეოდა. დროდადრო რომელიმე

თანამეინახე სიმღერას წამოიწყებდა, ფიქრიდან გამოიყვანდა და ისიც თავის ძლიერ ბუბუნს შეუერთებდა.

მომღერლებს თავის ტკბილ ხმას შესანიშნავად უწყობდა და გულით ილხენდა თურმან თორელი. როგორც კი სადმე ფანდური გაიჩხაკუნებდა, ფეხზე წამოდგებოდა, მომღერლის ირგვლივ შემოკრებილთ შეუერთდებოდა და ყურადღებით უსმენდა ფხოველ მათქვამებს.

ერთხანს სადღაც გაჰქრა თორელი. სუფრისაკენ რომ მობრუნდა, ბრმა მეფანდურეს მოუძღოდა. თვალდაშრეტილი ხევსური მიწაზე ჯოხის კაკუნით თავაღერილი მოჰყვებოდა მისთვის უცნობ კარის მგოსანს. სუფრას რომ მოუახლოვდნენ, თორელმა ღვინით სავსე ჯიხვი მიაწოდა უსინათლო მეფანდურეს.

_ მეფე ადღეგრძელე და შემდეგ ლექსი რამ გვითხარ, _ შესთხოვა თორელმა. ბრმამ ფანდური გვერდზე მიდო, სასმისს ორივე ხელი მოჰხვია, დაილოცა და პირზე მოიყუდა.

_ იცოცხლე! გაგიმარჯოს! _ მადლი გადაუხადა მეფემ. _ აბა, დაჯექ და ლექსი გვითხარ, ხევსურო!

მელექსემ სასმისი დაცალა, ტუჩები მოიწმინდა და ხელის ფათურით ფანდური მოიძია.

თორელმა ფანდური ხელთ ჩაუდო და უსინათლოს კუნძზე ჩამოჯდომა უშველა.

_ ვაჰ, თუ მეფის ღირსი ვერა ვთქვა! ხომ არ გამიჯავრდებიან ხემწიფიანნი? _ ღიმილით თქვა ბრმამ და გუმანით ლაშასკენ გაიხედა, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და ფანდურს თითები ჩამოჰკრა:

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვდებოდე
და შენ კი ჩემად სახსოვრად სააქაოსა რჩებოდე.
გიმღერდნენ ჩემი სწორები, ფანდურის ხმაზე ჰყვებოდე,
ქვეყანა მხიარულობდეს და მე საფლავში ვლპებოდე.

მეფანდურე ტკბილად, სევდის მომგვრელად აჟღარუნებდა მთის პატარა ფანდურს და ხმას თანდათან უმაღლებდა. ეტყობოდა, საკუთარ სადარდელს, სიკვდილის გარდუვალობასა და სახელისა და უკვდავების წყურვილს მღეროდა მეფანდურე. ხან სისხლი მოაწვებოდა და ჭარხალივით წამოუწითლდებოდა სახე, ხან სულ გაეცრიცებოდა და მკვდრის ფერი გადაეკვრებოდა.

ნეტავი, ჩემო სახელო, დიდხანამც იხსენებოდე,
ჩემო ნათქომო სიტყვაო, შენამც კი გაჰქვეყნდებოდე,
სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გასთხოვდებოდე.

მღეროდა, კი არ მღეროდა, მოთქვამდა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე, უდროოდ თვალის შუქს მოკლებული ხევსური სიცოცხლის წარმავლობაზე, კაი ყმის სახელისა და გმირობის დავიწყებაზე... მოთქვამდა და ხმადაბლა მოღუღუნე ფანდური სევდით ავსებდა უბედური ვაჟკაცის გულის სიღრმიდან ამოსულ კვნესას.

უკანასკნელი სიტყვები ამოიმღერა თუ ამოიგმინა მელექსემ, ერთ მუხლად კიდევ ააჟღერა საკრავი, მერე ფანდურის ჟღრიალი მიწყდა და თავადაც გაიტრუნა. ყველანი დუმდნენ. აღარც მელექსე მღეროდა და აღარც ფანდური ჟიჟინებდა, სიმღერა კი ისევ ჟღერდა მსმენელების ფიქრსა და გულისყურში.

გალურსული მეფანდურე უსინათლო თვალებით გვერდზე იცქირებოდა, ეტყობოდა, სიმღერის ზემოქმედების ძალას ანგარიშობდა. დიდხანს ხმა არავინ გაიღო და დუმილი არავინ დაარღვია. უსინათლო მიხვდა, რომ მსმენელთა გული და გონება დაიპყრო, სახეზე სიამოვნების ღიმილი გადაეფინა, ფანდური ძირს დადო და ერთი ხმამაღლა ჩაახველა. მაშინ კი გამოერკვნენ მსმენელები სიმღერის ჯადოსაგან და ტაშმა ოთხივმხრივ იგრიალა.

ტაში და შეძახილები რომ მიწყნარდა, მეფემ მეფანდურეს მადლობა გადაუხადა და ჩამოსართმევად გამოწვდილ ხელში ოქრო ჩაუდვა.

გახარებულმა და წათამამებულმა მელექსემ ისევ გამართა ფანდური.

_ ჩალხიაუ, ათაბაგის ლექს შაიძლების? _ ხმადაბლა იკითხა მეფანდურემ.
ჩალხიამ მეფისკენ გაიხედა, მეფემ ღიმილით და თავის დახრით მისცა დასტური.
_ შეიძლება! _ ნება დართო ჩალხიამ და კვლავ აღუღუნდა ფანდური.

მთაში აიჭრა მხარგრძელი, თვალთაგან რისხვის მთოველი,
დახოცა, შუბზე ააგო ქალი და ბავშვი ფხოველი,
შიშით ჰკრთის ქართლი, კახეთი, ლიხთიმერეთი ყოველი:
ვაჰ, თუ აქეთაც მობრუნდეს, უკეთესს არც ჩვენ მოველით...

მოკლე სიმღერა მალე ჩამოათავა მეფანდურემ. სუფრაზე მსხდომმა ფშავ-ხევსურებმა ლექსი ჩამოართვეს მელექსეს და თავად განაგრძეს მთის დამრბევისა და ამწიოკებლის დამცინავი და გამმასხრებელი სიმღერა.
მეფემ, ცოტა არ იყოს, უხერხულობა იგრძნო სამეფოს უპირველესი დიდებულის გამკილავი ლექსის მოსმენით. შეკავებული ღიმილით მოხედა იქ მყოფთ, მაგრამ სხვების სახეებზე რომ გაშლილი ღიმილი დაინახა, შუბლი გაეხსნა.
ფხოველებმა ათაბაგის დაცინვით გული იჯერეს და სიმღერა დაასრულეს.
მელექსემ ისევ ფანდური მომართა. ლაშას ნაცნობი სიტყვები მოესმა:

წარმავალია ნათელი, სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება,
ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე ბალახი აბიბინდება.

მეფანდურე მეფის საყვარელ ლექსს მღეროდა. ეს ლექსი თურმან თორელისა იყო და ლაშა დარდიან გუნებაზე სევდის უკუსაყრელად ამღერებდა ხოლმე განუყრელ ტოლსა და კარის პირველ მგოსანს.
მეფემ თორელისაკენ გაიხედა. თურმანს თავი დაეხარა და იმის განცდით გახარებულს, რომ მისი ლექსები ხალხის სამღერლად ქცეულიყვნენ, სახე წამოწითლებოდა.
_ ეგ ლექსები სულ შენი იყო? _ ჰკითხა მეფემ უსინათლოს, როგორც კი ხევსურმა ლექსი ჩამოათავა.
_ ჩემი პირველი იყო, თავში ნათქომ, _ მიუგო ხევსურმა და ფანდურის ჟღარუნი შეაჩერა.
_ მხარგრძელის ლექსი?
_ შოთაისია, რუსთველის!
_ ესა, ეს უკანასკნელი ვისია? _ ჩაჰკითხა მეფემ და ღიმილით თორელს გახედა.
_ ესეც შოთაისია, სხვის ვის იქნების?! _ გაიკვირვა მეფანდურემ და ხშირი ქერა წარბები შეჰყარა.
ახლა კი აიღო თავი თორელმა და მეფეს გულლაღად შესცინა:
_ მეფეებს და მგოსნებს თამარისა და შოთას შემდეგ ერთი ბედი გვაქვს: რაოდენი ციხე და არხიც უნდა აშენო, მეფევ, ხალხი მაინც იტყვის, თამარის ციხე და არხიაო, რაოდენი ლექსიც უნდა ვთქვათ მგოსნებმა, ხალხი კვლავ ასე იტყვის, რუსთველისააო.
თამადა ახალი სადღეგრძელოს სათქმელად წამოდგა. სუფრაზე კვლავ სიჩუმე გამეფდა.

* * *

ლხინი გრძელდებოდა.
თვითონ მეფე პირველად ყველაფერს ხალისიანად უყურებდა და მოსწონდა კიდეც თავისი მონაწილეობა ამ დიდ სახალხო ზეიმში, სანამ მის სუფრაზე მორიგეობით არ იწყეს მოსვლა უკვე შემთვრალმა ფშავ-ხევსურებმა და თუშებმა.
გრძელ-გრძელ სადღეგრძელოებს ეუბნებოდნენ და ხრინწიანი ხმით გაჰყიოდნენ სიმღერებს, სათაყვანებლად იხრებოდნენ და რაც უფრო ეკიდებოდათ სასმელი, მით უფრო მაღლა

მიიწევდნენ საკოცნელად. ბოლოს უფრო მთვრალები და გაბედულები ხინკლის წვენითა და ერბოთი გაქონილი ტუჩებით ზედ ტუჩებზე ეკვროდნენ აზიზ მეფეს.

ცხვრის ტყავის, ნივრისა და მყრალი არყის სუნი თანდათან დაუმძიმდა სასახლეების კეთილსურნელებას შეჩვეულ ლაშას, გულზე აზიდებდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ იქაურობას არ გასცლოდა.

უეცარმა საბრძოლო ყიჟინამ და ხმლების ჩახაჩუხმა გამოარკვია ლაშა-გიორგი.

ახოვანი კახელი ხმლით იგერიებდა სამი ხევსურის იერიშს.

მამლებივით აქოჩრილი ხევსურები გამეტებით უტევდნენ შუაში მომწყვდეულ ჭაბუკს.

უშველებელი, ერთი შეხედვით, თითქო ტლანქი და მოუხეშავი ვაჟკაცი გასაოცარი სიმკვირცხლით ბრუნავდა ოთხი ხმლისაგან დაკვესებულ ცეცხლში. იშვიათის ოსტატობით იფარებდა ფარს, ელვისებური სისწრაფით იცილებდა მტრის ფრანგულს და თვითონაც მძლავრად იქნევდა თავის გველისპირულს. ხმლის რამდენიმე სხარტი მოქნევით ერთს ყური მიაჭრა, მეორეს ხმალი გააგდებინა და თანდათან სამივე წინ გაირეკა...

მერე წამით ფეხში რაღაც გაებლანდა და წაიფორხილა. ხევსურებმა იდროვეს და გულმოცემულებმა აქეთ შემოუტიეს.

მარტოხელა ვაჟკაცი ნელ-ნელა შეავიწროვეს, იძულებული გახადეს, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფარის ფარებით და ხმლის ქნევით უკან დაეხია.

მოჩხუბრების ირგვლივ ფართო წრედ შეკრულიყვნენ სეირის მაყურებლები.

მეფე და მისი ამალა აღტაცებით შეჰყურებდნენ თავგამეტებულ ბუმბერაზს, რომელიც ასეთი ღონითა და მოხერხებით უმკლავდებოდა სამი მთიელის მოძალებას.

თვითონ მოჩხუბარი თავისი მტრების ხელებისა და ფარხმალის მოძრაობის მეტს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ახლა, უცებ, თითქო რაღაც მოელანდაო, გვერდზე გაიხედა და იმ დედა-შვილს მოჰკრა თვალი, დილით რომ მეფის კალთის სამთხვევად მიიწევდნენ.

მანდილით თავპირშებურვილ დედას თვალების მეტი არაფერი უჩანდა. ამ კრიალა შავი თვალების მზერას იგი მეფესა და მის ამალას არ აცილებდა და ხანდახან თუ გადაიტანდა მოჩხუბრებზე.

ცისფერკაბიანი გოგონა სულგანაბული შეჰყურებდა მოჩხუბართ. მის ბავშვურ თვალებში უფრო აღტაცება გამოკრთოდა, ღელავდა, ტანის უნებური მოძრაობით ახოვანი ჭაბუკის მოძრაობას იმეორებდა და მხრებზე ჩამოშლილ მანდილს თითებით აწვალებდა.

როგორც კი ბუმბერაზმა მის თვალებს თვალი შეასწრო, ძალის უჩვეულო მომატება იგრძნო, ლომივით დაბრუნდა და ისევ იერიშზე გადავიდა. უკანდახეულ, ყურჩამოთლილ მომხდურს გამეტებით, მთელი ძალით მოუქნია ხმალი, მაგრამ თავპირდასისხლიანებულმა ხევსურმა თავისი ფრანგული ქვემოდან შეაგება და ფოლადმა უჩვეულოდ გაიჟღრიალა.

გატეხილი ხმალი ძირს დაეცა და ხმლის პატრონს დაბღუჯული ვადაღა შერჩა ხელში.

ხმალგატეხილმა დაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ცისფერკაბიანი გოგონას მხრებს მანდილი მოსწყდა და მოჩხუბართა ხმლებს შორის ფარფატით დაეშვა.

ხმლის მოსაქნევად აწვდილი ხელები ცივად დაეშვნენ დაბლა და ხალხმაც იგრიალა.

პირველი ლაშა მიიჭრა და ხმალგადამტყდარ მებრძოლს გადაეხვია. ვაჟკაცობა მოუწონა, ძვირფასი ხმალი მოიხსნა და მოულოდნელობისაგან დაბნეულ ბუმბერაზს გაუწოდა.

_ ღირსი ხარ! მეფისა და ქვეყნის სამსახურში გეტარებინოს! _ ღიმილით უთხრა და მხრებზე ხელი დაჰკრა.

დასაჩუქრებულმა ხმალს დახედა: ხმლის ვადაზე მინანქრით იყო გამოყვანილი ცხენზე ამხედრებული თეთრი გიორგი. ცხენის ფლოქვებქვეშ გართხმული ვეშაპისთვის შიგ გულში ეძგერებინა შუბი ქართველთა ძლევამოსილ მფარველს. სიხარულისაგან გაოგნებული ჭაბუკი ჯერ ხმალს ემთხვია, მერე მეფეს ჩაუვარდა ფეხქვეშ და მუხლებზე მოეხვია. მეფემ ძლივს წამოაყენა.

_ რა გქვია, ვაჟკაცო? _ შეეკითხა ლაშა.

_ გვარად მიგრიაული ვარ, სახელად ლუხუმს მეძახიან, _ მიუგო ბუმბერაზმა.

_ რას გემართლებოდნენ? _ თვალით ანიშნა ლაშამ განზე გამდგარ, ხმლით დაკენწლილ ხევსურებზე.

ხევსურებს ჯერ კიდევ შიშველი ხმლები ჰქონდათ ხელთ, მიწას ხმლის წვერით ჩხვერდნენ და შორიდან თვალით სჭამდნენ მოსისხლეს.

_ მამაჩემის სისხლი ემართათ. ჩვენ აქაურები ვართ. მოსისხლეებს რომ გავრიდებოდით, მამას კახეთში გავუხიზნივართ. თხუთმეტი წელია ველისციხეში ვსახლობ და დღეს პირველად მოვედი ლაშარის ხატის ბრძანებით ჩვენს სალოცავში. მოსისხარებმა დედაჩემი იცნეს, ალბათ, ჩემი ამბავი გამოიკითხეს და თავს დამესხნენ.

_ გინდა, ჩემს ამალაში წაგიყვანო, ტახტისა და მეფის მცველად დაგადგინო? _ შეეკითხა მეფე.

_ თუკი ჩემს ხლებას იკადრებთ... _ ამოდენა სიხარულისაგან ენააბორძიკებულმა ლუხუმმა სიტყვის დამთავრება ვეღარ მოახერხა, ისევ მუხლებზე დავარდა და მეფეს ფეხები დაუკოცნა.

მეფემ ლუხუმი წამოაყენა, მისი მოსისხარებიც თავისკენ იხმო და ოთხივე სუფრისაკენ წაიყვანა.

ოთხთავეს ყანწები გაუვსეს. მეფემ მათი შერიგებისა ბრძანა და მოსისხლეებს ერთიმეორე დააკოცნინა.

* * *

კარგად რომ შეღამდა, სუფრა აირია. მეფესთან ჩალხია ფხოველი მივიდა და ჩუმად ჰკითხა: განსვენებას ხომ არ ინებებო.

მეფე ფეხზე წამოდგა, ახალციხელს, მარგველსა და თორელს გაყოლა ანიშნა და სუფრიდან შეუმჩნევლად წავიდა. მხოლოდ ლუხუმმა შეამჩნია, როგორ გაუჩინარდნენ მეფე და მისი მხლებლები ღამებნელში ჩარდახიან ურმებთან.

ლუხუმს თვალწინ სულ ის ცისფერკაბიანი გოგონა ედგა, რომლის მანდილმაც სიკვდილს გადაარჩინა. ახლა, როცა სუფრაზე მეფე აღარ იყო, იქ ყოფნა სავალდებულოდ არ მიიჩნია, შეუმჩნევლად წამოდგა და დაბლა, ხატიონების სუფრებისკენ დაეშვა.

ველისციხელი მახვეწრების სუფრა შორიდანვე, ჟინჟღილების შუქზე შენიშნა. თუმცა დედა იქ ეგულებოდა, გულმა სხვა მხარეს გაუწია და სახელდახელოდ გამართულ თუშთა კარვისკენ აიღო გეზი.

კარვის წინ უცნობი თუშები უსხდნენ მინდორზე გაშლილ სუფრას. შეზარხოშებულებს დაუპატიჟებელი სტუმრის თავზე წამოდგომა არაფრად ეპიტნავათ, ცერად ახედეს, მაგრამ მასპინძლობის წესი ვერ გატეხეს და მოსულს სავსე ჯიხვი მიაწოდეს.

ლუხუმმა სასმისი ჩამოართვა და იქაურობას თვალი მოავლო.

_ ვის ეძებ? დალიე! _ მკაცრად უთხრა სუფრასთან ჩაჩოქილმა თუშმა და უცნობს თვალები დაუბრიალა.

ლუხუმმა ჯიხვი ასწია და ის იყო მოიყუდა, რომ დედის ხმა ჩაესმა:

_ ჩემი ლუხუმია, შვილებო, ჩემს საძებრად მოსულა.

მიგრიაულმა ყანწი დასცალა და კარვისკენ გაოცებით გაიხედა: კარვის კართან ის ცისფერკაბიანი გოგონა იდგა თავდახრილი, რომლის საგონებელმაც იგი აქ მოიყვანა.

ლუხუმისა და იმ გოგონას დედები ხელიხელგაყრილები მისკენ მოდიოდნენ. გოგონას დედას მანდილი აღარ ებურა, სანდომიანი სახე სრულად მოუჩანდა და ღიმილით უბრწყინავდა.

_ მობრძანდი, ლუხუმ, ქეთევანი ჩვენი სტუმარია, შენც აქეთ მობრძანდი, _ კეკლუცად მიიწვია გოგონას დედამ.

გაოგნებული იდგა ლუხუმი, ვერც ხმა ამოეღო, ვერც ადგილიდან დაძრულიყო.

_ კარგია, მომაგენი, ჩვენებს დავუბარე, რომ ციცინოსთან ვიქნებოდი, _ მიეყვავილა დედა ლუხუმს, მკლავში ხელი მოჰკიდა და კარვისკენ წაიყვანა.

იმ კარავთან ყოფნა ლუხუმს ახლა ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ რატომღაც ფეხები მის სურვილს არ ემორჩილებოდნენ, ბორძიკით ძლივს ადგამდა და ორ ქალს გაკავებულივით, თითქმის ძალით მიჰყავდა.

_ ლილე, მოდი, შვილო, ლუხუმს მოეგებე, _ მიმართა ქალიშვილს ციცინომ.

დარცხვენილი ლილე თავს არ იღებდა.

ლუხუმსაც თავი დაეხარა. უხერხულად იდგა ბეჭბრტყელი, მოუხეშავი ვაჟკაცი და ქალის ხელის ჩამოსართმევად მარჯვენის გაწოდება ვერ მოეფიქრებინა.

უხმოდ ჩამოჯდა სკამზე მიგრიაული. ქალებმა საუბარი გააბეს, მაგრამ ლუხუმი ვერ აიყოლიეს, ხმა ვერ ამოაღებინეს გაკრძალულ ჭაბუკს.

_ მოსწყინდა ჩვენთან შენს ვაჟს, ქეთევან, ალბათ, კაცებთან ურჩევნია, _ გადაულაპარაკა ციცინომ ლუხუმის დედას, ფეხზე წამოდგა და მოქეიფე თუშებს გასძახა:

_ უთურგა, მეფის მცველი ლუხუმ მიგრიაული თქვენი სტუმარია, მიიღეთ და უმასპინძლეთ.

სუფრიდან ის ვაჟკაცი წამოხტა, წეღან რომ თვალისბრიალით უყურებდა ლუხუმს, კარავთან ძუნძულით მივიდა, სტუმარს ხელი ჩაავლო და თანამესუფრეებისაკენ გაიტაცა.

* * *

გვიან ღამით ლაშარის გორი დაიცალა. ხატიონები ჭალაში ჩაბარგდნენ. მთვრალებმა და ხნიერებმა ძილს მისცეს თავი. ახალგაზრდებმა წაწლები მოძებნეს და ნაბდები წაიხურეს.

ახალციხელი, მარგველი და ფხოველი გვიან, ნაშუაღამევს მარტონი ავიდნენ ფშაური სახლის ბანზე, გაიხადეს და ლოგინზე მიწვნენ.

არც ერთს არ ეძინა, გულაღმა დაწოლილები ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰყურებდნენ და თავთავიანთ ფიქრს მიცემულნი სდუმდნენ.

ლაშარის ხევისბერი ჩალხია ფხოველი არც ისე დიდი ხნის წინათ მეფის ახლობელი კაცი იყო.

ბავშვობიდანვე სამშობლოდან გადახვეწილ ჩალხიას მთელი ქვეყანა მოვლილი ჰქონდა. განათლება ანტიოქიასა და კონსტანტინეპოლში მიეღო, იქაურ ფილოსოფოსებს დამოწაფებოდა და შემდეგ სინას მთაზე, ქართულ მონასტერში შესდგომოდა ქადაგებას. მის დამოუკიდებელ აზროვნებასა და თავისუფალ ქადაგებას უამრავი მსმენელი მიეზიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან და ფხოველს მთელს წინა აზიაში გასჩენოდა მიმდევრები.

ეკლესიის ავტორიტეტის მცველებს შეუმჩნეველი არ დარჩენოდათ ფხოველი ბრძენის მოღვაწეობა. ჩალხიასათვის ქადაგება აეკრძალათ, ეკლესიიდან მოეკვეთათ და დაწყევლილი და შეჩვენებული ლავრიდან გაეძევებინათ.

მას შემდეგ ჩალხია ერთ ადგილზე დიდხანს გაჩერებული აღარავის უნახავს. მაღრიბსა და მაშრიყში მოგზაურობდა, თავის მოძღვრებას ქადაგებდა და ეკლესიის მიერ დევნილ თავისუფალ იდეებს ავრცელებდა.

ხანში რომ შევიდა, გულმა ადრე დაკარგული სამშობლოსკენ გამოუწია და ხეტიალით დაღლილმა საქართველოს მოაშურა.

სწავლულ და განათლებულ ქართველთა მფარველმა და ხელისგამმართველმა თამარმა სიხარულით მიიღო ეკლესიისაგან უკვე დავიწყებული ბრძენი, სარჩო-სამყოფელი გაუჩინა, კარის აქიმად დანიშნა და ტახტის მემკვიდრის აღზრდა მიანდო.

მასწავლებელმა იმთავითვე დაიპყრო ყრმა უფლისწულის გულისყური ღრმა განათლებითა და რაინდული კეთილშობილებით. იგი მიმზიდველად მოუთხრობდა მსოფლიოს გეოგრაფიასა და ისტორიაზე, სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებსა და რწმენისათვის წამებულ ადამიანებზე, სამყაროს დაუსაბამობაზე, ღვთაების უსასრულობასა და განუყოფლობაზე. იგი ისეთივე გატაცებით უამბობდა გონებაგახსნილ ტახტის მემკვიდრეს ბუდასა და ქრისტეს ადამიანურ ბუნებაზე, პლატონისა და არისტოტელეს სიბრძნეზე, როგორც კეისრისა და ალექსანდრე მაკედონელის ფათერაკებით სავსე ცხოვრებასა და ძლევამოსილ ლაშქრობაზე.

მან პირველმა ჩაუნერგა საქართველოს მომავალ მეფეს სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობა, დოგმებისა და კანონებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება. მანვე დაანახვა ხალხში ჯერ კიდევ ცოცხალი წარმართობის სილამაზე და ძლიერება.

ფხოველს ფარულად გადაცმული დაჰყავდა უფლისწული ლამპრობასა და ლაზარობაზე, ილორობასა და ალავერდობაზე, გუდანისა და ლაშარის ხატების დღესასწაულებზე.

ჩალხია თავის თავს გუდანისა და ლაშარის ხატების ყმას და მოხარკეს ეძახდა და, თუმცა მთაში აღარც სახლ-კარი გააჩნდა და აღარც ახლობლები, ფხოველებს თავის ნათესავებად და მოკეთეებად თვლიდა და, ცხადად თუ ფარულად, მათი კეთილდღეობისა და წარმატებისათვის ზრუნავდა.

თავად ფხოველები ათასგვარ ზღაპრებს ჰყვებოდნენ „თამარ დედუფლის აქიმზე“.

_ ჩალხია ჯერ კიდევ ბალღი იყვის, ქაჯებ რო გაიტაცის. ტყვეობაში სიცოცხლე მასძულდის, თავის მოკვლა ინატრის. ქაჯებს გველთსახარშავად ცეცხლზე ქვაბებ ედგის. ჩალხიამ გველ შჭამის, ღგონობდა მახკლავდის, ცოცხალ დარჩის, გველთ ჭამისაგან ბრძენ გახდის, ფრინველთა და ბალახთ ენა ისწავლის, _ ჰყვებოდნენ ფხოველები, თავიანთ თანამემამულეს გველისმჭამელს ეძახდნენ და გულწრფელად სჯეროდათ, რომ ფხოველ ბრძენს ყოველგვარი ცოდნა და საექიმო ხელოვნება ქაჯთა და გველთაგან ჰქონდა ნასწავლ-შეთვისებული.

სამეფო კარზე ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა ჩალხიას მოღვაწეობას. ვარსკვლავების სათვალთვალო კოშკში მისი ერთთავად ყოფნა, წირვა-ლოცვაზე იშვიათი სიარული, მაწანწალა დერვიშებში აღრევა და ხევისბერებთან ხშირი სტუმრობა არ მოსწონდათ. „მჩხიბავსა“ და „მუცლითმეზღაპრეს“ ეძახდნენ და ფარულად ღვთის მგმობელობასა და ეშმაკეულობას სწამებდნენ.

რაკი ფხოველის გასამტყუნებლად მნიშვნელოვანი საბუთი ხელთ არ ჰქონდათ, ეკლესიის მეთაურები და ფხოველის წარმატების გამო შურით აღძრული მტრები აშკარად ვერ ბედავდნენ უფლისწულის საყვარელი აღმზრდელისა და კარის აქიმის მხილებას.

ასე დიდხანს გაგრძელდებოდა და, ალბათ, ლაშას გამეფების შემდეგ ფხოველი მეფის პირველი მრჩეველი გახდებოდა, რომ სახელმწიფოს და პირადად ფხოველის ცხოვრებაში მოულოდნელი და მნიშვნელოვანი ამბები არ მომხდარიყო.

დიდი თამარის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ფხოვი, მთიულეთი და დიდოეთი აჯანყდნენ.

უმიწაწყლო, მწირ მთებსა და კლდეებზე მოსახლე მთიელებს ბატონი არ ჰყავდათ. ნადირობითა და მესაქონლეობით საკუთარი თავიც ძლივს გაჰქონდათ, წელებზე ფეხს იდგამდნენ და ლაშქრისა და ტახტის ბეგარას პირნათლად იხდიდნენ.

ბოლო დროს კახეთის ერისთავმა წაუპოტინა ხელი მთას, თავისუფლებისმოყვარე მთიელ ვაჟკაცებს დამორჩილება და ყმად გახდომა მოუნდომა. ტკბილი სიტყვითა და დაპირებით რომ არაფერი გაუვიდა, ერისთავი მძლავრობის გზას დაადგა, მთიელთა სოფლების რბევასა და აკლებას მიჰყო ხელი.

მთიელები ფეხზე დადგნენ, ვიწროები გაამაგრეს, ასაკლებად მოსული მტრის მოგერიებას არ დასჯერდნენ და, თავის მხრივ, კახეთის სოფლებზე იწყეს თავდასხმა. საქმეში სამეფო ხელისუფლება ჩაერია: თავგასულ ერისთავს მადა შეუკვეცა და მთაზე გაბატონების ოცნებაზე ხელი ააღებინა. მაგრამ არც მთიელები დაინდო, სახელმწიფო ბეგარა გაუდიდა და წარმართობის დევნასა და მთელს მთიანეთში ქრისტიანობის ძალით გავრცელებას შეუდგა. ხალხის დაუკითხავად წარმართული ხატებისა და სალოცავების ადგილზე ეკლესიების შენება გააჩაღა და ეს მშენებლობა მთიელებს დააკისრა.

ისედაც ყოველმხრივ გაჭირვებულ მთიელებს მძიმე ტვირთად დააწვათ მიუვალ მთებსა და ხეობებში ქვის მკვიდრი ეკლესიების მშენებლობა, ერთდროულად რამდენიმე საყდრის შენება უამრავ ფულსა და მუშახელს მოითხოვდა და ერთიცა და მეორეც ღარიბ მთას უნდა გაეღო.

მოსახლეობის ამ უკიდურეს შევიწროებას ქრისტიანობაზე ერთპირად ძალით მოქცევა დაემატა და მთაში აჯანყებამ იფეთქა.

ჩალხია ფხოველი შორიდანაც ახლო მონაწილეობას იღებდა მთის ამბებში. პირველად, კახეთის ერისთავის მძლავრობისას, მან უშუამდგომლა ფხოველებს მეფის წინაშე. როცა კახეთის ერისთავის ალაგმვის შემდეგ მეფის ხელისუფლებამ მთის კიდევ უფრო შემომტკიცების მიზნით მთიელთა ბეგარის მატებასა და ქრისტეს სჯულზე მოსახლეობის მოქცევას მიჰყო ხელი, ჩალხიამ უკვე ვეღარაფერი გააწყო. ვაზირებმა მეფის გზა შეუკრეს, თამარს მთიელთა უკიდურესი გაჭირვება ვერ გააცნო და, რაკი სამართლისა და მშვიდობის სახსარი ვერ იპოვა,

სასახლიდან გაიპარა, ამბოხებულ მთას სათავეში ჩაუდგა და მათთან ერთად იშიშვლა ხმალი მთიელთა ძველი სარწმუნოებისა და თავისუფლების დასაცავად.

აჯანყებულებმა კავკასიონის მთიანეთის სხვა ტომებთანაც გამართეს მოლაპარაკება და, ვიდრე დამხმარე ძალა გამოუჩნდებოდათ, ქუდზე კაცი გამოიყვანეს საბრძოლველად.

ამბოხებულებმა ცხადად და ფარულად, დღისით და ღამით იწყეს ქრისტეს სჯულის მქადაგებელთა, გადასახადის ამკრეფთა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა ხოცვა, რბევა და ტყვევნა.

აჯანყება თანდათან ფართოვდებოდა, ახალ-ახალ თემებსა და ტომებს ედებოდა და ხელისუფლებისათვის საშიშ ხასიათს იღებდა. მაშინ თამარმა ჯერ კიდევ ტახტის ერთგულ მთიელებს _ დვალთა, ცხრაზმელთა, მოხევეთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჭართელთა და ერწო-თიანელთ მოუწოდა და ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის მეთაურობით მთაში დიდი ლაშქარი წარგზავნა აჯანყების ჩასაქრობად.

ივანე ათაბაგმა ბრწყინვალედ მოაწყო და ჩაატარა დამსჯელი ლაშქრობა: პირდაპირ კი არ მიადგა მიუვალ მთებსა და ვიწროებში გამაგრებულ მეამბოხეებს, ზურგიდან შემოუარა, ხადის მთაზე ავიდა და ფხოვისა და დიდოეთის მთებს თავს წამოადგა.

ფხოველთა და დიდოელთა ზურგში მბრძანებელ სიმაღლეებზე დაბანაკებული ათაბაგის რისხვის დამსახურება ძურძუკებმა თავიანთი არსებობისათვის სახიფათოდ ჩასთვალეს და, თუმცა გულით აჯანყებულებს თანაუგრძნობდნენ, მხარგრძელს ძღვნითა და ლაშქრით ეახლნენ და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში შეწევნა შესთავაზეს.

მთელი ზაფხულის განმავლობაში არბევდა მეფის ლაშქარი გამდგარ ფხოვსა და დიდოეთს. სწვავდა და აოხრებდა მთიელთა სოფლებს, უწყალოდ ჟლეტდა ქავციხეებში ჩაკეტილ, გაძალიანებულ მეამბოხეებს.

ძალამ თავისი გაიტანა. აჯანყებულთა აღტყინებას სძლია და მეამბოხეთა სიმტკიცე გატეხა. შეჭირვებულმა მთიელებმა ათაბაგს მძევლები მისცეს, მსახურება, ხარკი და პირის სიმტკიცე აღუთქვეს.

მძევალთა შორის პირველი ფხოველთა აჯანყების მეთაური და სულისჩამდგმელი ჩალხია იყო.

ათაბაგი მკაცრ სასჯელს უმზადებდა განდგომილთა სულიერსა და სამხედრო ხელმძღვანელს, რომელიც აჯანყების გეზისა და წესრიგის წარმმართველიც იყო და ერთი ვინმე მთიელთაგანივით თავგამეტებით ხმალდახმალ მებრძოლიც. გულმოწყალე თამარის ლმობიერებამ და უფლისწულის თავგამოდებამ გადაარჩინა სასჯელს ფხოველი. პატიმრად მყოფმა ბერად აღკვეცა ითხოვა. რაკი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელს თავისივე სურვილით იღებდა, ფხოველს წადილი აუსრულეს და ლიხსგადაღმა, ჯრუჭის მონასტერში შეაყენეს ბერად.

ჩალხიამ ქრისტეს სამსახურში დიდხანს ვერ გაძლო. იმერეთში გული არ დაუდგა, მონასტრიდან გაიპარა და კვლავ ფშავში ამოჰყო თავი. ფხოველებმა პატივითა და სიხარულით მიიღეს ჭირსა და ლხინში მათთან მხარში მდგომი „გველისმჭამელი“ და ლაშარის ხატის ხევისბერობა ჩააბარეს.

მთა ტახტის სრულ მორჩილებასა და ერთგულ სამსახურზე იდგა და ბერად შემდგარი ფხოველის ბედიც აღარავის აშფოთებდა.

ვიდრე თამარი კარგად იყო და ქვეყნის მართვის სათავეში იდგა, ფხოველი არავის გახსენებია, მაგრამ ხანი გავიდა, თამარი მოულოდნელად ლოგინად ჩავარდა და გამოუცნობი სენით დასნეულდა.

სახელმწიფოს მესვეურები საუკეთესო მკურნალებისა და წამლების ძებნაში იყვნენ. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოჰყავდათ სახელგანთქმული ექიმები, ათასგვარ წამალს და საშუალებას ხმარობდნენ, მაგრამ უქმ იქმნა ყველა ღონე და მკურნალთა ხელოვნება: საქართველოს მეფეთა მეფე, სახიერებითა და ძლევით შემოსილი თამარი დღითიდღე ილეოდა, საქართველოს ნელ-ნელა ეცლებოდა ხელიდან თავისი დიდებისა და მშვენების გვირგვინი.

ამ განსაცდელმა გაახსენა დიდებულებს და, უწინარეს, მემკვიდრე უფლისწულს მკურნალთა შორის პირველი, თამარის აქიმყოფილი და აწ ბერად აღკვეცილი, ჩალხია ფხოველი. ათაბაგმა პირველად შორს დაიჭირა მეამბოხეთა მეთაურისა და „ეშმაკეულის“ მოყვანა თამარის

სამკურნალოდ. მაგრამ, როცა დიდებულებმა დედოფლის განკურნების ყოველი იმედი წარიწირეს და მთელი ნუგეში ლოცვით ღამისთევასა და ლიტანიობაზე დაამყარეს, მაშინ კი ვეღარ აღუდგნენ წინ უფლისწულის დაჟინებას.

ლაშამ შალვა ახალციხელი იახლა, მცირე ამალით ფშავში ავიდა და ლაშარის ხატის ხევისბერ ჩალხიას გამოეცხადა.

დიდად დაუმძიმდა ფხოველს სასახლეში წასვლა, მაგრამ თამარისადმი სასოება და კრძალვა გულში კიდევ უცვლელად შენახოდა და დედის უიმედო მდგომარეობით შეურვებულ საყვარელ აღზრდილს უყოყმანოდ გაჰყვა.

თბილისში რომ ჩავიდნენ, უკვე გვიან იყო.

მეფის პალატაში შესული ფხოველი ავადმყოფის დანახვისთანავე მიხვდა, რომ მისი მეცნიერება უძლური იქნებოდა სნეულის სხეულში უკვე დასადგურებული სიკვდილის წინააღმდეგ საბრძოლველად. აჯანყებულთა ყოფილი მეთაური მუხლზე დავარდა და მომაკვდავი მეფისაგან შენდობა ითხოვა.

_ შეგინდოს უფალმა, _ წაიჩურჩულა თამარმა და სანთელივით გაყვითლებული ხელით პირქვედამხობილი ფხოველისათვის ჯვრის გარდასახვა სცადა.

უღონო ხელი აღარ აჰყვა დედოფლის ნებას და მოჭრილივით დაეცა ლოგინზევე.

მაშინ თამარმა გაფითრებულ ლაშასა და ატირებულ რუსუდანს ახლო მისვლა ანიშნა.

შენდობილი, უღონოქმნილი მკურნალი ლასლასით გამოვიდა მეფის სასვენებელი პალატიდან.

იმ წუთსავე დიდებულები ეახლნენ მომაკვდავ გვირგვინოსანს. თამარმა ანდერძი ბრძანა, ეზიარა და მიიძინა.

ფხოველს მეფის დამარხვამდე არ დაუცდია, სასახლე იმ დღესვე დატოვა და ლაშარის ხატს მიაშურა.

* * *

_ ჩალხია, გძინავს? _ გატეხა სიჩუმე ახალციხელმა.

_ არა, არ მძინავს, ფიქრს რასმე ვფიქრობ.

_ მაინც რას ფიქრობ, ფხოველო?

_ რამლი ვყარე და ვარსკვლავი ვჩხრიკე, შფოთიანი მეფობა ელის ჩვენს ხელმწიფეს.

_ მაგაზე მეტად ვერაფრით გაახარებ ჩვენს მეფეს, შფოთსა და მოუსვენარ ცხოვრებას არა ურჩევნია რა.

_ მერე რატომ ომისა და სახელისკენ არ მიუწევს გული?

_ გული კი მიუწევს, მაგრამ ძალა არ მოსდევს.

_ ეგ როგორ?!

_ არ იცი? თამარის სიცოცხლეშივე ივანე მხარგრძელმა მიიღო ამირსპასალარობის ნიჭი და ათაბაგობაც მიიჩემა. ამით წაართვა მემკვიდრეს ყოველი მეუფება ლაშქარსა და ხალხზე და სამეფოს მართვა-განსაგებელს ჩამოაშორა, ხოლო ათაბაგი თავის სახელსა და ქონებას უფრთხილდება და ომი და ლაშქრობა აღარ სურს.

_ საკვირველ არიან საქმენი ათაბაგისანი. თავად უებრო მოლაშქრე და მეომარი მიუთხრობელი, ვით არჩევს მშვიდობასა და განსვენებას?!

_ აგრე მოახსენა მეფესა და დარბაზს ათაბაგმა, არცა მშვილდი თავს იდებსო მარადის გარდაცმულობას, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისასა მათისასა თვითოეული მათი უხმარ იპოისო.

_ არ სმენია მხარგრძელსა, რომ ქვასა მდებარესა ხავსი მოედების, ხოლო ხმალსა უხმარსა ჯანგი მოეკიდების?! სამეფო და ერი საქართველოსი ომსა და მტრის რბევას არის ნაჩვევი, ომითა და მტრის მორევით არის გარდარეული სიმდიდრე და ყოველი მონაგები ჩვენი სამეფოსი. ხოლო ოდეს ხმალი ქარქაშსა ეგოს, მაშინ იწყოს კლებად სიმდიდრემან და საქონელმან და

არღარა მოცემად ხარკისა მოხარკეთა. არა წეს არს დაჩვევა დაუჩვევლისა და გარდაჩვევა დაჩვეულისა.

კიბეზე ლაშა შემოდგა ფეხაკრეფით. დაღლილს გაფითრებული სახე მთვარის შუქზე მთლად გაცრეცოდა. ფხოველისა და ახალციხელის საუბარი მოესმა, იქვე კიბეზე ჩამოჯდა და სულგანაბულმა ყური მიუგდო.

_ ეგრე სჯის ათაბაგი, _ განაგრძობდა შალვა, _ დასავლეთსა და აღმოსავლეთში წინააღმდგომი აღარავინ ჰყავს საქართველოს სამეფოს, დრო არი მოვისთვლოთ ხმლით მოგებული და ვსჭამოთ ნაყოფი ჩვენი ძლიერებისაო. შორეულ ლაშქრობას დავეხსნათ, მივიღოთ ხარკი აურაცხელი და ვიცხოვროთ განსვენებითო.

_ მერე რომელი მტერი მიგვიშვებს განცხრომად და განსვენებად, ან რომელი მოხარკე მოიღებს ხარკს, ოდეს ნახავს ძილად მიცემას ბუმბერაზთა ამა სამეფოისა.

_ მიუდგომელი ციხეები და სათვალთვალოები უნდა ვაშენოთ საზღვრებსა და გზებზე, რათა მტერმა ვერ შესძლოს უგრძნობლად თავდასხმაო.

_ თითქმის დედამიწის ზურგი დამივლია, შალვა, დასავლეთი და აღმოსავლეთი. ძლიერსა და ამაღლებულ სამეფოში ციხე-სიმაგრე არსად მინახავს, რადგან ძლიერი და ძლევამოსილი თავად ესხმის მტერს თავს. ხოლო სუსტსა და უღონო სამეფოში აურაცხელი ციხე-კოშკი დგას, მაგრამ მძლავრი მტრის შემოსევას ეს ციხე-კოშკები ვერასოდეს აჩერებენ და ქვეყანას ნგრევისა და აოხრებისაგან ვერ შველიან. აგერ მარგველმა ბრძანოს, თუ ასე არ არის. გვარამი კარგა ხანია საქართველოს მეფის დესპანად და მოციქულად მოგზაურობს, მრავალი ქვეყანა უნახავს და დაუვლია და ჩვენზე უკეთ იცის სხვათა ავ-კარგი.

_ აგრეა, ჩალხია, _ დაუმოწმა მარგველმა, _ ოც წელზე მეტი იქნება, რაც ქვეყნის ოთხივ მხარეს დავდივარ საქართველოს ელჩად, მაგრამ ძლიერსა და უზრუნველ სამეფოში ციხე-სიმაგრე იშვიათად მინახავს. სუსტსა და შეჭირვებულ სამეფოში ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი ხოლმე ციხე-კოშკებს, მაგრამ რა ბედენაა! შენი თქმისა არ იყოს, ძლევამოსილი ლაშქრის შემოსევისაგან იმ უბედურებს ვერც ციხეთა სიმრავლე შველის და ვერც სიმაგრეთა მიუდგომლობა.

_ ამასაც ამბობს მხარგრძელი, ცოტანი ვართო ქართველები, ირგვლივ ურიცხვი ურჯულონი გვახვევიანო. ჩვენს ხალხს ახლა უფრო მშვიდობიანი ცხოვრება და მოდგმის გამრავლება სჭირია, რათა დაპყრობილი ქვეყნები ქრისტეს სჯულის და ქართველობის გავრცელებით შემოვიმტკიცოთო.

_ არცთუ ცოტანი არიან ამჟამად ქართველები: მას შემდეგ, რაც სომხეთი ჩვენთან არის, რაც მთის ტომები ჩვენს მორჩილებასა და მეგობრობაზე დგანან, ტრაპიზონის იმპერია ჩვენი ხელის შემყურეა, ხოლო შირვანი და ადარბადაგანი, ხლათი და არზრუმი ჩვენი მოხარკენი არიან, ცოტა აღარ ეთქმის საქართველოს. უმცირესი იყო ალექსანდრე მაკედონელის სამკვიდრო, მაგრამ უდიდესი ქვეყნები დაიპყრო ამაღლებული სიბრძნით, მახვილის ძალით, თავის თანამემამულეთა ერთნებაობითა და თანადგომით. ეგრეცა შემძლებელ იქნების მეფე ჩვენი საქმეთა დიდთა და საზღაპროთა, უკეთუ შეჰკრავს ერთ ნებად და ერთ ფიქრად ყოველთა ნათე-სავთა ქართველთა და მიმდგომთა მისთა, მეზობელთა და მოხარკეთა, აზრითა მაღალითა და საწადელითა უკეთესითა.

_ ვითარ იქმს მეფე ჩვენი ეგოდენ დიდთა და მნიშვნელოვან საქმეთა! არა აქვს ხელმწიფება თვინიერ ტახტისა და გვირგვინისა, სამეფოს მთავარნი და ყოველთა უპირატესად ათაბაგი ხელმწიფის უმეტესად არიან განდიდებულნი და არ მორჩილებენ მეფის სიტყვასა და ნებას.

_ ურჩნი საბოლოოდ დამორჩილდებიან ძლიერთა და მძლავრი სძლევს წინააღმდგომს ყოველსა. ვგონებ, რომ ჩემს აღზრდილს ლაშას შესწევს ძალა მეფობის განუყოფლად პყრობისა. და თუ ლაშქრით არ არი ძლიერი ლაშა, ესეც იცოდე, მეფეთათვის ძლიერ და აურაცხელ ლაშქარზე უმჯობესი ძლიერი გონება და ცხოველი აზრია.

სამივენი დადუმდნენ და კვლავ თავ-თავის ფიქრს გაჰყვნენ.

სმენადქცეული მეფე ხარბად იბეჭდავდა გულზე ყოველ სიტყვას მის მაღალ მოწოდებასა და დანიშნულებაზე.

_ რაც ამირსპასალარობა ხელთ იდვა და ათაბაგობა დაიჩემა, _ განაგრძო ისევ ახალციხელმა, _ მხარგრძელმა ყველა სავაზირო და სახელო თავის ნათესავებსა და ერთგულ კაცებს მიუბოძა, მწიგნობართუხუცესს ვაზირთუპირველესობა ჩამოართვა და სასახლისაგან განაყენა.

_ სამეფოსათვის უდიდესი უბედურება ის არი, როცა ერთ კაცს ხელთ უდებენ ათ სახელოს, ხოლო ათ კაცს არც ერთს ნიჭს არ აღირსებენ ბოძებად. თამარის სნეულებისა და უძლურობის დროს შეძლო მხარგრძელმა სხვა ვაზირთაგან ესოდენ უფლების მიტაცება და აწ უკვე ძნელია მის ხელთაგან ძალაუფლების უკანვე მობრუნება.

_ ახლა, როცა ჩვენი ხელმწიფე მესიის მახვილად და ქრისტიანთა წინამძღოლად გამოვაცხადეთ, როცა დასავლეთის ჯვაროსნებმა იგი მეორე ალექსანდრედ აღიარეს და საქართველო ახალ რომად იწოდა, ასეთი დიდი და ძლიერი ქვეყნის მეფისაგან დიდ საქმეებს მოელიან სამეფოს შიგნით და გარეთ. ახლა შენი გონივრული რჩევა და ერთგული თანადგომა ძვირად უღირს ჭაბუკ მეფეს. ვგონებ, რომ არც შენ იქნები მეფის ურჩ დიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში განზე დგომისა და სეირის ყურების მომხრე. იპყარ მწიგნობართუხუცესის სავაზირო და აამაღლე და გააძლიერე ვაზირთუპირველესობა, როგორც ეს იყო დიდი დავითის მეფობის ჟამს, ნეტარი ჭყონდიდელის, გიორგის, დროს.

_ გული აღარ მითქვამს პალატებში ცხოვრებად და არც ღონე მომდევს ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ ბრძოლად. აღმატებული დიდებაც ბევრი მინახავს, უდიდესი დამცირებაც. წესებით შეზღუდული სასახლის ბრწყინვალე ცხოვრებაც ისევე მომბეზრდა, როგორც შურიან ადამიანებთან ურთიერთობის რთული ხლართების რღვევა და სულ მუდამ კურდღელივით ფხიზელი ძილი. მე ჩემს ხალხს დავუბრუნდი და ისე შევეჩვიე მათ მარტივსა და სადა ცხოვრებას, მათ პირველქმნილ უბრალოებასა და გულუბრყვილობას, რომ აღარ შემიძლია ფშაური ტალავარის გაცვლა, არათუ ვაზირის სამოსელზე, მეფის პორფირზეც კი. მეფეთა სიახლოვის სიმწარე ადრე ვიწვნიე და ეს ვიწამე: გონიერ მეფეს ბრძენთა სიახლოვე მართებს, ხოლო ბრძენთ _ მეფეთაგან სიშორე. მეფეთაგან უკეთესი იგია, ვინც ბრძენთა შორის ცხოვრობს, ხოლო ბრძენთაგან უარესი ის არი, ვინც სულ მეფის კარზე ტრიალებს ერთთავად. ჩემს ხანში, შენც მიხვდები, რომ ფუფუნება და კეთილდღეობა არ ახარებს ადამიანს, საზრუნავს უმატებს და ლაღი ცხოვრებისათვის ფრთებს უკვეცავს. მე ახლა ღარიბი და უქონელი ვარ, მაგრამ მიწასთან ახლო ვარ და ამით ცასაც ადვილად ვწვდები, დაბალ ხარისხზე ვდგავარ, მაგრამ მაღალს უკეთ ვხედავ, საზრუნავი ნაკლები მაქვს, მაგრამ ფრთები _ დიდი და ძლიერი.

_ ნეტავი შენ, ფხოველო! _ აღმოხდა გულწრფელად ახალციხელს, ერთი გაიზმორა, კედლისკენ გადაბრუნდა და რულმორეული თვალი მიხუჭა.

_ ნეტავი შენც! _ გაიმეორა გულში ლაშამ, კიბე ფრთხილად, ფეხაკრეფით აიარა, ლოგინთან მივიდა, გაიხადა და შთაბეჭდილებისა და მღელვარე განცდებისაგან დაქანცულს მაშინვე ჩაეძინა.

* * *

მეორე დღეს მზე კარგა შემაღლებული იყო, მეფე და მისი ამალა რომ დაიძრა. ქეთევანმა გულში ჩაიკრა და სიხარულისა და სინანულის ცრემლით გააცილა თავისი ერთადერთი ვაჟკაცი, რომელიც იმ დღიდან პირველად შორდებოდა დედას და პირველად დგამდა ფეხს სახელისა და დიდების თუ განსაცდელისა და ხიფათის გზაზე.

ლილე ლაშარის გორიდან გაჰყურებდა მწყობრის თავში მიმავალ ხელმწიფეს. გრძნობდა, რომ მარტო თვალი კი არა, გულიც იმ ლურჯაზე ამხედრებულ ჭაბუკ მეფეს მისდევდა, რომლის ბრწყინვალებამაც ასე მოხიბლა და წუხელ პირველად გაათენებინა თეთრად ღამე.

მეფის ამალას უამრავი ხალხი ასდევნებოდა ცხენდაცხენ და ქვეითად. ლაშარის სადიდებელი სიმღერით მიაცილებდნენ მთიელები ჭაბუკ მეფეს და მთებით დახშულ ხეობაში ქუხილივით ისმოდა ფხოველი ვაჟკაცების გუგუნი:

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა,

თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყვნეს მისვლისა.

@თავი მეორე. მეფის აღმზრდელი

> მცირედის დაჯერება უღონო კაცთა წესია... ვისაც დიდობის სნატთა ჯდომა უნდა, დიდ შემოსავალს უნდა ეცადოს, და ვისაც თავისი თავის ამაღლება და გვირგვინოსნობა ნებავს, საცადელის ზოსტერი უნდა წელთ შემოირტყას.
>
> **„ქილილა და დამანა“**

დედაქალაქის ჩრდილოეთის კართან შეეგებნენ ხელმწიფეს ვაზირები და დიდებულები. მეფის სანახავად გამოსული უამრავი ხალხი გზის ორივე ნაპირას იდგა. ხის ტოტები მეფისა და მისი ამალის უკეთ დანახვის მსურველი ბავშვებით იყო დახუნძლული. უფრო პატარები დედებს ხელში აეყვანათ და მოუთმენლად ელოდნენ ხელმწიფის გამოჩენას.

საყვირების ხმა გაისმა და ლურჯაზე ამხედრებული ხელმწიფე გამოჩნდა. მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა მეფის აღკაზმულობა. ნელი ჩორთით მომავალ მეფის დარახტულ ლურჯას ფაფარი გაშლოდა და ქარი ლაგამიდან ქაფს სტაცებდა.

ქვეითად მისკენ მომავალთ რომ გაუსწორდა, მეფემ ცხენი შეაყენა.

ლუხუმმა დამხვდურთ თვალი მოავლო და უცებ ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. მეფის მცველმა თავი იქით მოიბრუნა და მისკენ მზირალ ორ გიშერს წააწყდა. ის გიშრები შავი წამწამებიდან დამბნედავად იცქირებოდნენ, ბუდეებიდან გადმოფრენას ლამობდნენ და ლუხუმს კი არ უმზერდნენ, ნთქავდნენ. მარცხენა ლოყაზე იმ ტურფა ასულს დიდრონი ხალი ჰქონდა, ლოყებზე ოდნავ შესამჩნევი მოშავო ღინღლის მტვერი წაჰყროდა. ლუხუმს კინაღამ თვალთ დაუბნელდა. ლამაზი ქალის გამომწვევ მზერას ვერ გაუძლო, თავი დახარა და ხელი უნაგირის ტახტას წაატანა, რომ წონასწორობა შეენარჩუნებინა.

მეფის ლურჯა ნელი ნაბიჯით დაიძრა. ლუხუმი თავაუღებლად მიჰყვა.

თავი რომ ასწია, ხელმწიფისკენ ძღვენით მომავალი მოქალაქეები დაინახა.

ლუხუმმა ახალციხელისაკენ გაიხედა. შალვა უთქმელად მიხვდა მეფის მცველის კითხვას, როგორ მოვიქცე, ეს ხალხი მეფესთან მივუშვა თუ არაო.

ახალციხელმა თავის დახრით ანიშნა, რომ უნდა მიეშვა და თან ჩურჩულით დასძინა:

_ მეფეს ქალაქის დიდვაჭრები ძღვენით ეგებებიან, წინ რომ მიუძღვით, ვაჭართუხუცესი შიო კაციტაისძეა.

მეფის ლურჯას წინ ჩაიჩოქეს დიდვაჭრებმა. შიო კაციტაისძემ ძვირფასი ძღვენი მიართვა მეფეს, კეთილად დაბრუნება მიულოცა და მის კალთას სამთხვევად მისწვდა.

ხელმწიფემ სადავე აკრიფა, ეტყობოდა დაქვეითებას აპირებდა. ლუხუმი მიუხვდა და, ავჟანდის დაჭერა რომ არავის დაესწრო, ცხენიდან ისკუპა. ამოდენა კაცი ძირს მძიმედ დაეშვა და იგრძნო, რომ ფეხი რაღაცას დაადგა.

ვაიმეო, მის ზურგსუკან ამოიკვნესა ვიღაცამ.

ლუხუმმა მაშინვე აიღო ფეხი და შემობრუნდა,.

მის წინაშე ის ლამაზი ქალი იდგა, წეღან რომ ჩაციებით უცქერდა.

ტკივილისაგან გაფითრებულმა ქალმა თავს ძალა დაატანა და სახეზე სიმწრის ღიმილი გადაეფინა.

_ კნინღა გამსრისე, დათვო!

ოდნავ გასაგონად უთხრა და იმ ნათქვამში ლუხუმმა საყვედურზე მეტი ალერსი ამოიკითხა.

დაბნეულმა ლუხუმმა ბოდიშის მოხდაც ვერ მოახერხა, მეფისკენ უკანმოუხედავად წაძუნძულდა და ავჟანდსა და უზანგს ეცა.

მეფემ დაიქვეითა.

დიდებულებსა და მოქალაქეებს მათი ხარისხისა და ღირსების კვალობაზე მიესალმა, ყველანი ითაყვანა და მოიკითხა.

ბავშვებს მოეფერა, ზოგი დაკოცნა კიდეც; მერე ისევ ცხენზე შეჯდა და დედაქალაქის კარს გასცდა.

ცოტა გზა რომ გაიარეს, ლუხუმმა უკან მოიხედა: მეფის ამალას დიდვაჭრებიც ცხენდაცხენ მოჰყვებოდნენ და მიგრიაულის მზერა ისევ იმ ორ მწველ გიშერს გადაეყარა. ცხენზე ქალურად ამხედრებული ასული ვაჭართუხუცესის მხარდამხარ მოდიოდა და ლუხუმს ისევ გამომწვევად უღიმოდა.

თორელმა შენიშნა ლუხუმის დაბნეულობა, მეფეს ოდნავ ჩამორჩა და მიგრიაული რომ გაუსწორდა, გადაუჩურჩულა:

_ ეგ ქალი, წეღან რომ კნინღა გასრისე, ვაჭართუხუცესის, შიოს ცოლია. სპარსელი დიდვაჭრის ქალს მარტო სილამაზით როდი იცნობენ, მამისაგან დიდი მზითვი და მემკვიდრეობა მოჰყვა და კაციტაისძე თავის სიმდიდრეს მაგას უმადლის.

* * *

კათალიკოსი წვერს იგლეჯდა, მხარგრძელის დიდ დარბაზში გაბრაზებით გადი-გამოდიოდა და პირიდან ცოფს ჰყრიდა.

გუშინ საღამოსვე იცოდნენ დაწვრილებით მხარგრძელმა და კათალიკოსმა ლაშარის ხატში მომხდარი ამბები. კათალიკოსს გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, იგი ჭაბუკი მეფის მოქმედებას ქრისტეს სარწმუნოების შეურაცხყოფად თვლიდა. ლაშარის ხატში მისი მისვლა, მსხვერპლთშეწირვასა და ხატობაში მისი მონაწილეობა მეფის მიერ კერპთაყვანისმცემლობის წახალისებად ეჩვენებოდა.

უფრო მეტად კათალიკოსს ლაშარის ხატისათვის მამულების შეწირვა აღშფოთებდა, რადგან ნეტარი თამარის მიცვალების შემდეგ საეკლესიო მამულებს აკლდებოდა, თორემ მეფისაგან აღარაფერი ემატებოდა.

მეფის მიერ ქრისტეს რჯულისადმი აგდებული დამოკიდებულება ერსაც გულს აუყრიდა მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე, ეკლესიის შემოსავალი მოიკლებდა და ხალხის დაბალ ფენებში ჯერ კიდევ ცოცხალი წარმართობა ძალას მოიცემდა, ქრისტიანობას წინ აღუდგებოდა და შეებრძოლებოდა.

კათალიკოსი მტკიცედ იდგა ქრისტეს რჯულზე და ბრძოლის არ ეშინოდა, მაგრამ წინდახედულმა ეკლესიის მესაჭემ კარგად იცოდა, თუ რა დიდ მოკავშირეს იძენდა მეფის სახით ათასჯერ განადგურებული, მაგრამ ფერფლწაყრილი მუგუზალივით ათასჯერ აგიზგიზებული წარმართობა.

ივანე მხარგრძელის საფიქრალი უფრო მწვავე იყო და ხელშესახები.

ახალმა მეფემ პირველმა აქცია ზურგი ათაბაგს, გარს მისი მმართველობით უკმაყოფილო დიდებულები შემოიკრიბა და ყველგან და ყოველთვის მისი აზრისა და რჩევის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა.

ლაშარის ხატში მეფის მისვლასა და ფხოველების მომადლიერებას ივანე სწორედ მის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლად თვლიდა, რამდენადაც, არც ისე დიდი ხნის წინ თვითონ ათაბაგმა უხელმძღვანელა მთიელთა აჯანყების ჩაქრობას, ამბოხებულთა სანიმუშოდ დასჯასა და გამდგარი მთის ტახტისადმი დამორჩილებას.

დიდმა თამარმა ჯეროვნად დააფასა ერთგული ათაბაგის სამსახური, წყალობითა და ჯილდოთი აავსო ისედაც უხვად დაჯილდოებული მხარგრძელი. მთელი ქვეყანა ქებას ასხამდა ამირსპასალარის სამხედრო გამჭრიახობასა და იშვიათ მოხერხებას.

შური და ღვარძლი ქვეყნად არასოდეს დალეულა და ბოროტი ხითხითიც აღწევდა გამარჯვებული მთავარსარდლის ყურამდე: შალვა ახალციხელი და დადიანი, თორღვა პანკელი და ყვარყვარე ციხისჯვარელი გესლს ანთხევდნენ _ იმის მაგივრად, რომ მთიელები მშვიდობიანად შემოერიგებინა და ქართველთა გაერთიანებული ძალით სამეფოს გარეშე

მტრები შეემუსრა, მხარგრძელმა თავათ ქართველების ხოცვა-ჟლეტაში გამოიჩინა სამხედრო ხელოვნებაო.

ესმოდა ივანეს ბოროტი ენების ნაჩურჩულევი, მაგრამ ყურს არ უგდებდა, რადგან მის მტრებს გულისნადების ხმამაღლა გაცხადების ძალა არ შესწევდათ, ხოლო ხმამაღლა გაუმხელელთან ბრძოლა არ ღირდა.

მაგრამ აღესრულა თამარი და ტახტზე გიორგი-ლაშას ასვლით ყველაფერი გამოიცვალა. მეფემ თავისი მზრდელი და ქვეყნის მეთაური განიყენა, მისი აშკარა მტრები დაიახლოვა და მრჩევლებად გაიხადა.

ბავშვობიდან ჯიუტი და თავნება იყო ლაშა, დედისა და მამის ნებიერი უფლისწული პატარობითვე მიჩვეული იყო აჩემებულის გატანას, სხვისი აზრისა და სურვილისათვის ანგარიშგაუწევლობას. თუ ვისმე ერთხელ მაინც შეხედავდა ცუდი თვალით, მერე იმაზე გულს ვეღარ მოიბრუნებდა, მაგრამ, თუ ვისმე მიენდობოდა, სავსე გულით იცოდა ნდობა და სიყვარული.

ჯერ კიდევ ხუთი წლისა იყო უფლისწული, გეგუთში საზამთროდ გადასულ თამარს რომ ეახლა ივანე.

ბალღს დავით სოსლანი ეთამაშებოდა _ თამარის თანამეცხედრე. საქართველოს მეფე ოთხზე დამდგარიყო, ზურგზე ხელმათრახიანი ლაშა შეესვა და ცხენივით დაარბენინებდა ამოდენა ვაჟკაცი.

მხარგრძელი რომ დაინახა, შერცხვა სოსლანს, წამოდგა, ბავშვი ხელთ აიყვანა და მსახურთუხუცესს მიეგება.

უფლისწულმა, ეტყობა, თამაშის შეწყვეტის მიზეზად ნაჭრევებით სახედახაზული სტუმარი ჩათვალა, წამით დააცქერდა და უეცრად წვერში სწვდა. გამეტებით დაქაჩა ყრმამ წვერი მხარგრძელს და შეუდრეკელი ვაჟკაცი შეატორტმანა.

სოსლანს ფერი ეცვალა, ბავშვის მოშორება სცადა, მაგრამ ორივე ხელით ჩაფრენილმა ტახტის პატარა მემკვიდრემ კიდევ უფრო შეუბრალებლად დასწია წვერი მხარგრძელს.

თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა გოლიათ ვაზირს. შამქორის, ბასიანისა და ნიალის მძიმე ბრძოლებში არ დასდგომია ივანეს მსგავსი გაჭირვება. იდგა უგუნური ყრმის მიერ შეურაცხყოფილი დარბაისელი, ბრაზით გული უსკდებოდა, მაგრამ თავს სძლევდა და გაღიმებას ცდილობდა. ტკივილისა და შეკავებული მრისხანებისაგან შეშლილ სახეზე ნაძალადევი ღიმილი ვერ ჩერდებოდა და მხარგრძელი უხერხულად ასავსავებდა ხელებს.

როგორც იყო, სოსლანმა მხარგრძელს ბალღი ააგლიჯა. ჯიუტმა ლაშამ ტირილი მორთო, ივანესკენ იწევდა და კვლავ მისი წვერის ჩაბღუჯვას ლამობდა.

ბავშვის ტირილზე გამზრდელები მოცვივდნენ, მეფეს უფლისწული ჩამოართვეს და დარბაზიდან ტირილისაგან გადაბჟირებული გაიყვანეს.

ივანე დაპუტულ წვერს ისწორებდა და შეშფოთებულ სოსლანს ამშვიდებდა, არაფერია, ყრმა უფლისწულს ყოველივე ეპატიებაო.

ამასობაში თამარიც შემობრძანდა, მომხდარი ამბით შეწუხდა, ვაზირი გვერდით დაისვა და ნებიერი შვილის მაგივრად მოუბოდიშა. თამარის თვალთა პირველ გამოხედვაზევე დადნა წყენისა და ტკენის ყინული. მხარგრძელმა სადღაც, გულის რომელიღაც ფარულ კუნჭულში, ბედნიერების მოზღვავება იგრძნო და სახე სიხარულით გაებადრა.

მაინც რა ჯადო ჰქონდა იმ განათლებულს? მისი ერთი გამოხედვა, ან ხმის გაგონება მალამოდ ეღვრებოდა გულში ამ ბუნებით მკაცრსა და სასტიკ ვაჟკაცს და თავადაც არ იცოდა, რად ხდებოდა ასე, რა იყო მიზეზი ამ უსაზღვრო ერთგულებისა და თაყვანისცემისა.

სიყვარული?

ვინ იცის, ეგებ სიყვარულიც, მაგრამ ივანე თავის თავსაც ვერ უმხელდა ამას, რადგან ასე ახლობელსა და მწყალობელ თამარს მუდამ შორეულად და მიუწვდომლად სახავდა.

თამარმა მიმზიდველ საუბარში ჩაითრია მხარგრძელი. გატაცებული ვაჟკაცი, თითქოს მყარს ვეღარ გრძნობდა ფეხქვეშ, ფრთაშესხმული _ ოცნებით სადღაც მაღლა დაფრინავდა და სახიერს პირდაპირ ცქერას ვერ უბედავდა, ისე ლაპარაკობდა თავდახრილი.

სოსლანს ისევ ბავშვის ტირილი ჩაესმა, გულმა ვეღარ გაუძლო, ბოდიშის მოუხდელად წამოდგა და შვილის მოსაძებნად გავარდა.

ივანეს არ მოეწონა დავითის ამჩატება, მიმავალს ქვეშ-ქვეშ გახედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მხოლოდ თითები აუთამაშდა მღელვარებისაგან სკამის სახელურზე.

თამარმა ღიმილით გააყოლა თვალი შვილის სიყვარულით გაგიჟებულ მეუღლეს და წყნარი, მომხიბლავი ხმით თქვა:

_ ჭკუას კარგავს უფლისწულისათვის ბატონი მეფე, მისი ერთი წამოტირება თავსაც ავიწყებს და ქვეყანასაც.

ივანეს ენაზე ჰქონდა სათქმელი მომდგარი _ ასე იციან დაგვიანებით, მიმხცოვნების ჟამს გაჩენილი შვილების მამებმაო, მაგრამ დაიდუმა და ოდნავ გასაგონი, თამარისათვის შეუმჩნეველი ოხვრა აღმოხდა.

ბევრი დრო გავიდა უფლისწულთან უსიამოვნო შეხვედრის დღიდან. ლაშა მუდამდღე მხარგრძელის თვალწინ ტრიალებდა. შემდეგ, როცა ცოტა წამოიჩიტა, მეფეებმა სულაც მას მიაბარეს მემკვიდრე აღსაზრდელად, მაგრამ ვერ იქნა და კერპ უფლისწულს თავი ვერ შეაყვარა მეფის ერთგულმა მსახურმა, ვერც მოფერებითა და გართობით, ვერც საჩუქრებითა და განებივრებით ტახტის მემკვიდრის გული ვერ მოინადირა.

რაც უფრო ასაკში შედიოდა უფლისწული, მით უფრო აგდებულად ეკიდებოდა აღმზრდელს. გარეგნულად თითქოს თავაზიანობას იჩენდა, მაგრამ ამ თავაზიანობაშიც ნაძალადევობა გამოსჭვიოდა და ივანე გულისტკივილით შეჰყურებდა თავისი დიდი ამაგის დაუფასებლობას.

ბოლოს, როცა თვითონ ვერ მოიგო ტახტის მემკვიდრის გული, მთელი იმედი თავის უტურფეს ასულზე თამთაზე გადაიტანა.

რა აკლდა ივანე მხარგრძელს თამარის კარზე? სახელმწიფოს პირველი კაცი, თითქმის უგვირგვინო მეფე იყო!

იქნებ სწორედ ეს უგვირგვინობა აწუხებდა უსაზღვროდ განდიდებულ კარისკაცს?!

თვითონ რომ ვერ შებედა თამარის გვირგვინს, ახლა თავისი ქალის თამთას სილამაზემ აღუძრა გულში იმედი. თამთას გარეგნობა და გონიერება, კეთილი ქცევა და მეფის ღირსი აღზრდა, მამის სიმდიდრესა და ძალასთან ერთად, ნუთუ საკმაო არ უნდა ყოფილიყო, რომ ბაგრატოვანთა დედოფლის გვირგვინს მხარგრძელთა ასულის ლამაზი თავი დაემშვენებინა?!

ერთად იზრდებოდნენ თამთა და ლაშა. ძალზე უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ეს გრძნობა არ ჰგავდა იმ სიყვარულს, რომლის იმედიც მხარგრძელს ჰქონდა.

და-ძმასავით ერთურთს შეზრდილი თამთა და ლაშა ერთიმეორეს ყველაზე საიდუმლო გულისნადებსაც არ უმალავდნენ. ყველაფერს წარმოიდგენდნენ, მაგრამ ერთმანეთის ცოლ-ქმრობა ფიქრადაც არ მოსვლიათ არასოდეს.

ლაშასაგან იმედდაწმენდილი ივანე ერთხანს რუსუდანს შესცქეროდა ოცნების თვალით: თუ მხარგრძელის ქალს არ ეღირსა საქართველოს დედოფლობა, ეგებ ბაგრატიონის ასული გამხდარიყო მხარგრძელთა რძალი! და შემდეგ, ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა ჩარხი, ეგებ ბედს ლაშას დაი ისევ სასახლეში მოებრუნებინა და დედის ტახტზე აეყვანა ათაბაგის რძალი. მხარგრძელის ამ იმედსაც არ ეწერა ფრთების გაშლა.

ჭამა-სმაზე გადაგებული ივანეს პირმშო ავაგი ქალებისაკენ არც იხედებოდა. ტახტისა და სახელისაკენ მამასავით როდი მიუწევდა გული. მშვიდი და უზრუნველი ცხოვრება, განცხრომა და მოსვენება ყველაფერს ერჩივნა. შფოთითა და ჩხუბით, ნადირობითა და ქალებით თავის შეწუხება არ უყვარდა და სასახლის ხმაურს მამის სამფლობელოში მყუდროდ ყოფნას ამჯობინებდა.

თავის მხრივ, რუსუდანსაც არ ეხატებოდა ათაბაგის მემკვიდრე თავისი ოცნებისა და ტრფობის გმირად. გაქსუებული და ზარმაცი, მშვიდი და აუღელვებელი ავაგი სამამაცო ნიჭს მოკლებული ეჩვენებოდა და ყველაფრად წარმოიდგენდა მას, თავის ქმრად კი ვერა. ივანე მიხვდა, რომ მის ამ პატივმოყვრულ ოცნებასაც არ შეესხმებოდა ხორცი არასოდეს და თამარის მემკვიდრეების გვირგვინს მხარგრძელების თავზე ვერასოდეს ვერ ნახავდა.

რაკი ბაგრატიონთა ტახტის ოცნებაზე ხელი აიღო, მეტი რაღა დარჩენოდა, თავისი მდგომარეობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე უნდა ეზრუნა მხარგრძელს და მისი ფიქრი ისევ რუსუდანზე ჩერდებოდა, რუსუდანს ალალ მამასავით უყვარდა თავისი გამზრდელი, ივანეც არაფერს იშურებდა, რომ მისი გული უფრო მოეგო და კიდევ მეტად მიეახლოვებინა მეფის ასული.

რუსუდანიც მეფის შვილი იყო და რაკი სამეფოს პირველი დიდებული ლაშასაგან კარგს არაფერს ელოდა, მას რუსუდანის მომავალზე უნდა ეზრუნა, რომ ქვეყნის მართვის საჭე ხელიდან არ გავარდნოდა.

ლაშა, ტახტის კანონიერი და უცილო მემკვიდრე, მეფის პირმშო იყო. თამარმა იგი სიცოცხლეშივე თავის თანამოსაყდრედ გამოაცხადა. ტახტის მემკვიდრეს ყველა მეფური თვისება და ზნე ჰქონდა, ახოვანება და ჯანმრთელობაც არ აკლდა, ასე რომ, ივანეს მხოლოდ ბედნიერ შემთხვევაზე უნდა ეოცნება და რადგან ხიფათისა და შემთხვევისაგან, მეფეების ჩათვლით, არც ერთი მოკვდავი არ არის ამქვეყნად დაზღვეული, ათაბაგიც სწორედ ასეთ შემთხვევას უცდიდა.

შემთხვევა თუ ხიფათი კი იგვიანებდა. მხარგრძელს წლები ემატებოდა და სიბერე უახლოვდებოდა, ახალგაზრდა მეფე კი დღითიდღე ძლიერდებოდა და ტახტზე მტკიცდებოდა.

ივანეს მტრები მრავლდებოდნენ, მეფის გარშემო ირაზმებოდნენ და უკვე აშკარა გამოსვლასაც აღარ ერიდებოდნენ ათაბაგის წინააღმდეგ.

ხედავდა ივანე, როგორ ცდილობდა ჭაბუკი მეფე მის დამცრობასა და სახელმწიფოს საჭისაგან განყენებას. ჩუმად, უდრტვინველად იტანდა მეფისაგან შეურაცხყოფას და ფარულად გადამწყვეტი შეტაკებისათვის ემზადებოდა.

იცოდა ჭკვიანმა ათაბაგმა, რომ მეფესთან განხეთქილების შემთხვევაში მისი განაპირება სასახლიდან იძულებული წასვლით არ გათავდებოდა და მტრები და მოშურნეები მეფეს მის მამულებსა და უზომო სიმდიდრეზეც აღძრავდნენ ხელსაყოფად.

ჯიუტი იყო ლაშა, მაგრამ როგორც ფუფუნებასა და ნებივრობაში გაზრდილ ყველა მმართველს, მასაც ნებისყოფა დიდხანს არ ყოფნიდა და განსაცდელში უეცარი წამოჩოქება იცოდა.

თავის სიმართლესა და გამარჯვებაში დარწმუნებული ივანე ათაბაგი მოთმინებით ელოდა გადამწყვეტ ბრძოლას.

ამიტომ ახლა დინჯად იყო და თუმცა კათალიკოსზე მეტ შეურაცხყოფას გრძნობდა, გარეგნულად დიდ აღელვებას არ იჩენდა.

იჯდა სავარძლის ზურგზე მისვენებული, ოდნავ მოჭუტული თვალებით სადღაც შორს იხედებოდა და სახეზე დამცინავი ღიმილის შუქი უთამაშებდა.

კათალიკოსი ბრდღვინავდა.

ლაშარის ხატში მეფის მთელი ნამოქმედარი ივანეს გაზვიადებულად ათჯერ წინ დაულაგა, მაგრამ ათაბაგი მაინც ვერ აღაშფოთა და წონასწორობიდან ვერ გამოიყვანა. ბოლოს უკანასკნელი საბუთი მოიშველია და პატივმოყვარე მხარგრძელს გესლი ჩააწვეთა:

_ არ მინდოდა მეთქვა, რუსთველის ლექსი საქვეყნოდ უმღერიათ, უხარხარიათ და ხალხიც უცინებიათ!

ივანეს სახე შეეცვალა და, თუმცა თავის შეკავება სცადა, აღელვება მაინც ვერ დაფარა.

_ რომელი რუსთველის ლექსი?

იცოდა ათაბაგმა, რომელ ლექსზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ არ იმჩნევდა და განგებ ისე იკითხა, ვითომ მისთვის სულ ერთი ყოფილიყოს, ვისი ან რა ლექსი ემღერათ.

_ ჰმ! რომელი რუსთველის ლექსიო! _ მწარედ ჩაიღიმა კათალიკოსმა. _ მესხი მელექსის, ქრისტესაგან შეჩვენებული შოთას ლექსი უმღერიათ:

მთაში აიჭრა მხარგრძელი, თვალთაგან რისხვის მთოველი,
დახოცა, შუბზე ააგო ქალი და ბავშვი ფხოველი,
შიშით ჰკრთის ქართლი, კახეთი, ლიხთიმერეთი ყოველი:
ვაჰ, თუ აქეთაც მობრუნდეს, უკეთესს არც ჩვენ მოველით.

წამღერებით, მკაფიოდ თქვა ლექსი კათალიკოსმა და ათაბაგს შეხედა: ივანეს მრისხანებისაგან სახეზე მგლის ფერი დასდებოდა და თმა-წვერი აშლოდა.

კათალიკოსმა ენაზე იკბინა. ერჩია, მიწა გასკდომოდა და ივანესათვის არ გაემხილა, რომ ეს უმსგავსი ლექსი მანაც, სრულიად საქართველოს ეკლესიის მეთაურმაც, იცოდა.

ივანეს პირველად როდი ესმოდა რუსთველის ლექსი, მაგრამ ახლა უფრო იმან აღაშფოთა, რომ იგი კათალიკოსის ბაგეთაგან მოისმინა: როგორ ყოფილა გავრცელებული მესხი მელექსის ეს უხამსობა, თუკი იგი უწმინდესი ტაძრის ყველაზე მაღალსა და ლაზღანდარობისათვის მუდამ კარდახშულ სფეროშიაც კი შეღწეულა!

გაბრაზებისაგან აცახცახებულმა ივანემ არ იცოდა, ვის ან რას დატაკებოდა. ხელში ქაშანურის ძვირფასი ფიალა მოჰყვა, კედელს შეანარცხა და ფეხზე წამოვარდა.

უცებ ხალხის გუგუნი და დაფდაფების ხმა გაისმა.

ივანე გამოერკვა, სარკმელთან მიიჭრა და კოზიმიტი გადასწია.

სიმღერით მოდიოდნენ მეფე და მისი ამალა:

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა,
თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყვნეს მისვლისა...

ათაბაგის სასახლეს რომ გაუსწორდნენ, ახალციხელმა თორღვა პანკელს მხარი გაჰკრა და გადაულაპარაკა:

_ მეფეზე დიდი და ბრწყინვალე სასახლე მოიწყო, ანკი რატომ არ მოიწყობდა, მეფის სახელიღა აკლდა, თორემ ძალით მეფესაც აღემატებოდა.

სარკმელთან კათალიკოსიც მივიდა და ფარდის მეორე ყურე ოდნავ ასწია.

_ აჰა, ივლიანე, მეფე იგი მეკერპე! _ წარმოსთქვა კათალიკოსმა და მრისხანე თვალებით გაჰხედა ბრწყინვალე ამალის თავში მომავალ მეფეს.

ახალციხელისა და პანკელის საუბარს თუ მოჰკრა ყური ლაშამ, იმანაც უნებურად მხარგრძელის სასახლეს ახედა.

მოულოდნელად მეფის თვალი ჯერ ათაბაგის და მერე კათალიკოსის თვალთ შეხვდა.

ორივემ დანაშაულზე წასწრებულივით დაუშვეს ფარდა და ისარნაკრავებივით შემობრუნდნენ.

_ ივლიანე მეკერპე! _ ერთხელ კიდევ კბილის ღრჭიალით წარმოსთქვა კათალიკოსმა.

_ ხოლო ისარმან ზეცისამან მოკლა იგი! _ მრისხანედ, გარკვევით თქვა ათაბაგმა და გულისნადების მოულოდნელი გამჟღავნებით შეშფოთებულ კათალიკოსს თვალი თვალში გაუყარა.

@თავი მესამე. გლეხი სასახლეში

სასახლის გალავანთან მოეგებნენ მეფეს მსახურნი და კარისკაცები.

ლურჯას ავჟანდში მისწვდა ორი ვაჟკაცი და მეფე ფოთოლივით მსუბუქად გადმოევლო უნაგირს.

მეფის ამალამაც დაიქვეითა და ლაშას მიჰყვა სასახლისაკენ.

სასახლის ეზო ფერადი მარმარილოთი იყო მოფენილი. პირველად სარკესავით გაკრიალებულმა მარმარილოს ფილაქანმა მოსჭრა თვალი ლუხუმს. ფეხის გაცურებისა ეშინოდა და ნაბიჯს ფრთხილად დგამდა პრიალა იატაკზე სიარულს შეუჩვეველი გლეხი.

სასახლე დიდებული იყო გარედან. მაღალი სვეტები და ლამაზი პორტალები, ერთიმეორეში ჩახლართული ჩუქურთმების რთული ხვეულები და ოქროს ფურცლით დაფარული სახურავი მნახველებს უჩვეულო სიმდიდრითა და გემოვნებით ხიბლავდნენ.

შიგნით კიდევ უფრო ლამაზი იყო მეფის სასახლე. გარდარეული სიმდიდრითა და ბრწყინვალებით დაბრმავებული მიგრიაული გაოგნებული მიჰყვებოდა მეფის ამალას.

ფართოსვეტებიან დარბაზთა კედლების მოოქროვილ ფონზე იშვიათი ხელოვნებით შესრულებული მოზაიკა ბრწყინავდა. მოზაიკა თამარის მეფობის სიდიადეს, მისი დროის ძლევამოსილ ომებსა და საქართველოს კეთილდღეობისათვის უმშვენიერესი დედოფლის მუდმივ ზრუნვაზე მოუთხრობდა. მარმარილოს მოზაიკით მოკირწყლული იატაკი კიდევ უფრო გასაოცარი ოსტატობით გადმოსცემდა საქართველოს ბუნების სიმდიდრესა და სილამაზეს.

ყველაზე მეტად ოქროსა და ვერცხლის სიჭარბე სჭრიდა თვალს ქალაქში პირველად ჩამოსულს და სასახლეების უნახავ მიგრიაულს: დარბაზთა კედლები თუ ჭერი, სვეტები თუ იატაკი, ყველაფერი ოქრო-ვერცხლით მოჭედილს ჰგავდა.

წყნარად, მსუბუქად მიაბიჯებდნენ მოფარდაგულზე მეფე და მისი მხლებლები.

ყველა გასასვლელთან, მოსახვევთან და კართან მძიმედ შეჭურვილი ბუმბერაზები იდგნენ, მეფის დანახვაზე წელში იკეცებოდნენ და თავს იატაკამდის ხრიდნენ.

სასტუმრო დარბაზში დაეთხოვნენ თანხმლები დიდებულები მეფეს და სხვადასხვა გასასვლელებით დარბაზებში გაიფანტნენ.

მეფემ ლუხუმი საწოლი პალატებისაკენ გაიყოლა.

სასვენებელი პალატის კარი გაუღეს მსახურებმა მეფეს.

ლაშამ კართან მცველად ლუხუმი დაადგინა და არავინ შემოუშვაო, უბრძანა.

უზარმაზარ ოქროჭედილ კართან გაქვავდა ფარშუბდაბღუჯული მიგრიაული.

ჩასაფრებული ნადირივით სულგანაბული გაჰყურებდა მოფარდაგულს ლუხუმი.

ქალების კისკისმა გამოარკვია მეფის ახალი მცველი. მოფარდაგულის თავში სამი ერთიმეორეზე უტურფესი გოგონა გამოჩნდა, მათგან ყველაზე ლამაზმა და მდიდრულად მორთულმა დანარჩენი ორი სიცილ-კისკისით უკან გააბრუნა და თვითონ ასკინკილას ცეკვით და სიმღერით პირდაპირ მეფის საწოლისაკენ წამოვიდა.

კარს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, ეტყობოდა, ელოდა, რომ მცველი კარს გაუღებდა, მაგრამ უძრავად გაშეშებულ გოლიათს შეხედა და წამით შეცბა. თავით ფეხებამდე აათვალიერა, ბოლოს ჭრელ პაჭიჭებზე დააცქერდა და სიცილი აუტყდა.

გოლიათი შეიშმუშნა, ტლანქად შეირყა და შეშფოთებულმა ტალავარზე დაიხედა.

კისკისა გოგონამ სახე კუშტად შეიკრა. ტუჩი აიბზიკა და კარის სახელურისაკენ წაიღო ხელი. კარის წინ ლუხუმი აღიმართა და გზა გადაუღობა.

_ განზე მიდექ! _ ზიზღით შეუძახა გოგონამ.

მეფის მცველი, თითქო არც გაუგონიაო, ზურგით კარს მიყრდნობილი იდგა და წარბსაც არ ხრიდა მოთმინებადაკარგული გოგონას წინაშე.

_ გზა მომეცი-მეთქი! _ უკვე ანჩხლად შესძახა ქალიშვილმა და მკლავში ჩააფრინდა მიგრიაულს.

ლუხუმი კვლავ გაქვავებულივით იდგა, ხმაგაკმენდილი და გაკერპებული.

ახლა ორივე ხელი ჩაავლო უცნობმა მეფის მცველს, თან ფეხებს აბაკუნებდა და გაანჩხლებული გაჰკიოდა:

_ შენ ვინ ხარ, რომ მე არ მიშვებ, მომეცა-მეთქი, თორემ...

ხმაურზე მეორე კარი გაიღო და ლაშა გამოჩნდა.

გაკაპასებულ გოგონას და გაჯიუტებულ მცველს რომ შეხედა, გაეცინა, მათკენ წამოვიდა, ქალიშვილს ზურგიდან წამოეპარა და ხელებით თვალები დაუხუჭა.

_ გამიშვი-მეთქი, ეს ვინღა არი! ლაშა, მიშველე... ლაშა... _ და გულამოსკვნილი ატირდა.

_ აქა ვარ, აქაა! _ გამოაჯავრა ლაშამ, ხელები თვალთაგან მოაშორა და მისკენ შებრუნებულ, თვალცრემლიან რუსუდანს გადაეხვია.

მიგრიაული მეხდაცემულივით შეტორტმანდა, მიხვდა, რომ რაღაც დიდი დანაშაული ჩაიდინა, კარს მოცილდა, მუხლზე დაიჩოქა და მეფეს გზა მისცა.

_ ეს ჩემი დაია, რუსუდან, იგი ყოველთვის უნდა გამოატარო! _ უთხრა მეფემ, დას მხარზე ხელი მოჰხვია და წაიყვანა.

სირცხვილისა და დანაშაულის შეგნებით შემდრკალი ლუხუმი თავბრუდახვეული წამოდგა, მუხლი ეკვეთებოდა და თვალში ხეირიანად ვეღარც იხედებოდა, მაგრამ თავს სძლია და ისევ ქანდაკივით აისვეტა მიხურულ კართან.

უსიცოცხლოსავით უმოძრაოდ იდგა კართან მიგრიაული. გარეგნულად ჰგავდა უსიცოცხლოს, თორემ მის თავში ათასგვარი ფიქრი და საზრუნავი ირეოდა.

თვალწინ სულ ტუჩაბზუებული მეფის ასული ედგა და ათასჯერ წყევლიდა თავის უგნურობასა და ხეპრეობას. როგორ ვერ იცნო ხელმწიფის დაი, როგორ შეირცხვინა თავი სასახლეში მოსვლისთანავე! რას იფიქრებს მეფე, რას იტყვიან კარისკაცები, მსახურები, მცველები?..

ფიქრი ასე გაფართოვდა, შორს წავიდა და ლაშარის ხატში ცისფერკაბიან გოგონას მისწვდა.

„რას იტყვის ლილე? ან სად არი ახლა იგი? როგორ არა ჰგავს თუშის მოკრძალებული, ჩუმი და ლამაზი გოგონა სასახლის ნებიერს, თამამსა და ლამაზ რუსუდანს!“

„მაინც რომელი უფრო ლამაზია _ ლილე თუ რუსუდანი?“ _ თავისდაუნებურად აეკვიატა ლუხუმს ეს ფიქრი და ცალ-ცალკე იწყო ორივეს სიკეთისა და ნაკლის გაჩხრეკა: ლილე ნაზია და ტანწვრილი, რუსუდანი ჯერ ბავშვია, მაგრამ უფრო ტანსრული: ლილე შავთვალაა და შაქრისფერი, რუსუდანი თეთრყირმიზი და ცისფერთვალა; ლილე მინდვრის ყვავილივით მორცხვია და ჩუმი, რუსუდანი ამაყი და კერპი...

უცებ კარი შიგნიდან გაიღო. ზურგით კარსმიყრდნობილი ლუხუმი წაბარბაცდა, კინაღამ წაიქცა, დაფაცურდა, თითქო თავის საფიქრალს მალავსო, წელში ისევ სწრაფად გასწორდა, გაიჭიმა და თავდახრილმა წარბებქვეშ გახედა პალატიდან გამომავალ ლაშასა და რუსუდანს.

რუსუდანს წყენა დავიწყებოდა და უკვე კარგ გუნებაზე იყო. ლუხუმის წინ შეჩერდა და ეშმაკურად უთხრა:

_ მეფეს ფშავი მოსწონებია. შენ, ალბათ, ლაშარის ყმა ხარ, ფშაველო!

ლუხუმს სახე აელეწა, თვალები დახარა და ხმა ვერ ამოიღო.

_ ღონიერი ჩანს შენი ახალი მცველი, წეღან ძვრა ვერ ვუყავი, _ ატიტინდა ისევ რუსუდანი.

_ ღონიერი კი არა, გმირია, ნამდვილი ბუმბერაზი. ხმალში უნდა გენახა, სამ ხევსურს მარტო როგორ გაუმკლავდა! _ შეაქო ლაშამ დარცხვენისა თუ სიხარულისაგან სახეწამოწითლებული ლუხუმი.

რუსუდანს ეშმაკურად გაეღიმა. ლუხუმისაკენ ქუფრად მობრუნდა და მკაცრად უთხრა:

_ სასახლეში ფშავურად არ იცვამენ, ფხოველო, ტალავარი გამოიცვალე!

მეფემ თავის დაქნევით დაუდასტურა ლუხუმს რუსუდანის ნათქვამი და და-ძმა იქაურობას გაშორდა.

* * *

მსახურებმა მოძებნეს მიგრიაული, წაიყვანეს და კარგად ასამხრეს. მერე აბანოსკენ გაუძღვნენ და მექისეს ჩააბარეს.

აბაზანისკენ მიმავალი ტანშიშველი ლუხუმი აქეთ-იქით იხედებოდა, ფარულად ხომ არავინ მიყურებსო _ შიშობდა და ვეება ტერფებს ფრთხილად ადგამდა მარმარილოს ცივ ფილაქანზე.

აბაზანაში, ცხელ წყალში გაწოლილი, გაოცებით შეჰყურებდა ჭრელ კედლებს მიგრიაული. ყველაფერი მდიდრულად იყო ნაკეთები, სიფაქიზითა და გემოვნებით.

კანი რომ კარგად დაულბო ცხელმა წყალმა, მექისე შემოვიდა.

გამხდარ, გაძვალტყავებულ მექისეს წეროსავით წვრილი ფეხები ჰქონდა. შემოსვლისთანავე დაახველა და მისი ხრინწიანი ხველება ლომის ბუხუნივით გაისმა გუმბათოვან აბანოს კედლებში.

მექისემ ჭურჭელი ცხელი წყლით აავსო და ლუხუმს გასძახა:

_ მობზანდი!

ლუხუმი მძიმედ ამოვიდა აბაზანიდან, თლილი ქვის ტახტზე გაიშოტა და თვალი ჭერს მიაპყრო.

მექისე მოუბოდიშებლად შედგა ზედ ამოდენა ვაჟკაცს, ტანის ზელა დაუწყო და ტკაცატკუცი აუყენა.

პირველად ეუცხოვა მიგრიაულს მექისის ასე მოურიდებელი ქცევა, მერე თანდათან ეამა და დამშვიდდა.

_ ქართველი ხარ? _ დაბლიდან ეკითხება ლუხუმი მის ზურგზე ჭინკასავით შემჯდარ მექისეს.

_ არ ვისი, _ მოკლედ უპასუხა მექისემ.

უცნაურმა პასუხმა გააოცა მიგრიაული.

_ აგრე გამხდარი რათა ხარ? _ ისევ შეეკითხა ლუხუმი.

_ აბანომ ისის... _ ისევ მოკლედ მოსჭრა მექისემ. ლუხუმმა შეატყო, რომ მექისე მასთან სალაპარაკოდ არ იყო განწყობილი. ერთხანს გაჩუმდა, მერე თავიდანვე აკვიატებული კითხვა მოეძალა და მექისეს ასძახა:

_ მსახურები თუ ასეთ აბანოში იბანენ, მეფეებისა როგორიღა იქნება?!

_ არ ვისი! _ ცივად თქვა მექისემ, ზურგზე ხელი დაარტყა და აბაზანაში ჩასვლა ანიშნა.

წყალში დიდხანს არ დააყენა, ისევ უკან მოიხმო და ახლა ქისით დაუწყო წვირის გაცლა. ქისის პირველსავე გასმაზე ჯაგარივით აიშალა ქონნარევი ჭუჭყი ლუხუმის მთელ ტანზე.

_ დიდი ხანია ტანი არ დაგიბანია? _ ჰკითხა მექისემ.

_ მინდორში ყოველდღე ვიბანდი, _ დარცხვენით მიუგო ლუხუმმა.

_ დინარის სხალი ცივი სხალია... ჩუჩხი არ გაცილებს, აბანოს სხალი კარგად გასმინდოს... _ უხსნიდა მექისე და თან ქისით ტყავს აძრობდა.

როგორც იყო, მორჩა, წვირე გაშორდა და მთელმა სხეულმა რაღაც საამო სიმსუბუქე იგრძნო.

_ გაამოს!

უთხრა მექისემ. უკანასკნელად რომ გადაავლო წყალი, ხის ქოშებში გაჰყო ფეხები და ხველებითა და კახაკუხით გავიდა.

აბანოში ახლა სხვა კაცი შემოვიდა, წარბები ქალივით ჰქონდა კოხტად გამოქნილი და ტანს კეკლუცად მოარხევდა.

უცნობს ხელით რაღაც კოლოფები მოჰქონდა.

შემოსვლისთანავე ნაზი, ქალური ღიმილით მიესალმა ლუხუმს და ტახტზე გვერდით მიუჯდა.

კოლოფები გახსნა, ხელისგულზე რაღაც წამლები დაისრისა და ლუხუმის ტანს დაუწყო ზელა.

ლუხუმს არ ეამა ნელსაცხებლების ნაზი, დამბნედავი სურნელი, მაგრამ გაიფიქრა, ალბათ, ასეა მიღებული სასახლეშიო, ხმა არ ამოიღო და ნებას დაჰყვა.

ბოლოს თმას მისწვდა უცნობი.

_ ეგ რაღა საჭიროა? _ წაილუღლუღა ლუხუმმა.

_ ნაბრძანები მაქვს, _ მოკლედ მოსჭრა ოსტატმა და ლუხუმის ჯაგარივით გახეშეშებული თმის დალბობას შეუდგა.

ტანის ზელვასა და თმის დავარცხნას რომ მორჩა, ლუხუმს ძვირფასი აღმოსავლური ხალათი მოახურა და სულის ერთი შებერვით სანთლები ჩააქრო.

_ რად აქრობ? _ გაიოცა ლუხუმმა.

_ მომყე... _ ჩურჩულით უთხრა უცნაურმა კაცმა, ხელი ჩაჰკიდა და წინ გაუძღვა.

ლუხუმი მინდობილად მიჰყვა. მისმა მეგზურმა სადღაც შეახვევინა, ფარდის იქით გაატარა, მერე ხელი გაუშვა და გაქრა.

_ სად წახველ, ძმობილო? _ გასძახა მიგრიაულმა და კედლებზე ხელი მოაფათურა.

_ აქ მო, ლუხუმო! _ ოდნავ გასაგონად გამოეხმაურა ქალის ხმა.

ლუხუმი სმენად იქცა, თითქო ხმა ეცნაურა.

_ აქეთ მოდი, ნუ გეშინია, _ ისევ მოესმა ქალის ჩურჩული.

_ ვინა ხარ? _ გასძახა გაოცებულმა ლუხუმმა და გაუბედავი ნაბიჯებით დაიძრა იქით, საიდანაც ქალის ხმა მოდიოდა.

რამდენიმე ბიჯი რომ წადგა, ვიღაც მოეგება. სახესა და ტანს ვერ ხედავდა სიბნელეში, მხოლოდ ხელზე ხელის შეხებით მიხვდა, რომ ქალი უნდა ყოფილიყო: გრძელი, ნაზი თითები და ფაფუკი ნები ჰქონდა.

ახლა უცნობ ქალს მიჰყვა ბნელში ლუხუმი, ქალი შეჩერდა, დაბლა დაიხარა, ეტყობოდა, ჩამოჯდა და ლუხუმს მოესმა:

_ ტახტია, ჩამოჯექ!

ლუხუმი ტახტზე დაეშვა და უცებ გაახსენდა, რომ უცნობ ქალთან ნახევრად შიშველი იყო. შეიშმუშნა, საშინლად ეუხერხულა.

_ წაწლობა მასწავლე! _ უჩურჩულა ქალმა და ყურის ბიბილოსთან დაეწაფა ბაგეებით.

დიაცის ცხელმა, ვნებიანმა კოცნამ ერთიანად აშალა ვაჟკაცი, თავბრუ დაეხვა, ქალს ხელი მოხვია და მიიზიდა.

_ ნელა... ნელა... ნეკნები დამილეწე, დათვო! _ შესძახოდა ქალი და ყელზე ეხვეოდა ვაჟკაცს.

„დათვოო“, თითქო ეცნაურა ქალის ხმა ლუხუმს, მაგრამ ახლა ფიქრის თავი აღარ ჰქონდა.

_ ვიწაწლოთ, წაწლობა მასწავლე... _ ჩურჩულით ეუბნებოდა ქალი, აცახცახებული ხელით ვაჟკაცის ხელს იშორებდა და ტუჩს ტუჩზე აწებებდა.

გაშმაგებულმა ლუხუმმა მაგრად აკოცა და ხელში აიტაცა. უცებ მარმარილოს იატაკზე ფეხი დაუსხლტა, თავი ვეღარ შეიმაგრა და ორივე ძირს დაეცა.

_ ვაიმე, ხელი მომტყდა...

ჩაესმა სირცხვილისა და ტკივილისაგან გონწართმეულ ლუხუმს.

_ ეს რა მიყავი, შე დათვო... მკლავი ამომიგდე... სადღა უნდა გამოვჩნდე... _ წაიტირა და ქვითინით ბნელში გაუჩინარდა.

ლუხუმს ისევ ეცნაურა ქალის ხმა, უფრო მაშინ, როცა გაბრაზებულმა ამოიკვნესა.

ეცნაურა და შეკრთა.

_ ნუთუ? ნუთუ ის იყო? არა... ეს რა საფიქრებელია! _ შუბლზე ხელი მოისვა აბეზარი ფიქრის მოსაშორებლად და ბნელში ზეზე წამოდგა.

ისევ ფეხის ხმა მოესმა.

ვიღაცამ ხელი ჩაჰკიდა და ახლა იმ კაცის ხმა გაიგონა, წეღან რომ აქ შემოიყვანა.

_ მომყე...

წინანდელზე მეტი იარეს ბნელში. ბოლოს კარის წინ გაჩერდნენ.

_ გააღე, ტანთ ჩაიცვი და სასახლისკენ წადი! _ უთხრა უცნობმა მიგრიაულს და გაშორდა.

ამდენი მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა ლუხუმმა კარი ფრთხილად გააღო.

თვალი ნელ-ნელა შეეჩვია სანთლების შუქს.

პატარა ოთახში იყო, ტახტზე ახალი ტანსაცმელი დაუხვდა, ისეთი, სასახლეში რომ ეცვათ შეჭურვილ მცველებს.

ჩამოჯდა და განცდილისაგან გაშტერებული ჩაცმას შეუდგა.

@თავი მეოთხე. ორი გზა და ორი ბანაკი

სანამ თამარი ცოცხალი იყო, ყრმობიდანვე მეფის თანამოსაყდრედ გამოცხადებული ლაშა სამეფოს საქმეებში არ ერეოდა, ნადირობასა და სანახაობას, ცხენოსნობასა და მობურთალობას უფრო ეტანებოდა და საქართველოსა და ყმადნაფიცი ქვეყნების სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობდა.

უფლისწული ვერ ხედავდა, როგორ ნელ-ნელა და ოსტატურად აცლიდა ხელიდან ძალასა და გავლენას მის მომავალ მეფობას ჭკვიანი მხარგრძელი.

ორნი ძმანი იყვნენ მხარგრძელნი და ორივენი ერთიმეორეზე მეტად საყვარელნი და ახლობელნი თამარისთვის.

უფროსი _ ზაქარია, უფრო ახოვანი, ომში უხორცოსავით უშიშარი, წყობაში შეუდრეკელი და სამხედრო საქმის სწორუპოვარი მცოდნე და ხელოვანი, უფრო ალალი და უეშმაკო იყო, გულის მიმყოლი, წრფელი და უანგარო.

უმცროსი ივანე ვაჟკაცობაში ძმას ტოლს არ დაუდებდა, მაგრამ უფრო გონების მიმყოლი, დინჯი და შორს გამჭვრეტი, გულდახურული და ანგარიშიანი იყო.

ძმები თამარის უცვლელი ვაზირები იყვნენ და მაშინდელი საქართველოს სახელისა და ძლიერების განფენასა და ამაღლებაში ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღოდა.

ზაქარია საქართველოს მხედრობის მეთაური, ამირსპასალარი იყო. ყველა დიდი ომი, ყველა მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელმაც მთელს აღმოსავლეთსა და დასავლეთში ქართველთა უძლეველობის სახელი მოჰფინა, მისი სამხედრო გეგმით და უშუალო ხელმძღვანელობით გადაიხადეს ქართველებმა.

ივანეს მსახურთუხუცესობა ჰქონდა და ისიც ზაქარიას მხარდამხარ თავდადებით იბრძოდა ყველა ომში.

გამჭრიახმა მსახურთუხუცესმა იცოდა, რომ სამხედრო ძლიერებაზე დამყარებულ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველო იყო, სახელმწიფოს ნამდვილი მმართველი მხოლოდ ის იქნებოდა, ვისაც ესოდენ მრავალრიცხოვანი და ძლევამოსილი ლაშქარი დაემორჩილებოდა.

მხედრობაში თავის გამოჩენისათვის, მოლაშქრეთა შორის სიყვარულისა და პატივისცემის დამსახურებისათვის არაფერს ზოგავდა ივანე. თავის ხელქვეით სარდლებს უხვად აჯილდოებდა, ერთგულებს წინ წაწევაში შველოდა და აშკარად მფარველობდა.

ზაქარიას შემდეგ თითქოს ივანეს გარდა სხვა აღარავინ უნდა ყოფილიყო ამირსპასალარობის ღირსი, მაგრამ ლაშქარს თავისი რჩეული ჰყავდა, უმცროს მხარგრძელზე ბევრად ახალგაზრდა, მაგრამ საბრძოლო დამსახურებით მასზე გადამეტებული.

ეს გმირი შალვა თორელი იყო.

სიჭაბუკითვე ომებში დავაჟკაცებულ შალვას წყობასა და მტრის კვეთებაში, მშვილდოსნობასა და ცხენოსნობაში სწორი არ გააჩნდა.

ზაქარიამ იმთავითვე შენიშნა და დააფასა შალვას მხედრული ნიჭი, გამჭრიახობა და შემმართებლობა. ბრძოლის ყველაზე მძიმე უბანზე გზავნიდა ხოლმე ახალციხელს, ჭაბუკ სარდალსაც ბედი არასოდეს ღალატობდა და უკან მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა.

პირველად მთელი მხედრობისა და მეფის ყურადღება შამქორის ბრძოლაში მიიპყრო ახალციხელმა.

ამ ომში შალვა წინამბრძოლ ჯარს სარდლობდა. დავით სოსლანისა და ორთავ მხარგრძელის მეთაურობით მთავარი ლაშქრის მოსვლამ რომ შეაგვიანა, მტრის აურაცხელ მხედრობასთან კარგა ხანს მარტო წინამბრძოლთ მოუხდათ გამკლავება.

ცხენმოკლულმა და ჩაბალახდალეწილმა ახალციხელმა არათუ უკან დაიხია მტრის სიმრავლის წინაშე, არამედ მთავარი ძალის მოშველებისას თავადაც სასტიკად შეუტია სპარსელებს და იერიშზე გადასულმა ფიცხელ ბრძოლაში ხელთ იგდო ხალიფასაგან ღაზოდ წარმოგზავნილი დროშა.

გამარჯვების შემდეგ მთელი ლაშქარი ამ უმნიშვნელოვანესი ნადავლის სანახავად მოდიოდა. ამ ნადავლითვე წარუდგა შალვა თამარს და იმ დღიდან მისი სახელი მთელ სამეფოს პირზე ეკერა.

ჭაბუკობაშივე მოხვეჭილი გმირისა და მიუთხრობელი მეომრის სახელი შემდგომ ომებში კიდევ უფრო განიმტკიცა შალვა ახალციხელმა.

ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ ზაქარიას შემდეგ საქართველოს ძლევამოსილი მხედრობის მეთაური ამირსპასალარი შალვა ახალციხელი იქნებოდა.

მაგრამ მიიცვალა თუ არა ზაქარია, თამარმა ამირსპასალარობა მსახურთუხუცეს ივანეს შესთავაზა.

ივანემ სრულიად დამსახურებულად, ტახტისა და სამშობლოს ერთგულების გამო, თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში ხელმწიფეზე განუსაზღვრელი გავლენა მოიპოვა.

ზაქარია რომ გარდაიცვალა, მხარგრძელმა ისარგებლა მეფის ამ ნდობით, თამარის მიერ შემოთავაზებულ ამირსპასალარობას არ დასჯერდა და ხელმწიფეს ათაბაგობის პატივი სთხოვა.

ათაბაგები მთელს აღმოსავლეთში სულტანთა აღმზრდელები იყვნენ, მეფეთა მამებად იწოდებოდნენ და მეფის ნაცვლობასა და ზოგჯერ მეფობასაც კი სწევდნენ.

თამარმა უყოყმანოდ მიანიჭა ერთგულ ყმას ათაბაგობის უაღრესი პატივი. მხარგრძელმა ამირსპასალარობაც იკისრა, უნებისყოფო მწიგნობართუხუცესს ვაზირთპირველობა თითქმის მისტაცა და სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება ერთად იგდო ხელთ.

თავის ადგილზე მსახურთუხუცესად ივანემ თავისივე ბიძაშვილი, მხარგრძელთა გვარის უმცროსი შტოს წარმომადგენელი, ვარამ გაგელი მოიყვანა.

ხალხი და მტრები რომ თავის უზომო თავკერძოებაზე არ აელაპარაკებინა, მხარგრძელმა თამარს შალვა ახალციხელის მეჭურჭლეთუხუცესად დანიშვნა სთხოვა.

თამარს ეოცა და არაფრად ეჭაშნიკა მუდმივად ლაშქარსა და ომებში მყოფი ახალციხელის მეჭურჭლეთუხუცესობა, მაგრამ რაკი შალვასათვის გავაზირება მაინც აღზევება იყო, მეფემ სახელოვანი სარდლისათვის წყალობა არ დაიშურა.

შალვას დანიშვნით მხარგრძელი, ერთი მხრივ, სამართლიანი კაცის სახელს იმტკიცებდა, მეორე მხრივ _ ლაშქარში გავლენიან მეტოქეს იშორებდა სამხედრო საქმის ხელმძღვანელობიდან.

მხარგრძელი იმასაც ანგარიშობდა, რომ განუწყვეტლად მოლაშქრე და მეომარი მხედარი მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს თავს ვერ გაართმევდა, სამეფოს მართვაში თავის უნიჭობას ყველას აშკარად დაანახვებდა და მისი სავაზიროდან მოცილებაც ძნელი აღარ იქნებოდა.

მხარგრძელის ეს უკანასკნელი ანგარიში არ გამართლდა: ახალციხელმა დიდი მონდომებითა და მუყაითობით მოჰკიდა ხელი მისთვის თითქოს უცხო და შეუფერებელ მეჭურჭლეთუხუცესობას.

სავაზიროში საქმის მცოდნე, ერთგული თანამშრომლები მოიყვანა და სახელმწიფო საჭურჭლეში სრული წესრიგი დაამყარა.

ახალციხელის გავლენამ მეფესა და სახელმწიფო საქმეებზე კიდევ უფრო იმატა და ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ლაშას გამეფების შემდეგ გახდა.

თამარმა სიკვდილის წინ დიდებულებს მემკვიდრის ერთგულება და სახელმწიფოს მართვაში ერთნებაობა დააფიცა, ხოლო ლაშას ანდერძად დაუბარა, სანამ საქართველოს ძლიერების ორი ბურჯი _ მხარგრძელი და ახალციხელი შენი ერთგული და თანამდგომელნი იქნებიან, ქვეყანას არ გაუჭირდება და სამეფოს მართვა არ გაგიძნელდება. ეცადე, ეს ორი მთავარი ერთმანეთს მოარიგო, მათი განხეთქილება შენს ძალას შეარყევს და სახელმწიფოს დაღუპავსო.

სამეფოს ამ ორი ბურჯის მორიგება რომ შეუძლებელი იყო, ლაშას გამეფებისთანავე ცხადი გახდა: მეფე იძულებული იყო, თავისი შეზღუდული უფლების გაფართოებისათვის ებრძოლა. მისი ღონე უმთავრესად მეფის სწორად განდიდებული ათაბაგის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ ბრძოლაში მთავარ ქომაგად და მხარის დამჭერად შალვა ახალციხელი ჰყავდა.

შალვას თავისი საკუთარი ანგარიშიც ჰქონდა ივანესთან.

ორნი ძმანი იყვნენ ახალციხელებიც. უფროს ახალციხელსაც ივანე ერქვა, ისიც ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი სარდალი იყო.

სიყრმითვე მხედრობაში ფეხშედგმულ შალვას გულწრფელად უყვარდა ორივე მხარგრძელი.

ივანე მსახურთუხუცესი ახალგაზრდა შალვასთვის სახელმწიფო გონებისა და მხედრული ვაჟკაცობის განსახიერება იყო, მისი ნახვა მხნეობასა და სულიერ სიმშვიდეს მატებდა საქვეყნო ასპარეზზე ახლად გამოსულ დიდებულს.

უყვარდა ივანესაც ჭაბუკი შალვა, მის გმირობასა და ბრძოლაში შემართებას, სიდინჯესა და საზრიანობას აფასებდა.

მაგრამ ფრთხილი იყო საკუთარ აღზევებაზე დღედაღამ მზრუნავი მსახურთუხუცესი და ამიტომ ფხიზლობდა, ცდილობდა ორივე ახალციხელი ტახტისაგან შორს ჰყოლოდა და მათი სახელისა და გავლენის ზრდა შეენელებინა.

სწორედ ამ მოსაზრებით დაანიშნინა ივანე ახალციხელი ახლად დაპყრობილი კარის ამირად. იცოდა, რომ თურქებთან გაუთავებელი ბრძოლებით გართულ მონაპირეს თბილისში ხშირად

ჩამოსასვლელად აღარ ეცლებოდა და სამეფო კარის ცხოვრებისაგან ფაქტიურად მოწყვეტილი იქნებოდა.

თვითონ შალვა თამარის სიცოცხლეში ერთთავად ლაშქრობასა და ომებში იყო, მეფეს თითქმის თვალით ვერ ხედავდა და მის მიერ მოგებული ომების გამო ჯილდოებს მეტწილად ისევ სხვა ღებულობდა.

შალვა ახალციხელი თვალს ხუჭავდა ამ დაუფასებლობაზე. არც მამულების სიმცირის გამო ამბობდა რასმე, თუმცა მჩურჩნავები და მხარგრძელების წინააღმდეგ წამქეზებელი ბევრი ჰყავდა, მოშურნეებს ყურს არ უგდებდა და ორთავ მხარგრძელს, და განსაკუთრებით კი ივანეს, მშობელ მამასავით სიყვარულითა და მოკრძალებით შეჰყურებდა.

ამ სიყვარულის მიზეზი ამაღლებული და სხვათათვის უჩინო იყო. ახალციხელს ივანეს ულამაზესი ქალი _ თამთა უყვარდა და ეს სიყვარული აბრმავებდა შალვას მსახურთუხუცესის ანგარ მოქმედებაზე.

დიდებისმოყვარულ მხარგრძელს თავისი ქალი თურმე დედოფლად უნდოდა და, როცა ახალგაზრდების სიყვარული იგრძნო და გამჟღავნდა, თავისი დიდი ხნის განზრახულის შესასრულებლად ამოქმედდა.

რაკი თამთას საქართველოს დედოფლობა არ ეწერა, ივანემ ჩუმად საქართველოს მოსაზღვრე მეფეებსა და სულტნებს შორის დაიწყო ღირსეული სასიძოს ძებნა.

თამთას შეუდარებელი სიტურფის ამბავი საქართველოს გარეთაც შორს იყო გასული და უკვე ბევრი გვირგვინოსნის უძილობის მიზეზად ქცეულიყო.

ივანე მათ ძალასა და სიმდიდრეს წონიდა, ერთიმეორეს ადარებდა და არჩევანის გასათავებლად შესაფერის გარემოებას თუ შემთხვევას უცდიდა.

და შემთხვევამაც არ დაიგვიანა.

ხლათში სალაშქროდ მყოფ მხარგრძელებს ალყაში ჰყავდათ მომწყვდეული ეგვიპტის სულტნის შვილი _ ხლათის მელიქი აუჰადი.

ხლათელები, უმთავრესად მოქალაქეები და ხელოსნები, მტერს არ ნებდებოდნენ და კარს მომდგარ ათასგვარ განსაცდელს მხნედ იტანდნენ.

თვითონ სასოწარკვეთილ მელიქს, თრიაქით გაბრუებულ აუჰადს, წინ თამთას სურათი ედო და გაკერპებული მეციხოვნეების შიში რომ არ ჰქონოდა, მხარგრძელის ლამაზი ასულის ტრფობით ჭკუადაკარგული, თამთას ნახვის სურვილით აქამდისაც ჩაბარდებოდა ტყვედ ქართველებს.

ბედმა სხვაგვარად ინდომა.

ერთ საღამოს შეზარხოშებული ივანე ცხენზე შეჯდა და სულ რაღაც ათიოდე ცხენოსნის თანხლებით ხლათის აუღებელი ციხე-სიმაგრის შემოსავლელად გაემართა.

გზად ხიდი უნდა გაევლოთ. ხლათელებს ხიდი რამდენიმე ადგილას ჩაეტეხათ, ზედ თივა წაეფარებინათ, რომ გამვლელს ვერაფერი შეემჩნია და ხიდქვეშ მებრძოლები ჩაესაფრებინათ.

შედგნენ თუ არა ქართველები ხიდზე, ივანეს ცხენს ფეხი ჩაუვარდა და მხედარი ძირს ისროლა.

ციხე-სიმაგრიდან გაფაციცებით მოთვალთვალე ხლათელებმა დაინახეს, როგორ მისცვივდნენ მხლებლები მხარგრძელს წამოსაყენებლად.

ძლიერი რაზმი ციხიდან გამოვარდა, ხიდქვეშ დამალულ მებრძოლებს მიეშველნენ, ქართველებს ერთად ეცნენ, ივანე ტყვედ შეიპყრეს და ციხე-სიმაგრეში შეიყვანეს.

იმედგადაწყვეტილმა მელიქმა ფრიად გაიხარა საქმის ასეთი მოტრიალებით. ეჭვი არ იყო, ივანე მხარგრძელს ქართველები არ დათმობდნენ და ტყვეობიდან მისი გამოხსნისათვის არაფერს დაზოგავდნენ.

მელიქ აუჰადს არა მარტო ბრძოლის უომრად მოგების სურვილი აღეძრა, არამედ თავისი ოცნების შესრულების _ თამთას შერთვის იმედიც ჩაესახა და მართლაც ყოველივე ასე მოხდა.

ძმის დატყვევებით გახელებულ ზაქარიას პირველად ხლათის მიწასთან გასწორება უნდოდა. დანაქადის ასრულება არაფრად უღირდა, მაგრამ ივანეს სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებისა შეეშინდა.

მელიქმა ორთავ მხარგრძელთან მოლაპარაკება გამართა და ტყვის გამოხსნა ძვირად დაუსვა ქართველებს: ხუთი ათასამდე ხლათელი ტყვე გაათავისუფლებინა, ათი ათასი დინარი ფულად გამოართვა და სიტურფით განთქმული ივანეს ქალი ცოლად მოიყვანა.

გუშინდელი მტრები მოყვრებად იქცნენ.

აუჰადი უსაზღვროდ ბედნიერი იყო საქმის ასე მოულოდნელი შემობრუნებით და გულის წადილის ასე იოლად შესრულებით, დიდებისმოყვარე ივანე კი ეგვიპტის ძლიერ სულტანთან დამოყვრებით და თავისი ქალის ხლათში გადედოფლებით.

საქართველოშიც ყველა კმაყოფილი და მოხარული იყო თამთას გადედოფლებითა და ხლათის მელიქის სახით ახალი მოკავშირის შოვნით.

მხოლოდ თავად ხლათის დედოფალი იყო უბედური გულისსწორთან სამუდამოდ გაყრით და სამშობლოდან გადაკარგვით.

მას არც ეგვიპტის უძლიერესი სულტნის სძლობა ხიბლავდა, არც განცხრომისმოყვარული აუჰადის ცოლობა, არც სიმდიდრით განთქმული ხლათის დედოფლობა.

ვანის ტბის პირად გაშენებულ სამოთხის მსგავს ბაღებში გაუთავებელ ნადიმებს იგი სიამოვნებით გაცვლიდა ჯავახეთის ერთი ჩვეულებრივი სოფლის, პატარა თორის წყნარ ცხოვრებაზე, ნაკლებ სახელსა და სიმდიდრეზე, მაგრამ დიდ სიხარულსა და სიყვარულის ბედნიერებაზე.

იქ დედოფლის ტახტი არ ექნებოდა თამთას, თავს მთავართ ასულები არ ედგებოდნენ შიმუნვარებად, მგოსანნი და მუტრიბნი არ უგალობდნენ დამატკბობელ ჰანგებს და მისი მზეთუნახავი პირის სანახავად სიზმრად მასზე შეყვარებული უფლისწულები არ დაიწყებდნენ დენას.

იგი თორისა და ახალციხის მყუდრო სამყოფელებს დაჯერდებოდა, რომელთაც იქ, ჯავახეთში, გლეხები რატომღაც „სასახლეს“ და „პალატებს“ ეძახდნენ, ვაჟკაცობაში შეუდარებელ შალვას მკერდზე თავმიდებული, თუგინდ სოხანეზედაც ტკბილად და უშფოთველად დაიძინებდა. თავისი ქართველი მიჯნურებითა და უამრავი თაყვანისმცემელი ჭაბუკებით გარშემორტყმულს, დედოფლის ფერხთით მჯდომარეს, თავი უმაღლეს ტახტზე დაბრძანებული ეგონებოდა.

მის შეუდარებელ პირმზეობას, არცთუ ისე დიდ პატივმოყვარეობას, მაგრამ უზომოდ შეყვარებულ გულს, საქართველოს უტურფესი ქალის, უებრო რაინდის ცოლისა და უძლეველი ვაჟკაცის ოცნების სახელიც ეყოფოდა უნაპირო ბედნიერებისათვის.

თამთა გრძნობდა, რომ მამას მისთვის რჩეული ბედი უნდოდა და ხლათის დედოფლობა თავისი ქალისათვის უმაღლეს ბედნიერებად მიაჩნდა. მაგრამ ისიც იცოდა თამთამ, რომ მისი გადედოფლებით ივანემ საკუთარი სიცოცხლე და თავისუფლება იყიდა და სწორედ ეს ტკენდა უფრო მეტად გულს მამისმოყვარულ ქალს.

იგი თავს გაყიდულად, მამის სიცოცხლისა და დიდების სამსხვერპლოზე მიტანილად თვლიდა და ამის შეგნება კიდევ უფრო უმატებდა სატრფოსაგან განშორების ცეცხლს.

ხლათის ციხესთან მდგარი შალვა ახალციხელი ღამეებს ტეხდა იმის ფიქრში, თუ საიდან მიდგომოდა სიმაგრეს თავისი ერთი მუჭა მესხებით, რათა მოულოდნელი იერიშით, ამირსპასალარის უცნობლად, დაეცა ციხე-სიმაგრე და მელიქ აუჰადის ძვირფასი ტყვე გამოეხსნა.

როცა ივანეს გათავისუფლებაზე ფიქრით შალვას თვალს ძილი არ ეკარებოდა, ივანე ხლათის მელიქს თავის დახსნის პირობებზე ევაჭრებოდა და საყვარელი ასულის ცოლად მიცემის თანხმობას აძლევდა.

ახალციხელი სიხარულით შეეგება ტყვეობიდან უვნებლად გამოსულ ივანეს. ხლათის მელიქისათვის უამრავი ფულის გადახდას და ტყვეების დაბრუნებას არაფრად აგდებდა, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა, ციხისთვის თავი შეეკლა და თამთასთან ივანეს გამოუხსნელად არ დაბრუნებულიყო.

დაზავების მთავარი პირობა _ აუჰადისათვის თამთას მითხოვების თაობაზე _ ქართველთაგან ლაშქარში მარტო ივანემ და ზაქარიამ იცოდნენ.

საქართველოში დაბრუნებულმა შალვამ გვიან შეიტყო თამთას გათხოვების ამბავი, იმდენად გვიან, რომ თავის გადადებასა და თამთას გამოხსნაზე ფიქრი ზედმეტი იყო. აურაცხელი მზითვით დატვირთული ქარავანი უკვე ხლათის უდაბურ ველებზე მიიზლაზნებოდა და ძვირფას კუბოში მიყუჟული მწუხარე თამთა თვალცრემლიანი მიირწეოდა.

ჯავრისაგან გახელებული შალვა სამყოფსა და საქმეს გაეცალა, როგორც მიჯნურთა წესი იყო, ველად გაიჭრა და თავი ქვაბებსა და ტყეს შეაფარა. მერე უფლისწული ლაშა, ვარამ გაგელი და ბექა ჯაყელი შეუჩნდნენ, ტყიდან და ქვაბებიდან გამოიყვანეს, ნადირობასა და ლხინში აიყოლიეს და თანდათან ცხოვრებაზე გული მოუბრუნეს.

დიდი ხნისა და დიდი ცდის შემდეგ ვარამ გაგელმა თავის დიდ ბიძას შეარიგა შალვა. შერიგება ერქვა, თორემ შალვას მხარგრძელზე გულს რა მოულბობდა! მის დამღუპველ ივანეს _ ანგარსა და პატივმოყვარეს, შვილის გამყიდველსა და დამკარგავს ეძახდა ცხადად თუ ფარულად.

რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ახალციხელი მხარგრძელის მოქმედებას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ მისი უბედურების მიზეზი მისივე მდგომარეობა იყო, შალვა რომ მამულებითა და სიმდიდრით მხარგრძელების ტოლი ყოფილიყო, მაშინ, ალბათ, ახალციხელიც სასურველი სასიძო იქნებოდა ივანესათვის და, ვინ იცის, იქნებ თავისი ქალი თვითონვე შემოეძლია.

სამშობლოსა და ტახტის ერთგულ ახალციხელს სამსახური არც ქვეყნისთვის დაუკლია და არც მეფისთვის. ქვეყნის გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლაში სხვაზე მეტი სისხლიც გაუღია და თავდადებაც გამოუჩენია, მაგრამ „მეფეების წყალობა ხარბი მხარგრძელების მადას ვერ აუდიოდა და სხვისთვის აღარაფერი რჩებოდა“.

ახალციხელს აღარც ახსოვდა, ეს აზრი პირველად თვითონ მოუვიდა, თუ სხვა ვინმემ ჩააგონა, მაგრამ ერთხელ რაჭის ერისთავთან და დადიანთან წამოცდა, მათაც სათქმელს პირი მოხსნეს, დიდხანს დამარხული გულის ნადები გადმოალაგეს და ახალციხელს „თვალი აუხილეს“.

_ ვინ არიან ეს მხარგრძელები? _ ბრდღვინავდნენ რაჭის ერისთავი და დადიანი. _ კაცმა არ იცის, ქურთის, სპარსის თუ ვისი ჩამომავლები არიან! ჯერ სომეხ ბაგრატიონებს მიეკედლნენ, სომხურად მოინათლნენ და ურიცხვი სიმდიდრე იშოვეს. მერე საქართველოს გაძლიერება რომ დაინახეს, ჩვენკენ გადმობარგდნენ.

ახალციხელს სხვა დროს სიცილადაც არ ეყოფოდა მხარგრძელების არაქართველობაზე ლაპარაკი, იგი კარგად ხედავდა, თუ როგორი თავდადებით აკეთებდნენ დიდ ქართულ საქმეს, როგორი ერთგულებით ემსახურებოდნენ ქართველ მეფეებს მხარგრძელები. ისიც კარგად იცოდა, რომ დადიანს შური ალაპარაკებდა, რადგან ერთ დროს მისი წინაპრების კუთვნილი მამულები და ციხეები, გიორგი რუსის აჯანყებაში მონაწილეობის გამო, მეფემ ვარდან დადიანს ჩამოართვა და მხარგრძელებს მისცა.

იცოდა ყოველივე ეს, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო მისი აღშფოთება მხარგრძელის მიმართ, რომ მის ყოველ სიკეთეზე თვალი დახუჭა და ამ ღვაწლმოსილი კარისკაცის მოქმედებაში მხოლოდ ანგარება და ორგულობა დაინახა.

როცა ამ შეხედულებაზე მტკიცედ დადგა, ახალციხელმა აშკარად იწყო ბრძოლა ათაბაგის განუსაზღვრელი უფლების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში ახალციხელი ჭაბუკ მეფეს ეყრდნობოდა, რომელსაც მცირე ერისთავები და აზნაურები, ვაჭარ-ხელოსნები და მდაბიო მოლაშქრენიც უმაგრებდნენ მხარს. მეფის ამ მომხრეთაგან ყველას თავისი ანგარიში ჰქონდა: მცირე ერისთავები და აზნაურები საკუთარი აღზევებისა და გაძლიერების ერთადერთ პირობად დიდგვარიან მთავართა დასუსტებასა და ჩამომცრობას სახავდნენ, მდაბიო მოლაშქრეებს სწორედ ეს დიდგვაროვანი მთავრები ადგათ ყელზე, რადგან ისინი უღობავდნენ გზას დაწინაურებისა და ხელისუფლებისაკენ. ათაბაგის ყოვლისშემძლეობა განსაკუთრებით ვაჭრებს ჰქონდათ მიზანში ამოღებული, რადგან მხარგრძელი პირველ ხელისუფლობასა და მემამულეობას არ სჯერდებოდა, ვაჭრობასაც არ უკადრისობდა და საქართველოს მთელი აღებ-მიცემის ხელში ჩაგდებას ცდილობდა.

ბუნებრივია, რომ ძალთა ასეთი დაპირისპირებისას თამარის ანდერძი, სახელმწიფოს ძლიერების ორი ბურჯის _ ივანე მხარგრძელისა და შალვა ახალციხელის თანამშრომლობის აუცილებლობაზე, ძალას კარგავდა.

საქართველოს სამეფო თავისი დიდების მწვერვალზე იყო. მუსულმანური სახელმწიფოების დასუსტებამ და დაქსაქსულობამ, კონსტანტინოპოლის დაცემამ და საბერძნეთის დანაწილებამ საქართველოს ფართო გზა გაუხსნა შემდგომი ამაღლებისა და გაძლიერებისაკენ. საქართველოს მხედრობა აღარც ქრისტიანი სამეფოებისა და აღარც მაჰმადიანთა სასულტნოების მხრივ მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აღარ ხვდებოდა. ქართველები შორსა და ღრმად ლაშქრობდნენ როგორც შავი ზღვის სანაპიროზე, ისე ირანის და ხორასნისაკენ, აუღებელ ციხეებს იღებდნენ, დაპყრობილ ქვეყნებს ხარკს ადებდნენ და უკან აურაცხელი ალაფით ბრუნდებოდნენ. ამასაც არ ჯერდებოდნენ, მეზობელი სახელმწიფოების შინაგან საქმეებში ერეოდნენ და ტახტისათვის ამტყდარ შფოთსა და შინაარევას თავიანთი გავლენის გასავრცელებლად იყენებდნენ.

საბერძნეთის დაცემის შემდეგ, ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეში გამოაცხადა საქართველომ თავი ახალ რომად, ქართველთა მეფემ კისრად იდო ქრისტიანთა დაცვა და ქვეყნად უფლის ჩრდილისა და მესიის მახვილის სახელი დაისაკუთრა.

ჭაბუკი მემკვიდრის, ძლიერი და შემმართებელი ლაშა-გიორგის ტახტზე ასვლა საქართველოს სამეფოს შემდგომ აყვავებასა და გაძლიერებას უქადდა: „ახალი რომის“ მქადაგებლებმა ლაშა-გიორგი მეორე ალექსანდრედ გამოაცხადეს.

„ახალ ალექსანდრე მაკედონელად“ მოწოდებულ ლაშა-გიორგის საქრისტიანო უნდა გაეთავისუფლებინა ურჯულოთა მძლავრობისაგან. სახელმწიფოებთან მიწერ-მოწერასა და საქართველოში მოჭრილ ფულის წარწერებზეც ეს აზრი ტარდებოდა და ქართველთა მეფის უძლეველობისა და მაღალი მოწოდების ამბავი მსოფლიოს ეფინებოდა.

ქართველებმა თავიანთ ექსპანსიას სამხრეთისაკენ ახალი, ეროვნული სარჩულიც დაუდეს. ლაშა-გიორგიმ ტახტზე ასვლისას საქვეყნოდ გამოაცხადა დიდი თამარის ანდერძი. თამარს თავისი მემკვიდრეებისათვის მისი ნეშტის იერუსალიმს წასვენება დაებარებინა და ჭაბუკმა მეფემ თავისი მეფობის მთავარ საზრუნავად დედის ამ ანდერძის აღსრულება აღიარა.

ჯვაროსანთა მეოთხე ლაშქრობის ჩაშლის შემდეგ, დასავლეთის ქრისტიანები და მათი სულიერი მეთაური რომის პაპი ახალ ძალებს ეძებდნენ ჯვაროსანთა ახალი ლაშქრობის მოსაწყობად. დასავლეთში ასეთი ძალები არც იმდენად საიმედოდ ჩანდნენ და ამ პირობებში აღმოსავლეთში ქრისტეს აღმსარებელი ჭაბუკი მეფის, ძლიერებით „ახალი ალექსანდრე მაკედონელის“ მსგავსი ქართველთა ხელმწიფის გამოჩენა დასავლეთის ჯვაროსნებს ახალ იმედს უღვიძებდა და თავიანთი მიზნების განხორციელების რწმენას უნერგავდა.

საქართველოს დიდებისა და ძლიერებისათვის მზრუნველი ივანე მხარგრძელი თავადაც ახალი ქვეყნების დაპყრობისა და საქართველოს სამეფოს გავლენის გაფართოების მოსურნე იყო, მაგრამ ივანეს საკუთარი ანგარიშიც ჰქონდა. მას ბაღდადისა და იერუსალიმისაკენ უბრალო მხედართმთავრად, ჭაბუკი მეფის ნება-სურვილის აღმსრულებელ ხელქვეითად ლაშქრობა როდი სურდა. მეფის სწორად განდიდებული ძლიერი კარისკაცისათვის ასეთი ლაშქრობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ხელსაყრელი, თუ იგი მისი გეგმითა და მეთაურობით განხორციელდებოდა. ასე ხდებოდა ლაშას გამეფებამდე: ძმები მხარგრძელები ირანსა და ბიზანტიაში საქართველოს მეფის სახელით ლაშქრობდნენ, თორემ ლაშქრის მომზადებაც, შორეული ქვეყნებისაკენ გაძღოლაც და საომარი მოქმედების ხელმძღვანელობაც მხარგრძელთა ხელთ იყო. ჭაბუკი ლაშა ივანე მხარგრძელის დამსახურებას ანგარიშს დიდად არ უწევდა და არც მის უფლებას ცნობდა ლაშქრის ხელმძღვანელობაზე. ასეთ პირობებში ივანე მხარგრძელს ახალი დიდი ომის დაწყება და შორეული ლაშქრობა არაფრად ეპიტნავებოდა. იგი სხვადასხვა მიზეზით ფეხს ითრევდა და ახალ დიდ ომს იმ დროისათვის ვარაუდობდა, როცა ურჩი და თავნება მეფე ბოლოს და ბოლოს გატყდებოდა, მის უფლებებს ცნობდა და თავისი აღმზრდელისა და ათაბაგის გეგმითა და ხელმძღვანელობით მოქმედებას შეეჩვეოდა.

ფიცხი და ნებიერი მეფის წამოჩოქებას კი დრო უნდოდა, ძნელად გადასალახავ დაბრკოლებათა წინაშე საკუთარი უღონობის შეგნება და გულის გატეხვა ჭაბუკი მეფისათვის

დროს უნდა ჩაენერგა, იმ დაბრკოლებათა უჩინარი შემქმნელი თავად მხარგრძელი უნდა ყოფილიყო და მეფის სიურჩე შეუმჩნევლად, მაგრამ თანმიმდევრულად მასვე უნდა გაეტეხა.

უთანხმოებამ დარბაზის პირველსავე სხდომაზე იჩინა თავი.

ლაშამ ამ სხდომაზე დედის ანდერძის აღსრულება მოითხოვა.

ათაბაგმა მოიწონა მეფის ზრუნვა დედის ანდერძის განხორციელებისათვის. თავის მხრითაც განაცხადა, თამარის ნეშტი უთუოდ უნდა წავასვენოთ იერუსალიმსო, მაგრამ ესეც დასძინა, ამჟამად ხელსაყრელი პირობები არ არის ესოდენ დიდი შორეული ლაშქრობისათვისო.

_ მაინც რა გვიშლის ხელს? _ იკითხა მეფემ.

_ მხედრობა მზად არ არის ეგოდენ შორეული და ძნელი ლაშქრობისათვის, _ მოახსენა ათაბაგმა.

_ ლაშქრისათვის მე ვიზრუნებ, _ მოკლედ მოსჭრა მეფემ.

_ ლაშქრისათვის ზრუნვა და ლაშქრობის ვაზირობა ამირსპასალარის ხელთ არის. საქართველოს ამირსპასალარად და ათაბაგად მე დამადგინა დიდმა თამარმა დარბაზის ნებითა და თანადგომით, _ მტკიცედ განაცხადა მხარგრძელმა.

_ მე მეფე ვარ, ხელმწიფე, ყოველთა ვაზირთა უფალი და ყოველთა სამეფოთა საქმეთა განმგებელი.

_ დაღათუ მეფე ხარ, არაუმეტეს ხარ დიდისა თამარისა, რომელ სათნოებით შეიწყნარებდა განზრახვათა ჩვენთა. შენ ჯერ კიდევ ჭაბუკ ხარ, მეფევ. ამიტომ უმჯობეს არს, რამეთუ დასხდომილნი დარბაზსა, გამგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი გკადრებდეთ და გაცნობებდეთ მეფესა და მაშინ-ღა სრულ იქმნას განგებული ჩვენი.

_ არა წეს არს მეფეთა ბაგრატოვანთა მონად ყოფა ყმათა თვისთა, არცა განყენება საქმეთაგან სახელმწიფოსათა. თანამდებ ვარ ზრუნვად აღსრულებისა დედისა ჩემის ანდერძისა, მეფეთ-მეფისა და დედოფლისა ყოვლისა საქართველოისა, _ გაცხარდა მეფე.

ათაბაგი დარბაზის ამ პირველსავე სხდომაზე დარწმუნდა, რომ მისი მოლოდინი გამართლდა, ლაშა იოლად არ დათმობდა თავის უფლებებს და აღმოსავლეთის იმ მეფეების მდგომარეობით არ დაკმაყოფილდებოდა, ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს რომ საბოძვრის გაცემასა და შვება-განსვენებაში იყვნენ, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ნადირობასა და შექცევაში რომ ატარებდნენ და მარტოოდენ „კვირასა დღესა დასჯდის, სამეფოსა საქმესა განაგებდის და სამართალსა უზამდის ციხეთა, ქალაქთა და სოფელთა“.

ჭაბუკ მეფეს ნადირობასა და დროსტარებაზე სული მისდიოდა, მაგრამ სიყრმიდანვე პატივისა და უფლებისმოყვარე იყო და, დედ-მამისაგან უკიდურესად განებივრებული, თუ რამეს ამოიჩემებდა, თავს გადადებდა წადილის შესრულებისათვის.

ახლა ათაბაგისთვის აშკარა იყო, რომ მეფემ მისი ხელისუფლება ამოიჩემა და ლაშქრისა და სხვა სამეფო საქმის განსაგებლის ხელში აღება განიზრახა.

უაღრესად განდიდებულ ფეოდალსა და დიდვაჭარს თავისი უფლების დასაცავად და შესანარჩუნებლად ძალაც შესწევდა და ჭკუაც მოსდევდა. მაინც ათაბაგმა პირველ შეტაკებაზე საბოლოო განხეთქილება არ ინდომა და ზომიერება აირჩია.

მიზეზი მეფესთან წაკიდებისა _ თამარის ანდერძის ასრულების წინააღმდეგობა, ათაბაგს ხალხისა და ლაშქრის თვალში ჩრდილს მიაყენებდა, მაშინ, როცა ჭაბუკ მეფეს კეთილშობილისა და დედის ანდერძის ერთგულის სახელს მოუხვეჭდა. ამიტომ ათაბაგმა ისევ გონიერება მოიშველია. მეფეს და დარბაზს დამაჯერებლად განუმარტა იმჟამად იერუსალიმს დიდი ლაშქრობის განხორციელების შეუძლებლობა.

ჯვაროსანთა ლაშქრობა თითქმის ჩაშლილი იყო და სამაჰმადიანოს ქართველთა წინააღმდეგ თავისუფალი მოქმედებისათვის ხელი გახსნილი ჰქონდა. ქართველთა ლაშქარს პირისპირ ძლიერი, ჯვაროსნებთან ომებში გამოწრთობილი მუსლიმანები დახვდებოდნენ, ხოლო ზურგსა და ფლანგებზე, ერთი მხრივ, საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ბიზანტიის აზიის მფლობელის ლასკარისა და რუმის სულტნის, ხოლო, მეორე მხრივ, ადარბადაგანისა და სპარსეთის თავდასხმის საფრთხე ექნებოდა.

დარბაზის სწორედ ამ კრებაზე ჩამოაყალიბა მხარგრძელმა თავისი შეხედულება საქართველოს სამეფოს მომავალზე.

მისი აზრით, ქართველებმა საკმაოზე მეტი იომეს და ახლა საჭირო იყო სისხლით მოპოვებულის შემომტკიცება და ათვისება, დაპყრობილ ქვეყნებში ქრისტიანობის გავრცელება და მათი მოსახლეობის თანდათან გაქართველება. ქართველებმა ახალი ქვეყნები კი არ უნდა არბიონ, დაპყრობილ ქვეყნებსა და ქალაქებში ციხე-სიმაგრეები უნდა აშენონ და შიგ ძლიერი რაზმები ჩააყენონ, ქვეყნის სანაპიროები უნდა გაამაგრონ, რომ მტერი აქეთ არ დაგვესხას თავსო.

_ ხალხი და ლაშქარი დაიღალა. ურიცხვი ომის ნაყოფის აღება და შესვენება სურს. არცა მშვილდი თავს იდებს მარადის გარდაცმულობას, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხიპულობასა, რამეთუ ჟამსა ხმარებისა მათისასა თვითეული მათი უხმარ იქნების! _ განაცხადა მხარგრძელმა.

მხარგრძელის წინააღმდეგ ახალციხელმა ილაპარაკა. მან საქართველოს მომავალზე სრულიად განსხვავებული შეხედულება წარმოადგინა: იგი დიდი დავით აღმაშენებლისა და მისი ღირსეული მემკვიდრეების გზის გაგრძელებას მოითხოვდა, რადგან ამ გზამ მოიყვანა საქართველო აწინდელ ძლიერებასა და კეთილდღეობამდე. ახალი ომებითა და ახალი ქვეყნების დაპყრობით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სამშობლო, ქართველი ხალხი ბრძოლასა და წყობას შეეჩვია და მთელი ჩვენი ძლიერება ამაზე უნდა დავამყაროთ, ხოლო თუ მეომრებს განსვენებასა და უქმად ყოფნას შევაჩვევთ, ვაჟკაცები უზრუნველობას მიეცემიან, გემოთმიმყოლნი გახდებიან და გათამამებული მტერი რომ შემოგვიტევს, მოგერიების უნარი აღარ ექნებათო.

დარბაზი ისე გაიყარა, რომ არც იერუსალიმს ლაშქრობის თაობაზე მიუღია გადაწყვეტილება და არც მომავალი მოქმედების გეგმაზე მოხდა შეთანხმება, ერთი მხრივ, მეფესა და ახალციხელს და, მეორე მხრივ, ათაბაგსა და სხვა ვაზირებს შორის.

ერთი რამ ცხადი გახდა მეფისათვის: ათაბაგის ძალა იყო არა მარტო მის სიმდიდრესა და მომხრეების სიმრავლეში, არამედ უმთავრესად იმაში, რომ საქართველოს შეიარაღებული მხედრობა მას ემორჩილებოდა და მის ბრძანებას ასრულებდა. ლაშას უკვირდა და ვერ შერიგებოდა იმ უცნაურ გარემოებას, როცა პირადად მეფის მცველი სპაც, რომელიც მხოლოდ ორასი რჩეული ვაჟკაცისაგან შედგებოდა, უშუალოდ მეფეს კი არა, ამირსპასალარსა და ათაბაგს ივანეს ემორჩილებოდა.

მეფესა და მის მომხრეებს ან ლაშქრის უფროსობა უნდა ჩაეგდოთ ხელთ, ან ამ ლაშქრისათვის სხვა უფრო ძლიერი ძალა უნდა დაეპირისპირებინათ.

ჭაბუკმა მეფემ და ახალციხელმა ერთდროულად ერთის მიღწევაც მოინდომეს და მეორისაც.

დიდგვარიან ფეოდალებთან ბრძოლაში ლაშას მუდამ დავით აღმაშენებლის მაგალითი ედგა თვალწინ. თავისი დიდი მიზნის _ ურჩი მთავრების ალაგმვისა და ძლევამოსილი საგარეო ომების წარმოების განსახორციელებლად, აღმაშენებლის მსგავსად, ყივჩაღთა ლაშქრის გამოყვანას ფიქრობდა მეფე. ეს განზრახვა ახალციხელმაც მოიწონა და მეფემ ყივჩაღების ხანთან _ კოტიანთან ქართველი და რუსი დიდვაჭრების საშუალებით საიდუმლო მოლაპარაკება გამართა.

მხარგრძელისაგან ფარულად რომ ყივჩაღთა გამოსხმის საქმეს აგვარებდა, მეფე ნელ-ნელა მუდმივ ჯარშიაც თავისი ერთგული მეთაურების გამრავლებას ცდილობდა.

უპირველეს ყოვლისა, მეფემ თავისი პირადი დაცვის გადახალისება გადაწყვიტა, რათა მხარგრძელს მისი ყოველი ნაბიჯი არ სცოდნოდა. ორასი კაცისაგან შემდგარი რჩეული რაზმი ნელ-ნელა გაზარდა. ძველი, მხარგრძელის დაყენებული მცველები ახლით შეცვალა და ამ მცირე სპის სათავეში ყოფილი მონა, სიყრმიდან მის მცველად ნამსახური ეგარსლანი დანიშნა.

ტანბრგე, თავზეხელაღებული გოლიათი, ძაღლივით მეფის ერთგული ეგარსლანი ზვიადი და ქედმაღალიც იყო. ლაშას გულისათვის ცეცხლში გადავარდებოდა, მაგრამ მეფის დიდებულთაგან არავის თავისზე ღირსეულად არ ცნობდა და, თუმცა აშკარად არ ამჟღავნებდა, ფარულად მეფის ორგულ დიდებულთა დამხობასა და საკუთარ აღზევებაზე ოცნებობდა.

ეგარსლანი გარეგნულად ისევ მხარგრძელს ემორჩილებოდა, მაგრამ მეფის უნებურს არაფერს აკეთებდა, ამირსპასალარს ჭკუას არ ეკითხებოდა და თავისი შეხედულებით მოქმედებდა. მეფის მცველი სპა ნელ-ნელა ათაბაგის ზრუნვისა და ზედამხედველობისაგან თავისუფლდებოდა.

@თავი მეხუთე. დიდვაჭრის ცოლი

სჯობს გამინათოს სული ღვინომ და შენმა შუქმა,
ვიდრე ამაო ღვთის ვედრებით დრო მოვკლა უქმად.

ომარ ხაიამი

აგერ რამდენი დღე გავიდა სამეფო კარზე ლუხუმის მოსვლიდან, ამ ხნის განმავლობაში იგი აჩრდილივით ყველგან თან დასდევდა თავის სათაყვანებელ მეფეს.

ლაშას ღამე სასახლეში არ ეძინა. მეტწილად ქალაქგარეთ, ბაღებში იყო. სადაც წავიდოდა, ლუხუმს თან წაიყვანდა, კართან მცველად დააყენებდა და შინ იშვიათად შეიყოლებდა. შუაღამემდე და ხშირად დილამდის რჩებოდა ლაშა იმ კარს იქით, რომელსაც ლუხუმი იცავდა.

მიგრიაულს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა კარს მიღმა. დროდადრო სიმღერა და ქალების კისკისი მოაღწევდა ხოლმე მის საგუშაგომდე.

ლუხუმი მეტწილად მეფის სამყოფლის კართან იდგა, წინ და უკან გადი-გამოდიოდა და ფიქრობდა... ანკი სხვა რა უნდა ექნა ცოცხალ კაცს, საქმე არაფერი აწუხებდა და საათობით ისე როგორ გაძლებდა, რომ ფიქრით რამდენჯერმე თავისი ლამაზი კახეთი არ შემოევლო, დედ-მამის სამშობლო კუთხე _ ფშავი არ მოენახულებინა და, ბოლოს, თუშეთის გზაწვრილებს არ ასდევნებოდა და თავის სათაყვანებელ ლილეზე არ ეოცნება.

მეფესთან ამბები მოჰქონდათ: მთელ საქართველოში დიდ ტაძრებსა თუ პატარა საყდრებში მღვდელმთავრებმა და უბრალო ხუცესებმა კვლავ წარმართობის წინააღმდეგ იწყეს ქადაგებაო. ზოგი იმასაც ამბობდა, მეფის სახელის აშკარა ხსენებას ვერ ბედავენ, თორემ ჩუმ-ჩუმად მეკერპეობის აღდგენას მას სწამებენო.

ხალხში მითქმა-მოთქმა იყო, თითქოს მეფეს ლაშარის ხატში თავისი კერპი აღემართოს და ახლა არმაზსა და ზედაზენზედაც წმინდა ნინოს მიერ დამხობილი კერპების აღდგენას შედგომოდეს.

დილით ადრე ადგა ლაშა, სადღესასწაულოდ გამოეწყო და წირვაზე წასასვლელად გაემზადა. დღეს კათალიკოსს უნდა ეწირა და, როგორც გაგებული ჰქონდა, ქადაგებასაც აპირებდა.

სასახლეში მოსვლის პირველ დღეს რომ ნახა მიგრიაულმა, მერე აღარ გამოჩენილა შიო კაციტაისძის ცოლი.

იმ დღეს, გათენებიდან უგუნებობა დაჰყვა ლუხუმს, ტანი ცუდს უაზრებდა და გაურკვეველის უსიამო მოლოდინში იყო.

ჯაჭვის ახალი პერანგი ეცვა მიგრიაულს, ხელთ უზარმაზარი ფარ-შუბი ეპყრა და თავზე ლაპლაპა მუზარადი ეხურა.

ვაჭართუხუცესის ცოლის დანახვისთანავე სახე აელეწა, დაიბნა, მუხლებში უღონობა იგრძნო და თავი არ აუღია. ქალმა წინ გაუარა, წამით მზერა გააპარა და თვალი შეასწრო: კაციტაისძის ცოლს არტაშანგაკრული მარჯვენა ხელი გულზე ეკიდა.

ლუხუმი შეკრთა, ერთხანს გონდაკარგულივით იდგა. მუხლები ციებიანივით უცახცახებდა და, რომ არ წაქცეულიყო, ორივე ხელით შუბს დაეყრდნო.

თანდათან გონი დაუბრუნდა. თითქმის სიზმარივით დავიწყებული, აბანოში მომხდარი შემთხვევა ხელახლა თვალწინ წარმოუდგა და გონებაში ერთხელ ჩაჭედილი კითხვა დაჟინებით მოეძალა:

_ ნუთუ ის იყო? ნუთუ?..

* * *

ხალხით გაჭედილ სიონის ტაძარში მაღალიც ბევრი იყო და დაბალიც, მაგრამ მეფის მცველი ყველაზე ახოვნებს შორისაც მთელი თავით მაღალი ჩანდა. იგი ჭროღა, გამჭრიახი თვალებით ათვალიერებდა იქ მყოფთ.

ყველაზე წინ, ზედ ამბიონთან ცალკერძ მეფე, ვარამ გაგელი და თორელები იდგნენ, ცალკერძ _ მხარგრძელი და მეფის დაი რუსუდანი.

ლუხუმი ხარბად აკვირდებოდა ჭაღარაშერეულ, ჭარმაგ ათაბაგს, მხარბეჭგანიერი და ტანსრული იყო მხარგრძელი. თეთრგარეული შავი თმა-წვერი სანდომიან იერს აძლევდა ნახმლევებით გამკაცრებულ მის სახეს.

მამობილის ფართო მკერდზე მიეყრდნო თავი რუსუდანს, ივანეს ცალი ხელი მხარზე მოეხვია შვილზე მეტად საყვარელი აღზრდილისათვის და მშვიდი, გონიერი თვალებით სასოებაში წასული შეჰყურებდა მფრინავი ანგელოსებით მოხატულ მაღალ ჭერს.

შალვა ახალციხელი მეფის ახლო იდგა. ჩაფიქრებულმა წამით თავი ასწია, მეფის ახალი მცველი რომ შენიშნა, შორიდან გაუღიმა და მიესალმა.

ლუხუმს კმაყოფილებისაგან სახე გაებადრა, მეფის ახლობელთაგან თავიდანვე სხვაზე მეტად მოსწონდა ახალციხელი. შალვა გულწრფელი იყო და პირდაპირი. მტრის მტრობაც აშკარა იცოდა და მოყვრის სიყვარულიც. მეფე ალალი გულით უყვარდა და მისი ერთგული ადამიანების დაფასება თავის მოვალეობად მიაჩნდა. შეუდრეკელი და ახოვანი იყო შალვა. ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბები საავდრო ღრუბელივით გადმოხუროდა მის ორბულ ცხვირსა და დიდ შავ თვალებს. მარცხენა ლოყაზე შუბის ნალეწისა თუ ნახმლევის ნაკვალევი ღრმა ფოსო აჩნდა. ეს მცირე ღილისოდენა ნაჭრევი უხდებოდა კიდეც, სიმკაცრესა და სიდარბაისლეს მატებდა მუდამ გასაღიმებლად გამზადებულ მის სახეს. მღელვარების, სიხარულის ან აღტაცების წუთებში ეს პატარა ფოსო შეუტოკდებოდა, ვერცხლისწყალივით აუთამაშდებოდა და სახის ნახევარს მოსტაცებდა ხოლმე.

ახლაც, მეფის მცველიდან მზერა მხარგრძელზე გადაიტანა თუ არა, მაშინვე სახის მარცხენა ნახევარმა უწყო თამაში.

ასე იდგა ხოლმე ამბიონის წინ მხარგრძელი ძველადაც, მშვიდი და უდრტვინველი, მხოლოდ მაშინ ცალ მხარეს რომ რუსუდანი ედგა, მეორეს თამთა უმშვენებდა.

უწყალოდ მოიგლიჯა მკერდიდან ღვიძლი შვილი დიდებისმოყვარე მხარგრძელმა და შორს, სადღაც, ვანის ტბის ნაპირებზე გადაჰკარგა, საქართველოს უტურფესი ასული ურჯულო სპარსელებს ჩაუგდო ხელთ და ცოცხალიცა და მკვდარიც წასაწყმედად გაწირა.

შორიდან დროდადრო ამბები მოჰქონდათ, თითქოს თამთა თავის ქმარს, ეგვიპტის სულტნის ძეს, მელიქ აუჰადს გაგიჟებით უყვარდა და მხარგრძელის ასულს ქმარზე და ქვეყნის საქმეებზე უსაზღვრო გავლენა ჰქონდა. ხლათელებმა თურმე თავიანთ სათაყვანებელ დედოფალს „გურჯიეთი“ უწოდეს და მის საქებრად ლექსებსა და სიმღერებს თხზავდნენ. მასზე გამიჯნურებული ვაჟკაცების უთვალავ რიცხვს მელიქ აუჰადის უმცროსი ძმა, უფლისწული აშრაფიც მიმატებია, სამყოფთაგან გაჭრილა და ახლა ჩუმად თავისი ძმის სიკვდილზე ოცნებობს, რომ ულამაზეს დედოფალს დაეპატრონოსო.

სჯეროდა შალვას, რომ ყოველივე ეს მართალი იქნებოდა, რადგან თამთას სილამაზე და გონიერება მან სხვაზე უკეთ იცოდა, მაგრამ თამთას გულშიც ხომ სხვაზე ღრმად იყო ჩახედული ახალციხელი და როგორ დაიჯერებდა, რომ ის გული მისთვის ასე მალე გაცივდებოდა.

სიყვარულისაგან გახელებულ, წმინდა საყდარში მდგარ შალვას თავში ბოროტი ფიქრები უტრიალებდა. ფიქრიდან მგალობელთა გუნდის გალობამ გამოარკვია.

ამბიონზე კათალიკოსი შედგა, ტაძარში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მლოცველთ სამგზის ჯვარი გარდასახა კათალიკოსმა.

ათაბაგმა პირჯვარი გადაიწერა და გულზე მოწამესავით დაიკრიფა უზარმაზარი ხელები.

შალვამ ისევ სასოებაში გადასულ ათაბაგს შეხედა, მისი წარსული გაიხსენა და თვალწინ დაუდგა „რჯულისათვის მისი თავდადება“.

ადვილად დათმო სომეხთა სარწმუნოება მხარგრძელმა. ანგარიშმა სომხურად მონათვლა უკარნახა მის წინაპრებს, ახლა ანგარიშმავე მიაღებინა ივანეს ქართული მართლმადიდებლობა და ისე იოლად მოინათლა ჩვენს რჯულზე, თითქოს ტანსაცმელი გამოეცვალოს.

რამდენჯერ უფიქრია შალვას, რომ ვაჟკაცი ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი იყო. რაც არ სწამდა, არ ირწმუნა. მხედრული პირდაპირობით მეფეების წინაშე უარი თქვა აღსარების გამოცვლაზე და, თუმცა ქართულ ეკლესიაში გადმოსვლა ბევრ ახალ სიკეთეს უქადდა, მაინც სომხურ რჯულზე დარჩენა არჩია.

კათალიკოსი თანდათან ხმას უმატებდა. კერპთაყვანისმცემლობას გმობდა და შეჩვენებას უგზავნიდა.

ძველი აღთქმის გაკვეთილები გაახსენა მორწმუნეებს, ღვთის მიერ ბომონთა და კერპთა შემუსვრის არა ერთი მაგალითი მოიყვანა.

მეფე გაოცებული უყურებდა მოხუცი კათალიკოსის გაკაპასებას და სახეზე ღიმილს ვერ იშორებდა.

ბიზანტიური და ქართული ნეოპლატონიზმის მსოფლმხედველობაზე აღზრდილი ლაშა უძღები ეპისკოპოსებისა და ბერების ქრისტიანობას უმეცართა თავშესაფარად, დავრდომილთა და მიხრწნილთა სარწმუნოებად თვლიდა.

ქეიფისა და დროსტარების მოყვარული ჭაბუკი მეფე ხორცის დათრგუნვის ქრისტიანულ მოძღვრებაში მიმზიდველს ვერაფერს ხედავდა.

სამაგიეროდ, მშვენიერებისა და ვაჟკაცობის ტრფიალ ლაშას ძველი ქართული წარმართული რელიგია უაღრესად პოეტური ფერებით ეხატებოდა თავისი გულუბრყვილო ალეგორიებით, ბრწყინვალე დღესასწაულებითა და პროცესიებით, ძალისა და ვაჟკაცობის ზეიმით.

იგი ქართულ წარმართობას გმირების რელიგიას ეძახდა, ხოლო ქრისტიანობა ბუნებით მონებისა და გლახაკების სარწმუნოებად მიაჩნდა.

მეფე გულისტკივილით ხედავდა, როგორ იჩაგრებოდა და იდევნებოდა ქრისტეს ეკლესიის მიერ გმირობისა და რაინდობის მომღერალი სარწმუნოება.

ბარად ეს სარწმუნოება თითქმის უკვე გამქრალიყო და ახლა მიუვალ მთებშიღა ითქვამდა სულს. იქაც, ეკლესიის მოძალების შედეგად, ქრისტეს რჯულთან შეგუებითა და დათმობითღა იხანგრძლივებდა არსებობას.

ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებლები თვითონ მიდიოდნენ ამგვარ დათმობაზე იქ, სადაც ძალით ვერაფერს აწყობდნენ. მთვარისა და მზის ღვთაებათა წარმართულ დღესასწაულებს წმინდა გიორგისა და ღვთისმშობლის სახელით იხდიდა ხალხი და ხევისბერებისა და ქადაგმკითხავების გვერდით ხშირად ხუცესები ქრისტიანულ წირვა-ლოცვას ატარებდნენ.

ერთ დროს ახლისათვის მებრძოლი ქრისტეს ეკლესია, ახლა თვით ებრძოდა ყოველივე ახალსა და მოწინავეს. მისი მსახურნი ასკეტიზმსა და ღვთის მორჩილებას უქადაგებდნენ მრევლს, თვითონ კი ყველას დასანახავად განცხრომასა და ფუფუნებაში ეჯიბრებოდნენ ერისაგანთ _ მთავრებსა და დიდებულებს, კარისკაცებსა და დიდვაჭრებს.

საქართველოს ეკლესია ერთნაირი ფანატიზმით ებრძოდა სომხურ გრიგორიანობასა და ქართულ წარმართობას.

განათლებული მეფე სასაცილოდ იღებდა ეპისკოპოსთა გაუთავებელ კამათსა და თავგამოდებას და თვითონ ყველა სარწმუნოებისადმი შემწყნარებლობას იცავდა: არა მარტო ლამპრობასა და ლაშარობაში იღებდა მონაწილეობას, არამედ სომხურ ეკლესიასა და მაჰმადიანურ მიზგითშიც თავისი ფეხით მიდიოდა.

ყველა ამ საინტერესო თუ მოსაწყენ რიტუალში მეფეს უფრო გარეგნული მხარე იზიდავდა. სექტანტებისა და დოგმატიკოსების დაუსრულებელ ჩხუბს მასხრად იღებდა, ხოლო სარწმუნოებათა გამო ატეხილ ომებს აგდებულად უყურებდა.

თავად მეფე არც ერთ სარწმუნოებაზე ბოლომდე მტკიცედ არ მდგარა.

ახალი რწმენა უცებ აღაფრთოვანებდა ხოლმე, მაგრამ უცებვე მოაბეზრებდა თავს. ნეოპლატონიზმით გატაცებული, ერთხანს სუფიებს დაუკავშირდა, მაგრამ სუფისტური ასკეტიზმისაგანაც ისევე მალე იბრუნა პირი, როგორც ქრისტიანულისაგან. ჭაბუკ მეფეს, რომელსაც ცალ ხელზე მიმინო უჯდა და ცალი ხელით ცხენდაცხენ ყანწის დაცლა ჰქონდა ჩვეულებად გადაქცეული, ომსა, ნადირობასა და ხიფათებში დავაჟკაცებულ უფლისწულს, რომელსაც ლამაზი ქალის ერთი გამოხედვა ქვეყანას ერჩია, ყურანზე მეტად ომარ ხაიამის

სიბრძნე იზიდავდა, ხოლო ქრისტიანული დოგმების ზეპირობას, დედანში ჰომეროსის კითხვას არჩევდა.

კათალიკოსი თანდათან ხმას უმაღლებდა, რომაელთა უწმინდური სარწმუნოების განქიქებას ბერძენთა მეკერპე მეფის ივლიანეს ამბავი მოაყოლა, წარმართობისაკენ განათლებული ადამიანების მობრუნება ველურობისა და პირველყოფილობისაკენ დაბრუნების უგუნურ ცდად წარმოადგინა.

კათალიკოსის მსჯელობამ თანდათან მიიზიდა და დაიპყრო მეფის ყურადღება. მას თვალწინ წარმოუდგა იმპერატორ კონსტანცისაგან დევნილი, ლეგიონერების მიერ ფარზე აყვანილი და იმპერატორად გამოცხადებული განათლებული და შემმართებელი ივლიანე. ლიბანიოსისა და ედესიოსის მოწაფე იმპერატორი გაბედულად შეუდგა მისთვის საძულველი ქრისტიანობის წინააღმდეგ ლაშქრობასა და წარმართობის აღდგენას. პოეტურად აღგზნებული იმპერატორი სინამდვილისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა და გმირულად დაეცა „ვაჟკაცობისა და სილამაზის“ სარწმუნოების აღდგენისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

ლაშას ფიქრადაც არ მოსვლია, თავისი ნიჭი და შესაძლებლობა ძლიერი და განსწავლული იმპერატორის ნიჭსა და შესაძლებლობაზე მაღლა დაეყენებინა. ის, რაც ყოვლისშემძლე იმპერატორისათვის აღმოჩნდა მიუწვდომელი, მისთვის უმეტესად ძნელი და შეუძლებელი იქნებოდა.

გული სტკიოდა მეფეს იმპერატორის უღონობაზე, რომელსაც ისტორიის ჩარხის ბრუნვამ იმ ჩარხის უკან შემოსაბრუნებლად ჩაჭიდებული მძლავრი ხელები მიამტვრია.

მით უფრო გულისტკივილით შეჰყურებდა იგი საკუთარ უღონობას. მას წარმართობის აღდგენა და ოფიციალურ რელიგიად აღიარება არც უფიქრია, მაგრამ ეკლესიისაგან ხალხის რწმენის დევნასაც ვერ ურიგდებოდა რწმენის თავისუფლების მომხრე მეფე.

დიდებულები და სამღვდელოება ეკლესიის ავტორიტეტს იცავდნენ და წარმართობის ყოველგვარ გამოვლინებას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ. თვითონ შალვა ახალციხელიც კი, მეფის უახლოესი თანამზრახველი და თანამდგომელი, ურყევად იდგა ქრისტეს სარწმუნოებაზე და საქართველოს შემდგომ წარმატებასა და დიდებას ქრისტიანობის განმტკიცებაში ხედავდა. და თუ მაინც მეფესთან ერთად ესწრებოდა ხოლმე სახალხო დღესასწაულებს, ამას უფრო ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად და ათაბაგის გამოსაწვევად სჩადიოდა.

ქადაგობის ეშხში შესულმა კათალიკოსმა ცოცხლად დაუხატა მსმენელებს ივლიანე განდგომილი: თავნებად და უზნეოდ წარმოადგინა იმპერატორი. უჩვეულო გამოცოცხლებით ლაპარაკობდა საქართველოს ეკლესიის მეთაური მეკერპე იმპერატორის გუნებასა და ხასიათზე, გარეგნობასა და ქცევაზე. და ლაშა-გიორგი შინაგანად გრძნობდა, რომ კათალიკოსი საქართველოს მეფის ნაცნობ სურათს უხატავდა მსმენელებს.

ეტყობოდა, იქ მყოფ დიდებულთაგანაც ბევრი ჩასწვდომოდა კათალიკოსის ქარაგმას, თავი მეფისაკენ მოებრუნებინათ და მისი სახის მცირედი მოძრაობის ფარულად თვალის დევნებით ცდილობდნენ ნათქვამით მოხდენილი შთაბეჭდილების დაჭერას.

მეფე კი იდგა თავაწეული, ყურადღებით უსმენდა ქადაგებას და, თითქოს მას არაფერი ეხებაო, არხეინი, დამცინავი ღიმილით შეჰყურებდა გაფოფრილი მოხუცის თვალთაგან ცეცხლის ფრქვევას.

კათალიკოსი აშკარად იწვევდა საბრძოლველად ვიღაც ძლიერსა და ძალაუფლებით გაამპარტავნებულს, რომელსაც დავიწყებოდა, რომ ამქვეყნიური ხელისუფლება დროებითია და უმაღლესი ხელისუფალი იქ, მაღლა არის, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხედველი, დაუსაბამო და უსასრულო ღმერთი.

კათალიკოსი კიდევ უფრო გაცხარდა, უკანასკნელად დაარისხა ქრისტეს რჯულის უარმყოფელები, ჯოჯოხეთის მარადიული ცეცხლითა და სამუდამო წაწყმედით დაემუქრა ვიღაც უძღებსა და ქრისტესაგან მიდრეკილს.

_ ხოლო ისარმან ზეცისამან მოკლას იგი! _ ხელაპყრობით შეღაღადა კათალიკოსმა და წამით ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში უცებ გაისმა ვაჟკაცის ომახიანი ხმა:

_ ნუ იყოფინ, უფალო!

კათალიკოსს ხმა ჩაუწყდა და სახე გაუფითრდა. მრისხანედ მოიხედა. მუხლზე დაცემული, ხელაპყრობით მოღაღადე ათაბაგი რომ დაინახა, გაშრა.

_ ნუ იყოფინ, უფალო! არა გარდამოავლინო რისხვა შენი ქართველთა ზედან, იხსენ და დაიფარე მეფე ჩვენი გიორგი!

მლოცველები ერთი კაცივით მოსწყდნენ, მუხლებზე დაეცნენ და სასოებით გაიმეორეს მხარგრძელის ღაღადისი:

_ ნუ იყოფინ, უფალო! არა გარდამოავლინო რისხვა შენი ქართველთა ზედან, იხსენ და დაიფარე მეფე ჩვენი გიორგი!

ტაძარში ორნიღა იდგნენ ფეხზე _ მეფე და კათალიკოსი. ხაფანგში მომწყვდეულივით იყო მეფე. იგი მიხვდა, რომ ათაბაგის ღაღადისმა საფარველი ახადა კათალიკოსის გულისნადებს, ქარაგმა ახსნა და მთელი მრევლის წინ სააშკარაოზე გამოიყვანა ქრისტეს სარწმუნოებისაგან მიქცეული საქართველოს მეფე.

ორნი იდგენ ფეხზე _ ჭაბუკი მეფე და კათალიკოსი. გაფოფრილი კრუხივით შეჰყურებდა მღელვარებისაგან აცახცახებული კათალიკოსი ქორივით გამომზირალ ამაყ მეფეს.

წამით შეტოკდა ლაშა. ის იყო, გადაწყვიტა თვალებდაკუსული მოხუცისათვის ზურგის შექცევა და ტაძრიდან გასვლა, მაგრამ მუხლზე სასოებით დაცემულ, მისი დღეგრძელობისათვის გულმხურვალედ მლოცველ ამდენ ხალხს რომ შეხედა, გაქვავდა. უცებ მიხვდა, რომ მისი წასვლა ათაბაგსა და კათალიკოსს ახლა ყველაზე მეტად გაახარებდა, ხოლო მისი ტახტისა და პიროვნების ერთგულ თაყვანისმცემლებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეურაცხყოფდა და გულს გაუტეხდა.

მუხლები უკანკალებდა მეფეს, მცირე ბიძგიღა უნდოდა, რომ ძირს უღონოდ დაცემულიყო. და ეს ბიძგიც უცებ იგრძნო უკვე მოშვებულმა და ბავშვივით სატირლად გამზადებულმა ლაშამ. ჩაჩოქილი ახალციხელის ხელები სხვების შეუმჩნევლად მოეხვია მის ფერხთ და მეფე მოწყვეტით დაეშვა მუხლებზე.

თავი რომ აიღო, კათალიკოსი ვეღარ დაინახა, საკურთხეველში შებრუნებულიყო.

უსაზღვროდ მადლიერი თვალით უყურებდა ახალციხელი მეფეს და განა მარტო ახალციხელი, თითქმის ყველა იქ მყოფი, რომელთაც ამ წუთიერი, მაგრამ უმძიმესი ბრძოლის აზრი გაიგეს და განიცადეს.

მხოლოდ ათაბაგი დარჩა ძველებურად მშვიდი და უდრტვინველი.

ცივი და მიუკარებელი გამოხედვით იგი მთლიანად გამოთიშოდა იქ მყოფთა საერთო განწყობილებას, თითქო მის გარეშე და მისგან შორს მომხდარიყოს ერთი წუთის წინ დატრიალებული შფოთი.

* * *

ზიარების უკანასკნელი მიმღებნი მიდიოდნენ კათალიკოსთან და სულ ბოლოს ზიარების მთხოვნელი უზარმაზარი ვაჟკაცი რომ აეყუდა თვალწინ, მხოლოდ მაშინ გამოერკვა მრევლის დალოცვით გატაცებული კათალიკოსი.

ლუხუმის დანახვამ მაშინვე მეფე გაახსენა და უცებ გამოცოცხლებული თვალები სწრაფად შემოატარა ტაძარში.

მეფე აღარსად ჩანდა, ტაძრიდან უზიარებლად და კათალიკოსის ხელზე უმთხვევლად გამქრალიყო.

მეფეს რომ ტაძარში კათალიკოსის თვალები ამაოდ დაეძებდნენ, იმ დროს ლაშა თავისი საყვარელი ხათუნის _ დიდვაჭარ ჰამადავლეს ცოლის ალერსით იყო გართული და სიბერისაგან მიხრწნილი კათალიკოსის დამჭკნარი ხელის ნაცვლად მთელ ქალაქში სილამაზით განთქმული ქალის გულ-მკერდს კოცნიდა.

ტაძარში შეურაცხყოფილ ლაშას წირვის ბოლოს მიზეზიანი ბავშვივით მოუნდა მღვდელმთავრის გაბრაზება და ამით მაინც მცირე სამაგიეროს გადახდა. სხვა ვერაფერი მოიგონა და ჩუმად, ზიარების და დალოცვის მიუღებლად გამოიპარა ტაძრიდან.

ახლა ამ ამბავს სიცილით უყვებოდა მის მკლავზე ნებივრობით უზომოდ ბედნიერ ხათუნს და თან ზემო ტუჩთან ამოტვიფრულ პატარა ხალს უკოცნიდა.

_ ხელზე, ჯერ ხელზე მემთხვიე, მეფევ ბატონო! _ კისკისით ეუბნებოდა ვნებისაგან თვალმიბნედილი ხათუნი, _ ოღონდ ეგრე გიჟურად ნუ მკოცნი, წყნარად, სასოებით მემთხვიე, ვითომ კათალიკოსი ვარ.

ლაშამ ხათუნის ხელი აიღო, სანთელივით ჩამოქნილ თითებს დახედა _ ამ ხელს მთელი ქვეყნის კათალიკოსები და ხუცები დაენაცვლონო, გულწრფელად, სიცილით უთხრა და გრძელი, ვნებიანი კოცნით დაეწაფა.

* * *

ამ რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა თბილისში მაიმახი ჰამადავლე თავისი ულამაზესი ცოლით.

პირველად ავეჯის დიდი სავაჭრო გახსნა წყალგაღმა _ სასახლის პირდაპირ.

მეფეს და მის მსახურთ თავდაპირველად ყურადღება არ მიუქცევიათ ამ ახალი სავაჭრო სახლისათვის: ხალხი ჩვეულებრივ შედიოდა სავაჭროში და საწოლებს, მაგიდებს, სკამებსა და ტახტებს ყიდულობდა. ოღონდ ეს კი იყო, რომ უფრო ჭაბუკები ეტანებოდნენ ავეჯის სახელოსნოსა თუ სავაჭროს, ცხენიდან ჩამოხდებოდნენ, სავაჭროში შევიდოდნენ და დიდხანს, ხშირად ძალიან დიდხანს ელოდნენ მათ მობრუნებას სავაჭროს ბოძთან თავჩამოკრული ცხენები.

მეფეს ერთხელაც არ შეუხედავს ამ სავაჭროში და იქნებ გვიანამდე ვერც გაეგო, რა თაფლი იზიდავდა ამოდენა ფუტკარს.

მაგრამ ერთ დილას მოგვიანებით ამდგარი თავის საპატიო სტუმართან შირვანშასთან იმ დღის დროსტარების გეგმებს რომ აწყობდა, სარკმელში გაიხედა და სტუმარს დაანახა ტაბახმელისკენ მიმავალი გზა, სადაც იმ დღეს უნდა ექეიფათ.

უცებ სავაჭროში დარაბებთან აყუდებულ კუბოებს მოჰკრა თვალი. სახე სიბრაზისაგან გაუფითრდა და, შირვანშას რომ არ დაენახა, წამსვე კოზიმიტი დაუშვა.

ცოტა ხნის მერე, მარტო რომ დარჩა, მანდატურთუხუცესი იხმო, ავეჯის სავაჭროს წინ გამოფენილ კუბოებზე მიუთითა და გამწყრალმა ჰკითხა:

_ ეს რას ნიშნავს?

_ ქალაქში ჭირი გაჩნდა, მეფევ ბატონო, _ შეწუხებული სახით მოახსენა მანდატურთუხუცესმა.

_ როდის? რატომ ადრე არ მომხსენდა?

_ ხუთი დღის ამბავია. ჯერ რამდენიმეს შეეყარა, ექიმები მოტყუვდნენ, იოლი სენი ეგონათ. უკანასკნელ დღეებში მთელ ქალაქს მოედო, სასნეულოები აივსო. სწორედ დღეს უნდა მოგვეხსენებინა.

მეფე შეწუხდა, აღელვებულმა გაიარ-გამოიარა. მერე ისევ სარკმელში გაიხედა და თავმოუბრუნებლად უბრძანა მანდატურთუხუცესს:

_ ეგ კუბოები ააღებინეთ, რომ თვალში არ გვეჩხირებოდეს, ხომ ხედავ, როგორი სტუმარი გვყავს. ექიმბაშს მიხმე, სასნეულოები მინდა მოვინახულო.

მანდატურთუხუცესმა ავეჯის სავაჭროსაკენ მანდატურები აფრინა. მეფე ისევ სარკმლიდან უყურებდა: მანდატურები კარგა ხანს დარჩნენ მეკუბოვესთან. მერე უკან გამობრუნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ თვითონ მანდატურთუხუცესი მიადგა სახელოსნოს თავისი ოქროს არგნით.

მანდატურთუხუცესი დაყოვნდა. უკან რომ მობრუნდა, ქუჩის პირამდე ქალმა მოაცილა. ვაზირი ერთხანს რაღაცას ელაპარაკებოდა, ოქროს არგანს წამდაუწუმ მაღლა აქნევდა, ბოლოს თავდახრით გამოემშვიდობა და სასახლისაკენ სწრაფი ნაბიჯით გამოქანდა.

მეფე შორიდან ხედავდა: მანდატურთუხუცესის მისვლამ სულაც არ იმოქმედა, კუბოები ისევ ქუჩის პირად დარჩა აყუდებული, ხოლო ის ქალი, რომელმაც მეფის ვაზირი გამოაცილა, სავაჭროს წინ ტახტზე იჯდა არხეინად.

_ სავაჭროს პატრონმა ქალმა მთხოვა, მეფემ თვითონ მიბრძანოს, თქვენს ნათქვამს არ ვერწმუნებიო, _ ღიმილით მოახსენა მანდატურთუხუცესმა.

ლაშამ შუბლი მრისხანედ შეიკრა და გაოცებით შეხედა თავხედ ვაზირს.

მანდატურთუხუცესი დაიხარა, მეფეს კალთაზე ემთხვია და ჩურჩულით უთხრა:

_ ქალის უნახავი გაგვხადა, მეფევ! მსგავსი მშვენება არც თვალით გაგვიცდია და არც ნახატად გვინახავს.

ჭაბუკი მეფე უცებ გამოცოცხლდა. სასახლიდან მარტო გამოვიდა და სავაჭრო სახლისაკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართა.

აქლოშინებული მანდატურთუხუცესი ძლივს ეწეოდა წინ მიმავალ მეფეს.

მეფის მისვლა რად უნდოდა იმ კუბოების აღებას, ვაზირი თავის მანდატურებს შეუსევდა სავაჭროს და რამდენიმე წამში გააქრობდა, მაგრამ ეშმაკი მსახური სავაჭროს პატრონის დანახვისთანავე მიხვდა, რომ ამ ქალთან ჩხუბში მეფე მის მხარეზე არ იქნებოდა.

ქალის გასაოცარი სილამაზით დაბნეულმა მანდატურთუხუცესმა ხეირიანად ვერც კი უბრძანა კუბოების დაუყოვნებლივ აღება. პირიქით, თვითონ დაემორჩილა ამ უმშვენიერესი ქალის სურვილს და თავის სიცოცხლეში პირველად გაბედა ასეთი თავხედობა _ მეფეს ვიღაც ვაჭრის ცოლის ხლება სთხოვა. ახლა, მეფეს რომ იწვევდა, თან წინასწარ ხარობდა, ვაამებო, თან მუხლები ეჭრებოდა, ვაითუ, იწყინოს და სულ დავიღუპოო.

მეფემ სავაჭრო სახლის წინ ნაბიჯი შეანელა და ბოლოს გაშტერებული შეჩერდა.

ლამაზი ქალის მეტი რა ენახა ლაშას, მაგრამ ეს, ახლა რომ კეკლუცი ღიმილით შეეგება, მანამდე ნახული ყველა ქალის მშვენიერებას ავიწყებდა.

_ მობრძანდით, დიდო მეფევ, მადლობა უფალს, რომ ღირს გვყავ თქვენი ნახვისა! _ უთხრა ახალგაზრდა ქალმა და მეფემ თვალი ვერ გაუსწორა უჩვეულო სილამაზეს.

მასპინძელმა სავაჭრო სახლში შეიწვია მეფე. საოცარი მშვენიერების წინაშე უღონოდქმნილი ლაშა თვალმოუცილებლად მიჰყვებოდა უკან ტანის რხევით მიმავალ ქალს.

კართან დარჩენილი მანდატურთუხუცესი მიხვდა, რომ გუმანმა გაუმართლა და გაიმარჯვა.

ლაშა დიდხანს არ გამობრუნებულა სავაჭრო სახლიდან.

იმ დღიდან ლაშა სავაჭრო სახლის მუდმივი, მაგრამ ფარული მუშტარი გახდა. იგი ყოველღამ და ზოგჯერ დღისითაც ჰამადავლეს სახლში საიდუმლო შესასვლელით შედიოდა და დიდხანს, ზოგჯერ დილამდისაც კი რჩებოდა.

რა შეუსაბამობა იყო! მაშინ, როცა წინ, სავაჭროში, თვალცრემლიანი ჭირისუფლები კუბოებს ყიდულობდნენ და მიცვალებულ ნათესავებს ოხვრით უმზადებდნენ იმქვეყნიურ სახლ-სამყოფელს, სავაჭრო სახლის უკანა მხარეს ძვირფას ნოხებსა და სტავრა-აბრეშუმებში ჩაფლული მიჯნურები სიყვარულის ნექტარს ეწაფებოდნენ და ამქვეყნიური ბედნიერებით ტკბებოდნენ.

სიყვარულით გაბრუებული თუ დაბრმავებული მეფე ვეღარც კი ამჩნევდა, რომ სავაჭროს წინ კუბოები არათუ გაქრა, როგორც მისი ადრინდელი სურვილი იყო, არამედ მათმა რიცხვმა ერთიათად იმატა, სავაჭრო სახლიც თანდათან გაფართოვდა, მეზობელი ქულბაქები შემოიერთა და თითქმის მთელ უბანზე გაბატონდა.

ქალაქში ჭირი მძვინვარებდა. ამდენი ხალხის გლოვა და ტირილი მხოლოდ ჰამადავლეს გულს ახარებდა, რომელსაც მთელი ქალაქის კუბოებით ვაჭრობა ჰქონდა ხელთ ჩაგდებული. აღებ-მიცემისა და ფულის მოგების ეშხში შესულს თავისი ლამაზი ცოლი აღარც ახსოვდა.

ასე, ალბათ, მისი თანაშემწეები და ნოქრები ფიქრობდნენ, თორემ ჰამადავლე აგრე გულუბრყვილო როდი იყო, რომ თავისი გამდიდრებისა და წარმატების ფარული მიზეზი არა სცოდნოდა.

იგი ყურს იყრუებდა და თვალს იბრმავებდა ცოლის მიჯნურის ბრწყინვალების წინაშე. უფრო მეტიც, ყოველნაირად ხელს უწყობდა ხათუნს მეფის მიღებასა და გამასპინძლებაში. საათობით და ზოგჯერ მთელ ღამესაც შინ არ ბრუნდებოდა და მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა ჭაბუკი მეფის სიყვარულით გაგიჟებულ ხათუნს.

არავინ იცოდა ამ კაცის ასავალ-დასავალი. ზოგს სომეხი ეგონა, ზოგი სპარსელად თუ ბერძენად თვლიდა. მთელი ქვეყანა მოვლილი ჰქონდა და რამდენიმე ხალხის ენა და ზნე იცოდა.

შესახედავად დუხჭირი ჰამადავლე ცალი ფეხით ხეიბარიც იყო და როცა ქუჩაში გაშეშებულ ფეხს მოათრევდა, შურით გასიებული ვაჭრები ენამწარედ იცინოდნენ _ ეგ ფეხი ათასების მოსახვეტად აქვს გაშვერილიო.

მისი სიმდიდრე ხომ ბევრს ეხარბებოდა, მაგრამ უფრო მეტს ხათუნის ზღაპრული მშვენიერება შურდა. ვერ აეხსნათ და ვერ ჩამხვდარიყვნენ, თუ რას უნდა აეძულებინა ეგზომ ლამაზი ქალი, რომ ამ ხორცითა და სულით მახინჯი კაცის ცოლი გამხდარიყო.

იქნებ სიმდიდრეს? მაგრამ რომელი მდიდარი კაცი იტყოდა ხათუნის ქმრობაზე უარს. ათას მიზეზს დაასახელებდნენ, ათას საბუთს მოიშველიებდნენ, მაგრამ კითხვა ისევ აუხსნელი რჩებოდა, და ბოლოს, იმ აზრზე დადგებოდნენ, რომ ყველაფერს ბედი უნდა, თუ კაცს ბედი აქვს, მისთვის არც გარეგნობას აქვს მნიშვნელობა, არც წარმოშობასა და არც სიღარიბეს.

ბევრს პირველად ისიც ვერ გაეგო, თუ რატომ წამოჭიმა სავაჭრო სახლი ჰამადავლემ ესოდენ თვალსაჩინო ადგილას. მიხვედრით იცოდნენ, რა ძვირი უნდა დასჯდომოდა ასეთი ადგილის შოვნა. მეფის რამდენი მოხელე უნდა მოესყიდა, ქალაქის მეურვეებთან რამდენი ქრთამი უნდა დახარჯოდა ამ ფულის გიჟს და მერე რისთვის?

ასე მსჯელობდნენ ისინი, ვინც ჰამადავლეს რთულ ანგარიშს ვერ მისწვდომოდნენ. რა იცოდნენ გულუბრყვილოებმა, რა კაკანათს აგებდა ჰამადავლე სასახლის წინ, რა ჩიტს დასვამდა მიმინოს მოსატყუებლად და რამოდენა მტაცებელს გააბამდა ამ პატარა სავაჭროს ქსელში.

როცა ჰამადავლე დიდვაჭრებში გაერია და ჩურჩულით მისი გამდიდრების ნამდვილ მიზეზებზე დაიწყეს ლაპარაკი, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ მის ანგარიშს. მაშინ გაიგეს, რა ძვირად აფასებდა თავის სილამაზეს მახინჯი ჰამადავლეს მშვენიერი ცოლიც.

პირველად რომ ნახა ჰამადავლე, მეფეს გული აერია. უცებ მისი ხათუნის უმშვენიერესი თავი დუხჭირ ჰამადავლეს ჩავარდნილ მკერდზე მისვენებული წარმოიდგინა. უნდოდა, იქვე გაეგლიჯა, მაგრამ თავი შეიკავა და პირი იბრუნა საზიზღარი სანახაობისაგან.

მთელ დღეს ფიქრობდა თავისი სიყვარულის უიღბლობაზე. ერთი ისიც გაიფიქრა, მაგასთან ნაწოლ ქალს როგორ მივეკარებიო, მაგრამ საღამოს გულმა ისევ ხათუნისაკენ გაუწია და მისი მშვენიერების შუქში დადნა, დაიკარგა კოჭლი ჰამადავლეს საშინელი ჩვენება.

დროდადრო ეს ჩვენება ისევ თვალწინ დაუდგებოდა ბედნიერ მიჯნურს, თავდავიწყებიდან გამოიყვანდა და მეფე გულისნადებს გაანდობდა ხოლმე ხათუნს:

_ მოვკლავ, ან მოგაშორებ! ისე დავკარგავ, კაცმა ვერ გაიგოს მაგის გზა-კვალი!

_ ნუ, გენაცვალე, ნუ იქმ, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, _ შემოეხვეოდა ყელზე თვალცრემლიანი ქალი. _ რომ იცოდე, რა ამაგი აქვს ჩემზე, მაგას აღარ იტყოდი, _ აქვითინდებოდა ხათუნი.

გულმომბალი ლაშა ჯერ მის დამშვიდებას მოუნდებოდა, მერე ისევ ალერსს დაუბრუნდებოდა და ჰამადავლეს გულისამრევი ლანდი ისევ სიყვარულის ბურანში იძირებოდა.

@თავი მეექვსე. ზღვათა მპყრობელი

შორს, ცის დასალიერზე თეთრი აფრა გამოჩნდა.

საქართველოს ნაპირებს ვენეციის არმადა უახლოვდებოდა.

ჰორიზონტზე თანდათან გამოიკვეთა უთვალავი ანძა. ქარისაგან აშლილი ღრუბლებივით ჯარად წამოვიდნენ გაბერილი აფრები და ცისკიდური თეთრად გადაიპენტა.

ნავსადგურიდან ქართველთა ხომალდები გავიდნენ სტუმრების შესაგებებლად.

მეფეს მოახსენეს, რომ ვენეციის დოჟის ელჩი ნავსადგურს უახლოვდებოდა.

ლაშა მაღლობზე ავიდა.

მის თვალწინ წარმტაცი სანახაობა გადაიშალა: უზარმაზარი ხომალდები იშვიათი წესრიგით მოირწეოდნენ. გალერებზე ნიჩბები ისე მწყობრად ირხეოდნენ, გეგონებოდა, უთვალავი თოლია ერთად იქნევს ფრთებსო.

სტუმრების შესაგებებლად გასული ხომალდები ვენეციის უზარმაზარმა ფლოტმა თითქოს მოახლოებისთანავე ჩაყლაპა. მაღალი ანძებისა და იალქნების ტყეში ქართველთა გემები უმალვე შთაინთქა და ჩაიკარგა.

ლაშა გაოცებული უყურებდა დასავლელ ზღვის მბრძანებელთა ძლევამოსილ არმადას.

აი, ვინ დასცა თურმე ბიზანტიის სატახტო. ანკი როგორ არ დასცემდა, რა სიმაგრე აღუდგებოდა წინ ამდენ ხომალდს, როცა თითოეული მათგანი თავად არის ლოდსატყორცნებით აღჭურვილი და უძლეველი ლაშქრით სავსე მიუდგომელი სიმაგრე.

აი, ასეთი ხომალდები უნდა ჰყავდეს საქართველოსაც და მაშინ მარტო ხმელეთზე კი არა, ზღვაზედაც აღარავინ ეყოლებოდა მეტოქე ქართველებს, შავ ზღვას საკუთრივ ქართველთა ზღვად გადააქცევდნენ, ბიზანტიის ხელიდან გაგდებულ მსოფლიო ბატონობის დროშას ამართავდნენ და შორს გაიტანდნენ.

ლაშამ თვალი დახუჭა. ოცნებამ ეგვიპტისა და იტალიის ნაპირებისაკენ გაიტაცა.

თვალი რომ გაახილა, ვენეციის მრისხანე ხომალდების დანახვამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო.

ასე მეგობრული სტუმრობით დაიწყო ვენეციამ საბერძნეთთან ურთიერთობაც. დასავლეთის ჯვაროსნებმა ქრისტეს საფლავის განთავისუფლების საბაბით მოიყარეს თავი კონსტანტინეპოლში.

კონსტანტინეპოლი მსოფლიოს უმდიდრესი ქალაქი იყო. მისი სასახლეების ბრწყინვალებამ დააბრმავა ანგარი ჯვაროსნები და აღმოსავლეთში სათუო ლაშქრობას ბიზანტიის სატახტოს დაპატრონება არჩიეს, ბერძენთა შინააღრევით ისარგებლეს და მათ სატახტოს შეესივნენ, რისი გაზიდვა და მითვისებაც ვერ შეძლეს, ცეცხლს მისცეს და ხანძარს მოასპობინეს.

ვაითუ, ასეთივე განზრახვით შემოდიან ახლა საქართველოს ზღვაშიც ვენეციელები?!

მათ თეთრი კბილის ჩვენება იციან, მაგრამ, როგორც კი დრო დაუდგებათ, შავი გულის გამოჩენაც ეადვილებათ და თუკი ბიზანტია ვერ იპატივა ერთმორწმუნეობამ, საქართველოს რად დაინდობენ?!

მაგრამ, არა! საქართველოს მაგრად უდგას მიწაზე ფეხი.

ბიზანტია ხმელეთზე შეირყა და ზღვიდან იმიტომ სძლიეს. საქართველო ხმელეთზეა ძლიერი და ვიდრე ეს ძლიერება არ შერყეულა, ზღვიდან ვერაფერს დააკლებენ.

ხალხის ყიჟინამ და დაფდაფების ხმამ გამოარკვია მეფე.

ვენეციის ფლოტი უკვე ნავსადგურში იყო.

საქართველოს მიწაზე რომ ფეხი დადგეს, ვენეციის ელჩებს გვარამ მარგველი და ლითხიმერეთის სხვა მთავრები მიეგებნენ.

მეფემ თავისი ღირსებისათვის შეუფერებლად ჩათვალა, ნავსადგურში შეხვედროდა ზღვათა მბრძანებელი ქვეყნის დესპანს.

ხელმწიფე გეგუთს გაბრუნდა.

* * *

ვენეციელთა დახვედრა და მასპინძლობა წინასწარ მოფიქრებული გეგმით ხორციელდებოდა. ქართველებს კონსტანტინეპოლის დამპყრობთათვის თავიანთი ძლიერება უნდა ეჩვენებინათ.

ამ მიზნით, ლიხთიმერეთის ლაშქარი წინასწარ შეკრიბეს და საომრად გაკაზმული ისე დასძრეს, რომ დროდადრო დასავლელი სტუმრების გზაზე გამოჩენილიყვნენ.

მთის ყოველ გადასასვლელთან, ან დიდ მდინარეზე გადებულ ხიდთან სტუმრებს ლაშქრის დიდ-დიდი ნაწილები აჩერებდნენ. გზა იკეტებოდა და სტუმრებიცა და მასპინძლებიც საათობით უცდიდნენ, ვიდრე ჯარი არ გაივლიდა.

ვენეციელები მუშტრის თვალით აცქერდებოდნენ ქართველ მხედრებს, მათ იარაღსა და საომარ აღკაზმულობას, ცხენკეთილობასა და აღალების დატვირთულობას.

პირველად იმდენი ყურადღება არ მიუქცევიათ ჯარის ამ მოძრაობისათვის, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როცა ლაშქრის მიმოსვლა და გზის დაკეტვა არაერთხელ განმეორდა, დოჟის ელჩმა ეშმაკურად შეაპარა მარგველს:

_ მტერი ხომ არ შემოსევია თქვენს ქვეყანას, რომ ყოველ ნაბიჯზე საომრად ამხედრებულ ჯარებს ვაწყდებით?

_ საქართველოს მიწა-წყალზე დიდი ხანია მტერს ფეხი აღარ დაუდგამს. ყარსისა და არზრუმის სანახებში ჩვენს მხედრობას საომარი წვრთნა აქვს გამართული და ჯარის ეს ნაწილი დანარჩენ ლაშქართან შესაერთებლად მიემართება.

_ საუცხოო ჰაერია თქვენს ქვეყანაში და მით უფრო დასანანია, რომ ქართული პურ-ღვინის შემდეგ ფეხის მტვერსაც უხვად ვყლაპავთ, _ ღიმილით თქვა საყვედური ელჩმა.

_ თავადაც შეწუხებული ვარ, ბატონო ელჩო, მაგრამ, ალბათ, თქვენშიაც ასეა, მხედრობას მუდამ თავისი გეგმა აქვს, ჩვენ არც გზას გვეკითხებიან და არც დროს.

ელჩებს ხმა აღარ ამოუღიათ. რაც უფრო ხშირად ხვდებოდნენ ლაშქრულით მიმავალ ჯარს, მით უფრო ემატებოდათ გაოცება მათი სიმრავლისა და აღჭურვილობის გამო. მოთმინებით უცდიდნენ მათ გავლას და გაკვირვებულნი აყოლებდნენ თვალს.

* * *

მეფემ გეგუთში გაუმართა პირველი დარბაზობა ვენეციის ელჩს.

ელჩმა დოჟის წერილი გადასცა. დოჟი ერთმორწმუნე ქართველთა ხელმწიფესთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილს აცხადებდა, საქართველოს ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის ნებართვას ითხოვდა და, თავის მხრივ, სამხედრო ხომალდების, იარაღისა და სხვა მრავალი საქონლის მიყიდვას სთავაზობდა.

მეფემ დიდი კმაყოფილება გამოსთქვა ზღვათა მპყრობელის წერილისა და კეთილი სურვილების გამო და ელჩებს აღუთქვა, რომ მათი კეთილი ზრახვების აღსრულებაში ყოველნაირად დაეხმარებოდა, ვენეციასთან მეგობრული ურთიერთობისა და კავშირის განმტკიცებასა და ვაჭრობის გაცხოველების საქმეს ხელს შეუწყობდა.

დარბაზობის შემდეგ ცოტა რომ ისერეს, სტუმრები იპოდრომზე მიიწვიეს.

ჯერ მარულა აჩვენეს.

ჯიშიანი ბედაურები მიწას გააკრეს ქართველმა მხედრებმა.

ყოველი ახალი წყების გამოსვლაზე მანძილი მატულობდა და ბოლოს იქამდე გაიზარდა, ზოგი ცხენი შუაგზაზევე მოეშვა, თანდათან ჩამორჩა და მწყობრი დატოვა.

ბოლომდე ყველაზე წინ მწითურმა ულაყმა მიატანა. გაქაფულ კვიცს შავი ძუა-ფაფარი გაშლოდა, ყურები დაცქვეტოდა და დაბერილი ნესტოებიდან ორთქლსა და ნაპერწკლებს ჰყრიდა.

უთვალავი მაყურებელი ერთი კაცივით წამოდგა.

_ ვა-შაა!

_ ვა-შაა!

გუგუნებდა ხალხი და ტაშის გრიალი იქაურობას აზანზარებდა.

ხელმწიფემ წამით თვალი მოაცილა მინდორს და გვერდით მჯდომ სტუმარს შეხედა.

ვენეციელი ელჩი ადგილზე ტოკავდა, ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა, რომ ფეხზე არ წამომხტარიყო და სხვებსავით არ ეყვირა.

ხელმწიფეს რომ შეხედა, უცებ ადგილზე გაქვავდა და სახეზე ისევ ის სიმშვიდის ნიღაბი აიფარა.

მარულა გათავდა და ყაბახი დაიწყო.

მაღალ სვეტზე დაკიდულ სამიზნოს შორიდან სტყორცნიდნენ ისარს ჭენებით გამოქანებული ცხენოსნები. გაჭენებულ ცხენებს ზედ ევლებოდნენ, წაღმა-უკუღმა ჯდებოდნენ და მუცელქვეშ ეკიდებოდნენ.

ცხენოსანთა სიკასკასემ მოხიბლა ვენეციის ელჩი.

_ დიდებული ცხენოსნები გყოლიათ, მსგავსი ჯერ არსად მინახავს, _ ხმამაღლა გაუზიარა ელჩმა მეფეს თავისი აღტაცება.

_ დიახ, ქართველები ძველთაგანვე კარგი ცხენოსნები ვართ. ჩვენი წინაპარი ფარსმან მეფე რომის იმპერატორის ადრიანეს დიდი მეგობარი იყო. იმპერატორი ხშირად უგზავნიდა ფარსმანს ძვირფას მოსაკითხებს. იმპერატორის თხოვნით, ერთხელ მეფე რომს ეწვია. ფარსმანს თან ცოლ-შვილი და დიდი ამალა ხლებია. განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, ჩვენს მეფეს, თურმე, რომის კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის ნება დართეს. ფარსმან მეფემ და მისმა მხლებელმა ქართველებმა რომაელებს ცხენზე მძიმე აბჯრით აღჭურვილებმა აჩვენეს მხედრული ვარჯიში და მაყურებელი მოხიბლეს. აღტაცებულმა ადრიანემ ცხენზე ამხედრებული ქართველთა მეფის ქანდაკება გააკეთებინა და მარსის მოედანზე დაადგმევინა რომში.

_ მაგ ქანდაკების გამო მეც მსმენია ცოტა რამ. ამბობენ, იშვიათი სილამაზისა იყოო. სამწუხაროდ, ქანდაკებამ ჩვენს დრომდე ვეღარ მოაღწია, მაგრამ ჩვენში ახლაც კარგ ძეგლებს დგამენ და ქართველთა მეფე რომ დოჟის მოწვევით ვენეციის სტუმრობას ინებებდეს, მისი ქანდაკება წმინდა მარკოზის მოედანს დაამშვენებდა, _ ელჩმა კრძალვითა და აღტაცებით შეავლო თვალი ხელმწიფეს და აღფრთოვანებულმა დასძინა, _ რომის იმპერატორებმა სილამაზის ფასი კარგად იცოდნენ, მაგრამ არა მგონია, ადრიანეს მეგობარი ფარსმანი ქართველთა ახლანდელ მეფეზე თვალტანადი და მოხდენილი ყოფილიყო.

მინდორზე მძიმედ შეჭურვილი ცხენოსნები გამოვიდნენ, ხმლები იშიშვლეს და ერთმანეთს შეუტიეს.

ცხენდაცხენ კვეთება, ხმლების ქნევა, ფარის ფარება, მართლაც, წარმტაცი სანახაობა იყო, ფარზე დაკვესებული ხმალი ბღუჯა-ბღუჯად ჰყრიდა ნაპერწკლებს და მინდორი უცებ ამოვარდნილ ქარიშხალს დაემსგავსა, ტყეს რომ სერავს ელვის ისრებით და ტანაყრილ ხეებს არხევს წასაქცევად.

განცვიფრებული ვენეციელები გულისფანცქალით შეჰყურებდნენ.

მარგველი ელჩისკენ გადაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

_ ჩვენი მეფეც ხშირად მონაწილეობს ხოლმე ასეთ ვარჯიშში და, მისი უდიდებულესობის პირფერობით არ ვამბობ, მუდამ გამარჯვებული გამოდის.

_ უცხო სტუმრების წინაშე, ჩვენი კარის გარიგების მიხედვით, ხელმწიფეს მხოლოდ ხარისხით თავის სწორთან შეჰფერის ვარჯიში, _ განმარტა მეფემ, _ როცა თქვენი დოჟი გვეწვევა სტუმრად, მასთან სიამოვნებით გავალ მინდორზე და მეგობრული პაექრობისათვის ვიშიშვლებ ხმალს.

* * *

იმ დღეს მეფემ დიდი პურობა გამართა. ვენეციელები კარგად შეეწყვნენ ქართულ სუფრას. ღვინოც ბლომად სვეს და თავისებურადაც მოილხინეს.

მეორე დღეს აკადემიის მოძღვართმოძღვრის წვევით ხელმწიფე და მისი სტუმრები გელათს გაემგზავრნენ.

მზე კარგა შემაღლებული იყო.

მშვენიერი დარი იდგა და სტუმრებს მგზავრობა საამოდ ეჩვენათ.

ვენეციის ელჩი აღტაცებული გასცქეროდა ბაღ-ვენახებში ჩაძირულ სოფლებს. ბევრისმნახველ ელჩს აოცებდა ეკლესიებისა და ციხეების სიმრავლე. ყოველ მთასა და გორაკზე, დიდი თუ არა, პატარა ეკლესია მაინც იდგა და ყოველი სოფლის მისასვლელთან თუ ხეობის კართან ცადატყორცნილი ციხე-სიმაგრე ხვდებოდათ.

მთაგორიან, ციხეებითა და ეკლესიებით მდიდარ უმბრიას აგონებდათ საქართველო ვენეციელებს, ოღონდ უმბრიისათვის დამახასიათებელი მირტის ხეები არ იდგა მთის წვერებზე და არც აკვამლებულივით ოდნავ დაბურული ჰაერი ერტყათ ირგვლივ. საქართველოს ცა კამკამა იყო და გამჭვირვალე.

მიხვეულ-მოხვეული გზები გაიარეს და უცებ სტუმრების წინაშე მომხიბლავი სანახაობა გადაიშალა. კლდოვანი ტყის დავაკებულ ადგილზე ტაძრების მთელი წყება აღიმართა.

დოჟის ელჩმა მარტო თხუთმეტამდე გუმბათი დათვალა. ტაძრების ირგვლივ უამრავი შენობა იყო გაბნეული.

ტაძრებისა და სხვა შენობების ამ ჯარს გარს დიდი გალავანი ერტყა, ისიც თლილი, ფერადი ქვით შემოსილი.

ელჩმა ცხენი შეაყენა. თვალი მოავლო გელათის ირგვლივ გაშენებულ სოფლებსა და ბაღ-ვენახებს.

დასავლეთით მდინარე სერავდა ვრცელ, მთაგორიან ხეობას. ბაღ-ვენახებში წითელკრამიტიან სახლებს ამოეყოთ თავი და გორაკებზე, გაღმა-გამოღმა, პატარ-პატარა ეკლესიები და ციხე-კოშკები ჩარიგებულიყვნენ. შორს, ცის დასალიერზე კავკასიონის მარადთოვლიანი მთები აზიდულიყვნენ.

_ მართლაც მშვენიერი და უნაკლო ადგილია! _ აღმოხდა ელჩს და პირი ისევ გელათისკენ იბრუნა.

_ ეს არის ახალ ათენად და ახალ იერუსალიმად წოდებული გელათის მონასტერი და აკადემია. აქედან მოეფინება მთელს ქვეყანას სიბრძნე და სწავლულობა ქართველი მოძღვრებისა და ფილოსოფოსებისა. _ აუხსნა ელჩს მარგველმა.

_ ჩვენი დიდი პაპის, დავით აღმაშენებლის მიერ არის აშენებული უმთავრესი ნაწილი გელათისა, _ განმარტა მეფემ, _ მას შემდეგ ქართველთა ყველა მეფე თავის წილად უმატებს ახალ შენობას, მამულსა და ყმას. თავად ჩვენი დიდი პაპა დავითი აქ განისვენებს. აქ არის დაკრძალული ჩვენი ნეტარი დედა მეფეთ მეფე თამარი და მეც, როცა ღმერთი მომიწოდებს, აქვე დავიმარხები, რადგანაც გელათი ქართველ მეფეთა საძვალეც არის.

_ აქ, მეორე ათენად წოდებულ გელათის აკადემიაში, მოღვაწეობდნენ სახელოვანი ფილოსოფოსები არსენ იყალთოელი და პლატონის მოძღვრების მიმდევარი იოანე იტალოსისა და მიქაელ ფსელოსის მოწაფე და თანამდგომელი იოანე პეტრიწი, მათი წიგნები ბლომად არის თარგმნილი ბერძნულად და, ვგონებ, ლათინთა ენაზედაც, _ დასძინა მარგველმა.

ფერდობებზე ფუტკრის სკები გახშირდა, ბაღებსა და ვენახებში ძაძით შემოსილი ბერები ტრიალებდნენ. ირგვლივ საოცარი სიჩუმე იყო და ელჩს თითქოს ესმოდა, როგორ უხმოდ და მზრუნველად მუშაობდა ყოველი არსი, მიწის სიღრმეში ჩასული ხის ფესვიდან დაწყებული და ცაში აფრენილი ფრთოსნით გათავებული.

ელჩი შედგა და ღრმად შეისუნთქა სუფთა, საამო ჰაერი.

უცებ ბოხმა ზარმა გაიზუზუნა და, თითქოს ნიშანს ელოდნენო, შეცხადებულივით აჰყვა უთვალავი დიდი და პატარა ზარი.

ხმაშეწყობილად, თანხმოვნებით რეკავდა ურიცხვი ზარი და მგზავრები თითქოს გონებითა და თვალით მიუწვდომელ სამეფოსკენ გაიტაცეს ამ ხმებმა.

მონასტრიდან კარგა შორს გამოეგებნენ სტუმრებს ხუცეს-მონაზვნები.

ეპისკოპოსებმა აიაზმის წყალი ასხურეს, ჯვარი გარდასახეს და გალობით გაუძღვნენ.

გალავნის კართან მოძღვართ-მოძღვარი გამოეგებათ.

მეფე ცხენიდან გადმოხდა და ყველანი ქვეითად მიეახლნენ მოძღვართ-მოძღვარს.

_ ეს არის ფილოსოფოსი ანტონი გელათის აკადემიის მეთაური, ან, როგორც ბერძნები იტყვიან, „დიდასკალონ ტონ დიდასკალონ“, _ გადაუჩურჩულა მარგველმა ელჩს, როცა მეფე ანტონს მიეახლა და ორგზის ემთხვია.

მოძღვართ-მოძღვარმა სტუმრების მისვლა აკურთხა, ქართულად და ლათინურად მიესალმა და მონასტრისკენ წარუძღვა.

მონასტრის რკინის კარმა მიიქცია სტუმრების ყურადღება. კარი აღმოსავლური ორნამენტითა და არაბული წარწერებით იყო აჭრელებული.

_ ეს განძის კარი იყო, _ განუმარტა ლაშამ ელჩებს. _ როცა ჩემი ნეტარი დედის პაპამ, დემეტრემ განძა დალაშქრა, ქალაქს კარი მოხსნა, დავლად წამოიღო და გელათის ჭიშკრად დაჰკიდა. აგერ, ამის მაუწყებელი წარწერაც, _ ხელი გააყოლა ლაშამ რკინის კარზე გამოყვანილ ასომთავრულ წარწერას.

თავად მონასტრის ჭიშკარი პატარა ეკლესიას ჰგავდა.

შესასვლელშივე საფლავის უზარმაზარ ლოდს დაადგა ფეხი ელჩმა, ძირს დახედა, შეჩერდა და უკან დაიწია.

_ აქ ჩვენი დიდი პაპა დავითი განისვენებს. ანდერძად დაუბარებია, ჭიშკარში დამმარხეთ, რათა ჩემს გულზე იაროს ხალხმაო, საფლავის ლოდზე წარწერილი სიტყვებიც მისივე შერჩეულია ფსალმუნიდან: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამასა დავემკვიდრო მე, რამეთუ მთნავს ესე“.

მეფემ ქართულად ამოიკითხა წარწერა.

მოძღვართ-მოძღვარმა ლათინურად უთარგმნა სტუმრებს და გზა განაგრძეს.

ვენეციელებმა სამსართულიან მაღალ სამრეკლოს შეავლეს თვალი. ჩუქურთმებით უხვად შემკულ სამრეკლოდან ახლა პატარა ზარებიღა რეკავდნენ წყნარად, ხმადაბლა.

ეკლესიებისა და სხვა შენობების შუა ღვთისმშობლის დიდი ტაძარი იდგა.

მოძღვართ-მოძღვარი იქით გაუძღვა მეფეს და სტუმრებს.

ღვთისმშობლის ეკლესიაში წირვა დასასრულს უახლოვდებოდა.

მონაზონთა გუნდი გალობდა და დროდადრო მღვდელმთავრის ლოცვა ისმოდა.

სტუმრების შესვლისას მთავარდიაკვნის ბანი გაისმა. ხმა ძლიერი და მჟღერი იყო, იქაურობა აავსო და ვიწრო სარკმლები ააზრიალა.

ხელმწიფე და ელჩები წინ დადგნენ, საკურთხევლის ახლო, პირჯვარი გადაიწერეს და სმენად იქცნენ.

ვენეციის ელჩს თვალი გუმბათისკენ გაექცა.

საკურთხევლის აბსიდის კონქიდან დამაბრმავებელი შუქი სვეტად ეშვებოდა.

ოქროსფერი მოზაიკის ფონზე ღვთისმშობელი მარიამი იყო გამოხატული ყრმა იესოთი.

ღვთისმშობელს მუქი ლურჯი სამოსი ეცვა. ოდნავ მარჯვნივ მობრუნებული ტანი და ფერების გასაოცარი შეხამება არაჩვეულებრივად აცოცხლებდა სურათს.

ვენეციის ელჩს მაშინვე ენიშნა; გრძელი, ნუშისებრი თვალებით, თხელი ცხვირით, გამოყვანილი ტუჩებით და მოგრძო სახით დედა ღვთისა უფრო ქართველთა მეფის კარზე ნახულ დიდებულთა სათნო ქალებს ჰგავდა, ვიდრე ბიზანტიის ტაძრებში გამოხატულ სახემკაცრ ღვთისმშობლებს.

ხელოვნების მოყვარულმა ელჩმა ისიც შენიშნა, რომ გელათის მოზაიკის კენჭების წყობა უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე კონსტანტინეპოლის სოფიის მიზაიკისა.

მარგველმა შეამჩნია, როგორი ხარბი თვალით უცქერდა ქართველი მხატვრის ქმნილებას ვენეციის ელჩი.

მაშინვე ლათინთა მიერ აკლებული კონსტანტინეპოლი გაახსენდა.

ვენეციელთა დოჟი დანდოლო ხანძრებისა და განადგურებისაგან გადარჩენილ ძეგლებს მზრუნველად ატვირთვინებდა თურმე ხომალდებზე და თავის სატახტოსკენ აგზავნიდა. ბარბაროსთა შემოსევებზე უფრო საშინელ ლათინთა რბევასა და ხანძარს ცოტა რამ გადარჩა. მათ შორის კონსტანტინეპოლის იპოდრომის მშვენება _ ლიზიპეს შესანიშნავი რაშებიც იყო.

დანდოლომ იმ რაშებს ახალი სამყოფელი მიუჩინა და ახლა ვენეციის წმინდა მარკოზის ტაძრის ბჭეს ამშვენებენ თურმე.

მარგველი კონსტანტინეპოლის დაცემის ჟამს საქართველოს ელჩად იყო დიდი ანდრონიკეს კარზე. ქართველთა ელჩი ხედავდა განსაცდელის მოახლოებას. ანდრონიკეს ურჩევდა ესარგებლა მისივე ნათესავის _ დიდი თამარის დახმარებით და საქართველოს ჯარი მოეშველებინა.

ანდრონიკე არ ჩქარობდა, არ ეგონა, თუ საშინელება ისე მალე დატრიალდებოდა.

როცა პაფლაგონიიდან ერთგული მხედრობა დასძრა და საქართველოსაც ჯარით შველა გამოსთხოვა, უკვე გვიან იყო. ქართველების ჯარმა კი არა, მისმა ერთგულმა პაფლაგონელებმაც

ვერ ჩაუსწრეს ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელ დიდგვირგვინოსანს. სატახტოს ბრბომ საშინელი წამებით მოკლა ერთ დროს თავისი სათაყვანო იმპერატორი.

საქართველოს ელჩმა ისღა მოასწრო, რომ განკითხვის დღის მოახლოებისთანავე ანდრონიკეს მცირეწლოვანი მემკვიდრეები საქართველოსკენ გამოიტაცა და სიკვდილისაგან იხსნა.

რამდენიმე წლის შემდეგ მარგველი ისევ მოხვდა კონსტანტინეპოლში. დანგრეული სატახტოს ნახვაზე ქართველ დიდებულს თვალზე ცრემლი მოადგა: მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშვენება, საზღაპრო სიმდიდრითა და სილამაზით განთქმული ბიზანტიის დედაქალაქი დამხობილი, გაძარცული და შეგინებული დახვდა.

ქალაქი რომ ფეხდაფეხ დაიარა და ყოველივე საკუთარი თვალით ნახა, მაშინ მიხვდა საქართველოს ელჩი, რა უბედურებაც მოეტანა ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად აღძრულ დასავლეთის ქრისტიანებს ერთმორწმუნე აღმოსავლეთისათვის.

მას შემდეგ უნდობლად ეკიდება მარგველი ლათინთა კეთილ სურვილებსა და განზრახვებს.

ვენეციელთა ეს ელჩიც, ახლა რომ გაფართოებული თვალით შესცქერის გელათის ღვთისმშობელს, სასოებაზე უფრო, ალბათ, ანგარ ფიქრებს ეძლევა და ეგებ იმას ანგარიშობს, თუ რა ფასად შეიძლება ქართველთაგან მისი შესყიდვა და ვენეციის რომელიმე ტაძარში გადატანა.

წირვა დასრულდა. მეფემ და მისმა სტუმრებმა მღვდელმთავრის დალოცვა მიიღეს და მოძღვართ-მოძღვარი აკადემიის დასათვალიერებლად წაუძღვა.

ღვთისმშობლის ტაძრიდან გამოსვლისას დოჟის ელჩმა ხმადაბლა ჰკითხა მარგველს:

_ ეს ძვირფასი მოზაიკა ბიზანტიურს არა ჰგავს, ნუთუ ქართველი ოსტატის ნამუშევარია?

_ დიახ, ქართველი ოსტატის ხელითაა შექმნილი, _ უპასუხა მარგველმა.

_ დიდად დაუმადლებდა ვენეციის დოჟი ქართველთა მეფეს, ამ მოზაიკის ოსტატს რომ დაგვითმობდეს დროებით. სან მარკოს ტაძარი მთლად მოზაიკით იხატება. თქვენი ღვთისმშობლის მხატვარი დიდოსტატი ჩანს და მისი ნამუშევარი ზღვათა მბრძანებელი ქვეყნის უმთავრესი ტაძრის მშვენება იქნებოდა.

კიდევ ერთ ეკლესიას აუარეს გვერდი და აკადემიის შენობაში შევიდნენ.

მოძღვართ-მოძღვარმა ერთ-ერთი დარბაზის კარი გააღო. მონაზვნის ძაძებში გამოწყობილი ყმაწვილები სულგანაბულნი ისხდნენ და შაოსან მოძღვარს უსმენდნენ.

მოძღვარი დაფაზე რაღაცას ხაზავდა.

_ აქ გეომეტრიის გაკვეთილია, _ აუხსნა სტუმრებს მოძღვართ-მოძღვარმა და მასწავლებელს ხელით ანიშნა, გაკვეთილი გაეგრძელებინა.

კარი მიხურეს და გზა განაგრძეს.

ასე თითო წუთით შეაღეს კარი არითმეტიკის, რიტორიკის, გრამატიკის, ფილოსოფიისა და ასტრონომიის სასწავლო დარბაზებშიც.

სართულის ბოლოში, სხვა ოთახებისაგან მოშორებულ დარბაზს რომ მიუახლოვდნენ, გალობა მოესმათ.

მაღალ კარზე დიდი ასოებით გამოყვანილი წარწერა ხმამაღლა წაიკითხა მარგველმა:

„ნეტარ არს ერი იგი, რომელმან იცის გალობაი და დიდებაი და შესხმაი“...

წარწერა ლათინურად თარგმნა მარგველმა.

_ კარგი ნათქვამია! ვისი სიტყვებია? _ იკითხა ვენეციელმა ელჩმა.

_ ქართული საგალობლიდან ამოღებული, ქართველი მგოსნის სიტყვებია, _ განმარტა მოძღვართ-მოძღვარმა.

_ ეს სიტყვები მარტო ქართველებზე კი არა, იტალიელებზეც ზედგამოჭრილია. თქვენი ხალხისა არ იყოს, ჩვენშიც ყველა მღერის, დიდი და პატარა, _ სიცილით თქვა ელჩმა.

მოძღვართ-მოძღვარმა უზარმაზარ თაღოვან დარბაზში შეიყვანა სტუმრები.

დარბაზს კედლების გასწვრივ ერთიანი გრძელი ქვის დასაჯდომები ჰქონდა. ამ „გრძელ სკამებს“ ფარდაგი ეფარა და ზედ ჭაბუკი ბერები ისხდნენ, ოთხივე კედელში თახჩები იყო გამოჭრილი. თახჩებში ტყვაგადაკრული წიგნები ელაგა.

დარბაზს ფართო, წრიულთაღებიანი ფანჯრები ჰქონდა.

ამაღლებულ ადგილას ხანშიშესული კაცი იდგა, ქადაგების ეშხში შესული ხმამაღლა, აღგზნებული ლაპარაკობდა და ხელებს იშველიებდა.

სტუმრების შემოსვლისთანავე მსმენელები ფეხზე წამოდგნენ.

მოძღვართ-მოძღვარმა ხელით ანიშნა, დამსხდარიყვნენ.

მეფე და მისი სტუმრები მარმარილოს გრძელ მაგიდასთან მიიწვია.

ყველანი რომ დასხდნენ, მოძღვართ-მოძღვარმა ორატორს მიმართა:

_ განაგრძეთ, ოღონდ უმჯობესი იქნება, ბერძენთა ან ლათინთა ენაზე ილაპარაკოთ.

ორატორმა ქართულად მეფის მცირე შესხმა თქვა, მერე უცხოელ სტუმრებთან მოიბოდიშა და წმინდა ლათინურით განაგრძო:

_ ამჟამად ჩვენი მაღალი სტუმრები ახალ ერუსალიმად და მეორე ათენად წოდებულ გელათის აკადემიის ფილოსოფიის გაკვეთილზე არიან. ჩვენთვის დიდი პატივია განათლებული დასავლეთის ელჩების სტუმრობა.

მას შემდეგ, რაც ლათინთა აღმოსავლეთის იმპერია საბერძნეთში დაფუძნდა, ევროპა ჩვენი უშუალო მოსაზღვრე და მეზობელი გახდა.

ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა იყო ძველი და ახალი რომი, ძველ რომზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, ჩვენი სტუმრებისათვის ნათქვამის განმეორება მოსაწყენი იქნებოდა, რადგან მათთვის თავიანთი ქვეყნის წარსული კარგად ნაცნობია.

ჩვენ ახლა იმაზე გვსურს განვაგრძოთ ქადაგება, თუ რა უნდა იყოს ახალი რომი და ვინ უნდა გახდეს მისი წინამძღვარი.

ძველი რომის დაცემის შემდეგ ბიზანტია იქცა ახალ რომად. დიდი ხნის განმავლობაში კონსტანტინეპოლი იყო ის სატახტო, საიდანაც არა მარტო ყველა ხალხისათვის სავალდებულო კანონები და ბრძანებები გამოდიოდა, არამედ სწავლა-განათლებაცა და სიბრძნეც ვრცელდებოდა მთელს ქვეყანაზე.

ბიზანტია ქრისტეს სარწმუნოების ბურჯი და მეორე ერუსალიმიც იყო, აქედან ვრცელდებოდა ქრისტეს მოძღვრება წარმართთა და ურჯულოთა შორის და კეთილი თესლი, ვითარცა ნათელი, ეფინებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს.

მაგრამ გამოხდა ხანი. შინაურმა შფოთმა და ურწმუნო ბარბაროსთა მუდმივმა კირთებამ შეარყია ბიზანტიის ძველი ძლიერება. ბიზანტიაც დაბერდა და დასუსტდა. მან ხელიდან გააგდო დროშა ქრისტეს სარწმუნოების წინამძღოლისა, დროშა პირველობისა და მსოფლიოს მპყრობელისა. მაგრამ არცა შემოქმედი ღმერთი და არცა მისი შექმნილი რაიმე ნივთი და საგანი არა ჰგუობს სიცარიელეს, არცა დროშა რჩება უმედროშეოდ და არცა ქვეყანა უწინამძღვროდ. აღმოსავლეთით აღმოხდა ახალი მნათობი, რომელმაც კვლავ განაბრწყინა ქვეყანა, ახალი ძალა მისცა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მებრძოლთ და ახალი სწავლისა და სიბრძნის გავრცელება იწყო.

ეს ქვეყანა საქართველოა!

ორატორი ოდნავ შეყოვნდა და თვალი სტუმრებს მოავლო.

სტუმრები სმენად ქცეულნი მისჩერებოდნენ.

ვენეციის ელჩმა პაუზით ისარგებლა და მარგველს ჩურჩულით ჰკითხა:

_ ვინ არის ეს მოძღვარი?

_ პეტრე გელათელია, ქართველი ფილოსოფოსი, _ ჩურჩულითვე უპასუხა მარგველმა.

_ ქართველებმა ჯერ კიდევ ქრისტეს მოძღვრების გავრცელების დასაწყისშივე იწამეს და მიიღეს ქრისტეს რჯული, უადრეს აწ განათლებული ბევრი ქვეყნისა და ხალხისა, _ განაგრძო გელათელმა, _ მაჰმადის რჯულის აღმსარებელ არაბ, თურქ და სპარს ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლებში გამოიწრთო ქართველობა და განუმტკიცდა ქრისტეს რწმენა. ხოლო ბაგრატოვანთა დიდებული მეფეების სკიპტრის ქვეშ ამაღლდა და გაძლიერდა საქართველოს სახელმწიფო. ჩვენი ახლანდელი დიდებული მეფის დიდი წინაპრის, საქართველოს სახელმწიფოს მამის დავით აღმაშენებლის მეფობიდან მოყოლებული, საქართველო იქცა ქრისტეს რჯულის ქომაგად აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ქართველთა ლაშქარი ჯვრის წამძღვარებითა და მახვილით იცავდა და იცავს ქრისტეს სარწმუნოებას ურწმუნოთა ძალმომრეობისაგან, იპყრობს და იმორჩილებს ბილწი მაჰმადის აღმსარებელ სამეფოებს და ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებას ავრცელებს წარმართთა და ურჯულოთა შორის.

საქართველოს ახლანდელ მეფეთა მეფეს ანდერძად დაუტოვა მისმა ნეტარმა დედამ, ქრისტეს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა დედოფალთ-დედოფალმა თამარმა, რათა იგი ეძიებდეს ქრისტეს საფლავს, იღვაწოს წმინდა ადგილების გამოხსნისათვის და დასდოს თავი თვისი და დაღვაროს სისხლი ყმათა თვისთა.

საქართველოს მეფეები შთამომავლები არიან დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონისა. ისინი დავითიან-სოლომონიანებად იწოდებიან და მათი უპირველესი მოვალეობა არის _ მოიხადონ ვალი მესიის მახვილისა.

პალესტინასა და საბერძნეთში, სირიასა და ბოლღარეთში ყველგან ქართველთა კერებია მიმობნეული, ქართულად აღავლენენ ლოცვასა, შესწირავენ შესაწირავს, მაგრამ ქართველთა უმთავრესი მიზანი ქრისტეს საფლავის გამოხსნისა, ჯერ კიდევ განუხორციელებელია.

საქართველო ამჟამად უძლიერესი სახელმწიფოა, მას მორჩილებენ მრავალნი ერნი აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთში. მას შესწევს ძალა უწინამძღვროს საქრისტიანოს, მოევლინოს მას ახალ რომად და ერუსალიმად. ქართველთა ლაშქარს აღარა ჰყავს წინააღმდგომი აღარც აღმოსავლეთსა და აღარც დასავლეთში. ადარბადაგანი, ირანი, ხორასანი და ერაყი ქართველთა შიშით კრთის, ჩვენი მოხარკეა და ჩვენს ბრძანებას ემორჩილება. ბიზანტიის ახლანდელი იმპერატორები ჩვენი ხელის შემყურენი არიან და ჩვენგან ელიან შეწევნას თურქთა მძლავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს უძლეველი ლაშქრისა და ქრისტეს სარწმუნოების წინამძღოლი არის ჭაბუკი მეფე ჩვენი, ახოვანებითა და ძალით, გონებითა და შემართებით მსგავსი ალექსანდრე მაკედონელისა და უფრო აღმატებულიც მხედრობასა და სიბრძნეთა შინა.

ქართველთა ლაშქარი ახალ ალექსანდრედ წოდებული ბაგრატოვანი მეფის წინამძღოლობით მზად არის დედამიწის ზურგიდან აღგავოს მისი ყველა წინააღმდგომი, გაათავისუფლოს ქრისტეს საფლავი და ერუსალიმის წმინდა მიწაში დაფლას ნეშტი თავისი დიდებული დედოფლის, ნეტარი თამარისა. ლათინთა დამეზობლება, ზღვათა მპყრობელი ვენეციის დაახლოება და მეგობრობა სასარგებლო იქნება ქართველთათვის ამ წმინდა მიზნის განხორციელებაში.

დიდი ხანია ებრძვიან ჯვაროსნები ურჯულოებს, ბევრ სისხლად დაუჯდათ მათ ეს ბრძოლა, მაგრამ დღემდე ყოველივე ამაოა და უშედეგოდ რჩება, რადგან ქრისტეს საფლავის გამოხსნა დავით წინასწარმეტყველის შთამომავალს, საქართველოს მეფეთა მეფეს _ გიორგის ადევს ვალად.

ეს ვალდებულება თვითონ ღვთის განგებითა და შთაგონებით მიიღო მან.

განგების ამ განაჩენის დასტურად ისიც კმარა, რომ დავითიან-სოლომონიან ბაგრატოვნებს დაბადებითვე ორთავ მხარეზე არწივი და ჯვარი აქვთ გამოხატული...

* * *

დიდხანს ილაპარაკა გელათელმა ქრისტეს ქართველი მხედრობის ძალასა და ძლევამოსილებაზე, საქართველოს მეფეთა მეფის მესიანურ მოწოდებაზე.

ვენეციის ელჩებმა გელათელი ფილოსოფოსის ქადაგებაში მეცნიერულად დასაბუთების ცდა დაინახეს იმ დიდი აღტყინებისა და ეროვნული მოძრაობისა, რომელსაც მაშინ საქართველო მოეცვა.

დარბაზიდან ღრმად ჩაფიქრებულნი მიჰყვებოდნენ ქართველთა მეფეს ზღვათამპყრობელი ქვეყნის ელჩები.

ელჩმა თავი აიღო და ფიქრიდან უცებ გამოერკვა. მეფის გვერდით ფშაურად გამოწყობილი მიგრიაული იდგა.

იმ დღეს მეფემ მოისურვა, მის მსახურებს თავიანთი კუთხის ტანსაცმელი ცმოდათ. ლუხუმს ფშაური ტალავარი ეცვა და ვენეციის ელჩმა პირველად ახლა შეამჩნია მეფის მცველის უცნაური აღკაზმულობა. ტალავარზე და ფარ-ხმალზე გამოხატული ჯვარი ენიშნა და მარგველს გაკვირვებულმა ჰკითხა:

_ მეფის მსახურებმა უკვე მიიღეს ჯვაროსნობა, თავადო?

_ არა, ბატონო, _ ღიმილით უპასუხა მარგველმა, _ ჩვენს მთიელებს ტანსაცმელსა და საჭურველზე ქრისტეს დაბადებამდის ჰქონდათ ჯვარი გამოხატული.

ამ ქვეყანაში ყველაფერი გასაოცარიაო, _ გაიფიქრა ელჩმა. მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო.

@თავი მეშვიდე. ხმალზე გაფრენილი კვიცი

ოცდახუთი წლის ქალი იყო ციცინო, როცა თავისი პატარა ლილეთი მთათუშეთში შეეხიზნა ზეზვა გაფრინდაულს.

არც თვითონ ამხელდა და არც ზეზვა ეუბნებოდა ვისმეს მის ვინაობასა და შთამომავლობას.

ციცინოს ქმარი და ქმრის მთელი ნათესაობა ტახტის ღალატისათვის ამოეხოცათ. ციცინო და ლილე შინ არ ყოფილიყვნენ, ლილეს უბედურ მამას მოესწრო ცოლის გაფრთხილება და ციცინო მთათუშეთში გახიზნულიყო მის ერთგულსა და მრავალგზის ნამსახურ ზეზვასთან.

მას შემდეგ აგერ თორმეტი წელი გავიდა, მთათუშეთში ცხოვრობს ციცინო და უბრალო თუშის ქალივით კარაქსა დღვებს და მატყლსა ჩეჩავს. ზეზვას ოჯახი ცდილობს ყოველგვარ სამუშაოს მოარიდოს ნებიერ ცხოვრებას შეჩვეული თავადის ქალი, მაგრამ ამ მივარდნილსა და ქვეყნისაგან მოწყვეტილ მთაში უქმად რა გააძლებინებს ადამიანს!

და უზის სართავსა და საქსოვს ზამთრის გრძელსა და ცივ ღამეებში ერისთავის ქალი ციცინო და იგონებს იმ დაკარგულ ბედნიერებას, რომელიც ცხრა მთას იქით, სადღაც დარჩა და რომელსაც ვეღარასოდეს დაიბრუნებს.

მეუღლის დიდი და მრავალრიცხოვანი გვარიდან განგებას თუ ციცინოს თავგანწირვას ეს პატარა გოგონაღა გადაურჩენია, რომელსაც უზომოდ მოყვარულმა მამამ მზის ძველთაძველი ღვთაების სახელი _ ლილე უწოდა.

სასახლის კარზე საზრდელად გაჩენილი ლილე ქოხში იზრდებოდა და ბერძნულისა და არაბულის მაგივრად, ბალღობიდან თუშურად უქცევდა.

რამდენადაც გარემოება ნებას აძლევდა, ციცინო მაინც ცდილობდა თავისი ქალისათვის შესაფერისი აღზრდა მიეცა. ლილემ ირმისა და ხარის ბეჭზე წერა-კითხვა ისწავლა, ხელსაქმე იცოდა და თავის ტოლ თუშ გოგონებში ღირსი თავდაჭერით გამოირჩეოდა.

პატარაობიდან ჩააგონა დედამ ლილეს, რომ დიდსა და კეთილშობილ გვარს ეკუთვნოდა და ამიტომ სხვებისთვის თავი არ უნდა გაეტოლებინა.

გვარის აღდგენისა და ხელახლა აღზევების მთელ იმედს ამ ერთადერთი შვილის გათხოვებაზე ამყარებდა ციცინო და ამიტომ სულ იმას ჩასჩიჩინებდა, რომ მისი მოწოდება საქართველოს დედოფლობა თუ არა, რომელიმე დიდი დიდებულის, ერისთავთ ერისთავის სასახლის ქალბატონობა მაინც იყო!

ლილეს დიდი გვარის საბუთად საბრალო ციცინოს მოგონებისა და ერთადერთი მედალიონის მეტი აღარაფერი შერჩენოდა. ამ მედალიონში ლილეს ამოწყვეტილი გვარის გერბი იყო გამოხატული: შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცი.

ამ ერთ დროს ძლიერი და გავლენიანი გვარის გერბი ადრე საბრძოლო დროშებს, კეთილნაშენი ტაძრების და ციხეების კედლებს, ზავისა თუ წყალობის უამრავ საბუთსა და ათასგვარ სიგელ-გუჯარს ამშვენებდა და ვერცხლისა თუ სპილენძის ფულის ნიშნებზე დამკვიდრებისაგანაც შორს აღარ იყო.

გვარის გაქრობასთან ერთად მისი ჰეროლდიკაც მოისპო _ შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცის გამოხატულება ციხეებთან ერთად გაქრა, ტაძრის კედლებიდან ჩამოიფხიკა და საგვარეულო დროშებთან და სიგელ-გუჯრებთან ერთად ცეცხლში დაინთქა.

ბუმბერაზი ვაჟკაცებით გაამაყებული ზვიადი გვარიდან ეს ერთი სუსტი გოგონაღა გადარჩენილიყო, ხოლო უთვალავ საგვარეულო ბეჭდებსა და გერბებზე გამოხატული ხმალზე გაფრენილი რაში ოქროს პაწაწინა მედალიონში შემალულიყო.

ლილე რომ ასაკში შევიდა, დედამ სიფრთხილესა და ზრუნვას უმატა. ასი თვალი და ყური ჰქონდა გამოსხმული, ეშინოდა, მისი ქალი რომელიმე უბირ თუშს არ გადაჰკიდებოდა და გვარის აღდგენისა და აღზევების იმედი სამუდამოდ არ დამსხვრეოდა.

ქმრის ანდერძი მარტო შვილის აღზრდას კი არ ავალებდა. ზეზვას ხელით გადმოცემულ უკანასკნელ ბარათში სასიკვდილოდ განწირული მეუღლე ევედრებოდა: „მიგითვალავ ქალსა ჩემსა ლილეს, დაიცავი მტერთაგან უვნებლად. დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, თუ ღმერთმან ინებოს აღზრდაი მისი, ვგონებ, რომელი შემძლებელ იყოს პყრობად სამკვიდროისა ჩემისა, რამეთუ კეთილითა ჰასაკითა არს ჰაეროვან“...

გვარის სამკვიდრო ციცინოს ქმრის მტრებს დაეტაცებინათ და შიგ თვითონ დამკვიდრებულიყვნენ. მამაპაპეულ მამულებსა და ციხეებზე უფლების აღდგენაზე ციცინოს ოცნებაც არ შეეძლო, რადგან ლილეს არსებობის განცხადებაც კი დაუყოვნებლივ აღფხვრიდა გვარის უკანასკნელ მემკვიდრეს.

ამიტომ ციცინო ქმრის ანდერძის ასრულების იმედს მთლიანად ლილეს იშვიათ სილამაზეზე ამყარებდა. მაღალ წრეებში აღზრდილმა ერისთავის ქვრივმა იცოდა, რომ ქალისათვის ტურფა გარეგნობა ის საბუთი იყო, რომელიც ლამაზს ყველა სიგელ-გუჯარსა და მზითვზე იოლად უხსნიდა გზას მამაკაცის გულისაკენ.

მთლად ღარიბი და უბედური ლილე ბუნებას ამ მხრივ ზომაზე უხვად დაეჯილდოვებინა. მისი მოსხლეტილი ტანი, მიბნედილი შავი თვალები, ყორნისფერი თმა და წარბ-წამწამი უკვე თუშ მელექსეების შთაგონებად ქცეულიყვნენ და ფანდურზე მარტო მამაკაცები კი არა, ამაყი თუშის ქალებიც მის ქებას ამღერებდნენ.

როგორც გაზაფხულის მზე გამოაღვიძებს და გარეთ გამოიტყუებს სოროში მიმალულ მძინარ ცხოველს, ისე ლილეს ჰასაკმა, ქალობაში შესვლამ გამოიყვანა თავისი სამალავიდან ციცინო. მან ფრთხილად იწყო ჯერ ჯარსა და საფიხნოში გამოსვლა, მერე ხატსა და დღესასწაულებზე სიარული. კახეთში ალავერდობაზე ჩასვლაც კი გაბედა შვილის ბედის მაძიებელმა ქალმა, მაგრამ ამაოდ: ყველგან იგივე უბირი მთიელები და გლეხკაცები იყვნენ, ხოლო აზნაურები მთის სახალხო დღესასწაულებს ნაკლებად ეტანებოდნენ და, თუკი სადმე გამოჩნდებოდნენ, მდიდარი გლეხებისაგან არც ქცევით განირჩეოდნენ დიდად და არც მდგომარეობით.

ციცინოს სურვილი მაღლა მიიწევდა, მიუწვდომლად მაღლა, მისი ოცნება მეფის სასახლეს დასტრიალებდა.

თავის ლილეს თამარ დედოფლის ტახტზე რომ წარმოიდგენდა, ჯალათის მიერ ცულით წაგდებული ქმრის თავი ისევ ფართო მხარბეჭიდან გაუცინებდა, უწყალოდ ამოჟლეტილი გვარის დიდთა და პატარათა კვნესა (გამუდმებით რომ ყურში ესმოდა) წამით მიწყდებოდა და ციცინო იმ წუთში ხედავდა, როგორი ზარ-ზეიმით უღებდნენ სამოთხის კარს მრავალტანჯულ რძალს დაღუპული მეუღლის ურიცხვი ნათესავები.

იგი ოცნებას ანგელოსის ფრთებით მიჰყავდა ზეციური ღრუბლებისაკენ, სადაც, ციცინოს რწმენით, მისი ქმარი და მთელი უდანაშაულოდ ამოწყვეტილი საგვარეულო ცხოვრობდა სამარადისო ბედნიერი ცხოვრებით.

ეს ფიქრი თუ ოცნება საქართველოს დედოფლის ტახტზე ლილეს ხილვისა, თავისი ცხოვრების მოწოდებად და წმიდა ვალდებულებად გადაქცეოდა ციცინოს. საკუთარ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს მხოლოდ იმისთვის უფრთხილდებოდა, რომ ქმრისა და გვარის წინაშე ნაკისრი ვალდებულება შეესრულებინა. მერე კი... მერე სიხარულით წავიდოდა თავის საყვარელ მეუღლესთან, რომელთანაც ტკბილი ცხოვრების ერთი წელიც არ ჰქონდა გატარებული. წავიდოდა პირნათელი და მისი ანდერძის ერთგულად შემსრულებელი, რათა წმიდათა საუკუნო ცხოვრებით დამტკბარიყო მასთან ერთად.

რამდენ კარგ მთიელს ეჭირა თვალი ლილეზე, _ ზოგ მათგანს ცხვარიც ბლომად ჰყავდა და ვაჟკაცადაც არ დაიწუნებოდა, მაგრამ ციცინოს არც ერთის გაგონებაც არ უნდოდა.

ერთი აშინებდა ციცინოს, ლილე არ მომტაცონ ამ თავზეხელაღებულმა მთიელებმაო. ღამე ლილესთან იძინებდა. მარტო თავის დღეში არ გაუშვებდა გარეთ და შეკრებილობაში მუდამ ზეზვას ვაჟებთან ერთად დაჰყავდა.

ზეზვას ვაჟების სახელით ქისტის ქალები ატირებულ ბავშვებს აჩუმებდნენ, ჭიუხში ირემს აღარ ედგომებოდა და ცაში არწივს და რომელი თავმოძულებული ვაჟკაცი გაბედავდა მათი შიშით გაფრინდაულებისთვის ღვიძლ დაზე უფრო მეტად საყვარელი ნადობისათვის ავი თვალით შეხედვას!

ერთხელ ველისციხეში დასახლებული ბიძაშვილი ეწვია ზეზვას. ქეთევანმა მოსვლისთანავე დაადგა თვალი ლილეს, მოუალერსა და წასვლისას საჩუქრები უსახსოვრა.

მეორედ რომ ამოვიდა ქეთევანი მთათუშეთში, ციცინო მაშინ მიხვდა მისი პირველად ამოსვლის მიზანსაც. თან ერთადერთი შვილი ამოიყვანა, უკვე ვაჟკაცობაში შესული ლუხუმი.

ციცინოს ყურადღება პირველი დანახვისთანავე მიიქცია ბარიდან ამოსულმა გოლიათმა. კარში რომ შემოტეულიყო, ორად მოიხარა ბუმბერაზი და ფართო მხარ-ბეჭი გვერდელად ძლივს შემოიტანა.

უზარმაზარი ქვევრის ბადიმებივით დიდსა და ტლანქ ხელში ჩაიკარგა ჩამოსართმევად გაწვდილი ციცინოს ხელი.

ვაჟკაცი არაჩვეულებრივად მაღალი და ტანბრგე ჩანდა. მწითურ სახეს კეხიანი ცხვირი და ჭროღა, გამჭრიახი თვალები სიცივისა და სიმკაცრის იერს აძლევდნენ, თუმცა მიგრიაული ბავშვივით მორცხვი და მიამიტი იყო.

უცნაურად იქცეოდა სტუმარი. ლილეს ყოველ შეხედვაზე მამალივით უწითლდებოდა თავკისერი, თავს დამნაშავესავით ხრიდა და ხელით დასაყრდნობს ეძებდა, თითქოს წაქცევისა ეშინოდა.

როგორც კი ლილე თვალს მოარიდებდა, ლუხუმი თავს აწევდა და დამშეული ნადირივით დიდრონი დაფეთებული თვალებით ისე უყურებდა ამ პატარასა და ნაზ ქალს, თითქო ეს არის, ჩაყლაპვას უპირებსო.

ციცინომ რამდენჯერმე შეასწრო თვალი მისი ერთადერთი ნუგეშისაკენ ხარბად მზირალ ვაჟკაცს და ამ ტლანქი, მოზვერივით თვალებბრიალა ჭაბუკის მიმართ რაღაც შინაგანი კრთომა თუ შიში იგრძნო.

დედა და შვილი ველისციხეში ისე გაბრუნდნენ, ქეთევანს ციცინოსათვის გადაკრულადაც არაფერი უთქვამს.

შემოდგომაზე ღვინო, ხილი და ჩურჩხელები გამოგზავნეს ბარიდან. ქეთევანი ზეზვასადმი მოწერილ ბარათში ციცინოს განსაკუთრებული სიყვარულით მოიკითხავდა და ბოდიშის მოხდით სწერდა, ეს მცირე ძღვენი _ ხილი და ჩურჩხელები _ ჩემმა ლუხუმმა შენს მშვენიერ ქალს გამოუგზავნაო.

გლეხი ქალის ამ თავხედობამ მოთმინებიდან გამოიყვანა ციცინო, _ ჩემს შვილს მაგათი საწყალობელი არაფერი სჭირსო, აყვირდა და ცივ მთაში ხილსა და ჩურჩხელებს დანატრებული ლილე ლუხუმის მოსაკითხს ახლო არ მიაკარა.

მერე ზეზვას ჩააცივდა, ეგ ძღვენი უკანვე გაუგზავნე იმ თავგასულ დედაკაცს, რომ მისმა გაუთლელმა ახმახმა ჩემი შვილის ხსენება აღარ გაბედოსო. შეწუხებულმა ზეზვამ ხილსა და ჩურჩხელებს თავისი ბალღები მიუსია, ხოლო ციცინო აღთქმით დაამშვიდა: მე თვითონ ჩავალ ველისციხეში და იმ ჩემს ნათესავს თავად ვეტყვი საკადრისსო.

ეს იყო და ეს, იმ დღიდან ქეთევანს და ლუხუმს ზეზვას სახლისაკენ აღარც ფეხი მოცდენიათ, აღარც მათ წერილს შეუწუხებია გაფრინდაულის ამპარტავანი ხიზნები.

ქეთევანი გულში შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, მაგრამ შვილს არ უმხელდა ზეზვას ნათქვამს. იგი კიდევაც დაივიწყებდა ციცინოს მშვენიერ ქალს, მაგრამ მის არსებობას გამუდმებით ახსენებდა ლუხუმის მოუსვენრობა და ჩუმი ოხვრა.

იმ დღიდან, რაც მთათუშეთში, ზეზვას სახლის ზღურბლზე გადადგა ფეხი, ლუხუმი საქმეს გულს ვეღარ უდებდა, ერთ ადგილზე ვერ დგებოდა და ღამე დიდხანს შამფურივით ტრიალებდა ლოგინში ძილგატეხილი.

ზოგჯერ ისე გამოებლიტებოდა თვალი ფიქრისაგან, რომ სუფრაზე ჭამას წყვეტდა და უაზროდ რაღაც საგანს მიაშტერდებოდა.

დედას უფრო ის აწუხებდა, რომ შვილის აფორიაქება მისი ბრალი იყო. მან ნახა პირველად ლილე, ჯერ თვითონ დედა მოიხიბლა ციცინოს ქალის სიტურფით, მერე შვილი წაიყვანა მის

სანახავად, აჩვენა და დაღუპა კიდეც. ხედავდა ყოვლისმხედველი დედის გული შვილის განსაცდელს, არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა და თვითონაც შვილზე მეტად იტანჯებოდა, რადგან საშველი არსად ჩანდა.

* * *

ქეთევანის ქმარი მგელიკა მიგრიაული რომ მესისხლეებს გაერიდა და ველისციხეში დასახლდა, ერთხანს მიწის დამუშავებას მიჰყვა, მაგრამ ქისტების რბევასა და ვაჟკაცებში მემჯობინობას ნაჩვევმა მთიელმა ყანისა და ვენახის დამუშავებას გული ვერ დაუდო და თოხი და ბარი ისევ ხმალზე და შუბზე გაცვალა.

იმ დროს ქართველთა ლაშქარი საქართველოს სამხრეთით მოსაზღვრე ქვეყნებზე ლაშქრობდა და მგელიკა მიგრიაულიც მხარგრძელების მხედრობას გაჰყვა, არჭეშისა და არდაველის აღებაში მიიღო მონაწილეობა და შინ სახელიანი დაბრუნდა.

როცა მხარგრძელებმა ხორასანზე ილაშქრეს, მგელიკა მიგრიაული პირველი შევიდა მარანდში იმ რჩეულ ხუთას მხედართან ერთად, რომელთაც თაყა თმოგველი სარდლობდა.

წინამბრძოლებს ზაქარია ამირსპასალარისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, მტრის დიდ ჯარს არ შებრძოლებოდნენ, სანამ მთავარი მხედრობა არ მოეწეოდათ. თუ წინ მტრის მნიშვნელოვანი ძალები შემოხვდებოდათ, თაყაიდინს ამირსპასალარისათვის უნდა ეცნობებინა და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მთავარსარდალი უბრძანებდა.

წინამბრძოლებმა მარანდის აღმართი აიარეს და ქალაქის თავზე, ვაკეზე დაბანაკდნენ. კლდეებში შეხიზნულმა მარანდელებმა „იხილეს მცირე ლაშქარი და აღიჭურეს, მოუხდეს ზარითა და ამბოხებითა, რამეთუ საწუნელ უჩნდეს სიმცროისათვის“.

თაყა თმოგველი თავისი რჩეული ხუთასი ვაჟკაცითურთ თავგანწირვით ეკვეთა მომხდურებს, უმრავლესნი დახოცეს, ხოლო მცირედნიღა აოტეს და კარგა ხანს სდიეს.

მარანდის თავზე გვიან ამოსული ქართველთა ლაშქარი სანახაობამ გააოცა. თაყაიდინის ბანაკიდან ერთი კაციც აღარსად ჩანდა, ხოლო ბრძოლის ველი მარტოოდენ დახოცილ მარანდელებს დაეფარათ.

წინამბრძოლ ქართველთა ასე კვალწმიდად გაქრობით შეწუხებული ამირსპასალარი საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, სად და როგორ ეძებნა დაკარგული მეომრები.

ცოტა ხნის შემდეგ მტრის დევნისაგან შემოქცეული ქართველები გამოჩნდნენ. ხუთასივე გმირი ცოცხლად გადარჩენილიყო, გამარჯვებულ თაყას ერთი კაციც არ დაკლებოდა.

თაყა თმოგველი მადლობასა და ჯილდოს ელოდა, მაგრამ მთავარსარდალი კუშტად შეხვდა გამარჯვებულ ხელქვეითს, ლაშქრის წინაშე დატუქსა და შეარცხვინა ამბის უცნობლად შებმისათვის.

წინამბრძოლი რაზმი დაშალა მხარგრძელმა, მათგან ერთი ნაწილი თავრეზში დატოვა გარნიზონად, მეორე _ მიანაში.

მგელიკა მიგრიაული ამ მეორე რაზმში მოხვდა, რომელიც ნებით, უომრად დამორჩილებულ მიანაში ჩააყენა მხარგრძელმა. ძლევამოსილმა ქართველთა ლაშქარმა გზა განაგრძო და ხორასნის სიღრმისაკენ გაემართა. ქართველებმა ბრძოლით აიღეს ზანგანი და ყაზვინი მოარბიეს.

დრო გადიოდა, შორს წასული ქართველთა ლაშქრისა აღარაფერი ისმოდა.

მიანაში ვიღაცამ ქართველი მხედრობის დამარცხებისა და დაღუპვის ჭორი მოიტანა. მიანის ვერაგმა მელიქმა ეს ჭორი ირწმუნა, ქართველთა გარნიზონი შეიპყრო და სხვებთან ერთად მგელიკა მიგრიაულიც ძელზე ჩამოჰკიდა.

ნადავლისა და ნატყვენავის სიმძიმემ და სიმრავლემ ქართველებს ხორასნის სიღრმეში გზის გაგრძელება გაუძნელა და ძლევამოსილები უკან შემობრუნდნენ.

მიანაში მომხდარი უბედურება რომ შეიტყო, ზაქარია მხარგრძელი გააფთრდა. დამნაშავენი დედაბუდიანად ამოაჟლეტინა, თვითონ მელიქი ცოლ-შვილითა და თანამზრახველებითურთ მინარეთზე ჩამოაკიდებინა, ხოლო ქალაქი მოსწვა და მოაოხრა.

სამშობლოში დაბრუნებული თაყაიდინ თმოგველი მარანდის გმირების ასე უსახელოდ დაღუპვაში თავის თავსაც დამნაშავედ თვლიდა.

თავისი ქონების ნაწილი მიანაში დაღუპულთა ოჯახებს გაუყო და თავად ბერად აღიკვეცა.

თმოგველის ნაწყალობევით მგელიკას ქვრივმა მცირე სავენახე ადგილი იყიდა და ვაზი ჩაჰყარა.

ეს პატარა ვენახი იყო მთელი ის მემკვიდრეობა, რაც შორეულ ხორასანში ლაშქრობის, ბრძოლისა და გამარჯვებების ჯილდოდ დაუტოვა მგელიკა მიგრიაულმა თავის ცოლ-შვილს.

დედა და შვილი თავდადებით შრომობდნენ, მაგრამ პატარა ვენახს იმდენი რა უნდა მიეცა ღარიბი გლეხისათვის, რომ საქართველოს ტახტზე მეოცნებე ციცინოს სასურველ სასიძოდ ჩვენებოდა ლუხუმი.

დედა-შვილი რომ ამ უიმედობასა და სასოწარკვეთილებაში იყო, ლაშარის დღესასწაულმაც მოაღწია.

ქეთევანმა ჩვენება ნახა: ლაშარი გამოეცხადა, თავის ძველ ყმას სამსახურისა და ბეგარის დავიწყება უსაყვედურა და ხატში მისვლა უბრძანა.

დედა-შვილმა ჩარდახიან ურემს სამსხვერპლო მოზვერი გამოაბა და ღვინითა და შესაწირავით ფშავისკენ გაემართა.

ლაშარის ხატში ერთხელ კიდევ პირისპირ შეხვდნენ ლუხუმი და ქეთევანი ლილესა და ციცინოს.

მედიდური სალმით ერთხელ კიდევ ცივწყალგადასხმული ქეთევანი თავის მოჩარდახულში განაპირდა. ლუხუმი კი აჩრდილივით აედევნა ამპარტავან დედა-შვილს.

ციცინო და ლილე ზედაც არ უყურებდნენ „აბეზარ ახმახს“, გაურბოდნენ და კუშტი გამოხედვით იცილებდნენ თავიდან, მაგრამ ლუხუმი მაინც არ ეშვებოდა, უკანმიტოვებული, წინიდან გაუვლიდა და, უნდოდათ თუ არა, პირისპირ აწყდებოდა.

ლილემ და ციცინომ გადაწყვიტეს, ზეზვას ვაჟებისთვის შეეჩივლათ, მაგრამ მათი შეწუხება აღარ დასჭირდათ.

ლუხუმის მამის _ მგელიკას სისხლისმძებნელ ხევსურებს შორიდან შეენიშნათ მიგრიაულის ქვრივი, ხალხში ლუხუმის ვინაობა გამოეკითხათ და როცა ყველაფერი გაერკვიათ, სისხლის ასაღებად აღძრულიყვნენ.

ლილეს დევნისაგან გაოგნებულ ველისციხელს ხევსურები გადაუდგნენ, მხარი გაჰკრეს და საჩხუბრად აემრიზნენ.

ლუხუმი თვალით ხალხში დაკარგულ ლილეს დაეძებდა და მათი გამოწვევა არაფრად ჩაუგდია. შარზე დამდგარ ვაჟკაცებს ზედაც არ შეხედა და გზა განაგრძო.

მაშინ ერთმა ხევსურმა მხარზე ხელი დაჰკრა და შემობრუნება დაუპირა.

მოსისხარმა მხარიც ვერ უქცია ველისციხელს, მაგრამ ლუხუმი შედგა და მგელივით კისერმოუბრუნებლად ჰკითხა:

_ რა გინდა, ძმობილო?

_ შენი ძმებ ფარეხში მაიკითხოდე! ხმალი გააძრე, თუ ვაჟკაცი ხარ! _ დასჭყივლა ხევსურმა და პირველმა თვითონ იშიშვლა ხმალი.

დანარჩენების ხმლებმაც რომ იელვეს ლუხუმის ირგვლივ, მხოლოდ მაშინ შეიძრა მიგრიაული, ამოდენა ვაჟკაცი ბურთივით შეხტა, უკან ისკუპა და მოქნეულ ხმლებს ხმალი შეაგება.

* * *

ციცინო დიდი იმედით არ წამოსულა ლაშარის ხატში. გუდანობასა და ალავერდობაზე გულგატეხილი ქალი არც ლაშარში ელოდა რაიმე განსაკუთრებულს.

ლილე უკვე გასათხოვრად მოწიფული იყო, ხოლო საოცნებო სასიძო არსად ჩანდა. ჯავრისა და ათასგვარი სნეულებისაგან დასუსტებულ დედას უკვე ძალა აღარ ჰყოფნიდა ლილეს სათხოვნელად მოძალებული მთიელების მოსაგერიებლად.

ფშავის ხევში რომ ამოვიდა, ჭორად გაიგო ციცინომ _ საქართველოს მეფეთ მეფე მოვა ხატში თავისი ამალითო. ამ ჭორს ათასგვარად ატრიალებდნენ. ზოგი იმას ამბობდა, თამარ მეფეს დავით სოსლანისაგან შვილი არ მიეცა, სანამ ლაშარის ხატს არ შემოეხვეწა მეფე-დედოფალიო. მსხვერპლის შეწირვისა და ლოცვით ღამისთევის შემდეგ ლაშარმა უსმინა თამარს ვედრება და მემკვიდრე ვაჟი მისცა. ამ ვაჟს ლაშარის პატივისცემით ლაშა უწოდეს და გიორგითაც უხმობენო.

თვითონ ხევისბერს, ჩალხია ფხოველს, ასე აეხსნა ლაშას წოდება: ლაშარი ძველად ქართველთა მზის ღვთაება იყო და მთელი საქართველო და კავკასია მას ეთაყვანებოდა. აფხაზეთში დღემდის ჩვენსავით სწამთ ლაშარი. აფხაზურად ალაშარს უწოდებენ და ქვეყნის განმანათლებელს ნიშნავს. თამარმა აფხაზეთში იღო მუცლად მემკვიდრე; იმ ადგილს, სადაც მაშინ მეფე და დედოფალი განისვენებდნენ, ლაშაფშა ანუ ლაშას წყალი ჰქვია და იქაც ლაშარის ხატის სალოცავი დგას. მეფეს ამიტომაც დაურქმევია ტახტის მემკვიდრისათვის ლაშაო.

ხატში მიმავალ მლოცველთაგან ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ლაშა დავით სოსლანმა დაარქვა უფლისწულს, რადგან ლაშარი ოვსთა და ქაშაგთა შორისაც ძლიერი ხატი ყოფილაო.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს ახლანდელი მეფის დაბადებას ყველა ლაშარის ხატის შეწევნად თვლიდა. თვითონ ლაშა-გიორგი ხატის ახლანდელი ხევისბერის, ჩალხია ფხოველის აღზრდილი იყო და ამიტომ მთიელები მეფისაგან ლაშარის ხატის ამაღლებასა და გაძლიერებას მოელოდნენ.

როცა ხმა დაირხა, ხელმწიფე ლაშარობაზე მობრძანდებაო, ეს ამბავი არავის გაკვირვებია და ყველამ დაიჯერა.

მეფე და მისი ამალა რომ გამოჩნდნენ, ციცინო მღელვარებამ შეიპყრო. თვითონ სააშკარაოზე გამოსვლას ვერ ბედავდა, ვაითუ, მეფის ამალიდან ვინმემ მიცნოსო. ცდილობდა, ლილე როგორმე მეფეს შეემჩნია, მაგრამ ვერ იქნა და პირისპირ ვერსად შეახვედრა.

როცა ხალხი მეფის კალთის სამთხვევად დაიძრა, ციცინომ წინ წაიმძღვარა ლილე და ის იყო მეფეს უნდა მიახლებოდნენ, რომ უბედურმა ქვრივმა შალვა ახალციხელი დაინახა.

ტახტის ერთგული შალვა ციცინოს ქმრის გვარეულობის ამოწყვეტის მონაწილე იყო და ამიტომაც დასცა თავზარი ერისთავის ქალს მისმა დანახვამ: არ მიცნოსო, იმ წამსვე პირი იბრუნა და შეშინებული მიიმალა.

ბოლოს, ლუხუმისა და ხევსურების ჩხუბის დროს, როცა მეფე ერთხელ კიდევ გაერია ხალხში, ციცინოს კვლავ იმედი მოეცა, მეფე ლილეს დაინახავსო.

შვილის მაღმერთებელ დედას თვითშთაგონებით სჯეროდა, რომ მეფისაგან ლილეს ერთი დანახვა საკმარისი იქნებოდა და ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მას ეხატებოდა ოცნებაში.

საუბედუროდ, ვაჟკაცების ჩხუბით გატაცებული ლილე მეფისკენ ზურგით იდგა, ლაშასაც ჰაერში ელვებივით გატყორცნილი ხმლებისთვის არ მოუშორებია თვალი და მშვენიერი ლილე შეუმჩნეველი დარჩა.

იმ რამდენიმე წამში, როცა მეფემ ლუხუმი თავისთან მიიხმო, თავისი ხმალი შემოარტყა და პირად მცველად აიყვანა, ციცინოს თავში ათასი ფიქრი და გადაწყვეტილება დატრიალდა.

მაშინვე მოძებნა ლუხუმის დედა, მიუალერსა და თავის კარავში მიიპატიჟა.

ქეთევანი მიხვდა, რომ მეფის წყალობამ მის ვაჟს ციცინოს ქალისკენ გზა გაუხსნა.

შინ დაბრუნებულმა ციცინომ ჯერ ზეზვა გაგზავნა ველისციხეში ნიადაგის მოსასინჯად.

კარგი ამბით დაბრუნდა ზეზვა. ლუხუმი მეფეს დიდ წყალობაში ჰყოლოდა. თურმე დღისით გვერდით არ იცილებდა და ღამით საწოლთან ედგა გუშაგად. მიგრიაული მეფის დიდძალ ნაწყალობევს ხშირად უგზავნიდა დედას და ზეზვას ვეღარც კი ეცნო მისი ნათესავის სახლ-კარი, იმდენად გაემშვენიერებინა და განეახლებინა ქეთევანს ყოველივე.

ციცინო ჩააფიქრა ზეზვას ნაამბობმა. ლუხუმი უკვე შემლებული აზნაური იყო და, ალბათ, კიდევ უფრო აღზევდებოდა. ციცინოს ოცნებას ლილეს გადედოფლებაზე, ეტყობოდა, განხორციელება არ ეწერა. თავად ციცინო გულისგატეხვასთან ერთად ძალ-ღონის კლებას, დაღლასა და რაღაც ჩუმი სენის მომძლავრებას გრძნობდა. ხვალ თუ ზეგ იქნებ სულაც ლოგინად ჩავარდნილიყო და ლილე უპატრონოდ დარჩენოდა. ლუხუმზე უკეთეს სასიძოზე ციცინოს ხელი არსად უწვდებოდა: მიგრიაულს ქონებაც დიდი ჰქონდა და მდგომარეობაც. საპატიო _

მეფის უახლოესი კაცი იყო. ციცინომ ისიც იცოდა, რომ მეფის მცველს თავდავიწყებით უყვარდა მისი ქალი. დედას თავის სიცოცხლეშივე უნდოდა ერთადერთი ქალიშვილისათვის ღირსეული პატრონის შოვნა და, რაკი უკეთესი არჩევანი არ ჩანდა, გადაწყვიტა, კარზე მომდგარი ბედისათვის ხელი არ ეკრა.

ამპარტავნებას ქედი მოსტყდა: ციცინო და ლილე, ვითომ გზად გამოვლილები, ესტუმრნენ ქეთევანს, ტკბილად მოკითხვასა და ნართაულ ლაპარაკს გულახდილი საქმიანი საუბარი მოაყოლეს და დედები შეთანხმდნენ, რომ ლუხუმის ჩამოსვლისთანავე შვილებს ნიშნობას გადაუხდიდნენ.

@თავი მერვე. ნასყიდაანთ ქარუმა

შემოდგომის მიწურული იყო. მეფეს ტრაპიზონის იმპერატორი კომნენი ჰყავდა სტუმრად.

ლაშა და მთელი სამეფო იმის ცდაში იყვნენ, სტუმრისთვის კარგად ეჩვენებინათ თავი.

სახელოვანი კომნენების უკანასკნელი შთამომავალი, ლაშას ახლანდელი სტუმარი საქართველოში იყო აღზრდილი. მისი დიდი პაპის ანდრონიკეს დამხობის დღეებში ბიზანტიის ტახტის მცირეწლოვანი მემკვიდრეები საქართველოს სამეფოს ელჩმა _ მარგველმა გამოგლიჯა სიკვდილის საფრთხეს და თამარის კარზე მოიყვანა. ყრმა უფლისწულებს მზრუნველად ზრდიდა მათი დიდი მამიდა თამარი.

თამარი არ სცნობდა კომნენთა გვირგვინის მიმტაცებელ დინასტიას და მტრულადაც იყო მათდამი განწყობილი. ბიზანტიის ახალმა იმპერატორმაც იმთავითვე მტრული მოქმედება დაიწყო თამარის მიმართ: საქართველოდან განდევნილმა თამარის პირველმა ქმარმა გიორგი რუსმა ორჯერ ჰპოვა თავშესაფარი ანგელოსთა კარზე და ორჯერვე ბიზანტიის სამხედრო დახმარებით სცადა საქართველოში დაბრუნება. თამარი ამას ვერ დაივიწყებდა ისე, როგორც ანგელოსთა გვარეულობა ვერ ივიწყებდა იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ტახტის კანონიერ მემკვიდრეებს, ანდრონიკეს შვილიშვილებს თამარი მფარველობდა და ბიზანტიის იმპერატორებად ამზადებდა.

როგორც კი უფლისწულები მოიწიფნენ, თამარმა ისინი ქართველთა მხედრობას ჩაუყენა სათავეში და შავი ზღვის სანაპიროს შეუსია.

ქართველთა ლაშქარმა თითქმის ბიზანტიის კუთვნილი მთელი სანაპირო დაიკავა და თამარმა ახალი, საქართველოს ტახტისგან დამოკიდებული ტრაპიზონის სამეფო შექმნა.

ახალი იმპერიის მეთაურის ალექსი კომნენის დედა-ენა ქართული იყო. ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებითა და ხასიათით იგი უფრო ქართველ უფლისწულსა ჰგავდა და, თუმცა მისი კარი ქართველებით იყო სავსე, გული მაინც სულ თბილისისკენ მოუწევდა.

თამარის გარდაცვალების შემდეგ, შავი ზღვის სანაპიროზეც ბევრი რამ შეიცვალა. ტრაპიზონს სამხრეთით რუმის სასულტნო აწვებოდა და, ალბათ, აქამდისაც ჩაყლაპავდა, კომნენის უკან ძლიერი საქართველო რომ არ მდგარიყო.

კომნენის ჩამოსვლის მიზანი სწორედ ის იყო, რომ მტრისათვის ტრაპიზონის სამეფოს საქართველოსთან ერთობა დაენახვებინათ.

შალვა და ივანე ახალციხელებმა ჯარების საბრძოლო დათვალიერება მოაწყვეს და ლაშქრის აღლუმს ორივე მეფე დაესწრო.

კომნენზე და მის ამალაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველთა საომრად მზადყოფნამ, კარგმა აღჭურვილობამ და ცხენკეთილობამ.

მეფეები ბურთაობასა და ცხენოსნობას შეექცნენ და, რაკი შემოდგომის მიწურული იყო, კომნენის თხოვნით, ჰერეთისკენ წამოვიდნენ გარეულ ტახებზე სანადიროდ.

კაკლით, ბროწეულითა და წაბლით სავსე ჰერეთის ტყეებში ადრეც უნადირნია კომნენს.

ძვირფასი სტუმრის პატივისცემაში ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ საქართველოს მთავრები და ერისთავები. მაგრამ ყველაზე მეტად თავგადადებული ჰერეთის ერისთავი იყო, რადგან სანადირო ტყეები სწორედ მის საერისთაოს ეკუთვნოდა და გვირგვინოსანი მონადირეებიც უფრო მისი სტუმრები იყვნენ.

ყოველ ხის ძირას, სადაც კი მეფეები ცხენებს შეაჩერებდნენ, სუფრა იყო გაშლილი. მესტუმრეებს იშვიათი ფრინველებისა და ნადირების კერძები მოჰქონდათ და ნაირ-ნაირი ქართული ღვინოებით მასპინძლობდნენ.

ლაშა-გიორგისა არ იყოს, ალექსი კომნენიც არ იკლავდა თავს სარწმუნოებისათვის. გემოსმიმყოლობითა და უზრუნველობით, თავისუფლად მოაზროვნე ფილოსოფოსებისა და მწერლების მფარველობით მისი სამეფო კარი მთელს წინა აზიაში იყო ცნობილი. ეკლესიაში ახალი იმპერიის მეთაური მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად და ხალხის დასანახავად დადიოდა, თორემ ქრისტეს სარწმუნოება ისევე არ სწამდა, როგორც მაჰმადის.

გზადაგზა, მონასტრებსა და ტაძრებში, მეფეების მობრძანების გამო, ძელისცემა და ლიტანიობა იყო, მაგრამ ნადირობას მოსწრაფე გვირგვინოსნები მშვენიერ წალკოტებში ჩამალულ განსასვენებლებს გვერდს უქცევდნენ და არსად ჩერდებოდნენ.

წინ მიმავალი მანდატურები და ერისთავთა მსახურები გზებზე წესრიგს იცავდნენ, მეფეთა მისასალმებლად გამოსულ ხალხს მათი ამალისკენ არ უშვებდნენ, აწვებოდნენ და აწყნარებდნენ.

გომბორზე შუამთის მონასტრის წინამძღვარი მოეგება მეფეებს მონაზვნების გუნდით.

ტყეში მიმავალ გვირგვინოსნებს პირველად ზღაპრული სირინოზების გალობა ეგონათ, შეჩერდნენ და ყური მიუგდეს მუხნარში დარხეულ წკრიალა ხმებს.

ცოტა ხნის შემდეგ საზეიმოდ გამოწყობილი წინამძღვარი გამოჩნდა თეთრკაბიან მონაზონთა გუნდით და მეფეების სიამოვნებაც მაშინვე გათავდა.

გვერდის აქცევა არ შეიძლებოდა და ხელმწიფეები იძულებული იყვნენ, მორჩილად ესმინათ მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-კურთხევა.

ჭაბუკი მეფეები თავდახრილნი მოსაჩვენარი სასოებით ისმენდნენ წინამძღვრის ლოცვას, ჩუმჩუმად კი ცისკენ თვალაპყრობილ ლამაზ მონაზვნებს აკვირდებოდნენ.

უცებ ხალხი შეჩოჩქოლდა. ლაშამ გვერდზე გახედვაც ვერ მოასწრო, რომ ფეხქვეშ თმაგაწეწილი ქალი ჩაუვარდა და ხუთი ბავშვი ტირილითა და ჟივილ-ხივილით შემოერტყა.

მანდატურები ატირებულ დედაკაცს და ბავშვებს ეცნენ.

_ არ წავალთ, თუნდაც მომკლათ, ვერ დამიშლით, მეფეს ჩემი უბედურება უნდა გავაგებინო... მხოლოდ ის თუ მიშველის, გულმოწყალე თამარის ძე! _ ყვიროდა ქალი და მანდატურებს უძალიანდებოდა.

ლაშამ მკაცრად ანიშნა და მსახურებმა მაშინვე ხელი უშვეს დედაკაცს. მეფემ მტირალი ქალი წამოაყენა და დაამშვიდა.

_ რა გაგჭირვებია, მიამბე ყოველი... _ დაყვავებით უთხრა მეფემ.

_ აკი ტყუილად არ მქონდა შენი წყალობის იმედი! გეტყვი, ყოველივეს გეტყვი... _ გაჰკიოდა დედაკაცი. _ ჩვენ სამონასტრო ყმები ვართ, ჩვენი გვარი ღვთივკურთხეულ ბატონებს მონასტრისთვის შემოუწირავთ და ჩვენს ვალდებულებად მონასტრის წყაროს მოვლა და სამსახური ჩაუწერიათ. სხვა ჩვენ არა გვევალებოდა რა ბატონისაგან. აი, ეს გუჯარია ამის მოწმე, _ შესტირა მეფეს დედაკაცმა, უბიდან კონკებში გახვეული გუჯარი ამოიღო და მეფეს მიაწოდა.

მეფემ დაგრაგნილი სიგელი გაშალა.

„...ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, უმიზეზო და მიზეზშემოუღებელი, ყოველთა კაცთაგან უცილობელი და მოუდევარი შეწირვის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ყმასა ჩვენსა ხიზანა ხოხიაშვილს. შუამთის მონასტრისთვის შეგვიწირიხართ ჩვენდა საოხად და წარსამართებლად და მამისა და დედის ჩვენის სასულიეროდ და მოსახსენებლად. სახლისაგან თქვენისა თვითოი შვილი მათ ოსტატად გაისწავლებოდეს და ჰკაზმიდეს მას წყაროსა. სხვა ბეგარა ამოგიკვეთეთ და არა სხვა ჩვენი სათხოვარი აღარა გეთხოვებოდეს რა, არცა ჩვენგან, არცა მონასტრისაგან“...

მეფემ თვალის ერთი გადავლებით წაიკითხა სიგელი და მომჩივანს შეხედა.

_ ჩვენს მამასა და პაპას წყაროს კაზმვის მეტი სხვა სამსახური არა ევალათ რა მონასტრისაგან. მე ხუთი შვილის დედა ვარ, ქვრივ-ოხერი. _ დედაკაცი ისევ აქვითინდა და გულში მჯიღი დაირტყა. _ ახლა მონასტერი მეც სხვა გლეხებსავით მთხოვს პურსა და ღვინის ბეგარას და მრავალ სამსახურს. მე რა სამსახური შემიძლია, ან პური და ღვინო სად მაბადია, ბალღები მშივრები დამიდიან, შიშველ-ტიტვლები.

წინამძღვარი გაფითრებულიყო, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მშველელს დაეძებდა, მაგრამ მეფის ამალაში არც კათალიკოსი იყო, არც ვინმე ხუცესთაგანი. მეფეს მეტწილად მასავით ჭაბუკები ახლდნენ და წინამძღვარი თანაგრძნობის მაგივრად მათ სახეებზე მხოლოდ დამცინავ ღიმილს პოულობდა.

ლაშამ ისევ სიგელს დახედა და ხმამაღლა წაიკითხა: „...ესე ასრე გაგითავდეს და არასოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა ნათესავთა და მომავალთაგან, ვინც ამის დაშლად და ქცევად ხელყოს, ჩვენთამცა ცოდვათათვის იგი განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა“...

მეფემ ბოლო სიტყვაზე ხმას აუმაღლა და წინამძღვარს რისხვით შეხედა.

წინამძღვარი ერთიანად ცახცახებდა, შიშს ქვედა ყბა მოეტაცებინა და მორყეულ კბილებს ციებიანივით ერთმანეთზე კაწკაწით ურტყამდა.

_ რად მოუშალე შეწირვის ფიცი, წინამძღვარო!

_ არ ვიცოდი, მეფე ბატონო! ჩემს უცნობლად მომხდარა, _ აჩიფჩიფდა წინამძღვარი, მუხლზე დაემხო და მიწას ეთაყვანა.

_ იცოდა... ეპისკოპოსთანაც ვიჩივლე, მაგრამ წინ დამიხვდა და გზა მომიჭრა, _ აყვირდა მომჩივანი.

_ დღეიდან სრულიად გამითავისუფლებია ხოხიაშვილის ქვრივი და მისი ობლები წყაროს კაზმვისა და ყოველი სხვა ბეგარისაგან. წინამძღვარი პასუხს აგებს კანონის დარღვევისათვის კათალიკოსისა და მეფის წინაშე. ხოლო ფიცის გატეხისათვის ღმერთმა საჯოს, როგორც შემწირველს დაუწერია! _ ბრძანა მეფემ და ცხენი დაძრა.

_ იდღეგრძელე, ხელმწიფევ! ღმერთმა გაგაძლიეროს ქვრივ-ობლების გაძლიერებისათვის... _ მისძახოდა მიწაზე ჩოქვით გამოდევნებული დედაკაცი.

კომნენმა ნახევრად შიშველ ბავშვებს ოქროს ფული აუბნია მაღლა, ერთხანს უყურა, როგორ საკენკზე მისეული წიწილებივით წიაქით ეცნენ გაფანტულ ოქროს ბავშვები, მერე იმანაც ცხენი დაძრა და მეფეს დაეწია.

გუნებაწამხდარმა მეფეებმა მდუმარედ განაგრძეს გზა.

მსახურები მეფის სამართლიანობაზე აღტაცებულნი ჩურჩულებდნენ. ყველაზე მეტად ლუხუმი გაეხარებინა ლაშას მეფურ ქცევას, იგი ადრეც სამართლიან და ლმობიერ ხელმწიფედ მიაჩნდა, ხოლო ახლა ხომ ღარიბებისა და ჩაგრულების ჭეშმარიტ მოსარჩლედ იწამა.

შერცხვენილი და საჯაროდ მეფის მიერ დამცირებული წინამძღვარი ურემზე მწოლარე დაბრუნდა მონასტერში.

მომღერალთა გუნდს ორი ულამაზესი მონაზონი დაჰკლებოდა. ეჭვით იცოდნენ, რომ ორივენი, კახეთის ერისთავის მოხერხებით, მეფეების ამალასთან ერთად გაჰქრნენ, მაგრამ ჯავრისაგან ისეც გონდაკარგულ წინამძღვრისათვის ამბის მოხსენება ვერ გაებედნათ.

მეფის მონადირეთუხუცესს კახეთისა და იმერეთის მონადირეთა ორას სამოცი სახლიდან ქუდზე კაცი გამოეყვანა და ნადირობის თადარიგი დროულად დაეჭირა.

ნადირობის დღეს უღრან ტყეს უთვალავი მარეკი და მწევარ-მეძებარი შეესია.

სამეფო კარავი ბერმუხის ქვეშ იდგა ტყის პირას და მეფეები ჭადრაკის მღერად ისხდნენ.

კარვის გვერდით შეკაზმული ცხენები ჰყავდათ მეფეებისთვის გამზადებული. დათქმული ჰქონდათ, მარეკები რომ ტახს წამოაგდებდნენ, მონადირეთუხუცესს მეფეებისთვის უნდა შეეტყობინებინა.

კართან ლუხუმი იდგა, მთლიანად კრინა-პოლოტიკში გამოწყობილი, სმენად და ხედვად გადაქცეული ველისციხელი მეფისმცველი. აგერ მესამედ გაირბინა ბერმუხებს უკან ტანსაცმელჩამოხეულმა თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა. ერთხანს დაჟინებით უცქირა ლუხუმს თუ მეფეების ცხენებს და მერე ხეებს იქით მიიმალა.

ეს ბიჭი ალაზნიდანვე აედევნა მეფის ამალას. ფეხშიშველი, სირბილით მოსდევდა შორიახლოს და ლუხუმმა ადრევე შენიშნა, რომ იგი ტრაპიზონის იმპერატორის ცხენს არ აშორებდა თვალს.

კომნენის წაბლა კვიცი, როგორც კი ამ ბიჭს მოჰკრავდა თვალს, აჭიხვინდებოდა, შეთამაშდებოდა და მიწას ტორით უწყებდა ცემას. ბიჭი მაშინვე გაერიდებოდა და ისევ ჩამორჩებოდა მეფის ამალას.

უცნობის ასეთი ქცევა ლუხუმს გარდა სხვებმაც შენიშნეს, მაგრამ არ გაჰკვირვებიათ, რადგან კომნენის ლამაზი კვიცის სანახავად სხვაც ბევრი მოიწევდა მეფის ამალისკენ.

კვიცი მწევარივით გრძელი, მაღალი და სხარტი იყო. შავი ძუა კოჭებამდის სცემდა, ხშირი ფაფარი ჯეჯილივით უღელავდა და შავწითელი გავა სარკესავით უბზინავდა. ნელი სვლის დროს ჯიშიან მაღალ ფეხებს ირემივით ფრთხილად ადგამდა, მაგრამ როგორც კი მხედარი ააჩქარებდა, ყურდაცქვეტილი შეხტებოდა და თამაშ-თამაშით ისე წამოვიდოდა, თითქო მიწას არ ეხებაო.

პერანგჩამოხეულმა ბიჭმა ისევ გამოიხედა სამალავიდან, კარავს თვალი მოავლო და ნელ-ნელა მოშორდა უზარმაზარ ხეს.

ბიჭი პირდაპირ ლუხუმისკენ წამოვიდა. ლუხუმს არ მოეწონა საეჭვოდ ადევნებული ბიჭის ქცევა, შუბი მოიმარჯვა და ნაბიჯი წინ წადგა. ბიჭი მიუახლოვდა, თვალი შიშით მიმოატარა და ჩურჩულით მიმართა:

_ ძია ლუხუმი არა ხარ?

_ ლუხუმი ვარ, შენ ვინღა ხარ?

_ მე ველისციხელი ნასყიდაანთ ქარუმა ვარ, _ მიუგო ბიჭმა და ნამტირალევი სახით შესცინა მიგრიაულს.

_ ბიჭოს, ვერ გიცანი, რამოდენა გაზრდილხარ, _ მხარზე დაჰკრა ხელი ლუხუმმა, _ აქ რას აკეთებ?

_ უნდა მიშველო, ძია ლუხუმ, შენს მეტი კაცი არა მყავს...

_ რა გაგჭირვებია, აქ როგორ მომაგენი?

_ ეს ქურანა კვიცი ჩემია, ძია ლუხუმ, _ სლუკუნით თქვა ბიჭმა და კომნენის წაბლაზე მიუთითა.

_ რას ამბობ, ბიჭო, არავინ გაგიგონოს! _ შეუწყრა ლუხუმი და ირგვლივ მიმოიხედა, არავის ესმოდესო, _ ეგ ცხენი ბერძენთა მეფისაა, ჩვენმა მეფემ საჩუქრად მიართვა...

_ თუ სინდისი მაქვს, ჩემი კვიცია. ხუთ წელიწადს მოჯამაგირედ ვმუშაობდი ვაჭართან ხორნაბუჯში. რაც ფული მერგო, მაგ კვიცში მივეცი. პატარა გავზარდე, ხელით ვაჭმევდი, ბავშვივით ვბანდი და ვუვლიდი.

_ ავად ხომ არა ხარ, ბალღო? _ გაოცებით შეხედა ლუხუმმა.

_ არა, მართალს ვამბობ, ძია ლუხუმ, ორი კვირის წინათ დავკარგე ალაზანზე, დღედაღამ ვეძებდი, ტანთ და ფეხთ შემომეხა აღმა-დაღმა ტანტალში. ათი დღის წინ მითხრეს, ალვანებში ვნახეთ შენი კვიციო, იქაც ავედი, მაგრამ რას ვიპოვიდი, კახეთის ერისთავს მიუგვრია მეფისთვის.

_ გაჩუმდი! _ ლუხუმმა პირზე ხელი დააფარა ნასყიდაანთ ბიჭს. _ აქ როგორ ბედავ მაგის ლაპარაკს!

_ მიშველე, ძია ლუხუმ, ყმად დაგიდგები...

_ მე რა შველა შემიძლია, ან შენი ყმობა რად მინდა, _ შებრალებით უთხრა ლუხუმმა.,

_ შეგიძლია, როგორ არ შეგიძლია, _ შეემუდარა ბიჭი და მუხლებზე მოეხვია, _ მეფესთან შემიშვი, შევეხვეწები, შემიბრალებს...

_ მეფესთან ვერ შეგიშვებ, ნაბრძანები მაქვს, _ ჩურჩულებდა ჩაფიქრებული ლუხუმი და თან ცდილობდა, ფეხებზე მოხვეულ ქარუმას ხელებისაგან გათავისუფლებულიყო.

_ არ შემიშვებ? მართლა არ შემიშვებ? მაშინ აქვე მომკალ შენი ხელით... _ აუწია ხმას სასოწარკვეთილმა.

_ მეფესთან ვერ შეგიშვებ. სხვა რამ უნდა ვიღონოთ... ადექი... ადექი...

ბიჭი მძიმედ წამოდგა და იმედმოცემული თვალებით შეაჩერდა მეფის მცველს.

_ აქ ნუ გამოჩნდები, წადი. ხვალ ალაზანზე დამხვდი... რამეს ვიღონებ... _ დააიმედა ლუხუმმა.

ის იყო, ბიჭმა წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ შემობრუნდა და ეჭვიანად იკითხა:

_ მომცემენ კია ჩემს კვიცს? წაართმევენ ბერძნების მეფეს?..

ლუხუმი შეკრთა, არ მოელოდა ამ კითხვას. მართლაცდა, ვინ მისცემდა ნასყიდაანთ ქარუმას ბერძენთა მეფისათვის ნაჩუქარ კვიცს! ლაშა მთელ სამეფოს უფრო იოლად დაუთმობდა ვისმე, ვიდრე თავის ნაჩუქარს გამოართმევდა უკან გვირგვინოსან სტუმარს.

_ იქნებ ისა სჯობდეს, შენ არ დამინახო, ჩემი წაბლა აგე, მანდ არი, ორ ნაბიჯხე, უცებ მოვახტები და გავფრინდები.

_ არა, რას ამბობ, ეგ შეუძლებელია!

_ შეუძლებელი რად არი, ძია ლუხუმ... შენ ვითომ ვერ დაგვინახე, დანარჩენი მე ვიცი... _ შეემუდარა ქარუმა.

_ არა, ეგ შეუძლებელია, ორივეს მოგკლავენ, შენცა და შენს ცხენსაც...

_ მოგვკლან, თუ მოგვკლავენ. ქვეყანაზე ყველას ვინმე ჰყავს და მე მაგ კვიცის მეტი არა მაბადია რა. უმაგისოდ თავს მაინც არ ვიცოცხლებ... _ ამოუჯდა გული ნასყიდაანთ ბიჭს.

_ ეგ შეუძლებელია-მეთქი... წადი, სხვა რამეს ვიღონებ... _ უკვე ხვეწნით უთხრა ლუხუმმა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რა უნდა ეღონა.

ქარუმამ ერთხელ კიდევ გაიხედა კვიცისკენ, ლაგამწაყრილი ქურანი ქერს ახრამუნებდა არხეინად.

_ წაბლა!.. ჩემო წაბლა!.. _ წაიდუდუნა ბიჭმა და თვალებიდან ცრემლები გადმოჰყარა.

კვიცმა უცებ პირი გააჩერა, გაილურსა და ყური მიუგდო ნაცნობ ძახილს. მერე ელამად გადმოიხედა და ერთი ხმამაღლა შესჭიხვინა.

_ წადი-მეთქი! ახლავე გამეცალე! _ შეუტია ლუხუმმა და შეშფოთებულმა ხელის კვრით ძლივს დაძრა ადგილიდან გაჯიუტებული ნამოჯამაგირალი.

_ წავალ... სულ რბენით წავალ, ოღონდ რამე მიშველე... ოღონდ... _ ერთხელ კიდევ შესტირა ბიჭმა და სირბილით გაშორდა.

ლუხუმი ჩქარი ნაბიჯით გადი-გამოდიოდა კარვის წინ. საიდან გაჩნდა ეს ბიჭი! გუნება ერთბაშად მოუშხამა და გონება შავი ფიქრებით აუფორიაქა. რა ეშველება ნასყიდაანთ ქარუმას, რით უნდა უშველოს ლუხუმმა? საბრალოს სახლი არ გააჩნია და კარი. ობლობაში მეზობლების ხელისწყობით წამოიზარდა, ლუხუმის დედა ქეთევანიც რამდენჯერ შესწევია, ხან შვილის გამონაცვალი ტანსაცმლით, ხან საჭმლით... ჯერ თავად რა ჰქონდა ლუხუმს და მერე მისი გამონაცვლით და მონარჩენით ხელგამართულის ცხოვრება რა უნდა ყოფილიყო! მარჯვე ბიჭი იზრდებოდა ნასყიდაანთ ქარუმა. გამგონე და მუყაითი, სოფელში ყველას უყვარდა, საქმეს არ ზარდებოდა და რითაც შეეძლო, ცდილობდა, ყველასათვის სამაგიერო სამსახური გაეწია. ვისაც გასაგზავნი კაცი დასჭირდებოდა, ქარუმას ეძახდა, ვისმეს წყლის მოსატანად არ ეცალა _ ქარუმა იქ იყო, ნახირი უნდა გაერეკნათ, ქარუმამ საბალახოები კარგად იცოდა, და ასე მთელი სოფლის მოსამსახურე იყო ქარუმა. არც თვითონ ეზარებოდა ვისმესთვის თავისი მცირე სამსახური და არც იმას ამადლიდნენ ალალ პურს.

ცოტა რომ წამოიზარდა, ველისციხეში გზად გამოვლილ ვაჭარს მოუვიდა თვალში მკვირცხლი ბიჭი, პირობა სოფლის თავკაცებთან შეუკრა და მოჯამაგირედ წაიყვანა ხორნაბუჯში.

ხუთ წელიწადს უმსახურია იმ ვაჭართან ნასყიდაანთ ქარუმას. ვინ იცის, რა ჯაფა და წვალება, რამდენი დამცირება და გაჭირვება გადაუტანია ობოლ ბიჭს ამ ხნის განმავლობაში! მერე იმ ხუთი წლის ბოლოს რაც განსაცდელის საზღაური მიუღია, უჭკუოს სულ ამ კვიცში გადაუყრია. მაინც რამ აფიქრებინა იმ საცოდავს კვიცის ყიდვა! სხვა აღარა აკლდა რა უსახლკარო და უმიწაწყლო ობოლს?

მერე ისიც ამისთანა კვიცი რამ აყიდვინა, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩება თვალი. განა არ იცოდა, რომ ქვეყანა ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი კვიცი რა უმიწაწყლოსი და უგვაროს საქმე იყო? ამქვეყნად ყველა მასზე ძლიერი და შეძლებულია და როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს უყენებდა და გულს შურით უვსებდა.

თუმცა კი რატომ არ უნდა ეყიდნა, ან რატომ არ უნდა შეერჩინათ, ისიც ხომ ადამიანი იყო, სილამაზე ხომ მასაც სხვებსავით იზიდავდა და სიყვარულიც სხვასავით ეცოდინებოდა?! მერე რა, რომ ღარიბი იყო და უპატრონო, განა მეფე და კანონი მისი პატრონი და მფარველი არ უნდა ყოფილიყვნენ?

ამ კითხვაზე ლუხუმმა უნებურად მეფის კარვისკენ გაიხედა: კარავში მეფეები ჭადრაკს შეექცეოდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

ისინი შორს, ძალიან შორს იყვნენ არა მარტო ქარუმას სადარდებლისაგან, არამედ აგერ მათი კარვის კართან მდგარი ლუხუმის საფიქრალისგანაც.

ლაშამ მარჯვე სვლა გააკეთა, კომნენი მძიმედ ჩაფიქრდა.

მასპინძელი უკვე უიმედოდ თვლიდა სტუმრის მეფის გადარჩენას, არხეინად იჯდა და ჭადრაკის დაფას აღარც უყურებდა. უცებ კართან მიგრიაულს მოჰკრა თვალი, მცველს გაჭირვებაში ჩავარდნილ კომნენზე ანიშნა და ბავშვურად გახარებულმა ალალად გაუღიმა.

ლუხუმი მეფის უშუალობამ მოხიბლა და იმ წუთს ლაშასთან რაღაც ადამიანური სიახლოვე იგრძნო.

„არ იცის, ნამდვილად არ იცის, რა უსამართლობა ხდება. ერისთავის ძალადობა რომ იცოდეს, დასჯიდა და ობოლ ქარუმას თავის ცხენს დაუბრუნებდა, უსათუოდ დაუბრუნებდა! აკი დასაჯა შუამთის წინამძღვარი და ქვრივ-ობლები მონასტრის ბეგარისაგან გაათავისუფლა! უთუოდ ვეტყვი ნასყიდაანთ ბიჭის გასაჭირს, დროს შევურჩევ მოწყალე მეფეს და მაშინ ნახოს თავგასულმა ერისთავმა, შერჩება თუ არა გლეხების ძარცვა და აწიოკება“, _ ფიქრობდა თავისთვის ლუხუმი და, მეფის სიკეთეში დარწმუნებული, კარავთან მშვიდი ნაბიჯით მიმოდიოდა.

სადღაც ახლო ბუკის ხმა და ძაღლების წკავწკავი გაისმა.

უცებ ტყიდან გავეშებული ტახი გამოვარდა და კარვის ახლოს დაფეთებული დატრიალდა. მეფეები ფეხზე წამოცვივდნენ, სათხედებს ხელი დაავლეს, ცხენებისაკენ გაიქცნენ, სწრაფად ამხედრდნენ და ღორს დაედევნენ.

პირველმა კომნენმა შეუტია ტახს. სათხედი სტყორცნა და დააცდინა.

დაფეთებული ტახი შეხტა, კომნენის ცხენს ეშვი ჰკრა და ცხენკაცი ორივე წააქცია.

ცხენქვეშ მოქცეული იმპერატორი ქურანის წამოყენებასა და ადგომას ცდილობდა.

ისევ მოუხდა ტახი და ის იყო, ორივე უნდა გაეთავებინა, რომ ლუხუმის შუბი შიგ მკერდში ეცა და გულაღმა გადააბრუნა. ლუხუმმა მეორე დაკვრით გაათავა მხეცი და ყველანი კომნენს მისცვივდნენ.

წაქცეულ კვიცს მხედარი სანახევროდ ქვეშ მოეგდო. ცხენი ფაშვგადმოყრილი ეგდო და სასიკვდილოდ ფართხალებდა. ლუხუმი მომაკვდავი ქურანის დანახვაზე გახევდა, ბაგეები აუთრთოლდა და თვალზე ცრემლი მოეძალა.

ლაშა წაქცეულ ცხენს და კომნენს ეცა წამოსაყენებლად. მონადირეებიც მოიჭრნენ, ცხენი წამოაყენეს და იმპერატორი მძიმე ტვირთისაგან გაათავისუფლეს.

წელს ქვემოთ ცალი მხარე მთლად დალურჯებული ჰქონდა და საშინლად სტკიოდა ალექსის. იმპერატორი ციმციმ ასწიეს და კარავში შეიტანეს.

ლუხუმი მარტო დარჩა მომაკვდავ წაბლასთან ჩაჩოქილი. გულმომკვდარი, ცრემლიანი თვალებით დაჰყურებდა ბრგე ვაჟკაცი ლამაზი ცხოველის სულის ღაფვას და ყურში ნასყიდაანთ ქარუმას განწირული ხმა ესმოდა: ქვეყნად ყველას ვინმე ჰყავს, მე ამ კვიცის მეტი არა გამაჩნიაო რაო.

ის დღე უსიამოდ გათავდა.

კომნენს ექიმები ეხვივნენ და შეწუხებული ლაშა თავით არ შორდებოდა. ცოტა რომ მოიხედა, იმპერატორმა თავისი გადამრჩენელი მოიკითხა და კარავში ლუხუმი შეიყვანეს.

_ შენი მადლობა რით უნდა გადავიხადო, მეფის მცველო, სიკვდილს ხელიდან გამომგლიჯე და გადამარჩინე. _ ნელი, მისუსტებული ხმით მიმართა ალექსიმ, _ კომნენების დიდებულ გვარში, ჩემი ძმის დავითის სიკვდილის შემდეგ, ჩემს მეტი აღარავინ არი. ჩემგან ელის უზარმაზარი ბიზანტიის იმპერია ძველი დიდებისა და ბრწყინვალების დაბრუნებას. ჩემი დიდი წინაპრების სატახტოში უკურთხებლად სიკვდილი არ მინდა. თუ კაცი ვარ, ქართველთა მეფის

დახმარებით შევძლებ კონსტანტინეპოლის ტახტზე ასვლას და იმპერიის ძველი დიდების აღდგენას. ცოდვა იქნებოდა ჩემი ასე უბრალოდ და უსახელოდ სიკვდილი. განგებამ ისე მოაწყო, რომ შენ გადაგარჩენინა ჩემი სიცოცხლეც, ბიზანტიელი ხალხის იმედიც და კომნენების სახელოვანი გვარიც მოსპობისაგან. მე რომ კონსტანტინეპოლში ვეკურთხები, შენს ძეგლს მთავარ მოედანზე დავადგმევინებ, მანამ კი რაც გსურდეს, მთხოვე, არაფერს დაგიჭერ, რადგან, სიცოცხლის გარდა, ჩალად მიღირს ყოველი სიმდიდრე და ქონება.

ლუხუმი გაუნძრევლად იდგა და უსმენდა.

მას ცოტა ხნის წინ ერთადერთი სათხოვარი ექნებოდა კომნენისათვის _ ნასყიდაანთ ქარუმას წაბლა. როცა გაშმაგებულ ტახს უტევდა, წამით სწორედ ამ ფიქრმა გაუელვა და თავგანწირვისთვის გაათამამა.

გადარჩენილი კომნენი ძეგლის დადგმას და ნახევარ სამეფოს სთავაზობდა, იმ ერთ კვიცზე როგორ ეტყოდა უარს. მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა და ბედი მარტო ნასყიდაანთ ქარუმას კი არა, მასაც არ ჰქონია, ლუხუმ მიგრიაულს. როგორ უნდოდა ობოლი და უქონელი მეზობლის შველა, სადღა და რაშიღა გამოადგება მეფესთან დაახლოებული ლუხუმი დაჩაგრულ გლეხკაცს, ეს ერთი შემთხვევა ჰქონდა და ისიც ბედმა ხელიდან გამოაცალა.

_ რით დაგაჯილდოო, მიგრიაულო, მითხარი სათხოვარი... _ გაუმეორა კომნენმა.

მიგრიაული ფიქრისაგან გამოერკვა და ცივად მოახსენა.

_ მე ჩვენი მეფის წყალობითა და ჯილდოთიც კმაყოფილი ვარ, მეფევ ბატონო, სათხოვარი არა მაქვს რა.

ლაშასა და იქ მყოფ ქართველ დიდებულებს მოეწონათ მეფის მცველის პასუხი და ერთიმეორეს ამაყად გადახედეს.

_ რაკი არ ამბობ, ჯერ ეს იყოს, _ კომნენმა თავის ვაზირს გატენილი ქისა ჩამოართვა და ლუხუმს გაუწოდა. _ ჯერ ეს იყოს, ბიზანტიის იმპერატორი კვლავაც არ დაივიწყებს შენს სამსახურს.

ლუხუმი არც შერხეულა, კომნენს ჰაერში გაწვდილი დარჩა ოქროთი სავსე ქისა.

იქ მყოფი ვაზირები ხარბი თვალით მიაჩერდნენ ქისას. უკვირდათ ველისციხელი გლეხის ამპარტავნება, როგორ არ დაეცა მუხლებზე და ხელები როგორ არ დაუკოცნა იმპერატორსო.

კომნენმა, ალბათ, იფიქრა, მეფის ნებადაურთველად ვერ მართმევსო, ლაშასკენ გაიხედა და უსიტყვოდ შესთხოვა, ებრძანებინა ჯილდოს მიღება.

_ ჩამოართვი, ლუხუმ, სტუმრისა და იმპერატორის გაწბილება სირცხვილია... _ უბრძანა მეფემ. _ ჩემის მხრივ, აზნაურობა, ყმა და მამული მიბოძებია! სხვაც თუ რამ სათხოვარი გქონდეს, კვლავ მომახსენე და აგისრულებ.

ვაზირებმა და ერისთავებმა თანხმობისა და მოწონების დასტურად თავი დახარეს და იღბლიან მეფის მცველს ქვეშ-ქვეშ გახედეს.

ლუხუმმა მძიმედ წაიღო ხელი კომნენის ქისისკენ. მას თვალწინ სასოწარკვეთილი ნასყიდაანთ ბიჭი ედგა და მისი ცოდვით თვალზე ცრემლი ადგებოდა. მეფის უკანასკნელ სიტყვებზე თავი აიღო და პირისპირ მდგარ კახეთის ერისთავს თვალი თვალში გაუყარა.

სხვა სათხოვარი რა ექნება ლუხუმს, როგორც კი მეფეს დაიმარტოხელებს, ობოლი ქარუმას კვიცის ამბავს ეტყვის და მაშინ ნახოს ამ თავგასულმა ერისთავმა, როგორც დასჯის სამართლიანი მეფე!

ამ ფიქრმა გაუელვა თუ არა, ლუხუმი მუხლზე დაეცა და ორივე მეფეს ეთაყვანა.

* * *

იმ საღამოს ქურმუხელმა მონადირეებმა უამბეს ლუხუმს: ტახისაგან წამხდარი ცხენის გადაგდება ებრძანებინა მონადირეთუხუცესს, მათაც აეწიათ და შორს წაეღოთ ხევში გადასაგდებად.

გზაზე ვიღაც ბიჭი შემოხვდომოდათ, მკვდარ ცხენს მივარდნოდა, მოხვეოდა, შუბლი და თვალები დაეკოცნა.

მათ კითხვაზე პასუხი არ გაეცა, არც ვინაობა ეთქვა და არც სადაურობა. ტირილით რომ გული ეჯერებინა, შეხვეწნოდა _ ყვავ-ყორნების საგლეჯად ნუ გაიმეტებთ, მე გავუთხრი მიწას და დავმარხავო. მონადირეები დათანხმებულიყვნენ.

საფლავი ერთად გაეჭრათ და ცხენისთვის მიწა მიეყარათ.

უკან მობრუნებულებს ის საოცარი ბიჭი ისევ საფლავზე დაეტოვებინათ.

მიგრიაულს თვალწინ ედგა უბედური ნასყიდაანთ ბიჭი და სიბრალულისაგან ცრემლები ყელში ებჯინებოდა.

_ თავის ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო! სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა, _ დაასკვნეს მონადირეებმა და მერე სხვა ამბავი, ტყუილი თუ მართალი, მოაყოლეს.

* * *

ნადირობა ჩაიშალა. მეფეები აიყარნენ და თბილისისკენ გაბრუნდნენ.

ლუხუმი რამდენიმე დღით მეფეს დაეთხოვა და ველისციხისკენ გაემართა.

ალაზანთან პირობისამებრ დაუხვდა ნასყიდაანთ ქარუმა, მიგრიაულმა დაიქვეითა და უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი.

ერთხანს ორივე დუმდა.

მერე ლუხუმმა ამოიდგა ენა:

_ ტახს რომ არ მოეკლა, ნამდვილად დავიხსნიდი შენს წაბლას. ბერძნების მეფე სიკვდილს გადავარჩინე და რა უნდა მეთხოვა, რომ არ აესრულებინა. ეს ჯილდო, ძალით, უფრო შენთვის ავიღე და შენი იყოს. ამ ფულად, ერთს კი არა, ცხენების მთელ რემას იყიდი.

ლუხუმმა კომნენის ნაჩუქარი ოქროს ქისა გაუწოდა ქარუმას, მაგრამ ხელი ჰაერში დაეკიდა. ბიჭი ქისას თვალს არიდებდა და გამოსართმევად ხელს არ ძრავდა.

_ აიღე, შენი იყოს, ღმერთმანი, მასიამოვნებ, _ შეეხვეწა ლუხუმი. თავჩაღუნულმა ქარუმამ ზედაც არ შეხედა ლუხუმს, ისე იკითხა:

_ მეფეს თუ აცნობე ჩემი საჩივარი?

_ ვერა... ყველაფერი უცებ მოხდა და ვერ მოვახერხე. მაგრამ მოვახსენებ, უთუოდ მოვახსენებ, როგორც კი დავიმარტოხელებ...

_ საჭირო აღარ არი, ძია ლუხუმ... მე თვითონ მოვძებნი კანონსამართალს, _ მტკიცედ თქვა ნასყიდაანთ ქარუმამ და მოქუფრული სახით გაშორდა სახტად დარჩენილ ლუხუმს.

_ მოიცა, ქარუმ... სად მიხვალ...

_ განა მე ვიცი, სად მივალ? _ წამით შემობრუნდა ქარუმა. _ მამაჩემის ნასახლარი ბატონს დაუბარვინებია და თავისი ზვრისთვის შეუერთებია. წასასვლელიც აღარსადა მაქვს.

_ ჩემთან წამოდი, ქარუმ, ჩემსას იყავი, _ შეეხვეწა ლუხუმი.

_ სხვის კარზე სამადლოდ ყოფნა მომწყინდა, ძია ლუხუმ, ბალღი აღარა ვარ. მე ვიცი, სადაც წავალ, _ მუქარით თქვა ქარუმამ და გასცილდა.

_ მოიცა, ქარუმ... გამიგონე... თავს არაფერი აუტეხო, _ მისძახოდა მიგრიაული, მაგრამ ნასყიდაანთ ბიჭს მისი აღარ ესმოდა, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ.

ახლად გააზნაურებულმა მიგრიაულმა მშვენიერი სახლი იყიდა, მეფის ბოძებული მამულები მიითვალა და ლილეზე იქორწინა.

ლილე ბაწარგამობმული კრავივით მიჰყვა დედის ნებას. არაფერი ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ხედავდა, რომ ლუხუმს უამრავი ფული ჰქონდა, ყველა და მათ შორის ლილეს ამაყი დედაც დიდი პატივით ეპყრობოდნენ მიგრიაულს, მაგრამ ყველასათვის საპატიო ვაჟკაცი მის წინაშე ძველებურად წითლდებოდა, ენას კარგავდა და თავგზა ებნეოდა.

ნაირნაირი შეუკერა საპატარძლოს ლუხუმმა, ფარჩა-აბრეშუმში გამოაწყო და თვალ-მარგალიტში ჩასვა.

ისედაც მშვენიერი ლილე ერთიორად გამოჩნდა და დამშვენდა, საქორწინო გვირგვინს რომ ადგამდნენ, ყველას თვალი მასზე რჩებოდა და აქა-იქ ჩურჩულიც გაისმოდა: იღბალი ჰქონია

ლუხუმს, ამისთანა ქალი სად იშოვაო. მხრამდი ვერ სწვდებოდა ბუმბერაზს ყვავილივით ნაზი ქალი.

ორივე გაოგნებული იდგა საქორწინო გვირგვინქვეშ _ ერთი _ უსაზღვრო ბედნიერებით, მეორე _ გაუგებრობითა და რაღაც გაურკვეველის მოლოდინით.

ციცინო და ქეთევანი აივნიდან გაჰყურებდნენ შინისკენ მობრუნებულ მაყრიონს.

ციცინომ წინა ღამე თეთრად გაათენა თავის ერთადერთი შვილის ბედზე ფიქრში: იგი ხედავდა, რომ გააზნაურებული ველისციხელი გლეხი ბევრით არაფრით სჯობდა იმ სასიძოებს, რომლებიც ბუზებივით ირეოდნენ ლილეს გარშემო და რომელთაც მანამდის ლილეს ყმობის ღირსადაც არ თვლიდა იგი. ერთადერთი უპირატესობა, რის გამოც ციცინომ ასე უეცრად მიაგდო არჩევანი ლუხუმზე, ის იყო, რომ მიგრიაული მეფის ახლობელი კაცი ხდებოდა. იგი უკვე აზნაური იყო და დიდებისა და აღზევების გზა გახსნილი ჰქონდა. დღევანდელი აზნაური ხვალ ერისთავი და იქნებ ერისთავთერისთავიც გამხდარიყო, მათ შვილსა და შთამომავლებს ძალა და სიმდიდრე ექნებოდათ და, ვინ იცის, ეგებ მათ განეხორციელებინათ ბაგრატიონთაგან ამოწყვეტილი გვარის მემკვიდრის საქართველოს ტახტზე ასვლის ოცნება.

ვაითუ, ამ უბირ გლეხს, გულწრფელსა და უეშმაკო მიგრიაულს საამისო არც სწრაფვა ჰქონდეს და არც შემართება ეყოს. მაშინ ხომ სამუდამოდ გააზნაურებული გლეხის ცოლად უნდა დარჩეს ლილე და, ახლა, ქორწილის წინა ღამეს, პირველად დაეჭვდა ციცინო თავისი რწმენის საფუძვლიანობაში: ტახტის მემკვიდრეების მაგივრად ლილემ ამ უგვარო გლეხის ქალის, ქეთევანის შთამომავლები უნდა ამრავლოს.

_ არა, ეს როგორ იქნება! _ ამოიძახა შეშფოთებულმა ციცინომ. ლოგინში გვერდი იცვალა და საშინელი ფიქრისგან თავი რომ დაეღწია, ისევ წაძინება სცადა.

მაგრამ ამაოდ. გამფრთხალი ძილი ახლო აღარ ეკარებოდა. თავი უბრუოდა და ყურები უგუბდებოდა. ტვინში თითქო ცეცხლი ეკიდა და საფეთქლებთან მძიმე ურეოებს სცემდნენ. როგორც იქნა, ასე შფოთსა და მოუსვენრობაში გათენდა. ციცინო წამოდგა, მაგრამ თავბრუ და სიცხეც თან აჰყვა, ეგონა, უძილობის ბრალიაო და უღონობას არ გაუტყდა. ჯერ ქორწილისა და სუფრის თადარიგში ჩაება, მერე ლილეს მიეშველა მორთვა-მოკაზმვაში.

ლილე რომ ეკლესიაში გაისტუმრა ჯვარის საწერად და ამ ფუსფუსს მორჩა, მხოლოდ მაშინ იგრძნო უჩვეულო დაღლა. აივანზე ცოტა ხნით ტახტს მიესვენა. როგორც წამოწვა, მთელ სხეულზე ცეცხლი მოედო და თვალთ ბინდი გადაეკრა.

ატყობდა, რომ ცუდად იყო, მაგრამ მაინც იძალა და უდროო დროს წოლას ფეხზე დგომა არჩია.

შორიდან მაყრული მოისმა და ორივე დედა აივნის მოაჯირს მიეკრა, რომ ხეების კენწეროებს იქით როგორმე საყდრიდან მომავალი მაყრიონი დაენახათ.

ფეხის მტვერი თანდათან მოახლოვდა. ჯერ მახარობელი მოიჭრა, დედები დაკოცნა და მიულოცა. მერე მაყრიონიც გამოჩნდა და მაყრულის გუგუნმა იმატა.

მაყრიონის თავში მოდიოდა მეფე-დედოფალი. ბედნიერებით სახეგაბრწყინებული ქეთევანი თვალს არ აშორებდა შვილსა და რძალს, ორივე ერთნაირად ლამაზი და უხინჯო ეჩვენებოდა და ჯაფითა და ჯავრით დაღარულ სახეზე სიხარულის ცრემლი სდიოდა.

მხოლოდ სიცხისაგან გაბრუებული ციცინო ვერ ცნობდა, თუ არ ცნობდა მისი შვილის გვერდით მომავალ ლუხუმს, რწმენადქცეული წარმოდგენა თვალს უბრმავებდა უბედურს და გააზნაურებული გლეხის ადგილას საქორწინო გვირგვინქვეშ საქართველოს ნამდვილ ხელმწიფეს ხედავდა.

_ ლუხუმ, შვილო! _ შესძახა აღტაცებულმა ქეთევანმა და კიბეზე დაეშვა მეფე-დედოფლის შესაგებებლად.

მაშ, ეს მართლა ლუხუმი ყოფილა, გააზნაურებული ველისციხელი გლეხი და არა საქართველოს მეფეთ მეფე, დიდი თამარის მემკვიდრე ლაშა-გიორგი.

ციცინომ თვალები ბეცივით მოჭუტა და ლილეს გვერდით მომავალ ვაჟკაცს მიაშტერდა.

...მეფეო, შენსა გვირგვინსა
ოთხკუთხივ ჯვარი სწერია.

წამოიწყო რომელიღაც მაყარმა.

რწმენადქცეულმა წარმოდგენამ ისევ იმძლავრა და მიგრიაულის სახეს კვლავ ნისლი გადაებურა.

კართან გადაჯვარედინებულ ხმლებქვეშ გაიარა მეფე-დედოფალმა, ლუხუმმა ზღურბლთან გასატეხად დადგმულ თეფშზე შედგა ფეხი. ნამსხვრევებად აქცია და სახეგაბრწყინებული ციცინოსაკენ წამოვიდა.

თვალთაგან ნისლი გაიფანტა და ციცინომ კარგად გაარჩია მის გადასახვევად ხელგაშლილი, სიხარულისაგან წამოჭარხლებული ლუხუმი, ჭროღათვალებიანი და სახემწითური ქეთევანის ვაჟი.

ციცინოს თვალთ დაუბნელდა და მუხლები მოეშვა. რეტდასხმულმა ერთი ამოიოხრა და გულწასული ჩაიკეცა.

* * *

ციცინო ლოგინად ჩავარდა.

ლუხუმმა დიდი ქორწილი გადაიხადა, სამ დღეს აუღებელი სუფრა იყო გაშლილი. ლილე მოუცილებლად დედას ადგა თავს და საქორწინო სუფრაზე ორჯერაც არ მჯდარა მეფის გვერდით.

დედის მძიმე ავადმყოფობით შეშფოთებულმა ლილემ პირველი ღამე შიშსა და ძრწოლაში გაატარა...

იგი გრძნობდა, მისთვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, ახლა რომ მეზობელ ოთახში იწვა, სიცხისაგან მისუსტებული, ნელ-ნელა ქრებოდა და ხელიდან ეცლებოდა.

ხოლო ეს კაცი უცხო იყო მისთვის და შორებელი. იგი ზვარაკივით ცახცახებდა გოლიათი ვაჟკაცის ღონიერ მკლავებში და თუმცა ვაჟი მთელი არსებით, სულითა და ხორცით ეძლეოდა პირველი ღამის ნეტარებას, ქალი მაინც ცივი და გაუგებარი რჩებოდა. დამფრთხალი მტრედივით ეკვროდა ლილე ბუმბერაზის მკერდს, მაგრამ კოცნას რატომღაც გულს ვერ ატანდა და მთელი მისი არსება ფიზიკურ ტკივილსა და სულიერ მოღლას უფრო გრძნობდა, ვიდრე საამო ჟრჟოლასა და ტკბობით თავდავიწყებას.

დედის ჩაგონებით იყო თუ საკუთარი შეხედულებით, ამ კაცს იგი თავიდანვე თავისთვის შეუფერებლად და უღირსად თვლიდა.

ციცინომ დაფიქრება და აზრის შეცვლაც არ აცალა ლილეს, ისე, გაყიდულივით მოუყვანა და ჩააბარა მიგრიაულს. დედისთვის, ალბათ, ადვილი იყო უცხო კაცისადმი დამოკიდებულების ასე მკვეთრი შეცვლა, მას კი, გამოუცდელსა და უანგარიშო ქალიშვილს, ასე უეცრად არც გულის მობრუნება შეეძლო ლუხუმისაკენ და, მით უფრო, არც მისი შეყვარება.

მაგრამ ლილე მაინც ქალი იყო, მას ჯერ სიყვარული არ ეგემნა და რაკი ვაჟკაცს თავისი უმანკოება და ქალწულობა მოუტანა, დროთა განმავლობაში, ალბათ, შეეჩვეოდა და შეიყვარებდა კიდეც. მით უფრო, რომ მისი მაღმერთებელი ქმარი მომთმენი და ლაღი, ბავშვივით მიამიტი და დევივით ღონიერი იყო.

ავადმყოფ სიდედრს ლუხუმმა თავს ექიმები დაახვია, მაგრამ მკურნალებმა ვერც სნეულება გაუგეს და ვერც უწამლეს.

ქალი დღითიდღე ილეოდა და ქრებოდა.

სიცხისაგან გაოგნებული ავადმყოფი უცნაურს ბოდავდა, მეფეებს და ვაზირებს ეკამათებოდა, ერისთავთ-ერისთავებს ესაუბრებოდა, შეშლილივით იცინოდა და ტიროდა. ისეთ ახირებულ ამბებს ბოდავდა ციცინო, რომ შეშინებული შვილი უცხოს ვერავის უშვებდა დედასთან. მისი ასეთი არეულობა აშინებდა ლილეს, წამით მარტო ვერ ტოვებდა, გარეთ ვერ გამოდიოდა და ასე საცოდავად იტანჯებოდა.

ბოლოს, ალბათ, სიკვდილის მოახლოება იგრძნო ციცინომ, შვილს სთხოვა, კარი ჩაერაზა და სასთუმალთან დასჯდომოდა. ჩურჩულით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უამბო შვილს ციცინომ ამდენი

ხნის დამარხული საიდუმლო, მამის და მთელი მისი საგვარეულოს დაღუპვის ამბავი, ქმრის ანდერძი აჩვენა და წაუკითხა.

_ მე ჩემი ვალი მოვიხადე, შვილო, გზაზე დაგაყენე, გაგზარდე და კარგ პატრონს ჩაგაბარე. ახლა შენზეა დანარჩენი, თუ ჭკუით მოიქცევი და ქმარს ხელს შეუწყობ, იქნებ შენი ქმარი მეფის უახლოესი კაცი და სამეფოს პირველი დიდებულიც გახდეს, ხოლო შენმა შვილებმა ტახტისაკენაც გაიკვლიონ გზა. ეცადე, მამაშენის ამოწყვეტილი გვარის მემკვიდრე, შენი შვილი, ღვთის შეწევნით, სამეფო ტახტის მემკვიდრე გახდეს! ამით შენ ხორცს შეასხამ შენი მამა-პაპის მუდმივ ოცნებას საქართველოს ტახტზე... დაიფიცე, ხატზე შემომფიცე, რომ ყოველ ღონეს იხმარ მამის ანდერძის აღსასრულებლად...

ესოდენ დიდი საიდუმლოს ზიარებით აფორიაქებული ლილე მოწყვეტით დაეშვა მუხლზე, ჯვარცმისკენ ხელი აღაპყრო და ხატზე ფიცის დადებას შეუდგა...

_ ამაზე დაიფიცე, შენს საგვარეულო ხატზე... _ ჩურჩულით უთხრა ციცინომ, ოქროს ყელსაბამი შეიხსნა, მედალიონი გახსნა და ლილეს გადასცა.

ლილე გაოცებული დაჰყურებდა გახსნილ მედალიონს. მედალიონის ერთ სფეროზე ღვთისმშობელი დედა იყო მინანქრით გამოსახული, ხოლო მეორეზე _ შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცი.

_ ეს შენი გვარის ბეჭედია, შვილო, _ აუხსნა ციცინომ, _ შენ უნდა აღადგინო ამ ბეჭდის ძალა და გავლენა, შიშველ ხმალზე გაფრენილი რაში ბაგრატიონების ყალყზე შემდგარ ლომებს უნდა ამოუყენო გვერდით საქართველოს სამეფო ბეჭდებსა და დროშებზე.

ლილემ დედის ნაკარნახევი ფიცი გაიმეორა და სამ-სამჯერ ემთხვია მედალიონზე გამოხატულ ღვთისმშობელსა და საგვარეულო გერბს.

მომაკვდავმა დედამ ხელის კანკალით ჩამოჰკიდა ყელსაბამი ქალიშვილს და პირჯვარი გადასახა.

ციცინო მიიცვალა.

სულ ერთი კვირის პატარძალმა ლილემ შავები ჩაიცვა და თმები გაიშალა.

დღისით დედის საფლავზე მოთქვამდა ლილე, ხოლო ღამით ლუხუმის მკერდზე მიყუჟული ტიროდა.

ტიროდა დედას და დაღუპულ მამას, თავის უბედობასა და სიმარტოვეს.

ახლა, როცა დედა მოუკვდა, ამქვეყნად ქმრის მეტი აღარავინ ჰყავდა ახლობელი და თავისიანი. სხვა ქალი მის ადგილზე ქმარს უფრო მიენდობოდა და შეიყვარებდა... ლილე კი, პირიქით, უფრო გაცივდა ქმრისადმი, უფრო დაშორდა და განერიდა.

იგი ბევრს ფიქრობდა დედაზე, ქმრის ანდერძისადმი მის მოწამებრივ ერთგულებაზე.

მშვენიერსა და ზრდილ ქალს, ადრე, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებულ ციცინოს, რამდენჯერ შეეძლო გათხოვება და ახალი ოჯახის მოწყობა. ქმრისა და შვილის სიყვარულმა და ერთგულებამ პირადი სიამოვნების რამდენ ცთუნებაზე ააღებინა, ალბათ, ხელი ამ ქალს. მიუვალ მთებში გახიზნული ახალგაზრდა ქვრივი, რომლის ვინაობა და არსებობაც, არათუ სამეფო კარმა, მთელ ქვეყანაზე ერთი ზეზვა გაფრინდაულის მეტმა არავინ იცოდა, გაჭირვებასა და წვალებაში ზრდიდა ციცქნა გოგონას იმ შორეული, მაგრამ ბრწყინვალე კარის დასაპყრობად. ახლა ხვდებოდა ლილე, რატომ ზრდიდა ასე გოროზად და ზვიადად, სხვებისაგან გამოცალკავებულად და ნებივრად.

მის სწორად და ღირსად არც ქალსა თვლიდა ციცინო და არც ვაჟს... ანკი როგორ ჩათვლიდა ვისმეს, როცა შვილს თავის ფიქრში საქართველოს დედოფლად ამზადებდა თურმე და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ლილეს დიდი თამარის გვირგვინი დაედგმებოდა თავს. რაკი ლილეს გადედოფლობაზე ზრუნვისა და ფიქრისაგან არა გამოვიდა რა, საქართველოს სადედოფლოდ ნაოცნებარი ქალი ველისციხელ გლეხს მისცა ციცინომ და ახლა მთელი იმედი და სასოება იმაზეღა იყო მიგდებული, შესძლებდა თუ არა ლუხუმი ლილეს დახმარებით მეფის კარზე შემდგომ აღზევებასა და გაძლიერებას.

@თავი მეცხრე. ჩრდილო მეზობლები

რა შემოვლენ დიდვაჭარნი,
მას ნახვენ და ძღვენსა სძღვნიან.
„ვეფხისტყაოსანი“

მეფე რუსი ვაჭრების მისაღებად გამობრძანდა.

ვაზირთაგან დარბაზში მარტო ახალციხელი იყო.

მეფისაკენ ძვირფას სამოსელში გახვეული რუსი დიდვაჭარი ტიხონი წამოვიდა, ჭაღარა წვერი წელამდე სცემდა, ღაჟღაჟა სახე უცინოდა და დაფანჩული წარბებიდან ცოცხალი ცისფერი თვალები უბრწყინავდა.

ტიხონს შორიახლო ქართველი დიდვაჭარი შიო კაციტაისძე მოჰყვებოდა.

მეფის დანახვისთანავე რუსმა ვაჭარმა ბეწვის მაღალი ქუდი მოიხადა, წელში მოიხარა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა, შემდეგ მუხლზე დაეცა და მოფარდაგულს ეთაყვანა.

_ ივერთა ძლევამოსილ მეფეს ძმურ სალამს უძღვნის დიდი კიევის მთავარი მსტისლავ რომანოვიჩი. დღეგრძელობასა და მტერთა ძლევას უსურვებს მეფესა და ერთმორწმუნე ქართველ ხალხს და ძღვენით მოიკითხავს მორჭმულსა და სახელოვან ქართველ გვირგვინოსანს.

ტიხონმა მეფისკენ ჩოქვით გაიწია და ლაშას კალთას ემთხვია.

მეფემ დიდვაჭარი ფეხზე წამოაყენა, სელზე პირისპირ დაისვა, მადლი უძღვნა და კიევის მთავარი მოიკითხა.

ტიხონმა მეფის ნებართვა ითხოვა, მხლებლებს ანიშნა და დარბაზში რუსი მექარავნეების ჯგუფი შემოვიდა. კრძალვით თავდახრილებმა მოიღეს მეფის წინაშე უცხო საქონელი: გაშალეს ყარყუმისა და სიასამურის ძვირფასი ბეწვეული, ციყვისა და ჩრდილოეთის ძაღლის რუხი და ყინულისფერი ბეწვი ტაიგის მელიების შავ-ვერცხლისფერ ბეწვეულში აირია და მნახველებს თვალი მოსჭრა.

გორად დადგა ძვირფასი ბეწვეული და ოქროჭედილი იარაღი.

ძღვენი რომ მოართვეს, ტიხონმა უბიდან ლბილ ქსოვილში სათუთად შეხვეული ჯვარცმა ამოიღო და მეფეს გადასცა.

_ ეს ჯვარცმა კიევის მთავარმა მოგართვათ, ჯვარცმულის წყალობა ნუ მოეშალოს ქართველთა მეფეს. _ ტიხონმა პირჯვარი გადაისახა და ჯვარცმას ემთხვია. _ კიეველი დიდოსტატების ნახელავია, მგონი, ღირს იყოს მეფეთ-მეფობისა თქვენისა...

მეფემ ჯვარცმა ჩამოართვა, ეამბორა და მუშტრის თვალით დააცქერდა. ფრიად ეკეთა უცხო ოსტატის ხელოვნება ოქროჭედილობის მოყვარულსა და დამფასებელ მეფეს, პატიოსან თვალთა სიუხვე და ზომიერად განაწილება მოიწონა და ვაზირს გადასცა. მეჭურჭლეთუხუცესმა პირჯვარი გადაიწერა, ჯვარცმას კრძალვით დახედა და მეფის მოწონებას თავისი აღტაცებაც მიუმატა.

ახალციხელმა მოწიწებით ჩამოჰკიდა ყელზე მეფეს ჯვარცმა, მუხლზე ჩაიჩოქა და ეთაყვანა.

დარბაზში რუსუდანი შემოვიდა, იქ მყოფთ მიესალმა. მეფემ ტიხონი წარუდგინა, რუსი ვაჭარი თავდახრით მიეახლა და მეფის დის კალთას ემთხვია.

რუსუდანი კიევის მთავრის ძვირფას ძღვენს არ აშორებდა თვალს. ლაშამ შეამჩნია, რომ რუსუდანს სული მისდიოდა რუსთა ძღვენის ახლო ნახვაზე და მეჭურჭლეთუხუცესს უბრძანა:

_ რაცა ჩვენთვის საჭურჭლეთა დასადებად არ ვარგოდეს, ჩემს დას აახლეთ და მიუთვალეთ ყოველი.

მეჭურჭლეთუხუცესმა მსახურები იხმო, იარაღი, ოქროთი ნაჭედი უნაგირები, ჭურჭლეული და ოქრო-ვერცხლის სასმისები საჭურჭლეში შესანახად წააღებინა, ხოლო ძვირფასი ბეწვეული და ქსოვილები რუსუდანის პალატებში გაგზავნა.

გახარებულმა რუსუდანმა მეფეს მადლი გადაუხადა, ძვირფას საჩუქარს მიჰყვა უკან და დარბაზიდან გავიდა.

_ გარეთ კიდევ სხვა მოსაკითხიც არის, ბატონო მეფევ, _ თავდახრით მოახსენა ტიხონმა. _ ყივჩაღთა ხანისაგან მოძღვნილი რემა _ ასი რჩეული ცხენი. ყივჩაღთა მბრძანებელი, ძლევამოსილი ხანი კოტიანი სალამს უთვლის ქართველთა უძლეველ მეფეს. ასე მოგახსენათ, ქართველებს და ყივჩაღებს მუდამ მოყვრობა და კარგი მეზობლობა გვქონდა, ყივჩაღი მეომრები ქართველთა მეფის მამა-პაპას ყოველთვის ერთგულ სამსახურს უწევდნენ და აწცა მზა არიან, თუ მეფე ისურვებს, კვლავ უჩვენონ ერთგულების პირი, ბრძოლაში სიმხნე და ცხენკეთილობაო.

_ მადლობელი ვარ ყივჩაღთა ხანისა ესოდენ კარგი სურვილებისათვის. ყივჩაღთა შეწევნითა და ქართველი ლაშქრის ძალით, მგონი, შევძლო ჩემი ნეტარი დედის ანდერძის აღსრულება.

_ რომელი ანდერძის, მეფევ ბატონო? _ იკითხა ცნობისმოყვარეობაგაღვიძებულმა ტიხონმა.

_ ჩემი ნეტარი დედის, დიდი თამარის ანდერძი და უკანასკნელი სურვილი იყო, მისი ნეშტი იერუსალიმის წმიდა მიწისათვის მიებარებინათ. ქრისტეს საფლავი უნდა გამოვიხსნათ და იერუსალიმი საქართველოს შემოვუერთოთ. ის, რაც ბერძნებმა და ლათინებმა ვერ შეძლეს, ქართველებმა უნდა აღასრულონ.

_ დიდებულად განგიზრახავთ, ხელმწიფევ! უფალი მოწყალეა და ჩვენც ვილოცებთ, რათა თქვენი ძლიერების შემწე იყოს დიდი თამარის ბრძნული ანდერძის აღსრულებაში.

_ მოუსვენეთ და ღირსი პატივი მიაგეთ რუსთა მთავრისა და ყივჩაღთა ხანის დესპანის მხლებლებს. ყივჩაღთა რემის ნახვას გვიან ვინებებთ, _ განაცხადა მეფემ.

ტიხონმა რუს ვაჭრებს ანიშნა, რომ დარბაზობა დამთავრებული იყო. რუსი ვაჭრები რომ გავიდნენ, მეფემ მსახურებიც დაითხოვა და დარბაზში ოთხნი დარჩნენ მხოლოდ: თავად მეფე, მეჭურჭლეთუხუცესი შალვა, რუსი დიდვაჭარი ტიხონი და შიო კაციტაისძე.

ერთად იყვნენ ყივჩაღთა ხანთან ტიხონი და შიო. საქართველოს ძღვენი და მოსაკითხი ჩაუტანეს და მეფის საიდუმლო წერილი გადასცეს კოტიან-ხანს.

ორივე დიდვაჭარი, რუსიცა და ქართველიც, დიდად იყვნენ დამოკიდებულნი ყივჩაღთა და ქართველთა მოყვრობასა და კეთილმეზობლობაზე.

კიეველი დიდვაჭრის საქარავნო გზა კიევიდან ხორასნამდე ყივჩაღეთსა და საქართველოზე გადიოდა და რუსულის გარდა, უმთავრესად, ამ ორი ქვეყნის საქონლით ვაჭრობდა. ყივჩაღ-ქართველთა კარგი ურთიერთდამოკიდებულება ტიხონის მექარავნეებს მშვიდობიან მიმოსვლასა და სარგებლიან ვაჭრობას უქადდა, ხოლო მათი მტრობა და ცუდი მეზობლობა _ ამ გზის მოშლას, ვაჭრობისა და სარგებლის საფრთხეში ჩაგდებას.

ქართველ დიდვაჭარს შიო კაციტაისძეს რუს ვაჭართან ამ საერთო ინტერესის გარდა სხვა მიზანიც ამოქმედებდა. იგი ფარულად მხარგრძელის სავაჭრო მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა და ყოვლისშემძლე მეტოქის დამხობას ოცნებობდა. შიო ახალციხელთან და მეფესთან ფარულად იყო დაკავშირებული. კაციტაისძეს არაერთხელ დაემტკიცებინა მეფისა და მისი თანაგანმზრახი ვაზირისათვის ერთგულება და მათი სრული ნდობა დაემსახურებინა. ამ რთულსა და მეტად პასუხსაგებ სახელმწიფო საქმეში გასარევად შიოზე მისანდოსა და შესაფერისს მეფე სხვას ვის იშოვიდა!

ირანიდან მობრუნებული ტიხონის ქარავანს შიომ თავისიც შეუერთა და ორივენი ჯერ ყივჩაღთა ხანს ეახლნენ, შემდეგ კიევის მთავარს.

ორთავეს დიდძალი ძღვენი და ძვირფასი საჩუქრები ჩაუტანეს ქართველთა მეფისაგან. ტიხონის ელჩობა ძღვენისა და მოკითხვის გადაცემით როდი თავდებოდა. მეფის დავალება უფრო ფართო იყო და რთული: მას ყივჩაღთა ხანთან ოცდაათი ათასი ცხენოსნის დაქირავებასა და საქართველოში გადმოსახლებაზე უნდა ეწარმოებინა საიდუმლო მოლაპარაკება.

შიოს, თავის მხრივ, ფარულად რუსთა სამთავროებიც უნდა დაეზვერა და გაეგო საქართველოს ტახტისადმი მათი დამოკიდებულება.

გიორგი რუსის გაძევების შემდეგ საქართველოს სამეფო სახლი ძალიან ფრთხილობდა რუსეთის სამთავროებთან დამოკიდებულებაში. მათთან ახლო კავშირის დაჭერას ერიდებოდა, რადგან რუს მთავრებში გიორგი ბოგოლუბსკის ძის ნათესავებს ხედავდა და საქართველოს ტახტის მიმართ მათი ანგარიშისა ეშინოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოგოლუბსკის

შთამომავლობა დასუსტდა და ჩამოქვეითდა, საქართველომ კვლავ გააცხოველა ერთმორწმუნე რუსთა მთავრებთან ურთიერთობა.

საქართველოს ჭაბუკი მეფე ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ყივჩაღთა მოძრაობასაც და ტახტზე ასვლის დღიდან მათთან მეგობრული, კეთილმეზობლური კავშირის დამყარებას ცდილობდა. რაც მეფემ ყივჩაღთა მუდმივი ლაშქრის დაქირავება, ამ ლაშქრის საშუალებით ურჩი მთავრების ალაგმვა და ძლევამოსილი საგარეო ომების წარმოება გადაწყვიტა, ყივჩაღთა მთავარ ხანთან _ კოტიანთან უკვე მეორედ იყვნენ მეფის საიდუმლო წერილებითა და დავალებებით ტიხონი და შიო.

კაციტაისძე რაჭველი იყო. ადრე დაობლებულს ხელობა ესწავლა, ჩრდილო კავკასიაში გადასულიყო და ხაბაზად ემუშავნა. ცოტა რომ ფეხზე დამდგარა, საკუთარი სავაჭრო გაუხსნია, მერე ის სავაჭრო გაუყიდნია, მთელი ფულით ყივჩაღთაგან ჯოგი შეუძენია, საქართველოში გადმოურეკავს და კარგი მოგება უნახავს.

რაკი ერთხელ შედგა ფეხი აღებ-მიცემის გზაზე შიომ, ვაჭრობა უფრო გააფართოვა, საქართველოს საქონელით ყივჩაღეთს და რუსეთს ჩავიდა, მერე ირანის გზაც გათელა და თანდათან დიდი სიმდიდრე დააგროვა.

კაციტაისძემ რუსთა და ყივჩაღთა ენების გარდა სპარსული და ბერძნულიც ისწავლა, ირანელი დიდვაჭრის ერთადერთი ქალი ცოლად შეირთო, საკუთარი სავაჭრო სახლებითა და ქარავნებით ქალაქები და გზები აავსო და ქართველ დიდვაჭრებში პირველობა მოინდომა.

იქნებოდა კიდეც პირველი, წინ რომ მეორე დიდვაჭარი ივანე მხარგრძელი არ აღდგომოდა. ივანეს სავაჭროებსა და ქარავნებს ამდენ ხანს გააკოტრებდა მოხერხებული კაციტაისძე, საქმე რომ მარტო ფულზე და საქონელზე ყოფილიყო.

მხარგრძელი მარტო დიდვაჭარი როდი იყო, იგი, უპირველესად, ქვეყნის მეთაური და ძლიერი ხელისუფალიც იყო. შიოსავით თავის ქარავნებს თვითონ როდი დასდევდა, უამრავი ვაჭარი და მექარავნე ჰყავდა, სადაც იმ ვაჭრების ჭკუა და ნიჭი არა სჭრიდა, იქ ივანეს ძალა ეშველებოდა და გზას უხსნიდა. მათ მეტოქეებს გზაზე ათასგვარი მოულოდნელი ბაჟი და გადასახადი ხვდებოდა და ხშირად სრულიად უშიშარ საქარავნო გზაზე თავს უცნობი მეკობრეები ესხმოდნენ და ძარცვავდნენ. გაძარცულებმა არ იცოდნენ, ვინ მოქმედებდა ამ თავზეხელაღებული მეკობრეების უკან და ისევ მხარგრძელთან ჩიოდნენ.

მხარგრძელი მოსაჩვენებლად მანდატურებსაც აფრენდა შემთხვევის ადგილზე. ზოგჯერ ჯარსაც გამოიყვანდა, ვითომ ეჭვით, სრულიად უდანაშაულო ხალხსაც დააჭერინებდა, მაგრამ დაზარალებულებს ზარალს არავინ უზღავდა და ივანეს მეტოქე ვაჭრების ქარავნებს საფრთხე თავიდან არ სცილდებოდა.

გამჭრიახმა შიომ ადრე აუღო ალღო თამარის სიკვდილის შემდეგ მეფის კარზე მომხდარ ცვლილებებს. ჯერ მეჭურჭლეთუხუცეს ახალციხელს და შემდეგ, ამ ვაზირის საშუალებით, მეფესაც დაუახლოვდა. მათში თავისი საქმის ქომაგი დაინახა და მხარგრძელის ძლიერი ფრთების შესაკვეცად წარმოებულ ფარულ ბრძოლაში ჩაება.

მეფისა და მეჭურჭლეთუხუცესისათვის მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა უმდიდრესი დიდვაჭრის ფარულ შემწეობასა და თანამზრახველობას: შიოს ოქროც ბლომად ეშოვებოდა; ქალაქის მოსახლეობასა და ვაჭარ-ხელოსნებს შორის გავლენაც დიდი ჰქონდა. დიდვაჭარი ოქროსაც და გავლენასაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებისთვის იყენებდა, თავისა და ტახტის შემვიწროებლებს ებრძოდა და ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის არაფერს ზოგავდა.

მეფე ეკლებზე იჯდა, ვიდრე ტიხონის მხლებლები _ რუსი ვაჭრები გავიდოდნენ. რუსთა მთავრის ძღვენზე მეტად ლაშას ყივჩაღთა ხანის კოტიანის პასუხი აინტერესებდა.

როგორც კი მარტონი დარჩნენ, ტიხონმა ირგვლივ მიმოიხედა, საკინძი შეიხსნა, აბრეშუმის ახალუხის სარჩული ჩაირღვია და უბეში დამალული ყივჩაღთა ხანის წერილი ამოიღო.

მეფეს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. გახვეული გრაგნილი სწრაფად ჩამოართვა, გაშალა და დააცქერდა, წერილი ლაშასთვის უცნობ ენაზე იყო დაწერილი, ვერაფერი გაუგო და შიოს გადასცა.

შიო დინჯად, გარკვევით კითხულობდა ყივჩაღთა ხანის წერილს, აზრი რომ დასრულდებოდა, ჩერდებოდა და ქართულად თარგმნიდა.

კოტიან-ხანი ჯერ ჯანმრთელობასა და მტრებზე გამარჯვებას უსურვებდა ძლიერსა და ამაღლებულს ქართველთა მეფეს. შემდეგ კმაყოფილებას გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ქართველთა ახლანდელი მეფე, თავისი სახელოვანი წინაპრების მსგავსად, ყივჩაღებთან მეგობრულსა და კეთილმეზობლურ კავშირს აგრძელებდა. მადლობას უთვლიდა ძვირფასი საჩუქრებისათვის და თანხმობას აცხადებდა ქართველთა მეფის თხოვნაზე _ საქართველოში ოცდაათი ათასი ცხენოსანი ყივჩაღის დედაწულითურთ გადმოსახლების თაობაზე.

კოტიან-ხანი ყივჩაღთა ლაშქრის დაქირავების პირობებს ღებულობდა, ქირის ნაწილის მიღებას ადასტურებდა და მეფეს დაქირავებულთა გამოსამგზავრებლად მზადყოფნას ატყობინებდა.

გახარებულმა მეფემ ელჩებს საქმის კეთილად დასრულება მიულოცა. მერე მეჭურჭლეთუხუცესს ოქრო მოაღებინა და ტიხონს სავსე ქისა გადასცა.

_ ჯერ ეს იყოს, ჩემო ტიხონ, შენი ერთგული სამსახურისთვის კვლავაც არ დავიშურებთ ნიჭსა და წყალობას, _ უთხრა მეფემ.

ტიხონმა მადლი გადაუხადა. მცირე ხანს ამოდ ისაუბრეს. მეფემ რუს ვაჭარს დაღლილობა და უძილობა შენიშნა.

_ ახლა განისვენე, ჩემო ტიხონ, სადილად კვლავ ჩემი სტუმარი ხარ და ერთად ვისერებთ, _ უთხრა ლაშამ.

რუსი დესპანი დაეთხოვა და მეფის მიერ საგანგებოდ მოხმობილ მსახურებს გაჰყვა.

_ ახლა იმასღა უნდა ვეცადნეთ, მხარგრძელი შორს გავგზავნოთ სალაშქროდ, _ ხმადაბლა თქვა მეფემ, ახალციხელთან და შიოსთან მარტო რომ დარჩა.

_ იქნებ ლაშქრად წარგზავნა არ იყოს უმჯობესი, მეფევ, _ ჰკადრა ახალციხელმა. _ ოდეს ომისგან შემოიქცევა მხარგრძელი ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრით, არა ეწყოს ყივჩაღთა და არა ურჩექმნას მეფეს.

_ სწორედ უბნობ. უმჯობეს მიჩნს, შენ წარუძღვე ლაშქარს, ლაშქარი იმდენი უნდა წარიტანო, რომ ამირსპასალარმა ვეღარ შესძლოს ყივჩაღთა წინააღმდგომი საკმაო მხედრობის შეკრება.

ორივენი დადუმდნენ ფიქრს მიცემულნი, შემდეგ ლაშა შიოს მიუბრუნდა:

_ რუსთა ქვეყნებისას რას გვეტყვი, შიო?

_ ყივჩაღთა ქვეყნიდან კიევს გავემგზავრეთ მე და ტიხონი. კოტიან-ხანმა ცხენოსნები გვაახლა. გზა მშვიდობით ვვლეთ და კიევს მივაღწიეთ. ფრიად ტურფა არს სახილველად კიევი. გორაკებზე შენობს ჩვენი სატახტოს მსგავსად კიევიც, ოღონდ მთები არ ადგას ესოდენ მაღალი და ქალაქიც უფრო ფართოდ არის გაშლილი. ტყე გეგონება ან მტილი ვენახოვანი შორიდან, მწვანე ხეებშია ჩაძირული მთელი ქალაქი. თვალს მოგჭრის ურიცხვ ტაძართა გუმბათების ელვარება.

ექვსასამდე ეკლესია ყოფილა კიევში თურმე, ვიდრე ორგზის არ აიკლეს და დაანგრიეს ისევ ერთმანეთში მოკინკლავე რუსთა მთავრებმა დიდი სატახტო. ახლა იმდენი აღარ არის, მაგრამ მაინც ვერ შემძლებელ არს თვალი დათვლად ფრიადისა რიცხვისა და განცდად ქმნულკეთილობისა ტაძართა, რომელ მეორე კონსტანტინეპოლად უწოდებდნენ მას ჟამსა კიევს, ოდეს ძლიერი იყო და მტერთაგან შეუვალი.

უმეტეს ზღვათა შინა ქვიშისა არს სახლები ქვისა და ხისაგან კეთილნაშენი პალატები მეფეთა და მთავართა მის ქვეყნისა. არამედ არიან სახლნი მცირედნი თეთრნი, ალიზისანი, ისლით დახურულნი სამყოფელად მოქალაქეთა ურიცხვთა.

მშვენიერ და კეთილნაშენ არიან პალატნი სამეფონი.

მთავარს მოხსენდა დიასპანობა ჩვენი დღესა მისვლისა ჩვენისასა. მეორე დღეს გვაწვია პალატსა თვისსა.

მძიმე ნაბიჯით გამობრძანდა კიევის მთავარი. ოქროსარწივიან არგანს ეყრდნობოდა მსტისლავ რომანოვიჩი. შუაგაყოფილი თეთრი წვერის ქვემოთ დიდი ოქროს ჯვარი და ხატი მოუჩანდა მთავარს.

გამოუძინებელს ჰგავდა კიევის მთავარი, დაღლილი ცისფერი თვალები ძილად ჰქონდა მიდრეკილი. ასე ამბობენ, არა მხედრობასა და წყობასა შინა არს საჩინო მთავარი, არამედ ლოცვასა და მარხვასა შინა ყოველთა უმეტეს წრფელი და გულისმოდგინეო.

_ საწუნელ ხომ არ იყო ძღვენი ჩვენი? _ ჰკითხა მეფემ.

_ ფრიად ეკეთა ოქრონაჭედობა და ქსოვილი ჩვენი, ფარჩა და აბრეშუმი. მოიღო ღვინო ქართული გემოდ ყოფად, იამა დიდად და ბრძანა ტაძართათვის შეწირვა ზედაშედ.

_ რაოდენ ჰყავს ლაშქარი მთავარსა მას კიევისასა? _ ჰკითხა მეფემ.

_ აღარ ბევრ არიან ლაშქარნი კარსა მთავრისასა, ვითარცა ყოფილა ჟამსა მას ძლიერებისასა. არამედ კმასაყოფელ არს რიცხვი მათი, რამეთუ ახოვან არიან და შემმართებელ რუსნი და წყობასა შინა მხნედ მბრძოლნი.

_ ვითარ მოიგონებენ სვეუბედურსა მას გიორგი რუსსა, იურიდ წოდებულსა, ნათესავსა მათსა? _ იკითხა მეფემ.

_ აღარცა ოდენ სახსენებლად უჩნთ სახელი მისი, რამეთუ ფრიადი გამოხდა ხანი გარდახვეწისა იურისა რუსთა ქვეყნისაგან. მთავრობენ ადგილსა ანდრეი ბოგოლუბსკისასა ძენი მისი ძმისა ვსევოლოდისა და ომი აქვთ ურთიერთას და რბევა და ოხრება ქვეყნისა მათისა სამკვიდროისა...

სადილობამდის ისხდნენ მეფე, ვაზირი და დიდვაჭარი _ დესპანი.

დესპანი დაწვრილებით მოუთხრობდა რუსთა უნაპირო ქვეყნის სამთავროების აშლილობაზე, მიწის ნაყოფიერებასა და მდინარეების სიდიდეზე, ხალხის მხნეობასა, მშვიდ ბუნებასა და გამრჯელობაზე, ქალების სილამაზესა და ჯანმრთელობაზე, სიმღერების კეთილხმოვანებასა და მიმზიდველობაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეზე, რასაც დესპანის გამჭრიახი თვალი და ფხიზელი ყური მისწვდებოდა რუსთა ქვეყანაში.

* * *

იმ ორ დღეს ათაბაგს მოსვენება დაჰკარგოდა.

დილით ქალაქში შემოსულ რუსთა სავაჭრო ქარავნის აქლემების ზარმა გამოაღვიძა მხარგრძელი. სარკმლიდან უყურებდა: ქუჩებში უწყვეტ მდინარედ მოედინებოდა აქლემებისა და ჯორკიდებულის გრძელი ქარავანი.

ასეთი ქარავნები თბილისის ქუჩებისთვის ჩვეულებრივი იყო. მხარგრძელი მექარავნეთა სიმრავლესა და საქონლის სიმდიდრეს როდი გაუკვირვებია. ქარავანს თეთრ დონურ ცხენებზე ამხედრებული დიდვაჭრები ტიხონი და შიო კაციტაისძე მოუძღოდნენ და მხარგრძელს სწორედ მათი დანახვა ემცხეთა.

ათაბაგმა გუმანით იცოდა, რომ შიო და ტიხონი ლაშას შუამავლობდნენ კავკასიონს გადაღმა, მაგრამ ვისთან და რა საქმეში, დანამდვილებით ვერაფერი შეეტყო.

ეჭვი კი ჰქონდა და ყურიც მოეკრა, რომ ლაშა ყივჩაღთა ლაშქრის გამოსხმას ფიქრობდა და ათაბაგის შეშფოთების მიზეზი სწორედ ეს იყო.

იცოდა მხარგრძელმა, ვის წინააღმდეგაც გამოიყენებდა ლაშა როქის სპას. თუ თავის განზრახვის შესრულებას მოახერხებდა _ პირველ რიგში თვითონ მხარგრძელს მისწვდებოდა და თავგასული ერისთავთერისთავების დასამორჩილებლად წარუძღვებოდა ყივჩაღთა ლაშქარს.

ამას გარდა, მხარგრძელს გიორგი რუსის მომხრეთა აჯანყების ჩაქრობაში და თავად გიორგის განდევნაში საკმაო წილი მიუძღოდა და რუს მთავრებთან ახლო ურთიერთობის განახლება არაფრად ეპიტნავებოდა.

ყოველივე ამის გამო მხარგრძელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს როგორც ჩრდილოეთიდან გამოსასვლელ გზებს, ისე რუს ვაჭართა საეჭვო მოგზაურობასა და ჭაბუკი მეფის საიდუმლო მოქმედებას.

ქარავნის მოულოდნელად გამოჩენამ შეაშფოთა ათაბაგი. იმ დღესვე მექარავნეთ თავისი ხალხი მიუჩინა. სასახლეში მსახურთუხუცესი ვარამ გაგელი გააფრთხილა, რომ რუსთა ვაჭრისათვის თვალყური ედევნებინა.

ნაშუადღევს სასახლიდან აცნობეს მხარგრძელს _ მეფეს და ახალციხელს საიდუმლო თათბირი აქვთ რუს და ქართველ ქარავანბაშებთანო.

ათაბაგმა სხვა ვეღარაფერი იღონა და თათბირზე რუსუდანი შეგზავნა.

ჯერ კიდევ ნორჩი რუსუდანი გამზრდელის დავალების შემსრულებლად ვერ გამოდგა: ნაირ-ნაირმა ბეწვეულმა თვალები აუჭრელა და ყველაფერი გადაავიწყა. ლაშას პირველსავე სიტყვაზე კიევის მთავრის ძღვენი თავის პალატებში გადაატანინა და იქაურობას გახარებული გაეცალა.

იმ დღეს ტიხონს სასახლეში უმასპინძლეს.

რუსი ვაჭრები შუაღამისას დაბრუნდნენ მათთვის მიჩენილ ბინებში და მხარგრძელმა ვერც ელჩობისა და ვერც მეფესთან თათბირის ვერა შეიტყო რა.

მეორე დღეს ისევ რუსუდანის გავლენა გამოიყენა მხარგრძელმა. ტიხონი მეფის დის პალატაში აწვევინა და დარბაზობას თვითონაც დაესწრო.

დიდვაჭრის გულის მოსაგებად, რაც უნდოდა და არ უნდოდა, ყველაფერი ნაღდ ოქროზე იყიდა მხარგრძელმა. ირანის გზაზე დამდგარ ტიხონს რუსუდანისა და თავისი ოჯახისათვის უამრავი საქონლის შემოტანა დაავალა და ბოლოს სარფიანი გარიგებით კმაყოფილი ვაჭარი სუფრაზე იწვია.

_ მეფე დიდად მადლიერია შენი ელჩობისა, _ შეაპარა ათაბაგმა უკვე შეზარხოშებულ ტიხონს და კახურით სავსე თასი მიაწოდა.

ტიხონმა თვალი ოდნავ მოხუჭა და ქართველ დიდებულს გამომცდელად შეხედა.

_ ეს ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! _ მხარგრძელმა თასი ასწია და დიდვაჭარს თვალით ანიშნა, რომ მასაც დაელია.

_ ღმერთმა თქვენს მეფეს გაუმარჯოს! _ ასწია თასი ტიხონმა. _ გააძლიეროს და განსვენებული დედის ანდერძის შესრულებაში უწინამძღვროს.

მხარგრძელი სმენად იქცა.

ტიხონმა თასი ერთი ამოსუნთქვით დაცალა და სკამზე უცნაურად იწყო წორწალი.

_ მაშ, ჩემი მადლიერია ლაშა ბატონი? _ იკითხა ტიხონმა და თვითონვე განაგრძო, _ არა, ჩემი მადლიერი კი უნდა იყოს, გუშინ იმისთანა საჩუქარი მივართვი ყივჩაღთა ხანისაგან _ ალბათ, ივანე ბატონს ეცოდინება _ ასი რჩეული ცხენი!..

_ როგორ არა, თავად ვნახე, ჩემი თვალით, _ დაუდასტურა ივანემ, სკამი ტიხონისკენ მისწია და ახლა უფრო მოზრდილი თასი შეუვსო.

_ კიდევ დავლიოთ, ათაბაგო? ახ, დალახვროს ეშმაკმა, რა კარგი ღვინო გაქვთ ქართველებს! ახლა ირანიდან რომ მოვბრუნდები, რა საქონელსაც აქ გავყიდი, იმის სანაცვლოდ, სულ ღვინოს წავიღებ რუსეთში, თქვენებურ კახურ ღვინოს... ეს ჩვენ გაგვიმარჯოს, ათაბაგო, ჩვენს საქმესა და მარჯვენას! შენ დიდი კაცი ხარ, საქართველოს სამეფოს პირველი დიდებული. საქართველო ძლიერი სამეფოა. როგორც გავიგე, მალე სპარსთა და თურქთა ციხეებს შელეწავთ და ქრისტეს საფლავს გამოიხსნით. _ ტიხონს გული აუჩუყდა და ღაწვებზე მსხვილი კურცხლები ჩამოუგორდა. _ იმ დროს მე იქ არ ვიქნები, მაგრამ ცოლ-შვილს და ქრისტეს რჯულს გაფიცებ, ათაბაგო, მეც გამიხსენო, თქვენი ქვეყნის მეგობარი და, შეძლებისამებრ, მსახური. ამას გეხვეწები, იერუსალიმის ტაძარში ჩემს სახელზე სანთელი აანთო და ჩემი ცოდვების შესანდობრად აწირვინო...

ივანემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თასზე თასი მიუჯახუნა.

_ ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო ტიხონ! _ ასწია სასმისი ათაბაგმა. _ ქართველი ხალხი და ქართველთა მეფე შენს ამაგს არ დაივიწყებენ, დიდ საქმეს იღვწი და ღმერთმა კეთილად წარგიმართოს.

ათაბაგმა სასმისი მიიდო პირთან.

ტიხონი თვალმოჭუტული მისჩერებოდა: ისე მოიყუდა სასმისი ივანემ და დადო ძირს, რომ არც ტუჩი დასველებია და არც ხორხი შერხევია. დიდვაჭარი მიხვდა, რომ ათაბაგი მარტო მას უსხამდა და თავად ცარიელ სასმისს იყუდებდა, ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, აწეული სასმისი ძირს დადო და გუნებაგაფუჭებულმა ათაბაგს თვალი თვალში გაუყარა.

_ მაინც, რაოდენ ლაშქარსა სთხოვს ყივჩაღთა ხანს ჩვენი მეფე? _ ვითომ სხვათაშორის იკითხა მხარგრძელმა და კრიალოსანი ჩამომარცვლა.

ტიხონი კითხვამ შეაკრთო და ჯერ კიდევ ფხიზელს გონება უცებ გაუნათა. მეფისა და ათაბაგის მტრულ ურთიერთობაზე ზოგი რამ გაგონილი ჰქონდა, ზედმეტი ხომ არაფერი ვთქვიო, შეწუხდა პატიოსანი ვაჭარი, გაფრთხილდა და ენას კბილი დააჭირა.

_ რატომ არა სვამ, სტუმარო? _ მიუჯახუნა ისევ ცარიელი სასმისი ივანემ.

ტიხონმა ერთი ეშმაკურად შეხედა, მერე უცებ სასმისი ასწია, სწრაფად დასცალა და სუფრაზე თავმოწყვეტილი დაეცა. ათაბაგის სტუმარმა თავი მოიმძინარა და ხვრინვა ამოუშვა.

მხარგრძელმა დიდხანს ანჯღრია ტიხონი, მაგრამ სუფრიდან თავი ვეღარ ააღებინა. გაბეზრებულმა ერთი რჯულზე შეაგინა და გაგულისებული სასტუმრო დარბაზიდან გავიდა.

* * *

სწორედ იმხანად, კარის ამირა და მონაპირე _ ივანე ახალციხელი რუმის სულტნის საეჭვო ქცევას ატყობინებდა საქართველოს მეფეს. რუმის სულტანი ტრაპიზონის საზღვრებთან დიდძალ ჯარს უყრიდა თავს. როგორც კარის ამირა ასკვნიდა, თურქები ტრაპიზონში შესაჭრელად ემზადებოდნენ.

მამაცი მენაპირე ივანე ახალციხელი გულხელდაკრეფილი როდი უყურებდა თურქთა ამ თავხედობას, მონაპირე ჯარით ზურგიდან ურტყამდა მტერს და გამუდმებული თავდასხმებით აწუხებდა.

კარის ამირა მიზანშეწონილად თვლიდა რუმის საზღვრებთან ქართველთა ძლიერებისა და ტრაპიზონის იმპერიისადმი მფარველობის საქვეყნოდ დამტკიცებას _ თავგასული თურქების დასაშინებლად დიდი ლაშქრის გაგზავნას.

დარბაზმა დაადასტურა ივანე ახალციხელის მიერ მდგომარეობის სწორი შეფასება და ლაშქრის წვევა მოიწონა.

მხარგრძელი ხედავდა, რომ თბილისში მის ზურგს უკან ფარულად მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. სატახტოდან გასვლა შეუძლებლად მიიჩნია, ავად ყოფნა მოიმიზეზა და იმ მოსაზრებით, რომ შალვა ახალციხელი მეფისაგან შორს ჰყოლოდა, თვითონ შალვას შესთავაზა ლაშქრის სარდლობა.

მეფესა და მის თანაგამზრახ ვაზირსაც ეს უნდოდათ.

დარბაზმა ათაბაგის წინადადება მიიღო და ათი დღის შემდეგ კარგად გაკაზმული დიდი ლაშქრით ახალციხელი კარის მიმართულებით დაიძრა.

@თავი მეათე. სიბრძნისა და სიყვარულის ქსელში

> განუწყვეტლივ უნდა გზავნო მსტოვრები ყოველ მხარეს მოგზაურების, სუფიების, წამლების გამყიდველების, მათხოვრების სახით.
>
> **ნიზამ ალ მულკი**

ჰამადავლეს სავაჭრო სახლს მხარგრძელისა და მანდატურთუხუცესის მსტოვრები დიდი ხანია ფარულად უთვალთვალებდნენ.

რუსთა ქარავნის სპარსელი მეგზური ორჯერ შენიშნეს მანდატურთუხუცესის ჯაშუშებმა ჰამადავლეს სავაჭროსთან. დახლიდარმა ისიც შეამჩნია, რომ სპარსელი მექარავნე ხათუნთან მივიდა, მისთვის გაუგებარ ენაზე რაღაც უთხრა, მაგრამ ხათუნმა თვალით ანიშნა და სავაჭროდან სწრაფად გავიდა.

დაღამდა თუ არა, კაცურად გადაცმული, ყაბალახით თავპირახვეული ხათუნი უკანა კარიდან ჩუმად გამოვიდა და ისნის გზას დაადგა.

ქალაქის კართან გამართულ ფუნდუკში უამრავი ხალხი ირეოდა.

ფუნდუკში ღრიანცელი იდგა. მთვრალი მეინახეები რამდენიმე ენაზე ხმამაღლა ყაყანებდნენ, სადღაც კუთხეში ზურნა ჭყვიტინებდა და ყბაზე ხელმიჭერილი ბრუციანი მომღერალი სპარსულ ბაიათს გაჰკიოდა.

ფუნდუკში შემოსულმა ხათუნმა იქაურობა მოათვალიერა, კუთხეში პატარა სუფრასთან სპარსელი მექარავნე დაინახა და იქით წავიდა, მაგიდას უხმოდ მიუჯდა, მიმტანს კერძი შეუკვეთა და სპარსელთან ჩურჩულით გააბა საუბარი.

მიკიტანი თვალს არ აშორებდა საეჭვოდ მოჩურჩულეებს.

ხათუნმა უბეში ჩაიყო ხელი, ეტყობოდა, რაღაცის ამოღება უნდოდა, მაგრამ ირგვლივ მიმოიხედა. მიმტანის მოახლოება რომ შენიშნა, გაიტრუნა და მკერდი მოიქექა.

მიმტანმა კერძი დაუდო და გამობრუნდა.

ხათუნმა ორიოდ ლუკმა უგულოდ შეჭამა, მერე უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა. ცხვირსახოციდან მაგიდაზე პატარა ბარათი დავარდა. ხათუნმა ვითომ ვერც შეამჩნია, ტუჩი მოიწმინდა და ცხვირსახოცი ისევ უბეში ჩაიდო.

ფრთხილად, ვითომ პურისკენ წაიღო ხელი და, მაგიდაზე დაგდებულ ბარათს მისწვდა სპარსელი მექარავნე.

უეცრად ღონიერი ხელი სალტესავით შემოეჭდო მექარავნის მაჯას. სპარსელმა თავი ასწია და გაფითრდა: იარაღმომარჯვებული ოთხი მანდატური ადგა თავს, გასასვლელებშიც მანდატურები იდგნენ და ფუნდუკიდან არავის უშვებდნენ.

ღრიანცელი უცებ მიწყდა, მანდატურებმა ყაბალახით თავპირახვეულ ხათუნსა და მის თანამესუფრეს ხელებზე ბორკილები დაადეს და ფუნდუკიდან წაიყვანეს.

დაპატიმრებულების დაკითხვა თავად მხარგრძელმა იკისრა.

ხათუნის ბარათი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რუმის სასულტნოს ვაზირისათვის იყო განკუთვნილი.

კომნენთა და ქართველთა მეფის დაუძინებელ მტერს ლამაზი მსტოვარი დაწვრილებით ატყობინებდა საქართველოს ამბებს: აქ არზრუმისაკენ ახალციხელის მეთაურობით დაძრულ ჯარებზეც იყო ლაპარაკი, კომნენთან სამხედრო მოლაპარაკებაზეც, ყივჩაღებთან შეთანხმებასა და ოცდაათიათასიანი ლაშქრის მოლოდინზეც, ბოლოს, არც სამეფო კარის ამბები იყო დავიწყებული. მსტოვარი დაწვრილებით ატყობინებდა მეფისა და ათაბაგის განხეთქილებაზე.

სამი დღე-ღამის უძილობისა და წამების შემდეგ გატყდა ხათუნი.

თვითონ უამბო მხარგრძელს, როგორ გაება ჯერ ბიზანტიისა და შემდეგ რუმის დაზვერვის ქსელში, _ როგორ „შერთეს“ საძულველ ჰამადავლეს და როგორ შემოგზავნეს საქართველოში.

რუმის ანუ იკონიის სულტანი ტრაპიზონის იმპერიის დასაპყრობად ემზადებოდა. ტრაპიზონის სუსტი იმპერიის უკან ძლიერი საქართველო იდგა, ტრაპიზონი საქართველოს გავლენის სფეროდ ითვლებოდა და საქართველოს მფარველობის ქვეშ იყო. ამდენად, იკონიის სულტანს საქართველოსთან შეტაკება გარდუვლად მიაჩნდა.

იკონიის სასულტნო გაფაციცებით ადევნებდა თვალს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და სამხედრო ვითარებას, გამუდმებით გზავნიდა საქართველოში მსტოვრებსა და ჯაშუშებს.

როცა რუმის ვაზირი საქართველოში უმშვენიერეს მსტოვარს გზავნიდა, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მას ასე მნიშვნელოვანი წარმატება ელოდა. დიდი-დიდი, რისი იმედიც ვაზირს შეიძლებოდა ჰქონოდა _ ხათუნის რომელიმე ქართველ დიდებულთან ან მხედართმთავართან დაახლოება იყო. იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ უტურფესი ხათუნის სიყვარულის ქსელში თავად საქართველოს მეფეთმეფე გაებმებოდა.

თბილისიდან რომ თავისი ჯაშუშის გაუგონარი წარმატების ამბავი მოუვიდა, რუმის ვაზირს თავში ათასგვარი გეგმა ჩაესახა და ადრე განზრახულზე გაცილებით უფრო დიდი მიზნების მიღწევა მოინდომა.

რუმის ვაზირმა საქართველოში ჯაშუშთა ახალი ჯგუფი შემოგზავნა _ რინდთა ორდენის მოხეტიალე სუფიებს თავისი მსტოვრები გამოაყოლა. რინდთა ორდენის მეთაური შეიხ-ფეიზი გამოცდილი მზვერავი იყო, რუმის ვაზირმა მას მრავალი დავალება მისცა და ხათუნის ჯაშუშური საქმიანობის წარმართვაც დააკისრა. არავინ იცოდა, რით და როგორ გახდა შეიხ-ფეიზი რინდთა ორდენის მეთაური. თავი მას სულიერ მამად მოჰქონდა, მაგრამ მორწმუნე სუფიებივით თავს ლოცვით არ იწუხებდა და არც ამ ქვეყნის სიკეთისაგან იკლებდა რამეს. ხმამაღლა, სიტყვით სათნოებას ქადაგებდა, მაგრამ ჩუმად საქმით ბოროტებას ემსახურებოდა _ საქართველოს სამეფოს საზიანოდ მოქმედებდა და განდგომილი ბერის ძაძის ქვეშ ფარულად სატევარს ატარებდა.

რუმის ვაზირის ანგარიშით, ხათუნისა და შეიხ-ფეიზის მოქმედებას ქართველთა შორის შინააღრევა და შფოთი უნდა გამოეწვია, ამას ზედ საქართველოს სამეფოს საგარეო გართულებაც დაერთვოდა და ვიდრე ქართველებს ტრაპიზონის იმპერიისათვის არ ეცლებოდათ, იკონიის ძლიერი სულტანი ქეი-ქაუსი სუსტსა და ტრაბახა კომნენს გაუსწორდებოდა.

რუმის ვაზირი საქართველოში ყივჩაღთა ლაშქრის გამოსვლამდის ესწრაფოდა ტრაპიზონის დაპყრობას. ამიტომ ჩქარობდა, შეიხ-ფეიზსა და ხათუნს კაცს კაცზე უგზავნიდა, დავალების დროზე ასრულებას თხოულობდა.

ხათუნი აგვიანებდა და ქართველთა მეფის საზიანოდ ნაბიჯსაც არ დგამდა, რადგან, როგორც თვითონ ტირილით ათაბაგის წინაშე აღიარა, ლაშა-გიორგი ამასობაში ნამდვილად შეჰყვარებოდა.

ჩვენების მიცემისას ხათუნი კეკლუცობდა, მხარგრძელს თვალში თვალს ეშმაკურად უყრიდა და გამომწვევი, თამამი ქცევით ცდილობდა ჭარმაგი ათაბაგის თავბრუდახვევას. მხარგრძელი თავს ძლივს იკავებდა, ცდილობდა, წონასწორობა არ დაეკარგა და ბოლომდე ცივი და გულგრილი ყოფილიყო ლამაზი პატიმრის მიმართ.

_ რა ნიშანი გქონდათ დათქმული? როგორ იწვევდით მეფეს შეიხის სამოთხეში? _ ვითომ სხვათა შორის იკითხა მხარგრძელმა.

_ ამ ბეჭედს ვუგზავნიდი ხოლმე, _ მიუგო ხათუნმა და თითიდან ფართო ბეჭედი წაიძრო.

ბეჭდის გემმაზე ლანგარზე დადებული მოჭრილი თავი იყო ამოკვეთილი. მხარგრძელმა ბეჭედს არც დახედა, სხვა ნივთიერ საბუთებთან ისე დადო, თითქოს ყურადღების ღირსადაც არ ჩაეთვალოს და დაკითხვა განაგრძო:

_ მეფესთან ერთად მიდიოდი შეიხ-ფეიზის რინდებთან თუ მარტო?

_ მე წინა დღით წავიდოდი ხოლმე, მეფის მისაღებ თადარიგს ვიჭერდი და სუფრისა და განსასვენებლის გამზადებას ვხელმძღვანელობდი.

_ რას აკეთებდი რინდებთან?

_ მეფე ღვთაების ხილვას ეძლეოდა, ხოლო, როცა საღმრთო საქმეს მორჩებოდნენ, ბაღში ჩემთან მოდიოდა. იქ გაშლილი სუფრა და განსასვენებელი ელოდა და მემუსიკენი საამო ხმებს გამოსცემდნენ. დილამდე ვნეტარებდით და ზოგჯერ მეფე მეორე დღესაც ინებებდა ხოლმე იქ დარჩენას.

_ რინდებიც თქვენს სუფრაზე შეექცეოდნენ?

_ არა, რინდები ქალებთან არ სერობენ...

_ ქალისა და ღვინის სიამოვნების სანაცვლოს ლოცვით გარინდებაში ჰპოვებენ თურმე, არა?

_ აგრე მოგახსენებენ, ბატონო.

_ ძალიან კარგი, _ განაგრძო ათაბაგმა, _ ახლო ხანში ხომ არ აპირებდით მეფესთან ერთად შეიხ-ფეიზის სამოთხის მონახულებას?

_ ამ სამ-ოთხ დღეს შეიხ-ფეიზის სამყოფელი უცხოთათვის დახშულია, რადგან რინდები მთვარის გამოცვლის დღეებში გარეშეს არავის იკარებენ, მარტო ჩაიკეტებიან და საღვთო ლოცვას თუ თრობას ეძლევიან. არავინ იცის ამ დროს რას აკეთებენ, ოღონდ ეს კია, რომ საიდუმლო ზიარების შემდეგ დაღლილებს ორ დღე-ღამეს გამოუფხიზლებლად სძინავთ და მათი სამყოფელიდან დაფუკული ღვინის რუმბები გამოაქვთ. მეფემ ბევრჯერ ინება ამ საიდუმლო შეკრებაზე დასწრება, მაგრამ შეიხ-ფეიზი ჯერ „შეცნობილად“, უზენაეს მიჯნურთან

შეერთებისათვის მომზადებულად არ თვლის თავის გვირგვინოსან მოწაფეს და საიდუმლო ზიარების დღეებში ახლო არ იკარებს.

სმენადქცეული ათაბაგი ჩაფიქრდა. უცებ რაღაც გადაწყვიტა, თვალებში შუქი ჩაუდგა და ხათუნს მიმართა:

_ საიდუმლო კრებაზე რომ უცხო ვინმე შეიპაროს ან უცნობლად შეესწროს, ვითარ მოეპყრობიან სუფიები?

_ ცოცხალს არ გაუშვებენ, რადგან უდიდეს ცოდვად და დანაშაულად რაცხენ წმიდა ზიარებაზე უცხოთა დასწრებას.

_ მეფესაც არ დაინდობენ? _ შეაპარა კითხვა ათაბაგმა.

_ მეფესაც არ დავინდობთო, თავად შეიხ-ფეიზისაგან მსმენია, _ აკანკალებული ხმით უპასუხა ხათუნმა და ათაბაგს თვალებში შეხედა. უცებ მთელ სხეულში უსიამო ჟრჟოლამ დაუარა. მხარგრძელის თვალებში მეფის მიჯნურმა რაღაც საშინელი ამოიკითხა და შეყვარებულის წინათგრძნობამ ერთიანად ააფორიაქა.

მხარგრძელმა ჯაშუშის ჩვენებას, რუმის ვაზირთან მინაწერ ბარათს და ხათუნის ბეჭედს ხელი მოუსვა, პატიმარს ძილი ნებისა უსურვა და დილეგიდან გავიდა.

* * *

გვიან დაწვა მეფე და ნაღვინევს მალე ჩაეძინა. ჩაეძინა, მაგრამ ძილი ძილს არ ჰგავდა: მთელ ღამეს საშინელ სიზმრებს ხედავდა, შფოთავდა და ზოგჯერ ხმამაღლაც აბოდებდა.

ჯერ იყო, ხათუნთან ლოგინში განცხრომა დაესიზმრა, ვითომ ხათუნმა ლაღობა დაუწყო და ორივენი ლოგინიდან დაკოტრიალდნენ. სიცილ-კისკისით მიგორავდნენ უსასრულო ლოგინზე თუ მწვანეზე მიჯნურები. მერე უცებ კლდის პირს მიაღწიეს. ის იყო, ლაშა კლდეს გადაცდა, უფსკრულზე გადაეკიდა და ხათუნიც თან უნდა გადაეტანა, რომ ვიღაცის ღონიერმა ხელმა ხათუნი შეაჩერა. ხათუნი ცდილობს ხელი არ გაუშვას საყვარელ მეფეს, მაგრამ ღონიერი ხელი, რომელმაც უფსკრულთან შეაჩერა, მარწუხივით უჭერს ქალის უღონო ხელებს. ქალი ტკივილისაგან იკლაკნება, სიმწრის ოფლი ასხამს და ლაშა გრძნობს, როგორ ნელ-ნელა შორდება მის ყელს შემოჭდობილი ქალის ნაზი თითები. ლაშა განწირული ფართხალებს უფსკრულის პირას. ცდილობს, უფრო მაგრად ჩაავლოს ხათუნს ხელები, რომ როგორმე თავი შეიმაგროს უფსკრულში გადაჩეხვისაგან, მაგრამ ახლა უკვე მას მისწვდა ის ღონიერი ხელი, რომელმაც ხათუნი შეაჩერა კლდის ნაპირთან. საშინლად მოუჭირა მაჯაში მძლავრმა ხელმა, ძვლებმა ტკაცანი გაიღო და ტკივილისაგან გამწარებულმა თვალი წამით მაღლა მიაპყრო ლაშამ: კლდის თავზე თმაგაჩეჩილი და წვერგაფოფრილი ათაბაგი ივანე იდგა.

ლაშას თვალთ დაუღამდა, ნელ-ნელა მოეშვა ხათუნის წელზე სალტედ შემოჭდობილი თითები და უფსკრულისკენ რომ მოსწყდა, ხათუნმა განწირულად შეჰკივლა.

მეფეს გაეღვიძა. შუბლზე ოფლის ცვრები ეყარა და ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. შარბათი მოსვა. ცოტა ხანს თვალგახელილი იწვა. მერე ისევ ძილი მოერია, გვერდი იცვალა და თვალი მიხუჭა.

მცირე ხნის შემდეგ ახალმა სიზმარმა მოუწამლა მეფეს მოსვენება.

ყელზე ვითომ ლამაზი გველი ეხვია, ლაშას ეს გველი არ კბენდა, ისე ეხვეოდა და ეალერსებოდა. მერე უცებ საიდანღაც ორი ძლიერი ხელი გამოჩნდა, გველი მოაშორა და მხოლოდ მაშინ იცნო ლაშამ, ამ გველს ხათუნის სახე ჰქონდა. ლაშამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე ხელები, რომელთაც გველი მოაცილეს, თვითონ შემოეჭდვნენ მის ყელს და ნელ-ნელა მარწუხებად წაეჭირნენ. გაიბრძოლა ლაშამ, მაგრამ ამაოდ, ხელების შემომჭდობელს გოლიათური ღონე ჰქონდა, მიწისკენ დაზნიქა მეფე. უღონო ბრძოლისაგან ქანცგაწყვეტილმა მეფემ მხოლოდ ახლა დაინახა მასთან შეჭიდებული თვალებში სისხლჩაქცეული გოლიათი. დაინახა და ბუნდოვნად დანახული ნაჭრევებიანი სახე ერთ წამს ივანე ათაბაგისას მიამსგავსა. თვალებმა სინათლე დაჰკარგეს, ნახმლევებიანმა გოლიათმა ლაშა ძირს დასცა და ზედ ზვავივით დააწვა.

ლაშას დაცემა და გაღვიძება ერთი იყო.

თვალი რომ გაახილა, სიზმარი გაიხსენა, ივანე ათაბაგის მეორედ დასიზმრებამ ღიმილი მოჰგვარა.

ძილი საბოლოოდ გაუტყდა. ფეხზე წამოდგა, ხალათი მოიხურა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

საწოლ ოთახში პატარა საწერი მაგიდა ედგა. გუშინ დილას წერდა და ფურცლები ისევ გაშლილი იყო.

აგერ, წელიწადზე მეტია, რაც ტრაქტატს წერს საქართველოს მეფე გიორგი მეოთხე, ტრაქტატის თავფურცელზე დიდი წითელი ასოებით გამოყვანილია:

„საქართველოს სამეფოსათვის“.

ლაშა მაგიდას მიუჯდა, გაშლილ ფურცელს დახედა და წინა დღის ნაწერი გადაიკითხა:

„ქართველ ტომთათვის“

...რომელნი იტყვიან ტომობასა და შთამომავლობასა ქართველთა ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან. არა სარწმუნო არს ესე, ვითარცა ცუდ და ზღაპარ. უძველეს არს ცხოვრება ქართველთა ბაბილოვანთა და ქეტელთა თანა. ჟამსა მას ტომი ქართველთა იყო ერთ და ძლიერ. კირთებისა მტერთა ურიცხვთაგან იწყო რღვევად და კლებად სიმრავლემან და სიმტკიცემან ერისამან. და განიბნნეს ნათესავნი ქართველთა ქვეყანასა ზედან და სხვადასხვა იქმნეს ენაი მათი, ვითარ აფხაზთა და ჩერქეზთა, ლაზთა და სვანთა. არამედ ერთ არიან დღესაცა ენითა პირველითა და ზნითა და წესითა ამა ჟამსაცა, ოდეს ერთ მთავრობასა და ერთ მეფობასა შინა კვლავცა იქმნენ ერთ ტომად და ერთ ენად ერნი უმრავლესნი, ვითარ ჰგიებდნენ დასაბამსა მათისა ცხოვრებისასა“...

ლაშამ წიგნი გადაფურცლა და კითხვა განაგრძო:

„...წეს არს ქართველთა პირისსიმტკიცე, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, წყობასა შინა სიკისკასე, მტერთა ზედა ერთობა, ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ ყოველი ეგოს ქორწინებითა სჯულიერითა თვისთა თანასწორთა: მთავარნი მთავართან, აზნაურნი აზნაურთან და გლეხნი გლეხთან...“

ლაშას კითხვა მოსწყინდა, განსჯისა და ღრმად დაფიქრებისათვის არ იყო განწყობილი. გული უმღეროდა და თავში ომარ ხაიამის ლექსები ერეოდა.

ფეხზე წამოდგა და ღიღინით გაიარ-გამოიარა. სარკმელთან შეჩერდა, გაიხედა: ღამე გაცრეცილიყო და ცაზე ვარსკვლავები ცახცახებდნენ.

თენდებოდა, დილის ბინდში მტკვარზე ტივები მიცურავდნენ და ქარს მეტივეების ჩუმი, სევდიანი სიმღერა მოჰქონდა.

ლაშა საწერ-კალამს მისწვდა. პერგამენტზე სწრაფად აღიბეჭდა ორი სტრიქონი. მერე ისევ მაგიდას მოშორდა, გაიარ-გამოიარა და ოდნავ წამღერებით აბუტბუტდა. ბუტბუტსა და ნაბიჯს უმატა, მერე ფიქრში წასული თვალები კვლავ ეტრატს დააშტერა, წინანდელ ნაწერს ხაზი გადაუსვა და სტრიქონები მიჯრით მიაყოლა ერთიმეორეს.

ლაშამ პერგამენტი აიღო, ხმამაღლა მკაფიოდ წაიკითხა:

წუთისოფელში არაფერი არის უცვლელი,
ვარსკვლავი ქრება, მტვრად იქცევა ვარდის ფურცელი
ულხინოდ ერთ დღეს ნუ გაუშვებ, თორემ გაფრენილს
ვერც დაიბრუნებ და ვერც კიდევ დარდით უშველი.

ასი წლის შუქიც თურმე მხოლოდ კენტი ღამეა,
რაც სიტკბო შესვი, თურმე მხოლოდ წვეთი შხამია,
მაშ, დაეწაფე სატრფოს ბაგეს, ღვინის ფიალას, _
მარადისობა ნეტარების ერთი წამია.

ლაშამ პერგამენტი დადო, თითქოს რაღაც დიდი ტვირთი მოეხსნას, ისეთი სიმსუბუქე და შინაგანი დამშვიდება იგრძნო.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ნაწერს. თორელს, ალბათ, არაფრად მოეწონებაო, გაიფიქრა და ღიმმორეულმა კალამი მაგიდაზე ისროლა.

მაინც არ ეძინებოდა, ტანთ მსუბუქად ჩაიცვა და საწოლიდან გამოვიდა.

კართან ფეხზე ფხიზლად მდგარი ლუხუმი დაუხვდა.

_ რატომ არ გძინავს, ლუხუმ? _ ჰკითხა მეფემ და მცველს მეგობრულად მხარზე ხელი დაარტყა.

_ როცა მეფე ფხიზლობს, ყმათაგან ძილი წესი არ არის, _ თავდახრით მოახსენა მიგრიაულმა და მეფე თავის წინ გაატარა.

ლაშა ეზოში გამობრძანდა, ვარსკვლავთ სათვალთვალო კოშკისკენ წავიდა, კოშკის კიბეზე შედგა და გაუჩინარდა.

ლუხუმი კოშკის კიბესთან ჩამოჯდა. ერთხანს მანაც ვარსკვლავებს უცქირა. სადღაც ვარსკვლავებს ვარსკვლავი მოსწყდა და, როგორც ბავშვობაში იცოდა, ლუხუმმა მაშინვე პირჯვარი გადაიწერა.

რამდენ ხანს უმზერია ბავშვობაში თავის კახეთში ასე ვარსკვლავებით მოჭედილი ცისათვის. თავი ისევ ბალღად წარმოიდგინა და, როგორც ბავშვობაში, ცისა და მიწის განუყოფელი ერთიანობა შეიგრძნო. ქვეყნის ზრუნვისაგან გამდგარს ალალი გულით სიმღერა მოუნდა.

მტკვარზე მეტივეების ღიღინი გაისმოდა. ხმადაბლა მღეროდნენ სევდიან სიმღერას სადღაც დილის ბინდბუნდში ჩაკარგული მეტივეები, მტკვარი მიჩხრიალებდა და მეტეხის მორევში თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ ალმასის კრისტალებივით დალეწილი ჭავლები.

მეფის მცველს ჩათვლიმა, თავით და ხელებით შუბს დაეყრდნო და თვალი წაატყუა.

ვარსკვლავთა უცნაურმა განლაგებამ და ურთიერთდამთხვევამ შეაშფოთა მეფე. ეტლთა ჩხრეკა ყოველმხრივ მომდგარ ხიფათს აუწყებდა და პირველად შეშინდა ლაშა ცაზე ამოკითხულით.

შეშფოთებულმა კოშკი მიატოვა და, თითქო უკან ვინმე მოსდევდა, კიბე ჩამოირბინა.

მცველს ფეხის ხმაზე გაეღვიძა და წამოხტა, თმააშლილ ლაშას რომ შეხედა, ფარ-შუბი მოიმარჯვა და მეფეს შეშფოთებულმა მიმართა:

_ რა მოხდა, მეფევ?

_ არაფერი... არაფერი... აქედან წავიდეთ... წავიდეთ... _ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მეფე, უკან-უკან იხედებოდა და, თითქო ვინმესაგან თავის დაღწევა სურსო, ჩქარი, შემკრთალი ნაბიჯით მიდიოდა წინ.

* * *

ღამენატეხს დიდხანს ეძინა, ავი სიზმრებითა და ვარსკვლავთა წინასწარმეტყველებით გაბოროტებულს გვიან გაეღვიძა და უგუნებოდ ადგა.

დილით ხათუნის ბეჭედი _ შეიხ-ფეიზის ბაღში წვევა მოუვიდა. სხვა დროს ხათუნთან შეხვედრის მოლოდინი სიხარულით ავსებდა, დაღამებას არ უცდიდა და ფრთაშესხმული მიჰქროდა ხოლმე პაემანზე. დღეს კი, რატომღაც, გული არ მიუწევდა და წასვლა ეზარებოდა.

ნაშუადღევს ხათუნი მოაკითხვინა. გუშინდელს აქეთ შინ არ არისო, მოუტანეს ამბავი და ლაშა დარწმუნდა, რომ მისი სატრფო, ჩვეულებისამებრ, წინა დღით იქნებოდა წასული შეიხ-ფეიზთან მეფის მიღებისათვის თადარიგის გასაწევად, ლხინისა და განსასვენებლის მოსამზადებლად.

როგორ გაიხარებდა ლაშა, ხათუნს რომ რაიმე მიზეზით პაემანზე უარი ეთქვა.

არ წავიდოდა მეფე, მაგრამ სატრფოს როგორ გააწბილებდა.

მიტოვებული, ამაო ლოდინით გულგადალეული ხათუნი რომ წარმოიდგინა, შეებრალა, მისი ნახვა მოუნდა და ლამაზი თვალების ამოკოცნა.

შებინდებისას ცხენი მოაყვანინა მეფემ. ცხენზე შეჯდომისას მოუცილებლად გვერდით მდგარ ლუხუმს რომ შეხედა, წინათგრძნობამ ერთხელ კიდევ შეაყოვნა, წასვლა ისევ შეეზარა და შეყოყმანდა.

მეახლეო, უბრძანა მცველს და ცხენი ნელა დაძრა დინჯი ნაბიჯით. შეიხ-ფეიზის ალაყაფის კართან მდგარი გუშაგი მეფეს წინ გადაუდგა.

_ ნაბრძანები მაქვს, არავინ შევუშვა, _ მოახსენა გუშაგმა.

მეფე ყოველთვის თავისუფლად შედიოდა შეიხ-ფეიზის სამყოფელში, ამიტომ გუშაგის ნათქვამი ეუცნაურა და საეჭვოდ ეჩვენა.

ლუხუმი მკერდით მიეძალა კაფანდარა გუშაგს და ძალით აპირებდა გავლას, მაგრამ გუშაგი გაჯიუტდა და აყაყანდა.

ლაშამ ქისით ოქრო ამოიღო, ისე ესროლა გუშაგს, მისკენ არც მიუხედავს და მძიმე ნაბიჯით ხეივანს გაჰყვა.

ყასბის ძაღლივით ჰაერშივე დაიჭირა გუშაგმა ნასროლი, იქვე, კუთხეში შებრუნდა, ჩამოჯდა და გახარებულმა ხარბად დაიწყო ნაწყალობევის თვლა.

ლუხუმი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა მეფეს. ვაზით დაბურული, გრძელი და ბნელი ხეივანი გაიარეს. ხეივნის ბოლოს, მწვანეში ჩამალულ თალართან შეჩერდა მეფე.

_ აქ დამელოდე, ლუხუმ, თვალი და ყური ჩვენკენ გქონდეს! _ უბრძანა მეფემ და განათებულ სახლზე ანიშნა.

ლუხუმი მწვანეში ფრინველივით შეიმალა.

მეფე სახლისაკენ გაემართა.

* * *

შეიხ-ფეიზის რინდთა ორდენის მისტერიებმა ლაშა თავიდანვე თავისებურებით მიიზიდეს.

ისინი, სუფიების სხვა სექტების მსგავსად, ქვეყნისაგან განდგომასა და ცხოვრების სიტკბოზე ხელის აღებას როდი ქადაგებდნენ. პირიქით, ორდენის წევრებს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებდნენ და სირცხვილსა და მორიდებას გმობდნენ.

ორდენის წევრები თავიანთ თავს მოქეიფეებს, ანუ რინდებს უწოდებდნენ და ღვთაებრივი შუქის სილამაზით თრობას ეძლეოდნენ. ეს შუქი, მათი რწმენით, რინდების სულში ღვთაებიდან გადმოდიოდა, ავსებდა მას და ხორცისაგან ათავისუფლებდა. ამ ღვთაებრივი თრობისათვის რინდებს ღვთისადმი სიყვარულში, ღვთაებასთან სრულ გათქვეფასა და შეერთებაში უნდა მიეღწიათ, მთელი სამყარო მათ ღვთაების გამოვლენად მიაჩნდათ, ხოლო საგნები იმ სარკედ, რომელშიაც ღვთაებრივი შუქი ირეკლებოდა. ღვთაების ამ გამოვლენას ბუნებასა და საგნებში მხოლოდ მოსაჩვენრად თვლიდნენ და იგი ერთადერთი რეალური არსების _ ღმერთის ანარეკლად წარმოედგინათ. ყოველივე ერთი დასაბამის გამოვლენაა და ადამიანს სამყარო ტყუილად ეჩვენება მრავალფეროვნად და ნაირსახოვნად. მსოფლიო სულის ღვთაებრივი შუქის ნაპერწკალი ყველგან და ყველაფერშია, მისი ნაწილი ადამიანსაც გააჩნია. ადამიანის უდიდესი ბედნიერებაა გათავისუფლდეს ხორციელი, პირადი მესაგან და ჩაიძიროს ღვთაების ხილვაში, შეერიოს ღვთაებას, როგორც წვეთი ოკეანეს, შეუერთდეს ღმერთს, როგორც ნაწილი მთელს.

რინდები ისლამის ნორმებსა და კანონებს სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს. თავიანთი ორდენისათვის სავალდებულოდ არ მიაჩნდათ პირობითი მორალის კანონები და საზოგადოებრივი წეს-ჩვეულება. უზენაესის მჭვრეტელ, ღვთაებასთან სულიერად შეერთებულ რინდებს თავიანთი არსება კეთილისა და ბოროტის მიღმა წარმოედგინათ და თავიანთ თავს ამქვეყნიური პირობითობისა და კანონებისაგან, ზნეობრივი წესებისა და მორალისაგან თავისუფლად თვლიდნენ.

რაკი ქვეყანა მათთვის მხოლოდ მოსაჩვენარი არარეალობა იყო, ამიტომ ამ ქვეყნის ყველა წესი და პირობითობაც არ მიაჩნდათ სავალდებულოდ.

ქართველთა მეფე რინდი სუფიების ქადაგების ამ უკანასკნელმა მხარემ მიიზიდა. იგი კარგა ხანია რინდებთან დაიარებოდა და მოთმინებით ემზადებოდა იმ დღისათვის, როცა სუფიები „შეცნობილის“ ხარისხზე აიყვანდნენ და რელიგიურ ექსტაზში მისტიური თრობით უზენაეს მიჯნურს შეუერთდებოდა.

რინდების სამყოფელში შესვლისთანავე გაოცდა ლაშა. დარბაზში ისეთი კვამლი და ოხშივარი იდგა, რომ თვალები ეტკინა. უგონოდ მთვრალი რინდები ცხოველურ განცხრომას მისცემოდნენ.

* * *

ღამენატეხ ლუხუმს წუთით წასთვლიმა.

უცებ ხმაურმა გამოაღვიძა.

_ მომკლეს! _ მისწვდა განწირული ძახილი და მიგრიაულმა მეფის ხმა შეიცნო.

ნამდვილად უჭირსო, გაიფიქრა წამით და თალარიდან ვეფხვივით ისკუპა.

ხმალგაშიშვლებული ლუხუმი დარბაზში შევარდა და თვალებს არ დაუჯერა: ფეხქვეშ ჩაგდებულ მეფეს ექვსიოდე დერვიში დასეოდა და კეტებით უწყალოდ გვემდა.

_ რას ჩადით! გონს მოდით! _ ერთი მხეცივით შეჰყვირა ლუხუმმა და პირველსავე დერვიშს ხმალი მოუქნია.

სანამ სუფიები გონს მოეგებოდნენ, ლუხუმმა ორ მათგანს კიდევ დაჰკრა გამეტებით ხმალი. სისხლმა და დაჭრილების კვნესამ გამოაფხიზლა დანარჩენები.

შეიხ-ფეიზმა ლუხუმს კეტით შეუტია.

დანარჩენებმაც კეტები იმარჯვეს და მეფის მცველს მიესივნენ.

შეიხ-ფეიზი ჩხუბში მარჯვე აღმოჩნდა, მოხერხებულად იცილებდა მეფის მცველის ხმალს და თავადაც ყოჩაღად უტევდა ჯაჭვგადაცმულ მიგრიაულს.

კიდევ ერთ დერვიშს შიგ მუცელში სცა ლუხუმმა და სანამ ვადამდე სხეულში ჩასულ მახვილს გამოაძრობდა, შეიხ-ფეიზმა იქაურობას მოავლო თვალი. მეფე ძირს ეგდო უძრავად, მკვდარს ჰგავდა. შეიხმა მეფის მცველთან ბრძოლა უჭკუობად ჩათვალა, ფანჯრიდან ისკუპა და სირბილით ბნელს შეერია.

უვნებლად გადარჩენილმა ერთადერთმა დერვიშმაც შეიხს მიბაძა და ისიც ბნელში დაიკარგა.

მარტო დარჩენილი ლუხუმი მაშინვე მეფეს მივარდა. მის მიერ ზედ დაკლული ორი რინდის გვამი მოაშორა და საკუთარ თუ მოკლულთა სისხლით მოსვრილ ლაშას რომ დახედა, გაფითრდა.

_ მეფევ... მეფევ ბატონო! _ სასოწარკვეთით ჩასძახა ლუხუმმა.

თავგატეხილი და სახედათეთქვილი ლაშა სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამჟღავნებდა. ლუხუმმა საკინძე შეუხსნა მეფეს, მკერდზე ყური დაადო და გულის მისუსტებული ფეთქვა რომ იგრძნო, სიხარულისაგან სახე გაუბრწყინდა.

_ ცოცხალია! _ აღმოხდა მიგრიაულს, მერე იქაურობას თვალი მოავლო, კუთხეში სურა დაინახა, მოარბენინა და მეფეს წყალი ასხურა. ლაშამ დასიებული ბაგეები ძლივს შეანძრია და თვალგაუხელად, ოდნავ გასაგონად ამოიჩურჩულა:

_ წყალი!

მცველმა შეკრულ კრიჭაში წყალი ჩააწვეთა და ბევრი აღარ უფიქრია, გონდაკარგული მეფე ხელში ბავშვივით აიტაცა და, ფართო მკერდზე მისვენებული, სირბილით წაიყვანა.

ეზოში მეფის ცხენი დაიჭირა ლუხუმმა, წამსვე ზედ მოახტა და მუხლებსა და ტახტაზე დასვენებული მეფით ალაყაფის კარს მიადგა.

ჭიშკართან წინანდელი გუშაგი აღარ ჩანდა. ეზოს გალავანთან ცხენოსანი მანდატურები იდგნენ და გარეთ არავის უშვებდნენ.

ლუხუმმა პირდაპირ მანდატურებთან მიაგდო ცხენი, საშინელი სახე ჰქონდა. ოფლითა და სისხლით მოსვრილს ცალ ხელში გასისხლიანებული ხმალი ეჭირა, მეორეთი სადავე ეპყრა და მკლავზე მისვენებული მეფის თავს იმაგრებდა.

_ გამატარეთ, მეფე მომყავს! _ შესძახა ლუხუმმა.

მანდატურები ახლო მივიდნენ, შეშლილ სახეში ჩახედეს და მეფის მცველი იცნეს.

_ რა ამბავია? _ ჰკითხეს გაოცებულმა მანდატურებმა.

_ მეფე განსაცდელშია, გამატარეთ!

_ ნაბრძანები გვაქვს, ეზოდან ცოცხალი არავინ გავუშვათ. ახლავე უფროსს მოვახსენებთ... _ უთხრა მანდატურმა და ცხენი მოატრიალა.

_ რა დროს უფროსია, მეფე განსაცდელშია! _ შეჰღრიალა ლუხუმმა და ცხენით წინ გადამდგარი მანდატურის ცხენს მიაწვა.

ხმაურზე ასისთავი მოვიდა, მეფის ლურჯა და განუყრელი მცველი იცნო. ლუხუმს გაშტერებული შეაჩერდა.

_ რა მოხდა? მეფეს რა მოუვიდა? _ შეშფოთებულმა იკითხა და პასუხს არ დაუცადა, გზა ისე მისცა ლუხუმს.

_ მიჰყევით მეფეს! _ უბრძანა ასისთავმა და ორი მანდატური ჭენებით გაედევნა მძიმე ტვირთით წელგაზნექილ მეფის ლურჯას.

@თავი მეთერთმეტე. პირველი მარცხი და პირველი ბზარი

რინდების საიდუმლო შეკრებაზე მეფის გამოჩენა და შეიხ-ფეიზთან მოამბის მისვლა ერთი იყო. შეიხს თავზარი დაეცა: ხათუნი ციხეში იჯდა, ხოლო მის სამყოფელს მეფის ჯარი ერტყა. რინდთა მეთაურმა სხვა ვეღარაფერი მოისაზრა. დამნაშავედ ლაშა ჩათვალა. მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა ლაშასთან საქმის გათავება და მეფეს გაცეცხლებული ეცა. ლუხუმის გამოჩენამ გამოაფხიზლა შეიხ-ფეიზი, მაშინვე მიხვდა, რა ხიფათშიც ჩავარდა და თავის გადასარჩენად საიდუმლო გასასვლელით დააპირა გაპარვა.

ჯარითა და მანდატურებით გარშემორტყმულ გალავანს როგორც გასცდა, ხელი სტაცეს და მხარგრძელს მიჰგვარეს.

შეიხის ცოცხლად დატოვება მხარგრძელის ანგარიშს არ ეთანხმებოდა და რინდების ცრუ მეთაურიც იმ ღამესვე ხათუნივით კვალწმინდად გაქრა.

ცოცხლად გადარჩენილ ერთადერთ დერვიშსაც იგივე ბედი ეწია და იმ დღეს მომხდარი ამბის ყველა ძაფი ათაბაგს ჰქონდა ხელთ აკრეფილი.

უწყალოდ ნაგვემ ლაშას თავს ექიმები ეხვივნენ.

წინდახედულად და სწრაფად მოქმედებდა ათაბაგი. რაკი იმღამინდელი ბოროტმოქმედების კვალი წაიშალა, ახლა ერთი გადაუდებელი საზრუნავიღა ჰქონდა _ ყივჩაღთა ლაშქრის გამოსვლის ჩაშლა.

მეორე დღესვე მალემსრბოლები აფრინა და შვიდთავ სამთავროს მთავრები შეკრიბა.

შეკრებილებს სამეფოს უბედურება აცნობა მხარგრძელმა:

_ მძიმე განსაცდელი დაუდგა საქართველოს სამეფოს. ღვთივგვირგვინოსანი ჩვენი ხელმწიფე უწესო და უგვანო კაცთა მიყოლამ ხიფათს გადაჰყარა და სიკვდილს ძლივს განერა. მრავალგზის ვეცადეთ, ჩამოგვეშორებინა ჭაბუკი მეფე უზნეო თანამოჰასაკეთაგან, მაგრამ არ ისმინა ჩვენი და მიდრკა სიბოროტედ. სმურობითა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა ესოდენ უსახურობამდე მიიწია. და თუმცა განგვიშორა სანატრელ დედოფლისა და დედის წესთა მასწავლელნი ვაზირნი, ჩვენ მაინც არ დავაგდეთ ზრუნვა საქართველოს სამეფოსა და ტახტისათვის. განვარიდეთ დიდს ხიფათს მეფე და სიკვდილით მოვაკვდინეთ ბოროტნი, რომელთაც ესოდენ უკეთურობა შეამთხვიეს ხელმწიფეს. რადგან ავადმყოფ მეფეს არ შესწევს ძალა ამ გაჭირვების ჟამს განაგოს სამეფოს საქმენი, მოგიწვიეთ თქვენ, მთავარნი შვიდთავ სამთავროსანი, რამეთუ შეგამთხვიოთ შრომასა და გარჯას სიკეთისათვისვე მეფისა და სრულიად საქართველოს სამეფოსი. ჭაბუკსა და უცად მეფეს უღირსთა კაცთა მიყოლითა და ჩაგონებით უნებებია ყივჩაღთა ხანის კოტიანისათვის ოცდაათი ათასი ყივჩაღის გამოთხოვა საქართველოს ლაშქრის გასაძლიერებლად, ჩვენი სამეფოს მიწა-წყალზე დედაწულითურთ დასასახლებლად.

_ სად ფიქრობს მეფე ამდენი ყივჩაღის დასახლებას? _ პირველმა წამოიძახა ხორნაბუჯელმა.

_ ძლივს მოვრჩით ყივჩაღთა მძლავრობას და კვლავ ქურდებითა და მტაცებლებით გინდათ ქვეყნის ავსება? _ დაიღრიალა ქართლის ერისთავმა.

_ ოცდაათი ათასი ცხენოსანი დედაწულითურთ ფრიადი რიცხვია. მკალივით მოედება და აავსებს სრულიად საქართველოს, _ განაგრძო ათაბაგმა, _ ველად ცხოვრებას არიან ჩვეულნი ყივჩაღნი. მეფის განზრახვა სხვა რა უნდა ყოფილიყო, ალბათ, თავისი დიდი პაპის მსგავსად ჰერეთსა და კამბეჩოვანს უპირებს დასახლებას.

_ კარგად უფიქრიათ! _ წამოვარდა ჰერეთის ერისთავი. _ ცოცხალი თავით ერთ ყივჩაღს არ გავაჭაჭანებ ჩემს სამკვიდროში.

_ სადაც გინდათ, იქ დაასახლეთ, მე კი ჩემს მიწა-წყალზე ყივჩაღის შემშვები არა ვარ! _ გაცხარდა ხორნაბუჯელი, _ გვეყო, რაც მათგან უკეთურობა, პარვა და მძლავრობა გვახსოვს.

_ თვითონ დაასახლოს სამეფო მამულებში! _ დააწია ხმა ქართლის ერისთავმა.

_ არა ვგონებ, რომ ჩვენი ქვეყანა ისეთს შეჭირვებასა იყოს, ვითარცა ჩვენი მეფის დიდი პაპის დავითის დროს იმყოფებოდა, _ განაგრძობდა მხარგრძელი. _ მაშინ ერთობა არ იყო ქართველთა შორის, თურქობა მძლავრობდა საქართველოზე და მეფის ლაშქარი უღონო იყო შინაურ და გარეშე მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ აწვია ყივჩაღთა ლაშქარი დიდმა დავითმა. დაღათუ დიდი სამსახური გაუწიეს ქართველთ ყივჩაღებმა, ბევრი უკეთურებაც დასთესეს ჩვენს ქვეყანაში. ახლა, როცა სამეფოს მკვიდრთ მოინელეს და გააქართველეს ყივჩაღნი, როცა ქართველთა ნათესავი ესოდენ მოშენდა, რომ თავადაც აღარა აქვთ კმასაყოფელი მიწა, როგორღა უნდა დავასახლოთ ყივჩაღთა ესოდენი სიმრავლე! არცთუ სამეფოს საჭიროება მოითხოვს ამ ძნელი ნაბიჯის გადადგმას. ღვთის შეწევნითა და დიდი თამარის გონებითა და განგებით ჩვენს მეფეს სამკვიდროდ დიდი და ძლიერი სახელმწიფო დარჩა. არც აღმოსავლეთსა და არცა დასავლეთსა აღარ არიან სამეფონი, რომელთაც ძალედვათ ქართველთა წინააღდგომა, ხორასნით ბაღდადამდე და ბიზანტიამდე ძლიერნი სულტანნი და ურიცხვნი ათაბაგნი მოხარკენი შექმნილან ქართველთა მეფის. ლაშქარი ჩვენი ესოდენ ძლიერია და მრავალრიცხოვანი, რომ შიშის ზარსა სცემს ყოველთა ბოროტის განმზრახთა. მე ვერ ვირწმუნე უცილობლობა ყივჩაღთა ლაშქრის გამოსხმისა და ქართველებზე უცხო თესლის გაბატონების. განბრჭეთ და ივაზირეთ, რამეთუ უკეთ და საჩინოდ გამოარჩიოთ მეფისა და სამეფოსათვის.

ათაბაგმა დაასრულა.

ერისთავთ-ერისთავები და ვაზირები ერთხმად წინ აღუდგნენ მეფის გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით ქართლ-კახეთის ერისთავები ფიცხობდნენ, რომელთა სამკვიდროსა და მამულსაც როქის სპის დასახლების უშუალო საფრთხე ელოდა.

დადიანი და რაჭის ერისთავი დუმდნენ. ორივე კარგად ხედავდა მეფის ღონისძიების გონივრულობას, მაგრამ იმასაც აშკარად ამჩნევდნენ, რომ ათაბაგი ყივჩაღთა გამოსვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო და მეფის გადაწყვეტილების ჩასაშლელად დიდებულები წინასწარ ჰყავდა გადაბირებული.

ლიხს იქიდან გადმოსულ მთავრებს სამეფო კარზე შექმნილი რთული ვითარების გარკვევა ვერ მოესწროთ: გადარჩებოდა თუ არა მეფე სიკვდილს, რა მოხდებოდა ხვალ, ვისი ფარული ხელი წარმართავდა შექმნილ მდგომარეობას; ეს კითხვები მათთვის ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი იყო. ხვალ შეიძლებოდა მოულოდნელი რამ მომხდარიყო და ლიხგადაღმელი მთავრები ქართლ-კახეთის დიდებულების გადაკიდებას და მათთან დამოკიდებულების გამწვავებას ისევე ერიდებოდნენ, როგორც ათაბაგის წინააღდგომას.

ესეც რომ არ ყოფილიყო, საქართველოს არც ერთი მთავრისათვის ხელსაყრელი არ იყო მეფის ხელქვეით ესოდენ ძლიერი სამხედრო ძალის გაჩენა. ძალმოცემული მეფე ყივჩაღთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის შემწეობით დღეს თუ ათაბაგს წამოაჩოქებდა, ხვალ სხვა ერისთავების დროც დადგებოდა, მათი გაფართოებული უფლება და ტახტისაგან ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა მუდამ საფრთხეში იქნებოდა.

ამ საერთო საშიშროების შეგრძნებამ ყველა მთავარი ერთი აზრით გააერთიანა, ისინიც კი, ვინც სხვა დროს საქვეყნო საქმეს პირადზე მაღლა აყენებდნენ.

რაკი მეორე აზრი არ იყო და მეფის განზრახულს არავინ გამოესარჩლა, ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც მხარგრძელს უნდოდა.

დარბაზმა ერთხმად დაადგინა: უარი ეთქვათ ყივჩაღთა დაქირავებასა და საქართველოს მიწა-წყალზე დასახლების პირობაზე. დარბაზის გადაწყვეტილებით, ამირსპასალარს

დაუყოვნებლივ უნდა შეეკრიბა ჯარი და კავკასიის გამოსასვლელები შეეკრა, რათა თავიდან აეცილებინა ყივჩაღთა თვითნებური გამოსვლა.

ქართველთა მთავარი ლაშქარი რუმის საზღვარზე იყო, საქართველოს სამხრეთით.

მხარგრძელმა, დიდის მეცადინეობით, მცირერიცხოვან მხედრობას მოუყარა თავი და კავკასიონის კართან დახვდა ჩრდილოეთიდან საქართველოს მეფის მოწვევით მომავალ ოცდაათი ათას ცხენოსანს.

ამოდენა ლაშქარს უამრავი ურმითა და ორთვალათი ურიცხვი დედა-წული და საქონლის ჯოგი მოჰყვებოდა.

სხვა ადგილას ყივჩაღთა ესოდენი სიმრავლე წალეკავდა ერთ მუჭა ქართველ დამხდურებს, მაგრამ კავკასიონის ძნელად გასასვლელ ვიწროებში ქართველები ისე მოხერხებულად იყვნენ განლაგებულნი, რომ ათ კაცს იოლად შეეძლო ასი მხედრის გამკლავება და უკუქცევა.

ყივჩაღთა ლაშქრის მეთაურები გააოცა ქართველთა მხედრობის დახვედრამ.

პირველად ეგონათ, მცირე მონაპირე ჯართან გვაქვს საქმე, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის დაცვა აბარიაო. ამიტომ მოციქულები წარმოგზავნეს და დამხდურებს შეატყობინეს, გზა მოგვეცით, საქართველოს მეფის წვევით მოვდივართ თქვენს ქვეყანაშიო.

მოციქულებს მონაპირეების ნაცვლად ქართველთა მხედრობა დახვდა ამირსპასალარის მეთაურობით.

ამირსპასალარმა ყივჩაღებს განუცხადა: _ თქვენი წვევა მეფის და დარბაზის ნებით არ მომხდარა, რაღაც გაუგებრობაა და თუ სამტროდ და საომრად არ მოსულხართ, დაუყოვნებლივ უკან გაბრუნდითო.

_ როგორ? თავად გვაწვიეთ შემწედ და მოყვარედ. დედაწულითა და საცხოვრებლით სამყოფელიდან აგვყარეთ და ახლა საზღვართან გვხვდებით, ვითარცა სამტროდ გამოსულთ? _ შფოთავდნენ ყივჩაღთა მეთაურები.

კოტიან-ხანთან მოამბეები აფრინეს, ქართველთა მეფის წვევის საბუთი და შემდგომი მოქმედების თაობაზე მითითება გამოითხოვეს.

შეტაკება გარდუვალი იქნებოდა, მაგრამ ამ მისვლა-მოსვლაში განძის ათაბაგს მსტოვრებმა საქმის შინაარსი აცნობეს, ათაბაგმა ყივჩაღებს საიდუმლო კაცები მიუგზავნა და ქართველებზე მეტი ქირა, მიწა-წყალი და ყოველგვარი შეღავათი აღუთქვა, თუ განძელთა სამსახურს იკისრებდნენ.

ქართველთა ამირსპასალართან არც მეფის წვევის წერილმა გასჭრა და არც სხვა საბუთმა, დედაწულიანა და საქონელ-ჯოგიანა აყრილმა ყივჩაღებმა განძის ათაბაგის პირობები მიიღეს და მხარგრძელს სამხრეთის გზა სთხოვეს.

რაკი საკმაო მხედრობა არ ახლდა, მხარგრძელმა უომრად გაცლა ამჯობინა. თავისი სარგებელი აქაც არ დაივიწყა. ყივჩაღებს გზა მისცა, მაგრამ სასყიდლად საკმაო ჯოგი და ძღვენი მიითვალა.

* * *

რუმის თავგასული თურქების მოსარბევად და დასაშინებლად მოლაშქრე ახალციხელს შიო კაციტაისძის კაცმა თბილისში დატრიალებული ამბები სასწრაფოდ აცნობა.

ახალციხელმა თურქთა ზურგი ერთხელ კიდევ მოარბია და ურიცხვი ჯოგი წამოასხა, მერე სწრაფად შემოიქცა და შეუსვენებელი სვლით ლაშქარი თბილისს მოაყენა.

თბილისში უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო: მხარგრძელს დარბაზის გადაწყვეტილება აღესრულებინა, მეფისაგან დიდი შრომით ნაწვევი ყივჩაღთა ლაშქარი საქართველოდან გაებრუნებინა.

სამეფოსათვის ამ პირველ უბედურებას მეორე ზედ დართვოდა: ათაბაგს ყივჩაღთა ამოდენა მხედრობისათვის გზა სამხრეთისაკენ მიეცა და მუდამ ქართველთა ყმობისაგან განთავისუფლებაზე მეოცნებე განძის ამირასათვის უძლიერესი ლაშქარი ძღვნად მიერთმია.

მეფისა და სახელმწიფოს საუკეთესო მოღვაწეების ამდენი ხნის საზრუნავი დაღუპული და წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა. საქმის შემობრუნებაზე და გამოსწორებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მომაკვდავ მეფეს საამქვეყნო პირი არ ჰქონდა. მხარგრძელი კვლავ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი გამხდარიყო, ხოლო სამეფო განძელებთან გარდაუვალი ომის წინაშე იდგა.

საქართველოს სამეფოს ძლიერებას მეორე უფრო დიდი ზიანიც მიდგომოდა თბილისში დატრიალებული უბედურების შედეგად.

როგორც ჩანს, რუმის სულტანი ანგარიშიანად მოქმედებდა. ტრაპიზონისკენ ჯარი მაშინ დასძრა იკონიის სულტანმა, როცა თავისი თბილისელი ჯაშუშებისაგან მომხდარი ამბები შეიტყო.

ტრაპიზონზე გალაშქრებისათვის პირობები ხელსაყრელი იყო. ქართველთა მეფის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, საქართველოს სამეფო მართლაც უჩვეულო შინააღრევასა და შფოთს მოეცვა. ამას ყივჩაღთა გამოსვლის ჩაშლა და განძასთან სამხედრო გართულებაც ზედ დართვოდა.

უკეთესი დრო რუმის თურქებს არ დაუდგებოდათ და იკონიის სულტანმა დაუყოვნებლივ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით.

სულტანი ქეიქაუსი დიდძალი ჯარით მიადგა სინოპს.

არცთუ დიდი ხნის წინ ქართველთა მხედრობის შემწეობით ალექსი კომნენმა სინოპი იკონიის სულტანს წაართვა და თავის პატარა იმპერიას შეუერთა.

ტრაპიზონზე გალაშქრებულ სულტანს გადაწყვეტილი ჰქონდა, სინოპის მისადგომების მორბევისა და აოხრების შემდეგ, კარგად გამაგრებული ქალაქის გარემოცვა და ხანგრძლივი ალყით აღება.

ტრაპიზონის არხეინი იმპერატორი თურქთა მოძრაობას ყურადღებას არ აქცევდა, სულტნის განზრახვა არ იცოდა, დღედაღამ ქეიფობდა და სინოპის ახლო ტყეებში ნადირობდა.

ქეიქაუსს მსტოვრებმა კომნენის უზრუნველობის ამბავი მოუტანეს.

სულტანმა მზვერავთა მცირე რაზმი წარგზავნა.

მზვერავთა რაზმი მცირე ამალით დაუდევრად მოსეირნე მთვრალ კომნენს წააწყდა და იმპერატორი ტყვედ იგდო.

ქეიქაუსს ტრაპიზონის იმპერატორი ბორკილგაყრილი მიჰგვარეს.

დიდი კომნენების ამპარტავანი შთამომავალი ქაიხოსრო ყიას ადლინის შვილის წინ დაემხო, სიცოცხლე გამოსთხოვა და მორჩილების ნიშნად მიწას ეთაყვანა.

ქეიქაუსმა კომნენს სინოპის ციხის ჩაბარება მოსთხოვა.

სინოპის მეციხოვნეების მტკიცე უარმა ქეიქაუსი განარისხა. თურქთა სულტანმა ბრძანა: ტყვე იმპერატორი ციხე-სიმაგრის წინ, სინოპის მცველთა დასანახად ეწამებინათ.

თურქებმა ბორკილგაყრილი კომნენი გაიყვანეს და მეციხოვნეთა თვალწინ უწყეს საშინელი წამება. ქალაქის დამცველებმა პირი მიჰრიდეს თავიანთი იმპერატორის უღვთო წამებისაგან.

ტკივილისაგან გამწარებული ალექსი მეციხოვნეებს შველასა და თურქთა მორჩილებას ევედრებოდა, ეხვეწებოდა, დანებებოდნენ მტერს და თავიანთი იმპერატორი არაადამიანური ტანჯვისაგან დაეხსნათ.

მეციხოვნეებს ებრალებოდათ თავიანთი იმპერატორი, მაგრამ ქალაქის ჩაბარებას მაინც არ ფიქრობდნენ.

მეორე დღეს თურქებმა ზედ ქალაქის გალავნის წინ თავდაღმა, ფეხებით დაჰკიდეს კომნენი და ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს.

ამ უბედურების გულცივად ცქერას კი ვეღარ გაუძლეს მეციხოვნეებმა. ქეიქაუსს შეუთვალეს: დაგმორჩილდებით, თუ შემოგვფიცავთ, რომ იმპერატორს უვნებლად გაუშვებთ და ჩვენც საშუალებას მოგვცემთ, ქალაქიდან გავიდეთ ჩვენი ქონებითო.

სულტანმა დაიფიცა და აღთქმის პირი მისცა, რომ იმპერატორსაც ცოცხალს დატოვებდა და სინოპელებსაც არაფერს დაუშავებდა, თუ კომნენი სულტნის მოხარკე გახდებოდა და მის უზენაესობას აღიარებდა.

შეთანხმება მოხდა. სინოპელებმა ციხე-ქალაქი ჩააბარეს.

თურქებმა სინოპის ტაძარი მიზგითად აქციეს, ბიზანტიის იმპერიის აღდგენასა და გაერთიანებაზე მეოცნებე ტრაპიზონის იმპერატორი ყმად და მოხარკედ გაიხადეს, ტრაპიზონს შავი ზღვის სანაპიროზე ყოველგვარი წონა და გავლენა დაუკარგეს.

ტრაპიზონის დამხობა მისი მფარველი საქართველოს სამეფოსათვის ძლიერი სილის გარტყმა იყო. იკონიის სულტანმა ისე გადაყლაპა თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია, რომ საქართველომ თითიც ვერ გაანძრია თავისი ქმნილების გადასარჩენად და თავგასული თურქი სულტანის დასასჯელად.

* * *

მეფეს თანდათან მომჯობინება დაეტყო.

თავპირახვეულმა, პირველად რომ ხმა ამოიღო, ხათუნი მოიკითხა.

პასუხად მხარგრძელმა რუმის ვაზირისადმი გაგზავნილი ხათუნის წერილი შემოუგზავნა.

მეფე თვალს ვერ ახელდა და განუყრელად თავზე მდგომ რუსუდანს სთხოვა წერილის წაკითხვა.

რუსუდანი უარობდა, ცუდად გახდები წყენისაგან, მომჯობინდი და მერე წაიკითხეო, მაგრამ მეფე არ მოეშვა და ბარათი ძალით წააკითხა.

საიდუმლო წერილმა თავზარი დასცა მეფეს. მან აშკარად დაინახა, რომ მისი სათაყვანო მიჯნურის ალერსი უცხო ქვეყნის ვაზირისაგან ნაყიდი ყოფილა, თვითონ ბავშვივით გულუბრყვილოდ გახვეულა სამეფოს მტრების მიერ ოსტატურად მოქსოვილ ბადეში და თავისი გულწრფელობითა და მინდობით სახელმწიფოს ძლიერებისათვის ზიანი მიუყენებია. ავადმყოფმა თავს ძალა დაატანა, ლოგინზე წამოიწია და უცებ განწირულად ამოიგმინა:

_ ვაიმე, დედავ!

რუსუდანმა ელდანაცემივით შეჰკივლა და საწოლში შემოსული ექიმები მეფეს მისცვივდნენ.

დიდხანს იყო მეფე ასე უგონოდ მივარდნილი. ექიმები შეშფოთებულნი დასტრიალებდნენ თავს და ათასგვარ ღონეს ხმარობდნენ ხელმწიფის მოსაბრუნებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოიხედა მეფემ. იგი უკვე კარგად გამოძინებულივით დამშვიდებული და უშფოთველი იყო. აღარაფერი აინტერესებდა, აღარც არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ექიმებს ეკითხებოდა დროდადრო თავისი ჯანმრთელობისა და წამლების თაობაზე.

ნაგვემი ადგილები თანდათან უამდებოდა, სიმსივნეები უცხრებოდა. სხეულის შიგნით არა დაზიანებოდა რა. მხოლოდ მარჯვენა თვალი ჰქონდა ისევ მძიმედ დაშავებული.

ყოველ შეხვევასა და წამლის დადებაზე საშინელ ტკივილსა და წამებას განიცდიდა. სარკეში ხედავდა და გრძნობდა, რაოდენ შემზარავი შესახედავი იყო მისი მარჯვენა თვალი და რაღაც ამაზრზენი გრძნობა ეუფლებოდა.

ავადმყოფთან არავის უშვებდნენ. თვითონ თუ ვისმეს ხლებას მოინდომებდა, ცოტა ხნით შემოუყვანდნენ და მნახველს წინასწარ აფრთხილებდნენ, რომ მეფე ლაპარაკით არ შეეწუხებინა.

გადიოდა დღეები და კვირეები. წამლები და ახალგაზრდა ჯანსაღი სხეული თავისას აკეთებდნენ, მეფე ძალ-ღონის მომატებასა და სიცოცხლის ხალისის მობრუნებას გრძნობდა.

განკურნების გზაზე დამდგარ ლაშას მხოლოდ მარჯვენა თვალიღა დარჩენოდა სადარდებლად.

იმდენად ტკივილი აღარ სტანჯავდა, არც იმას წუხდა, თუ თვალის შუქი დააკლდებოდა, თვითონ ლამაზსა და მშვენიერების მოტრფიალეს იმის შიში ზარავდა, ვაითუ ცალთვალა დავრჩეო.

ბოლოს, როგორც იყო დარწმუნდა, რომ მარჯვენა თვალიც ურჩებოდა, დამშვიდდა, გახალისდა და ცხოვრებაზე გული მოუბრუნდა.

სანამ მეფეს უჭირდა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, კათალიკოსი გატრუნული იყო. ხოლო, როცა ლაშა მომჯობინდა და მისი ფეხზე დადგომა საეჭვო აღარ ჩანდა, ეკლესიებმა ლიტანიობა გაახშირეს და თვითონ კათალიკოსმაც რამდენჯერმე გადაიხადა პარაკლისი.

სასახლეში ყველა მხარგრძელის სწრაფსა და საზრიან მოქმედებაზე, მეფისა და ტახტისადმი მის უცვლელ ერთგულებაზე ლაპარაკობდა და ეჭვის ნასახიც არავის ჰქონდა, რომ მეფის სიცოცხლე და სამეფო ათაბაგმა გადაარჩინა გარდუვალი უბედურებისაგან.

მხოლოდ შალვა ახალციხელმა შეხედა თავიდანვე ეჭვის თვალით კარზე დატრიალებულ ამბავს და ეს ეჭვი ფხიზელმა ეგარსლანმა კიდევ უფრო გაუძლიერა.

პირველი, ვისაც თბილისში დაბრუნებისთანავე ესაუბრა ახალციხელი, მეფის მცველი სპის უფროსი ეგარსლანი იყო.

ეგარსლანი თავადაც ბურანში იყო და იმ უბედურ დღეს მომხდარ ამბებში ხეირიანად ვერ ერკვეოდა.

_ მეფე შეიხ-ფეიზის ბაღში მუდამ მარტო დაიარებოდა და ლუხუმის მეტს მცველთაგან არავის იახლებდა ხოლმე. იმ საღამოსთვისაც რომ არ გაგვაფრთხილა, არ გაგვკვირვებია, მაგრამ ერთი რამ მეოცა: რუსუდანი ლორეს წაბრძანდა სტუმრად შანშე ზაქარიასძე მხარგრძელის წვევით და მეფეს ჩემი სპის ხლება სთხოვა. მეფე თავის დას სულს არ დაუჭერს და ჩვენს ხლებაზე უარს როგორ ეტყოდა. ლორეში ორ დღეს დაგვაყოვნეს მხოლოდ, თბილისში რომ დავბრუნდით, მომხდარი ნაამბობით შევიტყვეთ. შეიხ-ფეიზის ბაღში იმ საღამოს ნამყოფმა ერთმა ჯარისკაცმა საიდუმლოდ მითხრა, შეიხ-ფეიზი და მისი ერთი დერვიში ცოცხლები შევიპყარით, მაგრამ მერე როგორ მოჰკლეს, არა ვიცი რაო, _ უამბო ეგარსლანმა ახალციხელს.

_ შენი ლორეში წარგზავნა წინასწარ განზრახული უნდა იყოს, როგორც ცოცხლად შეპყრობილი შეიხ-ფეიზისა და მისი დერვიშის მოკვლა, _ დაასკვნა ახალციხელმა.

_ მეც ეგრე ვფიქრობ, _ დაუდასტურა ეგარსლანმა და ახალციხელის ეჭვს ცეცხლი შეუკეთა. _ მანდატურმა ბარძიმმა მითხრა სიმთვრალეში, ქალაქგარეთ ფუნდუკში ერთი სპარსელი ჯაშუში და კაცურად გადაცმული, ყაბალახით თავპირახვეული ულამაზესი ქალი შევიპყარითო. ის ქალიც და სპარსელი ჯაშუშიც მხარგრძელს მივგვარეთ და ფრიად გაიხარაო.

_ ხათუნი თუ იყო ის ქალი?

_ მეც მაგას ვფიქრობ. იმ მანდატურს ჰამადავლეს ცოლი არასოდეს უნახავს და ვერასგზით ვერ მივახვედრეთ, ამას კი ამბობს, მსგავსი სილამაზის ქალი ჯერ არ მინახავსო.

_ მაინც რატომ იმ ღამესვე გააქრო ყველა დამნაშავე ათაბაგმა? _ იკითხა ახალციხელმა.

_ მეც ეგ მაფიქრებს. იმ ღამესვე მოსპეს ხათუნი და შეიხ-ფეიზი, იმ ღამესვე უკვალოდ დაიკარგა მაიმახი ჰამადავლეც.

_ იქნებ ყოველივე ათაბაგმა მოაწყო მეფის დასაღუპავად? _ ჩურჩულით გაანდო თავისი ეჭვი ახალციხელმა ეგარსლანს.

_ მეც ეგ ეჭვი მაწუხებდა, მაგრამ გამხელას ვერ ვბედავდი, _ ჩურჩულითვე უთხრა მეფის სპის უფროსმა.

ამ ეჭვებსა და გამოძიებაში რომ იყვნენ ახალციხელი და ეგარსლანი, მეფის კარზე კიდევ ერთი უცნაური და მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მანდატურთუხუცესი სასახლიდან გაიპარა და წერილი დატოვა, რომელშიაც მეფესა და დარბაზს ატყობინებდა, მამულსა და სამკვიდროზე ხელს ვიღებ და ცოდვათა მოსანანიებლად ბერად ვიკვეცებიო.

ერთი კვირის შემდეგ სასახლეში ამბავი მოვიდა: ბერად შემდგარი მანდატურთუხუცესყოფილი უეცრად მომკვდარიყო მონასტერში.

ამ საეჭვო სიკვდილს რამდენიმე მანდატურის დაპატიმრება და გაქრობა მოჰყვა. კვალწმინდად დაიკარგა ის ბარძიმ მანდატურიც, რომელმაც ეგარსლანს კაცად გადაცმული ქალის დაპატიმრების საიდუმლო გაანდო.

ახალციხელმა და ეგარსლანმა თავიანთი ეჭვები ახლა კი საფუძვლიანად მიიჩნიეს და უკვე მომჯობინებული მეფისათვის მათი გამხელა განიზრახეს.

* * *

ფეხზე დამდგარ მეფეს პირველად მხარგრძელი ეახლა საქმიანი საუბრისათვის. ღმერთს ხელაპყრობით მადლობა შესწირა მეფის გადარჩენისათვის. თვალზე ორიოდ ცრემლი გადმოიგორა და თავის გაზრდილს შუბლზე ემთხვია.

ათაბაგმა სახელმწიფოსა და მეფის კეთილდღეობისათვის თავისი გამუდმებული ზრუნვა გაახსენა ლაშას.

_ დაღათუ განმიყენე ქვეყნისა და ტახტის სამსახურისაგან, გარნა არა დავაგდე ზრუნვა და გულის მოდგინება ჩემის გაზრდილისა და საქართველოს სიკეთისათვის, _ საყვედურით დაიწყო ათაბაგმა.

შემდეგ დაწვრილებით უამბო იმ უბედური ღამის ამბავი.

_ როგორც კი სარწმუნოდ გავიგეთ შეიხ-ფეიზის რინდთა ჯაშუშობისა და იმღამინდელი განზრახვის თაობაზე, მთელი ქალაქი ფეხზე დავაყენე, შეიხის ბაღს ალყა შემოვარტყი, რომ ხელიდან არ წაგვსვლოდა და მეფისათვის უბედურება აგვეშორებინა. თვითონ შეიხი გაქცევის ცდის დროს მოკლეს და ძალიან ვინანე, რადგან მისი ცოცხლად ჩაგდება მინდოდა ხელთ.

მეფე დუმდა და ჩაფიქრებული უსმენდა. ყოველ წუთს ელოდა ათაბაგი, აგერ იკითხავს ხათუნის ამბავსო, მაგრამ მეფე ენას არ სძრავდა.

_ თვითონ სვეუბედური ხათუნი შეიხ-ფეიზის ბაღში ვიპოვეთ მეფის განსასვენებელში მოკლული. ალბათ, მეფე არ უნდა სწუხდეს ორგულისა და გამცემი მოყვარის სიკვდილს... _ დამცინავი ღიმილით თქვა ათაბაგმა და მეფეს გამომცდელი თვალით შეხედა.

მეფემ კვლავ არაფერი თქვა, მხოლოდ ყრუდ ამოიოხრა.

_ ის წერილი როგორ იგდეთ ხელთ? _ მცირე დუმილის შემდეგ იკითხა მეფემ.

_ ალბათ, ჰამადავლეს ცოლის წერილზე ბრძანებს მეფე, _ გესლიანად განაგრძო ათაბაგმა და ჰამადავლეს ცოლად ხათუნის ხსენებით ლაშას გუნება მოუწამლა. _ მოკლული შეიხის ხალათის სარჩულში გამოკერილი იპოვეს მანდატურთუხუცესის კაცებმა, _ იცრუა მხარგრძელმა, რადგან არ უნდოდა მეფისათვის გაემხილა, თუ როგორ ადევნებდნენ თვალს საიდუმლოდ მეფისა და მისი მიჯნურის მისვლა-მოსვლას ათაბაგის მსტოვრები.

ისინი, ვინც ხათუნის დაპატიმრებასა და მოსპობაში ღებულობდნენ მონაწილეობას, ხათუნთან ერთად თვითონაც გაქრნენ ისე, რომ ათაბაგის სიმართლეში ეჭვს ვეღარავინ აღუძრავდა მეფეს.

_ გვიან გავიგეთ ყოველი და ძლივს ავაშორეთ საფრთხე მეფესა და ქვეყანას, _ განაგრძო ათაბაგმა. _ ახლა მაინც დარწმუნდებოდი, რაოდენ წრფელი სიყვარული მაქვს ჩემი გაზრდილისა და მეფის. უკეთუ ავი მნდომოდა მეფისა და ქვეყნისათვის, იმ საღამოს შინიდან არ გამოვიდოდი და ჯაშუშებსა და ქვეყნის მოღალატეებს უვნებლად გავუშვებდი. ღვთის შეწევნით, დროზე ჩავუდექი კვალში ბოროტებას, თორემ, ღმერთმა გვაშოროს და, ვინ იცის, იქნებ მეფე დღეს ცოცხალიც აღარ ყოფილიყო.

ლაშას პატარა ბავშვივით გული აუჩუყდა და თვალზე ცრემლები მოადგა.

_ არა მოაწივა განგებამ უბედურება სამეფოსა ჩვენსა ზედან. დაიფარა და იხსნა ხელითა ჩვენითა ტახტი და სრულიად საქართველო გლოვისა და ცრემლისაგან.

მეფეს გული ამოუჯდა, ათაბაგს მოეხვია და მკერდში ჩაეკრა ქვითინით.

მხარგრძელს სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა.

_ ნუ ინებებ, მეფევ ბატონო... ნუ ინებებ... _ ეუბნებოდა და თან კმაყოფილებით იღიმებოდა, _ ირწმუნე აღმზრდელი და მსახური შენი, მომენდე, ვითარცა ნეტარი დედა შენი თამარი იყო მონდობილი ძალასა და ერთგულებასა ჩემსა და მე აღგამაღლო შენ უმაღლეს ყოველთა მეფეთა...

ათაბაგი მხარზე ხელს უთათუნებდა და ნელა, ოდნავ გასაგონად ლაპარაკობდა.

უცებ კარი გაიღო და რუსუდანი გამოჩნდა. რუსუდანს ეგარსლანი და სამთავ თორელნი მოჰყვებოდნენ.

ფეხის ხმაზე ლაშამ თავი ასწია. დარბაზში შემოსულები რომ დაინახა, თავისი ცრემლის შერცხვა და დაიბნა.

ათაბაგმა გამარჯვებულის ღიმილით შეხედა შემოსულებს.

შალვა ატირებული მეფის დანახვაზე შეჩერდა, სახეზე უსიამოვნება აღებეჭდა, ძმას მკლავში სტაცა ხელი, შებრუნდა და თან გაიყოლა.

_ გულჩვილი და მალემრწმენია ჩვენი მეფე, ყველასი სჯერა და ყველა გულწრფელი ჰგონია, _ გადაულაპარაკა შალვამ უფროს ძმას.

_ ჰასაკით ნორჩია ჯერ კიდევ ხელმწიფე, ხანი გამოხდება, ჭკუაში ჩავარდება, სიდინჯე და ჩახვედრილობა მოემატება, _ დააიმედა ივანემ.

შალვას გაახსენდა მეფის სიმჩატის უამრავი მაგალითი.

ადრე ასეთი ამჩატება შალვას ბუნებრივადაც ეჩვენებოდა ჭაბუკი მეფისაგან. მასაც სჯეროდა, რომ ჰასაკი თავისას იზამდა და მეფეს სიდინჯეს შეჰმატებდა. მეფის ჭაბუკური გატაცება კი არ აფრთხობდა შალვას, მას უფრო მეტად ლაშას უნებისყოფობა აშინებდა, რასაც მეფე დროდადრო და ისიც მნიშვნელოვან შემთხვევებში იჩენდა.

ჯიუტი და თავნება ლაშა ზოგჯერ სრულიად მოეშვებოდა ხოლმე, წონასწორობას კარგავდა, ნებისყოფის ნატამალს ვეღარ ინარჩუნებდა და მზად იყო, მის ყველაზე უსაშინლეს მტერსაც კი ფეხქვეშ ჩავარდნოდა, ბალღივით ეტირა და შებრალება ეთხოვა.

ლაშას ამ თვისებას ბევრჯერ ჩაუფიქრებია შალვა, მეფის ხასიათის სიმტკიცეში დაეჭვებულს ზოგჯერ გული გასტეხია სამშობლოსა და ტახტისათვის ზრუნვაზე და მწარედ ამოუძახნია:

_ ვაითუ, ამაო არს ცდა და შრომა ყოველი, ესოდენ უღონო მეფისათვისო.

ახლაც, მხარგრძელის მკერდში თავჩამალულ, ატირებულ მეფის დანახვაზე ეს მტანჯველი ფიქრი მოუვიდა ახალციხელს, მაგრამ გულისნადების გამოტანა ვერ გაბედა და ოხვრით გაშორდა მეფის პალატებს.

საღამო ხანს მეფემ ახალციხელები და ეგარსლანი იხმო.

ლაშა მარტო იყო, დაწყნარებული. ძმები ისე მიიღო, თითქო მხოლოდ იმ წუთს გაეგოს მათი მოსვლა. გადაჰკოცნა და მოიკითხა.

_ ალბათ, დიდი რამ საზრუნავი ექნება, თორემ ივანე თურქთა სანაპიროს არ დატოვებდა, _ ბრძანა მეფემ.

_ თქვენის წვევით გეახელ, მეფევ ბატონო! _ თავდახრით მიუგო ივანემ.

მეფეს სახეზე გაოცება გამოეხატა და შალვას გაკვირვებით შეხედა.

_ განძის განდგომის გამო ვაწვიეთ ყველანი, მეფევ, _ თავდახრით მოახსენა შალვამ.

_ ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა! _ აიბნა მეფე და აღგზნებით განაგრძო, _ განძის ათაბაგს საწუნელ ვუქმნიე და ხარკისა არღა ჰნებავს მოცემა.

_ ჩვენს სისუსტეს ხედავს განძის ათაბაგი, მეფევ ბატონო!

_ რაო? ჩვენს სისუსტესო? _ გაიკვირვა მეფემ.

_ დიახ, ჩვენს სისუსტეს, _ დაუდასტურა შალვამ. _ დიდი ხანია ჩვენი ხმალი ქარქაშში დევს უხმარად, ლაშქარი განიბნა, უქმად ყოფნისაგან განსვენებასა და განცხრომას მისცემია.

_ ამას მეც ვხედავ, შალვა, მაგრამ შენ კარგად იცი ჩემი განზრახვა, ქართველთა ლაშქრით ოდენ არა ძალ გვედვა წადილის ჩვენის აღსრულებად, ამიტომ გამოვარჩიეთ და საჩინოდ ვსცანით ყივჩაღთა ლაშქრის გამოსხმა.

_ ყივჩაღთა ლაშქარი განძის ათაბაგმა მოირთნა და ამიტომაც განდგა არღა მოცემად ხარკისა.

_ ვიცი, რომ ყივჩაღნი განძის ათაბაგს მსახურებენ. ჩემგან დიდი შრომით ნაწვევი ლაშქარი ბოროტის მდგომელთა ჩემთა საქართველოს მტრებს უდვეს ხელთ.

_ მეფემ კარგად იცის, თუ როგორ მოხდა ყოველი, _ თავი იმართლა ახალციხელმა.

_ ვიცი... ყოველი ვუწყი... დიდ-დიდთა აზნაურთა არა ინებეს ჩვენი ტახტის გაძლიერება, რადგან ჩემთა განზრახვათა წინააღმდეგობის ძალა აღარ ექნებოდათ. სარგებელ ჰპოვეს ჩემი სნეულება და დაშალეს ჩემი სამეფოსათვის კეთილად განზრახული. მაგრამ ადრე ხარობენ მტერნი ჩემნი და ბაგრატოვანთანი...

ლაშა სახეგამკაცრებული, თვალებანთებული ლაპარაკობდა.

_ იმედნეულ ვარ, რომ ვძლევ მტერთა და განვაძლიერებ სამეფოსა ჩემსა. პაპა ჩემი, დიდი დავითი, შინ და გარეთ მტრებით იყო გარშემორტყმული. მან გონებითა და მკლავით დაიპყრნა ყოველი საქართველო და დაამხო მტერნი თვისნი, ხოლო მე, დიდი თამარის შვილს, შვიდთავ სამთავროს უცილობლად მფლობელს, არა მმართებს წუწუნი, ვითარცა სეფე ქალსა ვისმესა შეუძლოსა.

შალვა გაოცებით უყურებდა მრისხანებით ანთებულ ვაჟკაცს. მას არ სჯეროდა, რომ იგი _ ესოდენ ძლიერი და პატივმოყვარე _ სულ რამდენიმე საათის წინ თვითონ იყო ქედდადრეკილი თავისი უძლიერესი მტრის წინაშე და დიაცის მსგავსად ცრემლით ულტობდა კალთას მას, ვინც მისი ყველაზე დიდი მეფური განზრახვა ჩაშალა _ ყივჩაღთა ლაშქარს გზა გადაუღობა და საქართველოს ფარული მტრისკენ აბრუნებინა პირი.

_ მე ესრედ განმიზრახავს, _ განაგრძო მეფემ, _ რათა შური ვაგო განძასა ზედა და თქვენ შრომასა შეგამთხვიოთ. აღვიმხედროთ და ვძლიოთ მტერთა და ყოველთა წინააღმდგომთა ჩვენთა, რათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნეთ.

შალვა მიხვდა, რომ საკუთარი ძალის დაჯერებისა და თავმოყვარეობის გრძნობის გაღვიძების ამ წუთებში სწორედ შესაფერისი იქნებოდა მეფისათვის თავისი ეჭვის გამხელა.

მეფეს ნელ-ნელა შეაპარა, ვიდრე ლაშქრად წავიდოდეთ, ჯერ სამეფო კარის უშიშროება უნდა უზრუნველვყოთო. მერე ნაბიჯ-ნაბიჯ აღუდგინა სმენადქცეულ ლაშას შეიხ-ფეიზის ბაღში მომხდარი ამბების თავი და ბოლო, მანდატურების მონაყოლიც უამბო და ბოლოს კარიდან მანდატურთუხუცესის უცნაურ გაქცევას, საეჭვო სიკვდილსა და იმ ღამის მონაწილე მანდატურების გაქრობაზეც მიაქცია მეფის ყურადღება.

ახალციხელისა და ეგარსლანის ეჭვებს საკმაო საფუძველი ჰქონდა და თავად მეფესაც გულში ეჭვის ჭია ჩაებუდა. იგი თითქოს თვალიდან ბურუსის მოშორებას გრძნობდა, მაგრამ საგნებს ჯერ კიდევ გარკვევით ვერ ხედავდა. ამბებს შორის წინააღმდეგობა იყო და მეფეს ეს უშლიდა ხელს, მოვლენებში კარგად გარკვეულიყო.

რუმის ვაზირისადმი ხათუნის წერილის სინამდვილე ეჭვს არ სტოვებდა და, ამდენად, ლაშას გამიჯნურებასა და შეიხ-ფეიზის რინდთა ორდენში ჩაბმასთან ათაბაგს კავშირი არ უნდა ჰქონოდა.

მეფე პირველ რიგში თავის თავს ადანაშაულებდა, ჭეშმარიტების ძიებამ, სიბრძნისმოყვარეობამ და თავდავიწყებულმა ტრფობამ დამატეხა ყველა უბედურებაო.

ხათუნის დაპატიმრების და შეიხ-ფეიზის ჯაშუშური საქმიანობის გამჟღავნების შემდეგ ყველა საეჭვო კვალი მხარგრძელისაკენ მიდიოდა და მოვლენების განვითარებაში მისი წარმმართველი ხელი აშკარად ჩანდა.

იმ ღამეს არ ეძინა მეფეს. ფიქრით რთული ინტრიგების ხლართში დაბორიალობდა და საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ეჭვების ქსელიდან გამოსვლას ამაოდ ლამობდა.

თუკი ხათუნის დაპატიმრებისა და რინდთა ჯაშუშური საქმიანობის გამომჟღავნების შემდეგ მხარგრძელისათვის ნათელი იყო ბოროტგანმზრახთა მიზანი, რატომ არაფერი გააკეთა ათაბაგმა მეფის გასაფრთხილებლად, მის განკარგულებაში ხომ მთელი ღამე და მეორე დღეც იყო?

განა საკმაო საბუთები არ ჰქონდა ხელთ მხარგრძელს მეფისათვის თვალის ასახელად და მიჯნურად შეჩენილი ჯაშუშის გამოსამჟღავნებლად?!

მაგრამ იქნებ მხარგრძელმა განზრახ აცალა ბოროტმოქმედთ დაწყებული საქმის დაბოლოება; იქნებ მხარგრძელი წინააღმდეგიც არ იყო, რომ სხვისი ხელით მოეგლიჯა მისთვის ესოდენ შემაწუხებელი ნარი?

ნუთუ აქამდის მივიდა მეფისა და მისი აღმზრდელის ფარული მტრობა და სიძულვილი?

ეს და ათასი მსგავსი კითხვა ირეოდა მეფის თავში. კეთილშობილსა და ბოროტებისაგან შორს მდგარ ლაშას უჭირდა და ეზარებოდა სინამდვილის პირდაპირ შეხედვა და დაჯერება, ადამიანთა სულის უღრმესსა და უბნელეს კუნჭულებში ჩახედვა, ცხოვრებაზე და ადამიანთა ურთიერთობაზე თავისი ნათელი და ხალისიანი შეხედულების ასე ერთბაშად შეცვლა.

* * *

დარბაზმა განძის განდგომის შედეგად შექმნილი მდგომარეობა განიხილა. ყველამ მოიწონა მეფის აზრი განძის დალაშქვრისა და სხვა ყმადნაფიცი ქვეყნებისათვის სამაგალითოდ განძის ურჩი ათაბაგის დასჯის თაობაზე.

მეფემ მოულოდნელი ომი საქართველოს მსახურად მოსულ ყივჩაღთა ლაშქრის ხელიდან გაშვებით და სამეფოს ორგული ყმადნაფიცისათვის დათმობით ახსნა. დარბაზს რომ ჩემი განზრახვა მოეწონებინა, ყივჩაღები ჩვენი მსახურნი იქნებოდნენ და არათუ განძა გაგვიდგებოდა, სხვა უფრო შორეული და ძლიერი მტერიც შიშქვეშ გვეყოლებოდაო.

ამაზე მხარგრძელმა გამოიდო თავი: მეფე ჩვენ არაფერს გვეკითხება, ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ყივჩაღთა ლაშქრის დაქირავების თაობაზე უჩვენოდ მიიღო და სამეფო კინაღამ ისევ ველურ მომთაბარეებს ჩაუგდო ხელთ სარბევად და საძარცვადო.

ისევ კამათი და შეხლა-შემოხლა ატყდა. ისევ ორივე მხარემ დათმობა არჩია და დარბაზმა საბოლოოდ განძის დალაშქვრა დაასკვნა.

ბჭობა რომ გათავებული ეგონათ, მეფემ სამეფო კარის და მეფის პიროვნების უშიშროებისათვის დარბაზის დახმარება ითხოვა. უცნაურ პირობებში გარდაცვლილ მანდატურთუხუცესს მეფის კარის უშიშროებისა და თავად ხელმწიფის სიცოცხლის დაცვისადმი უყურადღებობა დააბრალა და მანდატურთუხუცესად მეფეთა სამსახურსა და ერთგულებაში მრავალგზის ნაცადი ეგარსლანის დანიშვნა მოითხოვა.

ათაბაგმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა _ ესღა გვაკლია, სამეფო კარის გამგეობა ვიღაც უგვაროსა და მონადყოფილს ჩავაბაროთო.

ვაზირებისა და მთავრების უმრავლესობამ უგვარო ეგარსლანის ასეთი აღზევება შეუძლებლად ჩასთვალა და მეფე იძულებული გახდა ეთხოვა: _ თუ ჩემი სიცოცხლე და სამეფო კარის კეთილდღეობა გინდათ, მაშინ მანდატურთუხუცესად შალვა ახალციხელი დამიმტკიცეთ და მის ნაცვლად მეჭურჭლეთუხუცესად ყვარყვარე ჯაყელი _ ციხისჯვარელი გაავაზირეთო.

დარბაზის წევრები უყოყმანოდ დაეთანხმნენ მეფის ამ გონივრულსა და მისაღებ წინადადებას.

ლაშა თავის სიტყვაში მეფის ვიღაც მტრებზე და კარისკაცების საეჭვო მოქმედებაზე გადაკრულად ლაპარაკობდა და ათაბაგი ცოტა შეფიქრიანდა. იგი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს, ერთიმეორეზე წაწყობილი ამბების შთაბეჭდილების ქვეშ იყო და ჯერაც კარგად ვერ გამოფხიზლებულიყო. მხარგრძელი უდიდეს რისკზე წავიდა, როცა შეიხ-ფეიზს ხათუნის ბეჭედი გაუგზავნა და დათქმული ნიშნით მეფე განსაცდელში შეიტყუა. მიზანი მთლიანად მიღწეული არ იყო, მაგრამ შედეგი მაინც მნიშვნელოვანი ჩანდა: მეფის უდიდესი ღონისძიება თავისი უფლების განმტკიცებისა და დიდებულთა დამორჩილებისათვის _ ყივჩაღთა გამოსვლა _ ჩაშლილი იყო, მეფეს ერთხელ კიდევ სახელი გაუტეხა უწესო ადამიანებთან მეგობრობამ. ამ ამბებში თავად მხარგრძელი მეფისა და სახელმწიფოს იმ ერთგულ ადამიანად და კეთილშობილ რაინდად გამოჩნდა, რომელმაც პირად შეურაცხყოფაზე მაღლა მეფისა და ქვეყნის ინტერესები დააყენა.

ამიტომ ათაბაგმა მეფესთან კინკლაობის გაგრძელება და მისი წინააღმდეგობა აღარ ისურვა. იგი გრძნობდა, რომ მეფესა და მის მომხრეებს რაღაც ეჭვები ჰქონდათ, მაგრამ საბუთები არ გააჩნდათ. ათაბაგის თავგამოდება მეფის ერთგული კაცის გავაზირების წინააღმდეგ ამ ყრუ ეჭვებს კიდევ უფრო გააძლიერებდა.

ივანემ ისევ დათმობა არჩია: ახალციხელის ხელში ახალი, მნიშვნელოვანი სავაზირო გადადიოდა და ვაზირთა საბჭოს მეფის კიდევ ერთი აშკარა მომხრე და ახალციხელის ახლობელი კაცი ყვარყვარე ჯაყელი ემატებოდა.

@თავი მეთორმეტე.დაჩოქებული ხელმწიფე

> მეფეთაგან სამს ინდომებენ ვაზირნი: ყურისა მიპყრობასა, სიტყვის გაგონებასა და რჩევის დაჯერებასა.

ლაშა ბავშვობიდანვე იყო შეჩვეული ომსა და ლაშქრობას. ჯერ კიდევ თორმეტი წლის უფლისწული ქართველთაგან კარნუქალაქის აღებაში მონაწილეობდა. დამარცხებულმა მეციხოვნეებმა ქალაქის კლიტეები ყრმა უფლისწულს ჩააბარეს. ლაშა ქალაქში შევიდა და თვითონ მიითვალა ციხე-სიმაგრეები.

მას შემდეგ არაერთ ომში მიუღია მონაწილეობა ტახტის მემკვიდრეს და ყველგან სიმხნე და მამაცობა გამოუჩენია.

ახლაც ომში იგი ისე მიდიოდა, თითქო ლხინში ყოფილიყოს მიპატიჟებული.

ავადმყოფობის შემდეგ სრულიად გამოჯანმრთელებული, რბევასა და ლაშქრობას მონატრებული მეფე იმ დროისათვის უზარმაზარ ლაშქარს მიუძღოდა წინ.

მეფე უკვე შეურიგდა იმ უბედურ აზრს, რომ მისი დიდის ცდით საქართველოს სამოყვროდა და შემწედ ნაწვევი ყივჩაღთა სპის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. მაგრამ ბრძოლა მაინც ბრძოლა იყო და ფათერაკებისა და ხიფათების მოყვარულ მეფეს გული ახალი თავგადასავლებისკენ მიუწევდა.

ძლევამოსილ ქართველთა ლაშქარს განძამდე წინ ვერავინ აღუდგა. გზადაგზა მტრის მიწა-წყალი მოარბიეს, ურიცხვი ტყვე და ალაფი წაიმძღვარეს და ბოლოს თვითონ განძას მიადგნენ.

განძის ათაბაგი ქართველებთან ომს ელოდა და ქალაქი კარგად გაემაგრებინა, ციხისათვის ახალი ზღუდე და ფართო თხრილები მოევლო ირგვლივ, დიდძალი სურსათი შეეტანა და ქალაქი ხანგრძლივი ალყისათვის მოემზადებინა.

გულმტკიცედ იჯდა სიმაგრეში განძის ათაბაგი. საქართველოსგან გამდგარი ყმადნაფიცი იმდენად თავის იმედს ციხის სიმტკიცესა და შეუვალობაზე როდი ამყარებდა, რამდენადაც ცოტა ხნის წინათ დაქირავებულ ყივჩაღთა ოცდაათიათასიანი ლაშქრის ძალასა და ბრძოლის უნარზე.

ქართველებმა იცოდნენ განძის ათაბაგის გაქედმაღლობის მიზეზი, მათ განძასთან ბრძოლის, მისი ალყისა და აღების ადრინდელი გამოცდილებაც ჰქონდათ და ქალაქის პირდაპირ იერიშს მისი გარემოცვა არჩიეს.

მეფის ლაშქარმა ქალაქს ალყა შემოარტყა, დანარჩენი ქვეყნისაგან მოსწყვიტა და დინჯად დაუწყო ლოდინი ციხის გატეხვას.

ქალაქიდან ყოველდღე აწყობდნენ გამოხდომას მამაცი მეციხოვნეები, აქედან გარემომცველები უტევდნენ და იყო წვრილ-წვრილი, მაგრამ სისხლისმღვრელი გაუთავებელი ბრძოლები.

პირველ ხანებში მეფეს ეს პატარა შეტაკებები ართობდა, თვითონ წინ გამოდიოდა და ხმალამოღებული საბრძოლველად იწვევდა განძელ რჩეულებს, უკან შექცეულებს ცხენდაცხენ ციხის კარამდე სდევდა და ბანაკში მხიარული სიმღერით ბრუნდებოდა ხოლმე.

როცა ბრძოლა არ იყო, ნადირობითა და ბურთაობით ერთობოდა, ხანაც განძის საუკეთესო ღვინის სმით კლავდა დროს.

ბოლოს ესეც მოსწყინდა ჭაბუკ მეფეს და ბანაკში ყოფნა დაუმძიმდა.

ალყა გრძელდებოდა, ხოლო ალყაშემორტყმულები დანებებისა და დამორჩილების ნაცვლად კიდევ უფრო მეტ სიმტკიცესა და სითამამეს იჩენდნენ.

მეფესა და მის ერთგულ მხედრობას ის აღონებდა, რომ ციხე შეუვალი იყო, ხოლო გარეთ დიდი ლაშქარი არასოდეს გამოდიოდა, რათა გადამწყვეტ ბრძოლაში გასწორებოდნენ თავხედ განძელებს.

მეფე სხვაზე მეტად წუხდა გარემოცვის ესოდენ გაგრძელებას. ამდენ ხანს ბანაკად დგომა და უმოქმედობა ლაშას თანამოასაკეებსაც მოსწყინდათ და მათგან მეფესთან უფრო ახლობლები _ ბექა ჯაყელი, თორღვა პანკელი, ბიბლა გურკელი და მემნი ბოცოსძე ხშირად აქეზებდნენ მეფეს ციხეზე გადამწყვეტი შეტევის დასაწყებად.

ლაშამ რამდენჯერმე გადაკრულად ჩამოაგდო სიტყვა გარემოცვის გაჭიანურებასა და ციხის იერიშის დაჩქარებაზე, მაგრამ მარტო მხარგრძელმა კი არა, ორთავ ძმათა ახალციხელთაც შორს

დაიჭირეს, ლაშქარს ტყუილად შევაწყვეტთ და ასე გამაგრებულ ციხეს ვერაფერს დავაკლებთ, მით უფრო, რომ ციხეს ყივჩაღთა ძლიერი სპა იცავსო.

ჩვეულებრივ, სხვა ომებიდან თავიანთ სამთავროებისკენ მოსწრაფე ლიხთიქითელი მთავრებიც კი ციხეზე იერიშს და ჯარის უბრალოდ შეწყვეტას უაზრობად თვლიდნენ.

მეფის გონება გამოცდილი სარდლების რჩევას ემორჩილებოდა, მაგრამ ჭაბუკის სისხლი და ახალგაზრდული გული სხვას ეუბნებოდა, გადამწყვეტი ბრძოლისათვის აჩქარებდა.

_ რა გახდა ეს განძის ციხე, რამდენჯერ აუღიათ იერიშით ქართველებს, ჩვენ ვისზე ნაკლები ვაჟკაცები ვართ, რომ ასე გაგვიძნელდა.

_ თუ ციხეს სუსტ ადგილს არ მოვუძებნით და ძალით არ შევლეწავთ, ეს ალყა შეიძლება ერთ წელიწადსაც გაგრძელდეს.

_ თუ ომია, ომი იყოს, ციხეს შეტეხვა უნდა, თორემ განძელები თავისით კარს არასოდეს არ გაგვიღებენ.

ღელავდნენ მეფესავით ჭაბუკი სარდლები და ლაშას ციხის საიერიშოდ იწვევდნენ.

მეფეს ეს აზრი გონებაში ჩაუჯდა და მოსვენებას აღარ აძლევდა.

ერთხელ ქეიფში შეუჩნდა ბექა ჯაყელი:

_ მაგ ბებრებს ომის თავი აღარა აქვთ და ჩვენ მაგათ ხომ არ შევაჩერდებით, მცირე რაზმით შემოვუაროთ ციხეს, მისადგომი მოვუნახოთ და მერე ყველაფერი გაადვილდებაო.

შეზარხოშებულ მეფეს ისეც სისხლი უდუღდა, მეგობრების რჩევას აჰყვა და ორი ათასი მესხი ცხენოსნით ღამის სიბნელეში, ამირსპასალარისა და ახალციხელების უცნობლად, გაემართა ციხის შემოსავლელად.

მეციხოვნეებმა მეფე იცნეს, ციხის კარი გააღეს და თავგამეტებით მიეტივნენ.

ციხიდან გამოსული ლაშქარი ურიცხვი იყო. განძელები და ყივჩაღები ირგვლივ მოერტყნენ ერთ მუჭა ქართველებს და სასტიკად შეუტიეს.

გაუჭირდა მეფის სპას და სწორედ შენივთებული ბრძოლის დროს დაჰკრა ზურგში განძელებს ქართველების ახალმა რაზმმა. შუა გაჰკვეთეს მაშველებმა განძელთა წყობა და მეფეს შეუერთდნენ.

მეფემ მხოლოდ დანახვა მოასწრო შალვა ახალციხელისა: გახელებულ ლომს ჰგავდა შალვა. ერთი პირგამეხებულმა მოხედა მეფეს და გრიგალივით დაბრუნდა ამოდენა ჯარში.

თვითონ მეფეც ზარითა და ხმლის ჩახაჩუხით მიჰყვა უკან.

ახალციხელები დადიანის სტუმრად ყოფილიყვნენ და კარავში გვიან დაბრუნებულებს შეეტყოთ მეფის თვითნებური წასვლა ციხის შემოსავლელად. მეფის ერთგული სარდლები დიდად აღეშფოთებინა ლაშას წინდაუხედაობას. მათი ხელქვეითი ლაშქრის თითქმის ნახევარი თან გაეყოლებინათ მეფეს და მის ამყოლებს _ თორღვას, ბიბლას, ბექას და მემნის. ამათზე კიდევ უფრო მეტად მოსდიოდათ გული, მაგრამ ომებში გამოცდილი მხედრები მიხვდნენ, რომ განსჯის დრო არ იყო და, თუ მეფეს დროზე არ მიხედავდნენ, შეიძლებოდა სახელმწიფოს დიდი უბედურება დატყდომოდა თავს.

ახალციხელებს მაშინვე აეშალათ მესხთა დანარჩენი ლაშქარი და ორივე ძმა მეფეს გამოდგომოდა უკან, რათა განზრახვაზე ხელი აეღებინებინათ და უკან დაებრუნებინათ.

მეფე დიდი ხნის გამოსული არ იყო, ახალციხელებს იმედი ჰქონდათ, რომ გზიდანვე მოაბრუნებდნენ თავნება ლაშას. ამბის გახმაურება არ სურდათ და ამიტომ დანარჩენ ლაშქარს არაფერი შეატყობინეს.

ახალციხელების ანგარიში არ გამართლდა, მეფეს და მის ჭაბუკ მხედართმთავრებს ისე სწრაფად ევლოთ და ისე მოულოდნელად გახვეულიყვნენ ბრძოლის ცეცხლში, რომ ახალციხელებს ისღა დარჩათ, თვითონაც ომში ჩაბმულიყვნენ და მეფის გადასარჩენად თავი გაეწირათ.

შენივთებულ ბრძოლაში ლუხუმი სულ მეფის ირგვლივ ბრუნავდა, წინ კლდესავით უდგა და მარჯვნივ და მარცხნივ ხმლითა და ფარით იცავდა მტრის მახვილისაგან.

ახალციხელებმა რომ განძელების წყობა გაარღვიეს და გაშმაგებულები მეფის ლაშქართან ერთად მიესივნენ მტერს, ერთ წამს მეფე, სანახაობით გაოცებული, შედგა: ბუმბერაზთა ახოვანებამ და გოლიათურმა კვეთებამ მოხიბლა და წამით გააშტერა ლაშა.

მებრძოლთა სიკისკასით აღტაცებულ მეფეს ყივჩაღთა ლაშქრის მეთაური მივარდა, ერთი დასჭყივლა და ხმალი მოუქნია. მეფის ნაჩუქარი ლუხუმის ხმალი ჰაერშივე დახვდა ყივჩაღის ხმალს და ფოლადის წკრიალზე ლაშაც გამოფხიზლდა.

ახლა ლუხუმმა მოჰკრა თვალი ყივჩაღის კისერთან გაელვებულ მეფის ხმალს და თვითონაც უცებ თვალთ დაუბნელდა: თავზე თითქო ქვეყანა ჩამოექცა, ყურები ჟრიალით დაუგუბდა, ცხენიდან გადმოეკიდა და გონი დაეკარგა...

_ სიკვდილამდის ვიღვაწოთ და დავდვათ თავი სასიკვდილოდ. არა ვარცხვინოთ პირველსა ომსა მეფობისა გიორგისასა! _ შესძახა ჯაყელმა და ხმალამოღებული ეკვეთა მეციხოვნეებს. თორღვა პანკელი, ბიბლა გურკელი და მემნი ბოცოსძეც მხეცებივით მიესივნენ თავდამსხმელებს. ეს მცირერიცხოვანი ქართველთა ჯარი მუშტივით შეკუმშული მოსწყდა ადგილს და ყივილითა და ზათქით მიეტია მტერს.

ბუნებით მამაცი და უხორცოსავით უშიშარი ლაშა კიდევ უფრო გაამხნევა მისთვის ერთი კაცივით ოთხი ათასი ცხენოსნის სასიკვდილოდ თავგანწირვამ და თვითონაც გააფთრებით ეკვეთა მტერს;

ღვინით აღგზნებული, თავზეხელაღებული ჭაბუკი ლაშა და მისი ერთგული ქართველები უგონოებივით გახელებულნი უტევდნენ და კაფავდნენ მოპირდაპირეს.

ძლიერი და სასტიკი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. განძელთა ყივჩაღთაგან საუკეთესო მებრძოლები აკაფეს ქართველებმა, აგორებული ზვავივით მოიყოლეს ქვეშ და წარღვნასავით დაძრულებმა წინ გაირეკეს.

ერთხელ გატეხილ განძელებს წყობა დაენგრათ, შიშმა მოიცვა და თავქუდმოგლეჯილნი ილტვოდნენ ციხისკენ.

მეფემ ციხის კარამდის სდია გაქცეულებს. დამფრთხალი ჯოგივით ხოცეს და ამოდენა მომხდურთაგან მცირედმაღა შეასწრო ქალაქში.

ციხის კარის ჩაკეტვა დროზე მოასწრეს განძელებმა. ქართველების მახვილს ცოტანიღა გადაურჩნენ, ბრძოლის ველზე უამრავი განძელი დაწვა, ხოლო კიდევ მეტი ტყვედ დარჩათ ქართველებს.

საშინელმა ზარმა, კივილმა და ღრიალმა მოიცვა ციხე-ქალაქი.

ამოდენა ზათქმა, მოთქმამ და ხმაურმა ქართველთა გარემოდგომილი ლაშქარიც აშალა. მხარგრძელები, ჰერ-კახნი, სომხითარნი, ქართლელები, რაჭის და არგვეთის საერისთაოსანნი, ოდიშარნი და აფხაზნი ერთბაშად დაიძრნენ საომრად და მეფის საშველად.

ათაბაგის რისხვას სხვებიც მხარს აძლევდნენ, მაგრამ ლაშას წინდაუხედავი მოქმედებით გამოწვეული საერთო აღშფოთება ქართველთა ლაშქრის მეთაურებს ნებას არ აძლევდა, მეფე გაეწირათ და შორიდან ეყურებინათ სეირი.

პირველმავე ბუკმა ქართველთა კარვები დააცარიელა, ამხედრებული და აღჭურვილი ლაშქარი დაეწყო და ამირსპასალარის მეთაურობით საომრად დაიძრა.

ბრძოლიდან გამობრუნებული მცირერიცხოვანი ქართველობა გამარჯვებას ზეიმობდა და მხიარული ბრუნდებოდა. შორიდან შეამჩნიეს ომგადახდილებმა უთვალავი ჟინჟღილების შუქი და მათკენ მომავალი დიდი ლაშქარი.

რაც უფრო ახლოვდებოდა დროშებისა და შუბების ტყე, რაც უფრო ძლიერდებოდა ჟინჟღილების შუქი, მით უფრო ეუფლებოდა ლაშას გაურკვეველი მოლოდინის შიში.

ერთი ხანი იყო, აჩრდილივით მუდამ განუყრელი ლუხუმი მოისაკლისა. ახალციხელს ჰკითხა, რა მოუვიდა მიგრიაულსო, მაგრამ შალვამ ხმა არ გასცა და მეფემ გაოცებით შეხედა.

ახალციხელს ცხენისთვის სადავე მიეშვა, თავი უღონოდ დაჰკიდებოდა და უნაგირზე ტანს ძლივს იკავებდა.

ამირსპასალარი ცხენდაცხენ მოიჭრა და ანთებულმა ჟინჟღილებმა წითლად გაანათა სახეები.

_ რა ჩაიდინე, უგუნურო! _ შესძახა მეფეს ათაბაგმა და ცხენი ზედ მიაგდო.

ლაშამ დაბნეულად შეხედა ჯერ მხარგრძელს და მერე დანარჩენ სარდლებს: ყველას სახეზე რისხვა და შეშფოთება ამოიკითხა.

_ დღეიდან ვამტკიცებ არღარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა შენსა! _ მრისხანედ მოსჭრა მხარგრძელმა და ცხენი შემოაბრუნა.

_ არცაღა ჩვენ ვიყოფით მოლაშქრედ და კარსა მეფისასა! _ დაიგრიალეს შვიდთავ სამთავროს მთავრებმა და მათაც ცხენებს სადავეები მოსწიეს შემოსაბრუნებლად.

ლაშამ უმწეოდ მოავლო თვალი ყველას და, შალვა ახალციხელს რომ შეხედა, გაქვავდა: ჟინჟღილების წითელ შუქზე მიწისფრად მოჩანდა ახალციხელის გაფითრებული სახე. მეფეს მკვდრად მოეჩვენა შალვა.

იმ წამს საშინელი მარტოობა იგრძნო დედის ნებიერმა ლაშამ. ჰუნედან გადმოხდა, მხარგრძელის ცხენის ავჟანდს მისწვდა და მუხლზე ჩაჩოქილმა შეჰღაღადა:

_ შემინდე უმეცრების ქმნილისათვის. არღარა ვყო დღეიდან თვინიერ თქვენის განზრახვისა!

შალვა, თითქო ამის გაგონებასღა უცდიდაო, უცებ მოსწყდა ცხენიდან და ამოდენა ვაჟკაცი მოჭრილ ხესავით დაეცა მიწაზე.

ივანე მიეშველა გონდაკარგულ ძმას და ერთი წამით უკან შემოქცეულმა მთავრებმაც პირი იბრუნეს დაჭრილი ახალციხელისაკენ.

* * *

ყველასაგან ზურგშექცეულმა, ბავშვივით დატუქსულმა ლაშამ იმ ღამეს ვეღარ დაიძინა. ტუჩებს იკვნეტდა და ხელებს იმტვრევდა ბრაზისა და აღშფოთებისაგან.

სამხედრო საბჭოზე მისი მოქმედება თითქმის ყველამ დაგმო, მათ შორის ივანე ახალციხელმაც.

_ თვითნება მოსმურთა უგუნურებამ ქართველი მხედრობის ძლევამოსილებას სახელი გაუტეხა და ქვეყნისათვის ესოდენ თავდადებული ჩემი ძმის სიცოცხლეც საფრთხეს ჩააგდო! _ აღშფოთებით განაცხადა კარის ამირამ.

_ რაკი ლაშქარში წესი და უმცროს-უფროსობა არ არის, ერთი აზრი და ნება არ ხორციელდება, სჯობს ალყა მოვხსნათ და სირცხვილეულნი უკან შევიქცეთ, _ დაასკვნეს მხედართმთავრებმა და მეფემ მხოლოდ მაშინ იგრძნო, თუ რა დიდი დანაშაული ჩაიდინა და რა დიდი მარცხი განიცადა.

ლაშას მეფობის პირველი ომი ქართველთა მხედართმთავრებმა წაგებულად აღიარეს. გამდგარი განძის ათაბაგი ვერ დაიმორჩილეს და აგერ ას წელზე მეტხანს ძლევამოსილი დავითიანი და გორგასლიანი დროშა პირველად უნდა შემოებრუნებინათ უკან განძის ციხეზე აღუმართავად.

თავად მეფეს ვერაფერი უყვეს, მაგრამ მის წამქეზებლებსა და ამყოლებს: თორღვა პანკელს, ბექა ჯაყელს, ბიბლა გურკელსა და მემნი ბოცოსძეს სასჯელი დაადეს და მცველები მიუჩინეს.

მეფე იმას ნანობდა, რატომ ომში არ დავიღუპე მტრის მახვილისგანო. სახელოვანი სიკვდილი ლაშას ბევრად ერჩია ამ საქვეყნო შერცხვენასა და დამცირებას.

მეფის სულსწრაფობამ და უნებისყოფობამ მის ყველაზე დიდ თაყვანისმცემლებსა და მოიმედეებსაც გული გაუტეხა, ჯერ ციხის წინააღმდეგ თავისი უგუნური გამოხდომითა და მერე, მისი ყველაზე დიდი მტრის, ათაბაგის წინაშე ასე სულმდაბლად დაცემითა და წამოჩოქებით.

სამხედრო საბჭომ მოხსენების ღირსადაც კი არ ცნო მეფის გამარჯვება განძელ და ყივჩაღ მეციხოვნეებთან შეტაკებაში. ყველაზე მაღლა სამხედრო წესრიგი და ლაშქრის ერთიანობა დააყენეს და მეფის დამამცირებელი განაჩენი გამოიტანეს.

დიდებულების ამ საერთო შემოტევაში მეფე სრულიად მარტო აღმოჩნდა. მისი ტოლები და მასთან ბრძოლაში გამარჯვებულები ხმაწართმეული და დასჯილები იყვნენ, ახალციხელთაგან ერთი ძმა მის ქცევას გმობდა, ხოლო მეორე დაჭრილი იყო და, ალბათ, ისიც უფროსი ძმის აზრს იზიარებდა.

მარტოდმარტო დარჩენილმა თავისი ერთგული და განუყრელი მცველი მოიკითხა. მძიმედ დაჭრილიაო, მოახსენეს და მეფე მაშინვე გაეშურა მიგრიაულის სანახავად.

საველე ქსენონში რომ შევიდა, დაჭრილების კვნესამ შეზარა: ეს მისი წინდაუხედაობისა და თავნებობის მსხვერპლნი ებრძოდნენ სიკვდილს, ზოგი დედას უხმობდა, ზოგი ცოლსა და შვილს და ზოგი კიდევ, ვინ იცის, ვის და რას ეძახდა სიცოცხლის უკანასკნელ წამს.

დოსტაქარი მიგრიაულისკენ წაუძღვა მეფეს. ლაშა დაჭრილებს შორის მიდიოდა. პირტიტველა ვაჟკაცი ლოგინიდან წამოიწია.

_ მეფე ცოცხალია, მეფეს გაუმარჯოს! _ ამოიძახა და ლოგინზე მოწყვეტით დაეცა. დოსტაქარი შეჩერდა პირშიშველა მოყმესთან, დახედა, მისი მარჯვენა ხელი აიღო და მაჯას ყური მიუგდო.

ცოტა ხნის შემდეგ დოსტაქარმა ჯარისკაცის მაჯას ხელი გაუშვა.

_ ხომ ცოცხალია? _ იკითხა შეშფოთებულმა მეფემ.

_ არა, მეფევ... მოკვდა! _ ცივად თქვა დოსტაქარმა და გამყოლებს ანიშნა, რომ მიცვალებული გაეყვანათ.

ორმა ვაჟკაცმა საკაცეზე დადო შავტუხა მეომარი. გრძელი და მხარბეჭიანი იყო ჯარისკაცი, საკაცეზე ძლივს დაეტია.

მძიმედ ასწიეს და წაიღეს.

მეფემ თვალი გააყოლა უცნობი ჯარისკაცის ცხედარს და თვალცრემლიანი შემობრუნდა.

საველე ქსენონის ბოლოში იწვა მიგრიაული. თავს დოსტაქრები ეხვივნენ, ნახვევს უხსნიდნენ, ლაშამ ვერ იცნო თავპირახვეული მცველი.

_ ეს გახლავთ მეფის მცველი! _ მოახსენა ლაშას დოსტაქარმა და იქ მყოფების გასაგონად დაიძახა: _ მეფე მობრძანდა!

მკურნალებმა ერთად მოიხედეს მეფისკენ, თავი დახარეს და ნახვევის გახსნა განაგრძეს.

მეფე ახლო მივიდა და დააცქერდა: შუბლი ირიბად ჰქონდა გაჩეხილი ლუხუმს, ხმალი ზედ თვალზე მოხვედროდა და ნახევარი შუბლი და ლოყაც გაეჩეხა.

თვალის ადგილზე რაღაც ნაკვერცხალივით წითელი და საშინელი ჩანდა _ ხორცი თუ სისხლი.

ლაშა სანახაობამ შეზარა, ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა და ისარნაკრავივით გამობრუნდა.

_ ჩემს თავს არ ვწუხვარ, _ მოესმა იქვე გვერდით მწოლარე დაჭრილის ხმა ლაშას. _ ჩემი სიცოცხლე მეფის სანაცვლო იყოს... მოხუცი დედა და ბალღები მრჩება, ჩემს მეტი მარჩენალი და ყურისმგდებელი ადამიანი არ ეყოლებათ.

_ ერთი კვირის მოყვანილი პატარძალი მრჩება ქვრივად... ნეტავ ბიჭი მაინც ეყოლებოდეს... ვაიმე... _ დაიკვნესა მეორე დაჭრილმა და ლაშა უცებ მოწყდა ადგილს.

კი არ მიდიოდა, მირბოდა მეფე, თვალებს ხუჭავდა და ყურებს თითით იცობდა, რომ ახალი საშინელება არ დაენახა და გაეგონა. მირბოდა და ეჩვენებოდა, რომ ყველას დედები და ბალღები მას მისტიროდნენ, მათი უბედურების მთავარ დამნაშავეს, ამდენი სიცოცხლის დამღუპველსა და მომსწრაფებელს.

* * *

ახალციხელის ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა, ადვილად იწყო შეხორცება და შალვას ნელ-ნელა მომჯობინება დაეტყო.

ახლა იგი თავის კარავში იწვა, თავთ უფროსი ძმა ივანე და მუდამ განუყრელი თურმან თორელი უსხდნენ.

იმ დიდი სულიერი განსაცდელისა და მწუხარების ჟამს, როცა სიყვარულისაგან გაუბედურებული შალვა ველად გაიჭრა, მასთან ერთად მოუშორებლად იყო თურმან თორელიც.

ეს ჯან-ღონით სუსტი, მაგრამ მომხიბლავი, ოდნავ ქალივით ნაზი ჭაბუკი ახალციხელის ბიძაშვილი იყო და თორელთა გვარის უმცროს შტოს ეკუთვნოდა.

სიყრმიდანვე სწავლასა და წიგნების კითხვას გადაგებულ თურმანს არაჩვეულებრივად ტკბილი ხმა ჰქონდა.

ჯერ კიდევ ბავშვი, მხრებზე კულულებდაყრილი თურმანი საყდარში სამოციქულოს კითხულობდა და ტკბილი, შთამწვდომი ხმით გალობდა.

ცოტა რომ წამოიზარდა, ხმაში ზარი მოემატა და ტუჩებზე შავი ღინღლი შემოეპარა.

წირვაზე მის სანახავად საგანგებოდ იწყეს სიარული ლამაზმა ასულებმა, გასათხოვარმა ქალიშვილებმა და თავიანთი ცხოვრების ერთფეროვნებით მოწყენილმა ერისთავებისა და დიდვაჭრების უზრუნველმა ცოლებმა.

ყველას ეგონა, რომ თორელი სასულიერო ასპარეზს აირჩევდა.

კარგი განათლება, სათნოება და ბუნებრივი კეთილშობილება უთუოდ ღირსეულ მომავალს უქადდა ახალგაზრდა თორელს ეკლესიის სამსახურში, მაგრამ უკვე შეღერებულ ჭაბუკს გულმა სხვა მხარეს გაუწია და შთაგონებამ სხვა გზით მოუწოდა.

პატარაობიდანვე ლექსებს თხზავდა თორელი და კარის მგოსნის სახელზე ოცნებობდა.

გავლენიანი ბიძაშვილები _ შალვა და ივანე მის პოეტურ ვარჯიშს ახალგაზრდის ჩვეულებრივ გატაცებად თვლიდნენ და ღარიბი ნათესავის ლექსებს ყურადღებას არ აქცევდნენ.

თორელს რუსთველისთვის სურდა მიემართა ლექსის ჭაშნიკის გასასინჯავად. სულ ახლო იყო რუსთავი მისი თორიდან, მაგრამ იმდენად ეშორებოდა ეს მცირე მანძილი შოთას დიდი სახელისა და ამაღლებული მდგომარეობის გამო, რომ ვერ იქნა და ვერ გაბედა მისი გადალახვა. თორელს უფრო ის აჩერებდა, რომ თავადაც არ იყო დაჯერებული საკუთარი შთაგონების ძალასა და დაწერილი ლექსების ღირსებაში.

ლექსებს კი წერდა, რადგან ცაში ასული ტოროლასავით სულ ემღერებოდა და სულ ელექსებოდა.

მამით ობოლსა და ხელმოკლედ გაზრდილს მეფის კარზე მოხვედრა უმაღლეს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

მისმა სახელოვანმა ბიძაშვილებმა ეს გზა ძლიერი ხმლებით გაიკაფეს, მას კი, თუმცა ხმალიც კარგად უჭრიდა, მხედრობა მაინც არ იტაცებდა. სუსტი კალმით სურდა სახელისა და დიდებისაკენ ძნელი გზის გაკვლევა.

ჯერ ნედლი იყო და თუმცა სიყვარულზე ბევრს წერდა შოთასა და სარგის თმოგველის წაბაძვით, მის გრძელ პოემებს წაკითხულით გაბრუება უფრო ეტყობოდა, ვიდრე განცდილით შთაგონება.

მისი ბუნება ჯერ კიდევ ყამირივით მთელი იყო, პირველქმნილი უმანკოება არ მოშორებოდა და ყრმობის ოცნებათა ბურანში გახვეული ცხოვრებას გულუბრყვილოდ და იოლად უყურებდა.

ამ ბურანიდან პირველად ერთმა შემთხვევამ გამოიყვანა, ძლიერ უბიძგა და ისე შეატორტმანა, კინაღამ თვალი დაუბნელა და ძირს დასცა.

ერთხელ, გაზაფხულზე, გზად მიმავალი ივანე მხარგრძელი შეჩერდა თორში მთელი სახლობით. მანამდე მხოლოდ ნაამბობითა და გადმოცემით იცნობდა ივანე მხარგრძელს თურმან თორელი. სახელგანთქმული გმირისა და დიდი სახელმწიფო მოღვაწის პირადად ნახვა თორელისათვის მნიშვნელოვანი შემთხვევა იყო. სხვა ნათესავებთან ერთად ახალციხელებმა მხარგრძელს ისიც წარუდგინეს და მისი სწავლაში გულისმოდგინება და მუსიკობაში წარმატება უქეს.

მხარგრძელს მოეწონა ზომაზე მეტად მოკრძალებული ჭაბუკი, გამოელაპარაკა და სიმღერის თქმა სთხოვა.

და ის იყო, თურმანმა ებანი მომართა, რომ დარბაზში თამთა შემოვიდა. იმწამსვე ყველაფერი უჩვეულო შუქით განათდა, ჭაბუკისათვის მანამდის უცნობი სულის რომელიღაც კუნჭული შეირხა, გული საგულედან ამოფრინდა და სამღერლად გამზადებული მგოსანი მიწას მოსწყდა. გონმიხდილი იჯდა ჭაბუკი და თვითონაც აღარ იცოდა, აქ, ახალციხელების პალატებში იჯდა მართლა, თუ ფრთაშესხმული მიფრინავდა სადღაც, უსაზღვროდ მაღლა და შორს, დამაბრმავებელი სინათლისა და მომხიბვლელი ხმების სამყაროში.

თავად არ ესმოდა, რას ან როგორ მღეროდა აღტაცებისაგან მთვრალი და ფეხის ფრჩხილებამდის გაბრუებული, ღრუბელივით ამჩატებული და ზმანებაში თუ ოცნებაში

გადასული თორელი. მღეროდა თავისთვის და თავისთავად, მარტო იმ ხმით კი არა, რომლითაც მანამდისაც უმღერია. ახლა ამ ხმას კიდევ სხვა, შინაგანი ხმაც, მისი წრფელი გულის გაღვიძებული ხმაც შეერთებოდა და, ალბათ, ძალიან მომაჯადოებელი უნდა ყოფილიყო ეს თავდავიწყებული სიმღერა, რომ დასრულებისთანავე ტაშმა იქუხა.

თორელი მხოლოდ ახლა გამოერკვა ზმანებიდან თუ ოცნებიდან.

თავი აიღო და იქ მყოფთა თვალებზე აციმციმებული ცრემლები დაინახა.

თამთა და შალვა ერთურთს შეჰყურებდნენ ფართო, გაბრწყინებული თვალებით. სიმღერის ჯადოთი ერთ არსებად შეკრულები, ისინი იქ მყოფთაგან სხვებს ვეღარ ხედავდნენ და უხმოდ, მხოლოდ ერთიმეორის დასანახავად და გასაგონად, ისევ აგრძელებდნენ სიყვარულის წმინდა სიმღერას.

ერთ წამს მისწვდა თორელი შეყვარებულთა გულის პასუხს, თავისი აღტაცებული სიმღერის უიღბლობასა და თავის პირველ უბედურებას.

ებანი გაბრაზებულმა დააგდო და თვალცრემლიანი პალატიდან გავარდა.

ორ დღეს დაჰყვეს მხარგრძელებმა ახალციხელების სტუმრად და ისე აიყარნენ, რომ თორელი თვალით აღარ ჩვენებიათ. იმ დღიდან აღარც თავისიანებს უნახავთ თურმანი.

თორიდან _ თავისი პატარა ბუდიდან იმ ბარტყივით აფრინდა იგი, რომელსაც ჯერ კიდევ ფრთები სუსტი და შეუმოსავი ჰქონდა, მაგრამ ძლიერი ქარის მობერვამ თუ მყარის შენძრევამ ხიდან გადმოტყორცნა და შორს უგზოუკვლოდ გააფრინა. ამ უფრთო ფრენასა და უგზო-უკვლო ქროლვაში უნდა დავაჟკაცებოდა ფრთა და გაკვლეოდა ცხოვრების გზა უღონო მართვეს.

სიყვარულის ისრით პირველადვე ეგრე უწყალოდ დაკოდილი ჭაბუკი ტირილისა და ოხვრისაგან რომ გამოერკვა, თავის მდგომარეობას ჩაუკვირდა.

„ახალციხელსა და თამთას უეჭველად ერთიმეორე უყვართ, _ სჯიდა თავის გულში თორელი, _ ბიძაშვილს მამული საკმაო გააჩნია და სახელიც დიდი აქვს, მე წრფელი სიყვარულისა და უხეირო ლექსების მეტი არა მაბადია რა. სად გავუტოლდები ახოვანს, მდიდარსა და გავლენიან ახალციხელს სუსტი, უქონელი და უბირი ახალგაზრდა. ძმათა შვილები ვართ თორელები. მამაჩემი ომში დაიღუპა და ჩემს წილ მამულებსაც ჩემი ბიძაშვილები დაეპატრონენ. მე სულ მათ ჩრდილში უნდა ვიყო, მათი ხელისა და წყალობის შემყურე, ყველაზე უკეთესი, რასაც მომავალი მიმზადებს, დიდი ახალციხელების მხლებლობაა. არა, ამას კი ვერ შევურიგდები, რომ ყოველდღე თამთასა და შალვას ბედნიერებას ვუცქირო და მათი უბედური მსახური ვიყო. ამაზე უარესი აღარა მომივა რა, უკეთესი კი ქვეყნად ათასი რამ არის“.

ასე გადაწყვიტა გულში საკუთარ ბედზე ამხედრებულმა ჭაბუკმა, ერთ ღამეს თორი ჩუმად დატოვა და თბილისისაკენ გაეშურა.

კითხვა-კითხვით, როგორც იყო, თბილისს მიაღწია.

მშიერ-მწყურვალი გარეუბნის ერთ ფუნდუკში შევიდა. ფუნდუკი მდიდრულად იყო მოწყობილი, სუფრებსაც კარგად ჩაცმული მეინახეები უსხდნენ. ეტყობოდა, მაღალი წრის შემლებული ხალხისათვის უნდა ყოფილიყო ეს სასტუმრო და ყველაფერს დიდი ფასი უნდა ჰქონოდა. ის იყო შეყოყმანდა თორელი და უკან მობრუნება დააპირა, რომ კარში მსახური შემოეგება, ხელბარგი თითქმის ძალით ჩამოართვა და დარბაზში შეიწვია.

თორელმა უნებლიეთ ფული მოიძია ჯიბეში. რამდენიმე ვერცხლს ხელი მაგრად მოუჭირა და ცნობისმოყვარეობით გათამამებულმა დარბაზში გაბედულად შედგა ფეხი.

განმარტოებულ სუფრას მიუჯდა, ფული ფარულად ამოიღო, პეშვი ოდნავ გაშალა, რომ სხვას არავის დაენახა და, სამიოდ ვერცხლს სათითაოდ დააცქერდა. წვრილჩუქურთმიან ჩარჩოს შუაში თამარის ვეწზელი იყო მოთავსებული. ჩუქურთმის გარშემო წარწერა წაიკითხა თორელმა: „სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვერცხლისი ამის...“ წარწერა ქორონიკონით თავდებოდა.

თამარის ვერცხლი ფრთხილად აიღო თორელმა, გადმოაბრუნა და მეორე მხარეს დააცქერდა: „დედოფალი დიდებული, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“, ამბობდა მეორე, არაბული წარწერა. ვერცხლზე მესამე წარწერაც იყო, ისიც პირველი რკალის ირგვლივ რკალისებურადვე

გამოყვანილი: „განადიდოს ღმერთმან დიდება მისი, განაგრძოს ჩრდილი მისი და განამტკიცოს კეთილდღეობა მისი“.

ახლა მეორე ვერცხლს დახედა თორელმა: ვერცხლს ზურგზე ვარდის ფურცლოვან ჩუქურთმაში არაბული წარწერა ჰქონდა: „მეფეთა მეფე გიორგი, ძე თამარისა, მახვილი მესიისა“.

ხმარებისაგან გაცვეთილ ვერცხლის შუბლზე გარკვევით ჩანდა საქართველოს ტახტის მემკვიდრისა და თამარის თანამოსაყდრის ლაშა-გიორგის გამოხატულება, დამახასიათებელი ნაკვთებითა და თითქო ოდნავ დამცინავი მზერით.

ქარაგმის ამოკითხვით გართულ თორელს თავს მსახური დაადგა.

_ რას ინებებს სტუმარი? _ კრძალვით იკითხა წელში მოხრილმა მსახურმა.

თორელი შეკრთა, თითქო ნაპარევი ჰქონოდეს, ფული უცებ მუჭში დამალა და აღელვებულმა დაუფიქრებლად უთხრა:

_ რაცა ოდენ კარგი და რჩეული იყოს.

მსახურმა თავი დაუკრა და ცოტა ხნის შემდეგ თორელის სუფრას სავსე თეფშებითა და სინებით მოადგა.

რაღა არ მოუტანა: ქორფა მწვანილი და თუშური ყველი, ცივად მოხარშული თიკანი და ქინძმარში ჩაწყობილი კალმახი.

დამშეული თორელი ხარბად მიადგა საჭმელს და ცოტა სული რომ მოითქვა, ზედ კახური ღვინოც დააყოლა.

საჭმელი და ღვინო ეამა. ერთი ხელადა რომ დაცალა, მეორეც მოითხოვა და მალე შეზარხოშდა.

ღამდებოდა, ცარიელი სუფრები თანდათან ივსებოდა ბრწყინვალედ აღკაზმული ჭაბუკებითა და მდიდრულად ჩაცმული მოქეიფეებით.

თორელის მეზობლად მსხდომმა ახალგაზრდებმა ყურადღება მიაქციეს სუფრასთან მარტო მჯდომარე ჩაფიქრებულ ჭაბუკს, დროდადრო რომ ოხრავდა, საფიქრალს თავს აღწევდა და დიდრონ სასმისებს ცლიდა. ადღეგრძელეს, გამოელაპარაკნენ, ვინაობა გამოჰკითხეს და თავიანთ სუფრაზე მიიწვიეს. თორელს თავისი სამიოდე ვერცხლი გაახსენდა. მალე უნდა წავიდეო, მოიმიზეზა და ისევ მარტოკა დარჩა.

თაღის ქვემოთ შემაღლებულ ადგილზე ღიპიანი მედოლე დაჯდა, დოლი გაახურა და სიმღერა დასძახა. გამყინავი, ძლიერი ხმით მღეროდა მედოლე, სახე უწითლდებოდა და ყელზე გაბერილი ძარღვები ასკდებოდა.

თავის სიჭაბუკეში პირველად სვამდა თორელი ამდენ ღვინოს. კახურმა დარდი გადაავიწყა, სიმღერის მოსმენამ თავადაც სიმღერის გუნებაზე დააყენა, ძლივს წამოდგა და მედოლისკენ ბანდალით წავიდა.

მედოლე მისთვის მოქეიფეებისაგან ჯილდოდ გაგზავნილ პურ-ღვინოს შეექცეოდა.

თორელი მიუახლოვდა, დოლი თუ შეიძლებაო, მობოდიშებით სთხოვა.

საჭმლით პირგამოტენილმა ფუნდუკის მომღერალმა ხელით ანიშნა, აიღეო. თორელი სკამზე ჩამოჯდა, დოლი მუხლებზე დაიდო და დაჰკრა.

დარბაზში საოცრად ტკბილი და მიმზიდველი ხმა გაისმა.

მოქეიფეებმა სმა-ჭამა და საუბარი შეწყვიტეს, თავი მისკენ მოიბრუნეს და მოჯადოებულებივით მიუპყრეს ყური უცნობ ჭაბუკს.

სიმღერა რომ ჩამოათავა, დარბაზი ტაშმა და ვაშას გუგუნმა შეაზანზარა.

თორელის სუფრის მეზობლად მსხდარი ახალგაზრდები ფეხზე წამოცვივდნენ, თურმანთან მიიჭრნენ, სავსე სასმისები მაღლა ასწიეს და მათმა თამადამ მთელი დარბაზის გასაგონად გამოაცხადა:

_ ვადღეგრძელოთ საქართველოს ახალი მგოსანი, თურმან თორელი, შალვა ახალციხელის ნათესავი, საქართველოს მეფის სამსახურად და ფათერაკების საძებნელად სატახტო ქალაქს პირველად ჩამოსული! გაუმარჯოს თურმან თორელს, ვაშა!

მთელმა დარბაზმა ერთი კაცივით გაიმეორა „ვაშა“.

თამადის სიტყვებზე ფუნდუკის კართან მოდგა ლაშა. სადღეგრძელო ზღურბლზე შეჩერებულმა მოისმინა და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდა აღტაცებული მოქეიფეებით გარშემორტყმულ უცნობ ჭაბუკს.

თორელმა მთხოვნელებს ბევრი არ ახვეწნინა, დოლი ისევ მუხლზე დაიდო, თვალები ჭერს მიაპყრო და სიმღერა წამოიწყო.

ლაშა ყურს არ უჯერებდა. ესოდენ საამო, ძლიერი და მიმზიდველი ტკბილი ხმა თავის დღეში არ მოესმინა.

თავაწეული, მხრებზე ქალიშვილივით კულულებდაყრილი თორელი შთაგონებული მღეროდა და ღრმა, გონიერი თვალებით სადღაც შორს, მიუწვდომლისაკენ იხედებოდა.

ლაშამ ამ უცნობ ჭაბუკთან უეცრად რაღაც სულიერი ნათესაობა და სიახლოვე იგრძნო, აღტაცებული შეჰყურებდა სიმღერადქცეულ თორელს და სულგანაბული უსმენდა.

მღეროდა თორელი საკუთარ სამღერალს თუ სატირალს, პირველი სიყვარულის უიღბლობას და ჭაბუკური ოცნების უნიადაგობას, გასაფრენად გაშლილი ფრთების დამსხვრევასა და მაღალი ღრუბლებიდან ძირს დაცემას, ადრე განცდილ სოფლის უხანობას, სიცოცხლის არარაობასა და ამაოებათა ამაოებას.

სიმღერა რომ გათავდა, კართან მომდგარმა ხელმწიფემ და მისმა ამალამ ერთხმად შესძახეს:

_ ვაშა! გაუმარჯოს მეფის კარის მგოსანს! _ მეფის ნათქვამი ვაშა დარბაზში მყოფებმა აიტაცეს და გუგუნით სამგზის გაიმეორეს:

_ გაუმარჯოს საქართველოს ხელმწიფეს ლაშა-გიორგის და მეფის კარის მგოსანს თურმან თორელს!

თორელს თავი სიზმარში ეგონა. იგი მიხვდა, რომ ფუნდუკში მცირე ამალით შემოსული, ვინმე დიდებულთაგანის მსგავსად გამოწყობილი ჭაბუკი საქართველოს მეფეთ მეფე უნდა ყოფილიყო. უნებლიეთ ჯიბისაკენ წაიღო ხელი, ლაშას ვერცხლი ამოიღო, ზედ თამარის ძის გამოხატულებას დახედა და რაკი დარწმუნდა, რომ ხელმწიფის პირისპირ იდგა, მუხლზე დაემხო მის წინაშე.

ხელმწიფემ წამოაყენა, საკუთარ სუფრაზე მიიყვანა, გვერდით მოისვა, მთელი ღამე ამღერა და თავისი თავგადასავალიც აამბობინა თორელს. დილამდე ერთად იქეიფეს და დილით სასახლეში თან წაიყვანა.

იმ დღიდან თურმან თორელი ჭირსა და ლხინში მეფის განუყრელი და უახლოესი მეგობარი გახდა.

თორელის კარის მგოსნად გამოცხადება და მეფესთან მისი დაახლოება შალვა ახალციხელს არ სწყენია, მაგრამ არც დიდად გახარებია.

მეფის კარზე ბევრი სახელმოხვეჭილი, მაღალნიჭიერი მგოსანი იყო. შალვას ეეჭვებოდა, რომ მისი ბიძაშვილი დანარჩენებზე მაღლა დადგებოდა თავისი ნიჭით, ხოლო ჩვეულებრივი, საშუალო მგოსნის სახელს, მისი რწმენით, ისევ უცნობ მეომრად და ღარიბ მემამულედ დარჩენა სჯობდა.

საბედნიეროდ, შალვას ეჭვი არ გამართლდა. თორელმა სხვა მგოსნების მსგავსად, შოთასა და თმოგველის პოემების მიმბაძველობით კი არ განაგრძო, პატარა ლირიკული ლექსების წერა დაიწყო. ეს ლექსები ღრმა ფილოსოფიური შინაარსისა იყო და მგოსნის პირად განცდებს გამოხატავდა. უთვალავი მეხოტბეების მაღალფარდოვანი შესხმებითა და ეპიგონური რომანტიული პოემებით თავმობეზრებულმა ლაშამ და მთელმა სამეფო კარმა თორელის პოეზია ახალ სიტყვად მიიღეს და შეითვისეს, მწუხარებასა და სიხარულში მოუცილებელ თანამგზავრად გაიხადეს, ხოლო თავათ თორელი ყველასათვის სასურველ და საყვარელ მოყმედ და მგოსნად აღიარეს.

თორელი მეფის კარზე დროდადრო ხედავდა თამთას. ღამეებს კვლავ თამთაზე ფიქრით ათენებდა, მაგრამ მასთან შეხვედრას მაინც ცეცხლივით გაურბოდა. იმ ლექსებს, რომელთაც უკვე მთელი საქართველო მღეროდა, თამთასათვის თხზავდა, მაგრამ თამთამ ამაზე არაფერი იცოდა და ჭაბუკი მგოსნის ზომაზე მეტი კრძალვა და მორიდება, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც ეჩვენებოდა.

თამთას ხლათში გამზითვება და დედოფლად გასტუმრება თორელისათვის ყველაზე უბედური დღე იყო. ერთხანს ყველაფერზე ხელი აიღო და ბნელში ჩაკეტილი ოხვრასა და ურვას მიეცა. მერე თავისი უბედური ბიძაშვილის, ახალციხელის ველად გაჭრა რომ გაიგო, მისი და საკუთარი უიღბლობა ლექსებით გამოიტირა, ეს ლექსები წიგნად შეჰკრა და მხეცებთან და ნადირებთან ქვაბებსა და ტყეებში გახიზნულ შალვას თვითონვე აახლა.

წიგნის პირველმავე ლექსმა დაიპყრო შალვა:

მე იმ დღეებს ვერ ვივიწყებ, იმ გაფრენილ წამთა,
როცა ცაში მიუწვდომლის სიახლოვე მწამდა.

ახლა ვდგავარ შავ უფსკრულთან, პირდაღებულ ხრამთან,
თამთა, სად ხარ, საოცნებო, გაფრენილო თამთა?!

გაზაფხული ვეღარა სძლევს სულში ჩამდგარ ზამთარს,
მე უშენოდ დარშიც მყინავს, თამთა, თამთა, თამთა...

შენს საძებრად ღრუბელივით ხევ-ხევ ვივლი, მთა-მთა,
ცხრა მთას იქით დაკარგულო, თამთა, თამთა, თამთა...

მთელი ღამე ლექსების კითხვაში გაატარა შალვამ და როცა წიგნი დახურა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს ლექსები მარტო მგოსნის სახლიკაცის უბედურებას კი არ დასტიროდნენ, არამედ მისი შემთხზველის უნუგეშობასა და სასოწარკვეთასაც გამოხატავდნენ.

ახალციხელმა ახლო წარსული გაიხსენა, თორში მხარგრძელების სტუმრობა და თურმანის უჩვეულო ქცევა, შემდეგ მისი უეცარი გადაკარგვა და, ბოლოს, მეფის კარზე თამთას მიმართ უცნაურად თავის დაჭერა მოაგონდა. მისთვის ყოველივე ნათელი გახდა: მის უმცროს ბიძაშვილსაც ისევე უიმედოდ უყვარდა თამთა და ისევე უბედური იყო ამ სიყვარულით, როგორც თვითონ ახალციხელი.

საერთო სიყვარულმა და უბედურებამ ეს ორი ადამიანი სულიერადაც დაანათესავა და ერთიმეორესთან მეგობრობის უნაზესი ძაფებით დააკავშირა. მათ იშვიათად თუ ვინმე ნახავდა უერთმანეთოდ და ახლაც, განძის გარემოცვისას, თურმანი ახალციხელებთან ერთ კარავში ცხოვრობდა.

_ როდის იყრება ლაშქარი, ივანე, რას ამბობს ამირსპასალარი? _ იკითხა შალვამ.

_ ალბათ, კიდევ ერთხანს დავყოფთ განძის ალყაში. ათაბაგი ქუშხარა ხარკის ძლევას შემოეხვეწა ძველებურად და ახლა მხარგრძელს მეფისაგან საიდუმლოდ მოლაპარაკება აქვს გამართული, თუ რაოდენ უნდა უჩინოს ხარკი და რაოდენ უნდა მიითვალოს ალაფი. მეფემ იმ მოლაპარაკების არა იცის რა და ჰგონია, თუ დამარცხებული იყრება ქართველთა ლაშქარი განძის ალყისაგან.

_ მეფის იერიშმა გატეხა განძელთა სიმტკიცე. მხარგრძელს რომ ჩვენი გამარჯვებით ესარგებლა და მეფესთან ჩხუბის ნაცვლად მთელი ლაშქრით მაშინვე ციხეზე მიეტანა იერიში, დამარცხებისაგან ზარდაცემული განძელები ციხის კარს გაგვიღებდნენ და მორჩილებას შემოგვეხვეწებოდნენ ძველებურად.

_ შეიძლება ეგრე ყოფილიყო, მაგრამ მეფის წინდაუხედაობის დაუსჯელობა არ შეეძლო ამირსპასალარს, კნინღა სასიკვდილოდ გასწირა ხელმწიფემ თავი თვისი და სიცოცხლე სპათა რჩეულთა.

_ ჭეშმარიტს უბნობ, ივანე, მაგრამ გამარჯვება ხომ მეფეს დარჩა!

_ არც გამარჯვება იქნებოდა სრული და საწადელი, თუ ხელმწიფე და ქართველთა უკეთესი სპა მეფის თავნებობით და ურჩობით დაიღუპებოდა. არ გსმენია, შალვა, რომ მკაცრად საჯა ზაქარია ამირსპასალარმა თაყაიდინ თმოგველი, კაცი მხნე და წყობასა შინა უსწორო, მტერთან უცნობლად შებმისათვის?

_ მსმენია, მაგრამ ისიც კარგად მახსოვს, თუ როგორ აღიმხედრა მთვრალმა მხარგრძელმა ივანემ ხლათის ციხესთან, თავისი ძმის ზაქარია ამირსპასალარის უცნობლად. კარგად მახსოვს, თუ რა ძვირად დაუჯდათ ქართველთ ივანეს თავნებობა.

ხლათის ამბის გახსენებაზე თორელს სახე წამოუწითლდა და ჩუმი ოხვრა აღმოხდა.

_ ეგ ამბავი გამახსენდა სწორედ მაშინ, მეფეს რომ ტუქსავდა მხარგრძელი, მის უცნობლად ციხის შემოვლისა და განძელებთან შებმისათვის. სისხლისაგან დაცლილს მაგის გახსენებაღა მაკლდა. მოგონების სიმწარემ და ამირსპასალარის რისხვამ გონი დამაკარგვინა და ის იყო, ცხენიდან გადმოვვარდი... _ შალვამ ტუჩზე იკბინა და ამოიოხრა.

თორელი ებანს მისწვდა, ძალებს ჩამოჰკრა და მწუხარედ წამოიწყო:

განა მხოლოდ მისთვის დავთმე სახლობა და ტაძრეული,
რომ მიწასთან გავასწორო მტრის სახლ-კარი
მტვრად ქცეული.
ოხრად დარჩეს განძის ფარჩაც, განძის ციხეც დაქცეული...
სხვაგან არის ჩემი ფიქრი, სიმდიდრე და განძეული.
მე რად მინდა განძის ციხე, თუგინდ ჰქონდეს კარი ღია,
ციხე ჩემი ასაღები, ოცნებაში ამიგია,
ციხეა თუ ქალის გული, ვეღარც თავად გამიგია...
შენი გულის დაპყრობა მსურს, თავზე ხელი ამიღია...

ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში შიშითა და კრძალვით შეჰყურებდა ქართველთა ლაშქარს მთელი წინა აზია და ახლო აღმოსავლეთი, ქართველები იერიშით იღებდნენ ციხე-ქალაქებს, ყმად იხდიდნენ და ხარკს ადებდნენ საქართველოს მტრებს _ აღმოსავლეთის უძლიერეს სულტნებსა და ათაბაგებს.

ლაშქრობიდან მობრუნებულ ქართველებს წინ ამაყად მოუძღოდნენ ხოლმე ძლევამოსილი გორგასლიანი და დავითიანი დროშები.

ფეხზე დამდგარი დედაქალაქი ყიჟინითა და გუგუნით ხვდებოდა საქართველოს დროშებზე გამოხატულ, ყალყზე შემართულ ბაგრატიონთა ლომებს.

დიდი დავითის შემდეგ ბევრჯერ გამდგარა განძა, მაგრამ ქართველებს ყოველთვის დროზე მოუწევიათ აღვირი განძის თავგასული ამირებისა და ათაბაგებისათვის, განძის გაამპარტავნებული მმართველები უკანვე საქართველოს სამეფოს ყმებად მოუქცევიათ და თბილისში აურაცხელი ტყვითა და ალაფით დაბრუნებულან.

პირველი ომიდან შემოქცეული მეფისათვის რომ დედაქალაქში ზეიმით შესვლა ჩაეშალა, მხარგრძელმა განძის ათაბაგისაგან, ლაშას უცნობლად, მიღებული დიდძალი ალაფი უკან ჩამოიტოვა. ლაშქარსმყოფთაგან მხარგრძელის საიდუმლო ცოტამ იცოდა და ხელცარიელი ჯარი დამარცხების განწყობით ბრუნდებოდა. ჩვეულებრივად, არც ჯოგსა და ტყვეებს მოერეკებოდნენ, არც აქლემებზე აკიდებული საქვეყნოდ განთქმული განძის აბრეშუმი მოჰქონდათ.

შესახვედრად შორს გამოსული მოსახლეობა გაოცებული შეჰყურებდა თავჩაღუნულსა და მოწყენილ მეფეს, განრისხებულსა და შუბლშეკრულ სარდლებს.

ჩვეულებრივ თამაშ-თამაშით როდი მოჰყავდათ დარახტული მერნები. გრძელი გზით დაღლილი ცხენებისათვის ნებაზე მიეშვათ სადავეები და მუდამ მაღლა აწეული შუბებიც კი თითქო ოდნავ დაეხარათ.

ბავშვებს მაინც თვალს ჭრიდა ცხენთა კაზმულობა, მუზარადებისა და ფარ-შუბების ლაპლაპი და თეთრი მეწამული დროშების მაღლა ფრიალი. ყვავილებს ესროდნენ, ცხენებს ხელით ეხებოდნენ, ნაცნობებს უღიმოდნენ და შორიდან ესალმებოდნენ.

გზის ორივ მხარეს ამართული ხალხის ცოცხალ კედლებს შორის უხმოდ მოდიოდა ლაშქარი. ადრინდებურად ოქროსა და ვერცხლს არ ისროდნენ მარჯვნივ და მარცხნივ ქართველთა მეფე და ამირსპასალარი.

ხალხიც გულგრილად ატარებდა თავის წინ ომიდან უხალისოდ დაბრუნებულ მხედრობას, არც სასიხარულო შეძახილები ისმოდა, არც ტაში და ვაშა გუგუნებდა.

_ გაუმარჯოს ქართველთა ძლევამოსილ მეფეს, ვაშაა! _ დაიძახა რომელიღაც სარდალმა და მაშინვე რაზმიდან რაზმში დაირხა, ერთიმეორეს მიმყოლი ტალღებივით გადავიდა ვაჟკაცური ვაშას ძახილი.

ხალხმა არ აიტაცა ეს ვაშა და თავისი მძლავრი ხმა არ შეუერთა მხედრობის გუგუნს.

ლაშამ თავი აიღო, მეტიჩარა სარდალს მრისხანედ შეხედა. სარდალმა ცხენი შეაყენა, მეფის ამალას ჩამორჩა და თავჩაღუნული მწყობრს შეერია.

ჩუმად, სირცხვილეული დაბრუნდა ქართველთა მეფე პირველი ომიდან. სასახლეში შესვლისთანავე პირს ცეცხლი ეცა _ მხატვრებს უკვე მოესწროთ ახლად მოშენებული პალატების დიდი კედლის მოხატვა: თეთრ ცხენზე ამხედრებულ ლაშას ერთ მხარეს მხარგრძელი ედგა, მეორეს _ შალვა ახალციხელი, უკან მებრძოლთა უთვალავი მხიარული სახეები, დროშებისა და შუბების ტყე მოდგომოდა. მეფის ცხენს ფერხთ ჩავარდნოდა პატიების მთხოვნელი განძის ათაბაგი. ათაბაგის უკან განძელი დიდებულები იდგნენ მეფისათვის მორთმეული ციხე-ქალაქის ვეებერთელა კლიტეებით, თვალ-მარგალიტებით, სტავრა-აბრეშუმისა და ნოხების გორებით.

მეფემ მხარგრძელის გამოხედვაში რაღაც დამცინავი დაიჭირა, მუხლზე დაჩოქილ განძის ათაბაგში მხარგრძელის ცხენქვეშ ჩავარდნილი საკუთარი თავი დაინახა და სახე სირცხვილისა და ბრაზისაგან აელეწა.

_ მოშალეთ! თვალით აღარ დამანახოთ! _ განწირულად შეჰყვირა და იქაურობას გაეცალა.

ქალაქში ამდენი მიმსვლელ-მომსვლელის ცქერას ვეღარ გაუძლო, ცხენზე შეჯდა და მეფეთა საზაფხულო სამყოფელის _ ტაბახმელისკენ გასწია.

ლაშას ძლიერ უყვარდა თბილისის ზემოთ, ქალაქის ირგვლივ ასე ახლო გამართული აგარები. ქოჩორა ტყეებიდან დაძრულმა კოჯრის ნიავმა შუბლი გაუგრილა მეფეს და თითქოს სევდაც უკუუყარა.

ტაბახმელის სამეფო სადგომში იყო დაბადებული ლაშა. დიდი თამარი გამუდმებით აშენებდა და ამშვენიერებდა თავის საზაფხულო სამყოფელს, შორიდან გამოჰყავდა ცივი წყაროები და ხილის ბაღებსა და სავარდოებს აფართოებდა. ორივე უფლისწული უმთავრესად აქ, ტაბახმელის ბაღებსა და მინდვრებში იზრდებოდა. ქალაქში რომ საშინლად ცხელოდა, ტაბახმელაში ამოდ გრილოდა ხოლმე და ლაშას ჭაბუკობაშიც გული მუდამ აქეთ მოუწევდა.

მარტო შევიდა იგი იმ ნათელ პალატში, სადაც პირველად თვალი გაახილა. უნდოდა ჩაკეტილიყო და განმარტოებით განესვენა.

დარბაზი მთლად ძოწისფრად იყო შეღებილი, კედლებით მოყოლებული და იატაკითა და ჭერით გათავებული. წითელი ფერი იმას ნიშნავდა, რომ ძოწისფერ დარბაზში დაბადებულები მეფეთა შთამომავლები იყვნენ, შემდეგში ხელმწიფეები უნდა გამხდარიყვნენ და სამეფო ძოწეული უნდა ეტარებინათ.

ფართო ტახტზე რბილად წამოწვა მეფე. მოპირდაპირე კედელს მიაპყრო თვალი. კედელზე ლაშას დაბადების ზეიმი იყო დახატული.

მხატვარს საქართველოს სამეფოს უსაზღვრო სიხარული გადმოეცა, ტახტის მემკვიდრის დაბადებით გამოწვეული. თამარის სახისათვის ღვთისმშობლის სათნოება და ჰაეროვნება მიეცა და პატარა უფლისწული ონავარი ამურისათვის დაემგვანებინა.

მეორე კედელზე არზრუმის აღების სცენა დაეხატათ: თორმეტი წლის ტახტის მემკვიდრე ნამდვილი მხედარივით აღჭურვილი იდგა, ფეხქვეშ არზრუმის სულტანი ჩავარდნოდა და ციხისთავს არზრუმის კლიტეები მოერთმია ამაყი უფლისწულისათვის. მემკვიდრის გვერდით გაღიმებული სოსლანი იდგა, ხოლო უკან სიხარულითა და მომავლის რწმენით სახეგაბრწყინებული მთელი ქართველი მხედრობა.

_ ვაგლახ, რომ ვერ გავუმართლე! _ აღმოხდა ლაშას და თვალზე ცრემლი მოერია.

ნუთუ არზრუმის კლიტეების მიღება იყო ლაშას პირველი და უკანასკნელი გმირობა?! მაშინ ხომ ბავშვი იყო იგი და არაფერი ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ესოდენ მცირე ყრმას ომში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და ისე, სათამაშოსავით ჩამოართვა არზრუმის ციხისთავს კლიტეები.

ახლა, როცა ტახტისა და სკიპტრის მფლობელი გახდა, როცა ჯანითა და ღონით სავსეა და საგმირო საქმეებისაკენ მიუწევს გული, იგი ისევ იმ ბალღად თუ ტიკინად რჩება, რომელსაც უნდათ გადასცემენ გამარჯვებას, უნდათ ხელიდან გამოაცლიან.

იგი ისევ ბავშვად უნდათ იყოლიონ, სამეფოს ნებიერ ბავშვად, რომელსაც თამაშსა და დროსტარებას არ უშლიან, მაგრამ არც ჭკუას ჰკითხავენ, არც არაფერს უჯერებენ.

_ რათა? რას მერჩიან? როდემდის უნდა ვიყო ასე? _ აღმოხდა ლაშას, ბალღივით აქვითინდა და ბალიშში ჩარგო თავი.

ლაშა გრძნობდა, რომ ასაკითაც და გონებითაც მომწიფებული იყო, დამოუკიდებლად შეეძლო ქვეყნის მართვა და ლაშქრის გაძღოლა, მაგრამ დიდგვაროვანი დიდებულები ვერ ხედავდნენ მის ჰასაკსრულობასა და კვლავინდებურად ყრმასავით ექცეოდნენ. არა, ხედავდნენ, მაგრამ არ უნდოდათ დაენახათ, არ სურდათ ეცნოთ იგი ქვეყნის მეთაურად და სახელმწიფოს მესაჭედ. და განა მარტო მხარგრძელს, საქართველოს დანარჩენ დიდებულებსაც არაფრად მოსწონდათ მეფის ძალისა და თაოსნობის გამოჩენა. აკი დაამტკიცეს კიდევაც განძაში, როცა ბრძოლიდან გამარჯვებით შემოქცეულ მეფეს განუდგნენ და ერთხმად დაემუქრნენ, არღა თავს ვიდებთ შენს მეფობასო.

მერედა ისეთი რა ჩაიდინა ჭაბუკმა მეფემ, რომ ქართველთა ლაშქრისათვის ეგრე უჩვეულო და მომაყივნებელი ყოფილიყო?! მცირე რაზმით განძის ციხეს შემოუარა, მისდა უნებურად, განძელებმა ბრძოლა გაუმართეს და იმ ბრძოლაში მეფემ სახელოვნად გაიმარჯვა: უკუქცეულ მტერს ციხემდის სდია და ცოტაღა აკლდა, ციხე-სიმაგრეშიაც არ შეუვარდა, განძის დამცველებს ზარი დასცა, უამრავი მოსრა და ურიცხვი ტყვედ წამოასხა.

განა მეფის მამხილებელ ამირსპასალარ ივანეს უარესი არ მოსვლია? მერე რა ძვირად დაუჯდა მაშინ საქართველოს ივანეს დახსნა ხლათის მელიქის ტყვეობისაგან! რამდენი ტყვე დაუბრუნეს და რამდენი ფული გადაუხადეს ხლათის მბრძანებელს.

ალბათ, კარგად ახსოვს ივანეს არცთუ ისე დიდი ხნის ამბავი. სახელმწიფოს ზიანი რომ დავიწყნოდა, საკუთარი შვილი არ დაავიწყდებოდა _ მამის გამოსახსნელად გაყიდული თამთა! ახსოვს, მაგრამ როდი სურს გაიხსენოს და მეფის თაოსნობის ამ პატარა შემთხვევას განგებ ბერავს და აზვიადებს, თითქო ლაშას თავისი თავნებობით ქვეყანა შეერცხვინოს განძაში, საქართველოს სიძლიერისა და ქართველთა მხედრობის უძლეველობისათვის სახელი გაეტეხოს!

მერე რად სჩადის ამას ათაბაგი? მხოლოდ იმიტომ, რომ მეფეს გაუტეხოს სახელი, თავნება და თავქარიან ყრმად წარმოუდგინოს მთელ ქვეყანას, რათა შემდეგშიაც მის დაუკითხავად მართოს სახელმწიფოს საქმეები.

საქართველოს დანარჩენ დიდებულებსაც ეგ უნდათ, მეფის ხელისუფლების გაძლიერება არც მათ მოსწონთ და ისევ თვითნებური პარპაშისა და მოსაჩვენარი ერთიანობის შენარჩუნება ურჩევნიათ.

განა ცოტა სიმწარე აწვნიეს დიდ თამარს ქართველმა დიდებულებმა ტახტზე ასვლის პირველი დღიდანვე? რამდენჯერ განუდგნენ და მოახვიეს თავს დიდებულ მეფეს სახელმწიფოს ძლიერებისათვის მავნე და საზიანო ღონისძიება! სიმდიდრითა და ხელისუფლებით გაამაყებულმა ყუთლუ არსლანმა ირანში კარვის დადგმაც კი მოითხოვა. ყუთლუ არსლანს რომ წადილისათვის მიეღწია, თამარს ისღა რჩებოდა, ამ კარვის გადაწყვეტილებანი ემტკიცებინა და ზედ ბეჭედი დაესვა.

არ ინება თამარმა სამეფო ხელისუფლების ესოდენ დამცირება. პატიმარჰყო კიდევაც ყუთლუ არსლანი, მაგრამ თავგასული მეჭურჭლეთუხუცესის თანამოაზრეებმა მეფეს ტუსაღი გააშვებინეს და ხელმწიფის უფლების ერთგვარ შეზღუდვას მაინც მიაღწიეს.

ასე დაიწყო თამარის მეფობა. ამ უბრძენესი მეფისა და ულამაზესი ქალის მმართველობის ბრწყინვალეებას შემდეგშიაც არა ერთხელ გადაჰფარებია ქართველ დიდებულთა ღალატისა და განდგომის შავი ღრუბელი. მაგრამ თამარი გონების სიღრმითა და პირადი მომხიბვლელობის ძალით აბამდა მუდამ აწყვეტილ ან ასაწყვეტად გამზადებულ მთავრებსა და ერისთავთ-ერისთავებს.

ძლიერსა და შემმართებელ მეფეს, თამარის მამას გიორგისაც ბევრჯერ აწყევლინეს თავბედი ქართველმა დიდებულებმა, გამუდმებული ღალატითა და შეთქმულებით, გაუთავებელი გამცემობითა და დაუოკებელი თავნებობით.

დემეტრეს ხანმოკლე მეფობაც დიდებულთა მტრობითა და აშლილობით იყო ამღვრეული.

ხოლო დავით აღმაშენებლის მთელი სიცოცხლე ერისთავთა მოთოკვასა და კალაპოტში ჩაგდებას შეეწირა. ბოლოს მაინც შეძლო დიდმა დავითმა მიზნის მიღწევა. დიდ-დიდ მთავრებს ლაგამი ამოსდო, უძლიერესნი თავიდან მოიცილა, უფრო სუსტნი დააჩოქა.

უზომოდ განდიდებულსა და აღზევებულ ქართველ დიდებულებს ახლაც არ სურთ მეფის ხელისუფლების მორჩილება. ძალისა და უფლებისაკენ მეფის კანონიერი სწრაფვა რომ შენიშნეს, სადავე მოსწიეს და გასაშლელად გამზადებული ფრთები შეაკვეცეს.

მეფე არ ურიგდებოდა დიდებულთა თავნებობას. ქვეყნის მომავალი ძლიერების პირველ პირობად მათი ამ უფლების შეზღუდვა და ტახტისადმი დამორჩილება ჩათვალა. ამ მიზნით, სამტროდ გამდგართა უცნობლად, ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა დიდი ლაშქარი მოიწვია.

და როცა მეფე ასე ახლო იყო განზრახულის განხორციელებასთან, სწორედ მაშინ შეემთხვა ის უბედური ხიფათი _ სიკვდილს გადარჩენილი ლოგინად ჩავარდა და დიდებულებმა მათ შესამუსრად აღმართული ლახვარი უსისხლოდ გამოაცალეს ხელიდან. გამოაცალეს და უგუნურებმა საქართველოს ფარულ მტერს, განძის თავგასულ ათაბაგს გადასცეს.

იმის მაგივრად, რომ ყივჩაღთა ლაშქრით საქართველოს მეფეს ქვეყნის გარეშე და შინაური მტრები ემუსრა, ლაშა იძულებული გახადეს, სწორედ ამ ყივჩაღებთან ომში ჩაბმულიყო, სახელმწიფოსათვის მათ მიერვე გამზადებული განსაცდელი ისევ მეფეს გადააბრალეს, განძაში მომხდარი შემთხვევა უზომოდ გაბერეს და გააზვიადეს.

მეფის ერთადერთი ძლიერი და გონიერი თანამდგომელი _ შალვა ახალციხელი დაჭრილი იწვა სასნეულოში; თურმან თორელსა და ბიბლა გურკელს, ბექა ჯაყელსა და მემნი ბოცოსძეს არც ძალა ჰქონდათ და არც გავლენა.

ყივჩაღთა ლაშქრის გადმოსვლის ჩაშლის შემდეგ მეფე ვეღარ ხედავდა სხვა ახალ გზას, ახალ საშუალებას, რომლითაც თავზე დამსხდარ დიდებულებს მოთოკავდა ან სრულიად მოიცილებდა თავიდან.

იგი დაბნეული იყო, მარტოობისა და უმწეობის განცდამ მეფეს სასო წარუღო, კვლავ საკუთარი უღონობის შეგნება დაეუფლა.

უცებ ნაცნობი ტკბილი ხმა ჩაესმა:

წარმავალია ნათელი, სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება,
ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე ბალახი აბიბინდება...

სიმღერა სულ ახლო ისმოდა. უცებ კარი გაიღო და ზღურბლზე თურმან თორელი, ბექა ჯაყელი, ბიბლა გურკელი და მემნი ბოცოსძე აღიმართნენ. თორელს ხელთ ებანი ეპყრა, დანარჩენებს ყანწები და წვადწამოგებული შამფურები დროშებივით მაღლა აღემართნათ და აღაჟღაჟებული სახეები უდარდელად უცინოდათ.

_ მეფეს გაუმარჯოს!

_ მეფემ იდღეგრძელოს!

შესძახეს შეზარხოშებულმა ჭაბუკებმა და მეფის საწოლში შემოცვივდნენ. სატირლად გამზადებულ ლაშას გუნება უცებ გადაეწმინდა. მეგობრების დანახვამ სიხარულის ღიმილი მოჰგვარა. მოწოდებული ყანწი უსიტყვოდ გადაჰკრა, ჰაერში ააგდო და ფეხზე წამოიჭრა.

და ისევ დროსტარებასა და უზომო ქეიფს მიჰყვა დიდებულთაგან დამცირებული და შეურაცხყოფილი, საკუთარი უღონობით გულგატეხილი ჭაბუკი მეფე.

ქალაქში და ქალაქგარეთ, მინდორში და ტივზე, ტყეთა ჩრდილში ჟინჟღილების შუქზე, დღისით და ღამით გაბმით ქეიფობდა მეფე თანატოლებთან.

სასახლეში ლამაზი ქალები და მოქეიფე ჭაბუკები გამრავლდნენ. მეფე ან სუფრასთან იჯდა თავის თანამეინახეებთან ან ლამაზებთან ნებივრობდა.

მხარგრძელსა და სხვა დიდგვაროვან დიდებულებს ფხიზელსა და მომთხოვნ მეფეს მემთვრალე და უზრუნველი ჭაბუკი ერჩიათ, ქეიფსა და დროსტარებას არ უშლიდნენ და სახელმწიფოს ისევ თავიანთ ნება-სურვილზე მართავდნენ.

@თავი მეცამეტე. საშინელი აჩრდილი

ზოგთ ბაგრატიონთ ასე სჭირთ,
არ ახსოვთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო,
ბოლოს არ გიგდონ ყურია...

ი. თბილელი

სასნეულოდან გამოსული მიგრიაულის დანახვამ ლაშა შეჰზარა: მარჯვენა თვალის ადგილზე რაღაც ცარიელი ორმო აჩნდა ლუხუმს. შუბლისა და ლოყის დასაწყისთან, ამ ორმოს თავსა და ბოლოს ირიბი ნახმლევი სფეროში გაყრილი ღერძის თავსა და ბოლოსავით აღბეჭდვოდა.

ეს საოცარი სფერო თუ სიღრმე ფერფლწაყრილი ნაკვერცხალივით თეთრწითლად ანათებდა და ვაჟკაცის ისედაც მკაცრსა და კუშტ შეხედულებას რაღაც იდუმალსა და საშინელ იერს აძლევდა.

მეფემ ნაძალადევად გაუღიმა მისი გადარჩენისათვის ასე დასახიჩრებულ და დაგონჯებულ მიგრიაულს. ტკბილი სიტყვის თქმა სურდა, მაგრამ ენა ჩაუვარდა, უნებური სიცივე მოერია და თვალამოცლილ ფოსოს ქაჯურ ცქერას თვალი ვერ გაუსწორა.

* * *

ზაფხული იყო.

სამეფო კარი კოლას იდგა. მეფე კოლას გაუვალ ტყეებში ნადირობდა და ყმადნაფიცი ქვეყნების მთავართა მიღებითა და ხარკის მითვლით იყო გართული.

ჯერ ხლათის მელიქისაგან მოუვიდა მეფეს ხარკი და მდიდარი ძღვენი. შემდეგ არზრუმის მბრძანებელი სელჩუკიანი ტოღრულ შაჰი ეახლა.

ერთ დროს უძლეველი თურქი სულტნების შთამომავლის, აწ ქართველთა ყმადნაფიცის, მაჰმადიანი ტოღრულ შაჰის დროშის თავს ჯვარი ამშვენებდა, ხოლო თავათ ყილიჯ არსლანის ვაჟს ტანთ საქართველოს მეფეთ მეფის ნაწყალობევი ხალათი ეცვა.

რაკი ტოღრულ შაჰის მრავალმა ცდამ მის სამფლობელოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა ვერ დაუბრუნა, ახლა ტოღრული სრული მორჩილების გზას დადგომოდა და ძლიერი საქართველოს სამეფო კართან კეთილი განწყობილებით სურდა თავისი ტახტის შენარჩუნება და ქვეყნის მტერთაგან დაცვა.

არზრუმის სულტანს თამარის ასულსა და ლაშა გიორგის დის სილამაზეზე ბევრი სმენოდა, მისი სურათიც ენახა და ახლა საკუთარი თვალით სურდა ჯერ კიდევ უასაკო რუსუდანის ნახვა.

ტოღრულ შაჰს საცოლო ვაჟი ჰყავდა _ მოღასედინი და არზრუმის მფლობელი საქართველოს სამეფო კართან დამოყვრებას ოცნებობდა.

მეფე რომ ტოღრულ შაჰის მასპინძლობას მორჩა და მოხარკე გაისტუმრა, კოლას ფარულად ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი კომნენი ეწვია მცირე ამალით.

მეფე გზად გაეგება ბერძენ იმპერატორს, გადაეხვია და ძმურად მოიკითხა.

კომნენმა მეფის ამალას ჩამოუარა, ყველას შინაურულად მიესალმა და ხელი ჩამოართვა.

უცებ ლუხუმს წაადგა. მის შეხედვაზე შეკრთა და უამურად გააჟრჟოლა. წამსვე შებრუნდა, ცხენზე შეჯდა და ლაშას მხარდამხარ მეფის სამყოფელისაკენ გასწია.

კომნენი გარეგნულ ბრწყინვალებას არ თმობდა, თორემ ის კომნენი აღარ იყო, ლაშას მეფობის პირველ წელს რომ იმოგზაურა საქართველოში.

ძველი დიდების აღდგენისა და თურქთა მოხარკეობისაგან გათავისუფლების ერთადერთ იმედს კომნენი საქართველოს მეფის დახმარებაზეღა ამყარებდა. ფარულად ელჩებსა და ძვირფას ძღვენს უგზავნიდა ხოლმე ლაშას და ახლა თავადაც საიდუმლოდ ეახლა, რომ თავისი გვირგვინოსანი ნათესავისა და მეგობრისათვის შველა და შეწევნა ეთხოვა.

სინოპის მარცხის შემდეგ ალექსის დიდი გული აღარ უნდა ჰქონოდა, მაგრამ კომნენი ჩვეულ ქედმაღლობას მაინც არ იშლიდა და თავი ისე ეჭირა, თითქო ქეიქაუსის მოხარკე კი არა, კონსტანტინეპოლის ტახტზე მჯდომელი ყოფილიყოს.

ლაშას, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა კომნენის უკუდო ამპარტავნობა და დამცინავი ღიმილით შეჰყურებდა თურქთა უღელში თავგაყოფილი იმპერატორის უღონო ფაფხურს.

პურობაზე ისევ შეხვდა მეფის უკან ფეხზე მდგარ ლუხუმს კომნენი, ისევ ცივმა ჟრუანტელმა დაუარა საშინლად დასახიჩრებული ვაჟკაცის დანახვაზე და იმპერატორს ჭამის მადა დაეკარგა.

თავჩაღუნული ჭამდა და სვამდა ბერძენთა მეფე, კვლავ ლაშას მცველს არ შევხედოო, მეფის უკან გახედვისა ეშინოდა, მონუსხულივით იჯდა და თავს ძალას ატანდა, რომ მხიარულ მეფეს აჰყოლოდა და უგუნებობა არ შეენიშნათ.

მეფემ ლუხუმი მოიხმო, ჩუმად ყურში რაღაც უჩურჩულა და მიგრიაული მაშინვე დარბაზიდან გავიდა.

_ ეს საფრთხობელა სად იშოვე, მეფევ? _ ღიმილით უთხრა კომნენმა და პასუხს არ დაუცადა, თვითონვე დაუმატა: _ ღმერთო, რა მახინჯია! როგორ უცქერი ყოველდღე?!

_ ეგ ის მცველია, შენ რომ ტახისაგან სიკვდილს გადაგარჩინა და ფორუმზე ძეგლის დადგმას ჰპირდებოდი, _ დამცინავად მიუგო მეფემ.

_ ღმერთო, ნუთუ ის არის? აკი მეცნაურა, მაგრამ ასეთი რა დამართნია, რომ კაცს აღარა ჰგავს! _ შეიცხადა კომნენმა.

_ ორგზის მე მიხსნა სიკვდილისაგან უბედურმა, ჩემი მოსახვედრი მაგან მოიხვედრა და მტრის ხმლით სახე დაეჩეხა. მე ცოცხალი გადამარჩინა და თავად აგრე დაგონჯდა.

_ ერთგულებისთვის ჯილდო იცოდით ქართველთა მეფეებმა. ალბათ, ძალიან გებრალება, რომ თავიდან ვერ მოიშორე. პურის ჭამაზე მაინც როგორ იტან მაგის ყურებას! გულს მირევდა მისი გამოხედვა და შენი დიდი კრძალვა რომ არ მქონოდა, მე თვითონ გავიქცეოდი სუფრიდან ამდენ ხანს.

მეფე დუმდა და სახე მოღუშვოდა. ეტყობოდა, არ მოსწონდა კომნენის ესოდენი კადნიერება, მაგრამ რაკი იმპერატორი მის გულისპასუხსაც ამბობდა, საწინააღმდეგო ვეღარაფერი ეთქვა.

_ ქართველთა მოდგმა სილამაზით მთელ ქვეყანაზეა განთქმული, მაგრამ მე რომ ქართველებს არ ვიცნობდე, შენი მცველის მნახველი სხვა შეხედულებისა ვიქნებოდი, _ სიცილით თქვა კომნენმა და ღვინო მოსვა.

_ რას ჩაფიქრებულხარ, მეფევ? _ ენამზეობდა ისევ კომნენი. _ ნუთუ აგრე გაგიჭირდა ერთი ნამსახური ყმის თავიდან მოშორება. იცოდე, უსაშველო ქვეყნად არაფერია, ყველა სიმაგრეს შემოევლება და ყველა ციხეს ხვრელი აქვს. ყველაზე დიდი საფიქრალი კაცმა თურმე დამშვიდებით უნდა იფიქრო და ყველაზე ძნელი საზრუნველი უნდა გაიიოლო. ნეტარი შენი ბიძა და პაპაჩემი _ დიდი ანდრონიკე კომნენი, არათუ ესოდენ უმნიშვნელო საზრუნავით იფუჭებდა გუნებას, უდიდეს გაჭირვებასაც არხეინად ხვდებოდა და განსაცდელს დროსტარებად აქცევდა. როცა მანოელ იმპერატორმა კონსტანტინეპოლის სასახლის ერთ-ერთ ციხე-კოშკში შეაგდო ბორკილგაყრილი ანდრონიკე, დიდებულმა პაპაჩემმა სასოება კი არ წარიწირა, დატუსაღების დღიდან იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გაქცეულიყო ციხიდან. ერთ მშვენიერ დღეს

პატიმარმა შენიშნა, რომ მისი სამყოფელი კოშკის ქვეშ წყალსადენის ძველი, უკვე გაუქმებული მილი გადიოდა. გამჭრიახმა და გაბედულმა პაპამ იატაკი ამოთხარა, წყლის მილში ჩაძვრა, რომ არავის შეემჩნია, დიდი წვალებით ქვის დაფები ისევ ძველებურად დააფარა ხვრელს და დაიმალა. შუაღამისას გუშაგებმა შენიშნეს, რომ ტუსაღი აღარ ჩანდა და ელდა ეცათ, ანდრონიკეს საკანი გადაატრიალეს, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დახვდათ, ესოდენ გასაფრთხილებელი პატიმრის გარდა. ტუსაღის აგრე წყალწმიდად გაქრობამ უაღრესად შეაშფოთა ციხისთავი. იცოდნენ, დაუსჯელად არ ჩაუვლიდათ ეს დანაშაული, მაგრამ მაინც მაშინვე მანოელს აცნობეს მომხდარი ამბავი. მთელს იმპერიაში ძიება გამოცხადდა. ნავსადგურები დახურეს და ხომალდებს აღარ უშვებდნენ გაუჩხრეკავად, გზები და გასასვლელები შეჰკრეს და მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენეს „გაქცეული ტყვის“ შესაპყრობად.

„ლტოლვილის“ ამდენ მძებნელს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ტუსაღი არსადაც არ წასულა და ისევ მათ ხელთ იყო. სხვას რომ ვერაფერს გახდნენ, დაკარგულის ახლობლების ჩხრეკა და დაკავება დაიწყეს. პირველად ყოვლისა, ანდრონიკეს თანამეცხედრეზე მიიტანეს ეჭვი, რომ იგი იქნებოდა ქმრის გაქცევის მონაწილე. იმავ დღეს დააპატიმრეს და იმ საკანში დაამწყვდიეს, სადაც ანდრონიკე ჰყავდათ დატუსაღებული.

იმ დღეს გარეთ ამდენი ალიაქოთი რომ იყო, ანდრონიკე არხეინად იჯდა თავის ჯურღმულში. როცა კარგად დაღამდა, ისევ მაღლა ამოძვრა და თავის ცოლს გამოეცხადა. შეშინებულ ცოლს მოჩვენება ეგონა, მაგრამ პაპაჩემმა მაშინვე დაუმტკიცა, თუ რა უხორცო აჩრდილიც იყო. ამის შედეგი ის გახლდათ, რომ ცხრა თვის თავზე ანდრონიკეს თანამეცხედრეს ბიძაჩემი იოანე შეეძინა.

მიუხედავად იმისა, რომ ფათერაკებით სავსე ანდრონიკეს თავგადასავალი ყველა იქ მყოფმა იცოდა, მაინც ყურადღებით მოისმინეს დიდი იმპერატორის შვილიშვილის ნაამბობი და გულიანადაც იცინეს.

მეფემ თავს ძალა დაატანა, რომ ენაზე მომდგარი სათქმელი არ ეთქვა _ შენ თუ იჩენდი შენი პაპის მსგავსად სიმშვიდეს, სინოპის წინ რომ ეკიდე თავდაღმაო. ისედაც დამცირებული ბერძენთა ბაქია იმპერატორი შეებრალა, ერთი დამცინავად გადახედა და სასმისი სასმისზე მიუჯახუნა, რომ სტუმარს მოტოვებული ღვინო ბოლომდე დაელია.

იმ დღიდან თბილისში დაბრუნებული მეფისათვის ლუხუმი წამებად იქცა. მის ყოველ დანახვაზე ლაშას კომნენის სიტყვები ახსენდებოდა, ტანში აჟრიალებდა, გუნება ეწამლებოდა და თვალთ უბნელდებოდა.

სილამაზისა და მშვენიერების მოყვარულ ლაშას ეს შემზარავი დაგონჯებული ვაჟკაცი ჩრდილივით სულ თან დასდევდა და სულსა და გულს უმღვრევდა.

ლაშა ყოველნაირად ცდილობდა ამ საშინელი აჩრდილის მოშორებას. ხან გაეპარებოდა ხოლმე, ხან რამეს დაავალებდა, რომ თავიდან მოეცილებინა, მაგრამ ერთგული მეფისმცველი დავალებას სწრაფად ასრულებდა და თვალსა და ხელს შუა გამქრალ მეფეს ხელადვე პოულობდა.

ვერ იქნა და ვერ მიეჩვია მეფე ლუხუმის სიმახინჯეს. ცდილობდა, თავის თავისთვის ჩაეგონებინა ამ ვაჟკაცისადმი სიბრალული იმის გამო, რომ ეს თვალი და კინაღამ სიცოცხლეც მიგრიაულმა ლაშას შესწირა. მეფის გონება ლუხუმს ერთგულ, თავგანწირულ მოყმედ სახავდა, გული და თვალი კი თანდათან უფრო უფრთხოდა და მის სიახლოვეს ვერ იტანდა.

ბოლოს ეს გრძნობა ლაშას ლუხუმისადმი აუხსნელ შიშად ექცა და ხშირად მთელ დღეს საწოლიდან გამოუსვლელობას არჩევდა კართან მდგარი მცველის დანახვას.

იტანჯებოდა მეფე ლუხუმის სიახლოვით. ეუხერხულებოდა, ვისმესთვის გაემხილა და ვერც მიზეზი რამ ეპოვნა ერთგულად ნამსახური მცველის თავიდან მოსაშორებლად.

კარისკაცები და შიმუნვარებიც პირს არიდებდნენ დუხჭირ შესახედავსა და საშინლად დაგონჯებულ მეფის მცველს, მასთან შეხვედრას გაურბოდნენ და აუცილებელ საქმეზე თავდახრილი ელაპარაკებოდნენ, რომ პირდაპირ სახეში არ შეეხედნათ.

გაუძნელდა მეფეს ლუხუმის სიახლოვე. გაუჭირდა ლუხუმსაც ამდენ ხანს ლილესა და სახლ-კარისაგან შორს ყოფნა და კრძალვით შეჰბედა მეფეს:

_ რაც დავიჭერი, ცოლი და დედა არ მინახავს, მეფე- ბატონი თუ ნებას დამრთავს, რამდენიმე დღით სახლ-კარს მოვინახულებ.

მეფემ გაიხარა, რომ ასე კარგი შემთხვევა ეძლეოდა საშინელი აჩრდილის თავიდან მოსაშორებლად.

_ რამდენიმე დღე კი არა, თუ გინდა, რამდენიმე თვით წადი, ნაჭრილობევი ხარ, დაისვენე და ოჯახსაც მიჰხედე! _ უთხრა ლუხუმისაგან სახეშექცეულმა ლაშამ.

მადლიერი მიგრიაული სიხარულით დაეთხოვა მეფეს.

* * *

ქეთევანის სახლის წინ ცხენოსანი შეჩერდა. ძაღლმა ერთი შეჰყეფა და მერე წკმუტუნით და კუდის ქნევით გაიქცა ჭიშკრისკენ.

თონეზე გადაყუდებული ქეთევანი წელში გაიმართა, ჭიშკრისკენ მოტრიალდა და ცხენოსანს გაოცებით შეხედა. ერთი შეხედვით უცხოდ მოეჩვენა თავპირგაჩეხილი, ცალთვალა ცხენოსანი.

ცხენოსანმა ქეთევანისკენ იბრუნა პირი.

_ მგონი, ვერ მიცანი, დედილო! _ ალალად გაუღიმა ცხენოსანმა და ჭიშკართან დაქვეითდა, ქეთევანს უცებ თვალიდან ცრემლი მოსწყდა და მაშინვე თავსაფრის ყურით მოიწმინდა.

_ ლუხუმ, შვილო! _ სიხარულით თუ შეშფოთებით შესძახა ქეთევანმა და გულამოვარდნილი გაიქცა შვილისკენ.

დედამ ერთი კი შეავლო ლუხუმის ნახმლევს თვალი, შეტოკდა, მაგრამ არ შეიმჩნია, შვილს მოეხვია, ჩაჰკოცნა და გულში ჩაიკრა.

_ მოდი, შვილო, მოდი, დედა გენაცვალოს! ძლივს ვეღირსე შენს ნახვას... მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი გადამირჩი... დღეს დილიდან ჩიტი დამძახოდა და აკი ამიხდა! _ ლაპარაკობდა ქეთევანი და თვითონაც არ იცოდა, რად ევსებოდა თვალი ცრემლებით _ ნანატრი შვილის ნახვით თუ დასახიჩრებულის ცქერითა და სიბრალულით.

_ როგორ ხარ, დედი, ხომ კარგად?! _ მოიკითხა ლუხუმმა და თვალი ეზო-გარემოს მოავლო.

_ კარგად, შვილო, ჩვენ რა გვიშავს, ოღონდ შენმა ჯავრმა გადამიყოლა მეცა და ის საწყალი შენი ქალიც.

ლუხუმი სახლის წინ პატარა სამფეხა სკამზე ჩამოჯდა, სახლს ახედა, თვალი ისევ გარემოს მოავლო და ხმადაბლა იკითხა:

_ ლილე სად არი, დედი?

_ ლილე, შვილო? ახლავე! მეზობლებში გადავიდოდა, _ აფუსფუსდა დედა.

_ თანდო! _ გასძახა ქეთევანმა.

თონესთან ლოყებაწითლებული, ფეხშიშველა ბიჭი იდგა. პატარა ბიჭი ქეთევანის დაძახილზე შეკრთა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

_ თანდო, შვილო, მოდი, ლუხუმს ეჩვენე... _ მოიწვია ქეთევანმა ბალღი და თან შვილს გადაულაპარაკა, _ ჩვენებიანთ ლევანას ობოლია, კაი ბიჭია, დაუზარელი.

თანდო ადგილიდან არ დაიძრა.

_ მოდი, ბიჭო, რისა გრცხვენია? _ წაათამამა ქეთევანმა, მაგრამ ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა, შეშინებული დედაშვილს თვალს არიდებდა და, ეტყობოდა, მოძალებული ცრემლის შემაგრებას ცდილობდა.

_ თანდოს გაუმარჯოს! _ წამოდგა ლუხუმი და ბიჭისკენ ღიმილით წავიდა. _ რაკი შენ არ მკადრულობ, მე თავად უნდა გეახლო და გაგეცნო... _ ხუმრობდა ლუხუმი და თანდოს უახლოვდებოდა.

თანდო წამით შემოტრიალდა და მისკენ მომავალ ლუხუმს რომ შეხედა, შიშით გულგახეთქილმა შეჰბღავლა:

_ არა, არ მინდა... _ ამდენ ხანს შეკავებული ცრემლი წასკდა და ღრიალით გაიქცა.

_ მოდი, ბიჭო, რისა გეშინიან? _ მისძახოდა ლუხუმი და ღიმილით აყოლებდა თვალს ეზოდან გავარდნილ თანდოს.

დედა მიხვდა, რისაც შეეშინდა ლევანას ობოლს. ერთი თავისთვის ჩაიგმინა გულდათუთქულმა _ ვაი, შვილო, შენს შემხედავ დედასო... _ და ლილეს გასძახა.

_ დედა, რა ამბავია? _ გადმოსძახა აივნიდან ხმაურზე გამოსულმა ლილემ.

_ შინა ხარ, შვილო? მეზობლებში მეგონე... ლუხუმი მოვიდა, ჩამო! _ შეჰღიმა დაბლიდან ქეთევანმა.

ლილემ ხელსაქნარი გააგდო და მოაჯირიდან გადმოიხედა.

_ გამარჯობა, ლილე! _ შესძახა დაბლიდან ლუხუმმა, ყელი გვერდზე მოიქცია და სიხარულით სახეგაბადრული შეაცქერდა.

ჭროღა საღი თვალი სიხარულით უბრწყინავდა ლუხუმს, მეორე თვალის მაგივრად რაღაც უტყვი, მაგრამ საშინელი, თეთრ-წითლად დანაოჭებული სიღრმე შეჰყურებდა ლილეს.

სახის ცალი მხარე უცინოდა და მღელვარებისაგან უთამაშებდა მიგრიაულს, ხოლო მეორე გაყინულივით ცივად და უძრავად, იდუმალებით სავსე, მაგრამ ამაზრზენი, მიქცეულიყო ლილესაკენ.

ლილეს ორჯერ ჰყავდა ნახული თბილისის სასნეულოში დაჭრილი ლუხუმი. მაშინ თვალი ახვეული ჰქონდა მეფის მცველს და თუმცა ექიმებმა გააფრთხილეს, ცალთვალა დარჩებაო, ცოლს მაინც ვერ წარმოედგინა ქმრის ესოდენ დასახიჩრება და დაგონჯება.

ქალს წამით ჟრუანტელმა დაჰკრა და თმებიდან ფეხის ფრჩხილებამდე სიცივე იგრძნო, კინაღამ სახე იბრუნა, მაგრამ დედის ხვეწნანარევმა ძახილმა გამოარკვია.

_ ჩამო, შვილო, ჩამო... _ დედის ხმაში დამწვარი გულის ძახილი გაიგონა ლილემ. შეეცოდა ქალს უბედური ვაჟკაცი, თავს ძალა დაატანა, სატირლად გამზადებულ სახეზე ღიმი მოიფინა და კიბეზე დაეშვა.

ლუხუმისათვის პირდაპირ აღარ შეუხედია, ისე მიირბინა, მოეხვია და თავი ვაჟკაცის მკერდში ჩამალა.

ეზო მნახველებით გაივსო, მოდიოდნენ მეზობლები, ახლობლები და შორებლები. მეასეჯერ აამბობინებდნენ და უსმენდნენ მეფის მცველს განძის ბრძოლის, ლუხუმისაგან მეფის გადარჩენის, მისი დაჭრისა და მკურნალობის ამბავს.

ერთხელ შემხედავნი სახეში ვეღარ უყურებდნენ, თავდახრით ელაპარაკებოდნენ და უსმენდნენ.

ეზოდან გასულები თავის ქნევითა და ოხვრით მიდიოდნენ და ორღობეებში ხმადაბალი ლაპარაკი ისმოდა.

_ როგორ დაგონჯებულა ბედშავი! აფსუს, რა ვაჟკაცი იყო!

_ ანკი როგორ გადარჩა?!

_ კაცს აღარა ჰგავს და ეგეთ გადარჩენას სიკვდილი არ ერჩივნა?!

_ ვაი, მაგის უბედური დედისა და ცოლის ბრალი!

იტყოდა რომელიმე დედაკაცი და ცხოვრების სიმკაცრეგამოცდილი ბერიკაცი იქვე მოუჭრიდა:

_ თავად იკითხოს უბედურმა, თორემ ლამაზ ქალს ქმრის სიგონჯით თავი როდი დაუჩაგრავს?!

@თავი მეთოთხმეტე. ხარბი სტუმარი

ნუ ისერებ კაცისა თანა მოშურნისა, ნუცა გულიგითქვამს საჭმელსა მისსა, ნუცა მოიყვანებ შენთან მას და შჭამ შენ პურსა მისთანა...

იგავნი

მთელ ღამეს მეფის ამბავს აყოლებდა ლილე ლუხუმს. მის გარეგნობასა და ხასიათზე, ზნესა და წესზე ათასგვარ რასმე ეკითხებოდა.

პირდაპირ კედელზე, ლილეს საწოლთან ეკიდა ლაშას სურათი: პატიოსანი თვლებით მოჭედილ ოქროს ტახტზე იჯდა მეფე. აბრეშუმის თეთრ ყელმოჭრილი პერანგისა და თეთრი ატლასის ახალუხის ზემოთ ლაშას ლაჟვარდი კაბა ემოსა. ენებიან კაბაზე სარტყელი შეხსნილი ჰქონდა. ფერხთ ოქროსწინწკლებიანი მწვანე პაიჭები და წვეტიანი, ქუსლმაღალი მაშიები ეცვა. მხრებზე ოქროს ყვავილებით მოქარგული ფარჩის ღართი ჰქონდა მოსხმული. მარჯვენა ხელს ნიკაპით დაყრდნობოდა, ხოლო მარცხენაში მცირე გრაგნილი ეპყრა.

პატიოსანი თვლებით შემკული ოქროს გვირგვინი და სკიპტრა გვერდით იდო, პატარა ტაბლაზე. მეფის გამოხედვა ძალისა და სიმდიდრის ამ ნიშნებისადმი სრულ გულგრილობასა და განურჩევლობას ამჟღავნებდა, ხოლო ოცნებაში წასული ღრმა, ცისფერი თვალები მეფის სახეს უაღრესად დაფიქრებულსა და ამაღლებულ იერს ანიჭებდნენ.

სურათში ლაშა უფრო ნაზსა და განებივრებულს, სოფლის ამაოებაზე ადრე დაფიქრებულ უფლისწულს ჰგავდა.

იგი ლილესათვის კეთილი ნერგი, ყოველთა ფერთაგან შემკობილი მოზარდი ყვავილი იყო, მშვიდი და განურისხებელი.

ქმარი თითქო იმას მოუთხრობდა ლილეს, რაც მან უკვე იცოდა ლაშარის ხატში მეფის ერთხელ ნახვით და ამ სურათის გამუდმებული ცქერით, მასთან უხმო საუბრითა და ჩუმი სულიერი კავშირით.

_ უბრალო მონა რა არი, იმასაც არ დაჰკრავს ერთ მათრახს. ყოველი კაცის მოყვარულია _ დიდისა და მცირესი. გონებით უმანკო, გაჭირვებულთა განმკითხველი, ბჭე და მოსამართლეა ჩვენი ხელმწიფე, _ მოწიწებით ამბობდა ლუხუმი მეფეზე და ლილეს შინაგანად სწამდა, რომ მეფე სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო.

არ სჯეროდა და მის წარმოდგენას არ ეგუებოდა ლუხუმის ნათქვამი ლაშას ლომგულობასა და ომში მხეცქმნილობაზე, მეფის უებრო ძალოვნებასა და შემმართებლობაზე. ვერ წარმოედგინა ლილეს, რომ ესოდენ ნაზსა და ლმობიერს, მაღალი ფიქრითა და ოცნებით გატაცებულ ჭაბუკ მეფეს კაცის კვლა შესძლებოდა, თუნდაც გაცხარებულ ომში.

ამიტომ ყოველივე ის, რასაც ლუხუმი განვლილ ბრძოლასა და მეფის გმირობაზე უამბობდა, ლილეს გულს არ სწვდებოდა, მის წარმოდგენას არ ავსებდა ლაშაზე და მისი ფიქრისა და გონების გარეშე რჩებოდა, თითქო იმ ადამიანს არც კი ეხებოდა, რომლის ცხოვრების ყოველი წვრილმანი ასე ანდამატივით იზიდავდა ლილეს.

ლუხუმი გლეხურ გულუბრყვილობით და აღტაცებით უამბობდა ლილეს კარის ცხოვრებაზე, მეფის თანამოჰასაკე მეგობრების სიმდიდრესა და ბრწყინვალებაზე, მაგრამ ლილეს წარმოდგენაში ვერც ერთი ულამაზესი და უბრწყინვალესი დიდებული ლაშამდე ვერ მაღლდებოდა და მის გონებას კეთილშობილ ლაშასთან შედარებით სხვა ყველა უბრალო პირუტყვებად ესახებოდა.

_ მეფეზე ამბობენ, დედათა მოყვარე არისო... მართალია, ლუხუმ? _ იკითხა ლილემ და თავისივე ნათქვამის გამო თვითონვე შერცხვა და გაწითლდა.

_ არა უმეტეს სხვათა მეფეთა, გონიერთა და პატიოსანთა... _ მიუგო ლუხუმმა და ახლა იგი გაწითლდა იმის გამო, რომ იცრუა.

_ ეს თუა მართალი, ლუხუმ, მეფე ბევრსა სვამს და მემთვრალეთა თანა განისვენებსო... _ კვლავ იკითხა ლილემ.

_ სმით სვამს დიდებული მეფე, მაგრამ არც იმდენს, რამდენსაც ბოროტი მეჭორენი ლაპარაკობენ... ამბობენ, ჯავრით სვამსო ჩვენი ხელმწიფე.

_ საჯავრებელი რა უნდა ჰქონდეს ეგოდენ ბედნიერსა და ძლიერ მეფეს? _ გაიკვირვა შეწუხებულმა ლილემ.

_ მაგას ჩვენ ვერ გავიგებთ, ლილე, ჩვენისთანა უბირები ვერ მისწვდებიან მეფის მაღალ განზრახვასა და საზრუნავს...

ორივე დადუმდა და ფიქრმა წაიღო.

უცებ ლილემ მძიმედ ამოიოხრა.

_ რად ოხრავ, ჩემო ანგელოზო? რამ დაგაღონა? _ ჩაჰკითხა ლუხუმმა.

_ ერთი ხვაშიადი მაქვს, ლუხუმ, და ვერ კი მითქვამს.

_ რა ხვაშიადი, ლილე? ისეთი რა იქნება, რომ ვერ გამიმხილო?

_ არა, გაუმხელი რა არის, მაგრამ ვშიშობ, შენ არ მომიწონო.

_ შენ ისეთი რა უნდა იფიქრო, რომ მე არ მომეწონოს, საყვარელო?!

_ მეფე ვაწვიოთ, ლუხუმ.

_ ააა? _ გაოცებისაგან გაშტერდა ლუხუმი.

_ მეფე ვაწვიოთ სტუმრად.

_ სადა, აქ, ჩვენს სახლში?

_ აქ, ჩვენს სახლში.

_ მერე რით გინდა მეფეს დაუხვდე? შევძლებთ კია მეფის გამასპინძლებას?!

_ შევძლებთ, ლუხუმ, შეუძლებელი რა არი. ღვთისა და მეფის წყალობით, ფრინველი ბევრი გვყავს და ოთხფეხი, ბეღელი სავსე გვაქვს და მარანი...

_ ვაითუ, საკადრისად ვერ დავხვდეთ მეფეს, _ წაილუღლუღა ფიქრში წასულმა ლუხუმმა.

_ მაგისა ნუ გეფიქრება, ლუხუმ, ეგ მე მომანდე და ჩემზე იყოს, მეფეს ისეთი პატივი ვცე, სამუდამოდ დაამახსოვრდეს. არაფერზე შენ არ გაგრჯი და არც შეგაწუხებ, შენ ოღონდ ერთი გააკეთე, მეფე აწვიე.

_ მეფის წვევა ადვილია, ლილე, მაგრამ...

_ სხვა ჩემზე იყოს-მეთქი, განა ჩემი არ გჯერა? ხომ იცი, რომ არ შეგარცხვენ, _ დაუტკბა და მოეხვია ლილე.

საყვარელი ცოლის ალერსით დამდნარი ლუხუმი თავდავიწყებით კოცნიდა მის მონატრებულ გულმკერდს და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლუღლუღებდა:

_ ეგრე იყოს... შენს სურვილზე იყოს, ჩემო სულისდგმავ!..

შუაღამე გადასული იყო. ლუხუმს უკვე ჯანმრთელი ვაჟკაცის ნებიერი ძილით ეძინა.

ლილე სიბნელეში ქმრის დაგონჯებულ სახეს ვეღარ ხედავდა, სამაგიეროდ, მის ძლიერ სუნთქვას და გოლიათურ სხეულს გრძნობდა. ომიდან სახელითა და ჯილდოებით დაბრუნებული მეფის მცველი ყოვლისშემძლე ეგონა და დიდი, თავდავიწყებული სიყვარულის ღირსად მიაჩნდა. ხედავდა ლილე, რომ იგი, ესოდენ სუსტი და პატარა ქალი, ამ დევისოდენა კაცის სულისა და ხორცის სრული ბატონ-პატრონი იყო. მისდამი ქმრის უსაზღვრო სიყვარული საამაყოდ ეჩვენებოდა და თვითონაც გრძნობდა ამ წმინდა სიყვარულის წინაშე თავს ვალდებულად. იგი ახლა ისე ახლობლად თვლიდა თავის ართვალს, მაგრამ ალალსა და ღონიერ ქმარს, ესოდენ გულით უნდოდა მასთან ასე განუყრელად ყოფნა, რომ მისი მკერდიდან ძალითაც ვერავინ ააგლეჯდა. ბურანში წასულისთვის რომ გეკითხათ, ქმარი თუ გიყვარს, ან ბედნიერი ხარ თუ არაო, ალბათ, „ჰოს“ მეტს ვერაფერს გეტყოდათ. ყოველ შემთხვევაში, იგი გრძნობდა, რომ რამდენიმე ასეთი ბედნიერი ღამე საკმარისი იქნებოდა, რათა ქმარი საბოლოოდ და გულწრფელად შეჰყვარებოდა. მძინარ ლუხუმს ზედ ეკვროდა და ალერსითა და ფიქრით დაღლილს ნეტარი რული ერეოდა.

მეორე დღეს ლუხუმმა დედას გაუზიარა განზრახული, ქეთევანი უარზე დადგა, მეფის წვევა რა ჩვენი საქმეა, ხელმწიფის სტუმრობით კარგი ვის მოსვლიაო.

ლილე დუმდა, იგი გუმანით ხვდებოდა, რომ დედა მართალი იყო. წუხანდელი განცდისა და ფიქრის შემდეგ მასაც ზედმეტად და სახიფათოდ ეჩვენებოდა მათ მყუდრო ოჯახში მეფის მოსალოდნელი სტუმრობა. მას უკვე ადრინდებურად აღარ აღელვებდა მეფის სტუმრობა. ამიტომ გულგრილად ისმენდა ლუხუმისა და ქეთევანის საუბარს. გრძნობდა, რომ ლუხუმი მის საამებლად არწმუნებდა დედას მეფის წვევის სიკეთეში, გრძნობდა, მაგრამ თავისივე განზრახვის წინააღმდეგ ხმას არ იღებდა. ლუხუმმა თავი გამოიდო, დედას ყური არ უგდო და თავისი დაიჟინა _ გინდა, არ გინდა, მეფე უნდა ვაწვიოთო.

იმ დღეებში კახეთის ერისთავი ბაკური ემზადებოდა თბილისისკენ გასამგზავრებლად და ლუხუმი საგულდაგულოდ ეახლა ერისთავს.

_ ამდენი ხანია შენს საერისთავოში ვსახლობ. ჩემსას ერთხელაც არ ბრძანებულხარ, ღირს მყავ და სტუმრად მეწვიე, _ სთხოვა ლუხუმმა.

ბაკურს დიდი ხანია თვალში ეკლად ჰქონდა ველისციხელი მეფის მცველის კოხტა სახლ-კარი და მამულები. შურით უცქეროდა შორიდან, როგორ იფართოებდა მიწა-წყალს მეფის ნაწყალობევით გვირგვინოსნის უახლოესი მსახური.

სხვას მის ადგილზე ამდენ ხანს წაგლეჯდა რასმე ხარბი ერისთავი, მაგრამ ხელმწიფის შიშით ლუხუმს ბუზსაც ვერ უფრენდა და შორიდან თავისსავე გულს ასკდებოდა.

კარგა ხანია მიგრიაულის ბაღ-ვენახისა და სახლ-კარის ქება ესმოდა ერისთავს. სურდა საკუთარი თვალით შეეთვალიერებინა ახლად გააზნაურებული გლეხის დოვლათი, მაგრამ აქამდე შესაფერისი შემთხვევა არ მისცემოდა, ხოლო დაუპატიჟებლად კარზე მიდგომა, ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდა ამაყ ერისთავს.

დედათა გადამეტებით მოყვარულს და ქალების წუწკს, მიგრიაულის ცოლის საზღაპრო სილამაზეც ჰქონდა გაგონილი და მისი თვალის ერთი შევლებისათვის სული მისდიოდა.

_ ფრიად მეამება შენი წვევა, ჩემო ლუხუმ, _ გაიხარა ერისთავმა. _ სხვა არა იყოს რა, მეზობლები ვართ და არ ვარგა ასე შორი-შორს ყოფნა. მე თვითონ უნდა მეწვიე აქამდისაც, მაგრამ რაკი ნავსი შენ გასტეხე, ამიერიდან ერთიმეორესთან მისვლა-მოსვლასა და სტუმრობას ნუღარ მოვიშლით. _ თავპატიჟგაუდებლად უთხრა ბაკურმა და იმდღესვე კახეთის ერისთავი ველისციხელ აზნაურს ესტუმრა.

ბაკურის საამებლად და დროს გასატარებლად ლუხუმმა ორიოდე სხვა საპატიო სტუმარიც იწვია.

ლილე და ქეთევანი დილიდანვე დატრიალდნენ და ერისთავის საკადრისი მასპინძლობა მოამზადეს.

ხარბ ბაკურს გზაზევე, ჭიშკართან მისვლამდე დაუყენა თვალი მიგრიაულის ეზო-გარემომ.

ცხენდაცხენ მიმავალი ბაკურის შური ჯერ კიდევ ლუხუმის ზვარმა აღძრა _ კარგად შეკრული ზვრის ღობე გრძლად გაეჭიმა და არ იქნა, აღარ გათავდა. ზვარს დახუნძლული ხეხილით სავსე ბაღი მოჰყვა და ბოლოს სუფრასავით სუფთა, მწვანით დაფარული ეზოც გამოჩნდა.

დიდი ალაყაფის კარი კაცს ქალაქის შესასვლელს მოაგონებდა. ეზოს მეორე მხარეს, ხეხილის იქით, პირუტყვით სავსე დიდი საჩეხე ოდნავ ჩანდა და გრძლად გაბმული თავლებიდან ცხენების ჭიხვინი ისმოდა.

მაღალმა ქორედმა სახლმა და გემოვნებით გაშლილმა სუფრამ ხომ მთლად თვალი დაუბრმავეს გულხარბ ერისთავს.

ჯერ კიდევ ყველაფრის თვალის მოვლება და აწონ-დაწონვა ვერ მოესწრო ბაკურს, დარბაზში რომ ლილე შემოცქრიალდა.

დარბაზს შუქი მოემატა და ჭერი მაღლა აიწია.

ბაკურს თავი სიზმარში ეგონა, სახტად დარჩენილმა დანახულს არ დაუჯერა. ფეხზე მოჯადოებულივით წამოდგა, ბიჯი მთვრალივით წადგა და დიასახლისს რეტდასხმული მიეგება.

„ამისთანა ანგელოზი ამ ვირისთავს ვინ მისცა?!“ _ გაიფიქრა ერისთავმა და სისხლიანი თვალები მშიერი პირუტყვივით მიაშტერა მასპინძლის ცოლს.

ლილე ბაკურის პირველმავე გამოხედვამ შეაკრთო. ერისთავის გაუმაძღარი დაჟინებული მზერა თითქო ტანთ ხდიდა და შიშველ სხეულს უსინჯავდა. დიასახლისი წამოწითლდა, თავისდაუნებურად, გულისპირისკენ წაიღო ხელი და ძვირფასი მოსასხამი სხეულზე უფრო მჭიდროდ შემოიხვია.

სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს.

ბაკურის სუფრაზე მის მეტი თამადად თავის დღეში არავინ ყოფილა და ახლაც ერისთავმა მასპინძელს ბევრი არ ახვეწნინა.

დიდი სასმისები მოითხოვა, კარადისკენ რხევით წასულ ლილეს თვალი მოზვერივით გააყოლა და, ეშხში მოსული, ქეიფს შეუდგა.

სამი კაცის ზომას სვამდა და ჭამდა ჯანმრთელი, ლოყებღაჟღაჟა ერისთავი. ღარიბი კაცის სუფრას მისი სტუმრობა კბილის ერთ გაკვრაზევე შეეტყობოდა. მაგრამ შეძლებული აზნაურის ცოლს კერძი კერძზე მოჰქონდა და უხვ მასპინძლობას დასასრული არ უჩანდა.

ერისთავის პირდაპირ, სუფრის ბოლოს იჯდა ლუხუმი. ბაკური სახეს არიდებდა დაგონჯებულ მეფის მცველს და თვალი უფრო მის გვერდით მოღუღუნე მტრედისკენ ჰქონდა.

ლაპარაკობდა თამადა ცისას და ბარისას, მეფისა და ქვეყნის, ღვინისა და საჭმლის, ნადირობისა და შექცევის ამბებს, მაგრამ რაზეც უნდა ელაპარაკნა, გულში მაინც მარტო ერთზე ფიქრობდა _ გვერდით მზეთუნახავი მყოლია და რატომ ამდენ ხანს არ ვნახე, ხელთ როგორ ვიგდოო.

ამ ფიქრსა და საგონებელში რომ იყო, დიდი ბოდიშითა და კრძალვით ხმადაბლა ჰკადრა ლუხუმმა:

_ ერისთავთ-ერისთავთან მე და ჩემს ცოლს ერთი თხოვნა გვაქვს და არ ვიცი, შევბედო თუ არა.

ლილემ თავი ჩაღუნა და გულმა ბაგაბუგი უწყო.

_ თქვი, ლუხუმ, თქვი! თქვენ ისეთი რა უნდა მთხოვოთ, რომ მისი ასრულება სასიხარულოდ და საამაყოდ არ მეჩვენოს, _ მიუგო ერისთავმა და პირი ისევ ლილესკენ იბრუნა.

ვაჟკაცის ცხოველური სუნთქვა მისწვდა ლილეს. ქალმა სკამი უკან დასწია. სახეწამოწითლებულმა ლუხუმმა ენის ბორძიკით განაგრძო: _ მეფის წვევა განვიზრახეთ, ბაკურ ბატონო...

_ მეფის წვევა? _ განცვიფრდა ერისთავი.

_ დიახ, მეფის წვევა! _ დაადასტურა ლუხუმმა. _ ხელმწიფემ ადრე აღმითქვა, შენს სახლ-კარში გეწვევიო და ახლა, რაკი წელი წამოვიღეთ და შერცხვენის შიში არა გვაქვს, გადავწყვიტეთ, მეფე ვაწვიოთ.

სახტად მჯდარი ბაკური ლილეს შეჰყურებდა და ხმას არ იღებდა. იგი თავის ფიქრს წაეღო.

„ამ ქალს რომ მეფე ნახავს, მერე იგი ჩემთვის დაკარგულია. მაგრამ არც უამისოდ არის ნაღდი საქმე მისი ხელში ჩაგდება და შეიძლება, დიდ ხიფათსაც გადავეყარო, _ ფიქრობდა თავისთვის ერისთავი. _ მეფის ამბავი რომ ვიცი, ლილეს თუ ერთი თვალი მოჰკრა, მერე, ვიდრე საწადელს არ აისრულებს, აღარ ჩამოეხსნება და, ვინ იცის, რა ამბავი დატრიალდეს! იქნებ მიგრიაული მთლად განდიდდეს და ერისთავობამდე აღზევდეს. თუ თავმოყვარეობა არ გააჩნია და ცოლის გაბახებას არაფრად ჩააგდებს, უთუოდ ასეც მოხდება. მაგრამ, თუ ცოლი ძალიან უყვარს, და ასეთი ცოლი ანკი როგორ არ ეყვარება, მის შეგინებას ვერ შეურიგდება და დიდ ფათერაკს რასმე გადაეყრება. თუ ასე მოხდა, ერისთავისთვის ეს აჯობებს. მეფე თავისი სურვილის წინააღმდგომ მსახურს შერისხავს, მაშინ ეს მშვენიერი ზვარი და სახლ-კარი, ურიცხვი ჯოგი და დოვლათი სხვას ვის დარჩება, თუ არა მეფის ერთგულ კახეთის ერისთავს?! არა, რა დროს პირად სიამოვნებაზე ფიქრია, როცა მეფის გულის მოგება და შორს აუცდენლად დამიზნება შეიძლება? ბაკურს სხვა საქმეც რომ არ ჰქონდეს თბილისში, ხვალვე უნდა წავიდეს და მეფეს პირველმა აუწეროს ლილეს უბადლო სიტურფე და მშვენიერება...“

ამ უკანასკნელ აზრს რომ დაადგა ერისთავი, ლილესკენ სკამი კიდევ უფრო მისწია და, სათხოვარი არ გადათქვანო, შეშინებულმა ჩაჰკითხა:

_ როდის ინებებთ მეფის წვევას? _ ერისთავი სუფრაზე ნახევრად გადაწვა და სახე ლილეს სულ ახლო მიუტანა. ლილემ სკამი უკან დასწია. აილეწა და საფრთხემიახლოებული ხოხობივით გაიტრუნა.

_ დღეისსწორებზე, მეფე ბატონი თუ მოიცლის, _ ლილეს მაგივრად უპასუხა ლუხუმმა.

_ მოიცლის, როგორ არ მოიცლის! რაც უნდა საშური საქმე ჰქონდეს, გადავადებინებ და დღეისსწორს აქ ვიქნებით. თუ ასე არ იქნეს, ეს ულვაში შერცხვეს! _ დაიქადნა ნათქვამის ასრულებაში დაჯერებულმა ერისთავმა და დაგრეხილ გრძელ ულვაშზე ჩოტივით გაშვერილი ოთხი თითი დაისვა.

* * *

მეორე დღეს თბილისისკენ მიმავალმა ბაკურმა ლუხუმს გამოუარა. მის ცოლს ერთხელ კიდევ მსუნაგად შეავლო თვალი, მეფის მცველს ხელმწიფის წვევის ბარათი ჩამოართვა და დედაქალაქისკენ გასწია.

სატახტოში ჩასვლისთანავე ბაკურმა მეფე ინახულა და მიგრიაულების წერილი მიართვა.

მეფემ ბარათი ჩაიკითხა და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

_ კახეთში მპატიჟებს ჩემი მცველი, მასპინძლობით უნდა გამაკვირვოს! _ აგდებულად გადაულაპარაკა მეფემ ერისთავს.

_ მასპინძლობით ჩვენს მეფეს ვინ გააკვირვებს, მაგრამ ცოლი კი ისეთი ჰყავს, რომ ხელმწიფესაც გააკვირვებს და ათქმევინებს, აქამდე ქალის მნახველი არ ვყოფილვარო! არცთუ ცოცხალი, არც ხატი და სურათი მსგავსი მშვენებისა არ მინახავს, _ ნერწყვის ყლაპვით თქვა ბაკურმა.

_ ერთი ლუხუმს დამიხედეთ! ვინ წაჰყვა მაგ.. _ მეფეს კინაღამ წამოსცდა „მახინჯსო“, მაგრამ თავი შეიკავა. შემდეგ მდივანი იხმო და ლუხუმისთვის გასაგზავნი წერილი უკარნახა.

რაც თბილისიდან დასანახავად საზარელი მცველი მოიშორა, ლაშამ შვება იგრძნო და ახლა მის სანახავად ველისციხეს რა წაიყვანდა! კახეთის ერისთავის ნათქვამმა ლუხუმის ცოლის იშვიათ სილამაზეზე გააოცა, მაგრამ ქალებისადმი ბაკურის განურჩევლობა იცოდა და მის გემოვნებას დიდად არ ენდობოდა.

მეფის მცველის ცოლი ისეთი რა უნდა ყოფილიყო, რომ მისი სიახლოვის სიამეს ლუხუმის ცქერის სატანჯველი აენაზღაურებინა!

მეფემ გაურკვეველი პასუხი მისწერა მიგრიაულს _ თბილისში დაბრუნებას ნუ იჩქარებ, ახლა ზაფხულია, და როგორც სამეფო საქმეებისაგან მოვიცლი, შემოდგომის ბოლომდის უთუოდ გეწვევიო.

მეფის ბუნდოვანმა პასუხმა ცოლ-ქმარი ჩააფიქრა: იგი უარიც იყო და თანხმობაც. რამდენიმე თვის განმავლობაში ლუხუმი მეფის სამსახურს უნდა ჩამოშორებოდა, შინ უნდა დარჩენილიყო და თვალი გზისკენ ჰქონოდა, როდის გამოჩნდებოდა საპატიო სტუმარი.

ხელმწიფის ბრძანება კანონი იყო და მიგრიაულებს მეტი რა დარჩენოდათ, გაურკვეველი დღისთვის სამზადისს შეუდგნენ, საკლავი და სურსათი მოიმარაგეს, ტან-ფეხი გაიახლეს და ეზო-მიდამოს კიდევ უფრო გამშვენიერებას მიჰყვეს ხელი.

ქართველთაგან განძის აუღებლობით წათამამებულმა, განძაში დასახლებულ ყივჩაღთა ბელადმა საქართველოს მორბევა განიზრახა.

განძის ამირამ ქუშხარამ კარგად იცოდა ქართველთაგან განძის აუღებლობის ფასი, საქართველოს ძლიერების შიში წინანდებურად ჰქონდა და ყივჩაღებს ლაშქრობაზე ხელის აღებას ურჩევდა.

ყივჩაღებმა ქუშხარას რჩევას ყური არ ათხოვეს, ქართველთა მხედრობის ამბები წინასწარ არ გამოიძიეს და საქართველოს განაპირა რაიონებს შეესივნენ.

მონაპირეებმა მაშინვე ამირსპასალარს შეატყობინეს და ივანემ ლაშას ყივჩაღთა ლაშქრის მიერ სამეფოს სანაპიროების რბევისა და აკლების ამბავი აცნობა. მეფემ ყივჩაღი მარბიელების გამოხდომა სწორად შეაფასა: სახელმწიფოსათვის იგი დიდ საფრთხეს არ წარმოადგენდა და მას უმეფოდაც ადვილად გაუსწორდებოდნენ.

_ ყივჩაღებთან ბრძოლაში მე უმეცარ და უიღბლო ვარ, თანაც შეუძლო. ლაშქარს ამირსპასალარმა უთავოს, _ გადაჭრით განუცხადა მეფემ ათაბაგს და საწოლში ჩაიკეტა.

მხარგრძელი კარგად მიხვდა მეფის პასუხის გადაკრულ აზრს, მაგრამ მტერი სამეფო საზღვრებში იყო შემოჭრილი. ხალხისა და ქვეყნის დაცვისათვის ზრუნვა გადადებასა და მეფესთან დავას ვეღარ ითმენდა.

მხარგრძელმა სახელდახელოდ შეკრიბა ჯარი და ყივჩაღების წინააღმდეგ წარუძღვა.

@თავი მეთხუთმეტე. ერთ სულ და ერთ ხორც

> ვითამცა ორსა ტანსა შიგან ერთი სული სდგომოდა, ეგრე შეერთნეს... აგრე დაუამდა ერთგან ყოფნა, თავით ფეხამდის ერთმანეთსა არ მოეშორვებოდეს, არცა მათ შუა ბეწვი გაიარებოდა.
>
> **„ვისრამიანი“**

მეფე კახეთში ნადირობდა.

გულის რომელიღაც კუნჭულში ბაკურ ერისთავის მიერ უზომოდ ნაქები ქალის ნახვის სურვილიც ეწეოდა ლაშას, როცა სანადიროდ კახეთი აირჩია.

იმ ღამეს უიღბლოდ იარეს მონადირეებმა, სამხრობამ ისე მოატანა, მეფემ ერთი ხოხბის მეტი ვერა ინადირა რა.

სოფლის განაპირას კაკლოვანში ჩამოსხდნენ და მწვანეზე სუფრა გაშალეს. თუმცა პურ-მარილი უხვად ჰქონდათ, ლაშამ მაინც ერთადერთი ნანადირევის შეწვა მოინება და მხლებლები სოფლისკენ აფრინა.

პირველსავე სახლთან შეჩერდნენ გაგზავნილები.

ჭიშკართან დაბმულმა ნაგაზმა ცხენოსნების დანახვაზე ყეფა ატეხა, ყალყზე შედგა და ჯაჭვს გასაწყვეტად მიეძალა.

ძაღლის ყეფაზე სამზადიდან ქეთევანმა გამოიხედა.

_ ვინა გნებავთ? _ იკითხა და თან ძაღლს შეუცაცხანა.

_ მეფის მსახურნი ვართ, ჭიშკარი გაგვიღეთ...

ლილეს „მეფის მსახურნი“ ჩაესმა, ხომ არ მომეყურაო, გაიფიქრა და ისიც გარეთ გამოვიდა.

_ მეფის მსახურნი? _ გაიოცა ქეთევანმა და ჭიშკრისკენ წავიდა. _ ალბათ, ლუხუმი გინდათ, მაგრამ შინ რომ არ არი?!

_ ეს ლუხუმის სახლია? მიგრიაულის? _ იკითხეს მსახურებმა.

_ ჰო, ლუხუმის სახლია, შვილო, მეფის მცველ მიგრიაულის, _ დაუდასტურა ქეთევანმა და საუბარში დაქვეითებულ მეფის მხლებლებს ჭიშკარი გაუღო.

_ კარგი იყო, რომ ლუხუმი შინ დაგვხვედროდა, მაგრამ ჩვენ ლუხუმთან როდი გვაქვს საქმე. ჭალაში მეფემ ხოხობი მოკლა და ნანადირევის შეწვა გვინდა, _ მოახსენეს მეფის მსახურებმა და ქეთევანს ყელგაგლეჯილი ლამაზი ხოხობი გაუწოდეს.

_ ახლავე, ბატონო... აქეთ მობრძანდით... ახლავე შევწვავ.

_ შენ არ გაგრჯით, დედილო, ჩვენ თვითონ შევწვავთ, ოღონდ ცეცხლი დაგვინთე, _ უთხრეს აფუსფუსებულ მოხუცს მსახურებმა და უკან მიჰყვნენ. ქეთევანმა სტუმრები ქორედში აიყვანა.

აივანზე მდგარი ლილე გაოცებული შესცქეროდა კიბეზე ამომავალ უცნობ სტუმრებს.

მეფის მსახურნი ლილეს დანახვაზე გაშტერდნენ, ადგილზე გაქვავებულივით გაჩერდნენ და თვალი ვერ მოაშორეს უცნობი ქალის მშვენებას.

_ ლილე, შვილო, მეფის მსახურნი გვეწვივნენ, ხელმწიფეს ხოხობი უნადირნია და სასწრაფოდ უნდა შეუწვან... მობრძანდით, ეს ჩემი რძალია, ლუხუმის ცოლი... _ სხაპასხუპით დააყარა მღელვარებისაგან აფუსფუსებულმა ქეთევანმა და სტუმრებს დარბაზში შეუძღვა.

მსახურები თავდახრით მიესალმნენ ლილეს და ქეთევანს მიჰყვნენ.

დიდ დარბაზში საამოდ ღუღუნებდა ანთებული კერა.

ქეთევანმა სტუმრებს სკამები შესთავაზა.

_ ლილე, მოხედე, შვილო, სტუმრებს, სანამ მე ხოხობს გავბდღვნი... უკაცრავად ვარ... ახლავე იქნება... _ ბოდიშით გავიდა ქეთევანი და დარბაზში ლილე შემოვიდა.

სტუმრები ისევ ფეხზე იდგნენ.

_ დაბრძანდით! _ სთხოვა ლილემ.

_ თქვენც დაბრძანდით! _ თავის მხრივ სტუმრებმაც შეჰპატიჟეს დასაჯდომად და ლილეს სკამი შესთავაზეს.

ლილე სკამზე დაჯდა და სტუმრებიც ცეცხლს შემოუსხდნენ.

მზე ჩასული იყო. ოთახში შემოპარულ საღამოს ბინდ-ბუნდს ცეცხლის ალი ებრძოდა. კედლებზე აღბეჭდილი გოლიათური აჩრდილები ალის მოძრაობის შესაბამისად გრძელდებოდნენ და ფართოვდებოდნენ, ცახცახით მაღლა მიიწევდენ და იფოფრებოდნენ.

მეფის მსახურებს თვალები გადმოვარდნაზე ჰქონდათ, მოჯადოებულებივით შეჰყურებდნენ ლილეს და ცქერით ვერ გამძღარიყვნენ. ცეცხლის ალი ანათებდა ლილეს შაქრისფერ სახეს. მიწურულ შავ თვალებზე გრძელი წამწამების ჩრდილი ხატპეპელას ფრთებივით ერხეოდა. ოდნავ ამობურცულ ლოყებზე პატარა ფოსოები უცინოდა და მარტო ფოსოები კი არა, მთელი სახე _ კოკორი ტუჩები და მიჯრით მიწყობილი კბილები, მაღალი შუბლი და პატარა ყურები, ყველაფერი სილამაზითა და სიცოცხლის ხალისით მეტყველებდა. ლილე მხრებში ოდნავ მოშვებული იჯდა, ისე თავისუფლად, თითქო მარტოდმარტო ყოფილიყოს. მის მოძრაობასა და თავის დაჭერაში ოდნავი დაძაბულობა და ნაძალადევობაც არ იგრძნობოდა, ვითომ მისთვის სულერთი ყოფილიყოს, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა იქ მყოფებზე. სწორედ ეს დაუდევრობა და მოძრაობის ბუნებრიობა ხდიდა კიდევ უფრო მეტად მომხიბვლელს მეფის ცალთვალა მცველის ცოლს.

მაჯისსისხო ყორნისფერ ნაწნავთაგან ცალი ზურგზე გადაეგდო და იატაკზე სცემდა, მეორე მკერდზე ჩამოეშვა და გრძელ, ლამაზ თითებზე დაეხვია.

უხერხული სიჩუმე მეფის მსახურთაგანმა დაარღვია:

_ ლუხუმი სად არი?

_ კალოზე გახლავთ, ორი დღეა შინ არ მობრუნებულა.

_ ჯანზე ხომ კარგად არი, ნაჭრილობევი ხომ არ აწუხებს?

_ არა, არ აწუხებს... _ ხმადაბლა უპასუხა ლილემ, სახე წამოუწითლდა და, ლუხუმის ნახმლევზე რომ სიტყვა არ გაეგრძელებინა, იკითხა:

_ მეფე როდის წამობრძანდა სანადიროდ?

_ ამ დილით ინება.

_ ამალა დიდი ახლავს?

_ არა, უცებ გადაწყვიტა წამოსვლა, თან მონადირეთუხუცესი და ბაზიერებიც არ იახლა.

_ ახლა სად ბრძანდება ხელმწიფე? ღამის გათევას სად აპირებს?

_ ღამეს, ალბათ, მინდორში გაათევს.

_ მინდორში? _ გაიოცა ლილემ.

_ ჰო, მინდორში, ხის ქვეშ ძილი ურჩევნია მეფე ბატონს სასახლის ბუმბულებში წოლას.

_ იქნებ ჩვენთან ინებებდა მობრძანებას, ვუმასპინძლებდით და კარგადაც მოვასვენებდით. _ დაუფიქრებლად წამოსცდა ლილეს და ნათქვამი თვითონვე ეუხერხულა.

_ არ ვიცით, არა უბრძანებია რა, _ მხრების აჩეჩვით თქვა მეფის მსახურმა.

დარბაზში ქეთევანი შემოვიდა და თხილის გათლილ ჯოხზე წამოცმული, გასუფთავებული ხოხობი შემოიტანა.

_ ხომ არ დამიგვიანდა? _ იკითხა ქეთევანმა.

_ რასა ბრძანებთ, ძალიან ჩქარაც არი, _ მიუგო მსახურმა და შამფურის ჩამოსართმევად მისწვდა.

_ თქვენ როგორ გაკადრებთ, მე შევწვავ, _ არ დაანება შამფური ქეთევანმა.

_ არა, დედი, ჩვენ მიჩვეული ვართ, მეფის პირის გემო ვიცით... _ გაჯიუტდა მსახური, ქეთევანს შამფური ჩამოართვა და ცეცხლთან ჩაიჩოქა.

ქეთევანმა ცეცხლი მოჩხრიკა, ნაკვერცხლები წინ გამოჰყარა და მსახურმა ხოხობი ცეცხლს მიუშვირა.

_ რა ვქნა, ლილე! წავალ, ლუხუმთან კაცს ვისმეს გავგზავნი, _ გადაულაპარაკა ქეთევანმა რძალს.

_ კარგი იქნება, დედა, შეუთვალე, ახლავე ამოვიდეს, _ მოუწონა ლილემ და ქეთევანი ისევ ბოდიშის მოხდით გავიდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. დროდადრო მხოლოდ შეშის ტკაცუნი და ხოხბის შიშხინი ისმოდა.

_ მეფე ვაწვიეთ და სტუმრობა აღგვითქვა! _ დაარღვია დუმილი ლილემ და ისევ თვითონვე შეწუხდა ზედმეტი გულახდილობის გამო.

_ სტუმრად მობრძანება აღგითქვათ? _ იკითხა ჩაჩოქილმა მსახურმა და დანარჩენებს გადახედა, თითქო უნდოდა ეთქვა, შენისთანა ქალის სტუმრობაზე მეფე უარს არასდროს არ ამბობსო.

მსახურებს თვალი ლილესკენ მიეპყროთ მოჯადოებულებივით, მისი ცქერით ვერ გამძღარიყვენ და მის მეტს ვეღარაფერს ხედავდნენ.

_ აღგვითქვა და ეს ერთი ხანია მოველით. ყველაფრით მზად ვართ. რაკი გზადაც აქეთ გამოუვლია, იქნებ ინებოს და გაგვაბედნიეროს, _ თავისდაუნებურად, დაუფიქრებლად განაგრძო როგორღაც შინაგანად წათამამებულმა ლილემ.

_ ადვილად შეიძლება, _ დაუდასტურა მსახურმა. _ თუ თქვენი ნებაც იქნება, თქვენს სურვილს მოვახსენებ და აღთქმასაც მოვაგონებ.

_ დიდად დაგიმადლებთ, _ წამოწითლდა ლილე და მერე უცებ დაუმატა, _ ლუხუმი ახლოა, ისიც მალე გამოჩნდება.

დამწვრის სუნი დადგა.

_ ხოხობი იწვის ნამდვილად, _ შენიშნა ლილემ.

მსახურმა წამით თვალი მოაცილა ლამაზი ქალის სახეს, შამფური გადმოატრიალა და ხოხბის დამწვარი, თითქმის დანახშირებული ცალი გვერდი გამოჩნდა.

_ დამწვია, როგორ მომივიდა! _ შეწუხდა მსახური.

_ მეფეს როგორ მივართვათ?! _ აწრიალდნენ სხვებიც.

_ არ დაგვიჯერეთ, ჩვენ უკეთ შევწვავდით, _ დანანებით თქვა ლილემ, _ მიბოძეთ, იქნებ ნახევარმა კიდევ ივარგოს.

_ არა, ბატონო, მე თვითონ, _ არ დაანება შამფური მსახურმა. _ ეს როგორ მომივიდა, სხვა რა საქმე მქონდა!

ახლა კი აღარ მოუშორებია თვალი შამფურისათვის მსახურს. შუბლზე, ცეცხლის მხურვალებისა თუ სირცხვილისაგან, ოფლის დიდრონი წვეთები დასხმოდა და თავს აღარ იღებდა.

ხოხბის მეორე გვერდი უცებ შეწითლდა, მსახურმა შამფური მაღლა აიტაცა.

_ წავიდეთ! _ უთხრა ამხანაგებს.

ლილეს მადლობა გადაუხადა და კარისკენ გაემართა.

_ ეგ ხოხობი ხელმწიფისთვის მაინც აღარ ვარგა, ჩემი თხოვნა მოახსენეთ მეფეს და, თუ ინებებს, ღირსეულ ვახშამს დავახვედრებთ, _ დაადევნა ლილემ ეზოში გასულ მსახურებს.

მსახურები ცხენებს მოახტნენ და, როგორც ლუხუმის კარ-მიდამოს გასცდნენ, აბუზღუნდნენ.

_ ერთხელ მაინც ვეღარ დახედე მაგ დალოცვილს? _ უსაყვედურა ერთმა მათგანმა.

_ სუნი მაინც არ გეცა? _ დაუმატა მეორემ.

_ რატომ თქვენ არ გეცათ სუნი, ან თვალები სად გქონდათ? _ შეუტია გაგულისებულმა მსახურმა.

_ თვალი ჩვენც იმან დაგვიბნელა, რამაც შენ დაგაბრმავა, _ სიცილით თქვა პირველმა.

_ ეგეთი ქალი ჩემ დღეში არ მინახავს! ჰო, ჰო, ჰო... ლუხუმს როგორ წაჰყვა, ამ ღვთის გლახას, ამისთანა ანგელოზი!

_ მაშ... მაშა... რა ქალი ჰყოლია იმ გონჯ ლუხუმას!

_ გონჯი ახლა არი, რაც ომში დაიჭრა, თორემ მანამდის ვისზე ნაკლები ვაჟკაცი იყო!

_ ნეტავი თქვენს გუნებას, მაგ ქალის ცქერა იქნებ სიცოცხლედაც დაგვიჯდეს! რა უნდა ვუთხრათ მეფეს, ამ შამფურს თავზე გადაგვამტვრევს, ცუდ გუნებაზე თუ დაგვხვდა.

_ რა უნდა ვუთხრათ და რაც დაგვემართა, იმას ვეტყვით. მაგ ქალის სილამაზეს რომ ვუამბობთ, ხოხობიც დაავიწყდება და თავიც. ნახავ, თუ მაშინვე აქ არ მოირბენს.

_ ჰოდა, ჩვენც ეგ გვინდა, ღამე მინდორში გდებას, კაი ვახშამი და რბილი ლოგინი გვირჩევნია!

დაიმედებული მსახურები კარგ გუნებაზე დადგნენ და ცხენებს აუჩქარეს.

მეფესთან დარჩენილ მხლებლებს მწვანეზე უკვე გაეშალათ სუფრა და ლაშა ხოხობსღა ელოდა, რომ სამხრობას შესდგომოდა.

სოფლიდან მობრუნებულმა მსახურებმა დამწვარი ხოხობი მიართვეს მეფეს. ლაშამ ცალგვერდდანახშირებულ ხოხობს რომ დახედა, გაოცდა.

_ ეს რა გიქნიათ, როგორ დაგწვიათ ხოხობი? _ ჰკითხა გაბრაზებულმა მსახურებს.

_ რა გვექნა, მეფევ-ბატონო! თქვენი მცველის, ლუხუმის სახლში მოვხვდით. გვეხვეწნენ, მეფეს ჩვენთან სტუმრობა აღთქმული აქვს, აქ მობრძანდეს, ხოხობსაც აქ შევუწვავთო, მაგრამ არ დავთანხმდით, დავიწყეთ ხოხბის შეწვა. ლუხუმს იგეთი ცოლი ჰყოლია, ვერც ერთმა თვალი ვერ მოვაშორეთ და აგე, ხოხობიც დაგვეწვა! _ თავაუღებლად მოახსენა დარცხვენილმა მსახურმა და თან ქვეშ-ქვეშ გახედა მეფეს, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ნათქვამიო.

_ მაშ ეგეთი ლამაზია ლუხუმის ცოლი? ბაკურმაც მითხრა და არ დავიჯერე, _ ჩაფიქრებით თქვა მეფემ.

_ ჩემს სიცოცხლეში მაგისთანა ლამაზი ქალის მნახველი არა ვარ!

_ ნამდვილი მზეთუნახავია, ბატონო, კალმით ნახატი.

_ ეგრე ლამაზი ანგელოზი თუ იქნება, თორემ საქალეთში მსგავსი არ მოიძებნება...

ზედიზედ დააყარეს აღტაცებულმა მსახურებმა.

_ გულით მაწვიეს? _ იკითხა ფიქრში წასულმა მეფემ.

_ გულით, წრფელი გულით, ბატონო. დიდი ხანია მეფე სტუმრობას შეგვპირდა და ყოვლის სანოვაგით მზა ვართო.

_ ლუხუმი შინ იყო? _ იკითხა მეფემ.

_ არა, ბატონო, კალოზე გხლებიათ, _ მიუგო მსახურმა.

_ მაშ, მივდივართ მიგრიაულთან! _ უცებ გადაწყვიტა მეფემ და მხლებლებმა სუფრის აშლა ვერ მოასწრეს, რომ ლაშა უკვე ლურჯაზე იჯდა და ველისციხისკენ მიჰქროდა.

* * *

მოახლოებული ცხენების ფეხის ხმაზე ლუხუმის ეზოში ისევ გამწარებით აყეფდა ძაღლი.

ქეთევანი სამზადის კართან იდგა და ცუდის მოლოდინით გახევებული გაჰყურებდა შარას.

ცხენოსნები გამოჩნდნენ.

ლილე კიბეზე დაეშვა.

_ ნამდვილად მეფე მობრძანდება! _ გახარებულმა თუ შეშინებულმა შესძახა ქეთევანს და ჭიშკრისკენ სირბილით წავიდა.

დილიდან თავი უბრუოდა მეფეს და გული ერეოდა. ახლა, როგორც კი ცხენზე შეჯდა, რაღაც შიგანში ეტკინა მწარედ და ჭირის ცივი ოფლი დაასხა. რაც უფრო ანჯღრევდა ჩორთით მიმავალი ცხენი, ტკივილი უფრო ემატებოდა. გრძნობდა, რომ სხეული თანდათან უცივდებოდა და ღონეს კარგავდა, მაგრამ ვერც ვისმეს დაძახებას ახერხებდა და ვერც ცხენისთვის მოეწია სადავე შესაჩერებლად.

ლილე და ქეთევანი ეზოდან გამოსულიყვნენ ჭიშკრის წინ. შარაზე იდგა ლილე _ ნორჩ ალვასავით ტანაყრილი, სახემშვენიერი, მჭვრეტელთა დამაბრმავებელი.

_ ეგ არი ლუხუმის ცოლი, _ ხმადაბლა უთხრა მსახურმა მეფეს, მაგრამ ლაშას აღარაფერი ესმოდა. იგი ტკივილით თუ ლილეს მშვენიერების ხილვით გონწართმეული იჯდა აღვირმიშვებულ ცხენზე და როგორც სინათლის დიდ წყაროსთან მიახლოებისას ხდება ხოლმე, რაც უფრო უახლოვდებოდა ლილეს, მით უფრო უბნელდებოდა თვალთ.

ლილესაგან ორიოდ ნაბიჯზე მთვრალივით გადმოეშვა ცხენიდან ლაშა.

ფეხის წინ წადგმა სცადა, მაგრამ ღონე აღარ ეყო, უცებ შეტორტმანდა, თვალთ დაუღამდა და მშველელის დაძახებაც ვერ მოასწრო, უგონოდ ძირს დაეცა.

მსახურები მეფეს მისცვივდნენ, ხელთ აიტაცეს და ეზოში შეიყვანეს.

გაოგნებული შეჰყურებდა მეფეს ლილე. ლაშარის ხატში ნახული ახლანდელის ლანდად აღარ ეჩვენა: მეფე კიდევ უფრო დავაჟკაცებულიყო და ერთიორად მიმზიდველი გამხდარიყო.

მისი ცქერით თავდავიწყებული ლილე ახლომახლო ვეღარაფერს ამჩნევდა, რატომღაც ღონე ელეოდა და, ალბათ, თვითონაც წაიქცეოდა, ლაშას რომ არ დაესწრო.

შიშისა თუ მოულოდნელობისაგან დაბნეული ლილე ადგილიდან ვერ იძროდა და ენის მოტრიალებას ვეღარ ახერხებდა. მეფე მკვდარი ეგონა, ყელში მობჯენილ ტირილს იკავებდა და თვალთაგან ცრემლი ღაპაღუპით სდიოდა.

_ ქორედში აიყვანეთ, დარბაზში მოასვენეთ... _ შესძახა ქეთევანმა, ქორედში მსახურებს აასწრო და დარბაზი სახელდახელოდ მიალაგ-მოალაგა.

აბრეშუმის ბალიშებზე მიასვენეს მეფე.

ტახტის სასთუმალთან ლილე დაუჯდა და აკანკალებული ხელით გაუხსნა საკინძი. მსახურმა წყალი მოიტანა, მკერდზე და სახეზე ასხურეს მეფეს, მაგრამ გულწასული ლაშა არც შენძრეულა.

_ ექიმთან, ჩქარა მკურნალთან გაიქეცით! _ იძლეოდა განკარგულებას ქეთევანი და მეფის მსახურები გარეთ გამოცვივდნენ.

ქეთევანი ჭიშკრამდის მიჰყვა მსახურებს.

_ სხვა დროს თუ მოსვლია მეფეს? _ იკითხა ქეთევანმა.

_ ჩვენ არ შევსწრებივართ და არც გვსმენია! _ მიუგეს მსახურებმა.

_ ვაითუ, ბნედა აქვს, _ გულში მჯიღის ცემით თქვა ქეთევანმა.

_ მტერთა დაცემას ჰგავს, მაგრამ სხვა დროს არ დაჰმართნია! _ დაამტკიცა მსახურთაგანმა.

მსახურები ამხედრდნენ და ზოგმა მარჯვნივ, ზოგმა მარცხნივ, ზოგმა ზემოთ და ზოგმა ქვემოთ ქეთევანის ნაჩვენები გზით გაჰქროლეს ერთდროულად რამდენიმე მკურნალისკენ.

ქეთევანი ქორედში დაბრუნდა, ფეხაკრეფით დარბაზში შევიდა, გულწასულ მეფეს დახედა და, სიცოცხლის ნიშანი რომ ვერ შეატყო, ლილეს ჰკითხა ჩურჩულით:

_ სულ არ მოიხედა?

ლილემ უარის ნიშნად თავი გააქნია და ცრემლები გადმოსცვივდა.

_ დავიღუპეთ, რაღა ჩვენსას მოუვიდა, ვინ იცის, რას იტყვიან და დაგვაბრალებენ... _ მუხლებზე ხელისცემით თქვა ქეთევანმა და დარბაზიდან კვლავ ფეხაკრეფით გამო-ვიდა.

გაფითრებული დაჰყურებდა ლილე და თმებზე ხელს ფრთხილად უსვამდა მკვდარივით უგრძნობელ ლაშას.

უცებ გაჩერდა ქალი. მეფეს შემკრთალმა დახედა და ერთი დაიგმინა:

_ ნუთუ, გათავდა! _ ამდენ ხანს შემაგრებული ცრემლი წასკდა და ხმამაღლა აქვითინდა.

ლოყაზე პირველი ცრემლის დაცემისთანავე შეინძრა ლაშა, სახე შეერხა და თვალი გაახილა.

_ ლაშა... ლაშარელავ... ხელმწიფეო! _ ჩასძახოდა სიხარულით გონდაკარგული ქალი.

მეფემ უცებ თითქო გაიზმორა, მკლავები გაშალა და ზედ დახრილ ლილეს შემოაჭდო ირგვლივ. ლილე შეკრთა, თავის დახსნა უნდოდა, მაგრამ ტანი არ აჰყვა, არ იცოდა, რა ხდებოდა, ნებამოდუნებული მიჰყვა და ლაშას მკერდზე დაემხო.

_ ჩემო ანგელოზო... ღვთაებავ! _ ამოიჩურჩულა მეფემ და ვნებიანი კოცნით დაეწაფა ლილეს ბაგეებს.

ერთხანს ასე იყვნენ ამ ქვეყნის ზრუნვისაგან გასულნი და ნეტარების სიტკბოში ჩაძირულნი.

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა. ლილე უცებ გონს მოეგო, მეფის მკლავებს გაუსხლტა და ფეხზე წამოდგა.

გაწეწილმა უმალ თმა გაისწორა, მღელვარე სუნთქვა დაიოკა და შემოსულებისკენ გაიხედა.

დარბაზში ქეთევანი შემოუძღვა მკურნალს.

_ ისევ ისეა? _ იკითხა ჩურჩულით ქეთევანმა. ლილემ ხმის ამოუღებლად, თავის ქნევით დაუდასტურა დედამთილს.

უკვე გონსმოსული ლაშა, ახლა მდგომარეობის შესაფერისად, კვლავ თვალდახუჭული და კრიჭაშეკრული იწვა.

მკურნალმა ხელსაწყოები მაგიდაზე დააწყო და ტახტთან სკამზე ჩამოჯდა.

მეფის მაჯა აიღო ექიმმა, ლილე სულგანაბული შესცქეროდა მკურნალის სახის ყოველ მოძრაობას...

ექიმს ჩაფიქრებული სახე გამოუცოცხლდა, თანდათან გაუბრწყინდა და ბოლოს ზედ ღიმი მოეფინა.

_ ცოცხალია? _ თითქმის ერთდროულად იკითხეს იქ მყოფებმა.

_ ცოცხალია... _ დაასკვნა მკურნალმა და ყველამ შვებით ამოისუნთქა.

* * *

ექიმმა გულის გასამაგრებელი წამლები მისცა ხელმწიფეს, ღვიძლისაგან მოსვლია, საშიში არაფერიაო, ანუგეშა მეფის შეშფოთებული მასპინძლები და მხლებლები.

მეფეს მშვიდად ჩაეძინა და ყველანი ფეხაკრეფით გამოვიდნენ დარბაზიდან.

ფრთაშესხმული ლილე ისე დადიოდა, თითქო მიწას ფეხს არ აკარებსო. რა ახარებდა ესოდენ, თავადაც არ იცოდა _ მეფის მომჯობინება თუ... ტუჩებზე, თვალებზე და ლოყებზე ისევ ცეცხლი ეკიდა ლილეს, მეფის თავდავიწყებული კოცნა ჯერ კიდევ არ განელებოდა და სახე ნეტარებისა და სირცხვილის ალმურით ალეწოდა. დადიოდა და არ იცოდა _ რისთვის, ხელს რასმე ახლებდა და არ იცოდა _ რატომ...

ქეთევანი ფხიზლობდა ისევ, მეფის მსახურები და მეზობლები დაეხმარებინა, საკლავი დაეკლა, თონე გაეხურებინა და ხელმწიფის სამასპინძლო თადარიგს შესდგომოდა.

* * *

ლილეს საწოლი იმ ოთახის გვერდით იყო, სადაც ახლა მეფე განისვენებდა.

შუაღამე გადასული იყო. არ ეძინა ლილეს, ეტყობოდა, არც მეფეს ეძინა: კედლის მეორე მხარეს ტახტი ხშირად ჭრაჭუნობდა და ზოგჯერ ჩუმი ჩახველებაც ისმოდა.

ფიქრობდა ლილე და ვერ გაეგო, რა დამართოდა მეფეს: მართლა ბნედა იყო, როგორც ქეთევანს დასცდა, თუ ღვიძლის ტკენისაგან გულის უეცარი შეღონება, როგორც მკურნალმა ახსნა. ვერც ის გაეგო ლილეს, თუ მეფის უეცარი მობრუნება რას ნიშნავდა _ უცებ რომ მოხვია ხელი უცხო ქალს. ნუთუ მეფემ გულის შეღონება მოიგონა, რომ ლილე მიეახლოებინა და უეცრად დასცხრომოდა თავს?

არა, ამას როგორ იკადრებდა მეფე, სიკვდილს როგორ მოიგონებდა, სუნთქვით აღარ სუნთქავდა და ფერი აღარ ჰქონდა! ან მისი გამოცდა რად უნდოდა ლაშას, ქალის უნახავი ხომ არ იყო სამეფოს ულამაზესი ასულებით თავმობეზრებული მეფე.

არა, რაღაც სხვა მოხდა და იქნებ მეფესაც ისე მოუვიდა, როგორც თვითონ ლილეს. რად ჰკოცნიდა ლილე, რად ეხვეოდა მეფეს, რა ანგარიშით და რა უფლებით? მაშინ ხომ არც უფიქრია ამაზე ლილეს, ხომ არ მოუკითხავს თავისი თავისთვის, ტუჩებისა და თვალებისთვის მეფის ხვევნისა და კოცნის უფლება? ხომ ყველაფერი თავისთავად მოხდა, მისი გონების განუსჯელად და დაუკითხავად!

და იქნებ მეფესაც ასე მოუვიდა, თავისდაუნებურად და გონების განუსჯელად... ისიც ხომ ადამიანია და მასაც ხომ გული აქვს?!

ქვემო სართულზე კიდევ ერთ ადამიანს არ ეძინა. ვახშმის მზადებითა და ამდენი შფოთით დაღლილი ქეთევანი ძალით ერეკებოდა თვალთაგან ძილს... ტანი მთელ დღეს ცუდს უაზრებდა, ეზოში ძაღლი ყმუოდა...

გრძნობდა, რომ კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ არ იცოდა, რა და საიდან. ლუხუმი არ დაბრუნდა. დედის ფიქრი პირველად შვილს მისწვდა: ხომ არაფერი უჭირს ლუხუმს? ალბათ, რამე შეემთხვა, თორემ მეფის სტუმრობას რომ გაიგებდა, შინ როგორ არ მოვიდოდა? მაინც რა უნდა გაჭირვებოდა ორი დღის წინ საღ-სალამათად წასულ ვაჟკაცს? ეს მეფის სტუმრობა არ მოსწონს ქეთევანს. თავიდან არ ეჭაშნიკა დედას შვილისა და რძლის განზრახვა, მეფის წვევა რა მათი საქმე იყო, გუშინდელი ყმა-გლეხების?

გრძნობდა დედის გული, რომ კარგი არაფერი ელოდა ამ სტუმრობით მის ოჯახს, გრძნობდა, მაგრამ კი ვერაფერი მოიფიქრა მომავალი უბედურების თავიდან ასაცილებლად. ერთი იცოდა ქეთევანმა, რომ ფხიზლად უნდა ყოფილიყო, ძილი თვალთან ახლო არ უნდა მიეშვა და ყური არ უნდა დაეხშო. იცოდა და აკი დიდხანს კერპობდა კიდეც, ნაშუაღამევი იყო და კიდევ არ ეძინა.

ბოლოს აყმუვლებული ძაღლიც გაჩუმდა, თავლაში დაბმული ცხენების ფრუტუნიც მისწყდა და დაღლილმა სხეულმა თავისი გაიტანა _ ქეთევანს ჩაეძინა.

მეფე ფეხაკრეფით წამოდგა, ფეხშიშველამ ნოხზე ფრთხილად გაიარ-გამოიარა. არ ეძინებოდა მეფეს, გული მეზობელი ოთახისკენ მიუწევდა. თავადაც არ იცოდა, რა უნდოდა იმ ოთახში _ უბრალო, ჩვეული ნდომა, ხორციელი თუ სხვა რამ უფრო ამაღლებული? არა, ხორციელი არ იყო ეს სწრაფვა, იგი უფრო სულის სწრაფვა იყო ტყუპის ცალის მეორე ცალისკენ, ნაწილის მიზიდულობა მეორე, ოდესღაც მისგან მოკვეთილი ნაწილისაკენ _ კვლავ მთლიანობის აღდგენისა და ერთ არსებად ქცევისათვის.

ბევრი ქალი უნახავს ლაშას, ბევრი ლამაზი მოსწონებია, შეჰყვარებია კიდეც, მაგრამ ეს გრძნობა, რომელსაც იგი ახლა განიცდიდა, არ ჰგავდა ადრე განცდილს, იგი სხვა იყო _ წმინდა და წრფელი, სათუთი და ბიწმიუწვდომელი.

ძილი არ ეკარებოდა ლაშას. ოთახში ყოფნა აღარ შეეძლო, მაგრამ არც სხვაგან წასვლის ძალა ჰქონდა.

გული გვერდით, მეზობელი ოთახისკენ მიუწევდა და მარტოდენ გული კი არა, ფიქრიცა და გონებაც, სულიცა და ხორციც.

ლაშა კარის ზღურბლთან მივიდა, მთვლემარე მცველი ფრთხილად გააღვიძა და ჩურჩულით ჰკითხა:

_ ლუხუმი არ მოსულა?

_ არ გხლებიათ, მეფევ! _ ჩურჩულითვე მიუგო ფეხზე წამომხტარმა მცველმა.

მეფემ ტუჩზე თითი მიიდო და მცველი უსიტყვოდ გააფრთხილა.

ნათელი ღამე იყო. მთვარის თეთრი შუქი სარკმლებიდან უხვად იფრქვეოდა ლილეს ოთახში.

რიკლედ დარჩენილ კარში შემოსული მთვარის ნათელი თეთრი თხელი კედელივით ჰკვეთდა ოთახს და ლილემ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ კარი ჩაურაზავი დარჩენოდა.

ჩვეულებრივ, დაწოლის წინ კარს მუდამ რაზავდა ლილე, მაშინაც კი, როცა მისი ქმარი შინ, გვერდით ჰყავდა.

ახლა რად დაუტოვებია დაუკეტავი, როცა სახლი ამდენი უცნობი მამაკაცით იყო სავსე და ლუხუმიც შინ არ ჰყავდა?

იქნებ შემთხვევით? მაშინ ადგეს და ჩარაზოს კარი, მაგრამ ლილეს ადგომა ეზარება, არა, იმდენად არც ეზარება, არ უნდა კარის დაკეტვა და თვითონაც ვერ გატყდომია თავის თავს, თუ რატომ.

კარი ნელა გაიღო და ზღურბლზე კაცის ლანდი აღიმართა.

_ ლუხუმი ხარ? _ იკითხა ჩურჩულით ლოგინზე წამოწეულმა, შეშინებულმა ლილემ.

კარი უხმოდვე მიიხურა და კაცის ლანდი ლილესკენ წამოვიდა.

_ ლუხუმი ხარ? ხმა გამე! _ კიდევ გაიმეორა ჩურჩულით ლილემ და პასუხი რომ არავინ გასცა, ლოგინზე წამოიწია და შიშით აცახცახებული კედელს მიეკრა.

_ ვინა ხარ?

_ მე ვარ, მეფე... _ მშვიდად თქვა ლაშამ და ლილეს ლოგინს მიუახლოვდა. მას ახლა, მთვარის მკრთალ შუქზე, კიდევ უფრო ლამაზი ეჩვენა ლუხუმის ცოლი, შიშველი მკერდის დამალვას რომ ცდილობდა ჩამოშლილი თმებითა და საბნის კუთხით.

_ მეფევ, აქ რა გინდა?! _ კანკალითა და შეშფოთებით შესჩურჩულა ლილემ.

_ შენი სიყვარული, ლილე... შენი...

მეფე მუხლზე დავარდა და ლილეს მოეხვია.

_ მაგას რას სჩადი, მეფევ!.. ადექი, გაიგონებენ... მიბრძანდი... გადი... თორემ...

_ იყვირე, დაუძახე... ვისაც გინდა, დაუძახე, მე აქედან წასვლა არ შემიძლია... კარგი იყო, სულ არ მენახე, ან იმ ერთი დანახვისთანავე მოვმკვდარიყავი. ახლა უშენობა აღარ შემიძლია...

რაც გინდა, მიყავი.. თუნდა აქვე მომკალი... _ სუნთქვააჩქარებული ჩურჩულებდა მეფე, ლილეს ხელებს უკოცნიდა და თავი მისი მკერდისკენ მიჰქონდა.

აკანკალებული, ენაჩავარდნილი ლილე თავგამეტებით იგერიებდა მეფის ხელებს, მაგრამ ღონე არ ჰყოფნიდა.

მისი სხეული კვლავ გონების დაუკითხავად მიიწევდა ლაშასკენ.

წინააღმდეგობის გაწევის ძალა შინაგანად წართმეოდა და მთელი სხეულით უცნაურად მოშვებულმა, თვითონაც ვერ გაიგო იმ წამის დადგომა, როცა თავის თავს აღარ ეკუთვნოდა.

მთვრალივით თუ ზმანების ბურანში წასულივით, გონების განსჯისა და ნებისყოფისაგან მიტოვებული ლილე უღონოდ მიესვენა ვაჟკაცის ცეცხლმოდებულ მკერდს.

კოცნით გახურებულ ბაგეებს სალაპარაკოდ აღარ ეცალათ, მხოლოდ ორი სიტყვაღა წყდებოდა უანგარიშოდ:

_ ლაშა... ლაშარელა...

* * *

ჯერ პირველ მამალს არ ეყივლა.

ლაშა ფრთხილად წამოდგა. ერთი უხმოდ აკოცა მძინარე ლილეს და მისთვის განკუთვნილ ოთახს ფეხაკრეფით მიაშურა.

იწვა ლაშა უჩვეულოდ აღფრთოვანებული და აღტაცებული. რამდენ ქალთან ყოფილა იგი და აღტაცების ასეთი გრძნობა ჟინის მოკვლის შემდეგ არასოდეს გაჰყოლია.

აქამდის თურმე მხოლოდ ხორცით ერთვოდა ჭაბუკი მეფე ქალებს, სული კი ისევ მარტო რჩებოდა, უგრძნობელი და დაუკმაყოფილებელი, რადგან თავის ჯუფთსა და ნაწილს ვერ ჰპოულობდა.

ამიტომ ხორცით ტკბობის სიამოვნებაც ხანმოკლე იყო ხოლმე და მეტწილად ჟინის დაცხრომასთან ერთად თავდებოდა.

მეფე ახლა პირველად განიცდიდა იმ ნეტარებას, რომელსაც ბოლო არა აქვს, რომელიც განგებისაგან შენთვის წყვილად დათქმული ადამიანის შეხვედრით იწყება და სიკვდილამდის არ თავდება. მან ახლა გაიგო წიგნებში ამოკითხულის ნამდვილი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ ისწრაფვის თავიანთ პირველ არსებაში თუ სტიქიაში ამქვეყნად გათიშული ორი სული ერთარსებადვე ქცევისაკენ, კვლავ ღვთაებასთან დაბრუნებისაკენ.

თურმე მისი სულიც ამაოდ დაეხეტებოდა ამდენ ხანს, მსგავსისა და ნათესავის უშედეგოდ მძებნელი.

ლაშა გრძნობდა, რომ ეულად მოარულმა მისმა სულმა ოდესღაც დაკარგულ თავის ნახევარს მიაგნო, მაგნიტივით მიეზიდა და ცეცხლის ალივით წაესწრაფა მასთან სამუდამოდ და საბოლოოდ შეერთებას.

სული კაცისა ლამაზია, მას ყოველდღე ლამაზი და სრულყოფილი იზიდავს, _ აგონდება ლაშას სადღაც ამოკითხული, _ როგორც კი სული ლამაზსა და სრულყოფილს ხვდება, მას ახლო აკვირდება და თუ გარეგნობის მიღმა თავის მსგავსებასაც ჰპოვებს, დაუყოვნებლივ უერთდება, _ ამას ჰქვია ნამდვილი ტრფობა და ჭეშმარიტი სიყვარული. როცა სული კაცისა გარეგნობის მიღმა ვერაფერს თავის მსგავსს ვერ ნახულობს, მისი ტრფობა გარეგნობით გატაცებას არ სცილდება და ასეთი ტრფობა მხოლოდ ჟინსა და ვნებას წარმოშობს.

რამდენჯერ მოსვლია ეგრე ლაშას, ლამაზი გარეგნობით მიზიდულს, თავი თავდავიწყებამდე შეყვარებული ჰგონებია, მაგრამ სატრფოს გარეგნობის მიღმა მის სულს მირიად სივრცეებში დაკარგული თავისი ნახევრის მსგავსება და ნათესაობა ვერ უპოვნია და ყველაზე დიდი გატაცებაც ისევე მალე ჩამქრალა, როგორც უეცრად აღგზნებულა.

საოცარი იყო ეს გააზნაურებული გლეხის ცოლი. პირველი დანახვისთანავე აღძრული გრძნობა საწოლმა არათუ გაანელა, კიდევ უფრო გააძლიერა.

მისი სხეულის უჩვეულო სურნელი ახლაც თავისკენ ეძახდა, აბრუებდა უცხო ნელსაცხებელსა და სურნელებამოყირჭებულ მეფეს.

როგორი ნატიფი იყო მისი ყოველი მოძრაობა, როგორი ზომიერი და რჩეული ყოველი სიტყვა!

ასეთი სისუფთავე ლაშას სამეფოს პალატებშიაც არ უნახავს! როგორი უბიწოებისა და შეურყვნელობის ბეჭედი ჰქონდა ყველაფერს ლილეს ოთახში! არასოდეს ლაშა ასე ბედნიერი არ ყოფილა, არც ერთ სამეფო სასახლის პალატში, როგორც ახლა იყო აქ, თავისი ყმის, ველისციხელი გლეხის ქორედი სახლის ამ პატარა, ნათელ ოთახში!

უკვე მამლები ყიოდნენ, ეზოში ვიღაც დააბიჯებდა.

ბედნიერებით პირთამდე სავსე მეფეს მკვდარივით ჩაეძინა.

* * *

ლილეს რომ გაეღვიძა, მზე უკვე კარგა შემაღლებული იყო.

ერთ წამს ყველაფერი მოიგონა, მხოლოდ ის აღარ ახსოვდა, როდის და როგორ დატოვა ლაშამ მისი ლოგინი და ოთახი.

მთელი სხეული რაღაც უჩვეულო კმაყოფილებით და სიმშვიდით ავსებოდა ლილეს. ასე ეგონა, იმ ღამეს პირველად იყო მამაკაცთან.

როგორ არ ჰგავდა ტლანქსა და მოუხეშავ ლუხუმს ლაშა!

როგორი რჩეული იყო და ნატიფი ჭაბუკი მეფის ალერსი, რამდენი ხალისი, ნეტარება და სიცოცხლის სიხარული იყო ჩაქსოვილი მის მოფერებაში, სხეულის ყოველი ნაკვთის მოძრაობაში!

ლაშასთან შედარებით, პირუტყვს ჰგავდა მიგრიაული და ლილეს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ნამდვილად მხოლოდ წუხელ დაკარგა ქალწულობა, რადგან მხოლოდ წუხელ განიცადა მთელი არსებით კაცობა და საკუთარი ქალობაც.

როგორც იქნა, ჰპოვა იგი, ვისთანაც ერთსულ და ერთხორც ცხოვრება თვით განგებისაგან ჰქონდა განკუთვნილი.

ორი არსების ეს შეერთება ორი მდინარის შეერთებას, ყოველი წვეთის ერთიმეორეში შერევას და ერთდინებად ქცევას უფრო ჰგავდა. წარსული ცხოვრება მისი სულისა და სხეულის დავიწყების ბინდბუნდს ეძლეოდა და წინ ახალი სიცოცხლე იწყებოდა, ერთნაკადად მიმდინარე ორი ადამიანის ნათელი და ბედნიერი სიცოცხლე. გონების თვალით უკან მიხედა ლუხუმთან ერთად გატარებულ დღეებს და ღამეებს. უფერული და უღიმღამო ეჩვენა და თვითონვე გაუკვირდა, როგორ შეეძლო ის განვლილი ცხოვრება ოდესმე ბედნიერებად დაესახა, ან ლუხუმისადმი თავის ერთგულებისათვის სიყვარული ეწოდებინა! მას წუხანდლამდე, ლაშასთან შეყრამდე, არც სიყვარულზე ჰქონია წარმოდგენა და არც ბედნიერებაზე. ახლა ერთიც კარგად იცოდა და მეორეც და ორივესაგან განუზომელ ნეტარებას განიცდიდა.

დაღლილსა და სიამით სავსე სხეულს კიდევ დიდხანს უნდოდა ლოგინში ნებივრობა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ეზოსა და სამზადში ხალხი დაფუსფუსებდა, შეშის ჩეხვისა და დანების ლესვის ხმა ისმოდა.

ლილემ ტანთ სწრაფად ჩაიცვა და ფეხაკრეფით გაიარა აივანზე.

მეფე ჯერ არ ამდგარიყო, ალბათ, ეძინა.

მსახურები ეზოში ტრიალებდნენ, მეფეს რომ არ გაღვიძებოდა, ერთიმეორეს ხმადაბლა ელაპარაკებოდნენ.

ლუხუმი დილაადრიან ამოსულიყო, ოჯახში დატრიალებულიყო და ახლა კაკლის ტოტზე ფეხებით დაკიდებულ უშობელს ატყავებდა.

ლილემ პირი დაიბანა და სარკესთან ჩვეულებრივზე მეტხანს იჯდა.

იგი ახლა განსაკუთრებული ყურადღებით სინჯავდა თავისი სახის ყოველ ნაკვთს, უნდოდა, მეფეს უნაკლო და სრულქმნილი წარსდგომოდა, რომ ღამის შთაბეჭდილება ლაშას კიდევ უფრო ცხოვლად და ძლიერად ჩვენებოდა.

ლილემ ერთხელ კიდევ კმაყოფილებით შეხედა თავის ორეულს სარკეში და ფარჩის კაბის შრიალით ამაყად გააბიჯა კიბისკენ.

ლილეს გამოჩენაზე მეფის მხლებლებმა ხმა გაკმიდეს, ეზოში მიმავალ ქალს აღტაცებით მიაჩერდნენ, თითქო ფერდობში მოცქრიალე უცხო ფრინველს შეჰყურებდნენ.

სამზადთან ქეთევანი შეეფეთა რძალს. ლილემ პირდაპირ შეხედვა ვერ გაბედა, დამნაშავესავით თვალი აარიდა დედამთილს და თავდახრილი, მისკენ მიუხედავად მიესალმა:

_ დილა მშვიდობისა, დედა-ბატონო!

_ გაიხარე, შვილო! ლუხუმი მოვიდა, არ ნახე?..

ლუხუმი ლილესკენ მობრუნებულიყო. გაბრწყინებული ცალი თვალით ცოლს შეჰყურებდა და უცინოდა.

დამკლაულ ხელებზე და ბანჯგვლიან მკლავებზე სისხლი ეცხო ლუხუმს, ხელში წვეტიანი დანა ეჭირა და იმ დანასაც სისხლი წვეთავდა.

სისხლიან ველურად ეჩვენა ლილეს თავისი ქმარი და მაშინვე წუხანდელი შედარება დაუდგა თვალწინ, განუვითარებელ, პირველყოფილ მხეც-ადამიანად ეჩვენა ახლაც იგი უნატიფეს და უფაქიზეს ლაშასთან შედარებით.

ლილეს უნდოდა, ქმარს მორიდებოდა, მაგრამ საით წასულიყო, ისიც აღარ იცოდა და, თავისდაუნებურად, ლუხუმისაკენ გაემართა.

_ ახლო ნუ მოხვალ, გენაცვალე, სისხლი არ მოგეცხოს! _ ალერსით უთხრა ქმარმა.

ლილე არც თავად ფიქრობდა ქმრის მოხვევას, შორიახლო დადგა და თავაუღებლად იკითხა:

_ წუხელ რათ არ ამოხველ?

ამ სიტყვებში ლუხუმს მონატრებული ცოლის საყვედური მოესმა, ხოლო თვით ლილეს ისე მოეჩვენა, თითქო ქმარს ნიშნი მიუგო _ ახია შენზე, რაც მოხდა, რატომ არ ამოხველო!

_ მხოლოდ ამ დილას შევიტყვე მეფის მობრძანება და მაშინვე აქ გავჩნდი, _ იმართლა თავი ლუხუმმა, მერე ლილესთან ახლო მივიდა და თითქმის ყურთან ხმადაბლა უთხრა:

_ ხომ აიხდინე საწადელი!..

ლილე შეკრთა, დანაშაულზე დაჭერილივით ახედა ლუხუმს, გადაკრულად ხომ არ მეუბნება, წუხანდელი ხომ არა იცის რაო.

ლუხუმის სახის ნახევარი ისევ გულუბრყვილოდ იღიმებოდა.

_ მალე აგიხდა მეფის სტუმრობის ნატვრა, ლილე, საწადელი აგისრულდა და, ვინძლო, ხელმწიფეს კარგად ვუმასპინძლოთ.

ლილემ შვებით ამოისუნთქა, რაკი დარწმუნდა, რომ მის ქმარს ეჭვიც არაფრისა ჰქონდა, ნაძალადევად გაუღიმა და კაბის შრიალით გაშორდა.

* * *

იმ დღეს დიდი პურობა გამართა ლუხუმმა. კახეთის ყველა წარჩინებული იწვია.

თამადა ბაკური იყო _ კახეთის ერისთავი.

მოსვლისთანავე გუმანით გაერკვა გამოცდილი ბაკური მომხდარ ამბებში. ერისთავმა იცოდა, რომ მეფე ტყუილად არ გაათევდა ღამეს ველისციხელი ყმის ოჯახში. ისიც იცოდა, რომ ლუხუმი იმ ღამეს შინ არ იყო. მაგრამ ან ამის ცოდნა რად უნდოდა, როცა მეფისა და ლილეს ყოველ გამოხედვაში ერთიმეორისთვის გაგიჟებული მიჯნურების ნდომითა და ვნებით სავსე ცქერას იჭერდა.

ბაკური უთქმელად მიხვდა მეფის საწადელს, თამადის თანაშემწეობა ლუხუმს დააკისრა და ზედიზედ დიდრონი ყანწები და აზარფეშები დააყარა.

მეფის სტუმრობით უზომოდ გახარებული ლუხუმი აღტაცებისაგან ისეც მთვრალივით იყო, ღვინოს ხარივით ეწაფებოდა და სასმისს ძირამდე ცლიდა.

დახარბებულ ვაჟკაცს ღვინო მალე მოეკიდა, ისედაც წითელი სახე სულ ატლასივით გაუხდა, საღი ჭროღა თვალი უარესად აემღვრა და ვერცხლისწყალივით აუთამაშდა.

იგი თამადისა და მოწოდებული სასმისის მეტს ვეღარაფერს უყურებდა და ვერც ამჩნევდა, თუ როგორ ჭამდნენ თვალებით ერთიმეორეს მისი სათაყვანებელი მეფე და საოცნებო ცოლი,

როგორ მისდიოდათ ფერფური და როგორ ესაუბრებოდნენ უხმოდ ერთიმეორეს მიჯნურების ტკბილსა და საიდუმლო ენაზე.

ბაკურ ერისთავმა მეფისა და მისი დიდი წინაპრების, რუსუდანისა და ქართველი ერის სადღეგრძელოებს მასპინძლის დედის დღეგრძელობა მოაყოლა.

მთელ დღეს ცეცხლთან ჯარასავით მბრუნავი ქეთევანი სამადლობელისათვის სუფრასთან მივიდა და პირველი გახედვისთანავე ის დაინახა, რასაც აღტაცებისა და ღვინისაგან დაბრმავებული ლუხუმი ვერ ამჩნევდა.

ცეცხლი მოეკიდა ქეთევანს, მაგრამ რა ექნა. აწრიალდა, სუფრას აღარ მოსცილდა, რამდენჯერმე ლილე დაასაქმა, კერძი და ღვინო მოატანინა.

უშველებელი სასმისით შესვა ლილეს სადღეგრძელო ერისთავმა, გრძლად ილაპარაკა დიასახლისის პატიოსნებასა და ქმრის ერთგულებაზე, განათლებულობასა და ხელმარჯვეობაზე.

_ ამისთანა ცოლი, ჩემო ლუხუმ, შენ კი არა, ერისთავებსა და მეფეებს დაამშვენებდა, _ იხუმრა ბაკურმა და ამ ხუმრობით თავისი თუ არა, მეფის გულისნადები მაინც თქვა.

მეფემ დაცლილი სასმისი ჩამოართვა, ერთი მრავლისმთქმელი მზერით შეხედა ლილეს და თვალაპყრობილმა ხმადაბლა უთხრა:

_ ყველა საწადელი მალე აგსრულებოდეს, ბედნიერი ყოფილიყო!

მეფე სასმისს დაეწაფა, დასცალა და ცარიელი ლუხუმს ესროლა. უკვე სიმთვრალისაგან ატორტმანებულმა ლუხუმმა სასმისი ჰაერში დაიჭირა, ზედ აკოცა და გულში ჩაიხუტა.

დალევა და ლუხუმის დაბარბაცება ერთი იყო.

თავი სუფრაზე დასდო და გრძელი ხვრინვა ამოუშვა.

ლილემ ზიზღით გახედა მხვრინავ ქმარს, სუფრიდან წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის მერე ლაშაც ადგა, ჯერ ვითომ აივანზე დაიწყო ბოლთის ცემა, მერე მოქეიფეთა თვალს მიეფარა და იმ ოთახში შევიდა, სადაც წუხელ ესოდენ სახსოვარი ნეტარება განიცადა.

სარკესთან იდგა ლილე და თმებს ივარცხნიდა.

ლაშა უკანიდან მიეპარა და მოეხვია. ქალმა სარკეში გაუცინა ვნებიანი სიცილით, მუხლებში მოეშვა და მთელი ტანით ვაჟკაცის მკერდს მიეყრდნო. მეფემ თვალები და ყელ-ყური დაუკოცნა ლილეს.

_ დღესვე თბილისს უნდა წავიდე და შენც თან უნდა წაგიყვანო! _ განუცხადა ლაშამ სატრფოს.

_ დღეს არა, მეფევ, დღეს არ მოხერხდება.

_ მე უშენოდ წასვლა არ შემიძლია, ლილე, და აქ ჩემი დარჩენაც შეუძლებელია.

_ მეც ვერ გავძლებ უშენოდ, ლაშა... ლაშარელა! _ მიეალერსა ქალი და მკერდში უფრო მაგრად ჩაეკრა.

_ დღეს... დღესვე უნდა წაგიყვანო, ლილე. უშენოდ წასვლა არ შემიძლია... ვერ გავძლებ...

_ არა, ჩემო სიცოცხლევ, დღეს რა საჩქაროა, მოიფიქრე, მეფურად გამოარჩიე უმჯობესი. ხალხისა და ღვთის საგმობ საქმეს ნუ ვიზამთ, ქვეყანას ნუ აალაპარაკებ... მეფე ხარ, შენი ყმები შენს ხელთ არიან. საქმე ისე მოაწყე, არც ჩემი ქცევა იყოს გასაკიცხავი, არც შენი გამორჩევა აუგად სახსენებელი.

_ ლილე... ლილე... შვილო! _ გაისმა ქეთევანის ხმა და ლილე უცებ გამოერკვა, ლაშას ხელიდან გაუსხლტა და თმების სწორებით ოთახიდან გავარდა.

სასადილოში ქეთევანი შემოსულიყო, სუფრაზე დაძინებული ლუხუმი რომ დაენახა, გულს შემოჰყროდა, მაგრამ ლილე და მეფე იქ რომ აღარ დახვედროდნენ, ამაზე მეტი ელდა სცემოდა.

_ რა იყო, დედა?! _ შემოსვლისთანავე იკითხა დაბნეულმა ლილემ.

ქეთევანმა მკაცრად ეჭვიანი თვალით გახედა რძალს და ცივად უთხრა:

_ ამ შენს კაცს რათ არ მოხედე, რომ სუფრაზე დასძინებია? მიშველეთ, ავაყენოთ, ოთახში გავიყვანოთ და დავაწვინოთ.

ორმა ქალმა ვაჟკაცების დახმარებით ძლივს ააყენა მძინარი ლუხუმი და ვაი-ვაგლახით გაიყვანეს ოთახიდან.

* * *

თბილისში დაბრუნებული მეფე მალე მიხვდა, რომ გული ველისციხეში დარჩა და ლილესგან მოშორებით ცხოვრება აღარ შეეძლო.

დღისით ჩვეულებრივად ლხინსა და ქეიფზე, მოგზაურობასა და ნადირობაზე გული აღარ მიუდიოდა მეფეს, ღამით თვალზე რული არ ეკიდებოდა...

გახდა და დაჯავრიანდა უსმელ-უჭმელი მეფე.

სასახლეში წუხდნენ ხელმწიფის უგუნებობას, მაგრამ მეფე გულს არავის უხსნიდა, სევდისა და მოწყენილობის მიზეზის კითხვას კი ვერავინ უბედავდა.

რამდენჯერმე მოინდომა ველისციხისკენ ჩუმად გაპარვა, მაგრამ აჩრდილივით მუდამ თან ადევნებულ ლუხუმს ვერაფერი მოუხერხა, მცველი ვერსად გაიტყუა და თავიდან ვერ მოიცილა.

რაკი გული აღარაფერზე მიუწევდა, სასახლეში ჩაკეტილი მეფე დროს წიგნების კითხვით კლავდა: ლეილისა და მეჯნუნის, ვისისა და რამინის, ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობის ამბებში საკუთარი უნუგეშობის მსგავსებას პოულობდა და ძნელი მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა.

სამიჯნურო წიგნების კითხვამ, დამშვიდების მაგივრად, კიდევ უფრო გააშმაგა მეფე.

ლაშა გრძნობდა, რომ ლილესაგან შორს ყოფნა, უიმისოდ ცხოვრება აღარ შეეძლო. მაგრამ წადილის ასასრულებლად თავად ვერაფერი მოეფიქრებინა და ვერც ხვაშიადი გაენდო ვისმესთვის.

დაუმძიმდა, გაუძნელდა ლაშას სატრფოს სიშორე. ლუხუმს დასანახავად ვეღარ იტანდა. მისი ყოველი შეხედვა თავის უღონობასა და უმოქმედობას აგონებდა, აანჩხლებდა და ბოღმით ავსებდა.

მეფის უგუნებობით შეწუხებული გულუბრყვილო მცველი კიდევ უფრო მორჩილი, მეფის სურვილის შესრულების კიდევ მეტად მოსწრაფე ხდებოდა და ამით მეფეს თავს უფრო აბეზრებდა.

@თავი მეთექვსმეტე. ფრთხილი ძაღლი და ფხიზელი დედამთილი

ლამაზი ქალის პატრონსა
უნდა ძაღლი ჰყავდეს ფრთხილი,
ან ძაღლი უნდა ფხიზლობდეს,
ანდა რძალის დედამთილი...

ხალხური

ნაშუაღამევს იძრა მიწა თბილისში.

მიწისძვრა ძლიერი იყო, ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა და მსხვერპლიც ბევრი მოჰყვა.

მეფეს არ ეძინა. მყარის პირველი შერყევისთანავე ფეხზე წამოდგა, სარკმელი გააღო და გარეთ გაიხედა. ახალმა ბიძგმა ხომალდივით შეატორტმანა სასახლე და მეფის ყურამდე განწირულმა კივილმა მოაღწია.

მტკვარგაღმა სახლები ინგრეოდა. მცხოვრებნი გარეთ ძლივს ასწრებდნენ და ჟინჟღილების შუქზე ქორისაგან დაწიოკებული წიწილებივით დარბოდნენ ნახევრად ტან-ფეხშიშველები.

იმ ღამესვე დაიარა ლაშამ მიწისძვრისაგან დაზარალებული უბნები. საბოძვარი გასცა, უსახლკაროდ დარჩენილთ თავშესაფარი უჩინა, დაღუპულთა ჭირისუფლები ანუგეშა და გაამხნევა.

მიწისძვრისაგან დაზარალებული უბნის თავში ახალმა მძლავრმა წყარომ ამოხეთქა. მდუღარესავით ცხელი და სხვა წყაროთაგან უმეტესად გოგირდოვანი იყო ახალი წყარო.

თბილისი ისეც მდიდარი იყო სამკურნალო აბანოებით. თამარის მეფობიდან მოკიდებული, აბანოში ბანება ყველასათვის უფასო იყო. შორიდან წამოსული მექარავნეები სიხარულით ელოდნენ თბილისში შემოსვლას, მარმარილოს ჭრელ აბაზანებში ჭუჭყისაგან გაწმენდასა და ამოდ მჩქეფარე წყალში განსვენებას.

მეფემ ქალაქის სრულიად დანგრევისაგან გადარჩენა ახალი წყაროს ამოსვლას მიაწერა. მაშინვე აკურთხებინა და ახალი აბანოს აშენება ბრძანა.

მეორე დღეს მანდატურთუხუცესმა აცნობა მეფეს, დიდი პაპის დავით აღმაშენებლის სასახლის პალატები დაუზიანებია მიწისძვრასო.

დავით აღმაშენებლის სასახლე დიდი ხანია არ ენახა მეფეს. დავითის შემდეგ ჯერ გიორგი მესამემ და მერე თამარმა ახალი, უფრო კეთილად მოწყობილი სასახლეები ააშენეს და მდიდრული პალატებით შეამკეს. დავითისეული პალატები უმეტესად დახშული იყო და იშვიათად, რაიმე განსაკუთრებული შემთხვევისთვის თუ გააღებდნენ ხოლმე.

მეფემ დაზიანებული პალატების ნახვა მოისურვა და თან თურმან თორელი და ეგარსლანი იახლა.

გარედანვე მოჩანდა: დიდი დარბაზის ზღუდე შუა გამსკდარიყო და კედელს პირი დაეღო.

მეფე დარბაზში შევიდა. კარის ზღურბლთან გაქვავდა ლაშა: ირგვლივ ყოველივე საოცარი სილამაზითა და ხალისით სუნთქავდა. გემოვნებით განაწილებული ძვირფასი ავეჯი, ფართო სარკმლიდან უხვად შემოსული შუქი და ბოლოს _ ცოცხალი, მიმზიდველი და მეტყველი ფერებით მოხატული დიდი კედლები.

მეფე თვალს ვეღარ აშორებდა მოპირდაპირე კედელს: ფუნჯის დიდოსტატს მწუხრის ბინდბუნდი გამოეხატა კედელზე. სამეფო სახლის ერდოზე წელში მოხრილი, უკვე მოუძლურებული მოხუცი იდგა საცვლების ამარა. მოხუცის სხეულის მოძრაობა დაღლილობასა და უღონობას ამჟღავნებდა, ხოლო სახე გაძლიერებული ცეცხლივით აღგზნებული ჰქონდა. თვალნი, გასაქრობად მიდრეკილი ნაკვერცხლებივით, უკანასკნელი გზნების ძალასა და მცხუნვარებას, დაფერფვლის განცდის ნეტარებას გადმოსცემდნენ. მოხუცის თვალები ხარბად, აღტკინებული მიპყრობოდნენ მდინარეში მობანავე ქალის ვნებით დაყურსულ შიშველ ტანს.

საოცარი სილამაზით აემეტყველებინა ფერი და ხაზი მხატვარს. შემოსული ვენახივით სავსე ქალის სხეულის არა მარტო ყოველი ნაკვთი მოუხმობდა ხორცით ტკბობის ნეტარებისაკენ, არამედ ჰაერიც, ქალის გარშემო განაბული ჰაერიც ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სხეულით თრობასა და მაჭრობას გადმოსცემდა.

_ იყო წინა მწუხრის... _ ჩაესმა ლაშას და მოიხედა.

თურმანი კედლის მხატვრობას გაჰყურებდა და ძველი აღთქმიდან დავით წინასწარმეტყველის ცდუნების ამბავს ზეპირად კითხულობდა. ლაშამ თორელისკენ ახლო მიიწია და ყური მიუგდო. თურმანი განაგრძობდა:

_ და აღდგა დავით საწოლისაგან თვისისა და ვიდოდა ერდოსა ზედა სახლისა სამეფოსა და იხილა დედაკაცი ერდოით, რომელი იბანებოდა: ხოლო დედაკაცი იგი იყო შესახედავად ფრიად კეთილი და წარავლინა დავით და იძია დედაკაცი და თქვა: არა ესრე არსა ბერსაბე ასული ელიაბისა, ცოლი ჰურია ქეტელისა და წარავლინა დავით მსახურნი და მოიყვანეს იგი და შევიდა მისდა და დაიძინა მისთანა... _ თორელი შემობრუნდა და მეორე კედელს მიაპყრო თვალი. _ მიუწერა დავით წიგნი იოაბს, მხედართმთავარსა თვისსა: შეიყვანე ჰურია პირისპირ ბრძოლისა ძლიერისა და უკუნ იქეცით მისგან, რათა იწყლას იგი და მოკვდეს.

ლაშა შეტოკდა. თვალი დაჟინებით მიაშტერა დავითის მხედართმთავრის იოაბის მკაცრ სახეს.

დაადგინა იოაბ ჰურიაი ქეტელი ადგილსა ზედა განსაცდელთასა. გამოვიდნენ კაცნი ძლიერნი ბრძოლად და მოკლეს მუნ ჰურია ქეტელი.

თორელი წამით შეყოვნდა.

სწორედ იმ ადგილას გამსკდარიყო კედელი მიწისძვრისაგან, სადაც მოკლული ჰურია იყო დახატული.

კედლის ნარღვევი შუაზე ჰყოფდა ქეტელის სახეს. სახის ნახევარი დაზიანებულიყო და საღებავი მოშორებოდა. ლაშას კედლიდან ჰურია ქეტელის ცალი თვალიღა უყურებდა; მეორე

თვალი დავსილივით ძლივსღა ჩანდა და სახის მთელი ნახევარი საღებავისა და კედლის ფენის ურთიერთგათქვეფისა და ჩამოშლის შედეგად უცნაურად და შემაზრზენად გამოიყურებოდა.

მეფეს თვალი აერია. წამით ქეტელი ჰურიას სახე სადღაც მიეფარა და მისი ადგილი კედელზე ლუხუმ მიგრიაულის ცალთვალა, დასახიჩრებულმა სახემ დაიკავა.

_ ვითარ მიუწერა დავითმა იოაბს? _ ჩაჰკითხა ლაშამ თორელს და თან ფიქრში წასული თვალები კედლის იმ ნახატს მიაშტერა, სადაც ლამაზ ბერსაბეს ქმრის დარღვეული სახის ადგილას ლილეს ცალთვალა ქმარს ხედავდა.

_ მიუწერა დავით წიგნი იოაბს, მხედართმთავარსა თვისსა: შეიყვანე ჰურია პირისპირ ბრძოლისა ძლიერისა და უკუნ იქეცით მისგან, რათა იწყლას იგი და მოკვდეს. დაადგინა იოაბ ჰურია იგი ქეტელი ადგილსა ზედა განსაცდელთასა. გამოვიდნენ კაცნი ძლიერნი ბრძოლად და მოკლეს მუნ ჰურია ქეტელი.

ეგარსლანი სულგანაბული უგდებდა ყურს თორელს და თან მეფეს თვალს არ აშორებდა. უცებ მეფემ მოიხედა და უნებურად თვალი თვალში გაუყარა.

ეგარსლანი უსიტყვოდ მისწვდა მეფის ფიქრს, მისთვის ყოველი ნათელი იყო. მან უკვე იცოდა, თუ როგორ ემოქმედნა.

კარის მგოსნის უკანასკნელი სიტყვები იმის გამჟღავნებად მოესმოდა, რაც ხვალ თვითონ უნდა მოემოქმედნა მეფის ბედნიერებისათვის, ხელმწიფის ახალი წყალობის დამსახურებისათვის:

_ წარავლინა დავით და მოიყვანა იგი სახლსა შინა თვისსა და იქმნა მისა ცოლ და უშვა ძე...

* * *

იმ დღეს სასიხარულო ამბავი მოვიდა. მხარგრძელს საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი ყივჩაღთა ჯარი სრულიად გაენადგურებინა. ძლევამოსილი ქართველთა ლაშქარი უამრავი ტყვითა და ალაფით დედაქალაქისკენ დაბრუნებულიყო.

სასიხარულო ცნობამ ყველა და, რაღა თქმა უნდა, მეფეც გაახარა, მხოლოდ ეგარსლანს ეწყინა ასე უცებ და მოულოდნელად ომის დამთავრება, _ მას ხელიდან ეცლებოდა თავისი განზრახვის ასრულების საუკეთესო შემთხვევა.

ომი დამთავრებული იყო და მეფე იძულებული ხდებოდა, კვლავ ეთმინა ლუხუმის აბეზარი სიახლოვე და ლილეს აუტანელი სიშორე. ეგარსლანს თავისი გეგმის შესრულება მომავალი ხელსაყრელი შემთხვევისათვის უნდა გადაედო და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს გაუთავებელი მოლოდინი.

ლაშა ჯერ კიდევ ალაფისა და ყივჩაღი ტყვეების მითვლასა და გაცემაში იყო, რომ სახელმწიფოს ახალი საზრუნავი გამოუჩნდა.

განძის შემდეგ ახლა მეორე ყმადნაფიცი ქვეყანა _ ნახჭევანი გასდგომოდა, საქართველოს სამეფოს მორჩილებაზე და ხარკის მოცემაზე უარს აცხადებდა.

სამეფოს მესვეურები მიხვდნენ, რომ განძის შემდგომ ნახჭევნის განდგომა საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების უბრალო ეპიზოდი კი აღარ იყო, არამედ იმ ჯაჭვის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა, რომელიც სამეფოს ძლიერებას დამხობას უქადდა.

ამდენ ხანს ერთგული საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყნები, ხედავდნენ რა სამეფოს შინა აღრევას და ერთმთავრობის სისუსტეს, ზედიზედ, ერთიმეორის მიყოლებით ამბობდნენ უარს ხარკის ძლევასა და მორჩილებაზე.

დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, საქართველოს სამეფოს საგარეო პოლიტიკა მოსაზღვრე ქვეყნების მიმართ მუდამ აქტიური იყო. სამხრეთისაკენ შორს წაწეულ საქართველოს ძლევამოსილ მხედრობას თავისი მეზობელი და ყმადნაფიცი ქვეყნები ერთგულებასა და მორჩილებაში ჰყავდა.

თამარის სიკვდილისა და ივანე მხარგრძელის აღზევების შემდეგ საქართველოს სამეფოს ეს ნაცადი პოლიტიკა თანდათან შესუსტდა.

მხარგრძელს მეტისმეტი სიმდიდრე ხელს უშლიდა, ჭარმაგობაშიც ისეთივე გულწრფელი მამულიშვილი დარჩენილიყო, როგორც სიჭაბუკეში იყო. მის მამულებსა და სამფლობელოებს საზღვრები აღარ ჰქონდა, მისი საქონლით დატვირთული ქარავნები კიევამდე და ბაღდადამდე, ხვარაზმამდე და ინდოეთამდე მოგზაურობდნენ. ათაბაგს დიდი ხნის შრომითა და ბრძოლით შეძენილი უზომო სიმდიდრის საფრთხეში ჩაგდებისა ეშინოდა და ფრთხილად იქცეოდა. იგი ციხეებსა და სადარაჯოებს ამრავლებდა, შიგ ძლიერ რაზმებს აყენებდა და ამით ფიქრობდა ქვეყნის დაცვისა და ძლიერების განმტკიცებას.

მეფე და ახალციხელები საქართველოს სახელმწიფოს ძლიერებას მისი ხმლის ძალაში ხედავდნენ. ისინი კვლავ ძლევამოსილი ომების გაგრძელებასა და ახალი ქვეყნების დალაშქვრას მოითხოვდნენ, რადგან ლაშქრობასჩვეული მხედრობის უქმად ყოფნა სახელმწიფოს მომავლისათვის საზიანოდ მიაჩნდათ.

ნახჭევნის განდგომამ ახალციხელს კიდევ ერთი საბუთი მისცა საქართველოს მთავრობის პასიური საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

იმის ნაცვლად, რომ ჩვენ კვლავ ხოროსანსა და რუმში ვლაშქრობდეთ, შეშინებულივით შინ ჩავკეტილვართ და გათამამებული ყმადნაფიცების დაშოშმინებასა და დასჯაზე ვხარჯავთ ღონესა და საჭურჭლეს. იმის ნაცვლად, რომ სამეფოს სიმდიდრე და მიწა-წყალი ემატებოდეს, სახელმწიფოს სალარო თავდასაცავი ბრძოლებისათვის ცარიელდება და ქართველი მხედრობა განძასა და ნახჭევანს აწყდებაო, _ განაცხადა დარბაზის სხდომაზე ახალციხელმა და ბრალი საქართველოს ამ მდგომარეობამდე მიყვანაში მხარგრძელს დასდო.

ბჭობა იმით დასრულდა, რომ მეფის წინადადებით, თავგასული ნახჭევნელების ჭკუის სასწავლებლად ლაშქარი გაგზავნეს და ქართველთა მხედრობას შალვა ახალციხელი უსარდლეს.

ლაშქრის წასვლის წინ ეგარსლანი წინამბრძოლთა სარდლად დანიშნულ ბიბლა გურკელს ესაუბრა დიდხანს.

ბიბლა მეფის ახლობელ და ახალგაზრდა სარდალთაგან ეგარსლანისათვის ყველაზე მისანდო იყო.

ბიბლას შემდეგ ლუხუმი მოიხმო. პირდაპირ თვალში არ შეუხედავს, დაყვავებით ელაპარაკა:

_ შენი დიდი ვალი ადევს მეფეს. მისი სიცოცხლე მრავალგზის დაგიცავს და ბევრი ერთგულება გამოგიჩენია. ალბათ, გული სამამაცო და საგმირო საქმისკენ მიგიწევს, აქ რად უნდა დარჩე, ამხანაგებს რად უნდა გამოაკლდე, წადი ლაშქრად, ბრძოლაში თავს გამოიჩენ, სახელოვანი და ნადავლიანი დაბრუნდები. მე შენი წარჩინება მსურს. მხედრობაში დაწინაურდები, ჯილდო და მამულები მოგემატება, ახალ პატივსაც იშოვნი და მეფის ერთგულ დიდებულებს მხარში ამოუდგები, _ უთხრა ეგარსლანმა და გამომცდელად შეხედა მიგრიაულს.

_ როგორც ხელმწიფის ნება იქნება!

თავდახრით თქვა ლუხუმმა და ბიბლა გურკელს მიჰყვა მორჩილად.

* * *

შემოდგომა იდგა კახეთში, უხვი და ბარაქიანი შემოდგომა. ყურძენი უკვე მოსაკრეფად იყო შემოსული. ეზოებიდან ქვევრების შხუილი და მრეცხავების ღიღინი ისმოდა.

ღობეებზე გადმოკიდებულ ბროწეულებს ყბები დახეთქოდათ და მიჯრით მიწყობილი კბილები გამოეჩინათ... მწიფე ლეღვებს ყუნწები მისუსტებოდათ და მიჭკნობოდათ, კომშები ზაფრანისფრად გაყვითლებულიყვნენ და წენგოშემომხმარი კაკლები ბუდიდან გამოსახტომად გამზადებულიყვნენ.

ქარვითა და ლალით დამძიმებულიყო მიგრიაულების ეზო-გარემოიც.

მამაკაცი _ ოჯახის თავი, შორს, ომში იყო წასული. კარზე მომდგარ მოსავალს დაბინავება და პატრონობა უნდოდა. ქეთევანი მარტო იყო და ყველაფერს ვერ სწვდებოდა. რამდენიმე ყმა ჰყავდა გააზნაურებულ მეფის მცველს, მაგრამ თვითონ გუშინდელი ნაყმევი ქეთევანი ჯერ კიდევ არ იყო შეჩვეული ყმების დასაქმებას და წარამარა მათი დაძახება ეჩოთირებოდა.

ლილეს მოხმარება ერთ რამედ უღირდა ქეთევანს, მაგრამ რძალი თავად არ ეკარებოდა ოჯახის საქმეს და დედამთილსაც ეხათრებოდა ყოველ წუთში მისი შეწუხება.

ეს ერთი ხანი ქეთევანი ცვლილებას ატყობდა რძალს. ლილე მხიარულ გუნებაზე იყო და ერთთავად სულ ღიღინებდა, მღეროდა თავისთვის, გატაცებით, რაღაცას თუ ვიღაცას შეჰმღეროდა. ზოგჯერ ფიქრში წავიდოდა, ვიღაცას თუ რაღაცას უღიმოდა და ეჩურჩულებოდა, თვალებგამოშტერებული ირგვლივ ვეღარავის ამჩნევდა და აღარაფერი ესმოდა.

უმეტესად ქორედის აივანზე იდგა ლილე და მოაჯირსგადაყრდნობილი შორს, დასავლეთისკენ გაჰყურებდა მეოცნებე თვალებით.

ბოლო ხანს ესეც შენიშნა ქეთევანმა: დროდადრო რძალს ფერი მისდიოდა და გულს აზიდებდა. დედამთილისაგან ფარულად რძალი მკვახე ქლიავსა და ბროწეულს, დაწნილებულ კიტრსა და კომბოსტოს ეტანებოდა. ერიდებოდა ქეთევანს ლილე, მაგრამ გამოცდილი დედამთილის თვალს რა გამოეპარებოდა. ხედავდა ქეთევანი რძლის გუნების შეცლას და უხაროდა, რომ მალე მის სახლშიაც დაირწეოდა აკვანი, მის ეზოსაც აავსებდნენ ჟივილ-ხივილით ოქროსქოჩრიანი შვილიშვილები.

ეს კი იყო, რომ ლილეს პირიდან ლუხუმის ხსენება არ ამოდიოდა, გამვლელ-გამომვლელს თბილისის ამბებს ეკითხებოდა, მეფის ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას შეიტყობდა და თავის ქმარზე ენასაც არ დაძრავდა.

თუ აივანზე არ იყო ლილე, თავის საწოლ ოთახში მუთაქებზე წამოწოლილი ისვენებდა, კედელზე დაკიდებულ ლაშას ვეებერთელა სურათს შეჰყურებდა თვალმოუცილებლად, უღიმოდა, ეალერსებოდა და ეჩურჩულებოდა.

რამდენჯერ შეუსწრია თვალი ამ მდგომარეობაში ქეთევანს რძლისთვის. არ მოსწონებია, მაგრამ ვერაფერი უთქვამს. შავი ფიქრები აშლია, მაგრამ შეუძლებლის ეჭვი დიდხანს არ გაჰყოლია და, საქმიანობით გართულს, უმალვე დავიწყებია.

ლუხუმის ლაშქრად წასვლის ამბავი რომ მოვიდა, ლილემ დედამთილს მიღებული გრძელი ბარათიდან მხოლოდ შვილის ომში წასვლა აცნობა. დანარჩენი თავისთვის წაიკითხა უზომო სიხარულისაგან სახეალეწილმა.

დედას რომ შვილის ომში წასვლის გამო თვალიდან ცრემლი სდიოდა, ცოლს სიხარულისაგან ცას ხელი უწვდებოდა.

ტაშის დამკვრელი რომ ვინმე ყოფილიყო, ლილე, ალბათ, ჩამოუვლიდა, უნდოდა ვისმესთვის გაეზიარებინა თავისი აღფრთოვანება და, მეტი რომ ვერაფერი მოიგონა, სიხარულისაგან ფრთაშესხმული დედამთილს ეცა, გულში ჩაიკრა და სახე დაუკოცნა.

მოულოდნელობისაგან გაშტერებულმა ქეთევანმა რძალს გაოცებით შეხედა. ლილე გამოერკვა, ბარათი უბეში ჩაიდო და დედამთილს, ვითომ დასამშვიდებლად, უთხრა: ნუ სტირი, დედა, მეფე ლუხუმს არაფერს გაუჭირვებს, ომიდან მალე ნადავლიანი და სახელიანი დაგვიბრუნდებაო.

ადრეც შენიშნა ქეთევანმა: ბაკურ ერისთავმა რამდენიმეჯერ გამოიარა გზად, ლილეს რაღაცას ხმადაბლა ეუბნებოდა. ერისთავის წასვლის შემდეგ ქეთევანს მხოლოდ იმას ეტყოდა რძალი, ლუხუმის ამბავი მომიტანა, კარგად ყოფილაო. თვითონ გრძელ ბარათს ჩაუჯდებოდა და დიდხანს თვალებგაბრწყინებული კითხულობდა.

გუმანი რაღაც ცუდს ეუბნებოდა ქეთევანს, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერი ეთქვა მორიდებულ დედას, კითხვა ვერ შეებედნა რძლისათვის, რაკი თვითონ ლილე არ თვლიდა საჭიროდ, რომ იმ ბარათში დაწერილი ეამბნა.

უკანასკნელი ბარათის შემდეგ სულ ვეღარ ცნობდა ქეთევანი რძალს. დილით უთენია დგებოდა, სარკესთან ტრიალებდა, ბოხჩებში ტანსაცმელს ალაგებდა და მთელი დღე აივანზე მღეროდა. მღეროდა და თვალი გზისკენ, თბილისიდან მომავალი გზისკენ ჰქონდა.

ღამე, ყველა სულიერი რომ დაბინავდებოდა და დაიძინებდა, შარაზე რომ ჩამიჩუმი მისწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შემოვიდოდა შინ ლილე და გაუხდელად წვებოდა, თითქო ვისმეს დაძახილის მოლოდინში ყოფილიყოს.

* * *

მარანში საწნახლის რეცხვაზე გაცივდა ფეხშიშველი ქეთევანი, ძვლების მტვრევა და ზმორება დააწყებინა, თავის ტკივილმა შემოუტია და ლოგინად ჩავარდა. ლილე ისევ ერთთავად აივანზე იყო. მძიმე ოხვრასა და კვნესას რომ გაიგონებდა, ავადმყოფი მაშინ გაახსენდებოდა, წამით ოთახში შევიდოდა, დახედავდა, წყალს დაალევინებდა ან საჭმელს მიაწოდებდა და კვლავ აივნისკენ მირბოდა.

ერთ საღამოს, კარგად რომ შებინდდა, ქეთევანს ჯერ ცხენების ფეხის ხმა მოესმა, მერე ძაღლის გაბმული ყეფა და ბოლოს ისე მოეჩვენა, თითქო ვიღაცამ კიბე ჩაირბინა.

_ ყურშა... გაჩუმდი... _ მოესმა თუ მოეყურა ქეთევანს ლილეს ჩურჩული.

_ ლილე... ლილე, შვილო! _ გასძახა ქეთევანმა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

_ ლილეეე!.. ლილეეე! _ ახლა მთელი ხმით გასძახა მისუსტებულმა სნეულმა, მაგრამ კვლავ არავინ გამოეხმაურა.

ქეთევანი შეწუხდა. ათასი შავი ფიქრი ერთად აეშალა, აწრიალდა და ლოგინში ვეღარ გაჩერდა. საწოლის თავს მოეჭიდა და ძლივსძლივობით წამოდგა. ხელის ფათურითა და ბარბაცით, საცვლებისამარა და ფეხშიშველა, კარამდის ძლივს მივიდა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და მისუსტებული ხმით გასძახა ღამეში:

_ ლილეეე!.. ლილეეე!

თავბრუ მოეძალა ქეთევანს და თვალები დაუბნელდა. იქვე მოაჯირთან ჩაიკეცა და მოცელილივით დაეცა.

სადედოფლოდ შეკაზმულ ცხენზე შემჯდარ ლილეს ყრუდ მოესმა დედამთილის ძახილი. ბედნიერებისაგან თავდავიწყებულს მაინც შეებრალა უპატრონო ავადმყოფი. მეფეს პატიება სთხოვა, წამით მეზობლის ჭიშკართან შეაჩერა ცხენი, ვიღაც ქალი მოიხმო და შეეხვეწა:

_ შენი ჭირიმე, ასინეთ, ჩემს დედამთილს მიმიხედე, მე გაღმა მხარს მივდივარ, ქმრის ამბის გასაგებად, ლუხუმთან ომში ნამყოფი კაცი მოსულა... _ იცრუა ლილემ და ვიდრე გაოცებისაგან გაოგნებული მეზობლის ქალი პასუხს ეტყოდა, ცხენს მათრახი უშხუვლა და წინწასული ცხენოსნებისკენ გააქროლა.

* * *

სასახლეში ლილეს მიყვანა არავის გაჰკვირვებია, ლაშას ადრეც არაერთხელ მიუყვანია ლამაზი ხარჭები, კვირაობით და ზოგჯერ თვეობითაც ჰყოლია სასახლეში, მერე მობეზრებია და უკანვე გაუშვია. ახლაც, გაიგეს თუ არა, მეფემ ახალი ხარჭა მოიყვანაო, სასახლეში ხმა დაირხა, მსგავსი მშვენების ქალი ჯერ მეფის პალატებში არ ყოფილაო.

ამ ხმამ რუსუდანამდე იმ დღესვე მიაღწია. მეფის პალატებში შემოირბინა და ხეირიანადაც არ მისალმებია ლაშას, უცნობ ქალს ახლად ნაყიდი ნივთივით დაუწყო მუშტრის თვალით სინჯვა და თავით ფეხებამდე თვალიერება. ლაშამ რუსუდანის ნატიფი გემოვნება კარგად იცოდა და ამიტომ მის მოწონებას განსაკუთრებული მღელვარებით მოელოდა.

_ როგორია, რუსუდან? _ შეეკითხა, როგორც კი განმარტოვდნენ.

_ ლამაზია... ზომაზე მეტად ლამაზი, მაგრამ... _ შეყოყმანდა რუსუდანი.

_ მაგრამ რა? _ მოუთმენლად შეეკითხა მეფე.

_ მაგრამ... ესეც მალე მოგწყინდება, _ გადაიკისკისა რუსუდანმა.

_ ეს კი უკვე აღარ მომწყინდება, არასოდეს აღარ მომწყინდება, _ დაბეჯითებით თქვა ლაშამ.

_ ვნახოთ.. ვნახოთ! _ დაქადნებით უთხრა რუსუდანმა და მეფის პალატიდან ისევე სირბილით წავიდა, როგორც შემოვიდა.

სადედოფლო ტანსაცმლით შემოსა მეფემ ლილე. თავს გვირგვინი არ დაუდგამს, თორემ აღარაფერი დაუკლია, გვერდიდან არ იცილებდა, მუდამ თან დაჰყავდა და მეფური პატივით ეპყრობოდა.

მეფე იქამდის მივიდა, რომ უცხო დესპანების მიღებისას ლილე გვერდით მოისვა და ელჩები ათაყვანა.

@თავი მეჩვიდმეტე. გამარჯვების მახარობელი

ქართველთა ლაშქარი ბრძოლით მიიწევდა სამხრეთისაკენ. ადრე აღებული და შემომტკიცებული ციხეებისა და ქალაქების აღება ხელახალი ბრძოლებით უხდებოდა შალვა ახალციხელს.

ნახჭევნის გზაზე პირველი დიდი ბრძოლა ქართველებმა ოროტის აღებისას გადაიხადეს.

ბიბლა გურკელი ციხის იერიშს ხელმძღვანელობდა. ეგარსლანის დავალების შესრულებისათვის გურკელს სწორედ აქ ჰქონდა შესაფერისი შემთხვევა.

ლუხუმ მიგრიაული იმ რაზმს უთავა, რომელიც ციხის ყველაზე კარგად დაცულ ნაწილს უტევდა. შორიახლო მაღლობზე მდგარი ბიბლა მიგრიაულის რაზმის გააფთრებულ იერიშს უცქერდა. მეციხოვნეები სეტყვასავით აყრიდნენ ისარს მოიერიშეებს. ეჭვი არ იყო, რომ ქართველთა რაზმის თავზეხელაღებული მეთაური ამ ფიცხელ ომს ვერ გადარჩებოდა, გურკელი ეგარსლანის დავალებას შეასრულებდა და მეფის წყალობას დაიმსახურებდა.

მაგრამ სწორედ ის მოხდა, რასაც მეფის ერთგული დიდებული სრულიად არ ელოდა: მეციხოვნეებმა მაღლობზე მდგარი სარდალი შენიშნეს, მიზანში ამოიღეს და ბიბლა გურკელი მძიმედ დაჭრეს.

ციხის კართან ოროტელებმა გააფთრებით შემოუტიეს. მოიერიშეები შედრკნენ და აირივნენ. ის იყო ზურგი აქციეს მტერს, რომ მიგრიაულმა დასჭყივლა, ქორივით თავს დაუარა და სივლტოლვად მიქცეული მეომრები ისევ წინ გაირეკა. სწორედ ამ დროს შალვა ახალციხელმა მოიერიშეებს დამხმარე ჯარი მიაშველა, ციხის სხვა მხრიდანაც მხნედ შეუტია და სიმაგრე ოთხივ კუთხივ შელეწეს ქართველებმა.

ციხე-სიმაგრეში პირველი ლუხუმ მიგრიაული შევარდა, ციხის თავი ცოცხალი შეიპყრო და ახალციხელს წარუდგინა.

ქართველებმა ოროტი მოარბიეს და მოსწვეს, ციხის კედლები მიწასთან გაასწორეს. ოროტელთაგან ერთ მცირე ჯგუფს, განგებ, ბრძოლით გასვლის საშუალება მისცეს, რომ ნახჭევანში ქართველთა ძლევამოსილების ამბავი ჩაეტანათ.

ახალციხელმა მძიმედ დაჭრილი გურკელი ოროტში დატოვა სამკურნალოდ და თვითონ მთელი ლაშქრით ნახჭევნისკენ დაიძრა.

ახალციხელისაგან განზრახ უვნებლად გაშვებულ ოროტელ მეციხოვნეების ჯგუფს მთელ ნახჭევანში ქართველთა ძლიერებისა და სისასტიკის ხმა დაერხიათ.

ნახჭევნელებმა იცოდნენ, რომ ქართველთა მხედრობას სახელგანთქმული სარდალი შალვა ახალციხელი მოუძღოდა. ახალციხელის სახელი ისევე, როგორც ზაქარია და ივანე მხარგრძელთა სახელები, შიშის ზარს სცემდა მთელ ახლო სამაჰმადიანოს.

იგი თავის დროზე ნახჭევნის აღებაში მონაწილეობდა და ნახჭევნის სამხრეთითაც არაერთი უმაგრესი ციხე-ქალაქი ჰქონდა აკლებული და მინგრეული.

ნახჭევანზე პირველი ძლიერი იერიშისთანავე შეშინებულმა ამირამ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებლად სცნო, ქართველებს მორჩილებას შემოეხვეწა და წინანდელი ხარკის ძლევა აღუთქვა.

ახალციხელმა მორჩილების პირობები მიიღო და ციხის კლიტეები მიითვალა. ვიდრე ალაფისა და ხარკის გაწესრიგებას მორჩებოდა, ქართველთა ლაშქარი ნახჭევანში უნდა დარჩენილიყო. სარდალს მეფისათვის გამარჯვების მახარობელი უნდა გაეგზავნა და ახალციხელმა ლუხუმზე შესაფერისი ვერავინ მონახა.

შალვას იმთავითვე მოსწონდა მიგრიაული, ბრძოლაში მისი თავგანწირვა და მეფისადმი ერთგულება მუდამ სამაგალითოდ მიაჩნდა. ახლაც, ამ ომში, ლუხუმმა სხვაზე მეტი გმირობა და თავდადება გამოიჩინა და გამარჯვების სასიხარულო ამბის მაცნედ მასზე უკეთესი მეფისათვის ვინ უნდა გაეგზავნა!

უხვად დასაჩუქრებულ ლუხუმს მცირე რაზმი აახლა, საუკეთესო ცხენები მისცა და გამარჯვების სახარებლად თბილისისაკენ აფრინა.

* * *

იმ დღიდან, რაც ლილე სასახლეში დამკვიდრდა, ლაშას ცხოვრება ბედნიერებით გაბრწყინდა და ზაფხულის უღრუბლო ცას დაემგვანა.

მათი შეერთება მზისა და მთვარის შეყრას ჰგავდა, დღე და ღამე ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, რომელი მეტ სიამოვნებასა და სიხარულს მივცემთ ერთმანეთის ჭვრეტითა და ალერსით გაუმაძღარ მიჯნურთო.

ქვეყანა ერთურთის სიყვარულით მოიზღუდეს, ერთიმეორის იქით საფიქრალი ამოიკვეთეს და ქვეყნის საზრუნავი მოიძულეს.

ლილემ იმ დღიდან დაიწყო ნამდვილი ცხოვრება, განიცადა და შეიტკბო სიცოცხლის ნიჭი და სიხარული, რაც სასახლეში მივიდა, თითქო მანამდის არც ეცხოვროს, თავისი წარსულისა აღარაფერი ახსოვდა _ არც გაწამებული ბალღობის, არც პირველი გათხოვებისა და ცოლ-ქმრული სარეცელის. ყოველივე ბედნიერების მოზღვავებულ ნათელს დაებინდა და ლილეს თვალი უკან მიხედვისათვის დაებრმავებინა.

დროდადრო, რაიმე შემთხვევის გამო, უამური სიზმარივით თუღა გაახსენდებოდა ლუხუმი. მაშინვე აბეზარ ჩვენებასავით თავიდან იცილებდა ქმარზე ფიქრს და გალიიდან გამოსული ჩიტივით აღფრთოვანებული ეწაფებოდა სიყვარულის თავისუფლებისა და მიღწეული ბედნიერების ნეტარებას.

ძლიერი მეფისა და თავდავიწყებამდე მოყვარული რაინდის ფრთისქვეშ შეფარებული ლილე ბედნიერებით გატრუნულიყო. შიში არაფრისა ჰქონდა _ ირგვლივ ციხე-გალავანი და ჯარი ერტყა სასახლეს, სინდისი არ აწუხებდა _ მიჯნურთან შეერთება ღვთისა და ადამიანისათვის ბუნებრივ და სათნო საქმედ მიაჩნდა.

ერთადერთი, რაც ლილეს გულსა სწყვეტდა და თავისი განვლილი გზისკენ სინანულით ახედებდა, ციცინოს მოგონება იყო. როგორ ახდა და ასრულდა რწმენადქცეული დედის ოცნება! რატომ ცოცხალი აღარ არი, რომ ერთხელ მაინც დაინახოს შვილის ბედნიერება, თავისი ანდერძისა და საზრუნავის ესოდენ კეთილად აღსრულება.

ვერ იტყოდი, ვინ უფრო ბედნიერი იყო, ჭაბუკი მეფე თუ მზეთუნახავი ლილე. ისინი ერთმანეთს ავსებდნენ ტრფობის სიხარულითა და ნეტარებით და ერთმანეთსვე ეცილებოდნენ ალერსითა და აღტაცებით ერთიმეორის გადამეტებაში.

ლაშამ მხოლოდ ახლა, ლილესთან ერთად ცხოვრებით იგრძნო და განიცადა თავისი მდგომარეობის მთელი სიკეთე, მეფობის ძალა, ცხოვრების მადლი და სიხარული. იგი ბუნებით უზრუნველი იყო და ახლა ხომ აღარავითარი საზრუნავი აღარ ახსოვდა. ხანდახან ტრფობის ბურანიდან წამით გამოფხიზლებულ მეფეს თვითონვე უკვირდა, თუ რად არ სწყინდებოდა ლილე, რად არ აღივსო მისი სიყვარულის საწყაული და რატომ ასე დამშეულივით ეტანებოდა მასთან განუყრელ ყოფნასა და დაუსრულებელ ალერსს.

მაგრამ განსჯის ნებას არც გული აძლევდა მეფეს და არც გონება. ერთიც და მეორეც სიყვარულის ჯადოსნური ღვინით ჰქონდა მთვრალი. და არც ერთს გამოფხიზლება არ ეწერა. გულიც და გონებაც, სულიც და სხეულიც ლილესკენ მიიწევდა, მასთან სიახლოვეს ეძებდა და ასე ანდამატივით ერთიმეორისკენ მიზიდულნი, ფიქრითა და სურვილით, სულითა და ხორცით ერთ არსებად ქცეულნი, სიზმარეულებივით დადიოდნენ და სხვას ვეღარავის ამჩნევდნენ.

სასახლეში ხედავდნენ მეფის ძლიერ სიყვარულს. ამ ცხოვრებიდან გასულნი _ მოხუცნი და სამღვდელონი, ლაშას აშკარა და ფარული მტრები გმობდნენ მეფის საქციელს და მისი გონების დაბნელებას მეფის ხარჭის ეშმაკეულ სილამაზეს აწერდნენ.

_ მშვენებითა სახისა და ქმნილ კეთილობითა ფრიადითა აცდუნა გველმან ევა და ადამი და მოიკვეთა მათი მოდგმა სამოთხისაგან.

ჩურჩულებდნენ ცხოვრების სიტკბოსაგან დაშრეტილი ბერები და ღვთიური სასჯელის მუქარით გამკაცრებულ სახეებს არიდებდნენ ლილეს, ვითარცა ეშმაკეულსა და უწმინდურს, პირჯვარს იწერდნენ მის დანახვაზე და მისგან გაცლას ჩქარობდნენ.

ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლის სურვილი არ დათრგუნვოდა, თვალში ვნების შუქი კიდევ ენთო და ძარღვებში სითბოს განცდა შერჩენოდა, სიყვარულით მეფის ესოდენ გატაცებას ბუნებრივად და კანონიერად თვლიდნენ.

_ არცა ჩვენ და არცა ჩვენამდის ვინმე კაცთაგანი ყოფილა მსგავსი მშვენების მხილველი და ვითარ უძლოს გულმან კაცისამან და თვალმან მხედველმან ქმნულ კეთილობასა მისსა, ვითარ დაავსოს გულისთქმის მიერ შემწველობა დედაკაცისა მის მიმართ...

იტყოდნენ ლილესა და ლაშას ერთად მხილველნი და ერთხმად ამტკიცებდნენ ცოცხალი კაცის უძლურებას ესოდენ მიუწვდომელი მშვენების წინაშე.

* * *

ფუნდუკთან ცხენოსნები გაჩერდნენ.

გაქაფულ ცხენებს მტვერი და ოფლი მიხმობოდათ და ცხენოსნებსაც ტან-ფეხი მტვერში ამოგანგლოდათ.

დასადავებული ცხენები ჭიშკართან შემოგებებულ ბიჭს დაუტოვეს და დაქვეითებულნი ფუნდუკისკენ გაემართნენ. ფუნდუკში სუფრას კახელები უსხდნენ.

_ რა ვქნა, ეს ლუხუმა არ არი? _ იკითხა ერთმა და ახლად მოსულებს დაჟინებით მიაჩერდა.

_ სწორედ ის არი... აგე, ჩვენი ილოც! _ წამოიძახა მეორემ.

ლუხუმი მეფუნდუკესთან შევიდა. მისმა მხლებლებმა ფუნდუკს მოავლეს თვალი და ცალკე მაგიდაზე აპირებდნენ დასხდომას, რომ ილომ მეზობლები იცნო და მიესალმა.

_ ჩვენთან დასხედით.

მიიპატიჟეს დამხვდურებმა და მოსულებიც მცირე ყოყმანის შემდეგ მათ სუფრას შემოუსხდნენ.

_ ომში გავიმარჯვეთ. ნახჭევანი ავიღეთ და მახარობლები ვართ, მეფისკენ ვიჩქარით... თქვენ გაგიმარჯოთ, მეზობლებო! _ თქვა ილომ და ღვინო გადაჰკრა.

_ ჩვენსკენ რა ამბავია? ხომ მშვიდობაა? _ იკითხა საჭმლით პირგამოვსებულმა ილომ.

_ ჩვენსკენ... მშვიდობა, _ უპასუხა მეზობელმა, მერე ილოსკენ მოიწია და ხმადაბლა ჰკითხა: _ ლუხუმმა არაფერი იცის?

_ რისა, ზაქრო? _ გაიკვირვა ილომ, წამით ჩქარი ღეჭვა შეანელა და გაოცებით შეხედა.

_ სახლისა არაფერი იცის? მეფემ ცოლი წაჰგვარა.

_ ??? _ აღმოხდა გაურკვეველი შეძახილი ილოს და ლუკმა ყელზე დაადგა.

_ მეფემ ცოლი წაჰგვარა. _ უფრო ახლო მიიწია ზაქრო.

_ რას ამბობ, ზაქრო?! ეგ რა მითხარი! _ შეწუხდა ილო.

_ ეგრე ჰქნა, მაშა!

_ როგორ დავიჯერო. თავდადებით ნამსახურსა და ერთგულ ყმას ამას ემართლებოდა?!

ლუხუმმა მეფუნდუკეს ცხენების სწრაფად გამოცვლა დაავალა, კერძი შეუკვეთა და თავისი ხალხისკენ წამოვიდა.

მის მოახლოებაზე საუბარი შეწყვიტეს.

_ თქვენ უკვე შეექცევით? ჩვენები ყოფილან! _ გაუხარდა მეზობლების დანახვა ლუხუმს. _ ზაქროს გაუმარჯოს! სანდალას გაუმარჯოს!

სათითაოდ მიესალმა ყველას მიგრიაული და ისიც მათთან ჩამოჯდა.

_ რა ყურები ჩამოგიყრიათ? გამარჯვების ამბავი მოგვაქვს და თქვენ რაღად მოგიწყენიათ?! _ შესძახა დამხვდურებს ლუხუმმა და კერძს შეუპატიჟებლად მისწვდა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ, მარტო დამშეული ლუხუმი ჭამდა მადიანად და მისი ხლაჭახლუჭი ისმოდა.

ცოტა სული რომ მოითქვა, ლუხუმმა სავსე სასმისი აიღო.

_ თქვენ გაგიმარჯოთ, ბიჭებო! _ უთხრა იქ მყოფთ, გადაჰკრა და ულვაშები რომ მოიწმინდა, მეზობლებს ჰკითხა: _ ჩვენსკენ რა ამბავია? ხომ მშვიდობაა?

_ მშვიდობა! _ თავაუღებლად, მძიმედ უპასუხა ზაქრომ.

_ ჩვენებისა არაფერი იცი?

_ არაფერი, ჩვენ ადრე ვართ წამოსულნი, _ იცრუა ზაქრომ და დანარჩენებს წარბის მოძრაობით ანიშნა, რომ არაფერი დასცდენოდათ.

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

ლუხუმმა სასმისი აიღო.

_ ეს ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! დღეგრძელობა და ძლევა ნუ მოუშალოს! _ წარმოთქვა და სასმისი დასცალა.

_ ხელმწიფეს გაუმარჯოს! _ ხმადაბლა, დამნაშავეებივით წაილაპარაკეს დანარჩენებმა, ერთმანეთს გადახედეს და სასმისები მძიმედ ასწიეს.

_ ცხენები მზად გახლავთ! _ მოახსენა მეფუნდუკემ ლუხუმს.

_ ახლავე მოვდივართ... ჩვენს წასვლასა და თქვენს დარჩომას, _ წარმოთქვა ლუხუმმა, ფეხზე წამომდგარმა სასმისი მოიყუდა და მხლებლებს შეუძახა:

_ აბა, წავიდეთ, ბიჭებო!.. გმადლობთ, მეზობლებო!

ლუხუმმა ჯიბიდან ფული ამოიღო და სუფრაზე გააბნია.

_ ეს ჩვენი ხარჯისა იყოს.

დაბნეულმა მასპინძლებმა წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოიფიქრეს. ლუხუმი ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა ყველას და მხლებლებს ცხენებისკენ წაუძღვა.

დარჩენილებმა თვალი გააყოლეს ცხენებზე შემსხდარ მეფის მაცნეებს.

_ ვაი, მაგის დაბრუნებას! _ ამოიგმინა სანდალამ და ყველას შეკავებული ოხვრა აღმოხდა.

* * *

იმ დილას ლილეს მუცელი ეძრა. ნაყოფის პირველ შენძრევაზე შეკრთა, შიშისაგან გული კინაღამ წაუვიდა, მაგრამ მალე მიხვდა, რაც იყო, დამშვიდდა და გაიხარა.

მეორედ რომ შეიძრა ნაყოფი, ლილემ ლაშას ხელი აიღო, მუცელზე მიიდო იმ ადგილას, სადაც ბავშვი ფართხალებდა და სული განაბა.

ნაყოფი ისევ შეირხა და მოულოდნელობისაგან მეფე შეხტა.

_ რა იყო? _ გაოცებით იკითხა მეფემ.

_ ბალღია! მუცელი მეძრა!.. _ დარცხვენით წაიჩურჩულა ლილემ, ლაშას მოეხვია და თავი მკერდში ჩაუმალა.

ორივენი ბავშვებივით იყვნენ აღტაცებულნი. უნდოდათ ვისმესთვის ეთქვათ, მაგრამ საიდუმლოს გამხელა ვერ გაებედნათ და ერთმანეთს თვალებაციმციმებული შესცქეროდნენ.

_ მაცნე მოვიდა ახალციხელისაგან!

აცნობეს მეფეს და ლაშა დარბაზში გამობრძანდა.

ტახტზე დაბრძანებულმა მეფემ გვერდით ლილე დაისვა და იქ მყოფთ მიესალმა.

ლაშას მახარობლისაგან ქართველთა გამარჯვების ამბავზე მეტად ლუხუმის ბედის შეტყობა ეჩქარებოდა. ხმამაღლა ვერავის უმხელდა, მაგრამ გულში იმას ნატრობდა, იქნებ, ლუხუმი აღარ დაბრუნდესო.

კანონიერი ქმრის ლუხუმის სიკვდილი ლილეს ხელს გაუხსნიდა და სატრფოზე მეფის დაქორწინებას გააადვილებდა.

მეფემ იცოდა, რომ ნახჭევნელებმა თავგამოდებით იბრძოლეს ოროტის სიმაგრესთან, ომში ყველაფერი ბედზეა და ლაშა იმ ბედის იმედად იყო, რომელსაც ათას კაცში შეუძლია

სასიკვდილოდ განწირულის გამორჩევა. ლუხუმის სიკვდილი არ უნდოდა, მაგრამ ომი მაინც ომია. ზოგი ბრუნდება და ზოგი ვერა: ლუხუმის ბედის ამგვარად დატრიალებაში ლაშას ბრალი არ დაედებოდა და ამიტომ სინდისიც დამშვიდებული ექნებოდა.

დარბაზის თავში მტვერში ამოგანგლული მაცნე გამოჩნდა. რამდენიმე ნაბიჯი წადგა და მუხლზე დაეცა.

_ გამარჯვების მახარობელი ვარ, მეფევ! _ შესძახა მაცნემ და მეფეს ხმა ეცნაურა.

გველნაკბენივით შეტოკდა ლაშა.

მახარობელი ჩოქვით წამოვიდა მეფისკენ და თავი რომ აიღო, სახტად დარჩა: მეფის გვერდით ლილე დაინახა საღი ცალი თვალით ლუხუმმა. მომეჩვენაო, იფიქრა და ის იყო, თვალი მოიფშვნიტა, რომ ლილემ შეჰკივლა და გულწასული გადაქანდა.

მეფე ფეხზე წამოიჭრა, ხელი გულშემოყრილს შეაშველა.

დაბნეული, გაოგნებული შეჰყურებდა აცახცახებული ლუხუმი დაუჯერებელ სანახაობას. გონდაკარგულს ვერ გაეგო, თუ სად იყო და რას ნიშნავდა ყოველივე.

გაოგნებულ ლუხუმს ეგარსლანი მივარდა ოთხი შეიარაღებული ვაჟკაცით.

მეფე გულშემოყრილ ლილეს ჩასძახოდა. არც დაუნახავს, როგორ გადაუგრიხეს ხელები ლუხუმს, ფეხზე წამოაყენეს და წინ გაიგდეს.

შუბმოღერებულებს მიჰყავდათ გაძაგრული მახარობელი.

ლუხუმს წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, მთვრალივით მიჰყვებოდა და თვითონაც არ იცოდა, რა ხდებოდა: სიზმარი იყო ნახული და განცდილი, თუ შორეული მგზავრობით დაღლილის წამიერი ჩვენება.

ნახევრად ბნელ საკანში შეაგდეს ლუხუმი და რკინის მძიმე კარი მიუხურეს.

ქვის უმზეო სარდაფში სიგრილე უნდა ყოფილიყო, აქ კი ბუღი იდგა და სუნთქვა ჭირდა. ეტყობოდა, საკანი პატიმრებით იყო სავსე.

დაღლილი ლუხუმი ფეხზე ძლივს იდგა. ცხელი ჰაერით სულშეხუთული შეტორტმანდა და კინაღამ წაიქცა.

თავი როგორც იყო შეიმაგრა, დამხვდურები მისწი-მოსწია და კუთხეში გადებულ ძელზე ჩაიმუხლა.

ერთხანს ასე იყო. მერე თანდათან დახშული საკნის ბუღსა და მკრთალ სინათლეს შეეჩვია, თავი აიღო და იქ მყოფები შეათვალიერა.

ბევრნი იყვნენ. ტუსაღებს დასაჯდომი და წამოსაწოლი არა ჰყოფნიდათ და უმრავლესობა ფეხზე იდგა.

ერთადერთ სამფეხა სკამზე ლაჯებგაჩაჩხული ტუსაღი იჯდა და ლუხუმს კამეჩივით უბღვერდა. ბრტყელი, გადახოტრილი თავი ნაჭრევებით ჰქონდა დასერილი.

თავხოტორამ ისეც ვიწრო შუბლი შეიკრა და გადაბმული სქელი შავი წარბები თითქმის თმის ძირებთან მიიტანა.

_ კაცი მოჰკალი? _ შეუღრინა ლუხუმს.

_ არა! _ გაიქნია თავი ლუხუმმა.

_ მა, იქურდე?

_ არა! _ ისევ იუარა მიგრიაულმა.

_ შენ, ეი, ჭკუაზე მოდი და სწორე ილაპარაკე! _ შეუტია თავხოტორამ, ნელა წამოდგა, წიხლით სკამი წააქცია და ლუხუმის წინ აიტუზა.

_ მამა აბრამის ბატკნად ნუ მოგაქვს თავი. აქ წირვა-ლოცვიდან არავინ მოჰყავთ _ ან კაცს მოჰკლავდი, ან გზაზე ვისმეს გაძარცვავდი... თქვი, რაც იყო, აქ შენზე ნაკლები ნურავინ გეგულება. რად დაგიჭირეს, აბა, დაფქვი!

_ არ ვიცი... მე თვითონაც არ ვიცი, _ ისევ თავის ქნევით ამოიოხრა ლუხუმმა.

_ ლათაიებს თავი ანებე! არ იტყვი და ჩვენ თვითონ გავიგებთ... ფული გაქვს?

ლუხუმმა თითქო კარგად ვერ გაიგონა, გაოცებით შეხედა უცნობ ტუსაღს.

_ ჰო, ნუ გიკვირს. რაცა გაქვს, ამოლალე. აქ ეგეთი წესია!

_ ჩემს ფულთან შენ რა ხელი გაქვს? _ ისევ გაიოცა ლუხუმმა.

_ რაცა მაქვს, ახლავე ნახავ! აბა, ნემსა, კრუხისპალო, კარგა გაწმინდეთ.

თავბრტყელი ტუსაღის დაძახილზე ორი პატიმარი წამოხტა, ერთი მართლა ნემსივით წვრილი და გრძელი იყო, მეორე ჯირკივით დაბალი და ჩასხმული.

ორივენი ლუხუმს მისცვივდნენ და ჯიბეებზე ეცნენ.

_ დამეხსენით, მე ჩემი ჯავრიც მყოფნის!

ღონიერი ხელებით მისწი-მოსწია ორივე მიგრიაულმა და ფეხზე წამოდგა.

_ ვაი, ვიცანი, გამოცანა მეკუთვნის! _ წამოიძახა სიღრმეში მდგარმა ტუსაღმა და წინ წამოიწია, _ ეს მეფის მცველი ლუხუმა არი, ცალთვალა ლუხუმა! ჩვენი ბუნაგის აკლებაზე ეგეც იყო, შავსარქისა მაგან დაიჭირა.

_ უფრო კარგი! მეფის მცველს ბევრი ფული ექნება! აბა, ჩქარა! _ შესძახა ისევ თავგადახოტრილმა და ნემსა და კრუხისპალო კვლავ ლუხუმს მიეტანენ.

ლუხუმმა ისევ მშვიდად სცადა აბეზარი პატიმრების მოშორება, მაგრამ ისე იოლად როდი მოეშვნენ, წელში შეუვარდნენ და ძალით დაუწყეს ჯიბეების გადმობრუნება.

_ მაშ, არ დამეხსნებით?! _ შესძახა მიგრიაულმა, კრუხისპალო ბურთივით აიტაცა და საკნის ბოლოსკენ ისროლა.

ამასობაში ნემსამ უბიდან ქისის ამოღება მოასწრო, ბრტყელთავას მიურბენინა, ხელში ჩასჩარა და თვითონ ბნელი კუთხისკენ მოუსვა, თავს უშველა.

ლუხუმი თავის ქისას მისწვდა და სწორედ ამ დროს ბრტყელთავა ტუსაღმა მუცელში ერთი ისეთი წიხლი ჩააზილა, რომ იქვე ჩაიკეცა. მიგრიაული იმწამსვე წამოხტა და წელში ეცა. თავხოტორას ნეკნებმა ტკაცანი გაიღო, მეტი ვეღარაფერი იღონა, ქისა კუთხეში ისროლა და ხელი დანის ამოსაღებად წაიღო.

მეფის მცველყოფილმა აღარ აცალა, ხელფეხაფართხალებული მოწინააღმდეგე მაღლა ასწია და კარისკენ გასტყორცნა.

რკინის კართან გატენილ გუდასავით დაეცა ბრტყელთავა და საკანში მტვერი დააყენა. ცოტა ხანს ასე იყო, მკვდარივით უძრავი და სუნთქვაშეკრული. იქ მყოფები თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდნენ თავიანთი მეთაურის შერცხვენას.

_ ვაჰ! ეგ შენა ხარ?! ვინ კუნძა და ვინ ეგ საქმე! _ ჩასძახა ნემსამ.

კუნძა დახვეულ ლოკოკინასავით ნელა გაიშალა, საფეთქელთან ხელი მოისვა _ სისხლი სდიოდა, სახელოთი მოიწმინდა, დაკეცილი დანა გააძრო, გაშალა და ლუხუმისკენ გახელებული მოზვერივით თავჩაღუნული წამოვიდა.

_ დადექ-მეთქი, ჩამომეხსენ! _ შესძახა ლუხუმმა და ის იყო, მოქნეული გრძელი დანა მუცელში უნდა მოხვედროდა, რომ სკამის ხელის დავლება და წინ აფარება მოასწრო. დანა სკამის ფიცარს შეერჭო. გამოქანებულმა კუნძამ თავი ვეღარ შეიმაგრა და ისიც სკამზე გადაწვა. ლუხუმმა ორივე ხელი რკინის სალტედ მოსდო ამოსაძრობად დანას ჩაფრენილ კუნძას, ზურგზე მოიგდო და ქვის იატაკზე დაანარცხა. კუნძამ ზღართანი გაიღო და მერე აღარ განძრეულა.

დანარჩენი ტუსაღები სახტად იდგნენ, გაოცებული შეჰყურებდნენ ცალთვალა გოლიათს და ხმის ამოღება ვერ გაებედათ.

ნემსამ ლუხუმის ქისა მოძებნა, ფეხაკრეფით მივიდა, პატრონს შორიახლო დაუგდო და ისევ კუთხეში მიიყუჟა.

მიგრიაულმა ქისა უბეში ჩაიდო და ლოგინად გადებული ძელისკენ წავიდა. ძელზე მსხდომი შეშინებული ტუსაღები ფეხზე წამოცვივდნენ და ლუხუმს საწოლი გაუთავისუფლეს.

მიგრიაული ერთხანს იჯდა და მძიმედ სუნთქავდა. თავი სტკიოდა და დაღლილობისაგან დაბრუჟებული სახსრები აღარ ემორჩილებოდა. უცებ ძილმა თავი მოსწყვიტა, თვალები მიელულა და ხის საწოლზე გაიშალა.

ნაშუაღამევს გამოეღვიძა. თვალი მოიფშვნიტა და ირგვლივ მიმოიხედა. ტუსაღები აღარსად ჩანდნენ, საკანი ცარიელი იყო. მხოლოდ ერთი პატიმარიღა დარჩენილიყო _ მხრებში მოხრილი მოხუცი.

თავჩაღუნული, ზურგზეხელებდაწყობილი მოხუცი ბოლთას სცემდა და მცირე საკანში აღელვებული გადი-გამოდიოდა.

_ სადა ვართ? _ იკითხა ჯერ კიდევ გამოურკვეველმა ლუხუმმა.

_ მეფის საპყრობილეში, _ მშვიდად მიუგო მოხუცმა და ბოლთის ცემა განაგრძო.

_ მართალია... აკი გუშინ შემომაგდეს ამ საკანში, _ გაიხსენა მიგრიაულმა. _ მაგრამ აქ ხომ სხვებიც იყვნენ... _ გაოცებით შეხედა საკანში დარჩენილ ერთადერთ პატიმარს ლუხუმმა და ძელზე წამოჯდა.

_ იყვნენ და ბლომადაც იყვნენ, _ დაუდასტურა მოხუცმა პატიმარმა და ლუხუმის გვერდით ძელზე ჩამოჯდა. _ წუხელ რომ მათ მეთაურს სცემე, დანარჩენებმაც შიშით სხვა საკანში გადაყვანა ითხოვეს.

ლუხუმს გაახსენდა გუშინდელი უსიამოვნება.

_ რას მემართლებოდნენ, უნამუსოები! ფუ, მაგათ კაცობას! _ წაილაპარაკა ლუხუმმა და ქვის იატაკზე გადააფურთხა.

_ მაგათ ნამუსი და კაცობა სად გააჩნიათ! მთელი ცხოვრება კაცის კვლასა და ძარცვა-გლეჯაში აქვთ გატარებული, საპყრობილეში საკუთარი სახლივით არიან არხეინად.

_ ის ვინ იყო, მე რომ ამიხირდა? _ იკითხა მიგრიაულმა.

_ ქალაქის ნაძირალების მეთაურია, მაგისი ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცის, მეტსახელად კუნძას ეძახიან. საპყრობილეში ისე შედის და გამოდის, როგორც გიჟი ქორწილში, რამდენჯერ ჰქონდა ძელზე გასმა მისჯილი, მაგრამ ვერ იქნა და ვერაფერი დააკლეს.

_ მაინც რა დანაშაული აქვს?

_ მაგის დანაშაულს ვინ მოსთვლის! ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისას დედა მიუსწრია საყვარელთან, თავში ცული დაურტყამს, მოუკლავს და სახლიდან გაქცეულა. ერთხანს ქალაქ-ქალაქ უწანწალია. მერე რომელიღაც მონასტერში მსახურად დამდგარა. მონასტერში კარგად ყოფილა, მაგრამ ბოლოს იქაც დანაშაულზე დაუჭერიათ და საპყრობილეში ჩაუგდიათ. ძველი და ახალი ცოდვა ძელზე გასასმელად ჰყოფნიდა, მაგრამ საპყრობილედან გაქცეულა და თავი ქალაქის ბუნაგებისათვის შეუფარებია. თავზეხელაღებულობით და გამჭრიახობით ქურდებისა და მძარცველების, ყომარბაზებისა და კაცისმკვლელების მეთაური გამხდარა. მთელ ქალაქს შიშის ზარს სცემდა. მაგის უცნობლად ქალაქში არც ვისმეს გაძარცვავდნენ, არც ვისმეს მოჰკლავდნენ და არც სახლი ან ქულბაქი გატყდებოდა. ყველა ქურდსა და მეკობრესთან, ყველა მძარცველსა და ყომარბაზთან წილი ჰქონდა და მაგის სიტყვას ვერავინ გადავიდოდა. მაგის ხელშემხებელი ჯერ არავინ გამოჩენილა და ღმერთმა მარჯვენა გიკურთხოს, გული მომფხანე. ცოცხალ-მკვდარი ისე გაიტანეს, საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა.

_ ახია! რამდენი ვეხვეწე, რომ ჩამომხსნოდა, მაგრამ არ დაიშალა და მეც კაცი ვარ, გამწარებულმა ხელი გამოვიღე.

_ მაგის მაგალითით შეშინებულები სხვებიც აიბარგნენ.

_ შენ რაღად დარჩი, ძია კაცო?

_ მე იმათთან რა მესაქმება, ამ ხნის კაცი ვარ და არმად ნაშოვნი ლუკმა არ ვიცი რა არი.

_ მერე აქ როგორ მოხვდი პატიოსანი კაცი?

_ ეგ გრძელი ამბავია. მე თვითონ ამ ციხის თავი ვიყავი. ორმოცდაათ წელზე მეტი მეფეებს ერთგულად ვემსახურე და ბოლოს, აი, ამით გადამიხადეს, ციხიდან პატიმარი გაიპარა და მართალი კაცი სიბერის დღეს თვითონ გამომამწყვდიეს ციხეში.

_ ეგ როგორ, მართალსა და ნამსახურ კაცს რას გერჩოდნენ?

_ მეფისაგან ჩემი რად გიკვირს, როცა თავისი პირადი მცველისათვის, მისთვის მრავალგზის თავგანწირული ყმისათვის ოჯახი დაუნგრევია, ცოლი წაუგვრია და, როგორც ამბობენ, მოკლავს კიდეც...

_ არა, ჯერ არ მოუკლავს, მაგრამ სჯობდა კი, რომ მოეკლა! _ ამოიგმინა ლუხუმმა და მოხუცმა ტუსაღმა შეამჩნია, როგორ გადმოუგორდა საღი თვალიდან უცნობ პატიმარს ცერის სიმსხო ცრემლი.

საკანი გაიღო. ტუსაღებმა საუბარი შეწყვიტეს. ციხის კაცებმა ლუხუმს ხელ-ფეხზე ბორკილები დაადეს და დილეგიდან გაიყვანეს. ათიოდე სხვა პატიმართან ერთად ბორკილების ჩხარუნით გაუყენეს გზას მიგრიაულიც.

განთიადისას მიაღწიეს ქარაფოვან კლდეზე აღმართულ უზარმაზარ ციხეს მონა-სპით გარშემორტყმულმა ტუსაღებმა.

ბნელი და პირქუში საპყრობილე შორიდანვე ზარავდა მნახველს. ნესტისაგან დასველებულ ქვის სქელ კედლებს ხავსი მოსდებოდა და აქა-იქ დატანებულ ვიწრო სარკმლებს რკინის ბადეები აბნელებდა.

გამყოლებმა ციხის უფროსს ტუსაღები მიუთვალეს. ციხის უფროსმა პატიმრები საკნებში გაანაწილა და ბოლოს ლუხუმს გაუძღვა წინ. მიწისქვეშა კიბეებით დაეშვნენ რამდენიმე სართულზე და რკინის კართან შეჩერდნენ.

სამიოდე რკინის ბოქლომი გახსნეს და მძიმე კარი გაჭირვებით შეაღეს. ბნელ ჯურღმულში ოდნავ ბჟუტავდა სანთელი.

ციხისკაცებმა ლუხუმს ხუნდები შეხსნეს და კედელზე ჯაჭვით დამაგრებული მძიმე ბორკილები დაადეს. ხელ-ფეხზე ბორკილების დადება არ აკმარეს, წელზეც რკინის სალტეები შემოარტყეს და ასე სამმაგი ჯაჭვით ნადირივით დაბმული მიატოვეს.

ეხამუშა, გაუჭირდა სამმაგი საბელის შეჩვევა მიგრიაულს. რამდენადაც ბორკილები და მოკლე ჯაჭვები ნებას აძლევდა, დაბმული ძაღლივით იწყო წინ და უკან სიარული.

ცივ საკანში სული ეხუთებოდა და სისხლი თვალებში აწვებოდა.

მერე თანდათან მოიქანცა, ნაბიჯს უკლო და თითქო ბრაზიც გაუნელდა. ბოლოს, ძაღლურ სიკვდილს შერიგებულმა, სიმწრით ამოიგმინა და ქვის იატაკზე ჩაიკეცა.

* * *

კვირაში ერთხელ ტუსაღები ჯურღმულებიდან ამოჰყავდათ და ხელ-ფეხდაბორკილებს რამდენიმე წუთით ჰაერზე ატარებდნენ ციხის ეზოში.

ვინ არ ნახა ლუხუმმა იმ ეზოში: კაცის მკვლელები და მეამბოხეები, ქურდები და ყაჩაღები. მათ თავგადასავალს რომ ისმენდა, პირველად დანაშაულის სიმძიმე შეაკრთობდა და შეჰზარავდა. მერე, დანაშაულის მიზეზს ღრმად რომ ჩაუკვირდებოდა, ბოროტების ჩამდენი ეცოდებოდა. დამნაშავეთაგან უმრავლესნი მასავით ალალ-მართალნი, მშრომელები, ცოლ-შვილისა და ოჯახის მოყვარული კაცები იყვნენ. მათთვის ცხოვრების უკუღმართობას, ამ ქვეყნის ძლიერთა გულქვაობასა და არაადამიანურ მოპყრობას, გაბატონებულ უსამართლობასა და უკანონობას ეკრა ხელი ბოროტებისაკენ, ბუნებით კეთილშობილი და წრფელი ადამიანები ცოდვაში ჩაეგდო და დამნაშავეებად ექცია.

* * *

სასახლეში თავდაპირველად ლილეს ვინაობა არავინ იცოდა და მაინცდამაინც არც ვისმეს აინტერესებდა. ყველას ეგონა, ჭაბუკ მეფეს, ჩვეულებრივ, მოსწყინდებოდა ლამაზ ხარჭასთან განცხრომა, მერე რომელიმე თავის ერთგულ ყმას გადაულოცავდა, სასახლიდან გაუშვებდა და გულისთქმას აყოლილი ახალ მიჯნურს გაიჩენდა.

კარისკაცთა ვარაუდი არ გამართლდა, რაც დრო გადიოდა, მეფე მით უფრო მეტ სურვილს იჩენდა ლილესადმი, მეტი კრძალვითა და პატივით ეპყრობოდა და სხვებისგანაც ამასვე მოითხოვდა.

როცა ნახჭევნის გმირი და გამარჯვების მახარობელი საპყრობილეში ჩააგდეს, დიდებულებმა ლუხუმის ამბავი გამოიკითხეს და ლილეს ვინაობა გაიგეს.

გამჭღავნებულმა ყველანი ღრმად აღაშფოთა.

_ ერთგულ ყმასა და თავდადებით ნამსახურს ცოლი როგორ წაჰგვარა?!

_ გლეხის ქალი უნდა გაგვიდედოფლოს და გუშინდელ მოახლეს ჩვენი ცოლები ათაყვანოს, სად თქმულა და გაგონილა!

_ ყმა გლეხის ცოლი როგორ უნდა გახდეს ჩვენი და ჩვენი ცოლების მბრძანებელი! არა თავს ვიდებთ გლეხის ქალის დედოფლობას.

კათალიკოსი ხომ სულ გადარია გვირგვინის ქმრისათვის სიცოცხლეშივე ცოლის წაგვრამ.

_ ქრისტეს უარმყოფელი მეფე ქორწინების კანონსაც მისწვდა და ყმისაგან ჯვარდაწერილი, სჯულიერი ცოლის წაგვრას ბედავს. ამას კი ვეღარ თავს ვიდებთ, რომ საწოლისა და ცოლქმრობის სიწმინდე შეაგინოს.

დრტვინავდნენ და აშკარად გამოდიოდნენ დიდებულები და სამღვდელონი მეფის წინააღმდეგ.

მეფესთან მოჰქონდათ დიდებულებისა და ხუცების ნალაპარაკევი, მაგრამ მათ ნათქვამს ლაშა არაფრად აგდებდა და ანგარიშს არ უწევდა. პირიქით, ლილე უფრო თამამად გამოჰყავდა დარბაზობასა და მეჯლისებზე, თავის გვერდით ისვამდა და დიდსა და მცირეს იძულებულს ხდიდა, მისთვის დედოფლის ღირსი პატივი მიეგო.

დიდებულებმა ჯერ კარის მოძღვარი მიუგზავნეს მეფეს. მოძღვარმა დიდხანს უქადაგა: ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელი. არა წეს არს ქრისტიანეთა შორის გვირგვინის ქმრისაგან სიცოცხლეში ჯვარდაწერილი ცოლის გაყრა. ხოლო მეძავნი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმა. არა ჯერ არს, რათამცა მხევალი გესვას და არა ცოლი...

მეფემ მოძღვრის შეგონება ცალ ყურში შეუშვა და მეორეში გამოუშვა, მოძღვარმა რომ სათქმელი დაასრულა, მეფემ თავის მხრივ შესთხოვა:

_ წმიდა გულით მიყვარს ლილე. იგი სიძვის დიაცი როდია ჩემთვის. არაშემძლებელ ვარ მისი კიდეგანობით ცხოვრებისა. ამიტომ შევთხოვ სიწმიდესა შენსა და ყოველსა ეკლესიასა საქართველოსასა, დასტური დასცე ნებასა ჩემსა, რათა ვიქორწინო მასთან, ვითარცა სჯულიერსა მეუღლესა თანა.

კარის მოძღვარმა დარბაზისა და კათალიკოსის აზრი იცოდა და მეფის ნათქვამი შორს დაიჭირა. თავის მხრივ, გადაჭრით განუცხადა: არა წეს არსო მეფეთაგან უბრალო მხევალთა მოყვანება დედოფლად. ნებას არ დაგრთავს წმიდა ეკლესია ჯვარდაწერილ ქალზე გვირგვინის ქმრის სიცოცხლეში ქორწინებისასო. მერე დავით წინასწარმეტყველისა და აშოტ კუროპალატის მაგალითი გაახსენა. ამქვეყნიური შეჩვენებითა და იმქვეყნიური ჯოჯოხეთით დააშინა მეფე.

მაგრამ მეფეს არც ბერ-მონაზვნების შეჩვენებისა ეშინოდა და არც განკითხვის დღის სატანჯველის. იგი თავის გადაწყვეტილებაზე მტკიცედ იდგა და მოძღვარს შეუვალად განუცხადა:

_ არა ვექორწინო მეუღლესა სხვასა, თვინიერ ლილესა, ხოლო თუ უარ ჰყოფს ტაძარი წმინდა ქორწინებასა ჩემსა, ვეგო ეგრეთ უქორწინებლად დღემდის სიკვდილისა ჩემისა!

* * *

ლაშქრობიდან დაბრუნებულმა ახალციხელმა მისი მახარობლის ამბავი რომ გაიგო, შეძრწუნდა. უსაზღვროდ თავდადებული, ერთგულად ნამსახური ყმისადმი ესოდენ უკეთურად მოპყრობაში შალვამ ქვეყნის ძლიერებისა და ტახტის სიმტკიცის შერყევის ახალი ნიშანი დაინახა. ახალციხელს აქამდის კიდევ სჯეროდა, რომ რაც მეფე ასაკში შევიდოდა, ბუნებრივი კეთილშობილება და მეფური ქცევა თანდათან დაჩრდილავდა ბოროტისა და უმსგავსისადმი მიდრეკილებას.

ახალციხელის ამ რწმენას ლაშას უკანასკნელმა მოქმედებამ ლახვარი ჩასცა. ქვეყნის ძლიერებისათვის მოღვაწე, გულწრფელი მამულიშვილი ხედავდა, რომ ლაშას უკეთურება და მეფისთვის შეუფერებელი მოქმედება სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მის შრომასა და ზრუნვას საფუძველს აცლიდა. მეფის ესოდენი უმადურობა საფრთხეში აგდებდა ახალციხელის რჩეულ ოცნებას საქართველოს ახალ რომად ქცევაზე.

ლაშას საქციელით აღშფოთებული, ლაშქრობიდან დაბრუნებული ახალციხელი მეფეს არც კი ეახლა, შეურაცხყოფილი შინ ჩაიკეტა და თვალით არავის ეჩვენა.

ამასობაში, ლუხუმის შერცხვენისა და პატიმრადყოფნის ამბავი ომგადახდილ ლაშქარსაც მოედო. ჯარში ჯერ ჩუმი შფოთი დაიწყო და ბოლოს მღელვარებამ იფეთქა.

ლუხუმის მეთაურობით ნაომარი ათასეული ქალაქში გამოვიდა, ახალციხელის სახლს შემოერტყა და მხედართმთავარს თავისი წინამძღოლის გათავისუფლება მოსთხოვა.

ლუხუმის ბედით თავადაც უსაზღვროდ შეწუხებულმა ახალციხელმა ათასეულს სიტყვა მისცა, რომ მიგრიაულს გაათავისუფლებინებდა.

შალვამ ერისთავებს ჩუმ-ჩუმად გააყვანინა ქალაქიდან თავ-თავიანთი სადროშო ჯარები, მეამბოხე მეომრები დააშოშმინა და სამეფოს სამხედრო აჯანყების საფრთხე ააშორა.

* * *

ლაშა ახალციხელის ცუდი მოკავშირე იყო არა მარტო თავგასული დიდებულების წინააღმდეგ ბრძოლაში, მისმა წინდაუხედაობამ მარცხი განაცდევინა ისეთ ღონისძიებასაც კი, როგორიც სახელმწიფოს ძლიერებისათვის ყივჩაღთა დაქირავებული ჯარის გამოსხმა იყო. მაგრამ მეფის უკანასკნელი მოქმედება მის ყველა ადრინდელ ცთომილებას სჭარბობდა. მეფე თავისი ერთგული ყმის ესოდენ დამცირებითა და შეგინებით ახლა უკვე მთელ ერს იკიდებდა მტრად. ლუხუმის მაგალითით ხალხი აშკარად დაინახავდა, რომ უმადური მეფისათვის თავდადება და ერთგული სამსახური კეთილს არავის მოუტანდა. პირიქით, უწყალოდ დაამდაბლებდა და საქვეყნოდ შეურცხვენდა სახელსა და კერის სიწმინდეს.

ნაწყენი დიდებულების მოვლა და დათრგუნვა, მათთვის ლაგამის ამოდება თუ ძნელი იყო, მეფეზე გულაყრილი ხალხის, მეფისაგან შეურაცხყოფილი ერის გულის მობრუნება ახალციხელს უკვე შეუძლებლად ეჩვენებოდა. მეფე ხალხის სიყვარულის ჩაუგდებლობით ცეცხლს ეთამაშებოდა, ტახტისა და ქვეყნის ძლიერებას ფესვებს აჭრიდა.

ახალციხელმა კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა სამეფო დროშისადმი ხალხის ერთგულება და ნდობა. სანამ ეს ნდობა ძლიერი და ურყევი იყო, ქართველ მხედრობას თამამად შეეძლო მთელი ახლო სამაჰმადიანოს პირისპირ დგომა, მოსაზღვრე ქვეყნების თავგასული სულტნებისა და ამირების ალაგმვა და დაჩოქება. მაგრამ, ვაი ქართველთა ძლიერებას, თუ ხალხის ეს ნდობა და ერთგულება უნდობლობითა და ორგულობით შეიცვლებოდა! მეფე თუ სარდალი, რომელიც ხალხში სიძულვილს დასთესდა, ხალხისავე რისხვასა და მტრობას მოიმკიდა, მისი ყოველი ნაბიჯი ლაშქრობასა თუ ქვეყნის მართვაში დასაღუპავად განწირული იქნებოდა, რადგან ყოველი ქვეყნის მხედრობა ხალხის შვილთაგან შედგებოდა. ხალხის მხარდაჭერას მოკლებულ სამეფოს დაკნინება და დაღუპვა არ ასცდებოდა. უთვალავი თაობის ნაოცნებარი და ნაშენები ძლევამოსილი საქართველო, ერთის მხრივ, დიდებულთ თავკერძობის, ხოლო მეორე მხრივ, _ ჭაბუკი მეფის უგუნურების გამო, თანდათან უფსკრულისკენ დაეშვებოდა. საჭირო იყო ძლიერი ხელი, რომელიც ამოდენა სიმაღლიდან ნელ-ნელა დაბლა მომგორავ სამეფოს ეტლს შეამაგრებდა და შეაჩერებდა.

ახალციხელი მზად იყო, მარტო, თავისი მკერდით აღდგომოდა წინ თავქვე დაქანებულ ბორბალს, მაგრამ ხედავდა, რომ უძლური იყო, მცირე იყო მარტო მისი ღონე საჭემიშვებული მანქანის შესაჩერებლად, რომელსაც ასე თავგამეტებით აწვებოდნენ აღვირახსნილი ერისთავები.

გრძნობდა ახალციხელი თავის მცდელობის უშედეგობას, მაგრამ უმოქმედობა და გულზე ხელისდაკრეფაც არ შეეძლო.

საგანგებოდ დარბაზი მოაწვევინა შალვამ. ვაზირებმა, კათალიკოსმა და ეპისკოპოსებმა მეფის მოქმედება დაჰგმეს და ახალციხელის მეთაურობით მოციქულები მიუგზავნეს ლაშას.

დარბაზი ორ მოთხოვნილებას უყენებდა მეფეს: უდანაშაულოდ დასჯილი მიგრიაულის გათავისუფლებასა და წაგვრილი ცოლის მისთვისვე დაბრუნებას.

პირადი ბედნიერებით განებივრებულმა ლაშამ დარბაზის ეს გადაწყვეტილება მეფის წინააღმდეგ შეთქმულებად და მის პირად საქმეში უკანონო ჩარევად ჩათვალა, ახალციხელს ქვეყნის ამშლელი, ათაბაგთან და სხვა დიდგვაროვან დიდებულებთან მეფის წამკიდებელი უწოდა საჯაროდ.

გულის სიღრმემდე შეურაცხყოფილმა ახალციხელმა სასახლე დატოვა და თბილისიდან წავიდა.

მეფემ დარბაზის პირველი მოთხოვნილება აღასრულა _ ლუხუმი ჩემს უცნობლად შეუპყრიათო, თავი იმართლა და პატიმრობიდან გააშვებინა, მეორეზე კი გადაჭრით უარი განაცხადა:

_ წარიღონ ტახტი და გვირგვინი სამეფოსი, და არა მივცე ლილე თავითა ჩემითა ცოცხალითა...

@თავი მეთვრამეტე. არსად კანონი, არსად სამართალი

> თუ ყმამ ბატონს გაჯავრებით ან ჯოხი კრას, ან ხელით სცემოს, ხელი მოეკვეთოს, ან იმ კაცის ხელის ფასი წაერთოს. თუ ან გაჯავრებით პირისპირ შეაგინოს, ენა მოეჭრას, ან ენის ფასი წაერთოს... ვისაც შერისხდეს ღმერთი, თავის ბატონი მოკლას, ან დაჭრას, ამისი სისხლი არ გაჩნდების, ამისთვის, რომე ყმისა ყველა ბატონისა არის.
>
> **ვახტანგის სამართლის წიგნი**

საპყრობილედან გამოშვებულ ლუხუმს ცხენი მოჰგვარეს, შეიარაღებულმა მონასპამ ქალაქის კარს იქით მიაცილა. უკან არ მობრუნდეო, გააფრთხილეს და შუა გზაზე მიატოვეს.

თმებმოშვებული, დიდი ხნის წვერგაუპარსავი გაჰყვა გზას მიგრიაული. მიდიოდა და თვითონაც არ იცოდა, სად და რატომ მიდიოდა პატივაყრილი მეფის მცველყოფილი. თითქო ფიქრში იყო წასული და კი არაფერზე ფიქრობდა. თავი ჩაქინდრა და სადავემიშვებული ცხენის ნებას მიჰყოლოდა. გაოგნებულს დროდადრო ცხენის ფრუტუნი გამოარკვევდა. გზისპირა ბალახისკენ კისერწაწვდილ ცხენს სადავეს მოსწევდა და გზაში რომ ჩააგდებდა, ისევ ნებაზე მიუშვებდა.

გომბორის აღმართს რომ შეუდგა, მთის ნიავმა შუბლი გაუგრილა, ოდნავ გამოაფხიზლა.

მეფის დიდებულ ამალასთან ერთად მგზავრობა გაახსენდა, ალექსი კომნენის სტუმრობა, მეფეების გომბორზე გადასვლა.

სწორედ აქ, გადასასვლელზე შემოეგება მეფეებს დედათა მონასტრის წინამძღვარი მონაზვნების გუნდით. რა ამოდ მღეროდნენ მონაზვნები! ახლაც შორეულად ჩაესმის მათი შეწყობილი გალობა. ახლაც ჩვენებებივით თვალწინ უდგას თეთრად შემოსილი, ბნელი სენაკებიდან გამოსული ფერმკრთალი ქალიშვილები. როგორ გაახარა მაშინ ლუხუმი წყაროს მკაზმავი ხიზანას ქვრივ-ობლებისათვის ჭაბუკი მეფის თავგამოდებამ. იმდენად დაუბნელა თვალი და გონება აღტაცებამ, რომ იქვე ჩადენილ ბოროტმოქმედებას _ ორი ულამაზესი მონაზვნის გამორჩევასა და გაპარებას ყურადღებაც არ მიაქცია. არც მაშინ დაფიქრებულა მიგრიაული მონაზვნების ბედზე, როცა მესამე დღეს მეფეთა კარვებიდან გამოშვებულები დაინახა ისინი: ნამუსახდილი, ტირილით თვალებდასიებული მონაზვნები ორ ცხენოსანს გაუგდეს წინ და უკანვე, მონასტრისკენ გაუყენეს გზას.

მაშინ მონაზვნების დარდი არ ჰქონდა ლუხუმს, ნასყიდაანთ ქარუმას ბედი აწუხებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რით ეშველა საბრალო ბიჭისათვის.

ნასყიდაანთ ქარუმას გახსენებამ კიდევ ახალი ფიქრი აუშალა მიგრიაულს. მოაგონა თავისი მაშინდელი განსჯა, მეფის კარვის წინ რომ გადი-გამოდიოდა და თავში ეს ფიქრი უტრიალებდა: მაინც რამ აფიქრებინა იმ საცოდავს კვიცის ყიდვა, სხვა არა აკლდა რა უსახლკაროსა და უმიწაწყლო ობოლს? მერე, ისიც ეგეთი კვიცი რომ აყიდვინა, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩებოდა თვალი! განა არ იცოდა, რომ ქვეყანა ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი კვიცი რა უგვაროსი და უმიწაწყლოს საქმე იყო? ამქვეყნად ყველას მასზე მეტი ძალა ჰქონდა და როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა?!

როგორ ადვილად სჯიდა სხვის ბედს მაშინ მიგრიაული და არკი იცოდა, რომ მალე თვითონ ქარუმაზე უარეს დღეში ჩავარდებოდა.

ან მას რამ შეართვევინა იმისთანა ცოლი, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩებოდა თვალი! განა მას ქარუმაზე უკეთ არ უნდა სცოდნოდა, რომ სოფელი ხარბი და შურიანია? მეფის საკადრისი ქალი რა მისებრ უგვარო და უნათესაოს საქმე იყო, სად უნდა დაემალა, როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საუნჯე, რომელიც ყველას თვალს სჭრიდა და გულს შურით უვსებდა?!

ჰაი, ჰაი, რომ აგრე იყო, მაგრამ მაშინ ხომ არც ლუხუმი ფიქრობდა ასე და არც ქარუმა. ამქვეყნად სიცოცხლისა და სიყვარულის, ოცნებისა და მოწონების უფლება ყველას ერთნაირი ჰქონდა, თვალი ხედვისათვის როგორ დაევსო, ან გული როგორ უნდა დაეხშო ტრფობისა და წრფელი სიყვარულისათვის. რა ვუყოთ, რომ ყმა გლეხი იყო, განა სიცოცხლის მოტრფიალე გრძნობა და თვალი იმის მიხედვით ზომავს, თუ რა გვარისა და შეძლების არის კაცი? ან მდიდარსა და გვარიანს, თუგინდ მეფესაც, მასზე ან ქარუმაზე მეტად შეუძლია მშვენიერების ტრფიალი და დაფასება? ადამიანები ხომ დედის მუცლიდან ერთნაირად შიშველ-ტიტველნი იბადებიან, თან არც ძოწეული მოჰყვებათ, არც გლეხის ტყაპუჭი, არც მეფის გვირგვინი და არც მონის უღელი! ცხოვრება თავად ადამიანებმა მოაწყვეს ისე, რომ ერთნი ფუფუნებისა და განცხრომის ტახტზე სხედან, მეორენი ტანჯვისა და წამების ორმოში არიან ჩაცვენილნი. რათ უნდა იყოს ასე? როდემდის უნდა იყოს ქვეყანა აგრე უკუღმართად მოწყობილი?!

უცებ ვიღაცამ ტყიდან დასტვინა, მეორე მხრიდანაც საპასუხო სტვენა გაისმა.

ლუხუმმა ფიქრებიდან გამორკვევაც ვერ მოასწრო, რომ ტყიდან გზის ორივე მხარეს იარაღასხმული ცხენოსნები გამოცვივდნენ და მგზავრს შემოერტყნენ.

_ შეჩერდი! _ უბრძანა პირისპირ მომდგარმა მხედარმა და შემართული შუბი მოუღერა. ლუხუმმა სადავე აკრიფა და ცხენი შეაყენა.

შუბმოშვერილი ცხენოსანი მიუახლოვდა. ერთმანეთს დააკვირდნენ.

_ ქარუმა ხომ არა ხარ? _ იკითხა ლუხუმმა.

_ მე ვარ! შენ.. _ ახლა ქარუმა მიაშტერდა ცალთვალა ცხენოსანს _ ლუხუმა არა ხარ?

_ ჰო, ლუხუმი ვარ, ქარუმ! _ თავისქნევით დაუდასტურა მიგრიაულმა. მერე წყენითა და გაოცებით მოავლო თვალი იარაღმომარჯვებულ ცხენოსნებს და კუშტად იკითხა:

_ ჩემგან რა გინდათ?

_ შენგან არაფერი... აქ სხვა ვინმეს გამოვლას ველოდით და შენ კი შეგვრჩი ხელთ.

ლუხუმმა თავით ფეხამდე აათვალიერა ქარუმა: დარახტულ ქურანზე იჯდა დავაჟკაცებული, წვერულვაშდამშვენებული ნასყიდაანთ ბიჭი. კომნენის ნაჩუქარი ფული რომ შეაძლია გულმოკლულ ქარუმას, იმ დღის შემდეგ აღარსად შეხვედრია. ჭორად იცოდა, ტყეში გავიდა და გაყაჩაღდაო, მაგრამ არ სჯეროდა და ახლა კი თავისი თვალით ნახა.

_ მაშ, მართალია, ქარუმ? ასე, ჩემნაირ მგზავრებს ხვდები შარაგზაზე? _ წყენითა და სინანულით ჰკითხა ლუხუმმა.

_ არა, ტყუილია, ლუხუმ, შენისთანა მგზავრებს რას ვემართლები, შენ თავად ჩემზე უბედური ხარ და მიუსაფარი! _ ქარუმას ხმა აუკანკალდა, შუბლი შეიკრა და ლუხუმს სახე მოარიდა, _ ჩამოხდი ცხენიდან, ძია ლუხუმ, დავსხდეთ, პური ვჭამოთ და ერთიმეორეს გული გავუხსნათ.

ქარუმამ ლუხუმის თანხმობას არ დაუცადა, ცხენიდან პირველი ჩამოხდა. ლუხუმიც თითქო თავისდაუნებურად ჩამოქვეითდა. მეკობრეთა ალყა გაიხსნა და ქარუმა ტყისკენ წაუძღვა ლუხუმს.

ლაგამწაყრილ ცხენებს მწყემსები მიუჩინეს და ბალახზე მიუშვეს. ყველანი ჩამოსხდნენ, მწვანეზე სუფრა გაშალეს, ხურჯინებს თავი მოხსნეს და ტიკჭორიდან ღვინო ჩამოასხეს.

_ ეს ალალ ხალხს გაუმარჯოს! _ თქვა პირველი სადღეგრძელო ქარუმამ. დალია, რქა აავსო და ლუხუმს მიაწოდა, ლუხუმმა გაოცებით შეხედა ბნელი ტყის ყაჩაღს, შუბლშეკრულმა სასმისი ასწია და სადღეგრძელო თქვა:

_ მართალ კაცს გაუმარჯოს, ვინც ალალ ლუკმასა ჭამს!..

სასმისი ჩამორიგდა, ზოგმა ჩუმად დალია, ზოგმაც ქარუმასა და ლუხუმის ნათქვამი გაიმეორა. მხოლოდ ერთი გაუკვირდა ლუხუმს _ ეს სადღეგრძელო ისე არხეინად, დამშვიდებით დალია ყველა ყაჩაღმა, რომ წარბიც არ შეუტოკდა არც ერთს.

_ აგერ რამდენი წელია, ლუხუმ, ტყეში ვარ, ნაძარცვითა და მოტაცებულით ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ პატიოსანი კაცისთვის არა წამირთმევია რა. ბატონებსა და ერისთავებს ვესხმი თავს, გასუქებული ეპისკოპოსების ქონებას ვეტანები და ხომ იცი, ქურდის ქურდი არ წაწყდება... _ მწარედ ჩაიცინა ქარუმამ და სხვებმაც ჩუმად ჩაიქირქილეს.

_ ამბობენ, ვითომ ბაკურ ერისთავის სახლი შენ დაგეწვას... _ სხვათა შორის თქვა ლუხუმმა და თვალი თვალში გაუყარა ნასყიდაანთ ობოლს.

_ მე დავწვი... შევუთვალე კიდეც ბაკურს, ჯერ ეგ იყოს და მერე სხვა-მეთქი...

_ მთაში მიდენილ ბაკურის ჯოგის გატაცებასაც შენ გაბრალებენ.

_ ეგეც ჩემი საქმეა...

_ ეფრემა ეპისკოპოსს გზაზე შენ დახვდი?

_ დავხვდი და გავწმინდე კიდეცა. ქვრივ-ობლების ნაძარცვზე ხელი ავაღებინე, მერე ეს ბიჭები დავალოცვინე, ვაკურთხებინე და ისე გავუშვი.

_ შენგან არა მჯეროდა. ეგ გზა პატიოსნების გზა არ არი, ქარუმ, მაგ გზას არ უნდა დასდგომოდი.

_ ჰმ... მეც ვიცი, რომ არ უნდა დავდგომოდი. თავადაც არ მინდოდა, მაგრამ რაკი ამ ქვეყანაზე კანონი არ ყოფილა და სამართალსაც სხვა გზა არა ჰქონია, მეც ამ გზაზე გამოვედი. თვითონ ცხოვრებამ გამომაგდო, ლუხუმ, ამ გზაზე. თორემ შენ უკეთ იცი, ობლობაში სამადლო ლუკმით გავიზარდე, სიყრმიდან სიბეჩავისა და ჯაფის მეტი არაფერი მინახავს. როგორც კი ცოტა მოვიყარე, მოჯამაგირედ დავდექი, ხუთ წელიწადს ვემსახურე უადამიანო ადამიანს, ცემა-ტყეპა მე არ მაკლდა და დაცინვა, ღამე ძილი არ მქონდა და დღე სულისმოთქმა. მერე ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი ფულით ის კვიცი ვიყიდე და შენც იცი, რაც მომივიდა. ვერსად სამართალი ვერ ვიპოვე და ვერსად კანონი, ცხოვრებამ მომიძულა და აი, ამ გზაზე გამომაგდო... განა მარტო მე... აგე, ხოსიტა, გაღმამხრელი ზაზიაშვილი, ჰკითხე, რათ გამოსულა ტყეში... ჰერეთის ერისთავმა სახლი დაუქცია და ფუძე გადაახნევინა. მერე რათაო? იმის მწევარი გაცოფებულიყო, სოფელში შემოვარდნილიყო და მაგის ბალღებს რომ მისტანებიყო, მოეკლა... მა, არ უნდა მოეკლა? ეცქირა, როგორ დაუკბენდა და დაუცოფიანებდა ბალღებს?.. გეკითხები, არ უნდა მოეკლა?

_ უნდა მოეკლა! _ ოხვრით დაუდასტურა თავჩაღუნულმა ლუხუმმა...

_ ჰოდა, მეც მანდა ვარ! რომ მოკლა, მერე ეს მოუვიდა, სახლ-კარი დაუქციეს და გადაუხნეს... სამართალი ვერ იპოვა და უსამართლობამ აქ გამოაგდო...

ხმალზე დაყრდნობილ ხოსიტას თვალები მოწყლიანებოდა და ცრემლს თითქო ოდნავ მოელბო მისი მკაცრი სახე. ლუხუმმა შეხედა უბედურ ვაჟკაცს, ერთი კიდევ ამოიოხრა და თავი ბრალდებულივით ჩაღუნა.

_ ან აგე, არჩილას ამბავი იკითხე, _ აღგზნებული განაგრძობდა ქარუმა. _ მაჩხანელ არჩილას მამა ხორნაბუჯელმა კალოზე მოუკლა. თურმე, დედა რომ შეუგინა, საწყალს სიტყვა შეუბრუნებია _ მეც ისეთი დედა მყავს, როგორიც შენაო, რაც ჩემს დედას, ის შენსასაო... ეგ იყო და ეგა, მოხუცს დაყვირება ვერ მოუსწრია, ბატონს თავში აფთი უცია და საცოდავის ტვინი გალეწილ ხვავში გაჰრევია. არჩილა ამ დროს შინისკენ ურმით მოდენილა. ეგ ამბავი რომ გაუგია, გაცეცხლებულს ხორნაბუჯელისთვის თავს დაუვლია, ვიწრო ხეობაში კლდის თავზე ჩასაფრებია, დიდი ლოდი უსვრია და ბატონი ცხენიანა ნაპრალში გადაუჩეხია... მა, არ უნდა გადაეჩეხა?.. შენ გეკითხები, არ უნდა გადაეჩეხა?! _ ისევ ჩააჟინდა ლუხუმს ქარუმა.

_ უნდა გადაეჩეხა! _ დაბეჯითებით თქვა ლუხუმმა და არჩილას შეხედა: არჩილა პირმოკუმული და წარბშეკრული იჯდა, ფიქრში წასული სადღაც შორს გაიყურებოდა და სახეზე ისეთი აღშფოთება გამოხატვოდა, თითქო ახლა ხედავდა ხორბლის ხვავზე ტვინდანთხეულ მოხუც მამას და ცხენით არხეინად მიმავალ ხორნაბუჯელს.

_ ხომ ამბობ, რომ უნდა გადაეჩეხა, მეც მანდა ვარ! _ განაგრძო ქარუმამ. _ გადაჩეხა და რაღა კარგი მოუვიდოდა, სოფელში აღარ დაედგომებოდა... აიღო და ტყეში გავიდა.

ქარუმას სავსე რქა მიაწოდა ახოვანმა ვაჟკაცმა, ქარუმამ ჩამოართვა და პირდაპირ რომ შეხედა, თითქო ახლა გაახსენდა მისი იქ ყოფნაო, მხარზე ხელი დაჰკრა და წამოიწყო:

_ აბა, ამას შეხედე, ლუხუმ... ცუდი ვაჟკაცია? თვალად დაიწუნება, თუ ტანად, გოგიაი?

ლუხუმმა გოგიას შეხედა, მართლაც იშვიათი თვალტანადი ვაჟკაცი იყო.

_ ჰოდა, ამ გოგიას თავისსავით კოხტა ცოლი ჰყავდა, _ განაგრძო ქარუმამ, _ მაგის ბატონს გულში ჩაუვარდა ლამაზი ქალი... შეუჩნდა და რა არ მოიგონა, რა არ დაავალა და სად არ გაგზავნა გოგიაი. მაგრამ ზღაპარში რო იტყვიან, სწორედ ისე უძვრებოდა ბატონის დაგებულ მახეებს, _ მის ყველა დავალებას ასრულებდა, შინ მალე ბრუნდებოდა და, რაკი ქალიც ნამუსიანი ჰყავდა, ბატონი პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა.

ბოლოს ადგა ის ბატონი, გოგიას შარი მოსდო, ქურდობა შესწამა და ციხეში ჩააგდო. სოფელი გოგიას ქურდობას როგორ დაიჯერებდა, მაგრამ ბატონი სოფელს რას დაგიდევდა! ეგ ბიჭი თავიდან მოიშორა და თავის წადილის ასრულებას შეუდგა. ღამე მიუხტა გოგიას ცოლს და ძალად ნამუსი ახადა. ამასობაში გოგიამ ბევრი იმეცადინა, ციხიდან გაპარვა მოახერხა და შინ სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ბატონისგან პატივახდილი, დალურჯებული და პერანგშემოხეული ცოლი კედელს სიმწრისაგან თავს ახეთქებდა.

გულუბრყვილო გოგია თბილისში მეფესთან წავიდა საჩივლელად, ეგონა, მეფე უშველიდა. ის კი არ იცოდა, რომ მეფე თვითონ აძლევდა ერისთავებს ყმათა ცოლების წაგვრისა და გატაცების მაგალითს...

ლუხუმს სახე გაუფითრდა და ბრაზისაგან ქვედა ყბა მოექცა. ქარუმა მიხვდა, რომ მიგრიაულის სატკივარს შეეხო, შეწუხდა, ცოტა ხანს გაყუჩდა და სასმისი ასწია.

_ ეს ჩვენსავით ცხოვრებით დაჩაგრულებსა და სამართლის მძებნელებს გაუმარჯოს! _ ჯავრიანად თქვა ქარუმამ, რქა დასცალა და ისევ ლუხუმს გადააწოდა.

_ გაუმარჯოს! _ მოკლედ თქვა სახემოღუშულმა ლუხუმმა, იქ მყოფებს მრისხანებით სავსე ცალი თვალი მოავლო და ყანწი დაცალა. სავსე სასმისი ლუხუმმა გოგიას გადასცა. გოგიამ რქა ჩამოართვა და თავჩაღუნული რაღაცას დაელოდა.

_ ჰოდა, იმას ვამბობდი, _ განაგრძო გაწყვეტილი ამბავი ქარუმამ, _ ჩვენი ბატონებისა და მათი მოურავების ზემოთ განათლებული ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები არიან. იმათ ზემოთ კიდევ, სულ მაღლა მეფეა, მაღლა არ იციან, დაბლა რა ხდება, ან თუ იციან, ჩვენს გაჭირვებას არაფრად აგდებენ და არ ენაღვლებათ. მეფესთან გოგია რა სამართალს იპოვიდა, სასახლის ახლოსაც არ მიუშვეს და შინ უფრო ჯავრიანი დაბრუნდა. სოფელში მეგობრებს გაენდო, ბატონის ერთადერთი გასათხოვარი ქალი გზაზე დაიჭირა, ძალით ნამუსი ახადა, მხეც ბატონს ამით სამაგიერო გადაუხადა და ტყეში გავარდა. ამასაც არ დააჯერა, სახლი გადაუწვა. მა, არ უნდა გადაეხადა სამაგიერო?.. მა, არ უნდა გადაეხადა? _ ჩააცივდა ისევ ლუხუმს ქარუმა, მაგრამ ლუხუმი პასუხის გაცემას აღარ აპირებდა _ ისეთ გუნებაზე იყო, ან უნდა ეტირნა, ან ვინმე უნდა დაეხრჩო თავისი ხელით. ბრაზისაგან სახეზე მიწისფერი ედო და ერთიანად კანკალებდა. იქ ყოფნა არ შეეძლო, ფეხზე წამოდგა, კალთა დაიფერთხა და სახეშეშლილმა ხმადაბლა თქვა დამნაშავესავით:

_ გმადლობთ, მე უნდა წავიდე.

_ სად მიხვალ, ლუხუმ? _ თვალი გააყოლა ქარუმამ.

_ შინისკენ, _ უკანმოუხედავად თქვა ლუხუმმა და ნაბიჯი წადგა.

_ შინ რაღა დაგრჩენია, შე უბედურო?! _ ოდნავ გასაგონად თქვა ქარუმამ და ამოიოხრა.

ლუხუმი შედგა, მრისხანე სახე წამით იბრუნა ქარუმასკენ. თითქო შეყოყმანდა კიდეც, მაგრამ უცებვე შებრუნდა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა. ცხენზე რომ შეჯდა, დამრჩომებს ქუდი მოუხადა:

_ მშვიდობით იყავით, გაგიმარჯოთ!

_ შენც გაგიმარჯოს, ლუხუმ! _ შესძახეს დარჩენილებმა.

ქარუმა ფეხზე წამოდგა და მიმავალ ლუხუმს დაედევნა:

_ თუ ჩვენი თავი დაგჭირდეს, ამ ტყეში გვიპოვი, ლუხუმ...

* * *

ველისციხეში შემოსულ ლუხუმს ჯოგი შემოეფეთა: ცხენები, ხარ-ძროხა და ხბორები ჯგროდ მოდიოდნენ ვიწრო ორღობეში. უკან ცხენოსნები მოჰყვებოდნენ და შოლტის ცემითა და შეძახილით აჩქარებდნენ.

ლუხუმის ცხენის დანახვაზე ჯოგის ცხენებმა ჭიხვინი ატეხეს და მისკენ წამოვიდნენ. ლუხუმის ცხენმაც საპასუხოდ შესჭიხვინა და ტორების ცემითა და კისრის წევით დაითრია სადავე.

ჯოგი შედგა, შეჩოჩქოლდა და შენივთდა. უამრავ ხარ-ძროხის მონათებულ ვეებერთელა თვალებს გაოცებული უყურებდა ლუხუმი. ჯოგის თავში მდგარმა დიდრონრქებიანმა ნიშა ძროხამ პატრონი იცნო, ერთი შეზმუვლა და ხაოიანი გრძელი ენით ხბოს დაუწყო სლექვა.

_ რა ამბავია, ლექსო, ჩემს საქონელს სად მიერეკები? _ ჰკითხა წინ წამომდგარ ცხენოსანს ლუხუმმა.

_ ბატონის ბრძანებაა... _ მიუგო ლექსომ.

_ რომელი ბატონის!

_ ბაკურ ერისთავის.

_ ბაკურ ერისთავს ჩემს საქონელთან რა ხელი აქვს?

_ არ ვიცი, ლუხუმ, ჩვენ გვიბრძანეს და გავრეკეთ, გვიბრძანებენ და უკან მოვრეკავთ... _ მიუგო ლექსომ, ცხენიდან მიგრიაულისკენ გადაიწია და შეწუხებულმა უთხრა: _ აგერ, ბიჭი დამეწია და იმან გვითხრა, დედაშენს უბედურება შემთხვევია, იჩქარე, იქნებ ცოცხალს მიუსწრო...

მრისხანებისაგან ალეწილ ლუხუმს უცებ ეცვალა ფერი, მხოლოდ ახლა დაინახა ღობესაკრული, თვალდასიებული თანდო ბიჭი... თანდოს ლუხუმის დანახვაზე ტირილი წასკდა, თვალებზე ხელი აიფარა და სლუკუნით უკან გაიქცა.

_ რაღას მიუსწრებს ბეჩავს... უკვე სული აღარ დგმია, _ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ლუხუმს თითქო თავში ურო დაჰკრესო, თვალთ დაუბნელდა. ცხენს სადავე მოსწია და კედლადმომდგარ ჯოგს მიაწყდა გასავლელად. ბაკურის ყმებმა დაიქვეითეს და შოლტების ტყლაშუნითა და პირუტყვის ერთიმეორეზე ხეთქებით ლუხუმს გაჭირვებით გზა გაუკვლიეს.

ცხენხეთქით მიიჭრა ლუხუმი ჭიშკართან. ეზოში ხალხი ირეოდა, სახლის კიბე და დერეფანიც ხალხით იყო გაჭედილი.

ლუხუმის დანახვაზე დედაკაცებმა ვიშვიშსა და მოთქმას უმატეს, მუხლებზე ხელისცემა და თავის აქეთ-იქით ქნევა გაახშირეს, კაკლის ხესთან შეჯგუფებულებმა წრე გახსნეს და ლუხუმმა დიდ ტოტზე ჩამოკიდებული მოქანავე თოკი დაინახა. თოკის ქვეშ წაქცეული სკამი ეგდო.

ლუხუმის ცალ თვალში ცრემლი და თოკი ერთმანეთში აირია. სადავეს ხელი უშვა და კიბეზე სულმოუთქმელად ავიდა. მეზობლებმა მაშინვე გზა მისცეს.

დერეფანში ტახტზე ქეთევანი ესვენა, საოცრად ჩამომჭკნარი და დაპატარავებული, ჯავრისა და ტკივილისაგან სახეგაკერპებული.

ლუხუმმა ტახტამდის ფეხები ძლივს მიათრია, მოჭრილივით ჩაიკეცა, თავი გაციებული დედის მკერდს დაადო და დასაკლავი ხარივით აბღავლდა. აბღავლდა და სიბრალულით გულდამწვარი ქალების მოთქმაც აჰყვა. გულაჩუყებულ ვაჟკაცებს თვალები დაუწითლდათ. ოხვრით შებრუნდნენ და თავით აივნის სვეტებს მიეყრდნენ.

ტიროდა ლუხუმი, კი არ ტიროდა, ღმუოდა და გაურკვეველ ხმას თუ ტირილს ჯიგარს თან ატანდა, ეხვეოდა, ხელებსა და ძუძუებს უკოცნიდა უგრძნობელ დედას, ერთადერთსა და უკანასკნელ ადამიანს, ბოლომდის მის ერთგულსა და მოყვარულს.

_ მოაშორეთ, ეყოფა, ადამიანო! _ ვიღაცამ წაულაპარაკა მეორეს.

_ გაუშვი, იტიროს! მაგის მეტი ვინღა რჩება დასატირებელი! _ გაიგონა პასუხი ლუხუმმა და გული უფრო მეტად ამოუჯდა...

მართლაცდა, სხვა ვინღა რჩებოდა ლუხუმს ქვეყანაზე დასატირებელი, _ შვილი არ გააჩნდა და ნათესავი, ცოლი წაართვეს და მეგობრებმა ზურგი აქციეს.

ესღა ჰყავდა, საყვარელი დედა, სიკვდილამდე ერთგული და გამტანი, გაჩენის დღიდან მასზე გადაყოლილი და ბოლოს მისთვის მკვდარი. გაჭირვებასა და ტანჯვაში ჰყავდა აღზრდილი ღარიბსა და უნათესაო ქვრივს ლუხუმი, როგორ დაჰკანკალებდა ერთადერთ ვაჟს,

როგორ დაჰხაროდა ძლივს ფეხზე დამდგარ ოჯახს, როგორ უყვარდა მისი საყვარელი ლილე და როგორ ჩუმად, უთქმელად იკლავდა გულში მისგან წყენასა და უპატიობას, რომ ლუხუმს არ გაეგო და, ცოტაც არის, გული არ ტკენოდა. და თურმე მთელი სიცოცხლე სულ იმისთვის უწვალნია უბედურს, რომ ბოლოს ზიარება, თავის ლოგინში ადამიანური სიკვდილიც არ ღირსებოდა და, ჯავრისაგან გამწარებულს, მთელ ქვეყანაზე გულგატეხილს, მარყუჟში გაეყო ესოდენ ნატანჯი თავი.

როგორც იყო, ლუხუმმა ტირილით გული იჯერა. მეზობლებმა მხრებზე ხელი მოხვიეს, დაამშვიდეს და ნუგეში სცეს.

_ ვაი, დედა! _ ერთი კიდევ აღმოხდა ლუხუმს, სახელოთი ცრემლიანი სახე მოიწმინდა და ფეხზე წამოდგა. მისი უბედური სახის დანახვაზე ერთხელ კიდევ აწრიალდნენ მეზობლის ქალები. ლუხუმი სკამზე ჩამოსვეს და ნელ-ნელა უამბეს მომხდარი:

ლილე რომ მეფეს წაუყვანია, ქეთევანი ლოგინზე ყოფილა მიკრული. მეზობლებს მიუხედნიათ, ექიმები მოუყვანიათ და წამალი მიუციათ. სნეული თანდათან მობრუნებულა, ფეხზე დამდგარა და რძლის ძებნა დაუწყია. რკინის ჯოხი აუღია დედაბერს და რკინის ქალამანი ჩაუცვამს, მეფის კარამდე უვლია, მაგრამ ვერც მეფე უნახავს და ვერც სამართალი. მერე, ბოღმისაგან გაკერპებული, შინ მობრუნებულა, ოჯახს ისევ თავში ჩადგომია და იმის ცდაში ყოფილა, შვილს კერა მაინც არ დავახვედრო გაციებულიო. ბოლოს, ლუხუმის პატიმრობის ამბავი მოსულა. ბაკურ ერისთავს ხმა დაურხევია, ლუხუმი მეფის მოღალატეა და შინ მოსვლა აღარ უწერიაო. როცა ბაკური თავის ნათქვამში თვითონაც მტკიცედ დარწმუნებულა, ჯერ ლუხუმის ზვარი წაუღია თავისად, დღეს კი მის მოურავს საჩეხიდან მიგრიაულის ჯოგი გამოულალავს და გაურეკავს. ქეთევანს მოურავისთვის ცოცხალი თავით პირუტყვი არ დაუნებებია, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. გონს რომ მოსულა, სხვა ვეღარაფერი მოუფიქრებია, კაკლის ტოტზე თოკი ჩამოუბამს და თავი ჩამოუხრჩვია. მეზობლებს რომ შეუტყვიათ, უკვე გვიან ყოფილა _ საწყალი ქეთევანი თოკიდან გაციებული ჩამოუღიათ.

ლუხუმმა დედის ამბავი მოისმინა, გულს ჩაიმჯიღა და თავი გმინვით ასწია: სასტუმრო ოთახის კარი ღია იყო, კედელზე ჩამოშვებულ ნოხზე ირმის რქები იყო მიკრული. ირმის რქებზე ლუხუმის ჯაჭვის პერანგი, ფარ-ხმალი, მშვილდი და ისრებით სავსე კაპარჭი ეკიდა. ლუხუმი დაჟინებით მიაშტერდა იარაღს. თვალწინ გომბორის ტყეში შეხვედრილი მეკობრეები დაუდგა და თავში ნასყიდაანთ ქარუმას დაჟინებული კითხვა ჩაუჯდა:

_ მა, არ უნდა მოეკლა? მა, არ უნდა გადაეჩეხა? მა, არ უნდა გადაეხადა სამაგიერო?!

_ უნდა გადაეხადა... უნდა მოეკლა და გადაეჩეხა!

ხმამაღლა, თავის ქნევით გასცა პასუხი ლუხუმმა აკვიატებულ კითხვებს და ფეხზე წამოდგა.

მეზობლის ქალებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს, ხომ არ გაგიჟდაო. ერთმანეთსვე თვალით უთხრეს, ანკი რა გასაკვირი იქნებაო და პირჯვარი გადაიწერეს.

ლუხუმი დინჯი ნაბიჯით შევიდა ოთახში.

ირმის რქიდან იარაღი ჩამოიღო, აისხა და დერეფანში გამოვიდა.

მეზობლებმა გაკვირვებით შეხედეს ჭირისუფლისთვის შეუფერებლად შეჭურვილ მიგრიაულს.

ლუხუმმა უბიდან სავსე ქისა ამოიღო, ტახტზე დააგდო და მეზობლებს მიმართა:

_ მე არაფრის თავი აღარა მაქვს, მომეხმარეთ. დახარჯეთ და თადარიგი ისე გასწიეთ, რომ დედაჩემის გასვენებას არა აკლდეს რა, პატიოსანი სიკვდილი არ ეღირსა და პატიოსნად მაინც დავასაფლაოთ! მე ხუცესს მოვიყვან...

ლუხუმი დინჯად გავიდა, კიბეებზე ნაბიჯს მოუჩქარა, ცხენს მოახტა და ადგილიდანვე ჭენებით დასძრა.

* * *

ბინდდებოდა, ბაკურ ერისთავის კარ-მიდამოს რომ მიუახლოვდა ლუხუმი. შორიდანვე ჩანდა გაჩირაღდნებული სასახლე, მუსიკისა და სიმღერის ხმა სოფლის ბოლომდე მოდიოდა. დაქვეითებული ლუხუმი ბაკურის დიდ ეზოს მიუახლოვდა.

გრძელ, განათებულ თალარში სუფრა იყო გაშლილი, ბაკურს სტუმრები ჰყავდა.

ლუხუმი ღობეს გაეკრა და სულგანაბული მიაჩერდა: ბაკურმა მემუსიკეებს გაჩუმება ანიშნა, დიდი ყანწი აიღო და გრძელი სადღეგრძელო წამოიწყო.

ლუხუმს თავის სახლში მეფის საბედისწერო სტუმრობა მოაგონდა. მაშინაც ბაკურ ერისთავი იყო თამადად, ალავერდს მასთან გადადიოდა და, რაკი მეფის ახლობლად თვლიდა, ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდა. მერე, მეფემ რომ საქვეყნოდ შეარცხვინა და მოიძულა, სიკვდილის ამბავსაც არ დაუცადა, ცოცხალ კაცს ზვარი მისტაცა და ჯოგი წაართვა.

მაშინაც ასე ენამზეობდა გაუტანელი ერისთავი, მაშინაც ასევე უგულოდ და ყალბად სვამდა ქართველი ხალხის სადღეგრძელოს, როგორც ახლა.

ბაკურმა სიტყვა დაამთავრა და ყანწი რომ პირისკენ წაიღო, ლუხუმმა მშვილდზე ისარი გამართა.

ვეებერთელა ყანწს დაეწაფა ბაკური, სუფრაზე მსხდომთ ხმა გაკმიდეს და აღტაცებით მიაჩერდნენ ერისთავს.

ნახევარი არ ექნებოდა დალეული, რომ ბაკურის აწეულ ყელს ზედ ხორხში ისარი გაერჭო და ერისთავს ხელიდან ყანწი გაუვარდა. მოულოდნელობისაგან დაბნეულებს, ერთ წამს ენა წაერთვათ, მერე უცებ გონს მოეგნენ, აიშალნენ და სოფელი წივილ-კივილმა შესძრა.

ლუხუმი ცხენს მოახტა და ჭენებით გაქანდა ქარუმას მეკობრეების სამყოფელი ტყისაკენ.

* * *

ბაკურ ერისთავის სიკვდილი ერთხანს საიდუმლოებით მოცული დარჩა. ლუხუმის უეცარ გამოჩენას და კვალწმინდად გაქრობას ეჭვით ბევრი უკავშირებდა ბაკურის მკვლელობას, მაგრამ სანამ ლუხუმის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, ეჭვი ეჭვად რჩებოდა.

ხელისუფლების ჩარევამ და კვლევა-ძიებამ მკვლელობის კვალი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ სულ მალე ლუხუმი თავად გამოჩნდა და სამეფო კარს თავზარი დასცა. ბაკურის დასაფლავებაზე მიმავალ დიდებულებს გზაზე ღამით მეკობრეები დახვდნენ. წინააღმდეგობის გაწევისას ორი მოჰკლეს, დანარჩენებს იარაღი აჰყარეს, ცხენები წაართვეს და თავსლაფდასხმულები ქვეითად გაუშვეს.

დიდებულებმა ცალთვალა ლუხუმის მრისხანე სახე დანახვისთანავე იცნეს, მიგრიაულის გაყაჩაღების ამბავი თბილისში ჩაიტანეს და მთელ სამეფოს მოსდეს.

* * *

მიგრიაულის რაზმი თანდათან იზრდებოდა და დიდდებოდა. ბედისაგან დაჩაგრული, უსამართლობისა და უკანონობისაგან გამწარებული, ბატონებისა და მეფის ხელისუფლებისაგან გაბოროტებული ყველა ვაჟკაცი მიგრიაულს უერთდებოდა და მახვილით უხდიდა სამაგიეროს მათი ნამუსისა და კაცობის შემგინებლებს.

მეკობრეები ნაძარცვის დიდ ნაწილს ქვრივ-ობლებსა და ღარიბებს უნაწილებდნენ, ჩაგრულებს აშკარად ექომაგებოდნენ და თავიანთ განაჩენს წინასწარ უთვლიდნენ სასტიკ ბატონებსა და გაუმაძღარ ხუცებს.

თუ თავის ძალითა და ვაჟკაცობით დაიმედებული რომელიმე მემამულე ყმის ჩაგვრაზე ხელს არ აიღებდა, მიტაცებულს არ დააბრუნებდა ან პატიოსანი ოჯახის შერცხვენას არ დაეხსნებოდა, მიგრიაულის ბიჭები განაჩენს დანიშნულ ვადაზე, მთელი ქვეყნის დასანახავად უსრულებდნენ _ ბატონს სახლ-კარს უწვავდნენ, ცოლსა და ქალიშვილებს უუპატიურებდნენ ან თვითონაც აძაღლებდნენ.

უბრალო კაცის სისხლსა და ძარცვას სასტიკად დევნიდნენ მიგრიაულის კაცები და არათუ თავად არავის ერჩოდნენ, სხვებსაც მკაცრად უსწორდებოდნენ მართალი და უდანაშაულო ხალხის აწიოკებისათვის.

ხალხი ყოველნაირად ხელს უმართავდა თავის მოსარჩლეებს, წინასწარ აფრთხილებდა მოსალოდნელი საფრთხისაგან, მალავდა და იფარავდა რაზმელებს.

სოფელი ხომ ეხმარებოდა მეკობრეებს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ხელისუფლებაც უნიათოდ და უგულოდ ეძებდა მათ ბუდე-სამყოფელს. მეფის დამსჯელი რაზმები, თითქო განგებ გაურბოდნენ მეკობრეებთან შეტაკებას, თითქო წინასწარი განზრახვით უტოვებდნენ იარაღითა და სურსათ-სანოვაგით სავსე ბანაკს უბრძოლველად.

სამაგიეროდ, მეფის კარზე უზომოდ აზვიადებდნენ მიგრიაულის ძალასა და სისასტიკეს, მისი რაზმის მრავალრიცხოვანებასა და მტრებისადმი შეუბრალებლობას.

მეკობრეებს აშკარად ვიღაც უმართავდა ხელს, ჩუმად შველოდა მიგრიაულის გაძლიერებას, ხელს უწყობდა მისი სახელის გაფენასა და მეფის კარზე შიშის დათესვას.

მეკობრეები მეფის დამსჯელი რაზმების უმოქმედობას იმით ხსნიდნენ, რომ მეფის ჯარიც ყმა გლეხებისა და ხალხის შვილებისაგან შედგებოდა, რომელთაც გუნებაში, ალბათ, ახარებდათ კიდეც კახეთის ბატონების ესოდენ შევიწროება და მეფის ერთგული მსახურის _ მიგრიაულის შურისგება.

* * *

ბაკური უძეოდ გადაეგო, რადგან ერისთავის ბეხრეკი ცოლი ბერწიც იყო. რა არ იღონა და როგორ არ იწამლა, მაგრამ არ ეშველათ და შვილი არ მიეცათ. ბაკურს მამულისა და ქონების დახარბებით ჰყავდა შერთული შემლებული მემამულის ართვალი ქალი. გული მისკენ ადრეც არ მიუდიოდა და ბოლოს ხომ დასანახავადაც ვეღარ იტანდა. ქეიფისა და ქალების მოყვარული ბაკური დროს მეტწილად სახლგარეთ, სხვა ქალებთან ატარებდა. კახეთის თითქმის ყოველ სოფელში საყვარელი ჰყავდა და უკანონო შვილებიც ბლომად დატოვა.

რაკი ერისთავს კანონიერი მემკვიდრე არ დარჩა, მეფემ ბაკურის მამული რამდენიმე მოცილეს გაუყო და მისი მოზრდილი ნაწილი ბაკურის ციხითურთ თავის ერთგულ ყმას ეგარსლანს უბოძა.

ამიერიდან, მეფის მცველი სპის უფროსი ეგარსლანი ბაკურციხელ ერისთავად იწოდა.

ეგარსლანმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი ბაკურის მემკვიდრეობას. ხარბმა ბაკურმა მამულისა და ქონების შოვნა იცოდა, თორემ მის მოვლასა და პატრონობაზე შემდეგ დიდად აღარ ზრუნავდა.

უმიწაწყლო, მონაყოფილ ეგარსლანს შრომისმოყვარეობასთან და მუყაითობასთან ერთად მიწის დიდი სიყვარული გამოაჩნდა. დიდხანს ნაგროვები ფულით მამულისა და საქონლის მატებას მიჰყო ხელი და მეფის ნაბოძების სანიმუშოდ მოვლა-პატრონობა ცხოვრების აზრად გაიხადა.

მამულისა და ქონების მატებისათვის ზრუნვაში, ბუნებრივია, რომ ეგარსლანმა კახელი მეკობრეების თავაშვებულ თარეშს მიაქცია ყურადღება. ცალკერძ, საკუთარი დოვლათის უშიშროების უზრუნველყოფისა და ცალკერძ, მეფის გულის მოსაგებად, ეგარსლანმა მეკობრეთა წინააღმდეგ თავიდანვე შეურიგებლობა გამოიჩინა. მის სამფლობელოს ახლო არ გაკარებიან მეკობრეები, მაგრამ ეგარსლანი თვითონ გადავიდა შეტევაზე და კახეთის რჩეული აზნაურებით იწყო მათი დევნა და შევიწროება.

ლუხუმსა და ეგარსლანს მეფის კარზე კარგი მეგობრობის მეტი არაფერი აკავშირებდა. ორივე უგვარო იყო და მეფის უსაზღვროდ ერთგული. ორივე ერთნაირად განიცდიდა დიდგვარიანთა დაუმსახურებელ უპირატესობასა და უგვაროთა მიმართ დამამცირებელ ზვიადობას.

მდგომარეობით ერთნაირი მეფის ორი მსახური ხასიათით დიდად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან.

ლუხუმი მშვიდი იყო და ბედით კმაყოფილი. მეფეს ალალი გულით ემსახურებოდა და მისი ბრმა ერთგულება ჰქონდა. იგი აღზევებასა და განდიდებაზე არ ოცნებობდა და რაც გააჩნდა, მისთვისაც მეფის უზომოდ მადლობელი იყო.

ეგარსლანი პატივმოყვარე იყო, ცოტას არ ჯერდებოდა და თვალი სულ მაღლა ეჭირა, განდიდებისაკენ. მეფეს ისიც წრფელი გულით ემსახურებოდა, ლაშასადმი ერთგულებაც სხვაზე მეტი ჰქონდა, მაგრამ მის თავგამოდებას დიდებისაკენ შინაგანი ლტოლვაც ამოძრავებდა.

გამჭრიახმა ეგარსლანმა ხელისუფლებისათვის მიმდინარე ჩუმ ბრძოლას თავიდანვე აუღო ალღო და მისი აქტიური მონაწილე გახდა.

მეფის თვალი და ყური იყო ეგარსლანი. მხარგრძელისა და სხვა დიდგვაროვანი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა მეფეს და ლაშაც მისი ამაღლებისა და დაწინაურებისათვის ყველაფერს აკეთებდა.

ეგარსლანი ტყავში ძვრებოდა და მეფის გულის კიდევ მეტად მოგებასა და ნდობის განმტკიცებას ცდილობდა.

ნახჭევნიდან მახარობლად მოსული ლუხუმი რომ შეიპყრო ეგარსლანმა, ისე მოიქცა, ვითომ ადრე თვალითაც არ ჰყოლოდეს ნახული. მეფის მცველყოფილისადმი გასაოცარი გულცივობა გამოიჩინა, ძაღლივით ხმაც არ გასცა და საპყრობილის ყველაზე უარეს საკანში შეამწყვდევინა.

ახლა, როცა ეგარსლანი კახეთის ერისთავი გახდა, პირველმა მან მოინდომა ტყეში გავარდნილი მეამბოხე გლეხების თარეშის აღკვეთა. მეკობრეების კვალს ჩაუდგა და თუ ვისმეს სადმე მოახელებდა, ცოცხალს აღარ უშვებდა.

* * *

საღამო ხანი იყო.

ეგარსლანი თბილისიდან ბაკურციხისკენ ბრუნდებოდა. თან მხოლოდ ორიოდე მსახური ახლდა კახეთის ახალ ერისთავს.

ტყიანს რომ გაუსწორდა, გზაზე მტვრის სვეტი შენიშნა. ფეხის მტვერი თანდათან მოახლოვდა და ეგარსლანმა კარგად გაარჩია თავით ფეხებამდე შეიარაღებული ცხენოსნების დიდი რაზმი.

ცხენოსნებს ცალთვალა მხედარი მოუძღოდა. ეგარსლანს მიგრიაულის დანახვაზე ემცხეთა, ხელი უნებურად ხმლისაკენ წაიღო, მაგრამ ლუხუმის მრავალრიცხოვან რაზმს რომ გახედა, გუნება ეცვალა.

უკან შემობრუნება აღარ შეიძლებოდა, თავი ჩაღუნა და უბრად გვერდის ავლა დააპირა.

_ რას მემდური, ეგარსლან, პირს რას მარიდებ? _ ჩაესმა ბაკურციხელს და თავი რომ ასწია, გზაზე გადამდგარი, ცხენზე დოინჯშემოყრილი ლუხუმი დაინახა.

ეგარსლანმა ხმა არ გასცა, ცხენს სადავე მოსწია და წინ გადაღობებული მიგრიაულის გზის ავლა სცადა.

_ სად გეჩქარება, პასუხის ღირსადაც აღარ მხდი? _ აუწია ხმას ლუხუმმა, ეგარსლანის ცხენს აღვირში სწვდა და თავისკენ მოსწია.

_ გზა მომე, ლუხუმ, ღმერთმა იცის, შენი ცუდი არ მინდა!

_ თუ ჩემთვის ცუდი არ გინდა, ჩემს ხალხს რად დევნი?

_ მე ჩემს მამულს ვიცავ და ყაჩაღებს შუბლზე არ აწერიათ, ვისი მოგზავნილები არიან.

_ ჩემი ყაჩაღები შენ რას გიშავებენ. შენს მამულს და ქონებას ახლო არ ეკარებიან.

_ არ გეკადრება, მიგრიაულო, მეკობრეების მფარველობა და მეთაურობა, _ ხმადაბლა უთხრა აღელვებისაგან აკანკალებულმა ეგარსლანმა ისე, რომ მისკენ არც გაუხედავს.

_ შენ კი გეკადრება შენსავით ყმა-გლეხებისა და მონების დევნა-შევიწროება?!

_ გავიწყდება, რომ კახეთის ერისთავს ელაპარაკები, _ აუწია ხმას ბაკურციხელმა.

_ კახეთის ერისთავი დღესა ხარ, თორემ გუშინ ყმა-გლეხზე უარესი იყავი, უსახლკარო და უგვარტომო მონა.

შიგ გულში მოხვდა ახლად აღზევებულ მდაბიოს ლუხუმის ნათქვამი და ბრაზისაგან გაფითრდა.

_ გზა მომე-მეთქი, სალაპარაკოდ არ მცალია! _ შეუძახა ეგარსლანმა და ხელი ისევ ხმლისკენ წაიღო. ლუხუმმა ეგარსლანის მარჯვენას თვალი გააყოლა და ბაკურციხელის წელზე ის ხმალი იცნო, რომელიც მეფემ მას აჩუქა ლაშარის ხატში.

რამდენ ხანს ემსახურა მეფეს ამ ხმლით მიგრიაული, რამდენჯერ სიკვდილს გადაარჩინა ლაშა!

ბოლოს უდიერად აჰყარეს პატივახდილ მცველყოფილს მეფის ერთგულებაში ნამსახური ხმალი და თურმე აგერ, ეგარსლანისათვის გადაულოცნიათ.

_ მაგ ხმლის იმედად ნუ ხარ, ეგარსლან! მეც დიდხანს მერტყა ეგ ხმალი, მაგრამ ხომ ნახე, ბოლოს რა სიკეთე მომიტანა. _ დამცინავი ღიმილით უთხრა ლუხუმმა, ცხენს ქუსლი ჰკრა და ამღვრეულ ბაკურციხელს გაშორდა.

ცოტა რომ გაიარა, ცხენზე შემობრუნდა და იმავ ადგილზე გაქვავებულ ბაკურციხელს გამოსძახა:

_ არც მე გერჩი და შენც ჩამომეხსენ, ეგარსლან, თორემ მეორედ რომ შემხვდები, ასე აღარ გაგიშვებ!

ეგარსლანი შეტოკდა, შეურაცხყოფისა და ბრაზისაგან გაფითრებულმა ცხენი შემოაბრუნა, მაგრამ უკვე გვიან იყო _ გაჭენებული ცხენების ფეხთა მტვერს დაეფარა მიმქროლავი ლუხუმი და მისი რაზმი.

@თავი მეცხრამეტე. უკანონო მემკვიდრე

ლაშას ეჭვი ჰქონდა, რომ ვიღაც მისი ძლიერი მტერთაგანი ხელს უშლიდა მეფის დამსჯელი ჯარების მოქმედებას, არ სჯეროდა, რომ მიგრიაულის მეკობრეების ალაგმვა შეუძლებელი ყოფილიყო და თვითონ უნდოდა თავისი მონასპით მათი განადგურება. მაგრამ ცალმხრივ ლილეს დატოვების შიში და ცალმხრივ მეფური ღირსება ნებას არ აძლევდა ლაშას მეკობრეების კვალი ტყეებსა და სოფლის შარა-გზებზე ეძებნა. ლილესაგან შიში მუდამ არხეინს და უშიშარ ლაშასაც გადაედებოდა ხოლმე და მეფე კრთოდა არა მიგრიაულის ძალის, არამედ მისი სიმართლის წინაშე.

მიგრიაულის თავგასული მეკობრეები კახეთის სოფლებსა და ქალაქებს აღარ სჯერდებოდნენ და მეფის მამულებს სწვდებოდნენ. ათაბაგი და ვაზირები მხრებს იჩეჩავდნენ, თავს იმართლებდნენ, ხელ-ფეხი შეგვიკრა მეფის თავნებობამ და უკანონობამო და ლუხუმის მოქმედების სამართლიანობას ხმამაღლა აღიარებდნენ.

ბოლოს ხმა გაავრცელეს: ლუხუმი დიდძალი მეკობრეებით აპირებს თბილისზე თავდასხმას და თავისი კანონიერი ცოლის ძალით დაბრუნებასო. განგებ, მეფის გულში შიშის ჩასანერგავად, დედაქალაქი გაამაგრეს და დაცვა გაამლიერეს. ისედაც შეშინებულ ლილეს სასო წარეკვეთა, ძილში და ცხადად ხმალშემართული, სისხლიანი ლუხუმი ელანდებოდა, ყოველ გაფაჩუნებაზე მტრედივით კრთოდა, მეფეს სახლიდან გარეთ არ უშვებდა და ცდილობდა, კაბაზე გამობმულივით მუდამ გვერდით ჰყოლოდა.

ლილე უკვე კარგა ხნის ორსული იყო და იმდენად თავისთავისა არ ეშინოდა, რამდენადაც თავისი სიყვარულის პირველი ნაყოფისა და ტახტის მომავალი მემკვიდრის დაღუპვის.

მეფეს შეევედრა, ლიხთ-იმერეთს წავიდეთო და ხელმწიფეც მაშინვე დათანხმდა.

ჯერ მესხეთი განვლეს და ერთხანს კოლას განისვენეს. იქიდან ზღვის პირს გავიდნენ, ზღვა-ზღვა ნავებით ამოჰყვნენ და ბოლოს ქუთაისის სასახლეში მობრძანდნენ.

ლიხთ-იმერეთის დიდებულები _ დადიანი და შარვაშიძე, სვანეთის, რაჭისა და არგვეთის ერისთავები ძღვენით და პატივით ეახლნენ და ეთაყვანენ მეფეს.

დიდებულების ცოლები მოუთმენლად ელოდნენ მეფის ლამაზი ხარჭის ნახვას. საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულნი წარსდგნენ სასახლეში, ფარულად თუ ცხადად აათვალ-ჩაათვალიერეს

ლილე. სინატიფე და მიხრა-მოხრა, სახის იერი და ტანის ნაკვთი დაწვრილებით გაუსინჯეს და გაუჩხრიკეს და, თუმცა მეფის კრძალვა და რიდი ჰქონდათ, მეფის სატრფოს წინაშე თავი ქედმაღლურად დაიჭირეს.

ლილეს ცოტაღა დარჩენოდა მშობიარობამდე. მის ტანს ადრინდელი კენარობა დაჰკარგოდა, მოძრაობაში სიმძიმე და მოუქნელობა შეჰპარვოდა და სახეზეც აქა-იქ ორსულობის ტალები დასდებოდა. მის დღეში სხვა ქალი უამური შესახედავი იქნებოდა, მას კი ადრინდელი დიდებულებისა და მშვენიერებისაგან კიდევ იმდენი შერჩენოდა, რომ გამკილავსა და ქვეგამხედვარ თვალს შურის აღსაძრავად ჰყოფნიდა.

დიდებულთა ცოლები და ასულები ლილეზე ტუჩაბზეკით ჩურჩულებდნენ, მის ტანწერწეტობასა და სახის სინატიფეზე ქირქილებდნენ, მაგრამ გულში ჩაბუდებული შური თავს ვერ მალავდა და ყოველ ნაბიჯზე მჟღავნდებოდა.

უფრო სამართლიანები ლილეს მშვენიერებაზე თვალს არ ხუჭავდნენ, გამკილავი თავადის ქალების დანახულ ნაკლს მისი ორსულობით ხსნიდნენ და მეფის არჩევანს იწონებდნენ.

დიდებულთა ქალებს უფრო საკუთარი იმედების გაცრუება აკაპასებდათ. ბევრი მათგანის ოცნება იყო საქართველოს დედოფლობა და იშვიათი მოყმისა და რაინდის ლაშას თანამეცხედრეობა. ამის უფლებას ერისთავთ-ერისთავების ქალებს თავიანთი დიდ-დიდი და ძველი გვარები აძლევდა. ეს გვარები თავისი წარსული დიდებით ბაგრატიონებს არ ჩამოუვარდებოდნენ, ხოლო ამჟამად, თუმცა საქართველოს მეფის ყმებად ითვლებოდნენ, თავიანთ საერისთაოებში თავად იყვნენ „მეფეთა ადგილზე მჯდომელნი“ და „ქვეყნის უცილობლად მქონებელნი“.

მეფის დარბაზობიდან დიდებულები და მათი ცოლები სხვადასხვა გუნებაზე ბრუნდებოდნენ. ქალბატონები შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს, რადგან გლეხის ქალის გვერდით მდგარმა ჭაბუკმა მეფემ ძველებური გატაცებით, ვნებითა და ნდომით გამოხედვა ერთხელაც არ აღირსა მისი ყურადღების მნატვრელ ერისთავების ლამაზ ასულებს. თავიანთ მთელ რისხვასა და აღშფოთებას „უგვარო ხარჭას“ ატეხდნენ თავს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, როგორ გვაკადრა პატიოსან ბანოვანებს სიძვის დიაცის ხლებაო.

დიდებულები ჩუმად ადევნებდნენ თვალს მეფის ყოველ გამოხედვას მათი ცოლებისა და ასულებისკენ და რაკი მასში ადრინდელი მოურიდებლობის კვალსაც ვეღარ ჰპოულობდნენ, კმაყოფილები და დამშვიდებულები გამოდიოდნენ მეფის დარბაზობიდან.

ისინი მეფის უგვარო, მაგრამ ლამაზი ხარჭის ხლებით დამცირებას უფრო ადვილად ურიგდებოდნენ, ვიდრე მათი ქალებისადმი მეფის ადრინდელ გადამეტებულ ყურადღებას. მეფესთან უფრო ლაღად იყვნენ და წრფელი გულით სთხოვდნენ წვევასა და სტუმრობას.

ლაშაც ხან ერთ ერისთავთან ილხენდა და ხან მეორესთან. აჯამეთის ტყესა და კოლხეთის ჭალებში ნადირობასა და პურობას ბოლო აღარ უჩანდა.

ქუთაისში დაცხა და მეფემ ლილე გელათის აგარებში გაიყვანა. აქ ტყიანში უფრო გრილოდა და ფეხმძიმე თავს უკეთ გრძნობდა. ქეიფით და დროსტარებით დაღლილ ლაშასაც მალე ისევ მყუდროება მოუნდა და გაცალკევება არჩია. მთელი დღეები ლილესთან იყო ან თავის მეგობრებთან ერთად გელათის აკადემიაში მიდიოდა და ფილოსოფოსებთან და რიტორებთან საუბარსა და კამათში ებმებოდა.

* * *

გაშლილ ზღვაში ნავი ოდნავ ირხეოდა.

მენავეები ისე წყნარად უსვამდნენ ნიჩბებს, თითქო ლურჯი ზღვის მყუდროების დარღვევას ერიდებიანო.

ნავში გულაღმა გაშოტილი, ნახევრად ტანშიშველი მეფე იწვა. თავთან საჩრდილობელი ედგა და ოდნავ მოხუჭული თვალებით საოცრად გამჭვირვალე ლაჟვარდს გაჰყურებდა. მზიანი დღე იდგა და ცაც და ლაჟვარდიც ზღვასავით ლურჯი და დაუსაბამო იყო.

ლაშამ თითქმის მთელი ლიხთ-იმერეთი მოიარა.

ქეიფისა და მოგზაურობისაგან დაღლილი, ახლა ზღვაზე ისვენებდა და ტკბილად გატარებულ დროს იგონებდა. როგორი მრავალფეროვანი იყო მისი სამეფო. ამ ერთ მტკაველ მიწაზე როგორ მალ-მალე იცვლებოდა ბუნება, ჰავა, მკვიდრთა კილოკავი, ზნე-ჩვეულება, ხასიათი და სიმღერა.

ღვინო და სიმღერები აოცებდა ყველაზე მეტად ლაშას. ჯერ იყო და აჭარულ-გურულმა ჩხავერმა და კრიმანჭულმა მოხიბლა, მერე _ იმერულმა ცოლიკაურმა და სუფრულმა, შემდეგ _ რაჭის ხვანჭკარამ და ფერხისულმა და ბოლოს ტკბილმა მეგრულ-აფხაზურმა და ზვიადმა სვანურმა სიმღერამ ხომ სულ დაატყვევა.

წარღვნისაგან მაღალ მთებზე გამორიყულს ჰგავდა კოშკებიანი სვანთა სოფლები და მთებში გამომწყვდეული ქუხილის ნახმევს უფრო აგონებდა სვანთა ძველისძველი საგმირო სიმღერები მეფეს.

ჯიხვებზე ნადირობითა და ნაირ-ნაირი ღვინოების ჭაშნიკით დაღლილი მეფე ახლა აფხაზეთის სანაპიროზე ისვენებდა და იმ აზრზე იდგა, რომ ზღვას მაინც არა სჯობია რა. აქ სხეული და სული ორივე ერთად ისვენებდა, ცისა და ზღვის განუყოფლობასა და უსასრულობას უერთდებოდა და ამქვეყნიური ზრუნვისაგან თავისუფლდებოდა.

„ამოდენა სანაპირო გვაქვს, შავი ზღვის აღმოსავლეთის დიდი ნაწილი საქართველოსია და ქართველები ჯეროვნად ვერ ვსარგებლობთ ამ ზღვისა და მზის სიკეთით, _ ფიქრობდა თვალმილულული მეფე. _ რამდენი ქართველი ისე მოკვდება ლიხს იქით და ლიხს აქეთაც, რომ ამ ულამაზეს ზღვას ერთხელაც თვალს ვერ შეავლებს და მის ტალღებში სხეულს ვერ დაასვენებს“.

ეს ფიქრიც მოსწყინდა ლაშას, პირქვე გადაბრუნდა, თავი მკლავებში ჩარგო და იმ დაუსაბამო ლაჟვარდისა და ზღვის მსგავსად უძრავად გაიტრუნა. ნირვანაში გადასულივით იყო ლაშა, იმ წუთში აღარც ლილე და ლუხუმი ახსოვდა, აღარც ტახტი და მხარგრძელი.

უცებ შორეული სტვენა და ბუკის ხმა მოესმა. თვალი გაახილა. მენავეები ფეხზე წამომდგარიყვნენ და შუბლზე ხელმოჩრდილებულნი ნაპირისაკენ იხედებოდნენ.

ლაშა წამოიწია. ნაპირს გახედა: თეთრტაიჭოსანი მოყმე ზღვის ნაპირს გადი-გამოდიოდა, ბუკს აყვირებდა და თეთრი ალმის ქნევით ნავში მსხდომთ რაღაცას ანიშნებდა.

ზღვის ნაპირას თანდათან ხალხი გროვდებოდა.

_ წავიდეთ, რაღაც ამბავია! _ ბრძანა ლაშამ და ჩაცმას შეუდგა. სასწრაფოდ ჩაიცვა, მენავეს ნიჩბები გამოართვა და ღონივრად მოუსვა. ნავი ისარივით გასრიალდა ნაპირისაკენ.

ნაპირს რომ მიუახლოვდა, მეფეს დამხვდურთა აღტაცებული ყიჟინი მოესმა:

_ ტახტის მემკვიდრე უფლისწულს გაუმარჯოს!

_ მეფის ძეს გაუმარჯოს!

მეფეს გულისცემამ უმატა. მენავეების ფაციფუცს აღარ დაუცადა და ნავიდან პირდაპირ ისკუპა ნაპირზე.

მუხლებზე დაცემულმა მოყმემ მეფეს უფლისწულის დაბადება ახარა.

ბავშვივით აღტაცებული მეფე მაშინვე ცხენს მოახტა და უზომოდ გახარებული გელათს გაეშურა.

ერისთავები და მთავრები მეფეს ვაჟის შეძენას ზომიერად და თავშეკავებით ულოცავდნენ და ტახტის მემკვიდრის დაბადებაზე განზრახ არაფერს ამბობდნენ. სამაგიეროდ, სოფლებისა და ქალაქების გზებზე გამოსული ხალხი _ გლეხები და ღარიბი აზნაურები, ვაჭრები და ხელოსნები მეფეს გულწრფელად ესალმებოდნენ და ხმამაღლა გაჰკიოდნენ: ტახტის მემკვიდრეს გაუმარჯოსო.

* * *

ფეხისწვერებზე შემდგარი ლაშა ფრთხილად შევიდა ლილეს საწოლში. ლილეს არ ეძინა, მის დანახვაზე ოდნავ წამოიწია და სახე ღიმილმა გაუბრწყინა. უღიმოდა თვალი და ტუჩი, წარბ-წამწამი და ლოყების პაწაწინა ფოსოები, სახის ყოველი ნაკვთი და კუნჭული. ამ ღიმილში რაღაც

ახალი გამოკრთოდა, რაიც ლილეს სახესა და გამოხედვას უჩვეულო სილბოთი და სინაზით ანათებდა. ეს ახალი _ დედობრიობის გრძნობის პირველი განცდა იყო, შვილიერების პირველი სიხარული და იგი არა მარტო სხეულს უვსებდა ბედნიერებით, მის გონებასაც ვარდისფერ ბურანში ხვევდა და ათრობდა.

ლილემ წამით თვალი თვალში გაუყარა ლაშას და მის თვალებშიც რომ ბედნიერება ამოიკითხა, თავი გვერდზე იბრუნა და ხელით ანიშნა მწოლარე ჩვილზე.

ლაშა ფეხაკრეფით მივიდა, ჯერ ლილეს აკოცა ნაზად, თითქმის ტუჩმიუკარებლად, მერე ყრმისკენ დაიხარა.

ლილე ნიდაყვებზე წამოიწია და ამაყი იერით ასწია ყრმის საფარველი. ძოწეულის წითელ სახვევებში მაგრად გაკრულმა ჩვილმა უცებ სახე სატირლად დაჭყანა და კნუტივით დაიკნავლა.

უცხო კაცს უშნო და უსიამოვნო მოეჩვენებოდა ჯერ კიდევ ნაკვთებჩამოუყალიბებელი ბალღი. მაგრამ სილამაზის ფასის ესოდენ მცოდნე ლაშაც, ლილეს მსგავსად, უდიდესი სიამოვნებითა და აღტაცებით დაჰყურებდა ამ პატარა ხორცის თითქმის უფორმო ნაგლეჯს.

_ სულ შენა გგავს! _ ჩურჩულით უთხრა ლილემ, სიხარულის ღიმილად დაიღვარა და მკერდზე მიეკრა მეფეს.

_ შენცა გგავს! თვალები შენი ექნება _ შავი და გაზიდული, _ უთხრა ლაშამ და ჩვილს დააკვირდა, რომელსაც ნამდვილად ჯერ არც თვალების ფერი ეტყობოდა და არც მოყვანილობა.

_ ლაშა, სახელზე არ გიფიქრია, რა დავარქვათ?

_ არა, არ მიფიქრია... რა დავარქვათ?.. _ თავისთვის იკითხა ლაშამ, თავი ასწია და ფიქრში წავიდა, ალბათ, სახელებს თუ იგონებდა.

_ შენი დიდი პაპის სახელი მოუხდება, ღმერთმა მისებრ შემძლებელ ჰყოს ტახტისა და ქვეყნის პყრობად!

ამას ენით ამბობდა ლილე, მაგრამ გულში თავისი დაღუპული მამის სახელს სთავაზობდა ლაშას პირმშოს დასარქმევად _ მამამისსაც დავითი ერქვა.

_ კარგია! დავითი დავარქვათ, ჩემი დიდი პაპისა და ჩემი გვარის დიდი წინაპრის სახელი, _ დაუდასტურა ლაშამ, დაიხარა და ჩვილის შავ ღინღლს ნაზად ეამბორა.

ლიხთ-იმერეთის დიდებულებმა მძიმედ და თავშეკავებით იწყეს მოლოცვა. სიტყვა და სიხარული აწონილი იყო, ძღვენი და მოსაკითხი _ ზომიერი. მეფე ხედავდა, რომ მის სიხარულს ლიხთ-იმერეთის დიდებულები არ იზიარებდნენ, მაგრამ ის უფრო აწუხებდა, რომ თბილისიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა მემკვიდრის დაბადების გამო.

ჯერ მარგველმა და მერე მეფემ ზედიზედ აფრინეს თბილისს მახარობლები. თბილისიდან ყოველდღე მოდიოდნენ მალემსრბოლები, მეფესთან ქვეყნისა და სამეფოს ახალი ამბები მოჰქონდათ, ათაბაგი და ვაზირები ათას წვრილმანსა და მნიშვნელოვანს ატყობინებდნენ მეფეს. მაგრამ მისთვის ესოდენ დიდ ამბავზე, პირმშოს შეძენაზე განგებ კრინტს არ სძრავდნენ, არათუ არ ულოცავდნენ, თავს ისე იჭერდნენ, თითქოს ეს ამბავი არ იცოდნენ ან მათ სულაც არ ეხებოდათ.

ვაჟის გაჩენის სიხარულით გაბრუებული ლაშა პირველად მაინცდამაინც არ აქცევდა ყურადღებას სამეფო კარის, ვაზირებისა და დიდებულების გულგრილ დამოკიდებულებას ტახტის მემკვიდრისადმი.

მეფეს ახლა კი ნამდვილად საპატიო მიზეზი ჰქონდა ქეიფისათვის. აუღებელ სუფრებზე პატარა დავითის მომავალს ლოცავდნენ, მგოსნები მეფისა და მისი ყრმის ქებას თხზავდნენ და მეფის საამებლად სუფრაზე მემკვიდრის სადიდებელს მღეროდნენ.

ბურთაობა ცხენოსნობასა და ნადირობას გადაება, ქეიფი _ ქეიფს, ღამე _ დღეს და კვლავ ძველებურად უნაღვლოდ და უდარდელად წარიმართა ხელმწიფის ცხოვრება.

პირველ ხანებში ლილე უამრავ ძიძასა და გამზრდელს არ ენდობოდა, ბავშვის ზრუნვითა და მოვლით თავად იყო გართული. პატარა დავითის მოვლა-პატრონობაში გამოუცდელ ლილეს მხოლოდ არგვეთის ერისთავის ცოლი თაფლო შველოდა. ამდენ ქალთა შორის ერთადერთი იყო, რომელსაც ლილე უშიშრად ანდობდა ჩვილის მოვლასაც და საკუთარ გულისნადებსაც.

* * *

წესით, უფლისწულის აღზრდა ათაბაგს უნდა ეკისრა, მხარგრძელის ეს ახალი წოდება მეფეთა შვილების აღმზრდელობას გულისხმობდა და ივანემ ათაბაგობის პატივი სწორედ ამ საბუთით გამოსთხოვა თამარს.

ივანე ათაბაგს თავად მეფე არ ეხატა გულზე და მისი უკანონო შვილის აღმზრდელობა სულაც არ ეპიტნავებოდა, პირიქით, მემკვიდრის დაბადებამ კიდევ უფრო აღძრა მხარგრძელი მეფის მემრუშეობისა და „სიძვის დიაცის“ სასახლეში ყოფნის წინააღმდეგ.

ტახტის მემკვიდრის გაჩენა მხარგრძელის გეგმებსა და ოცნებას ჩაშლას უქადდა. ამიტომ, ათაბაგი არა მარტო არ სცნობდა ლაშას ძეს ტახტის მემკვიდრედ, არამედ მის ცოლ-შვილს სჯულისა და კანონის გარეშე აცხადებდა და, ერთი მხრივ რომ დარბაზს სამეფო კარიდან „ხარჭის“ გასაძევებლად ამხედრებდა, მეორე მხრივ, ჩუმად მიგრიაულს უგზავნიდა კაცებს და კანონიერი ცოლის დაბრუნებისათვის სამოქმედოდ აქეზებდა მეფის წინააღმდეგ.

რაკი მეფის კარზე ტახტის მემკვიდრის აღზრდისა და პატრონობისათვის ყურს არავინ იბერტყავდა, ლილემ და ლაშამ სიამოვნებით მისცეს უფლისწული შემოხვეწილ მარგველსა და მის ცოლს აღსაზრდელად.

მემკვიდრის გაჩენის შემდეგ ლილე ღრმად ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას. თუ მანამდის მხოლოდ მეფის ტრფობითაც ბედნიერი და კმაყოფილი იყო და ამიტომ კარის დამოკიდებულებას დიდად არ დაგიდევდა, ახლა, როცა მეფისაგან ძე შეეძინა, ძველებურად გაურკვეველსა და საეჭვო პირობებში დარჩენა აღარ შეეძლო. ლილეს პირველი საზრუნავი კანონის მიერ ტახტზე მემკვიდრის უფლების ცნობა და აღიარება იყო. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ ეკლესია მისსა და ლაშას ცოლქმრულ კავშირს სჯულიერი ქორწინებით დააკანონებდა. ლილეს ფიქრი ისევ და ისევ ეკლესიასა და მის მეთაურს _ მკაცრსა და შეუვალ კათალიკოსს სწვდებოდა. კათალიკოსს მეფის „ხარჭის“ გაგონებაც არ უნდოდა. ამბიონიდან ყველას გასაგონად სიძვის დიაცებს წყევლიდა და კრულავდა, ლილეს მოციქულებს უგზავნიდა, ეშმაკის გზიდან გადასვლას და სჯულიერ ქმართან დაბრუნებას უქადაგებდა, თან ღვთის რისხვით, საუკუნო წაწყმედითა და ჯოჯოხეთის ცეცხლით აშინებდა.

* * *

ურჩი და ამაყი მეფე დიდხანს არ სცნობდა კათალიკოსის ძალასა და უფლებას. მაგრამ სიყვარულმა მის ზვიადობას ფრთა შეაკვეცა და იძულებული გახდა, ეკლესიისა და მისი მესაჭის მფარველობა ეძებნა. კათალიკოსი ხარობდა, წინასწარ ტკბებოდა, მის წინაშე სახვეწრად დაჩოქებულ მეფეს რომ წარმოიდგენდა. საგანგებო საეკლესიო კრება მოიწვია, ეპისკოპოსები და მღვდელმთავრები გააფრთხილა და მეფეს საქორწინო გვირგვინისკენ გზა შეუკრა. რაც უფრო ძლიერი იყო მეფის სიყვარული და სატრფოსთან ქორწინების სურვილი, მით უფრო მეტ სიკერპესა და შეუვალობას იჩენდა კათალიკოსი, რომელიც მხარგრძელთან და მეფის სხვა ფარულ მტრებთან შეთანხმებით მოქმედებდა. მეფისგან პირველივე მცდელობა ლილესთან დაქორწინებაზე გარდუვალ წინააღმდეგობას წააწყდა. ლაშას მაშინაც დიდად თავი აღარ გამოუდვია და ხუცესების დასტურის გარეშეც სრულად ღებულობდა სატრფოსთან განცხრომის სიამეს.

ტახტის მემკვიდრე უფლისწულის დაბადების შემდეგ მეფისაგან კანონისა და სახელმწიფო სამართლის უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა. ლილეს იმდენად უკვე თავის უუფლებობა აღარ აწუხებდა, რამდენადაც იმის შიში, რომ მისი ძე კანონგარეშე არ დარჩენილიყო და ტახტს ლაშას შემდეგ სხვა ვინმე არ დაპატრონებოდა. ლილემ თავის უპირველეს ფიქრად და ცხოვრების აზრად უფლისწულისათვის ტახტის უზრუნველყოფა, კანონის მიერ მისი მემკვიდრეობის უფლების დადასტურება გაიხადა.

თავისი საზრუნავი უფლისწულის დედობილს გაანდო. მემკვიდრის ბედით შეწუხებული არგვეთის ერისთავის ცოლი მაშინვე დატრიალდა.

ერისთავის კარის ეკლესიის ხუცესმა მეფის დაქორწინებაზე გადაჭრილი უარი ვერ გაუბედა, მაგრამ ქუთათელის ნებართვა ითხოვა.

არგვეთისა და რაჭის ერისთავთა ცოლები ქუთათელს ეახლნენ დიდი ძღვენითა და შესაწირავით და მეფისა და ლილეს ქორწინების ნებართვა და თანხმობა სთხოვეს.

ქუთათელმა ერისთავთა ქალბატონები პატივით მიიღო, ძღვენი და შესაწირავიც მადლით მიითვალა, მაგრამ მათ სათხოვარზე შეუვალი უარი განაცხადა:

_ არა წეს არს მეფეთაგან ყმათა გვირგვინის მეუღლესთან ქორწინება, არცა მეძავობა და მრუშობა, არა ხელმეწიფების, დავშალო სრულიად საქართველოს დარბაზისა და ეკლესიის გადაწყვეტილება!

მტკიცედ მოჭრა ქუთათელმა.

ერისთავთა მეუღლეები გაწბილებულნი დაბრუნდნენ ლილესთან.

სასოწარკვეთილი ქალი იმითღა ანუგეშეს, დრო გავა, კარი ტახტის მემკვიდრეს შეეჩვევა და შეიყვარებს, მეფისა და შენი სათნო ქცევით კათალიკოსი მოლბება, ბოლოს და ბოლოს, ჯვარს დაგწერენ და უფლისწულსაც ტახტის უფლებას დაუმტკიცებენო.

* * *

მოულოდნელად ლიხთ-იმერეთში კათალიკოსი გამოჩნდა. რაჭის ერისთავისა და ქუთათელის წვევით რაჭისკენ მიემგზავრებოდა ახლად აგებული ეკლესიის საკურთხებლად. გზად კათალიკოსმა მარგველის მამულზე გაიარა. მეფის იქ ყოფნა იცოდა, მაგრამ შეჩერება განზრახ არ ინება.

არგვეთის ერისთავმა დიდად იწყინა კათალიკოსისაგან მისი არად ჩაგდება, მაგრამ საქართველოს ეკლესიის მეთაურის მოქმედების მიზეზს რომ მისწვდა, შეურაცხყოფა ადვილად დაივიწყა. ლილე რომ არა, მეფეს კათალიკოსის მოგზაურობა და მის დიდებულებისათვის გვერდის ავლა შეუმჩნეველიც დარჩებოდა. ლილეს კათალიკოსის გამოჩენამ იმედი ჩაუსახა, იქნებ, როგორმე გული მოვულბო და ქორწინების ნებართვა გამოვთხოვოო.

ღამით, ძილის წინ, მეფეს ალერსის დროს შეაპარა: კათალიკოსს ვეახლოთ, შენდობა და პატიება ვთხოვოთ და ჯვრისწერის დასტურს შევეხვეწოთო.

მეფეს კათალიკოსის ჯიუტობა კარგად ჰქონდა გამოცდილი, ერთხელაც ინანა მასთან ხლება და ჯვრისწერაში შეწევნის თხოვნა. მაშინ სიცოცხლის ვნებისაგან დაშრეტილმა მოხუცმა გულისყური დაიხშო ჭაბუკი მეფის სახვეწარის შესასმენად, სასტიკად გაჰკიცხა და შეაჩვენა „მრუშობისა და ღვთის უარმყოფლობისათვის“. მეფე იმდენად აღაშფოთა ბერიკაცის ესოდენ თავდაუჭერლობამ, რომ კინაღამ მისი მაღალი ღირსება დაივიწყა და ცოტა გაწყდა, „გვირგვინის ქმრის მოღალატე სიძვის დიაცის“ მაწყვევარს წვერში არ სწვდა.

ადრეც არ უყვარდა ეს კერპი და გულქვა მოხუცი ლაშას და იმ დღიდან ხომ დასანახავადაც შეიძულა.

_ მეორეჯერ მკვდარს თუ მიმიტანენ კათალიკოსთან, თორემ ცოცხალი როგორღა მივალ, მაგრამ ნურც ამისი იმედი ექნება, რადგან თავს მის დაულოცავადაც კარგად ვგრძნობ და მის კათალიკოსობაში სიკვდილს არ ვაპირებ, _ დაცინვით, მაგრამ ცივად დაასრულა ამ საგანზე ლაპარაკი მეფემ.

ლილე დარწმუნდა, რომ მეფე თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა. ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, თვითონ ხლებოდა კათალიკოსს დიდი ძღვნითა და პატივით, მეფე და ტახტის მემკვიდრე შეევედრებინა, თავისი და ლაშას უზომო სიყვარულის სიწმინდით მისი გული მოელბო და სჯულიერი ქორწინების ნებართვა ეთხოვა.

თავისი განზრახვა ლილემ მარგველის ცოლს გაანდო. თაფლომ განზრახული მოუწონა და ორივენი კათალიკოსის სანახავად გამგზავრების თადარიგს შეუდგნენ.

მეფე და მარგველი მთაში სანადიროდ გაისტუმრეს და ორივე ქალბატონი კათალიკოსის სანახავად ქმრების უჩუმრად გაემგზავრა.

გრძელი გზით დაღლილი კათალიკოსი მღვიმის მონასტერში შეჩერებულიყო. ცხენზე მსხდომმა ქალებმა მალე მიაღწიეს მონასტერს, წირვას დაესწრნენ და წირვის ბოლოს წინამძღვარი მიუგზავნეს კათალიკოსს. კათალიკოსმა „მეფის ხარჭას“ ნება დართო ხლებოდა, მაგრამ კარის ზღურბლის იქით ფეხი არ გადაადგმევინა, შორიდანვე შესძახა, როგორ გაბედე ბიწიერებით აღსავსემ აქ მოსვლა და ამ წმიდა ადგილის შებღალვაო. ხმა არ ამოაღებინა და სავედრებლის თქმა არ აცალა, წყევლა-კრულვით შეხვდა და სამგზის შეაჩვენა, ვითარცა ეშმაკეული და მაცდუნებელი სატანა.

ლილე გაფითრებული ისმენდა მოხუცის ქოქოლას, შიშით კრთოდა მის წინაშე და მუხლები უკანკალებდა. მაინც თავს იმაგრებდა, უნდოდა, მორჩილად აეტანა დაუმსახურებელი კიცხვა და შეჩვენება, რომ ბოლოს თავისი სათხოვარი ეთქვა და გულმხურვალე ხვეწნით ეცადა მისი გაქვავებული გულის მოლბობა.

„სიძვის დიაცის“ უდრტვინველმა მორჩილებამ, უცრემლობამ და ხმის ამოუღებლობამ კიდევ უფრო გააკაპასა ბერიკაცი, ურცხვი და უტიფარი უწოდა, ზედ მიეჭრა, მუშტი მოუღერა და ფეხის ბაკუნით დაუწყო ტუქსვა, როგორც უკანასკნელ მხევალს.

ლილე პირქვე დაეცა და ამდენი ხნის შემაგრებული ქვითინი წასკდა.

ხმაურზე წინამძღვარი შემოვიდა. ძირს დაცემული, ატირებული ლილე რომ დაინახა, შეწუხდა და მაშინვე ის გაიფიქრა, ვაითუ, მეფის რისხვა მეც თავს დამატყდესო, კათალიკოსის წინაშე დაიჩოქა და შეევედრა:

_ ნუ ინებებს თქვენი უწმიდესობა, ნუ ხელჰყოფს დედოფალს!.. _ „დედოფლის“ გაგონებაზე კათალიკოსი შეკრთა, უცებ გონს მოეგო და მიხვდა, აღელვებულს როგორ შორს შეეტოპა: ეს ქალი მართალია უკანონოა, მაგრამ მეფის ცოლი იყო, ყოველ შემთხვევაში, თავდავიწყებით საყვარელი ხარჭა და სატრფო მაინც, მისი შეგინება და, მით უფრო, ხელის შეხება კათალიკოსს შეიძლება სიცოცხლედაც დასჯდომოდა.

_ განვედ, სატანა! განვედ! _ შეჰყვირა კათალიკოსმა. პირჯვარი სამგზის გადაიწერა და ოდნავ დაშოშმინებულმა წინამძღვარს უბრძანა: _ განაძე საყდრისაგან ღვთისა მხევალი ესე, ცოდვილ უმეტეს ყოველთა სხვათა სიძვის დიაცთა...

მოძღვარმა მტირალი ლილე ფეხზე წამოაყენა და კათალიკოსის სამყოფელიდან გაიყვანა...

გულმოკლული, იმედგადაწყვეტილი დაბრუნდა ლილე მარგველის სახლში. მონასტერში მომხდარი ამბავი საიდუმლოდ შეინახა და ნადირობიდან მხიარულად შემოქცეულ მეფეს არაფერი აგრძნობინა. მაგრამ ქვეყანას დიდი თვალი და ყური აქვს, ლილეს და თაფლოსაგან დამარხული საიდუმლო, როგორღაც, მონასტრის კედლებს გასცდა და მეფის ყურამდის მივიდა.

მეფის აღშფოთებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

გაბრაზებულ გულზე მონასტერში უნდოდა მივარდნილიყო და ლილეს შეურაცხმყოფელი კათალიკოსი წვერით ეთრია. ცოტა რომ დაწყნარდა, ამ ფიქრზე ხელი აიღო.

იმ ღამეს გვიან დაეძინა და ნაშუაღამევს გაეღვიძა.

ფიქრმა ძილი არ დაანება მეფეს. ისევ ეკლესიაზე და თავის სიყვარულზე, უზომოდ შეურაცხმყოფელ კათალიკოსზე და საკუთარ უძლურებაზე ფიქრობდა ლაშა. ეკლესიას თითქმის განუსაზღვრელი ძალა ჰქონდა საქართველოში. ქართველი მეფეების მრავალმა თაობამ, ზოგმა ნებით და ზოგმა უნებლიეთ, იმდენად გაზარდა ეს ძალა, რომ ბოლოს თვით მეფის ხელისუფლებას დაუპირისპირდნენ ეკლესიის მეთაურები. მათი ნებართვისა და დასტურის მიუცემლად ხელმწიფის კარზე მნიშვნელოვანი არაფერი წყდებოდა და ხშირად ძლიერი და მტკიცენებისყოფიანი კათალიკოსები მეფეებს კანონებს თვითონ კარნახობდნენ.

ქართველთა მეფეებს ზვიადი ფეოდალების ალაგმვაზე მეტად ეკლესიის თავგასული მეთაურების დათრგუნვა უძნელდებოდათ და ზოგჯერ ძლიერი და მორჭმული ხელმწიფეებიც კი უძლურნი იყვნენ კათალიკოსების თავნებობის წინაშე. თვით ლაშას ნეტარი დედა, დიდი თამარიც კი, რომელიც გარეშე და შინაურ მტრებს წარმატებით იგერიებდა, უღონო იქმნა უაღრესად გაძლიერებული და აღზევებული კათალიკოსის მიქაელ მირიანის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიქაელმა მზაკვრობით მწიგნობართუხუცესობაც მიიჩემა და ორთავ ხელისუფლებას დაეპატრონა _ საეკლესიოსაც და საეროსაც.

რა არ იღონა თამარმა, რა ხერხს არ მიმართა, საეკლესიო კრებაც კი მოიწვია მიქაელის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გახდა ძლიერ და ჭკვიან მღვდელმთავარსა და მწიგნობართუხუცესთან.

თამარი ქალი იყო, ნაზი და გულმოწყალე, ამიტომ, შეიძლება გადამწყვეტ ნაბიჯს ვერ დგამდა წმიდა ეკლესიის მეთაურის წინააღმდეგ, მაგრამ ვახტანგ გორგასალი ხომ მტკიცე და შეუპოვარი ვაჟკაცი იყო, ქართველ მეფეთაგან უძლიერესი და უფლებაგანუსაზღვრელი! სწორედ ამ ძლევამოსილ მეფესა და თავზეხელაღებულ მხედარს რაოდენ უპატიოდ და თავხედად მოექცა ერთი თავგასული ეპისკოპოსი, რომლის გადაყენებაც მან საიდუმლოდ განიზრახა.

„და მივიდა მეფე, _ გაიხსენა ლაშამ მემატიანის მოთხრობა. _ და გარდახდა სახედარსა. რათამცა შეემთხვია ფერხთა ეპისკოპოზისათა, და განხადა მან ფეხი და მიამთხვია პირსა მეფისასა, ფანდაკითა შემუსრა კბილი მისი“.

უძლეველსა და უმკაცრეს მეფეს, რომლის წინაშეც არა ერთი გვირგვინოსანი კრთოდა შიშით, ამ უბირმა, მაგრამ ღვთის ძალას მინდობილმა მოხუცმა წყევლა-კრულვა არ აკმარა, ფეხზე ქოში გაიძრო და ხელმწიფეს კბილი ჩაუმტვრია.

შემდეგ ვახტანგს საგანგებო დესპანებისა და იმ ჩამტვრეული კბილის გაგზავნა დასჭირდა კონსტანტინეპოლს, რომ უდიერი მიქაელი ეკლესიის საჭესაგან განეყენებინა.

ლაშას ფიქრში გვირგვინოსან წინაპართა მთელმა წყებამ გაიარა და თვალწინ კვლავ დავით აღმაშენებელი დაუდგა. როგორი თანმიმდევრობითა და დაჟინებით, გამჭრიახობითა და გონიერებით ებრძოდა დავითი თავის წინააღმდგომთ!

ურჩი დიდებულების დასამორჩილებლად ეკლესიის მეთაურებს იშველიებდა, ხოლო არასასურველი მღვდელმთავრების დასამხობად გავლენიან ერისთავებს ამხედრებდა, ამქვეყნიური ზრუნვით გატაცებულ ხუცესებს ტახტისა და სამშობლოსათვის თავდადებულ ეკლესიის მსახურებს უპირისპირებდა.

მას კი, საქართველოს ახლანდელ მეფეს, ვერც ერთი მოწინააღმდეგე დაეთრგუნა და ვერც მეორე, ვერც ურჩი დიდებულები დაეჩოქებინა და ვერც თავგასული ხუცესები აელაგმა!

დავითი ცივსისხლიანი იყო, ალბათ, პირად ცხოვრებაში ზომიერი და შეზღუდული. მისი სიცოცხლის აზრს მარტოოდენ ტახტის სიმტკიცე და სამშობლოს ბედნიერება შეადგენდა. ლაშასაც უყვარს სამშობლო, ტახტის სიმტკიცეზე ზრუნვაც თავის მოწოდებად და უპირველეს დანიშნულებად მიაჩნია, მაგრამ რა ჰქნას, რომ მესამე ხატიც ჰყავს, ორივეზე ძლიერი და სასწაულმოქმედი. ეს ხატი მისი სიყვარულია. იგი ისე დაუფლებია მეფის გონებასა და მთელ არსებას, რომ სხვა კერპების სამსახურისთვის ღონე წაურთმევია, სამშობლოს და ტახტისათვის ზრუნვაზე სანახევროდ ხელი აუღებინებია. სწორედ ამ ძლიერი ღვთაების სამსახურსა და მორჩილებას უშლიან ლაშას დიდებულები და ეკლესიის მეთაურები. გზას უღობავენ და ხელ-ფეხს უკრავენ, რომ მის წმიდა ცეცხლზე არა მარტო საკუთარი გული მიიტანოს, არამედ სამეფოსათვის ზრუნვაც მას დაუმორჩილოს.

მეფის წინააღმდეგ ამ ბრძოლაში საქვეყნოდ განთქმულ ბუმბერაზებზე, სპასალარებსა და ერისთავებზე ძლიერი ეს სუსტი მოხუცია, თითქმის უკვე მიხრწნილი, მაგრამ მტკიცე და შეუვალი, სხეულით უღონო, მაგრამ ნებისყოფითა და რწმენით უძლიერესი _ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

თითქო სულის შებერვა კმარა ამ მოფამფალებული ბერიკაცის წასაქცევად, მაგრამ ბასრი მახვილი უძლურია საუკუნო შიშის წინაშე, ხოლო ხელისუფლება და ჯარის სიმრავლე _ სარწმუნოების წინაშე.

რა დიდი ვაჟკაცობა უნდა ამ დაჩაჩანაკებული მოხუცის გაქრობას, მაგრამ მასზე ხელის აღმართვა საფუძვლებამდე შეარყევს მთელ სამეფოს და ის, რაც ადრე არც ერთ ხელმწიფეს არ უკადრებია, მან, ბუნებით რაინდმა და სუსტთა მოსარჩლე მეფემ, როგორ უნდა იკადროს! იგი ხომ პირველი არაა მეფეთაგან, რომელთაც სჯულის დამცველები აღდგომიან წინ ტრფიალების ცეცხლის დასაშრეტად, აღდგომიან და უძლევიათ კიდევაც. და განა მარტო სუსტნი და უნებისყოფონი!

მათ, ძაძაში გახვეულმა, მიხრწნილმა ბერებმა არ მოსტაცეს სატრფო უძლეველსა და უბედნიერეს მეფეს აშოტ კუროპალატს?! აშოტსაც ხომ თავდავიწყებით უყვარდა თავისი სატრფო, მაგრამ უღონო იქმნა ქრისტეს ჯვრის წინაშე და ესღა აღმოხდა დამარცხებულს: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო“.

იქნებ, არც დავით აღმაშენებლი იყო ამ ადამიანურ გრძნობას მოკლებული, იქნებ, მის გულშიც გაეკვესა სიყვარულის უწმინდეს ცეცხლს და იქნებ, მასაც ლაშასავით წინაღუდგნენ და ხელი ააღებინეს გულისწადილზე?! განა აშოტმა ხელი არ აიღო ესოდენ სასურველ სატრფოზე?!

ამ ფიქრთა გაგრძელებას რომელიღაც ლოგიკურ დასკვნამდე მიჰყავდა მეფე. იმ დასკვნისა წინასწარ შეეშინდა, შეციებულივით გააჟრჟოლა, ლილე გააღვიძა და მოეხვია. უსაყვარლესი ქალის ალერსში ჩაიკარგა, გაქრა აბეზარი ფიქრი და საზრუნავი.

* * *

მიგრიაულის მეკობრეები თანდათან ძლიერდებოდნენ. ბუდე მიუვალ მთებში ჰქონდათ და იქიდან ესხმოდნენ თავს მიზანში ამოღებულთ. სამეკობროდ უკვე კახეთი აღარ ჰყოფნიდათ, დროდადრო სომხითსა და ქვემო ქართლსაც სწვდებოდნენ, იქაც შევიწროებულ გლეხებს შორის მომხრეებს პოულობდნენ, ბატონების მამულებს არბევდნენ, ქონებას სტაცებდნენ და ისევ მთებსა და ტყეებში იმალებოდნენ.

სანამ მეკობრეების მოქმედება კახეთს არ სცილდებოდა, ხელისუფლება მშვიდად იყო, მეფის წინააღმდეგ განწყობილ ვაზირებსა და დიდებულებს გუნებაში უხაროდათ კიდეც ლაშასაგან გამწარებული მცველყოფილის შურისძიება და, რაც შეიძლებოდა, ცდას არ აკლებდნენ, რათა პირადად მეფის წინააღმდეგ წარემართათ ყაჩაღების შფოთი და შურისგება.

მაგრამ, როცა მეკობრეები დიდ-დიდი დიდებულებისა და მეფის ვაზირების მამულებსა და ქონებასაც მისწვდნენ, მაშინ კი შეშფოთდნენ ქვეყნის გამგებლები.

ყველაზე მეტად ხელისუფლება საქარავნო გზებზე მიგრიაულის გამოჩენამ შეაშფოთა: მეკობრეებმა ჯერ ირანიდან მომავალი დიდი ქარავანი გაძარცვეს, ქარავნის შეიარაღებული მცველები დახოცეს და დიდძალი ქონება წაიღეს. ნადავლის სიმდიდრემ მეკობრეებს მადა გაუღვიძა, თითქმის ყველა მთავარი საქარავნო გზა შეჰკრეს, ზედიზედ რუსეთიდან, ტრაპიზონიდან და ბაღდადიდან მომავალ ქარავნებს დახვდნენ, მცველები გაჟლიტეს და აურაცხელი სიმდიდრე გაიტაცეს.

ირანიდან და ბაღდადიდან მომავალი ქარავანი მხარგრძელს ეკუთვნოდა. საქართველოს ამირსპასალარის ქარავნებს, სამაგიეროს გადახდის შიშით, აღმოსავლეთის დიდ გზებზე უცხოთაგან ხელის ხლებასა და წინააღმდეგობას ვერავინ უბედავდა. ყველგან პატივით უღებდნენ კარსა და თავისუფალ ვაჭრობასა და მისვლა-მოსვლას ვერსად უშლიდნენ.

ათაბაგის სიმდიდრისა და ძლიერების წყარო უსაზღვროდ დიდ მამულებზე მეტად მისი ქარავნები იყო, რომელთა ნამდვილი რიცხვი და შემოსავალი თავად ივანეს მეტმა არავინ იცოდა.

იმ დროის ძლიერი სახელმწიფოების თითქმის ყველა ჭკვიანი მეთაური ფარულად ვაჭრობასაც მისდევდა და მთელ მსოფლიოში მოქარავნე ვაჭართა ავლადიდების უჩინარი პატრონებიც უმთავრესად ისინი იყვნენ.

მხოლოდ საქართველოს მეფე _ ლაშა-გიორგი რჩებოდა ბოლომდე ვაჭრობისადმი გულგრილი, მისი რაინდული ბუნება აღებ-მიცემას ვერ ეგუებოდა, ანგარიშითა და ვაჭრობით გართულ ხელისუფლებს მეფე ზიზღით უყურებდა, ხოლო თავის ამირსპასალარს ჩუმად, დაცინვით „ქარავანბაშს“ ეძახდა.

საქარავნო გზებზე მეკობრეების გამოსვლამ და ქარავნების გაძარცვამ ისე იმოქმედა ათაბაგზე, თითქო გულში დასცეს ლახვარიო.

პირველი ორი გაძარცული ქარავანი მას ეკუთვნოდა. გაცოფებული ათაბაგი ბრაზისაგან თმა-წვერს იგლეჯდა, თვალებიდან ცეცხლსა ჰყრიდა და მზად იყო, დამნაშავეების დასასჯელად

ქვესკნელში ჩასულიყო. ქარავნების დაცვა გააძლიერა, გამყოლი რაზმების რიცხვი ერთიორად გაზარდა და მთელ სამეფოში გატაცებული ქონების ძებნას შეუდგა.

კვალმა მძებნელი ლუხუმის მეკობრეებთან მიიყვანა.

მხოლოდ ახლა მიხვდა მხარგრძელი, თუ რა შორს შეეტოპა მეფისადმი ორგულობაში.

მეფის მტრობით დაბრმავებულმა ათაბაგმა თავის დროზე თვითონ შეუწყო ხელი მეკობრეთა დაუსჯელად პარპაშსა და ლუხუმის გაძლიერებას. ის კი ვერ იანგარიშა საერთოდ ანგარიშიანმა და წინდახედულმა ათაბაგმა, რომ მეფის უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებული ყმა-გლეხები მხოლოდ მეფესთან პირადი ანგარიშის გასწორებას არ დასჯერდებოდნენ, თავიანთ რისხვას საერთო უსამართლობისაკენ, სამეფოს სხვა მესვეურთა წინააღმდეგაც მიმართავდნენ.

მეკობრეებისაგან შეჭირვებული მხარგრძელი იქამდეც კი მივიდა, რომ ყაჩაღებს მოციქული მიუგზავნა: საქარავნო გზებს ჩამოეხსენით და რას თხოულობთ, შეგვატყობინეთო.

მიგრიაულს კარგად შეიარაღებული მეკობრეების მთელი ლაშქარი ჰყავდა, ნაძარცვი სურსათი და ქონება იმდენი ჰქონდათ, მთელ წელიწადსაც ეყოფოდათ. იოლი გამარჯვებებითა და ხელისუფლების უნიათო წინააღმდეგობით გალაღებულმა მეკობრეებმა მოციქულს ასე დააბარეს:

_ თქვენთან სათხოვარი არა გვაქვს რა, მეფე და მთავრები ერთნაირად უსამართლოები ხართ და ყველას ერთნაირად გაგისწორდებით. არც ქარავნების ძარცვას მოვიშლით, არც თქვენი მამულების კლებასა და ოხრებასო.

მხარგრძელს მოციქულის მიერ მიტანილი პასუხით აშლილი ბოღმა ჯერ კიდევ განელებული არ ჰქონდა, რომ ამბავი მოუვიდა, ხორასნიდან მომავალი ქარავანი გაძარცვეს, აქლემები და ჯორები წაასხეს და მცველების უმრავლესობა გაწყვიტესო.

ეს უკვე ათაბაგის მესამე ქარავანი იყო, მხარგრძელი აშკარა განადგურების წინაშე იდგა და ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

ამირსპასალარი იმ დღესვე წაუძღვა ჯარს მიგრიაულის ბუდისაკენ.

მეფე სულ მუდამ შიშში იყო, რომ ვაზირები უკანონო ცოლს წაჰგვრიდნენ, თანაც იმის ფიქრი არ ასვენებდა, ვაითუ, მიგრიაული ლილესა და უფლისწულს გადაეყაროს სადმეო.

ეს მუდმივი შფოთი და მოუსვენრობა კიდევ უფრო აძლიერებდა მეფის სიყვარულს ლილეს მიმართ. სხვანაირად, ამდენ ხანს იქნებ მოწყენოდა კიდეც ლილე, მაგრამ სატრფოს დაკარგვის გამუდმებულმა შიშმა ლილეს ლანდად აქცია, გვერდიდან არ იშორებდა ლილესა და ყრმა უფ-ლისწულს. ორივეს მცველები მიუჩინა და სასახლიდან ისე არ უშვებდა, თუ თან მცველთა საიმედო რაზმი არ გაჰყვებოდათ.

მეფეს თანდათან უძნელდებოდა ასეთი მდგომარეობის ატანა: ქალი, რომელიც მთელ ქვეყანას ერჩია და რომლის მეტი ცოლად არავინ უნდოდა, კარსა და დიდებულებს აბუებული ჰყავდათ, უბრალო ხარჭასავით ექცეოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ სასახლიდან მის წასვლას. ხოლო ყრმა მემკვიდრეს, რომელიც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა, ბუშად თვლიდნენ და მის მომავალზე ჩუმად ქირქილებდნენ. ლილეს ესმოდა მითქმა-მოთქმა მის უგვარობაზე, ძლივს იკავებდა თავს, რომ თავისი ნამდვილი ვინაობა არ გამოემჟღავნებინა. თავისი წარმოშობისა და დიდებულების შესაფერისად თავი მაღლა, გამომწვევად ეჭირა. მისი ასეთი ქცევა კიდევ უფრო აბრაზებდა ისედაც გაბოროტებულ დიდებულთა ცოლებს, რომელთაც „მდაბიო ხარჭის“ ნამდვილი ვინაობისა არაფერი იცოდნენ, მის გასაგონად იგესლებოდნენ და უგვან ანდაზას ხმამაღლა იმეორებდნენ: ღორის ტილი ფეხზე დაისვი, თავზე დაგაჯდებაო.

ლილეს უნდოდა თავისი ვინაობა გაემხილა. დიდებულთა ქალებისაგან შეურაცხყოფილს ბევრჯერ კინაღამ დასცდენია თავისი გვარიშვილობის თაობაზე, მაგრამ ენას კბილს დროზე აჭერდა და მემკვიდრის მომავლის გულისათვის საიდუმლოს კვლავ გაუმხელად ინახავდა.

* * *

მეკობრეების შესაპყრობად და დასასჯელად წასული მხარგრძელი ხელცარიელი დაბრუნდა _ ლუხუმისათვის საიდუმლოდ ეცნობებინათ ლაშქრის გამოსვლა, აყრილიყვნენ და მიუვალ მთებში გახიზნულიყვნენ. ზამთრის მიწურული იყო და უგზოობამ მხარგრძელის ლაშქარს პირში ჩალა გამოავლო. ათაბაგმა თოვლ-ყინულიან მიუვალ მთებში ბილიკებით ასვლა ვერ გაბედა და გაწბილებული უკან შემოიქცა.

ბოღმისაგან გაცეცხლებული მხარგრძელი შინ იყო ჩაკეტილი და არავის იკარებდა, როცა მეფისაგან დარბაზის კრებაზე წვევა მიუვიდა. ვაზირებში გამოიკითხა, თუ რა საქმეზე იწვევდა მეფე დარბაზს, მაგრამ ვაზირებმა თავად არაფერი იცოდნენ და ათაბაგს რას ეტყოდნენ.

დარბაზის წინაშე მეფემ თავი დაიმდაბლა და ბოდიში მოითხოვა, პირად საქმეზე გაგსარჯეთ, მაგრამ ჩემი პირადი საქვეყნო საქმეც არის, რადგანაც ტახტისა და გვირგვინის ბედს ეხებაო. შემდეგ თავის მდგომარეობის შეუსაბამობაზე ილაპარაკა, აგერ სამი წელია თანამეცხედრე მყავს, მემკვიდრე უფლისწულიც შემეძინა და დღემდე თქვენს დასტურს ვუცდი, რომ კანონიერად ვიქორწინო სჯულიერ მეუღლესთანო.

შეურაცხყოფილი დარბაზი ღელავდა და დრტვინავდა. მეფის უკანასკნელი სიტყვები: დარბაზს ვთხოვ, ქორწინების და უფლისწულის თანამოსაყდრედ დასმის დასტური მომცესო, აღშფოთებულ დიდებულთა გუგუნმა დაფარა.

ათაბაგმა და ვაზირებმა პირში უთხრეს მეფეს: შენმა მემთვრალეობამ, უწესო კაცთა მიყოლამ და მემრუშეობამ საქვეყნოდ გამოგვაჭენა. ერთგულად ნამსახური ყმის მიგრიაულის ესოდენ დამდაბლებამ ხალხში მეფის ხელისუფლებას სახელი გაუტეხა და გლეხობა სამტროდ აგვიშალა, ტყეში გასული მეამბოხეები მამულებს გვირბევენ, სახლკარს გვიწიოკებენ და გზებზე ქარავნებს ძარცვავენ, საქმე იქამდის მივიდა, რომ აღმოსავლეთის უძლიერეს სულტნებთან და მეფეებთან ბრძოლებში სახელგანთქმული ქართველი მხედართმთავრები მთებსა და ტყეებში მეკობრეებს დავდევთ დასაჭერადო. ხარჭა დაუყოვნებლივ თავის გვირგვინის ქმარს დაუბრუნე, რომ ქვეყანაში შფოთი და ხალხის უკმაყოფილება დაცხრეს, მეფეთა ღირსი ცოლი მოიყვანე, რათა სამეფოს კანონიერი მემკვიდრე შესძინო და სასახლეში კვლავ შენი ნეტარი დედის დიდი თამარის კეთილი წესები აღადგინო, თუ ჩვენი სამსახური გსურსო, _ ერთხმად მოახსენეს მეფეს ვაზირებმა და კათალიკოსმა.

_ არცა ერთს ვიქმ თქვენის ნებითაო! _ მტკიცედ მოუჭრა გაჯიუტებულმა მეფემ. გაალმასებული დიდებულები ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად განუცხადეს:

_ არა თავს ვიდებთ შენსა მეფედ ყოფას, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა სიახლესა და უწესობას, რომელთა ჰყოფ!

ამ სიტყვებით დიდებულებმა დარბაზი დატოვეს და მეფე კვლავ მარტო დარჩა: თავს გვირგვინი ედგა და ხელთ სკიპტრა ეპყრა, მაგრამ ზვიადი დიდებულების თავგასულობის წინაშე ძალა არც ერთს ჰქონდა და არც მეორეს.

შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილი მეფე კედელს თავს სცემდა, ბრაზისაგან ცახცახებდა.

იმ ღამეს ლაშას თვალი არ მოუხუჭავს. დიდებულთა და ვაზირთაგან ზურგშექცეულ მეფეს ხელმწიფის სახელის მეტი აღარაფერი შერჩენოდა, მის სიტყვასა და მოქმედებას სასახლისა და საკუთრივ სამეფო მამულის იქით ძალა და გავლენა აღარ ჰქონდა, კარიდან განმდგარნი და თავთავიანთ მამულებსა და ციხეებში ჩაკეტილი ვაზირები და ერისთავები ამიერიდან სრულიად საქართველოს მეფის უფლებას გარეგნულადაც აღარ ცნობდნენ, ჯარი მათ ხელთ იყო და სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალი, მეფეს არც ერთი გააჩნდა და არც მეორე, რომ დიდებულთა განდგომა არაფრად ჩაეგდო.

ამ დღისათვის უნდოდა ლაშას ყივჩაღთა დაქირავებული ჯარი, ახლა რომ, თავისი დიდი პაპის მსგავსად, ხელქვეით ყივჩაღთა ოცდაათიათასიანი ლაშქარი ჰყოლოდა, დიდებულები კარიდან განყენებას ვერ გაბედავდნენ, ხოლო თუ რომელიმე მათგანი მაინც გათავხედდებოდა, მეფეს მისი დამხობა, მამულისა და ციხეების აკლება და იავარყოფა ნეკის გაქნევადაც არ დაუჯდებოდა.

თურმე ამ დღისათვის ემზადებოდნენ დიდებულები, როცა ყივჩაღთა ლაშქრის გამოყვანას შლიდნენ და მეფის ძალაუფლებას ძირშივე ფრთას აკვეცდნენ. როგორ ერთხმად აღმდგარან მაშინაც დიდებულები მეფის წინააღმდეგ.

მაშინ ერთი ახალციხელი მაინც ეგულებოდა მეფეს თავის მხარეზე. ახალციხელი ძლიერიც იყო და გონიერიც და მეფეს გულს კიდევ უმაგრებდა მომავალი ბრძოლებისათვის რამდენიმე თანაგანმზრახის მხარში დგომა და ერთგულება. ახლა ახალციხელი სხვა დიდებულებზე ადრე იყო მეფისაგან განმდგარი, თავის მამულში გახიზნული და ციხეში ჩაკეტილი.

მეფე ახლა სრულიად მარტო იყო, თავის თანამოჰასაკე მოყმე რაინდების ამარა. ამ უკანასკნელთ საკმარისი არც ჯარი ჰყავდათ და არც მამულები გააჩნდათ. იმათ ვერც ვაზირებად დასვამდა და ვერც ქვეყნის საქმეს მიანდობდა. ან კი რა უნდა განებრჭოთ და გადაეწყვიტათ მეფის ახალ ვაზირებს, როცა მეფის ხელქვეით არც საჭურჭლე იყო, არც ლაშქარი და ძალაუფლება.

სამეფო საზღვრები და უღელტეხილებიც მენაპირე დიდებულების ხელთ იყო. მათ უნებურად საქართველოს მიწა-წყალზე ჩიტიც ვერ გადმოფრინდებოდა და მეფეს მათი დასტურის გარეშე ყმადნაფიცთა ჯარის წვევაც არ შეეძლო.

ყველა გზა მოჭრილი იყო და ყველა ღონე წართმეული. მეფეს ორთაგან ერთი უნდა აერჩია. ან ლილეზე უნდა აეღო ხელი, ან ტახტზე და მეფის გვირგვინზე: არც ერთი შეეძლო მეფეს და არც მეორე. სანამ სული ედგა, ვერც ერთ გზას ვერ დაადგებოდა ლაშა და, რაკი სხვა, მესამე გზა არ ჩანდა, მეფის სასოწარკვეთას საზღვარი არ ჰქონდა.

@თავი მეოცე. ხალხის მოციქული

სასახლის გალავანს ცხვრის ტყაპუჭიანი მოხუცი მოადგა, ზურგზე გლახაკის ხალთა ეკიდა და ხელში ვეება კომბალი ეპყრა.

ცხვრის ტყაპუჭქვეშ ფშაური ტალავარი ეცვა ბერიკაც.ს გაბუძგული თეთრი თმა-წვერი მხრებზე და გულმკერდზე უწესრიგოდ დაფენოდა. ხანხალით მიმავალ მოხუცს მოტეხილი სხეული ძლივს მიჰყვებოდა, წელში მოხრილი კომბალს ებჯინებოდა და ხშირი სვენებ-სვენებით მიდიოდა.

გალავნის კართან შედგა, ქვაზე ჩამოჯდა და მოღლილი კომბალს დაეყრდნო.

სასახლის რკინის კართან მდგარმა გუშაგებმა მაშინვე შენიშნეს ტალახში ამოგანგლული პაჭიჭებიანი მოხუცი.

_ აქ რასა იქმ, მოხუცო? _ ჰკითხა მიახლოებულმა გუშაგმა.

_ მეფეს ვუცდი... _ მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

_ მეფე შინ არ არი და დღეს არა განიკითხავს გლახაკთა.

_ არა წყალობის მთხოვნელ ვარ, არამედ თვით მოსრულ ვარ განკითხვად მეფისა, _ მიუგო მოხუცმა, თავი აიღო და გაგონილით გაოცებულ მცველს ცეცხლივით მოკიაფე თვალებით მიანათა.

გუშაგი უკან მიბრუნდა და ათისთავს მოხუცის ნათქვამი გადასცა. ათისთავი სათვალთვალო კოშკიდან გამოვიდა, მოხუცს მიუახლოვდა და აგდებულად უთხრა:

_ რასა იტყოდი მეფეთა აუგსა. არა იცია, რამეთუ მეფის აუგისათვის საჯნეს კაცი ყოველი სამეფოსა საქართველოსა?

_ არა აუგად მეტყველი ვარ, არამედ მოსრულვარ განკითხვად აღზრდილისა ჩემისა, _ მშვიდად მიუგო მოხუცმა და იღლიაში კომბალი მოინაცვლა.

ათისთავს არ გაჰკვირვებია მოხუცის ნათქვამი, მაწანწალა დერვიშები და მოგზაური ბერები, ჩვეულებრივად, მეფეთა და მთელი ერის მამებსა და აღმზრდელებს უწოდებდნენ თავიანთ თავს და მარტო მეფის კი არა, სრულიად სამეფოსა და ადამის მოდგმის განკითხვად მოსვლას იჩემებდნენ ხოლმე.

_ უკუ დექ კართაგან. არა წეს არს მეფეთა კართან ახლო ეგრე ჯდომა, _ მკვახედ უთხრა ათისთავმა.

მოხუცი წამოდგა, კომბალი დაიბჯინა და კარიდან რამდენიმე ნაბიჯით გადაინაცვლა.

ათისთავი ცალი თვალით უყურებდა მოხუცებულს: ახლა გზისპირას მოირთხა მოხუცმა. მათარიდან წყალი მოსვა, ხალთიდან ხმელი პური ამოიღო და მშვიდად დაუწყო ლოღნა.

სასახლის კართან სამჯერ გამოიცვალა გუშაგი. მოხუცი ისევ იქ იჯდა და ყველას ერთსა და იმავეს პასუხობდა:

_ არა წყალობის მთხოვნელ ვარ, არამედ თვით მოსრულ ვარ განკითხვად მეფისა და აღზრდილისა ჩემისა.

ბოლოს და ბოლოს, გლახაკის ნათქვამმა მეფემდის მიაღწია და ხელმწიფემ უცნაური მოხუცის სანახავად გამოსვლა ინება.

მეფის წინ პატარა უფლისწული მოხტოდა. გვერდით ლილე მოჰყვებოდა ლაშას.

მოხუცმა მეფეს და მის მცირე ამალას შეხედა. ლილეს დანახვაზე აქამდე რულად მიქცეული თვალები უცნაურად აუციმციმდა, ერთ წამს გამოშტერებული მიაჩერდა. ის იყო, შეინანა მეფის სამხილებლად მოსვლა და კინაღამ ხალთას ხელი წამოუსვა, რომ უკან დაბრუნებულიყო, მაგრამ თავს მალევე სძლია. მზეთუნახავს თვალი მოაშორა, სახე მოიქუფრა და თავდახრილი დაელოდა მეფის მოახლოებას.

_ დაგვლოცე, მამაო, უფლისწული გვიკურთხე! _ შეევედრა ლილე და მოხუცს ნათქვამი ზღაპრული სირინოზის გალობად ჩაესმა. ამ ხმამ სადღაც ნაცარწაყრილი მძინარე ღველფი გაუღვიძა, მთელ სხეულში სითბო იგრძნო და თავისდაუნებურად მოლბა.

_ ღმერთმა გიკურთხოთ უფლისწული, გაზარდოს და გააძლიეროს! _ ომახიანი ხმით თქვა მოხუცმა და გაოცებით მზირალ ყმას ჯვარი გადასახა.

ლაშას ეცნაურა მოხუცის ხმა. ტყაპუჭქვეშ ფშაური ტალავარიც ენიშნა.

_ ვითარ მოხვედ განკითხვად ცოდვათა ჩემთა, ანუ ვითარ ხარ აღმზრდელი ჩემი? _ ჰკითხა ლაშამ და მოხუცს უფრო ახლო დააკვირდა.

_ ჟამმან შესცვალა სახე ჩემი, ხოლო ბუნებაი იგივე არს, ბუნებაი შენი შეცვლილ, ხოლო სახეცა იგივე ჰგიეს... _ კუშტად უთხრა მოხუცმა. მეფე კიდევ უფრო დააკვირდა.

_ ჩალხია... ჩალხია ფხოველი! _ წაიჩურჩულა მეფემ და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

_ მიცანი. ჩალხია ვარ, ფხოველი, აღმზრდელი შენი. მაგრამ ვერა გცნობ აღზრდილსა ჩემსა ლაშასა, სიბოროტედ მიდრეკილს. თავის წინა მსურს უბნობა შენთან და დედასთან ძისა შენისა, განკითხვად საქმეთა შენთა, _ მკაცრად უთხრა ფხოველმა.

_ მობრძანდით, პალატთა შინა ვიუბნოთ... _ უთხრა შეშინებულმა და დაბნეულმა ლაშამ და ხელკომბლიანი, ტყაპუჭგაქონილი მოხუცი მოწიწებით წინ გაატარა.

_ გამოცვლილხარ ფრიად, მოძღვარო, მიმხცოვნება შეგტყობია ადრეულად. _ პირველმა მეფემ დაარღვია სიჩუმე, როცა მცირე პალატში განმარტოვდნენ ლილესთან ერთად.

_ ხრწნადი არს სხეული ჩვენი, ხოლო სული ჩვენი სიკეთისა მოქმედი უცვალებელი და ჭაბუკ უკუნითი უკუნისამდე. ნეტარ არიან მოღვაწენი უკვდავებისათვის სულისა... ხოლო შენ უარჰყავ სამსახური სულისა, განსძეღ და განსუქნი, შეუდეგ მღერასა და სიღოდასა და ნაყროვანებამან სიბილწესა უმეტეს გარდაგრია, _ ფხოველი ფეხზე წამოიჭრა, ხმას აუწია და ცეცხლის მკვესავი თვალები რისხვით მიაპყრო შიშისაგან გაფითრებულ ლაშასა და ლილეს.

_ რაი არს ცოდვა ჩემი, მოძღვარო. არა მე ვარ გამოცვლილ, არამედ უფროს და ვხედავ ცვალებასა შენსა, რამეთუ სხვასა მასწავებდი სიყრმესა ჩემსა ჟამსა დამოწაფებისა შენისა... _ შელუღლუღა დაბნეულმა და შემდრკალმა ლაშამ.

_ უმჯობეს არს ყოველი გასაგონი ყოველსა გამგონესა. გეტყვი შენ, ვითარცა კაცსა მსოფლიოსა, რამეთუ დახშულ გაქვს სასმენელ ენამზეობისათვის ბრძენთასა. აწ გეტყოდე იგავსა და მომიგე მე სამართალი, ვითარ დავით მეფემან წინასწარმეტყველსა ნათანს:

ორი კაცი იყო ერთსა ქალაქსა შინა. ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდარისა სამწყსო იყო რემები ხართა მრავალთა ფრიად. ხოლო გლახაკსა არა რაი აქვნდა, თვინიერ ერთი კრავისა მცირესი, რომელსა სცვიდა და ზრდიდა ძეთა მისთანა ერთად, პურისაგან მისისა

სჭამდა და სასუმელისაგან მისისა სუემდა და წიაღსა შინა მისსა განისუენებდა, და იყო მისსა ვითარცა ასული და მივიდა ვინმე მგზავრი სტუმრად მდიდარ კაცთან.

მდიდარმან არა ინება დაკლვად საკლავისა რემათაგან თავისთა მგზავრისათვის სადილად, არამედ მოიყვანა კრავი გლახაკისა და უქმნა სადილი მგზავრსა მის სტუმრად მისულს.

ფხოველი შეჩერდა, თვალი თვალში გაუყარა მეფეს და ჰკითხა:

_ საჯე, მეფეო, რისა ღირს არს კაცი იგი მდიდარი ამისა მყოფელი?

_ ღირს არს სიკვდილისა ჭეშმარიტად კაცი მყოფელი ამისი, _ აღშფოთებით მიუგო მეფემ, _ და კრავი უზღოს შვიდ წილად მას გლახაკსა.

_ შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე! _ პირდაპირ მიახალა ფხოველმა მეფეს, _ შენ წაჰგვარე გვირგვინის ცოლი მსახურსა შენსა ლუხუმსა, რომელი შთააგდე ჯურღმულსა საპყრობილისა და ჰქმენ ბოროტ.

მეფე გაშრა და აცახცახდა.

_ არა გეშინის წინაშე უფლისა, _ განაგრძო ფხოველმა, _ რომელმან გსაჯოს, ვითარცა წინასწარმეტყველი დავით, აღადგინოს ბოროტი სახლსა შენსა ზედა, მიგიღოს ცოლი და მოკვდეს სიკვდილით ძე შენი?

_ ნუ იყოფინ, უფალო! _ შეჰკივლა ლილემ და ფეხთ ჩაუვარდა ფხოველს, _ ჩვენ გვსაჯოს ცოდვათათვის ჩვენთა. მე მსაჯოს მარტო, რამეთუ მე ვარ ცოდვილ უფროის ყოველთა.. შეჰვედრე, მოძღვარო, უფალსა, რამეთუ განარინოს ძე ჩვენი სასჯელისაგან, ვითარცა კრავი უცოდველ და მეფე ჩვენი უბრალო... _ თვალცრემლიანი ეხვეწებოდა ლილე, ტალახიან ფეხებზე ეხვეოდა და ხელაპყრობილი ევედრებოდა გაკერპებულ ფხოველს...

_ არა ეგრე მქადაგებდი, მოძღვარო, ჟამსა ჩემისა სიბრმისასა. შენ არ მეტყოდი, სიყვარული აღგვამაღლებსო? _ შეჰბედა მეფემ და მოძღვარს თვალი გაუსწორა.

ფხოველი შეაკრთო მეფის ნათქვამმა, წუთით დაიბნა და პასუხი ვეღარ მოძებნა. მერე პალატში გაიარ-გამოიარა, ისევ შეჩერდა და ისე განაგრძო, უკვე თვალით მეფისკენ აღარ გაუხედავს:

_ მე წრფელ სიყვარულს ვუქადაგებდი მოწაფეთა ჩემთა, ამაღლებულ სულთა წმიდა კავშირს ვუსახავდი მაგალითად და არა მრუშებასა და სიძვას.

_ არა მრუშება და სიძვა არს ჩემი ნდომა ლილესთან ყოფნისა, არამედ სიყვარული წმიდა და ბიწმიუწდომელი, ორი სულის სწრაფვა ურთიერთის მიმართ კვლავ ერთ არსებად ქცევისათვის, ვითარ მასწავლიდი, მოძღვარო.

_ არა ხარჭად გყავს ქალი ეგე ცოლყოფილი მიგრიაულისა? _ გაიოცა ფხოველმა.

_ არა, მოძღვარო, ცოლად მსთნავ საუკუნოდ და აქამდისაც სჯულიერად ვიქორწინებდი მეუღლესა ჩემსა თანა, უკეთუ ნება იყოს კათალიკოსისა და ვაზირთა ჩემთა.

_ არა ნებას დართავს სჯული სხვათა გვირგვინის ცოლის შერთვას სიცოცხლესა შინა გვირგვინის ქმრისა, _ თავისთვის ოდნავ გასაგონად თქვა ფხოველმა, თავი გადააქნია და შეკავებული ოხვრით, უბრალოდ, მსოფლიოთა ენაზე მიმართა მეფეს: _ რაღა შენი ყმის ცოლს ეტრფიალე, უბედურო?

_ სიყვარულმა განა გარჩევა იცის? შენ არა გითქვამს ჩემთვის, ბრმა არი მიჯნურთა თვალი ხედვად და ყური დახშული სმენადო?!

_ შენ მეფე ხარ, ქვეყნის მამა და წინამძღვარი, არა გმართებს განურჩევლად აყოლა გულისა და ნდომისა...

_ დაღათუ მეფე ვარ, მეც კაცი კაცთაგანი ვარ და მეც გულის თქმა მაქვს, ვითარღა ყოველთა.

_ არა წეს არს მეფეთაგან ყოველთა მსგავსად ქცევაი.

_ მაშ რადღა არს მეფე უმაღლეს ყოველთა, თუ უმცირეს სხვათა აქვს უფლებაი გულისა თქმისათვის თვისა.

_ მეფეთა არა ეკუთვნით თავი თვისი ოდენ, ხელმწიფე განწესებულ არს მამად და მსახურად ერისა და სიკვდიმდე უნდა სიკეთისათვის ქვეყნისა იღვაწოს, დამვიწყებლად ვიეთთამე გულისთქმათა და დათრგუნვად საწადელთა უწესოთა. ოდენ მეფე ამა წესთა გადავალს, შფოთი და აღრევა მოიცავს ქვეყანასა და არა იქნება დაწყნარებაი სამეფოსა მისსა, ვითარცა შენ ჰყავ შფოთი და აღრევა ერსა ამასა.

ლაშამ ამოიოხრა და ვერაფერი თქვა ფხოველის საპასუხოდ.

_ არა ბოროტ ქმენ ერთგულისა ყმისა შენისა ლუხუმის მიმართ? _ ჰკითხა უცებ ფხოველმა.

_ ბოროტ ვქმენ, მოძღვარო, _ წაიდუდუნა თავჩაქინდრულმა მეფემ.

_ ხოლო თუ წადიერ ხარ დაწყნარებისა და დამშვიდებასა სახლსა და სამეფოსა შენსა, მიეც ქალი იგი ქმარსავე მისსა.

ლილემ თავი აიღო და შეშფოთებული თვალი მიაპყრო ჯერ ფხოველსა და მერე მეფეს.

_ არა შემძლებელ ვარ მოშორებასა მიჯნურისა და მეუღლისა, ძისა ჩემისა დედისა! _ გადაჭრით განაცხადა მეფემ, ლილეს ხელი მოხვია და თავისკენ მიიზიდა.

ფხოველმა წამით შეხედა მუდმივ შფოთსა და ერთიმეორის დაკარგვის შიშში მყოფ მშვენიერ წყვილს, ერთიმეორის მიმსგავსებულად ეჩვენა ორივე, უზომოდ ლამაზი და მიმზიდველი. თავისთვის გაიფიქრა, ერთმანეთისათვის არიან გაჩენილიო და მაშინვე პირი მიჰრიდა.

_ აქამდისაც განვიშორებდი, თუ შემძლებელ ვიყავ... _ დაუმატა მეფემ და ბავშვივით მიიკრა გულზე მტრედივით აცახცახებული ლილე.

_ სიყვარული უმსხვერპლოდ არ იქნების, მეფევ, არცა ქალისა, არცა ღვთისა და არცა დიდისა რამე საქმისა ამაღლებულისა, _ ან ტახტი უნდა გასწირო სიყვარულისათვის და, ვითარცა მორწმუნე, შეუდგე გულისა შენისა ოდენ სამსახურს, ან ტრფობა უნდა დასთმო ერისა შენისა სამსახურისათვის.

_ არცა ერთისა შემძლებელ ვარ, _ ისევ თავის ქნევით განაცხადა მეფემ.

_ მასშინა არა დაცხრება შფოთი ქვეყანასა ამას, წინააღდგებიან მთავარნი სამეფოსნი და ერი უმრავლესი აღსდგება დამხობად ტახტისა შენისა და მეფობისა.

_ იყავნ ნება მათი, თუ არა განიკითხავენ საწადელსა ერთსა ოდენ ღვთივ ცხებულისა მეფისა.

_ ესე არს სიტყვა შენი უკანასკნელ?

_ ესე არს, უკანასკნელ და არა პირველ, რამეთუ მრავალნი მოსულან თქმად ამისავე ვაზირთა და მთავართაგან ჩემთა, კათალიკოსთა და ეპისკოპოსთაგან ეკლესიისათა. ვგონებ, რომელ შენცა მოგზავნილ ხარ, მოძღვარო, მთავართაგან სამეფოისა.

_ მოგზავნილ ვარ არა მთავართაგან, არამედ ერისაგან მრავლისა. წარმომგზავნეს ფხოველთა და მთიელთა ყოველთა ლაშარის ყმათა თანადგომად ყმისავე მის ხატისა _ მცველყოფილისა შენის მიგრიაულისა. უკეთუ არა განიშორებ ცოლსა მისსა და არა მისცემ უკანვე ქმარსა სჯულიერსა, განდგებიან ფხოველნი და ყოველნი მთიულნი ტახტისაგან შენისა ბრძოლად და შეწევნად მიგრიაულისა.

ლაშა ჩააფიქრა ფხოველის ნათქვამმა, მაგრამ ოდნავაც ვერ შეარყია და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისევ თავის ქნევით წარმოსთქვა:

_ არცა მაშინ განვიშორებ ლილეს, ოდეს სრულიად საქართველოს შვიდი სამთავრო აღსდგეს დამხობად მეფობისა ჩემისა.

_ მაშინა მეც, შენი მოძღვარიც, მტრად მიმითვალე და ვიბრძოლებ წინააღმდეგ შენსა ხმლითა და სიტყვითა ხალხთან ერთად...

_ იყავნ ნება შენი... _ მშვიდადვე მიუგო გაცოფებულ მოხუცს ლაშამ.

_ პასუხი ეც ღმერთსა შენსა, ოდეს მოაწივოს ბოროტი სახლსა შენსა და ძესა, ვითარცა ძესა დავითისა წინასწარმეტყველისასა, _ ხელაპყრობით შეჰღაღადა მოხუცმა, ხალთას და კომბალს ხელი დაავლო და უკანმოუხედავად გავიდა მეფის პალატიდან.

აღშფოთებისაგან ძალმოცემული, ღონიერი ნაბიჯებით მიდიოდა ფხოველი, რაც უფრო შორდებოდა მეფის სასახლეს, თანდათან ნაბიჯს უკლებდა, გაბრაზება უნელდებოდა და გონიერი განსჯის უნარი უბრუნდებოდა.

მის გონებაში მთლიანად აღსდგა მეფესთან წეღანდელი სიტყვამიგება და ფხოველს თავის თავი ამ კამათში უმეცარ ხუცესად, უბირ ასკეტად მოეჩვენა, რომელსაც არც თავად ჰყვარებია ვინმე, არც რამე სმენია ამაღლებული და წრფელი სიყვარულის თაობაზე.

ახლა მისი გული და გონება მისივე აღზრდილისაკენ იხრებოდა. რომელსაც ყრმობის ჟამს დიდის გზნებითა და გატაცებით ასწავლიდა რაინდულ კეთილშობილებასა და ამქყვენიური სიყვარულის ღვთაებრიობას, სულთა მარადიულ სწრაფვას მსგავსისა და ნათესავისაკენ, სიყვარულის ყოვლისშემძლეობასა და გარდუვალობას.

მიდიოდა ფხოველი და გრძნობდა, რომ მას არა მარტო ფიზიკური, არამედ სულიერი ძალაც აღარ ექნებოდა წრფელი გულით გამიჯნურებული მეფის წინააღმდეგ თავის ხალხთან ერთად ბრძოლისათვის.

* * *

ღამდებოდა. პირველი ფიქრი, რაც მოხუცის შეჩვენებისაგან ზარდაცემულ ლილეს მოუვიდა, ის იყო, შვილს არაფერი ხიფათი შემიმთხვიონო.

წამსვე უფლისწული მოიკითხა და თავისთან მოაყვანინა. ყრმა რომ ხელთ აიტაცა და აკოცა, ბავშვის ლოყა ცხლად ეჩვენა.

_ არაფერია, უფლისწული თამაშით დაიღალა, _ ანუგეშა ძიძამ შეშფოთებული დედა და ყრმა საწოლისკენ წაიყვანა.

დიდებულთა გადაწყვეტილება მეფეს ლილესთვის არ ჰქონდა გამხელილი, მაგრამ ლილემ დარბაზის დამთავრებისთანავე უმისოდაც იცოდა ყველაფერი.

ახლა ფხოველის ნათქვამმა კიდევ უფრო ნათლად დაანახვა, თუ რა საფრთხეში იყო მეფისა და მისი ბედნიერება და ტახტის მემკვიდრის მომავალი.

უფსკრული ხელმწიფესა და დიდებულებს შორის უკიდურესად გაღრმავებულად ეჩვენებოდა ლილეს. ამ უფსკრულის მეორე ნაპირზე მარტო დიდებულები კი არა, თურმე მთელი ხალხიც მდგარა და ეს საშინელი სიღრმე არა მარტო მეფის ბედნიერებას, მთელ ერს უქადდა დანთქმასა და დაღუპვას.

იწვა ლილე და არ ეძინა. თავის თავს აღარ დაეძებდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რით ეშველა მეფისა და უფლისწულისთვის. ერთი ფიქრი ის მოუვიდა, რაკი დარბაზი მის უგვარობას იმიზეზებდა, იქნებ ვინაობის გამხელამ და გვაროვნების გაცხადებამ გვიშველოსო. რომ აწონ-დაწონა, ეს ფიქრიც უკუაგდო და შეუძლებლად ჩათვალა. იგი ტახტისა და სახელმწიფოს მოღალატედ გამოცხადებული გვარის ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი წარმომადგენელი იყო. მეფის ვაზირები მისი გვარის დამხობისა და ამოწყვეტის უშუალო მონაწილენი იყვნენ, ლილეს მამულები და სარჩო-საბადებელი მათ ჰქონდათ მიტაცებული და ერთი წუთით როგორ მოითმენდნენ ლილეს გადედოფლებასა და მისი შვილის ტახტის მემკვიდრედ აღიარებას.

წყეულიმც იყოს ეს სასახლე, თავისი დიდებულებითა და ვაზირებით! რამდენი სიმწარე და დამცირება ნახა ლილემ ბაგრატიონთა ამ საოცნებო სასახლეში! სადმე ღარიბ ქოხში გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა, ვიდრე მეფის ბრწყინვალე პალატებში იყო საბრალო ქალი. დედოფლის დამადლებულ ოქროს ტახტს იგი ნაჯახით გაჩორკნილ სამფეხა გლეხურ სკამზე გაცვლიდა სიამოვნებით, ოღონდ ამ დაწყევლილ სასახლეს, დიდებულთა მტრობისა და შუღლის ბუდეს გაცლოდა, ვაზირებისა და ერისთავთა ცოლებისაგან აბუჩად აგდებას, მათ კილვასა და ღვარძლით სავსე გამოხედვას გაშორებოდა.

გლეხის ქოხზე ფიქრმა თავისი ადრინდელი ყოფა გაახსენა. განა რამე აკლდა ლილეს ლუხუმის სახლში? განა ცოტა შენატროდა მის ბედნიერებას? მაგრამ კაცის გული მართლაც რომ აღუვსებელი საწყაული ყოფილა. ლილე ბედის მოცემულს არ დასჯერდა, მეფის შეძლებული მსახურის მყუდრო და უშფოთველი ცხოვრებით არ დაკმაყოფილდა და თავი ამ დაუწყნარებელ ღელვასა და ორომტრიალში ჩაიგდო.

ცუდი მოყმე იყო ლუხუმი? სახელი აკლდა თუ სიმდიდრე? მერე როგორ უყვარდა ამ უებრო ვაჟკაცს თავისი ცოლი, როგორ თვალში შესციცინებდა ლილეს დიდი და პატარა მიგრიაულის სახლში. მაშ, რაღა ჭირად უნდოდა მეფის კარი და ყველასაგან დაყვედრებული „დედოფლობა“.

ამ ფიქრმა თვალწინ ისევ გატანჯული, ერთადერთი ქალიშვილის გადედოფლებაზე ნიადაგ მეოცნებე დედა დაუყენა ლილეს და თავის სიცოცხლეში პირველად მიჰხედა საყვედურით საყვარელი დედის აჩრდილს ბედის უმადურმა მონანიე შვილმა. დედის მუდმივმა ჩაძახებამ და ჩაგონებამ უქცია გამუდმებულ საზრუნავად ლილეს მეფის ნახვა, მასთან პირისპირ შეყრა და შემდეგ მასთან სამარადისოდ შეერთება.

ლუხუმს რომ ლილეს რჩევით მეფე არ ეწვია, ხომ ყველაფერი ძველებურად წყნარად და ტკბილად იქნებოდა მიგრიაულების ოჯახში. რა ვუყოთ, რომ განძის ომიდან დაბრუნებული ლუხუმი ესოდენ დასახიჩრებული და დაუშნოებული იყო. განა თავის შნოცა და თვალის ჩინიც მეფესა და სამშობლოს არ ანაცვალა ამ გულალალმა ვაჟკაცმა?!

განა სხვა ქალისათვის მისი ქმრის გმირობა და თავდადება საქვეყნოდ საამაყო არ იქნებოდა, სულიერად უფრო სპეტაკად, კეთილშობილად და ლამაზად არ მოეჩვენებოდა იგი?! განა თვითონ მასაც ასე არ ეჩვენებოდა თავისი უეშმაკო ქმარი იმ ღამეს, როცა ჭრილობებისგან განკურნების შემდეგ მის მკლავზე უზრუნველად იწვა და თავს ბედნიერად თვლიდა?!

მაგრამ სწორედ იმ ღამემ დაღუპა ლილეცა და ლუხუმიც. რაღაც ეშმაკად, იმ ღამეს შეუჩნდა ლილე თავის გულუბრყვილო ქმარს, მეფე ვაწვიოთო. ქმარმაც გაუგონა და მერე ხომ ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ უკან მიბრუნებისა კი არა, უკან მიხედვის ძალა და სურვილიც დაკარგა აბობოქრებულ დინებას მიყოლილმა ქალმა. ხვდებოდა ლილე თავის დანაშაულს, გრძნობდა, რომ ქმარს უკეთურად მოექცა. ნანობდა, მაგრამ შეცდომის გასწორება გვიან იყო და არც უნდოდა. ლაშას სიყვარულით მისი გაბრუება ძლიერი და გამოუსწორებელი იყო. ეს სიყვარული აზარტულ თამაშსა და ლოთობაში ჩათრეული ახალგაზრდის თავდავიწყებას ჰგავდა, რომელსაც დაღუპვა ეწერა, მაგრამ გამოსწორება _ აღარასოდეს. მას შემდეგ, რაც მან ლაშას სიყვარული იგემა და განიცადა, იგი თავის თავს აღარ ეკუთვნოდა, მისი ცხოვრების ერთადერთ აზრს ლაშას სიყვარული შეადგენდა... ამ სიყვარულზე უარის თქმა მისთვის გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე სიცოცხლეზე ხელის აღება.

მან ცდუნების პირველი ნაბიჯი შეინანა, მაგრამ გატეხილის გამთელება აღარ შეიძლებოდა. ლუხუმის გაუბედურების ცოდვა თავს იდო, მაგრამ ამ ცოდვის გამოსყიდვაზე ფიქრი მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ლაშასაგან განშორებისა და ლუხუმთან დაბრუნების ფიქრიც კი შეუძლებლად მიაჩნდა ლილეს. მთავარი მისთვის ლაშასთან ყოფნა, მისი სიყვარული იყო. მეფისაგან განშორება მისთვის ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩავარდნა იქნებოდა და სულ ერთი იყო, ამ ჯოჯოხეთს რომელიმე სხვა ხელმწიფის სასახლე ერქმეოდა თუ ლუხუმის სახლი. ლილეს ლაშას კიდეგან ცხოვრება არ შეეძლო, მისი სიყვარულის წართმევას ვერ აიტანდა, თორემ მეფის სასახლის ბრწყინვალება, დედოფლობის პატივი უკვე აღარ იზიდავდა.

ზურგზე გუდას უყოყმანოდ აიკიდებდა ლილე, ცალ ხელში ყავარჯენს დაიჭერდა, მეორეს თავის პატარა დათუნას ჩაჰკიდებდა და თუგინდ მათხოვრად გაჰყვებოდა თავის სათაყვანებელ ლაშას ქვეყნის კიდემდე.

მათხოვრობასა და სოფელ-სოფელ წანწალშიაც ბედნიერი იქნებოდა ლილე თავის ქმართან და შვილთან. იქ, სასახლის გარეთ, მათი სიღარიბე არავის შეშურდებოდა, მას და მის შვილს უკანონოებს, ხარჭასა და ბუშს არ დაუძახებდნენ და მცირე ნაწყალობევითა და ნამუშაკევითაც სამივენი ბედნიერნი იქნებოდნენ.

აქ გატყდა ლილეს ფიქრის სწორი მიმართულება. თვითონ კი იქნებოდა ლილე ბედნიერი, მაგრამ შეძლებდა მეფე ტახტისა და გვირგვინის დაგდებას, სასახლის დატოვებასა და უბრალო მდაბიოთაგანივით, ან თუნდაც ვინმე მემამულესავით ცხოვრებას? ეყოფოდა დიდებისა და პატივისაგან განძარცულს, ფუფუნებასა და ნებივრობას შეჩვეულ მეფეს ერთადერთ სიმდიდრედ მისი სიყვარული?!

_ არა! ალბათ, არა!

და რომ ეკმარა კიდევაც ლაშას მარტოოდენ მისი ტრფობა, განა ცოდვა არ იქნებოდა, რომ მისი სიყვარულის მსხვერპლად, ჯერ კიდევ ჭაბუკი, ჯან-ღონით სავსე, სახელისა და უფლების მოყვარული მეფე დიდების მწვერვალიდან ცხოვრების ფსკერზე, სიღარიბის ჭუჭყში დამხობილიყო? ღირდა კი მეფისათვის მისი ტრფობა ესოდენ დიდ ფასად? გადაწონიდა მეფური ცხოვრების აურაცხელ სიკეთეს მარტოდენ მისი სიყვარული? განა ჰქონდა იმის უფლება ლილეს, რომ არა მარტო მეფისათვის, არამედ უფლისწულისათვისაც დაეკარგვინებინა საქართველოს სამეფო ტახტი?

მამის ანდერძი და დედის ფიცი, ყველაფერი ერთად გაახსენდა წამით ლილეს და ღარიბი ცხოვრების ბედნიერებაზე ოცნებაც უმალვე გაქრა. არა, მას უფლება არ ჰქონდა მისი უბედური მშობლების ძლივს ხორცშესხმული ოცნების ასე უგუნურად დანგრევისა! დაე, მას ნუ ჰყოფენ

დედოფლობის ღირსად, ოღონდ მის შვილს ნუ მისტაცებენ მეფობის უფლებას, ოღონდ ლაშამ და მისმა შვილმა იმეფონ ბედნიერად და თუნდაც უმისოდ.

მაგრამ აცოცხლებენ კი უკანონო უფლისწულს ლილესა და ლაშას მტრები? არაფერ ხიფათს შეამთხვევენ ხარჭასაგან გაჩენილ ბუშს, დედის თვალსა და ზრუნვას მოკლებულ დავითს, შურითა და ღვარძლით სავსე ბოროტი დიდებულები? რომ მოწამლონ? რომ მოკლან?

_ ვაი!

წამოიკივლა ფიქრით შეშინებულმა ლილემ და ფეხზე წამოვარდა.

_ რა იყო, ლილე?

_ არაფერი, ცუდი სიზმარი ვნახე... _ იცრუა ლილემ. ლოგინიდან გადმოვიდა, ოქროს ქოშებში ფეხი წადგა და კარისკენ წავიდა. ლაშა ლოგინიდან წამოიწია.

_ სად მიხვალ? _ გაოცებით ჰკითხა მეფემ.

_ ბალღს მინდა დავხედო. ახლავ დავბრუნდები. დაიძინე, გენაცვალე... _ ხმადაბლა უთხრა ლილემ და ოთახიდან გავიდა.

ლილე აღარ დაბრუნდა. მეფეს ლოდინით გული გადაელია. შეშფოთებული ადგა, ხალათი წამოისხა და ისიც უფლისწულის საწოლისკენ წავიდა.

ფეხაკრეფით, ფრთხილად შეაღო ლაშამ კარი და ზღურბლთან გაქვავდა.

უფლისწულის ლოგინის გარშემო გამდელები ფუსფუსებდნენ, ძილგატეხილი ბავშვი ჩქარა და ხმამაღლა სუნთქავდა, ლოყები ნაკვერცხლებივით ჰქონდა ალეწილი და მიბნედილ თვალებს უაზროდ ატრიალებდა.

სასთუმალთან ლილე უჯდა ბავშვს. ძიძას ხელთ წყლით სავსე თეფში ეპყრა, ლილე წყალში ტილოს ასველებდა და სიცხით გათარანებულ ბავშვს შუბლზე ადებდა.

ლილესა და ძიძას თვალებში შიში ჩასდგომოდათ, ბავშვს თავს დაჰკანკალებდნენ და ლოგინს არ შორდებოდნენ.

სიცხიანმა ყრმამ კართან მდგარ მამას წამით თვალი მიაშტერა, ბაგესთან ის იყო ღიმილი გამოესახა, მაგრამ, უცებ რაღაც გულზე მოაწვა და თავის აწევა ვერ მოასწრო, რომ პირიდან შადრევანი წასკდა.

_ მიშველეთ! _ შეჰკივლა ლილემ და ნარწყევს რომ არ დაეხრჩო, ბავშვს თავი მაღლა აუწია. ძიძა და გამდელები მაშინვე მიეშველნენ. ზოგმა ბავშვს დაუწყო ტუჩების წმენდა, ზოგი ლოგინს უსუფთავებდა.

ლოგინთან დახრილ ლაშას ვერაფერი მოეხერხებინა, გულისრევისაგან მისუსტებულ ბავშვს შეშინებული დასცქეროდა და მის გათეთრებულ თვალებში ეძებდა მანუგეშებელსა და გამამხნევებელს.

_ დათუნა, შვილო, დათუნა... _ ბუტბუტებდა ლაშა და თითებით ნაზად ეხებოდა ბავშვის შავსა და რბილ ქოჩორს.

_ მომიკლეს ბავშვი! ნამდვილად მომიკლეს, მომიწამლეს უღვთოებმა! _ შესახა ლილემ და ქვითინით დაემხო ლოგინზე.

@თავი ოცდამეერთე. ღვთის წყრომა და წყალობა

ორი დღის შემდეგ გულისრევამ გაუარა უფლისწულს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ბავშვი მოწამლული არ იყო, მაგრამ სნეულება ვერ გამოიცნეს და წამლებით ვერაფერი არგეს. მესამე დღეს ავადმყოფს სიცხემ უმატა, თონესავით გახურდა ბავშვი, პირში ნერწყვი გაუშრა და თვალებმა გაელმება დაუწყო, ღამე კრუნჩხვა მოუვიდა და კინაღამ გათავდა.

ჯვარცმასთან დამხობილი, თმაგაშლილი ლილე მხურვალე ლოცვით ევედრებოდა მაცხოვარს შვილის გადარჩენას.

წამით თითქმის სულისმღაფავ ყრმას მოხედა, თვალები ისევ ცრემლით აევსო და ჯავრისაგან გამშრალ, თვალებგამოფიტულ ლაშას შეაცქერდა. თითქო უცებ რაღაც გაახსენდა, ლაშას ხელი წაავლო, ჯვარცმასთან მიიყვანა და მუხლზე ძალით დააჩოქა.

_ ილოცე, ლაშა! შეეხვეწე მაცხოვარს, არ გაგვწიროს... შენ უფრო გაგიგონებს, მირონცხებულსა და დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალს... შეევედრე, ნუ დაღუპავს ჩვენს პირმშოს ჩვენი ცოდვებისათვის... ილოცე, სულით წმიდით და გულით წრფელით, _ ეჩურჩულებოდა ლილე და მუხლებზე დამხობილი, ცრემლით დალტობილი სახით შეჰყურებდა და შეჰღაღადებდა ჯვარცმას.

ხელპყრობილი ლაშა განწირული ადამიანის ძრწოლითა და სასოწარკვეთით ევედრებოდა უბედურებისაგან ხსნის ერთადერთ იმედს. იგი ჭექა-ქუხილითა და წარღვნით თავზარდაცემულ ურწმუნოს ჰგავდა, რომელსაც გადარჩენის ყველა ნუგეშის წარწირვისას ერწმუნებინა ღმერთი და მთელი იმედი განგების გულმოწყალეობაზე დაემყარებინა.

გარედან ძელის ცემის ხმამ მოაღწია. რეკდენ ურიცხვი, დიდი და მცირე ძელები, ბოხი და წვრილი ხმები გაბმითა და ერთიმეორის შენაცვლებით: ქალაქის ეკლესიებში ლიტონიობა იყო, ღმერთს მშობლების უსჯულოების მიტევებასა და უფლისწულის გადარჩენას ევედრებოდნენ.

ზარების შორეული ხმა სულში სალბუნად ეღვრებოდა ლაშას, ამაღლებდა და მიწიერ ღელვას ავიწყებდა, ღვთაების განცდასა და რელიგიურ გზნებაში გადაჰყავდა მეფე.

სარკმელთან მდგარმა მჭმუნვარე მარგველმა თორელს გადაულაპარაკა, მერე ორივე უფლისწულს დააცქერდა, რაღაც თვალებით ერთიმეორეს უთხრეს და მარგველი ოთახიდან გავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მარგველი უკანვე შემობრუნდა. საწოლში საკმელის სუნი შემოვიდა, მარგველს კარის მოძღვარი მოჰყვა საცეცხლურის ქნევითა და აიაზმის სხურებით.

მოძღვარი საწოლთან მივიდა, ილოცა და უფლისწული აზიარა.

წესი რომ აღასრულა, დიაკონს ძვირფას ყდაში ჩასმული წიგნი ჩამოართვა.

_ დავით წინასწარმეტყველის წიგნი მოვართვი, დედოფალს ებრძანებინა! _ წაილუღლუღა და წიგნი მაგიდაზე დადო. მერე იქაურობას ჯვარი გადასახა, კუთხეში ჩამოჯდა და ბუტბუტით განაგრძო ლოცვა.

ლაშას თვალი უნებურად წარსტაცა ძვირფასად შემკულმა წიგნის ყდამ: მუხლმოყრილი დავით წინასწარმეტყველი ქნარს უკრავდა და ამღერებდა. ურიათა მეფის უკან წაფერდებული მთა იყო ამართული, მთის წვერზე ფარივით მოქნეულ ფრიალოზე, ქოჩორა ხე იდგა და ხის ტოტებში შეყუჟული სამოთხის ჩიტები მონასმენით გაოცებას გამოხატავდნენ.

ღრუბლებში ანგელოსები სმენად ქცეულიყვნენ და დავითის საგალობლით მოხიბლულებს ფრენა შეეჩერებინათ. ყველაფერი სულგანაბული იყო და სმენით მოჯადოებული, ხეზე შემომჯდარი ყელმოღერებული სამოთხის ჩიტები თუ ნაპრალთან შეჩერებული ყურდაცქვეტილი ნიამორი, გადასახტომად ატოტებული ვეფხი თუ გუბეზე დახრილი ყვავილი, უსულო თუ სულიერი მოსმენილით მიღებულ სიამოვნებასა და განცვიფრებას გამოხატავდა.

ყოველივე ეს ოსტატს ოქროში გამოეკვეთა და ძვირფასი ლითონი მუსიკის ამაღლებულ განცდაზე იშვიათი ხელოვნებით აემეტყველებინა.

ლაშამ დახედვისთანავე იცნო ბექა ოპიზარის ნახელავი და ხელი კვლავ უნებურად წასცდა. წიგნი იმ გვერდზე გადაშალა, სადაც აბრეშუმის ფართო ზონარი იყო ჩატანებული. წიგნის კაბადონები შესანიშნავი მინიატურებით იყო შემკული.

ლაშას თვალი მთავრულმა დონმა მიიპყრო: ორი ფარშავაგნი ოსტატურად გადაება ერთიმეორეზე მხატვარს. მათი მოღერებული ყელები ერთიმეორეში გაეყარა და ორი კლანჭი ერთიმეორეზე გადაეხლართა. ფრინველთა ყელები და გულმკერდი ცისფრად დაეხატა, ხოლო ფრთები და ფეხები აქა-იქ წითელჩართული ყვითელი ფერით გამოეყვანა. ფარშავანგთა შავი ბოლოების ფონზე ყვითელი ხაზები გაევლო და ზედ ლურჯი რგოლები აესახა.

ერთხანს მოჯადოებულივით უყურა მეფემ გადამწერის თუ მხატვრის საოცარ ნამუშევარს, მისმა მოთმინებამ და გულისმოდგინებამ იმდენადვე განაცვიფრა და აღაფრთოვანა, რამდენადაც გამომგონებლობამ, ფერთა შეგრძნობისა და შეხამების ოსტატობამ.

თვალი ამ საოცარ დონს გასცდა და პწკარი პწკარს მიჰყვა.

მეფე უხმოდ კითხულობდა:

„...და წარავლინა უფალმან ნათან წინასწარმეტყველი დავითის მიმართ და შევიდა მისსა და ჰრქვა მას: მომიგე მე, მეფეო, აწ სამართალი: ორნი კაცნი იყვნენ ერთსა შინა ქალაქსა, ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდრისა სამწყსოი იყვნენ დარემაკები ხართა მრავალი ფრიად. და გლახაკისა იყო არარაი, არამედ გარნა ერთი კრავი მცირე, რომელი მოეგო, დასცვიდა და გამოზრდიდა მას და აღორძინდა მასთანა და ძეთა მისთა თანა ერთად, პურისაგან მისისა სჭამდა და სასუმელისაგან მისისა სუემდა და წიაღსა შინა მისსა განისვენებდა და იყო მისსა ვითარცა ასული“. _ ლაშამ წამით თავი აიღო წიგნიდან, თვალწინ თმაწვერგაბუძგული ფხოველი დაუდგა. აი, თურმე საიდან მოუყვანია იგავი მთიელთაგან სინდისსა და სამართალზე მის მოსაქცევად წარმოგზავნილ ფხოველს.

_ ხმამაღლა იკითხე, მეფევ, მეც გამაგონე! _ შესთხოვა ლილემ. მეფემ წაკითხული ხელახლა, ხმამაღლა გადაიკითხა.

ლილე ავადმყოფს თვალს არ აშორებდა და სულგანაბული უსმენდა.

_ „და მოვიდა ვინმე გზით კაცისა მიმართ მდიდრისა და არა ინება მოყვანებად სამწყსოსაგან თვისისა და ხართა რემათაგან თვისთა ქმნად სადილისა მგზავრისა მისდა მიმართ მისრულისა, არამედ მოიყვანა კრავი გლახაკისა მის და უქმნა სადილი კაცსა მისრულსა მისდა მიმართ. და განრისხნა რისხვითა ფრიად დავით კაცსა მას ზედა, და ჰრქუა დავით ნათანს: ცხოველ არს უფალი, რამეთუ ძე სიკვდილისა არს კაცი მყოფელი ამისი. და კრავი მიუბრუნოს შვიდ წილად ამისწილ, რამეთუ ყო საქმე ესე, და მისწილ, რამეთუ არა რიდა. და ჰრქვა ნათან დავითს: შენ ხარ კაცი, რომელმან ჰყავ ესე, აწ ამას იტყვის უფალი ღმერთი ისრაელისა: მე ვარ, რომელმან გცხე შენ მეფედ ისრაელსა ზედა, და მე ვარ მხსნელი შენი ხელთაგან საულისათა... და მოგეც შენ სახლი უფლისა შენისა, და ცოლნი უფლისა შენისანი წიაღსა შენსა, და მოგეც შენ სახლი ისრაელისა და იუდასი, და უკეთუ მცირე შენდა არს, ესე შეგძინო შენ მათთანა. და რაი არს, რამეთუ ეცრუე სიტყვასა უფლისასა, რომელ ჰქმენ ბოროტი წინაშე თვალთა მისთა. მოჰკალ ჰურია ქეტელი მახვილითა და ცოლი მისი მიიყვანე თავისა შენისა ცოლად...“

ლაშამ წამით კითხვა შესწყვიტა, მიწისძვრისაგან დაზიანებული დავით აღმაშენებლის პალატები, ლუხუმის ომში გაგზავნა გაახსენდა. „როგორ უიღბლოდ ჩაიარა ამ ომმა! გურკელი რომ შემთხვევით არ დაღუპულიყო და ლუხუმი მოეკლათ, ხომ ყველაფერი სხვაგვარად დატრიალდებოდა“, _ გაიფიქრა მეფემ და მაშინვე მიხვდა, ვცოდავო. პირჯვარი გადაისახა და სულთმობრძავი ყრმისკენ გაიხედა.

ფერწასულ, თითქმის სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგულ უფლისწულს მიაჩერდა ლაშა და თვითონვე გაუკვირდა, თუ როგორ შეძლო ასეთ ძნელ წუთებში წიგნის კითხვა.

ერთი კი მძიმედ ამოიოხრა მეფემ და თვალი ისევ წიგნისკენ გაექცა.

_ „და იგი მოკალ მახვილითა ძეთა ამონისათა, _ განაგრძობდა კითხვას ლაშა, _ და აწ არა მიიქცეს მახვილი სახლისაგან შენისა უკუნისამდე, ვინათგან შეურაცხ მყავ მე, და მოიყვანე ცოლი ჰურია ქეტელისა ცოლად თავისა შენისა. ამას იტყვის უფალი: აჰა, მე აღვადგინო შენზედა ბოროტი სახლისაგან შენისა, და მიგიღო ცოლნი შენნი წინაშე თვალთაგან შენთა, და მივსცე მოყვასსა შენსა, და დაწვეს იგი ცოლთა შენთა თანა წინაშე მზისა. რამეთუ შენ ჰქმენ ფარულად, ხოლო მე ვყო საქმე ესე წინაშე ყოველთა ისრაელთა, და წინაშე მზესა ამას. და ჰრქუა დავით ნათანს: ვცოდე უფლისა მიმართ. და ჰრქუა ნათან დავითს: და უფალმან აღიღო ცოდვა შენი შენგან, არა მოჰკუდე. გარნა რამეთუ აღმოხვით აღმოხვენ მტერნი უფლისანი სიტყვითა ამით, და ძე შენი, რომელი იშვას შენდა, სიკვდილით მოკვდეს“.

ლაშას ტანში გააჟრჟოლა, თმები აებუძგა, ერთი კიდევ ამოიოხრა და თვალი ისევ ლამაზად ნაწერ სტრიქონებს გააყოლა.

_ „და წარვიდა ნათან სახლსა თვისსა და შემუსრა უფალმან შვილი, რომელი უშუა ცოლმან ურიისგან დავითს...“

_ ნუ იყოფინ, უფალო! _ შეჰკივლა ლილემ და ხატის წინ დაემხო აქვითინებული.

ლაშას თვალთაგან ცრემლები მოსწყდა, წიგნი დახურა და სულთმობრძავ შვილს მიაჩერდა.

_ ნუთუ შემუსრავს ყრმასაცა ჩემსა ცოდვათა ჩემთათვის უფალი... ღმერთო, ნუ იყოფინ... ღმერთო, ნუ იყოფინ... _ ბუტბუტებდა თავისთვის ლაშა და თვალს არ აცილებდა ავადმყოფს.

_ ღმერთო ძლიერო, ლაშარის წმიდა გიორგი! _ ჩაესმა ლაშას ლილეს ხმამაღალი ვედრება და წამსვე პირი მისკენ იბრუნა.

_ შენ გევედრები, მთიელთა მფარველო და მტერ-მოყვარეთაგან დამცველო, _ განაგრძობდა ლილე. _ გმირო და უძლეველო მხედარო, ლაშქრის წინამძღოლო, შენ გევედრებით შენი ყმები, მოხედე შვილსა ჩვენსა, განკურნე სენისაგან და ულხინე სატკივრისაგან. შენი წამლისა და შველის სახსრად ფეხშიშველი მივალ ხმელგორს, თაყვანს ვცემ შენს ხატს და ას ზროხასა და ათას ცხვარს შევსწირავ... ოღონდ გადამირჩინე ჩემი დავითი. _ ლილემ პირჯვარი სამგზის გადაიწერა, მერე წელზე სარტყელი მოიხსნა, ყელზე საბელივით მოიდო და ლაშასაც მოსდო. მეფე დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ლილეს ნებას. შვიდგზის ჩოქვითა და ლაშარის ვედრებით შემოუარა სნეულის საწოლს ორივემ.

დასაკლავი ცხვარივით მორჩილად მიჰყვებოდა საღვთო რიტუალის შესრულებით გატაცებულსა და აღგზნებულ ცოლს მეფე. იგი საცოდავი იყო თავის მორჩილებასა და ურწმუნო კაცის ნაძალადევ ღვთის მოსავობაში. ჩოქვით შემოვლას რომ მორჩნენ, ლაშამ საბელი მოიხსნა, ფეხზე წამოდგა და უზომოდ დაღლილი ლოგინზე მიესვენა.

ლილე ახლა ჯვარცმის წინაშე ჩაიკეცა. დიდხანს ილოცა, ბოლოს გაბრუებული და ქანცგაწყვეტილი წამოდგა.

მკურნალი გულის ძილში იყო და არხეინად ფშვინავდა. ლაშას გაშლილ წიგნზე ჩასძინებოდა. მოძღვარი, თორელი და მარგველი პალატში აღარ იყვნენ.

უფლისწულის ფერხთით ძიძა ყვინთავდა, ძილს ებრძოდა და ვეღარ ერეოდა.

ზედიზედ სამი ღამის უძილობით გატანჯულ ლილეს თავი უხურდა, საფეთქლებთან სისხლი აწვებოდა, თვალთ უბნელდებოდა და ფეხები აღარ ემორჩილებოდა.

უფლისწულის საწოლთან ფარდაგზე ჩაიკეცა ლილე, თავი ლოგინის ბოლოზე დადო და უცებ ბანგმიცემულივით დაეძინა.

ძილში სახიერი მოხუცი გამოეცხადა, მაღალმა შაოსანმა ბერმა კარი შემოაღო, თავს დაადგა და ტკბილად უთხრა:

_ არა ჟამი არს ძილისა, შეუდექ გზასა ჩემსა და მე აღვადგინო ძე შენი და ავაღორძინო სახლი შენი...

ლილემ სიზმარში თავი ასწია და შაოსან ბერს გაოცებით შეხედა...

_ შეუდექ გზასა ჩემსა და მე გილხინო ცოდვათაგან შენთა, _ გაუმეორა შაოსანმა მოხუცმა და ვერცხლის მცირე ჯვარცმა მაღლა აღმართა.

_ მიხსენ, მამაო! _ ჩაუვარდა ფეხქვეშ ლილე _ მიხსენ განსაცდელისაგან, შეჰვედრე უფალს შვილი ჩემი, კრავი უმანკო და მორჩი ახალი, არა გარდმოავლინოს რისხვა სამეფოსა სახლსა ზედა, არა წარწყმიდოს ძე ჩემი, ტახტის მემკვიდრე!

_ შეუდექ გზასა ჩემსა და მე თავს გდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს, ააღორძინოს ნერგი შენი და აცხოვნოს ძე შენი და მისცეს მას და შვილთა მისთა პყრობად ტახტი სამეფოი უკუნითი უკუნისამდე.

_ მიხსენ, მამაო, მფარველ მექმენ უფლისა ღმრთისა წინაშე, რამეთუ უსჯულოებათა ჩემთათვის მსაჯოს მე და სალბუნ ეყოს ძესა ჩემსა უბრალოსა. ნუ გარემიიქცევს პირსა უფალი ჩემგან...

_ ნუ გეშინინ, შვილო! მიგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი!

_ ვითარ, მამაო, ვითარ შემინდობს უფალი ცოდვათა ჩემთა მძიმეთა, წინაშე ქმრისა გვირგვინისასა და ჯვარისა დაწერილისა და ბეჭდისა დაბეჭდულისა.

_ ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ და ძე შენი. ვითარ ჰგონებ შენ? კაცსა თუ ვისმეს ედგას ასი ცხოვარი, და შესცდეს ერთი მათგანი, არამე დაუტევნესა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი მთათა ზედა, და წარვიდეს და მოიძიოს შეცდომილი იგი? და რაჟამს ჰპოვოს იგი, ამინ გეტყვი შენ, უფროს უხაროდეს მის ზედა, ვიდრე

ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცდომილ იყვნეს. შვილო! იქმენ მორჩილ სიტყვათა ჩემთა, შეუდექ გზასა ჩემსა და აღვადგინო ყრმა შენი ცხონებითა...

_ ვითარ დავუტევო სნეული განსაცდელსა მას? _ ამოიდგა ენა შიშისაგან აცახცახებულმა ლილემ.

_ არა ღამესა ამას დაუტევო, არამედ ილოცვიდე და იმარხვიდე დღესა ყოველსა და მე მოვალ მსგეფსსა ერთსა წაყვანებად შენსა, ოდეს აღდგომილ იყოს ძე შენი ცხედრისაგან მისისა.

_ წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი შვილისა ჩემისა და სულისა ჩემისა იზრუნე!

მოხუცმა ლილეს ჯვარი გარდასახა და სნეული უფლისწულისაკენ წავიდა ლოცვით.

_ ვინა ხარ, მამაო? მარქვი სახელი შენი, რამეთუ საცნაურ იყოს დღესა მოსვლისა შენისა.

_ არა სახელსა ეძიებდე ჩემსასა, არამედ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა... აღსდექ და იხილე ძე შენი განკურნებად მოსულ! აღსდექ და იხილე ძე შენი ღვთივ განკურნებულ, ხოლო დღესა მეშვიდესა აღსდგეს იგი ცხედრისაგან და მე მოვიდე წაყვანებად შენსა მხევლად ქრისტეის მიმართ. _ წმინდანმა სამგზის ჯვარი დასწერა ლილეს.

_ აღსდექ და იხილე ძე შენი განკურნებად მოსულ, აღსდექ და იხილე ცოდვანი შენნი შენდობილ!

ლილეს გაეღვიძა, მიმოიხედა, შაოსანი მოხუცი აღარსად იყო.

_ აღსდექ და იხილე ძე შენი ღვთივ განკურნებად მოსულ! აღსდექ და იხილე ცოდვანი შენნი შენდობილ! _ ესმოდა ისევ სიზმრიდან ჯერ კიდევ გამოურკვეველ ლილეს. ფეხზე წამოდგა და უფლისწულს დახედა: მშვიდად ეძინა აქამდე განუწყვეტლად მშფოთვარე სნეულს, შუბლზე ოფლის ცვარი დაჰყროდა და მანამდე სანთელივით გაფითრებულ ლოყებს ვარდისფერი შეჰპარვოდა.

_ ღმერთო დიდებულო! ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო! _ იმეორებდა ლილე ბუტბუტით და უფლისწულს დაჰყურებდა იმედით და სიხარულით გაბრწყინებული თვალებით.

ექიმს უკვე ეღვიძა, უფლისწულის სასთუმალთან იჯდა და ხელთ ავადმყოფის მაჯა ეპყრა.

_ გადარჩა! განსაცდელმა განვლო! _ ახარა მკურნალმა, _ წამალმა გასჭრა და ულხინა უფლისწულს, _ ამაყად თქვა ექიმმა და ავადმყოფის მაჯას ხელი უშვა.

ლილე სხვაგვარად ფიქრობდა და სხვა ძალისა სჯეროდა.

_ ღმერთო დიდებულო! ღმერთო დიდებულო! ღმერთო დიდებულო! დიდ არს ძალი შენი, რამეთუ შემინდე მე ცოდვილსა ბრალნი ჩემნი. და გმსახურებდე დღეიდან სიკვდილამდის გულითა წრფელითა და სარწმუნოებითა ურყევითა, აღარა გულმითქვამდეს ცხოვრებასა წარმავალსა და ვეგო მხევლად შენდა უკუნითი უკუნისამდე!

ჩურჩულებდა ჯვარცმის წინაშე დამხობილი ლილე.

* * *

დილით ისევ შემოვიდნენ უფლისწულის ამბის გასაგებად. მეფეს ისევ ეძინა გაუხდელად.

ლაშამ თვალი გაახილა და ზე წამოიწია.

თორელმა მეფის გამოხედვა ველარ იცნო. უპეები ნაგვემივით ჩაშავებოდა, ჩაცვენილი თვალების მიმქრალ ცეცხლს ცხოვრებისაგან დაღლილობის ფერფლი წაჰყროდა და ჯანღონით სავსე ოცდახუთი წლის ვაჟკაცი ბერიკაცივით წელში მოხრილიყო.

მეფის სასახლიდან გაბრუნებული, გაზრდილისაგან გაწბილებული ფხოველი ქვეყნისა და მეფისათვის უკეთესის ფიქრსა და რჩევაში ნელა მიჰყვებოდა არაგვის ხეობას.

აქეთობას მომავალი ჩალხია დაიმედებული იყო, რომ მეფეს შეაგონებდა, სიძვის დიაცზე ხელს ააღებინებდა და ლაშარის ხატის მომჩივარ გვირგვინის ქმარს თავის ცოლს უკან მიჰგვრიდა.

მეფესთან საუბარმა და უფრო მეტად ლილეს მშვენების განცდამ ფხოველი დაარწმუნა, რომ მიჯნურობისაგან გაგიჟებული ლაშა ცოცხალი თავით სატრფოს არ დათმობდა, მეფის უარი მთიელებს ფეხზე დააყენებდა და მთის ახალი ამბოხება იფეთქებდა.

ამიტომ ეძნელებოდა ფხოველს ლაშარის ხატში დაბრუნება, ფეხს ითრევდა და გზას იგრძელებდა, რომ გამოსავალი მოეძებნა.

ამ ფიქრში მიმავალს გზად ჩარდახიანი ურემი წამოეწია, ურემს ორი ცხენოსანი მოჰყვებოდა და უკან ფეხშიშველა, თმაგაშლილი შეთქმული მოსდევდა.

სალამს კითხვა-პასუხი მოჰყვა.

ხვედურელ აზნაურს შიშზე ენაჩავარდნილი შვილი ხევის მონასტერში მიჰყავდა სასწაულთმოქმედებით საქვეყნოდ განთქმულ წმიდა საბასთან განსაკურნავად.

საბას სახელის გაგონებაზე ფხოველის გონება იმედის სხივმა გაანათა. იმ წმიდა მოღვაწის სახელი და გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მეფეები და ვაზირებიც კი ხშირად აკითხავდნენ ლოცვა-კურთხევისათვის და გართულებული სახელმწიფო საქმეების გადასაწყვეტად მის აზრს იშველიებდნენ ხოლმე.

რაც მე, სამეფოს კარზე წარმართად და მეკერპედ აღიარებულმა მოხუცმა ვერ შევძელ, იქნებ მან, ქრისტეს სჯულის მმოსავმა, სასწაულთმოქმედებით ცნობილმა ბერმა შესძლოსო, გაიფიქრა ფხოველმა და ხავსმოკიდებულ წყალწაღებულივით მთელი იმედი მარტომყოფის ამაღლებულ გონებასა და გავლენაზე დაამყარა.

საბა მარტომყოფი ჩალხიასთან ერთად კონსტანტინეპოლში სწავლობდა, მაშინ ფხოველის ახლო ამხანაგი იყო და ყველაზე მძიმე განსაცდელის ჟამსაც კი მისთვის ზურგი არ შეუქცევია და მასთან შორეულ მეგობრობას განაგრძობდა.

დროდადრო ერთმანეთს იხსენებდნენ ცხვრის ტყაპუჭში გახვეული, თავისუფლად მოაზროვნე მთიელი და ბერის ძაძით შემოსილი საუკუნო ცხოვრებისათვის მოღვაწე მარტომყოფი.

ფხოველმა გადაწყვიტა საბას ნახვა, მისი მეფესთან მიგზავნა და ეკლესიისა და წმიდა ბერის პირადი ჩაგონებით ლაშაზე გავლენის მოხდენა.

_ მეც თქვენი გზა მაქვს, საბა მარტომყოფთან მივდივარ, _ უთხრა მონასტრისკენ მიმავალთ, დაღლილი ურმის კოფოზე დაჯდა და ხვედურელი აზნაურის სახლობას გაჰყვა.

საბამ ფრიად გაიხარა ფხოველის ნახვით.

ტაბლა რომ მოიღეს და ისერეს, სულის სასარგებლო საუბარი გააბეს, ძველი მოიგონეს და ახალი თქვეს. ბოლოს ჩალხიამ თავისი მოსვლის მიზეზი გაუმხილა და სჯულისა და ზნეობის სიმტკიცისათვის მებრძოლ საბას მეფის საქმეში ჩარევა სთხოვა.

მარტომყოფს ფრიად ეძნელა ურწმუნო და თავნება მეფის წინააღდგომა, საკუთარ ძალასა და რწმენის სიმტკიცეში დაჯერებულ მოძღვარს ეეჭვებოდა, რომ მისი სიტყვა და შეგონება კეთილად იმოქმედებდა უკანონობისა და უსჯულოებისკენ მიდრეკილ ხელმწიფეზე.

ფხოველმა გრიგოლ ხანძთელისაგან აშოტ კუროპალატის ძლევა მოაგონა და წმიდა ბერის გონება ერისა და ტახტის საშველად აღძრა.

მეორე დღეს ჩალხიამ თავისი გუდანაბადი აიკრიფა, საბას ამბორისყოფით გამოემშვიდობა და თვალცრემლიანმა უთხრა:

_ ალბათ, უკანასკნელად გხედავ, ნეტარო მამაო.

_ მაგის ბრძანებას რათ ინებებ, მოძღვარო, კვლავ გვესტუმრე და ღირსგვყავ შენი ხილვისა და საუბრის.

_ ფხოველებთან ხელმწიფისაგან ცუდი ამბით ვბრუნდები, საბა. მთიელები თავის ნათქვამს აღასრულებენ, მეფის წინააღმდეგ აიშლებიან და მეც ჩემს ხალხთან ყოფნა და სიკვდილი მიწერია.

საბა დაფიქრდა და შუბლი შეიკრა.

_ ესწრაფე, საბა, მეფის ნახვას, ვინძლო შენმა სიწმინდემ და ძალამ გასჭრას, ხალხისა და სამეფოს ბედი შენს იმედზეღა არი!

ერთხელ კიდევ შეეხვეწა ჩალხია. საბას დამჭკნარი, ფაფუკი ხელი დაკოჟრებულ, გაძვალტყავებულ ხელში დიდხანს დაიჭირა, მერე უცებ შეტრიალდა და კომბალშემართული გზას გაუდგა.

* * *

ფხოველები ძველებურად სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, ძველებურად ათასგვარ ბეგარას იხდიდნენ და თვალი ისევ ურჩობისა და ამბოხებისაკენ ეჭირათ.

ლაშარის ხატში მეფის მისვლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, მეფის დაპირება დაპირებად დარჩა, მთიელებს არც ბეგარა შეუმცირეს, არც სახნავ-სათესი მისცეს. ეს იყო, რომ ცოტა ხანს წარმართობის დევნა შეასუსტეს და ქრისტიანობაზე მთიელთა ძალად მოქცევისაგან დროებით ხელი აიღეს.

ფხოვში მეფის მოსვლა, რაზედაც მთელი მთიანეთი ამოდენა იმედს ამყარებდა, ლაშასთვის თურმე უბრალო გასეირნება და გართობა იყო. ლაშამ წარმართობის გამოსარჩლებასაც მალე ანება თავი, მთაში ქრისტიანობამ კვლავ ძალა მოიკრიფა, მეფის წაყრუებით ისარგებლა და კვლავ შეტევაზე გადავიდა.

მთა ისევ დრტვინავდა და შფოთავდა, მცირე ნაპერწკალიღა უნდოდა, რომ კვლავ ხანძარს ეფეთქა. ეს ნაპერწკალი მალე გაჩნდა _ იგი მეფისგან ლაშარის ყმის, ლუხუმ მიგრიაულის გაუბედურება იყო.

როცა მეფესთან ხალხის მოციქულად მიდიოდა, ფხოველების მეთაურ ჩალხიას კიდევ ჰქონდა აჯანყების შეჩერების იმედი. ჩალხია იმასაც ფიქრობდა, მეფეს მთიელთა უკიდურეს გაჭირვებას დავუხატავ და გადასახადის ტვირთს ცოტას მაინც შეგვიმსუბუქებსო. ფხოველთა მთავარ მოთხოვნაზე რომ ცივი უარი მიიღო, გაღატაკებულ მთიელებისათვის შეღავათზე ჩალხიას სიტყვაც აღარ ჩამოუგდია.

ფხოველი სატახტოდან ხელცარიელი დაბრუნდა. მთა აჯანყდა და სწორედ იმ დროს ბარიდან უკანდახეულ მიგრიაულის მეამბოხეებს შეუერთდა.

მეფის ჯარებისა და ერისთავებისაგან ბარში შევიწროებულმა მიგრიაულმა ბანაკი მიუვალ მთებში დაიდო.

ბანაკს წინიდან მიუდგომელი კლდეები იფარავდა, უკან აჯანყებული მთა ედგა. მეკობრეები პირველყოფილი ადამიანების ნაბინავარებში ცხოვრობდნენ _ გამოქვაბულებსა და ხვრელებში.

სათვალთვალოები შორს ჰქონდათ გაწეული და მთისკენ მომავალ გზებზე ციხე-კოშკებში თავიანთი კაცები ჰყავდათ. მტრის გამოჩენისას იმ კოშკების თავზე ცეცხლი ენთებოდა, მაღალ კლდეებზე მდგარ გუშაგებს მოსალოდნელი საშიშროებისაგან აფრთხილებდა და ბანაკი დროზე ღებულობდა საჭირო ზომებს.

* * *

ავადმყოფის განსაცდელის გავლა და გარდატეხა ლოცვისა და უძილობისაგან დაღლილ და აღგზნებულ ლილეს ჩვენებას დაემთხვა: უფლისწულმა მომჯობინება იწყო და გამოკეთების გზაზე დადგა.

ამ დამთხვევამ ბავშვობიდან ღვთისმოშიში ლილე განგების ძალასა და ღვთის დახმარებით მემკვიდრის განკურნებაში მტკიცედ დაარწმუნა.

თვალწინ სულ სიზმრადნახული მოხუცი ედგა და გულის ფანცქალით ელოდა მისი მოსვლის ჟამს. ჩვენების ნახვის დღიდან დაუცადებელი ლოცვა და დაურღვეველი მარხვა ჰქონდა ლილეს, მეფეს სრულიად განერიდა, თუმცა თვალი და გული ზოგჯერ მაინც თავისას ცდილობდა, ნებისყოფაგანმტკიცებული ლილე ლაშას დამდურებულივით პირს არიდებდა და მის სიახლოვეს გაურბოდა.

დღეებს ითვლიდა ლილე. აღთქმისამებრ, მეშვიდე დღეს უნდა მოსულიყო წმიდა მამა მწყემსის ცხვართაგან მოწყვეტილ, შეცთომილ და გზააბნეულ კრავის წასაყვანად. ლილეს სწამდა, რომ მისი მოხუცი მეგზური და ქრისტეს წინაშე თავსმდები უსათუოდ მოვიდოდა, სწამდა, რადგან სარწმუნო ეყო წმინდანის სიტყვა, რომელმაც ლოცვითა და კურთხევით განკურნა მისი შვილი. მოხუცის მისვლას ისე ელოდა, როგორც რაღაც დიდსა და გონებით მიუწვდომელ გარდატეხას თავის ცხოვრებაში, იმ დღის დადგომა ეჩქარებოდა და თავს იმის ანგარიშს არ სთხოვდა, თუ როგორი იქნებოდა მისი შემდგომი ბედი. ერთი კი სჯეროდა ლილეს, რაკი ღმერთმა უფლისწული სიკვდილისაგან იხსნა და მოხუცის ბაგით მისი ტახტზე დამკვიდრება აღუთქვა, მასაც სამაგიერო მსხვერპლი უნდა გაეღო, ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ზურგი უნდა ექცია და საუკუნის მოგებისათვის ზრუნვაში ეპოვა ბედნიერება. ლაშას მეფური ღირსებისათვის, ტახტზე მისი განმტკიცებისათვის ლილეს სასახლიდან წასვლა, ბოლოს და ბოლოს, აუცილებელი იყო. ქრისტესაგან შენდობილი მხევალი გულმხურვალედ ილოცებდა თავისი საყვარელი ლაშარელას ცოდვების მიტევებისათვის და საკუთარი ბრალისა და ცოდვებისაგან განწმენდილი, თავის მხრივ, თავსმდებად დაუდგებოდა ქმარსა და მიჯნურს ქრისტეს წინაშე.

ლილეს ამქვეყნიური ყველა ოცნება თითქმის ასრულებულად ეჩვენებოდა: მისი ძე საქართველოს მეფე გახდებოდა, და სულ ათიოდე წლის შემდეგ, ბაგრატიონთა ლომებს ხმალზე გაფრენილი კვიცი გვერდით ამოუდგებოდა, მისი მიჯნური მეფე ძალასა და უფლებას შეიმატებდა და თავისა და სამეფო მტრებს შემუსრავდა. ერთიღა რჩებოდა დასანანებელი _ ისე მიდიოდა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, რომ ლაშას ტრფობით ბოლომდე ვერ გამძღარიყო.

მაგრამ განა ეს დანაკლისი იმდენი სიკეთის პირისპირ სასწორზე დასადები იყო, რასაც ღვთისნიერი მამა ჰპირდებოდა ქრისტეს წინაშე თავმდებობით?! რწმენითა და შთაგონებით ქრისტეს მხევლად და სძლად გამზადებული ლილე გასათხოვარი ქალივით თითებზე ითვლიდა დღეებს. დათქმული ვადა რომ მიიწურა, სასახლისკენ მიმავალი გზისკენ ცქერა გაახშირა და ერთთავად ან ბანზე იდგა, ან ჯვარცმის წინაშე დამხობილი ლოცულობდა.

მსგეფსზე, სწორედ მეშვიდე დღეს, როცა განკურნებული უფლისწული უკვე ფეხზე დადგა, ლილემ სასახლის ბანიდან ასეთი სურათი დაინახა:

უფლისწულის მორჩენით გამხიარულებული და დაარხეინებული, ცხენზე ამხედრებული მეფე ამალითა და ქორ-მეძებრებით სანადიროდ მიბრძანდებოდა.

სასახლიდან ცოტა მოშორებით ჯვარაპყრობილი შაოსანი მოხუცი მოდიოდა მეფის პირისპირ.

მოხუცს უამრავი ხალხი მოსდევდა, კურთხევას სთხოვდნენ და კალთაზე სამთხვევად ეტანებოდნენ.

მეფემ წამით მიხედა მიხრწნილ მოხუცს, რომელიც მარჯვნივ და მარცხნივ კურთხევას არიგებდა, ვიღაცას რაღაც ჰკითხა, პასუხი მიიღო და, ალბათ, ბერის პირისპირ შეხვედრა რომ თავიდან აეცილებინა, ლურჯას გვერდზე მოსწია და სხვა მიმართულებით გაუხვია.

მოხუცმა ზურგშექცეულ მეფისკენ მიმართა მზერა. ჯვარამართული, ეტყობოდა, რაღაცას დაექადა და ხალხით გარშემორტყმულმა კვლავ სასახლისკენ განაგრძო გზა.

სასახლეს რომ მიუახლოვდა, ხალხს ჯვარი გარდასახა და დაითხოვა.

ხალხი ნელ-ნელა შემოეფანტა, მოხუცი მარტო წამოვიდა სასახლისკენ. რაც უფრო უახლოვდებოდა შაოსანი ბერი, მით უფრო უმატებდა ლილეს გულის ძგერა და მღელვარება.

_ ღმერთო, როგორ ჰგავდა იგი იმღამინდელ ჩვენებას! არა, კი არ ჰგავდა, ის იყო! ნამდვილად ის იყო! _ და ლილე პალატაში მიიქცა, უბიდან გამზადებული ბარათი ამოიღო, დაკეცა და ფოთლისოდენად რომ აქცია, ყელზე დედისეული ყელსაბამი მოიხსნა, მედალიონი გახსნა და ბარათი შიგ მოათავსა. სასწრაფოდ უფლისწული მოძებნა, ის ყელსაბამი ყელზე ჩამოჰკიდა, ხელში აიტაცა, კოცნა, კოცნა და კოცნა. მერე უცებვე ბავშვი ძირს დაუშვა, ცრემლიანი სახე მოარიდა და სანამ უფლისწული გონს მოვიდოდა, პატარა ფუთას ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.

ჯვარამართული მოდიოდა მარტომყოფი საბა.

ალაყაფის კარს იქით გაეგება ლილე და მოხუცს ფეხქვეშ ჩაუვარდა, მოეხვია და ხამლი დაულტო ცრემლითა და ამბორით.

_ ვინა ხარ შენა, ასულო, და რას ითხოვ ჩემისაგან გლახაკისა?

_ მე ვარ ცოდვილი, თანამეცხედრე მეფისა, არასჯულიერ...

_ შვილო, ფრიად არიან ცოდვანი შენნი...

_ მილხინე, მამაო, ცოდვათაგან ჩემთა და მფარველ მექმენ უფლისა ღმრთისა წინაშე. რამეთუ უსჯულოებათა ჩემთათვის მსაჯნეს მე და სალბუნ ეყოს ძესა ჩემსა და მეფესა უბრალოსა. ნუ გარემიიქცევ პირსა ჩემგან...

_ ნუ გეშინია, შვილო! მოგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი! შეუდექ გზასა ჩემსა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შეგინდვნეს...

_ წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისა იზრუნე... _ საბა გაოცდა, იგი დიდი ბრძოლისა და ქადაგებისთვის იყო შემზადებული სულიერად. ციხე რომ უბრძოლველად აიღო, თავისი ღონისა და აღჭურვილობის უცდელობა დაენანა და ცოტა შეწუხდა კიდეც. ღვთისნიერი მოხუცი მალე დამშვიდდა: ასე იოლად მიზნის მიღწევაში ნეტარმა საბამ განგების ხელი დაინახა, მუხლზე დაიჩოქა, ღმერთს მადლი შესწირა.

მერე ლილეს ჯვარი გარდასახა, ფეხზე წამოაყენა და ჰრქვა:

_ შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებაი სულისა შენისა, რამეთუ სანატრელისა დედისა ირინეს წინაშე წაგიყვანებ შენ: წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა.

ზურგზე ფუთამოკიდებული ლილე თავდახრილი გაუდგა გზას, უკან მისი სულიერი მეგზური, ძნელი საქმის ღვთისბედნიერად დაგვირგვინებით გახარებული მარტომყოფი მიჰყვებოდა.

* * *

ლილეს გაქრობას დღისით იმდენად არავინ შეუწუხებია, მაგრამ, რომ დაღამდა და შუაღამეც გადავიდა, სასახლეში შეშფოთდნენ.

უფლისწულს გაეღვიძა და დედა მოინდომა. დედა არსად იყო და ატირებული ბავშვი ვეღარაფრით დააწყნარეს.

ძიძამ მემკვიდრის ყელზე დედის ყელსაბამი შენიშნა, ადრეც მოსწონდა ლილეს მაღალ ყელზე ლამაზად მბრწყინავი ყელსაბამი. ხელი შეახო, დააკვირდა. მერე მედალიონი გახსნა, შიგ დაკეცილი ბარათი რომ ნახა, შეეშინდა, ეგარსლანი მოძებნა და მიურბენინა.

ბაკურციხელმა წერილი გაშალა და წაიკითხა:

„ეს წიგნი მზისა ჩასულისა _ აღმოსავლეთით ახლად ამოსრულსა მზესა; აოხრებულისა და გამხმარისა ვენახისა _ ახალშენსა სამოთხისაებრ წალკოტსა; დასაწყლებულისა და დაბეჩავებულისა _ ყოვლისა ქვეყნისა მორჭმულსა ხელმწიფესა წინაშე დამიწერია ესეთი წიგნი, ესეთსა ყოფასა შინა მყოფსა, რომელ ტანი სულისაგან აბეზარ მიქნია და სულისა ცხოვრების გზასა შედგომილვარ საუკუნოსა...

უწყი, მეფევ, რამეთუ ღმერთმა ლოცვითა ჩემითა ყრმასა ჩემსა ულხინა და აცხოვნა, ხოლო მე აღთქმა დავდე, რათა შევუდგე გზასა უფლისასა. აჰა, მოიწია ჟამი იგი და მომიწოდა ქრისტემ მსახურად და მხევლად თვისად... უმჯობეს არს მეფობისათვის შენისა და ძისათვის ჩვენისა მემკვიდრისა, რათა არა ვეგო პალატებსა მეფეთა...

დაღათუ მთავარნი და ვაზირნი ჰგონებენ უგვარობასა ჩემსა, საცნაურ იყოს მათთვისაცა, რომელ მე ვარ ძე მარტოი ერისთავთ-ერისთავისა დავითისა, საჩჩოით მთასა გახიზნული და ზრდილი ერთგულთა მისთა ყმათაგან, შემდგომად სრულიად წარწყმედისა მეფეთაგან მის გვარისა დიდისა და ამაღლებულისა. არა-რაი სიკეთე მომიპოვებია პალატთა შინა, დიდებულთა თანაყოფითა, თვინიერ სიყვარულისა შენისა და ძისა ჩვენისა დავითისა. ვსცოდე მე ფრიად, უმეტეს დედაკაცთა ყოველთა გაწირვითა ქმრისა ჩემისა გვირგვინისასა, მოვაყივნე თავი ჩემი და სული ჩემი წავწყმიდე.

აწ მომხედა ღმერთმან მაღალმან წყალობისა თვალითა შენდობად ცოდვათა და ბრალთა ჩემთა, რამეთუ ისმინა ლოცვა ჩემი და აღადგინა ძე ჩემი უფლისწული და მე ვმსახურებდე ქრისტესა და თავმდებგექმნე ქრისტეს მიმართ, მეფევ, რათა მან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს და აცხოვნოს ძე შენი და მისცეს პყრობად ტახტი სამეფო შვილთა მისთა უკუნითი უკუნისამდე.

აწცა ამას გაფიცებ ჩემსა სიყვარულსა და თვით დამბადებელსა ცისა და ქვეყნისა გაფიცებ, არა ეგო ქორწინებად სჯულიერსა ცოლსა თანა და არა შესძინო მემკვიდრე სხვაი სამეფოსა თვინიერ ძისა შენისა დავითისა. უკუნისამდე იმედიანი ვარ და არც გარდავიწყვეტ იმედსა შენგან, რომელ სულნი დამრჩომიან, ვიდრე სრულად არ დამელივნენ.

ამასცა გაფიცებ, რომელ არღარა ეძიებდე გზასა ჩემსა და სამყოფელსა, ნუ ოდეს მოელი ჩემგან შეყრასა, ნურცა რას ამისითა ფიქრითა იჭირვი“...

ეგარსლანმა ბარათი ჩაიკითხა და უბეში შეინახა.

მეხუთე დღეს დაბრუნდა ნადირობიდან მეფე.

სასახლეში შესვლისთანავე მსახურთა უჩვეულო სიჩუმე და განკრძალულება არ ეჭაშნიკა.

მაშინვე ის იფიქრა, უფლისწულს სნეულება ხომ არ შეუბრუნდაო. მემკვიდრე მოაყვანინა. ატირებული ბავშვი დედას თხოულობდა.

ლაშამ ლილე მოიკითხა.

ციხისჯვარელმა და ეგარსლანმა უამბეს: თქვენ რომ სანადიროდ წასვლა ინებეთ, იმ დღეს გაჰქრა და აღარ გამოჩენილაო.

მეფეს დაცეცხლა. პირველად ის გაიფიქრა, ვაითუ, ლუხუმმა გაიტაცაო.

ეგარსლანმა გამოუთქმელი ეჭვი უმალვე გაუფანტა.

_ იმ დღესვე ყოველივე ამბავი ვიძიე და სარწმუნოდ შევიტყვე _ საბა მარტომყოფს გაჰყოლია დედოფალი. ეს წერილი ვიპოვეთ და, ალბათ, აქ ყოველივე საცნაურ იქნება, _ უთხრა ეგარსლანმა, უბიდან დაკეცილი ბარათი ამოიღო და მეფეს გადასცა.

მეფემ ბარათი გახსნა და ლილეს ნაწერს თვალი სწრაფად გააყოლა.

წერილი სულმოუთქმელად ჩაიკითხა, ხელები უღონოდ მუხლებზე ჩამოვარდა და გამოშტერებული თვალებით რომელიღაც წერტილს უაზროდ მიაჩერდა.

ეგარსლანი დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

_ დედოფლის სამყოფელი ვიკვლიე, მეფევ, ყოველივე გავიგე...

_ სადა არს? _ გამოცოცხლდა უცებ გამოფხიზლებული ლაშა.

_ ყოვლადწმიდის დედათა მონასტერსა შინა არს, არაგვის ხეობასა.

_ ცხენები, ჩქარა ცხენები! _ შესძახა მეფემ და ფეხზე წამოიჭრა.

* * *

მარტომყოფი წინასწარ იყო მოლაპარაკებული ყოვლადწმიდის დედათა მონასტრის წინამძღვართან, სიწმიდითა და მოღვაწეობით განთქმულ ირინესთან.

საღამო ხანს მიაღწიეს საბამ და ლილემ მონასტერს. ირინე ჭიშკართან გამოეგება მოძღვარს.

_ იღვაწე ცოდვილი ესე ჯერისაებრ, რაჟამს ძიება ჰყოს მეფემან, _ უთხრა საბამ და ლილე წინამძღვარს ჩააბარა.

_ ქრისტემან კეთილად იზრუნოს მხევლისა თავისისათვის, რომელიცა ჰპოვა შენს მიერ, ღირსო მამაო, _ მიუგო ირინემ და მოძღვარი შინ შეიწვია.

იმ ღამეს საბა მონასტერში დარჩა, ირინესთან დიდხანს ისაუბრა და წინამძღვარი იმ ბრძოლაში სიმტკიცისათვის გაამხნევა, რომელიც მას უნდა გადაეხადა ამქვეყნიური მეფის წინააღმდეგ ორთა ქვეყნის მეუფის ჩაგონებითა და სახელით.

ირინე მკაცრად შეხვდა ლილეს. მუშტრის თვალით აათვალიერა და გაუჩხრიკა სახისა და ტანის ყოველი ნაკვთი, მოეწონა, მაგრამ თავს არ გაუტყდა და გუნებაში ის გაიფიქრა, არანაკლებ მშვენიერი ვიყავი მეც ამ ხუთიოდე წლის წინათო.

ღარიბი აზნაურის ქალი იყო ირინე.

ხელმოკლე მშობლებმა თავიანთი მეშვიდე ქალი შუამთის მონასტერში შეაყენეს.

მონასტერში დამშვენდა და დაქალდა ირინე. მისი იშვიათი სიტურფე მონასტრის დებსა და წმიდა დედებს შურით გულს უსიებდა, ბნელსა და ნესტიან საკანში ნახევრად მშიერი ჰყავდათ, მაგრამ ირინეს ჯანმრთელი და ლამაზი სხეული მაინც არ ითრგუნებოდა და „ეშმაკის მსგავსი მაცდუნებელი სილამაზე“ სულ უფრო სრულყოფისა და უნაკლოებისაკენ იხრებოდა. მონასტრის სანახავად და დასათვალიერებლად მოსული მზრუნველები და ეპისკოპოსები პირჯვრის წერით თვალს არიდებდნენ „სატანის მსგავსად მაცდუნებელ“ მონაზონს და ჩურჩულით არიგებდნენ ისედაც სასტიკ წინამძღვარს, თუ როგორ უნდა ემოქმედნა მონასტრის წესისა და სიწმიდის შეულახავად დაცვისათვის. ირინეს სილამაზის ხმა მონასტრის ბნელ კედლებს კარგა ხანია გაცდენოდა და წუწკი, დედათა მოყვარე ერისთავები და აზნაურები არც ისე იშვიათად მოდიოდნენ მონასტრის ბაღებში მოსეირნე მზეთუნახავის შორიდან მაინც დასანახავად. ჰერეთში ტახებზე სანადიროდ მიმავალმა მეფემ და ტრაპიზონის იმპერატორმა რომ გზად გამოიარეს, ლაშამ მაშინვე შეამჩნია მონაზონთა გუნდში მგალობელი ულამაზესი მხევალი. კახეთის ერისთავს მეფისათვის არც უკითხავს, ჩვეული გულმოდგინება გამოიჩინა და იმ დღესვე ირინე და მონასტრის დებში სილამაზით გამორჩეული მეორე მონაზონი თეკლე დაიკარგნენ.

სამ დღე-ღამეს ჰყავდათ მეფესა და იმპერატორს თავიანთ კარვებში „ქრისტეს სძლები“.

მეფის კარავში ლაშასთან მარტო დარჩენილი ირინე პირველ ღამეს ტიროდა, მეორე დღეს თავის ახალ, გაცილებით უფრო მიმზიდველ და ამაღლებულ მდგომარეობას შეეგუა და მესამე დღეს, ლაშას გასაოცარი სინატიფით მოხიბლული და მეფეზე გულწრფელად შეყვარებული, უკვე საქართველოს დედოფლობაზე ოცნებობდა, თავისი სწორუპოვარი სილამაზე და საქვეყნოდ ცნობილი მეფის გულის ამყოლობა ამის საფუძველს აძლევდა, მაგრამ მეფეებმა ჟინი დაიცხრეს, ლამაზი მონაზვნები მოყირჭდათ და „ქრისტეს „მხევლები“ უკანვე, მონასტერში გააბრუნეს.

უკან გასტუმრებისას მეფემ ძვირფასი საჩუქრით სცადა ირინეს გულის მოგება. უცებ სხვა ვერაფერი მოიგონა, ყელზე დავით აღმაშენებლისეული მთავარანგელოზის ოქროს ხატი მოიხსნა და ატირებულ მხევალს ჩამოჰკიდა. ეს ის ხატი იყო, რომელმაც დავითი იხსნა სიკვდილისაგან, როცა „ციხესა, რომელსამე ჰბრძოდეს ქართლს. და მეფე კარავსა თვისსა დგა პერანგითა ოდენ მოსილი შუადღე, და ციხით ვინმე შემოსტყორცა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით“. ამ სასწაულთმოქმედების შემდეგ, მთავარანგელოზის ხატი საქართველოს მეფიდან მეფეზე მემკვიდრეობით გადადიოდა. ბაგრატიონთა რამდენიმე თაობის მფარველი ხატი დაუფიქრებლად გააჩუქა ლაშამ. ირინეს იმ მძიმე წუთებში დამცირებადაც ეჩვენა მეფის საჩუქარი, მაგრამ შემდეგ, როცა დრო გავიდა და მწვავე ნატკენი მიუყუჩდა, როცა მეფესთან გატარებული ღამეები უტკბეს მოგონებად ექცნენ, იმ ხანმოკლე ბედნიერების ერთადერთი მოწამე _ მთავარანგელოზის ხატი უზომოდ შეიყვარა სამუდამოდ გაუბედურებულმა მონაზონმა.

თეკლემ იმპერატორისაგან დამდაბლება, საქვეყნოდ თავის მოჭრა და მონასტრის დათაგან ათვალწუნება ვერ აიტანა და თავი ჩამოიხრჩო.

ირინემ უზომო წყენასა და გამწარებას, შეურაცხყოფასა და საქვეყნოდ გამოჭენებას გაუძლო, დარდი გულში ჩაიკლა და ყოველივე მტკიცედ გადაიტანა.

უბედურებისაგან გაკერპებული თავის მდგომარეობას შეეჩვია და ამქვეყნიური მეფის მიმართ შურის საძიებლად უზენაესი მეუფის წინაშე სიწმიდითა და მოღვაწეობით ამაღლებისათვის ზრუნვას შეუდგა.

მალე ირინე სამაგალითო გახდა თავისი ასკეტური ცხოვრებით, ლოცვითა და მარხულობით, სამონასტრო წესების დაცვისათვის თავისგამოდებითა და სიწმიდით.

სულის ცხონებისა და ხორცის დათრგუნვისათვის გამუდმებულმა ზრუნვამ ახალგაზრდა მონაზვნის გარეგნობას კვალი მალე დააჩნია: ოცდაათი წლის ქალი წელში მოიხარა და სიტურფით განთქმული სახე ნაოჭებით ადრე დაეღარა.

დედა ირინეს წმიდა მოღვაწეობამ მალე მიიქცია სამონასტრო საქმის მესვეურთა ყურადღება, იგი შუამთის მონასტერშივე გამოარჩიეს და სხვა დათაგან მეტად აღამაღლეს, ხოლო შემდეგ არაგვის ხეობაში გადაიყვანეს და ყოვლადწმიდის დედათა მონასტრის წინამძღვრობა ჩააბარეს.

სულის სიწმიდისათვის საკუთარ გულთან და სხეულთან ძნელი და გაუთავებელი ბრძოლა ირინემ იმის იმედით გამხნევებულმა გადაიტანა, რომ ოდესმე ღვთის ძალით ამაღლებული და ძალმოცემული შეხვდებოდა მის უარისმყოფელ საქართველოს მეფეს.

ამ დღისათვის ემზადებოდა ამდენ ხანს ირინე, ამ დღეზე ოცნებით აიღო მან ხელი სააქაო ცხოვრების ნეტარებაზე, თორემ მეფის კარვიდან მონასტერში დაბრუნებულს კიდევ ბევრი მაცდუნებელი წერილი მოსდიოდა კახელი ჭაბუკებისაგან, კიდევ ბევრი იყო მზად, ირინეს თანხმობისთანავე, მონასტრიდან მის გასატაცებლად და მასთან ამქვეყნიური ბედნიერებით დასატკბობად.

როცა საბა მარტომყოფმა თავისი განზრახვა გაანდო ირინეს, ყოვლადწმიდის დედათა მონასტრის წინამძღვარმა ფრიად გაიხარა. ირინემ ღვთის მიერ ჩაგონებით ახსნა საბა მარტომყოფისაგან ამ ღვაწლისათვის მისი ამორჩევა.

იგი ლოცვად დადგა, ღმერთს მეფესთან ბრძოლისათვის სიმტკიცესა და მხნეობის მინიჭებას, მასზე ძლევის მიცემას ევედრებოდა.

ლოცვით, ღამის თევითა და მარხულობით გულგამაგრებული და ნებისყოფაგანმტკიცებული ირინე მეფესთან შეხვედრის სამზადისს შეუდგა.

ლილეს მშვენიერება რომ იხილა, თავისი დათრგუნვილი ახალგაზრდობა და ცოცხლად დამარხული სიტურფე შეენანა, ბნელში უსიამოდ გაფრენილ საუკეთესო წლებზე გული დაწყდა და შეკავებული ოხვრა აღმოხდა.

მეფე, ალბათ, მალე ამოაკითხავდა და ირინეს არ უნდოდა, ლილეს სიყვარულით გაგიჟებულ ლაშას უსახურად და ართვალად ჩვენებოდა. ძნელი და შეუძლებელი იყო იმ სილამაზის დაბრუნება, რომელმაც ას მონაზონში შეამჩნევინა მეფეს მისი თავი, მაგრამ ირინეს თვალებში ჯერ კიდევ კიაფობდა წინანდელი ცეცხლის ნაპერწკლები, მის წვრილ წარბებქვეშ კიდევ ცოცხლად გამოიყურებოდნენ შავი თვალები, ხოლო პატარა, გაბუსხულ ტუჩებს კიდევ შერჩენოდა ძველებური ეშხი და მიმზიდველობა.

მონასტერში მისვლის დღიდან მის სახეს ფერუმარილი არ მიჰკარებია და მის თვალს სარკეში საკუთარი ორეული არ დაუნახავს. იმის გაკეთება, რაც ახალგაზრდასა და ცთუნებით სავსეს ვერ გაებედნა, ახლა უკვე თითქმის წმინდანად აღიარებულ მოღვაწეს მოუნდა: მონასტრის დედათაგან ფარულად სარკის წინაშე მოირთო და მოიკაზმა.

საკუთარ მოკაზმვას რომ მორჩა, ლილე გაიხსენა. რა უნდა ყოფილიყო წლობით ნატანჯი ირინეს გარეგნობა ლილეს აყვავებული მშვენების წინაშე! როგორ მოიხედავდა უკვე ხანგადასული წინამძღვრისაკენ მზეთუნახავი სატრფოს სიყვარულით გაგიჟებული მეფე.

ირინეს წყურვილის მოკვლასავით მოუნდა ლილეს სილამაზისათვის ჩრდილის მიყენება, იმის დაჩქარება, რაც წლებსა და ხორცის გამუდმებულ ტანჯვას უნდა გაეკეთებინა.

მეფისათვის ლილე უთუოდ აღკვეცილი უნდა დაეხვედრებინა. აზიარა, ხელში დიდი სანთელი მისცა და მონაზონთა გუნდის გალობასა და ლოცვაში მეფის სატრფოს ულამაზეს თავზე მაკრატელი დაადებინა.

ლილეს თავზე ჯვრისებურად გაიარა მაკრატელმა და ძაძით შემოსილი დედოფლის მხრებს მოჭრილი შავი კულულები ბურბუშელებად დაეფინა.

ლილეს თვალთაგან დიდხანს შემაგრებული ცრემლი მოსწყდა და ღონეწართმეული მხევალი მუხლზე ჩაიკეცა.

* * *

ნაშუაღამევს გააღვიძეს ძილფხიზლად მწოლარე წინამძღვარი.

მონასტრის გალავანს ჟინჟღილებანთებული ცხენოსნები შემორტყმოდნენ და კარს გასატეხად აწვებოდნენ.

ირინემ პირჯვარი გადაიწერა, ღმერთს ერთხელ კიდევ სიმტკიცე და მხნეობა შესთხოვა და წარბშეკრული გამოვიდა.

_ ვინ არღვევს მყუდროებასა ტაძრისა ღვთისასა? _ იკითხა სარკმელთან მომდგარმა წინამძღვარმა.

_ კარი გააღეთ, ხელმწიფე მობრძანდა.

_ რისთვის დამაშვრალა მეფე სამეფოსა წარმავლისა წინაშე საუკუნოსა მეუფებისა?

_ ხელმწიფის სახელით, გიბრძანებთ, კარი გააღეთ! _ შემოსძახა ეგარსლანმა და რკინის კარს შუბი მიურახუნა.

_ არა უწყია მეფემ, რომელ ხელარეწიფების ტაძარსა ღვთისასა?

_ კარი გააღე, ვიდრე შევლეწავ! _ შესძახა მოთმინებადაკარგულმა მეფემ და მცველებს კარის შეტეხვა ანიშნა.

მეფის სპა რკინის კარს მიაწყდა. საიდანღაც დიდი მორი მოიტანეს და ზედიზედ სცეს ურდულით დახშულ კარს.

კარი შეზანზარდა და შეირყა.

წინამძღვარი ვიწრო სარკმელში გაქრა და აღარ გამოჩენილა.

მეფის მცველები გამეტებით სცემდნენ ვეება ძელს უკვე მორყეულ კარს.

ძელის ცემასა და სპის ყვირილში უცებ გაისმა გალობა და მეფის კაცები წამით შედგნენ.

ეგარსლანმა ჯარისკაცებს შეუძახა. ერთხელ კიდევ გამეტებით აძგერეს ძელი და რკინის კარმა პირი დააღო.

მონასტრის ეზოში შევარდნილ მეფესა და მის სპას მონაზონთა გუნდი დახვდა კართან.

თეთრად შემოსილი მონაზვნები საამოდ გალობდნენ და მეფე შედგა. სიმღერა ნაცნობად მოეჩვენა, თითქო უკვე ერთხელ სადღაც გაეგონა და ეს მონაზვნებიც სადღაც ენახა.

_ რაი არს სურვილი შენი უკეთური?! _ გადაუდგა წინ ჯვარშემართული ირინე.

მეფემ ცხენს აღვირი მოსწია.

_ უკუ დექ გზისგან, დედაბერო! _ ზედაც არ შეხედა, ისე შეუძახა მეფემ და ცხენს ქუსლი ჰკრა.

„დედაბეროს“ გაგონებამ ირინეს წონასწორობა დააკარგვინა. ბრაზისაგან ანთებული, მეფის ცხენს ავჟანდში სწვდა და ლურჯა ადგილზე გააქვავა.

მაშ, ამაო ყოფილა ირინეს გულმოდგინება _ ფერუმარილსა და სარკეს წლობით მარხულობისა და ლოცვით ღამეების თევის კვალის წაშლა არ შეძლებია! იგი უშნო დედაბრად ეჩვენა მეფეს, ზედაც არ შეხედა სატრფოსკენ მოსწრაფე მიჯნურმა და ამან კიდევ უფრო მოუკიდა ცეცხლი წინამძღვარს.

_ გარე მიიქეც, უკეთურო, სახლისაგან ღმრთისა. არა იძიო რისხვა მეუფისა ცათა და ქვეყანათა!

_ გზა-მეთქი! _ უდიერად მიუგო ლაშამ წინგადაღობებულ ირინეს და ცხენის დაძვრა სცადა.

ამასობაში ეგარსლანს მონასტრის დავლა მოესწრო, სენაკები დაერბინა და ლილეს თავს წადგომოდა.

პირველად ვერ ეცნო ფლასით შემოსილი, თავგადაპარსული „დედოფალი“ ეგარსლანს.

მეფის მოსვლის მიზეზი რომ გაეგო, გულგადატრიალებულ ლილეს სენაკის კარი ურდულით დაეკეტა. თავგადახოტრილ, დაუშნოებულ მხევალს არ უნდოდა ლაშას ჩვენებოდა, თუმცა მეფის ერთი შეხედვისათვის სიცოცხლეს სიამოვნებით დათმობდა. ეგარსლანის წინაშე ხატზე დაეფიცნა, თუ მეფე ძალით წამიყვანს და კარის შემტვრევას მომინდომებს, აქვე თავს ჩამოვიხრჩობო.

ეგარსლანს მაინც მეფის წადილის ასრულების იმედი არ დაეკარგა, ლაშასთან მიირბინა და ახარა:

_ აქ არის დედოფალი, მეფევ, სენაკსა შინა, თავის წინა.

მეფემ, ცხენი რომ ვეღარ გამოგლიჯა წინამძღვარს ხელიდან, უცებ უზანგებიდან ფეხები გამოიღო, უნაგირზე შედგა და გრძელი ნახტომით ისკუპა. გადამხტარი, გაქცეული მეფის დანახვაზე მონაზვნები შეჩოჩქოლდნენ. წინამძღვარი არ დაიბნა, მოკლე გზით თავს დაუარა და მეფეს ლილეს სენაკის კართან დაუხვდა.

_ მოსულხარ წარტყვევნად მხევალთა წმიდათა, რამეთუ დაიცხრო გულისთქმა კარავთა შინა! _ ანჩხლად შესძახა მიახლოებულ მეფეს და ისევ გაისმა მონაზონთა გალობა.

_ არა წინააღუდგე ხატსა ამასა სასწაულთმოქმედსა, _ თვალთაგან ცეცხლის ფრქვევით განაგრძო ირინემ და ყელზე გრძელი ძეწკვით დაკიდებული მთავარანგელოზის ხატი მაღლა აღმართა. _ არა განსცადო უფალი შენი! არა იძიო რისხვა ღმრთისა, ძალდიდებულისა.

აღმაშენებლისეული ხატის დანახვამ ლაშა ადგილზე გააქვავა. ფერფური წაუვიდა და კინაღამ იქვე ჩაიკეცა.

ჟინჟღილების შუქით განათებულ წინამძღვრის სახეს დააცქერდა მეფე.

დააცქერდა და ეცნაურა.

წამით გაჩუმებულმა მონაზვნების გუნდმა ისევ გალობა იწყო და მეფე ნელ-ნელა გამოერკვა: მას უცებ გაახსენდა გომბორის მთაზე მგალობელი გუნდი, წინამძღვრის სახეს თითქო ნელ-ნელა ნაოჭები მოცილდა და მის წინ ისევ მშვენიერი ირინე გაცოცხლდა _ ჯერ მონაზონთა გუნდში მომღერალი, მერე მის მკლავზე მწოლარე და ბოლოს კარვიდან ტირილით გასტუმრებული, მთავარანგელოზის ხატით დასაჩუქრებული.

ლაშამ ნელ-ნელა უკან დაიწია.

_ ვითარ მოხველ წარტაცებად მხევალთა ქრისტესათა, დაცხრომისათვის გულისთქმისა შენისა? _ დაჰკიოდა თავდახრილ მეფეს წინამძღვარი და ნაბიჯ-ნაბიჯ უკან ახევინებდა.

_ არა მხევალთა წარტაცებად მოსულვარ, დედოფალი ლილე წარუტყვენიათ მონასტერსა ამას და მოველ წაყვანებად მისა, _ ლუღლუღით მიუგო გამტყდარმა, მაღლა აღმართული ხატისა და საკუთარი სინდისის წინაშე ქედდადრეკილმა მეფემ.

_ ნებითა თვისითა და ჩაგონებითა ღმრთისათა მოსულ არს ხარჭა მეფისა ლილედ წოდებული, აწ აღკვეცილი მხევალი ღვთისა. განვედ სახლისაგან უფლისა, ეშმაკისაგან აღძრულო ბიწიერებავ; განვედ, სატანავ, ძალითა ღმრთისათა!.. განვედ!.. _ მისძახოდა და მისდევდა გაკაპასებული, ძალმოცემული წინამძღვარი საცოდავად მობუზულ, მუშტისოდენად ქცეულ ლაშას, რომელიც ლასლასითა და ფეხისთრევით, მაგრამ მაინც უკანმოუხედავად მიდიოდა გასასვლელისაკენ.

ჭიშკრამდე ბარბაცით მისული მეფე ცხენზე ძლივს შეჯდა. თავჩაქინდრულმა ლურჯას სადავე ნებაზე მიუგდო და მონასტერს გაშორდა.

გზისკენ კუშტად მაცქერალმა ირინემ მძიმედ ამოიოხრა, უკან რომ მოიხედა, წეღანდელ წინამძღვარს აღარ ჰგავდა, ანჩხლსა და მრისხანეს. სახის ნაკვთები მოშვებოდა და თვალთაგან ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდა. თავი ვეღარ შეიმაგრა, ყრუ ქვითინი წასკდა და მუხლებზე დაეცა. იქ მყოფთაგან არავინ იცოდა, რას დასტიროდა წინამძღვარი _ ლაშას სამუდამოდ წასვლას თუ ცოცხლად დამარხულ საკუთარ ახალგაზრდობას.

* * *

კარზე აკრული ლილე სულგანაბული უსმენდა მეფისა და წინამძღვრის წეღანდელ საუბარს. გული ბაგაბუგით უცემდა, ყურები უბჟუოდა და ნახევარი არ ესმოდა, მაგრამ გაგონილიც ეყო უბედურ ქალს.

როგორი საცოდავი იყო ლაშა, მისი საყვარელი ლაშარელა, როგორ უმწეოდ ელაპარაკებოდა მკაცრ წინამძღვარს! შეებრალა, უზომოდ შეეცოდა მისგან ასე უმიზეზოდ გაუბედურებული, გატეხილი და დაბეჩავებული მეფე. ნებისყოფა სტოვებდა ლილეს და ცოტა კიდევ რომ გაგრძელებულიყო მეფისა და წინამძღვრის ლაპარაკი, ცოტა კიდევ რომ გაეგონა ლაშას საბრალობელი ნაუბარი, ლილეს ნამდვილად ღონე აღარ ეყოფოდა კარს უკან დგომისათვის, აკანკალებული ხელით ურდულს გასწევდა და ფეხქვეშ ჩაუვარდებოდა მისთვის ესოდენ თავგადადებულ მიჯნურს.

მაგრამ ლაშას ხმა ჩაუწყდა, ხოლო წინამძღვრის ხმას ზარი მოემატა. ლაშა მონასტრიდან წავიდა და ლილე ისევ მარტო დარჩა, ამიერიდან უკვე ადრინდელზე უბედური, რადგან ლაშას

მოსვლამ რწმენის სიმტკიცე შეურყია და ისევ ცხოვრების სიამისათვის აღუძრა მიძინებული, ფერფლწაყრილი სურვილი. ის ღამე ტირილში გათენდა და მეორე დღეც ტირილში მიიწურა.

საღამო ხანს მეფის ლურჯას ჭიხვინი მოესმა ლილეს და გული ჩიტივით აუფართქალდა.

ცოტა ხნის შემდეგ ლაშას ესოდენ ნაცნობმა და საყვარელმა ხმამ მოაღწია ახლადშემონაზვნებულის ყურამდე.

ქარაფზე დაშენებული მონასტრის ძირში, მდინარის პირას, დაბლა, ძლიერ დაბლა, ვაჟკაცი ტიროდა დაგუდული ხმით. ეს ხმა გულის შემძვრელი იყო, როგორც საერთოდ არის ხოლმე ვაჟკაცის ტირილი, წრფელი და გულის სიღრმიდან მომდინარი.

_ ლილე! ვაი, ლილე!.. _ ყრუდ მოესმა შორეული გოდება თავადაც გულამომჯდარ ლილეს. ქვის იატაკზე დამხობილი მეფის სატრფო მხურვალე კოცნით ათბობდა მდინარის პირისკენ მიქცეულ მონასტრის ნესტიან კედელს.

* * *

ლილეს მტკიცე გადაწყვეტილებისა და მონასტრის შეუვალობის წინაშე უღონოდქმნილ მეფეს სასოწარეკვეთა, მოქმედების მიზანი და ცხოვრების აზრი დაეკარგა. ყოველგვარ საქმესა და საზრუნავზე ხელი აიღო.

დანაღვლიანებული მეფე ღვინოში ახრჩობდა ჯავრს. ხედავდნენ ახლობლები მეფის უნუგეშობას და ებრალებოდათ უბედური. რაკი მისი შველა და დარდის შემსუბუქება არ შეეძლოთ, სმას არ უშლიდნენ და, პირიქით, ხელსაც უწყოდნენ სევდის უკუყრასა და თავდავიწყებაში.

მხოლოდ დაუცხრომელი და მუდმივმოქმედი ეგარსლანი ფიქრობდა მეფისათვის ყველაზე დიდი საზრუნავის შემოვლას, მისი განუკურნებელი სატკივარის შველასა და ამით ერთხელ კიდევ ლაშასადმი თავისი უსაზღვრო ერთგულების დამტკიცებას.

მეფესთან ერთად ხელცარიელი მობრუნების შემდეგ, ერთ საფიქრალსღა ფიქრობდა ეგარსლანი: მონასტრიდან როგორმე გამოეტყუებინა ლილე, მეფისათვის უკანვე მოეგვარა, ხელმწიფე გაეხარებინა და მისი ახალი წყალობა დაემსახურებინა.

იმდენი უტრიალა მონასტერს ეგარსლანმა, რომ მონაზონთაგან ერთი დედაბერი მოისყიდა და ლილეს შეუჩინა.

დედაბერმა ორჯერ გადასცა ლილეს ლაშას საიდუმლო წერილი.

გულმოკლული მიჯნური ცრემლით აბრალებდა თავს უმიზეზოდ გამწირველ სატრფოს, ერთად გატარებულ სიამეს ახსენებდა და უკანვე იხმობდა თავისკენ.

ლილე ცრემლებით ალბობდა მეფის ბარათებს, გულში იხუტებდა და კოცნიდა, მაგრამ სიმტკიცეს იჩენდა, პასუხს არ სცემდა ლაშას და მონასტრიდან დაბრუნებაზე ფიქრს ძალისძალით თავიდან იშორებდა.

არ ტყდებოდა, მაგრამ უჭირდა ლილეს საკუთარ გულისთქმის წინააღმდეგ ბრძოლა. ღამეებს ჩუმი ტირილით ათენებდა. როგორც კი თვალს წაატყუებდა, მაშინვე მეფე ან უფლისწული ესიზმრებოდა და მათთან ალერსის ნეტარებას ეძლეოდა. გამოღვიძებულს სიზმრის დასრულება ენანებოდა და ლოცვასა და ვედრებაზე გული აღარ ჰქონდა.

მონასტრის წინამძღვარს თვალში ჰყავდა ამოღებული ლილე. იმის მაგივრად, რომ მისთვის მონასტრის წესების სიმძიმე შეემსუბუქებინა, ირინე, პირიქით, რითაც კი შეეძლო, ტვირთს უმძიმებდა სუსტსა და უსასოო მხევალს და მისდამი განსაკუთრებულ მომთხოვნელობასა და სისასტიკეს იჩენდა.

დაუსრულებელი ლოცვისა და მარხულობისაგან, ჯავრისა და უძილობისაგან გახდა, გაიცრიცა და თავისსავე ლანდს დაემგვანა ლილე.

გრძნობდა, რომ ღონე ელეოდა და მარტო ღონე კი არა, სულიერი სიმტკიცეც ღალატობდა. იგი უკვე უძლური იყო უწყალოდ დაჭრილი მიჯნურის ხვეწნისა და მუდარის წინაშე და მცირე ბიძგიღა უნდოდა, რომ უკანვე, ამქვეყნიური ცხოვრების სიტკბოებისაკენ ებრუნებინა პირი.

თვეზე მეტი გასულიყო.

მეფეს ერთგული ყმის დაპირებისა აღარ სჯეროდა და ეგარსლანსაც ამაო ლოდინით გული გადალეოდა.

მეფის მსახურმა უკიდურესი ღონისძიება იხმარა და ძნელად გასაბედავი გაბედა: ლილეს მეფის ბარათების გზავნა შეუწყვიტა და როცა მიჯნურის წერილის დაგვიანების გამო ახლად შემონაზვნებულის ღელვა და შეშფოთება შეიტყო, მიჩენილ დედაბერს საიდუმლოდ ათქმევინა _ მეფე დასნეულებულა და ლოგინად ჩავარდნილაო.

ამ ამბავმა ერთიანად ააფორიაქა ლილე. თავის თავს დაუწყო გამტყუნება, რწმენის სიმტკიცე ვერ გამოვიჩინე, მეფისა და უფლისწულისათვის ლოცვა-ვედრებას დავაკელი და ყოველივე ჩემი ბრალიაო.

ისედაც გრძელ მარხვასა და ლოცვას უმატა და თვალთაგან დღის შუქი მოიკვეთა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ეგარსლანის მიერ შეჩენილმა მონაზონმა ჩუმად, ტირილით უთხრა: შემებრალე და ვერ გაგიმხილე, მეფე კი არ არის ავად, უფლისწულს შებრუნებია სნეულება და პირვანდელზე უფრო ცუდად ყოფილაო.

ამაზე ხომ სულ გადაირია ლილე. ის ღამე თეთრად გაათენა, ლოცვამ და ვედრებამ ვეღარ დაუმშვიდა შეშფოთებული სული. მეორე დღეს თავს იკავებდა, თორემ გაგიჟებას აღარაფერი უკლდა, დღისით რომ გაქცევა შეძლებოდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა, მონასტერს მიატოვებდა.

თვითონ მოძებნა ამბის მცნობელი მესაიდუმლე და თავათვე დაიწყო იმაზე ჩურჩული, თუ როგორ შეიძლებოდა სნეული უფლისწულის სანახავად ერთი ღამით მონასტრიდან გაპარვა.

დედაბერმა გაიხარა. იმ ღამესვე ფარულად ტანსაცმელი მიუტანა ლილეს და ეგარსლანის ფულებით მონასტრის დარაჯები მოისყიდა, რომ ღამით დაუბრკოლებლად გაეტარებინათ გადაცმული მხევალი.

* * *

ლილეს დარდით მეფეს ქალაქში გული აღარ უდგებოდა. ერთთავად არაგვის ხეობაში დაეხეტებოდა და გამვლელ-გამომვლელს ხევის მონასტრის ამბავს ეკითხებოდა.

მიმწუხრისას, მძიმე ფიქრს მიცემული, ცხენდაცხენ მარტოდმარტო მოჰყვებოდა არაგვის პირს ლაშა. მხლებლები წინ გაესტუმრებინა და მცხეთაში დაცდა ებრძანებინა,. მეფე მოქეიფეებს გადაეყარა. არაგვის პირას, ხის ქვეშ მწვანეზე გაშლილ სუფრას უსხდნენ ქალაქელი ნაძირალები.

კუნძამ შორიდანვე იცნო ლაშა, თავის თანამეინახეებს ანიშნა. მეფეს მიეგებნენ, მის ცხენს ფეხქვეშ ჩაუვარდნენ და ლაშას სუფრაზე წვევა სთხოვეს.

მეფეს თავის დღეში არ ენახა თბილისელი ნაძირალები. კარგად ჩაცმულ-დახურულები ჩვეულებრივ მგზავრებად ჩასთვალა.

ჯავრიანს ღვინო სწყუროდა და იმის გარკვევის თავი აღარ ჰქონდა, თუ ვისთან ჯდებოდა. მთხოვნელებს ბევრი აღარ ახვეწნინა და მათ სუფრასთან ჩამოხდა.

დიდ-დიდი სასმისები მიართვეს მეფეს.

ლაშა დახარბებული ცლიდა და მალე დათვრა.

ბოლოს, ღვინით რომ თავი მოსწყვიტეს, იქვე დაეცა და დაეძინა.

ის იყო, კუნძა მძინარე მეფის გაძარცვას უნდა შედგომოდა, რომ ცხენის ფეხის ხმა მოესმათ. ლაშას შეგვიანებით შეშფოთებული მეფის მხლებლები უკან მობრუნებულიყვნენ და ჭენებით უახლოვდებოდნენ. ნაძირალებს შეეშინდათ, მეფის მხლებლებმა არ გვიცნონო, მეფის გაძარცვას თავი ანებეს, არაგვს აჰყვნენ და ღამეში მიიმალნენ.

დიდი გზა ჰქონდათ გავლილი.

ცას მტრედისფერი ეპარებოდა, წინ მარტო მომავალი ქალი შემოხვდათ. თავპირახვეული ქალი მთვრალი კაცების დანახვაზე დაფრთხა. გზის აქცევა დააპირა, მაგრამ გადასახვევი არსად იყო. საცოდავად მოიბუზა და ბუჩქებს აეკრა იმ იმედით, ჯერ კიდევ სინათლე არ არი და იქნებ ვერ შემამჩნიონო.

კუნძამ შორითვე შენიშნა მარტო მომავალი ქალი. ბიჭებს ანიშნა, არ გაუშვათო და მთვრალი ნაძირალები ირგვლივ შემოერტყნენ შიშისაგან აცახცახებულ მგზავრს.

_ აბა, პირი გვიჩვენე, მზეთუნახავო! _ ღრეჭით უთხრა კუნძამ და ხელის ღონიერი გაკვრით ქალის სახეს საბურველი მოგლიჯა.

გასაოცრად ლამაზი ქალის დანახვაზე კუნძას ღვინისაგან არეული თვალები უცნაურად აუთამაშდა, პირზე ნერწყვი მოადგა და ხელგაშლილი მოსახვევად გაიწია.

ქალი მაგრად დაუხვდა. უძალიანდებოდა, ფრჩხილებით პოტნიდა და კბილებით კბენდა ჯირკივით ჩასხმულსა და თავბრტყელ კუნძას, მაგრამ ვნებისაგან გაგიჟებულსა და სიმთვრალით გადარეულ მხეცთან რას გააწყობდა.

ბოლოს, რომ აღარაფერი გაუვიდა, ქალმა უკანასკნელ ღონეს მიმართა:

_ რას სჩადი... დედოფალი ვარ! მეფის თანამეცხედრე... სიკვდილით დაგსჯით მეფე!

განწირულად შეჰყვირა, მაგრამ გამხეცებულ კუნძას მისი აღარაფერი ესმოდა.

_ უფრო კარგი! მეფესთან კარგად ვიქეიფეთ და ახლა დედოფალთან დროს გატარებაც არ გვაწყენს! _ ქირქილით თქვეს ნაძირალებმა და მეთაური წააქეზეს:

_ მიდი, კუნძაჯან, მიდი! დედოფალი ყოფილა და ჩვენც ერთხელ მეფეები ვიყოთ!

კუნძამ ბანჯგვლიანი ხელები მაგრად მოჰხვია და ის იყო, ქანცგაწყვეტილი ქალი უნდა წაექცია, რომ ლილე ხალათშემოხეულ მოძალადეს კბილებით ბეჭზე დააფრინდა. გამწარებული ქალის კბილებმა თითქმის ძვლამდე ჩაატანა. კუნძა ტკივილისაგან დაიგრიხა და წამით სალტედ შემოჭდობილი ხელი უშვა. ლილემ უკანასკნელად მოიკრიფა ძალღონე, მოძალადეს გაუსხლტა და მაღალის კლდიდან თვალმოუსწრებლად გადაეშვა მორევში.

ლაშასთვის მსახურებს კარავი იქვე დაედგათ და მეფურად მოესვენებინათ.

გათენებულზე მეფე ხალხის ყაყანმა გამოაღვიძა.

მეთევზეებს მტკვარში დამხრჩვალი ქალი ეპოვნათ, წყლის პირას ამოეყვანათ და თავს დახვეოდნენ.

ლაშა ნელ-ნელა მიუახლოვდა.

შორიდანვე რაღაც შიშმა შეიპყრო, უკან გაბრუნება უნდოდა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა, თუ რაღაც სხვა განცდა ან გრძნობა უკან მიტრიალების ნებას არ აძლევდა და წინ მიაჩქარებდა.

პირველ დანახვაზე ვერ იცნო მეფემ თავგადაპარსული, გამხდარი ქალი, მაგრამ ახლო რომ დააკვირდა, თვალთ დაუღამდა, „ლილეო“, _ ერთი დაკლულივით შეჰღრიალა და რეტდასხმული მკვდართან ჩაიკეცა.

@თავი ოცდამეორე. დამშრალი წყარო

...შენ მიწაში ხარ,
მე მიწაზე დავიარები...
ქალაქური ფოლკლორიდან

ქალაქის საგოდებელზე დამარხეს ლილე, მდაბიოთა და უბრალო მოქალაქეთა გვერდით.

გელათის სამეფო სამარხი არავის უხსენებია და თვითონ ლაშასაც ხმა არ ამოუღია ლილეს დასაფლავებაზე ბაგრატოვანი დედოფლების გვერდით. სიცოცხლეში არ აღირსეს მის ცოლს მეფური დიდება და ლაშასათვის ახლა სულ ერთი იყო, როგორ პატივსაც მიაგებდნენ გარდაცვლილს.

სასაფლაოდან გათავებული მობრუნდა ლაშა _ მხრებმოხრილი და მიწისფერი, სიცოცხლემოძულებული ბერიკაცივით მოდიოდა უკან და არკი იცოდა, რად ან რისთვის ბრუნდებოდა შინ.

თავისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიხარული აქ, ამ უბირ საგოდებელზე მიაბარა მიწას და ახლა უაზროდ, ფეხების თრევით მილასლასებდა სასახლისაკენ.

სულ რაღაც ერთი თვის წინ ხალხი მისი ბრწყინვალების საჭვრეტად ეფინებოდა ქუჩებსა და ბანებზე, ამაყი და ნებიერი მოათამაშებდა ხოლმე ამ გზებზე ოქროთი და პატიოსანი თვლებით დარახტულ ლურჯას და უდარდელი ღიმილით იხედებოდა წინ.

ნადირობიდან და ქეიფიდან შემოქცეული მხიარული მეფის ცქერას შეჩვეული თბილისელები თანაგრძნობით შეჰყურებდნენ უიღბლო სიყვარულისაგან დაჩაგრულსა და გაუბედურებულ ჭაბუკ მეფეს, რომელსაც სიჭაბუკისა აღარა ეტყობოდა რა და დარდისაგან მთლად დალეულიყო.

გარინდებული მეფე მთვრალივით მოდიოდა. ვერც თვალით ხედავდა რამეს, წინდაგდებული გზის გარდა და არც ყურთ ესმოდა რამე, გაურკვეველი შუილის მეტი.

როცა მის წინაშე გალავნის დიდი კარი გაიღო და თავდახრილმა გუშაგებმა მეფეს გზა მისცეს, ლაშამ სიმთვრალისაგან გამოფხიზლებულივით შეხედა იქაურობას და გაოცებით შეეკითხა თავის თავს, როგორ და რამ მოიყვანა აქამდის!

გულმოკლულმა მოიხედა უკან და ისევე აგორებულ მანქანასავით უგრძნობლად და უაზროდ გაჰყვა გზას უზარმაზარი ჯავრისაგან დაყრუებული და გონდაკარგული.

სასახლეში მოსული ჭირისპურს მიუჯდა და დამშეულივით ეცა საჭმელს.

სუფრიდან რომ წამოდგა, თვითონვე გაუკვირდა, როგორ შეძლო საჭმლისათვის პირის გახსნა და თავისი თავი თვითონვე შეეზარა, როცა გაიხსენა, როგორ ცხოველივით გლეჯდა მშრალად მოხარშულ ხორცსა და შოთ პურებს.

ლოგინზე გაუხდელად დაეგდო. რამდენიმე ღამის უძილობითა და დარდით ქანცგაწყვეტილს, მაშინვე მკვდარივით დაეძინა.

ნაშუაღამევს ხმა ჩაესმა მძინარს:

_ ლაშა.... ლაშარელა!..

ლილე ეძახდა.

შეშლილი წამოიჭრა ლოგინიდან, იქაურობა მოათვალიერა, მერე ლილეს ცარიელ ლოგინთან მივიდა, მუხლზე ნელა ჩაიჩოქა და საწოლს ზედ დაემხო.

ტიროდა.

ვიღაც სადღაც მღეროდა თუ ლაშას მკვდარი გული მღეროდა, თვითონაც ვერ გაეგო მტირალ მეფეს, ოღონდ საგალობელი კი ესმოდა და, თვითონაც ამ სიმღერის ხმათა საოცარი ფრთებით სადღაც მიფრინავდა მზიურისა და მიმზიდველისაკენ, დაუვიწყარისა და უკვდავისაკენ.

_ აჰა, კეთილხარ, მახლობელო ჩემო, _ მღეროდა სადღაც სხვა ვიღაც თუ ლაშას მოკლული გული. _ აჰა, კეთილხარ, თვალნი შენნი, ვითარცა ტბანი ესებონსა შინა, თმა შენი, ვითარცა არვე თხათა, ბაგენი შენნი, ვითარცა ნაქრცვენი ვარდისა, ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა, მუცელი შენი, ვითარცა ხვავი იფქლისა, გარემოცული შროშანთა შინა... აჰა, კეთილხარ, მახარობელო ჩემო, აჰა, კეთილხარ... რაბამ გაშვენდეს ძუძუნი შენნი უფროს ღვინისაგან და სულნელება სამოსელთა შენთა უფროს ყოველთა ნელსაცხებელთა. გოლი მოსწვეთს ბაგეთა შენთა, სძალო, თაფლი და სძე ქვეშე ენასა შენსა და კეთილსუნელება სამოსელთა შენთა, ვითარცა კეთილსუნელება ლიბანისა, მტილი დახშული და ჩემი სძალი, მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული...

_ ვაი! _ დაიგმინა ლაშამ, სადღაც შორს თუ მისსავე გულის სიღრმეში გალობა მისწყდა და კვლავ ლილეს ძახილი ჩაესმა მეფეს, ტკბილი და ალერსიანი:

_ ლაშა... ლაშარელა!..

მეფე ფეხზე წამოდგა, კარი გააღო და გარეთ გავიდა.

გარეთ ქარი იყო და სადღაც ზარები რეკდნენ, არა, ზარები კი არა, ლაშარის ხატის კურატების ეჟვნები და ხმელგორის ბერმუხაზე შებმული შიბები წკარუნობდნენ და რეკდნენ და ადიდებული არაგვი, თუ სამრად მიმავალი ლაშქარი გუგუნებდა:

ლაშარელაის ლურჯასა ფაფარი სხავის გიშრისა,
შაჯდება, გაემართება, კოტორ გაჰყვება ნისლისა
თავის ყმათ მიეშველება, ხან რომ არ იყვნეს მისვლისა...

მოლაშქრენი მღეროდნენ თუ ზარები რეკდნენ, კარგა ხანს ესმოდა ლაშას ყურში გუგუნი და ქარიშხლის შხუილი.

მკერდგაღეღილი და თმებაშლილი ლაშა საგოდებელთან გამოფხიზლდა. თვითონვე გაუკვირდა, როგორ გაჩნდა ნაშუაღამევს სასაფლაოზე.

ხის ქვეშ მესაფლავეები ისხდნენ, პურს ჭამდნენ და სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

_ ძალიან ქელეხი გადაიხადა მეფემ, ჩვენც კარგი სუფრა გაგვიშალა, ჩიტის რძე არ დაგვაკლო!

_ ქალაქში ჭირი გაჩნდაო, ამბობენ, და თუ მართალია, ეს ჩიტის რძე კარგა ხანს არ მოგვაკლდება.

_ ღმერთმა ჰქნას და მართალი იყოს! მაშინ ხომ ჩვენს ბედს მართლა ძაღლიც არ დაჰყეფს!

მეფეს შეაჟრჟოლა მესაფლავეების ნათქვამის გაგონებაზე. ეს საცოდავები ჭირისა და ჟამიანობის გავრცელებაზე ოცნებობდნენ, რომ ლუკმაპური ან „ჩიტის რძე“ არ დაჰკლებოდათ.

_ საწყალი მეფე! _ თქვა მესაფლავემ და ლაშა მაშინვე გამოერკვა ფიქრიდან. _ საწყალი მეფე! ძალიან კი ჰყვარებია ლილეი. როგორ დაჯავრიანდა, თითქო დაბერდა კიდევაც!

_ ეჰ, ჩემო ნიკა! _ ჩამოართვა მეორემ. _ მეფე სხვასაც კიდევ ბევრს იშოვის, იმ საცოდავმა ლუხუმამ რა ჰქნას, ახლა რომ საფლავზე გდია და დაჭრილივით ღმუის!

_ მაშ... მაშა!.. _ დაეთანხმა ნიკა. _ ცოცხალი წაართვეს და მკვდარს მაინც აღარ შეეცილებიან, მკვდარი ხომ მისია და მისი. მაგას ყვარებია თავისი ცოლი, თორემ მეფე ამ შუაღამეში ძილს არ გაიტეხს მკვდარი ხარჭის დასატირებლად.

მეფეს ეკალივით მოხვდა გულზე უკანასკნელი სიტყვები.

_ ეგ კი არა, რომ ნახონ, მაგასაც არ დააცლიან, ცოცხალი ხომ არ მისცეს და მკვდარსაც არ დაანებებენ ლუხუმს სატირლად.

_ მერე რა უფლებით უნდა დაუშალონ... რა სიმართლით ემართლებიან?!

_ ეჰ, შენც ლაპარაკობ, კანონ-სამართალს ცოცხალზე არ გააჭრევინეს და მკვდრებისთვის სად იშოვნიან!

მეფე ნაცემივით მოიბუზა. იქაურობას ნელა გაშორდა და ლილეს საფლავისკენ წავიდა.

საფლავზე უზარმაზარი ლანდი დამხობილიყო.

ლაშას ვაჟკაცის ღმუილი ჩაესმა და რეტიანივით წაბარბაცდა. იქვე, ვიღაცის საფლავზე მდგარ ხეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, ღონე მოიკრიბა და მგოდებელს გახედა.

ლილეს საფლავზე ლანდი წამოიმართა, თავი აიღო და ლაშამ მთვარის შუქზე კარგად დაინახა საკინძჩამოხეული ლუხუმი.

მიგრიაული რაღაცას დაჭრილი დათვივით ბურდღუნებდა, გაურკვევლად, გულამომჯდარი სლუკსლუკებდა და მისი სიტყვები ლაშას ყურამდე ვერ აღწევდა.

ხანდახან მჯიღს დაირტყამდა გულში, მერე ისევ საფლავს დაემხობოდა და დასაკლავი ხარივით იწყებდა ხელახლა ზმუილსა და ბღავილს.

ლუხუმმა ერთხელ კიდევ აიღო თავი.

ლაშას საოცრად ლამაზი და წმიდა ეჩვენა იმ წუთს ეს ხმლით დაგონჯებული კაცი, რომელსაც, ცოლისაგან განწირვისა და ღალატის მიუხედავად, იმდენი სიყვარული და კეთილშობილება კიდევ შერჩენოდა, რომ საქვეყნოდ შემარცხვენელსა და მომყივნებელ ცოლს ასე გულით დასტიროდა.

ლაშას უნდოდა მისულიყო, მოხვეოდა, ეკოცნა და მასთან ერთად ეტირნა, რადგან ორივეს ერთნაირი ძალით, ზეადამიანური ძალით ჰყვარებია ლილე, რადგან ლილეს შემდეგ არც მათ რჩებოდათ სანუგეშო ამ ქვეყნად, არც ლილეს დარჩენია ვინმე მათსავით ერთგული და მათებრ თავდავიწყებამდე მოყვარული.

ის იყო, ფეხი უნდა გადაედგა ლუხუმისაკენ, რომ მესაფლავეების წეღანდელი სიტყვები გაახსენდა:

_ ცოცხალი წაართვეს და მკვდარს მაინც აღარ შეეცილებიან, მკვდარი ხომ მისია და მისი!..

აფორიაქებული ლაშა შეყოყმანდა, მიხვდა, რომ მისი გამოჩენა ლუხუმის სულს აღაშფოთებდა და შეურაცხყოფდა.

_ ცოცხალი ხომ არ მივეც და მკვდარსაც არ დავანებებ სატირლად?! რა უფლებით... რა სიმართლით ვემართლები?! _ იმეორებდა მესაფლავეების სიტყვებს თავისთვის ლაშა.

მპარავივით ჩუმად შეტრიალდა მეფე და ფეხაკრეფით წავიდა ღამეში ურჩხულივით ატოტებული რკინის ჭიშკრისკენ.

მიდიოდა ლაშა და უკან თითქო ვიღაც მისდევდა და მოუთხრობდა:

_ ორნი კაცნი იყვნენ ერთსა შინა ქალაქსა. ერთი მდიდარი და ერთი გლახაკი. და მდიდრისა სამწყსოი იყვნენ დარემაკები ხართა მრავალი ფრიად. და გლახაკისა იყო არარაი, არამედ გარნა ერთი კრავი მცირე...

ლაშამ შეშფოთებულმა მოიხედა უკან, თითქო მართლა ვინმე მოსდევდა.

ნაბიჯს აუჩქარა და, თითქო იმ უხილავი მთხრობელის პასუხად, ახლა სხვამ, მეორემ წამოიწყო ჩურჩულით:

_ ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული, ფიცხელ, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური. ფრთე მისა _ ფრთე ცეცხლისა, ნაკვერცხალი ცეცხლისა _ ალი მისი. არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა და მდინარე ვერ წარღვნის მას.

_ ღმერთო, მიხსენი!.. ღმერთო, მიხსენი!.. _ ბუტბუტებდა ლაშა და პირჯვრის წერით უახლოვდებოდა საგოდებლის ჭიშკარს.

* * *

მეფის კარზე ლხინი და მუტრიბთა მღერა აღიკვეთა, ნადირობა და ბურთაობა დაიშალა.

მემთვრალეებმა უმეფოდ მოიწყინეს და სასახლეს გაეცალნენ. უსაქმოდ შეწუხებული მონადირეები დაითხოვეს. მეფის უამრავი მწევარ-მეძებრები და ქორ-მიმინოები, დოღის ცხენები და გასახედნი კვიცები ბუკის ხმასა და მათრახის დაკვრას დანატრულდნენ.

ჯანითა და სულით გატეხილმა მეფემ ზურგი აქცია თავის საყვარელ წეს-ჩვეულებებს, გარემიჰრიდა პირი ამა ქვეყნის ამაოებათა და შემონაზვნებულივით მარხვად და ლოცვად მიდრკა.

წესად დაიდო სიონში ყოველდღე სიარული, წირვის მოსმენა და ზიარების მიღება.

ეკლესიებსა და მონასტრებს მამულებისა და ყმების შეწირვა გაუხშირა, ქვრივ-ობლებს წყალობა გაუმრავლა. უკვე დაწყებულის დასრულებასა და ახალი ტაძრების _ წუღრუღაშენისა და ფიტარეთის მშენებლობას მიჰყო ხელი, გელათისა და იყალთოს გაფართოებისათვის იწყო ზრუნვა.

ქრისტეს სარწმუნოებაზე მეფის მოქცევით გახარებული, ერთ დროს ლაშას მაწყევარი კათალიკოსი ცას ეწეოდა, საქვეყნოდ მეფის ქებასა და ლოცვაში იყო, ლაშას მარხვასა და თმენას უქადაგებდა, საუკუნო ცხოვრებასა და სამოთხეს აღუთქვამდა.

მეფემ ლილეს საფლავზე ფიტარეთის მშენებელ ხუროთმოძღვარს სახელგანთქმულ ქაჩიბაისძეს სარკოფაგი გააკეთებინა.

ნაღვლიანი, ნაცრისფერი მარმარილოსაგან ნაკვეთ სარკოფაგზე ბოლნისის ქვის მაღალი სვეტები აღამართვინა და ზედ გუმბათი ოქროს ფურცლით გადაახურვინა.

სარკოფაგზე აღმართული მოწყალე ღვთისმშობლის ქანდაკისკენ ხელგაშვერილ, თმაგაწეწილსა და ფეხშიშველ ლილეს გაავებული ძაღლები მოსდევდნენ. ლილეს ლამაზი სახე ერთსა და იმავე დროს გაცოფებული ძაღლების წინაშე შიშსა და სასოწარკვეთას გამოხატავდა და დედაღვთისას გადარჩენას, მოწყალე კალთის გადაფარებას ევედრებოდა.

სარკოფაგის ბოლოში მწყურვალე ირემი იყო გამოქანდაკებული: წყარო დამშრალიყო და დაქანცული, პირგამშრალი ირემი უნუგეშოდ შეჰყურებდა ზეცას, რომელსაც მისთვის სიცოცხლის უკანასკნელი სახსარი _ წყაროს თვალი წაერთმია.

მნახველები დამშრალ წყაროზე ჩაჩოქილ მწყურვალე ირემში ლილეს სიკვდილით სასოწარკვეთილ ლაშას სცნობდნენ, ხოლო ძაღლებდადევნებულ ლილეს იგავს ათასგვარად ხსნიდნენ.

ერთი ყველასათვის ცხადი იყო: მოქანდაკეს ლილეს ამქვეყნიურ ცხოვრებაში მუდმივი დევნა და ძრწოლა გამოეხატა და მის სიკვდილში _ ღვთისმშობლის კალთას მიახლოებაში მისთვის ერთადერთი ხსნა დაენახა.

დადევნებულ ცოფიან ძაღლებში ზოგი ლილეს ამქვეყნიურ ცოდვებს ხედავდა, ზოგიც დიდებულების მიერ დედოფლის მუდმივ დევნასა და შევიწროებას. ამ უკანასკნელ აზრზე მდგარნი ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავდნენ, ერთიმეორეს ეჩურჩულებოდნენ და შეშინებული არიდებდნენ თვალს გახელებული ძაღლების დაღებულ პირებს, რომ მათში რომელიმე კარისკაცის ან მღვდელმთავრის სახის მსგავსება არ ეპოვნათ.

მეფემ საგოდებელი მთლიანად გაამშვენებინა, ზღუდე მოავლო, ლილეს საფლავისკენ მიმავალი გზები მოაკირწყვლინა და მწვანითა და ყვავილებით შეამკობინა.

მშენებლობა რომ დასრულდა, კათალიკოსი აწვია საფლავის საკურთხებლად.

კათალიკოსის ყურამდის სარკოფაგის ქანდაკების გამო მითქმა-მოთქმას უკვე მიეღწია, მაგრამ, მეფის ესოდენ სათნო ქცევით კმაყოფილმა ეკლესიის მესაჭემ ჭორებისათვის თვალი და ყური დაიხშო, ლილეს საფლავის ნაშენობა აკურთხა და თვითონ ლილეს სულისათვისაც ილოცა.

ლილეს სიკვდილის შემდეგ ვაზირები ნელ-ნელა დაუბრუნდნენ კარს. თუმცა მეფე დარბაზის მოთხოვნილებას არ დაემორჩილა და უკანონო ცოლი არ განიშორა, დიდებულების წადილი მაინც ასრულდა, მეფის ხარჭა გარდაცვლილი იყო და საქართველოს ტახტს უგვარო გლეხთაგანის გადედოფლების საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

თვითონ მეფე სწორედ ისეთი გამხდარიყო, როგორზედაც მისი დიდგვაროვანი ვაზირები ოცნებობდნენ.

ნებისყოფადაკარგული და სულიერად გატეხილი, იგი ყოველივეს ამაოებათა ამაოებად თვლიდა, აღარც ხელისუფლება იზიდავდა, აღარც სახელმწიფო საქმეებზე ზრუნავდა.

ლოცვისა და ობოლ-სნეულთა განკითხვისაგან თავისუფალ დროს საღვთო წიგნების კითხვას ანდომებდა და რაც უფრო ღრმად უკვირდებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, მით უფრო იმსჭვალებოდა მათდამი ინტერესით. უკვირდა მეფეს, რატომ აქამდე არ ჩავწვდიო ქრისტეს სარწმუნოების სიღრმესა და სილამაზეს.

ლილეს სიკვდილის შემდეგ ლაშას ამქვეყნად გასახარელი აღარა ებადა რა და მთელ იმედს იმაზედღა ამყარებდა, რომ ლოცვითა და მარხვით, ქვრივ-ობლების განკითხვითა და ღარიბთა მოწყალებით თავისსა და ლილეს ცოდვებს გამოისყიდდა და იქ, საუკუნო ცხოვრებაში შეხვდებოდა თავის საყვარელ ცოლსა და სატრფოს.

@თავი ოცდამესამე. ჯვრის სახელით

სწორედ მეფის ამ რელიგიურ აღგზნების დროს და მთელს საქართველოში ეკლესიის გაძლიერების ჟამს, საქართველოს მეფეთ მეფეს დამიეტიდან პაპის ლეგატის კარდინალ პელაგიოსის ელჩი მოუვიდა.

ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობა სულს ღაფავდა.

ვითომ „მაცხოვრის კუბოს დასახსნელად“ და „წმიდა ადგილების გასათავისუფლებლად“ მოლაშქრე ჯვაროსნებს ნამდვილად სულ სხვა მიზნები ამოძრავებდათ.

მსხვილი ფეოდალები აღმოსავლეთში ახალი სამფლობელოების შეძენას და სამშობლოში თავიანთი გავლენის გაფართოებას ფიქრობდნენ.

უმიწაწყლო, გაკოტრებული რაინდები აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების გაძარცვაზე, მამულებისა და მონების შოვნაზე ოცნებობდნენ.

ჩრდილო იტალიის ქალაქების _ გენუის, ვენეციისა და პიზის მესვეურებს ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო გზებზე გაბატონება, სელჯუკებისათვის სირიისა და პალესტინის წართმევა და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებიდან ძლიერი მეტოქის ბიზანტიის განდევნა ჰქონდათ განზრახული.

ჯვაროსანთა ლაშქრობის სულისჩამდგმელი რომის ეკლესია იყო.

აღმოსავლეთის ზღაპრულ სიმდიდრეს დახარბებულ რომის კურიას აზიაში თავისი ხელქვეითი ქრისტიანული სამფლობელოების შექმნა, გავლენის სფეროს გაფართოება და საბერძნეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამორჩილება სურდა.

წმიდა ადგილების გათავისუფლების იდეამ მოსახლეობაში რელიგიური ფანატიზმი გააღვივა და სახელის უამრავ მაძიებელს ფეოდალური უღლისაგან განაწამები ღარიბ-ღატაკი გლეხობაც შეუერთდა.

ჯვაროსანთა ლაშქრობის დასაწყისიდან ას წელზე მეტი იყო გასული.

ძალთა უდიდესი დაძაბვის მიუხედავად, ამ ხნის განმავლობაში, ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს სარკინოზთა დამორჩილება და აღმოსავლეთის დაპყრობა. ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას უკვე აშკარა დაპყრობითი ხასიათი ჰქონდა.

ჯვაროსნებმა ამჯერად „წმიდა“ ადგილებზე პირდაპირ შეტევას სარკინოზებისათვის ზურგიდან დარტყმა არჩიეს და მუსულმანთა არმიების ეგვიპტიდან შემოვლა ამჯობინეს.

მუსულმანთა ზურგის კომუნიკაციების გასაღები და მნიშვნელოვანი სიმაგრე ნილოსზე მდებარე ციხე-ქალაქი დამიეტა იყო. აქედან ღებულობდნენ სარკინოზები სურსათისა და ჯარის შევსებას.

ქალაქი ბუნებრივად მიუვალ ადგილზე იყო აშენებული და ირგვლივ სამმაგი ზღუდე ერტყა. დამიეტას ციხე-კოშკი ჰქონდა, რომელიც, ერთის მხრივ, ხმელეთიდან იცავდა, ხოლო, მეორეს მხრივ, ქალაქისაკენ ზღვიდან მისასვლელს კეტავდა. ჯვაროსნებმა მიზანში პირველად სწორედ ის ციხე-კოშკი ამოიღეს და მის გარემოცვას შეუდგნენ.

დამიეტას ალყა გეგმიანად, დაჟინებითა და მოთმინებით ხორციელდებოდა და ბოლოს, გამარჯვებით დაგვირგვინდა.

მეციხოვნეებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს და სიმაგრე ჯვაროსნების ხელთ გადავიდა.

ჯვაროსნებმა ბოლოს თვით ქალაქს შემოარტყეს ალყა. ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ დამიეტა დაეცა.

ჯვაროსნებმა დამიეტას აღებით ეგვიპტის პოზიციების გასაღები იგდეს ხელთ, მაგრამ მოქმედება ნილოსის ველზე არ გაავრცელეს და ამით თავიანთი სამხედრო წარმატების მნიშვნელობა არ გააფართოვეს.

ჯვაროსანთა ერთმა ნაწილმა, დამიეტას აღების შემდეგ, ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა და სამშობლოში დაბრუნდა.

იერუსალიმის მეფემ იოანემ თავის სამეფოსთან დამიეტას შეერთება მოინდომა, რასაც ჯვაროსანთა ლაშქრობის ფაქტიური ხელმძღვანელი _ რომის პაპის ლეგატი პელაგიოსი წინ აღუდგა.

ამ შინააღრევასა და უთანხმოებაში ჯვაროსნებმა ხელსაყრელი დრო გაუშვეს, შექმნილი მდგომარეობა ვერ გამოიყენეს წარმატების გასავითარებლად და თავისი უმოქმედობით მტერს ძალის მოკრეფის საშუალებაც კი მისცეს.

ახალი მაშველი ძალების უიმედო ლოდინში იყო კარდინალი, როცა საქართველოდან მოსულმა მინორიტების ორდენის მღვდელმონაზონმა იაკობ როგსანელმა ჯვაროსანთა ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობის სურვილი შეატყობინა.

საქართველოში კარგა ხანს ნამყოფმა მინორიტმა ბერმა პაპის ლეგატს ქართველთა სამეფოს ძლიერება და სიმდიდრე, მისი ხალხისა და მეფის სიმხნე და ქრისტეს სარწმუნოებაზე მტკიცედ დგომა აცნობა:

„იბერიელი ქრისტიანები, რომლებიც გიორგიანებად იწოდებიან, ას წელზე მეტია დიდძალი ცხენოსანი და ქვეითი ჯარით წარმართებზე ლაშქრობენ. ამ ხნის განმავლობაში მაჰმადიანთა

მრავალი ქვეყანა დაიპყრეს, აურაცხელი ციხეები დალეწეს და ქალაქები დაიჭირეს. დაპყრობილ ქვეყნებს ხარკი დაადეს და იქ ქრისტეს სჯული გაავრცელეს.

ქართველთა წარჩინებული მეფე ჯერ კიდევ ჭაბუკია.

იგი ალექსანდრე მაკედონელსა ჰგავს ვაჟკაცობითა და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით, რადგან ქრისტეს სჯულს აღიარებს.

ქართველთა მეფე დიდძალი ჯარით ფიქრობს იერუსალიმის წმიდა მიწა-წყლის განთავისუფლებას და წარმართთა მთელი სამყაროს დამორჩილებას. ჭაბუკ მეფეს სურს თავისი დედის, ქართველთა უძლიერესი მეფის თამარის ნეშტის წამოსვენება. მეფეთ მეფე თამარს თავის დროზე იერუსალიმს წასვლის აღთქმა დაუდევს და შვილისათვის უთხოვნია, თუ აღთქმის აღსრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს მტკიცედ ახსოვს დედისათვის მიცემული სიტყვა და ახლა იმაზე ფიქრობს, თავის დიდებულებთან ერთად ჯვაროსნობა მიიღოს, რომის ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, სარკინოზებზე გამოილაშქროს და წმინდა ქალაქში დედის ძვლები გადმოასვენოს“.

იაკობ როგსანელის ნაამბობმა პაპის ლეგატი და ჯვაროსანთა ლაშქრობის მეთაურები აღაფრთოვანა.

სარკინოზთა წინააღმდეგ ახალი ძლიერი ძალა ჩნდებოდა, რომელიც ჯვაროსანთა პირისპირ მებრძოლ წარმართებს ზურგიდან დაჰკრავდა და გაანადგურებდა.

კარდინალმა აღარ დააყოვნა, საქართველოს მეფეს წერილი მოსწერა და იმავე ბერს გამოატანა:

„მისი უწმინდესობის, რომის პაპის ლეგატი, კარდინალი პელაგიოსი, ჯვაროსანი ლაშქრის მხედართმთავარი.

საქართველოს უბრწყინვალეს მეფეს გიორგის.

მამობრივი სახიერებით მივიღეთ და დიდად გავიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტეანეთა.

გვახარებს თქვენი მორწმუნეობა, რომელიც გაქვთ უფლის იესო ქრისტეს სჯულისა და რომელიც დიდად სათნო საყოფელია, რადგან მას იცავთ ურწმუნოთა შორის, რომლებთანაც ცხოვრობთ და ბრწყინავთ, ვითა ნათელი ბნელში და შროშანი ეკალთა შორის.

ფრიად გვასიამოვნა თქვენმა სურვილმა, მონაწილეობა მიიღოთ წმინდა ადგილების დახსნაში, იმ ადგილებისა, სადაც გამოუთქმელის სიყვარულით ჯვარზე სიკვდილი ინება უფალმა იესო ქრისტემ კაცთა ნათესავის სამარადისო სიკვდილისაგან დახსნისა და ცხოვრებისათვის.

საქებურია აღთქმა თქვენი და მოსაწონი განზრახვა _ აღასრულოთ თქვენი ნეტარხსენებული დედის ანდერძი.

აღიჭურვეთ და განაწყვეთ სარკინოზთა წინააღმდეგ ლაშქარი, რათა რომის ეკლესიის კურთხევითა და ღვთის მადლით კარგად იბრძოლოთ საღმრთო ბრძოლაში წმინდა ადგილების დასახსნელად.

გაცნობებთ, რომ ჩვენ უკვე დიდი ზიანი მივაყენეთ წარმართებს, ზურგიდან შემოვუარეთ, ავიღეთ მათი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქი დამიეტა, რამაც იმდენად შეაშინა მუსულმანთა ურწმუნო სულთანი ალმელიქ ალადინი, რომ ჯავრით გული გაუსკდა და თავის უსჯულოებათათვის საუკუნოდ წაწყმედილი ჯოჯოხეთს შთავიდა.

ამჟამად ვემზადებით ახალი შეტევისათვის, რათა საბოლოოდ გავანადგუროთ სარკინოზები.

ისწრაფეთ ლაშქრის წვევა და წარმოემართეთ პირისპირ უსჯულო წარმართთა, რამეთუ ისარგებლოთ სარკინოზებზე ჩვენი შეტევით და ბრძოლით აიღოთ პალესტინის ქალაქები.

უფლისა მიერ გაგონებთ და გამხნევებთ, რომ თანახმად თქვენი საქებური დაპირებისა, ეცადოთ და თქვენი დიდებულების საკადრისი სამსახური მიაგეთ იესო ქრისტეს.

ამ დიდისა და წმიდა საქმისათვის, თუ თქვენ და თქვენი დიდებულნი კარგად და გულმოდგინებით მოემზადებით, დიდ სასყიდელს მიიღებთ უფლისაგან.

ვაუწყებთ თქვენ დიდებულებას, რომ ვინც ამ შრომაში მიიღებს მონაწილეობას, ან თვით წავა, ან სხვას გაგზავნის, ან ფულით შეეწევა და ან სხვისი ხარჯით გამოვა, მათ ყოველთა

ვანიჭებთ მოციქულებრივის შენდობით ყველა ცოდვის მიტევებას, უკეთუ ჭეშმარიტად შეინანებენ და აღსარებას იტყვიან.

აწ თქვენ ეს წიგნი წააკითხეთ ყოველთა თქვენთა ქვეშევრდომთა, რომელთაც, თქვენი თხოვნისამებრ, ვანიჭებთ მოციქულებრივ კურთხევასა და აღგითქვამთ თქვენ და მათ ჩვენს პატივსა და მფარველობას, ვითარცა შეჰფერის სამოციქულო საყდარსა ჩვენსა“...

პაპის ლეგატის წიგნმა საერთო გამოცოცხლება გამოიწვია საქართველოს სამეფოში.

მეფეს თითქო გარეგანი ბიძგი სჭირდებოდა, რომ დედის ანდერძი გაეხსენებინა და თავის ადრინდელ ოცნებას დაბრუნებოდა. თამარის ნეშტის იერუსალიმს წასასვენებლად მარჯვე ჟამი დგებოდა. კარგა ხანი გასულიყო, რაც ქართველებს დიდი ომი აღარ გადაეხადათ. მდიდარსა და გარეშე მტერთაგან მოსვენებულ ქვეყანას ძლიერი და კარგად აღჭურვილი ლაშქრის გამოყვანა ადვილად შეეძლო იერუსალიმზე შორეული ლაშქრობისათვის.

სამეფოს შიგნითაც მშვიდობა სუფევდა. მეფის კარზე შფოთი დამცხრალიყო.

თავად მხარგრძელსაც მოსწყენოდა ამდენი ხნის უქმად ყოფნა და, ლაშქრობასა და მტრის რბევას ნაჩვევს, ომი მოშივნოდა. მხარგრძელს ახლა უკვე გონივრულად და აუცილებლად მიაჩნდა მეზობელ სამაჰმადიანოსათვის ზარის მიცემა და ახალი მიწა-წყლისა და სიმდიდრის შემენა. დიდი და შორეული ლაშქრობისათვის პირობები მეტად ხელსაყრელი იყო, მიზეზი ფრიად საპატიო ჩანდა: ქართველები მათი ნეტარი დედოფლის ნეშტს წაასვენებდნენ იერუსალიმს და უსჯულოთაგან წმინდა ადგილების გამოხსნაში მიიღებდნენ მონაწილეობას.

ურთიერთჩხუბითა და დაქსაქსულობით დასუსტებული მუსულმანი მელიქები და სულტნები ჯვაროსნებისაგან იყვნენ შეჭირვებულნი.

ასეთ გარემოებაში ქართველთა ძლევამოსილ ლაშქარს ახალი დიდი გამარჯვება და სახელ-დიდება ელოდა.

ერთ დროს ამაყი და ურჩი მეფე იმდენად გატეხილი და სულიერად მოუძლურებული იყო, რომ ამ დიდების სახელიცა და სარგებელიც უმთავრესად ქართველთა ამირსპასალარს შეხვდებოდა.

მეფემ დარბაზი შეკრიბა და კარდინალის წერილი გააცნო.

ათაბაგმა ჯვაროსანთა სალაშქროდ წვევას თავგამოდებით დაუჭირა მხარი.

ახალ დავლასა და სახელს დანატრებული სხვა დიდებულებიც სიხარულით შეხვდნენ შორეულ ლაშქრობაში წვევას, რომელიც სიმდიდრით განთქმულ ქვეყნებში, ქონებისა და მონების შემენასთან ერთად, მათ საუკუნო ცხოვრებასაც უქადდა.

მეფემ და მისმა დიდებულებმა ჯვაროსნობა მიიღეს და დიდი და ხანგრძლივი ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგნენ.

თითქო განგების ხელი წარმართავდა მოვლენებს ქართველთა სასარგებლოდ. ჯვაროსანთა ლაშქრობასა და წვევას აღმოსავლეთში დატრიალებული დიდი ამბებიც დაერთო.

ხვარაზმის სულტანს _ ხვარაზმშა მუჰამედს თითქმის მთელი აღმოსავლეთი დაეპყრო, თავი „ახალ ისკანდერად“ გამოეცხადებინა და მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებეს ცალი თვალი რომ ჩინეთის დაპყრობაზე ჰქონდა, მეორე ბაღდადისათვის დაედგა.

მუჰამედი არა მარტო ირანსა და ირანის ერაყს დაპატრონებოდა, ადარბადაგანის ათაბაგიც თავის ხელქვეითად გაეხადა და, უზომოდ განდიდებულს, ახლა ბაღდადის ხალიფის დამორჩილებაც ეწადა.

ჭკვიანი და ეშმაკი ხალიფა ნასირიც, თავის მხრივ, სახალიფოს ძველი დიდების აღდგენაზე ოცნებობდა. ჯერ ირანის სელჯუკიანთა სახელმწიფოს დაშლასა და დასუსტებას უწყობდა ხელს ფარულად, ხოლო შემდეგ, როცა ხვარაზმშას უსაზღვროდ გაძლიერებაში საკუთარი სამფლობელოს კეთილდღეობის საფრთხე დაინახა, მუჰამედის უნაპირო სახელმწიფოს წინააღმდეგ ფარულად იწყო მოქმედება. ხვარაზმშას უზარმაზარ სამფლობელოში დროდადრო, ხან აქ, ხან იქ, იფეთქებდა აჯანყება. მუჰამედი სასტიკად უსწორდებოდა მეამბოხეებს და როცა მათი წამქეზებლის ძებნას იწყებდა, კვალს ბაღდადისაკენ მიჰყავდა.

ხვარაზმშას მოთმინების ფიალას ერთი წვეთიღა აკლდა, რომ პირამდე ავსებულიყო. ამ წვეთმაც ბევრი არ დაიგვიანა: მუჰამედს გურის სულტანი შიხაბუდინი აუჯანყდა და ხვარაზმს

შეესია. მუჰამედმა გურის სულტანი სასტიკად დაამარცხა და როცა აჯანყების მიზეზი გამოიძია, დარწმუნდა, რომ შიხაბუდინი ბაღდადის ხალიფის ჩაგონებით მოქმედებდა.

სანამ ხვარაზმშა გურხანს ებრძოდა და დასავლეთის საქმეებისათვის არ ეცალა, ხალიფ ნასირმა მუჰამედის წინააღმდეგ ახალი ნაბიჯი გადადგა: ფარსისა და ადარბადაგანის ათაბაგებს _ საადსა და უზბეგს შეუთანხმდა და ირანის ერაყს შეუსია.

ამასობაში მუჰამედმა გურის სულტანი დაიმორჩილა და, ხალიფ ნასირის ვერაგობით აღშფოთებული, ირანისკენ დიდი ლაშქრით დაიძრა.

მუჰამედმა იოლად სძლია ფარსისა და ადარბადაგანის შეერთებულ მხედრობას. ფარსის ათაბაგი საადი ბრძოლის ველზე ტყვედ ჩაუვარდა ხვარაზმელებს, ხოლო ათაბაგმა უზბეგმა თავს გაქცევით უშველა.

მუჰამედის სარდლებს უნდოდათ უზბეგის დადევნება და შეპყრობა, მაგრამ ხვარაზმშამ ამის ნება არ დართო:

_ ერთ ომში ორი ხელმწიფის შეპყრობა უფლისათვის სათნო არ იქნება და ბედნიერებას არ მოგვიტანს, _ ბრძანა გამარჯვებულმა ხვარაზმშამ და თავის მამაც სარდლებს უზბეგის დევნაზე ხელი ააღებინა.

იერუსალიმზე ლაშქრობის სამზადისში მყოფი საქართველოს მესვეურები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ქვეყნის სამხრეთით დატრიალებულ ამბებს. ხვარაზმშას სამფლობელოს ესოდენ გაფართოება და თითქმის საქართველოს საზღვრებამდე მოღწევა ახალ ამოცანებს უყენებდა საქართველოს სამეფოს.

ხვარაზმის ძლიერება და სიმდიდრე „ვეფხისტყაოსნიდან“ ზეპირად იცოდა ყველა ქართველმა. ირანის ერაყი და თავად ადარბადაგანიც აგერ ოც წელზე მეტხანს ხვარაზმის სამფლობელოდ ითვლებოდა, თუმცა ეს მფლობელობა მხოლოდ გარეგნული მორჩილებით გამოიხატებოდა. ახლა, საქართველოსაგან მოსვენებული უზბეგის თავხედობა _ ჰამადანზე გალაშქრება მარცხით და ათაბაგის ლტოლვით რომ დამთავრდა, ქართველებს უნდა გაერკვიათ, თუ რას მოასწავებდა ჰამადანში ხვარაზმშას შეჩერება, საით აპირებდა იგი თავისი ძალის წარმართვას, ბაღდადისკენ დაძრავდა ხვარაზმელთა აურაცხელ ლაშქარს, როგორც მსტოვრები იუწყებოდნენ, თუ ათაბაგ უზბეგის დასასჯელად ადარბადაგანსაც დაიპყრობდა. ადარბადაგანის დაპყრობა იოლ საქმედ ჩანდა და ქართველებს ის აფიქრებდათ, ადარბადაგანის შემდეგ რა გზას დაადგებოდა ხვარაზმშა, შეაჩერებდა თავის ძლევამოსილ ლაშქარს საქართველოს პირისპირ, თუ სიმდიდრით საქვეყნოდ განთქმული გურჯთა ქვეყნის ხელყოფასაც მოინდომებდა.

ასე იქნებოდა თუ ისე, ქართველები მზად უნდა ყოფილიყვნენ და ხვარაზმშასათვის ძალაცა და მეგობრობის სურვილიც ერთდროულად უნდა გაეცხადებინათ.

ქართველებმა არგვეთის მთავრის მეთაურობით ხვარაზმშა მუჰამედთან ურთიერთობის დასამყარებლად და მოლაპარაკების გასამართავად ელჩები გაგზავნეს დიდძალი ძღვენით.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ქართველთა ლაშქარი სამხრეთისაკენ დაიძრა და ადარბადაგანის საზღვრები გადალახა.

* * *

ხვარაზმშა მუჰამედი ჰამადანში იჯდა.

უზბეგისა და საადის დამარცხებისთანავე მუჰამედი თავისი უმთავრესი მიზნის განხორციელებას იწყებდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა შფოთისა და ამბოხის მთესავი ხალიფას გადაყენება და მის ადგილას თავისი მორჩილი სეიდის დასმა.

მორწმუნეთა თვალში რომ თავისი ეს ნაბიჯი გაემართლებინა, მუჰამედს საისლამოს სულიერი მოძღვრების მხარდაჭერა უნდა უზრუნველეყო.

მუჰამედმა იმამთა კრება მოიწვია და სხვა ბრალდებებთან ერთად ხალიფ ნასირის ვერაგული მოქმედების მამხილებელი საბუთები წარუდგინა. იმამთა კრებამ ნასირის

დანაშაულებრივი მოქმედება მისი მაღალი ხარისხისათვის შეუთავსებლად ჩათვალა და ხვარაზმშას, როგორც მუსულმანთა ომების წინამძღოლს, ნება დართო ნასირი გადაეყენებინა.

იმამთა კრების ამ დადგენილებით ხვარაზმშამ ნასირი ძალაუფლებადაკარგულად გამოაცხადა და მის ადგილას წინასწარმეტყველის ძმისწულისა და სიძის _ ალის შთამომავალი სეიდი ალულმულკ თერმეზი სცნო. ამის შემდეგ, მუჰამედის ლაშქრობას ბაღდადის დასაპყრობად კანონიერი საფუძველი ჰქონდა და ხვარაზმშას სამოქმედოდ ხელ-ფეხი ეხსნებოდა.

* * *

ქართველთა ელჩები სამი დღის ჩასულნი იყვნენ ჰამადანს. მუჰამედს ხალიფ ნასირის ელჩთან ჰქონდა მოლაპარაკება და ქართველთა დესპანების მოსვლა რომ მოხსენდა, განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია.

ხალიფ ნასირმა უკანასკნელად კიდევ შეურაცხყო მუჰამედ ხვარაზმშას პატივმოყვარეობა. მან დაუკმაყოფილებელი დატოვა მუჰამედის მოთხოვნა _ მიენიჭებინა მისთვის საისლამოს მეთაურის წოდება და სულტნის ხარისხი და საჯარო ლოცვებში მოეხსენებინა მისი სახელი.

ნასირი არ აპირებდა საერო ხელისუფლებაზე უარის თქმას და არ ცნობდა სახალიფოზე მუჰამედის რაიმე უფლებას. ხალიფის ელჩს დათმობა არაფრისა სურდა, ხოლო შენარჩუნება კი ყველაფრის ძველებურად უნდოდა. მუჰამედი მიხვდა, რომ ხალიფი დროის მოგების მიზნით საქმეს აჭიანურებდა. ხვარაზმშამ აღშფოთება ვერ დამალა, ელჩს უღირსად მოექცა და მოლაპარაკებაც უხეშად შეწყვიტა.

ამის შემდეგ ომი გარდუვალი იყო. სანამ ლაშქარს დაძრავდა, ხვარაზმშას ადარბადაგანში ქართველების შესევის ამბავი მოუვიდა.

პირველად ეამა კიდევაც. ბაღდადზე გალაშქრებულს ზურგში დარჩენილი უზბეგის შიში აღარ ექნებოდა, რაკი თავად ადარბადაგანი ქართველებთან ომში ებმებოდა.

მაგრამ ქართველები სწრაფად მოიწევდნენ წინ და ისე ღრმად შეიჭრნენ ადარბადაგანში, რომ მუჰამედი ქართველთა უძლეველი ლაშქრის ზურგში გამოჩენამ შეაფიქრიანა.

ხვარაზმშამ ქართველთა ელჩები გაიხსენა და მათი წვევა ბრძანა.

თეთრ ცხენებზე ამხედრებულნი მოადგნენ ქართველთა ელჩები ჰამადანის სასახლეს.

უამრავი ურემი და ჯორ-აქლემი მოჰყვა უკან ელჩებს.

მუჰამედის ვაზირი სარკმლიდან უჭვრეტდა სასახლისაკენ დაუსრულებელ ნაკადად მომდინარე ჯორკიდებულს.

_ დიდძალი ძღვენი უახლებიათ გურჯებს, მბრძანებელო. ტყუილად როდი უქიათ საქართველოს სიმდიდრე, _ სარკმლიდან თვალმოუშორებლად წარმოსთქვა ვაზირმა.

ხვარაზმშა მაღალ ტახტზე დაბრძანებულიყო. ფარჩის კაბა ეცვა, მთლად პატიოსანი თვლებით გაწყობილი. ქანდაკივით უძრავად იჯდა მორჭმული ხვარაზმშა. თვალი წინ დაფენილი ფარდაგისათვის ჩაეშტერებინა და, ფიქრში წასული, ვაზირის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა.

_ თეთრი რაშები! თეთრი რაშების რემა! _ აღტაცებით აღმოხდა უცებ ვაზირს და სარკმელს ზედ გაეკრა.

_ ალლაჰ! რამდენია, მთელი თაბუნი მოურეკავთ!

_ დინჯად, ვაზირო! უცხო ქვეყნის ძღვნით გაკვირვება ჩვენს სიმდიდრესა და შენს ხარისხს არ შეჰფერის! _ თავაუღებლად ბრძანა მუჰამედმა, თვალით ისევ ფარდაგს მისჩერებოდა და მხოლოდ ბაგეები ინძრეოდნენ ქანდაკივით გაქვავებულ მის სახეზე.

_ ცხენის ჯოგი როგორ არ მინახავს, მაგრამ ყველა ასე ერთფერი, ამდენი უნიშნო თეთრი რაში ჯერ არსად მომლანდებია, მბრძანებელო, _ აღმოხდა ვაზირს და სარკმელს მოსცილდა.

დარბაზში ქართველთა მეფის ძღვენი შემოიტანეს: ოქრომკედისა და აბრეშუმის ქსოვილები, ძვირფასი თვლებით შემკული ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი.

მტრედის კვერცხისოდენა მარგალიტებით, ლალისა და იაგუნდის დიდრონი თვლებით სავსე სინი სულტნის ფერხთა წინაშე დასდო ქართველთა დესპანთა მეთაურმა გვარამ მარგველმა, იატაკამდე დაიხარა, მერე უკან დაიხია, წელში გასწორდა და თურქულად წარმოსთქვა:

_ დიდსა და აღმატებულს, ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელს ხვარაზმის დიდებულ სულტანს სალამს უთვლის სრულიად საქართველოს, რანისა და შირვანისა და ყოვლის მთეულეთის მპყრობელი საქართველოს მეფე გიორგი.

საქართველოს მეფეთა მეფე გიორგი გახარებულია დიდებული ხვარაზმშას მობრძანებით თავისი დიდი მამის სამფლობელოში, ღირსეულ ძღვენს უგზავნის მის აღმატებულებას და უსურვებს სვესვიან მზეგრძელობას. საქართველოს ხელმწიფემ წარმოგვგზავნა მე, ქართველი თავადი, მარგველი და ჩემი მხლებელი ელჩები დიდებული სულტნის წინაშე, რათა განვუცხადოთ მას, რომ ჩვენს მბრძანებელს სურს ხვარაზმშასთან მეგობრული ურთიერთობისა და კეთილმეზობლური კავშირის დამყარება. _ მარგველმა თავი ისევ დახარა იატაკამდე, მერე უბიდან პერგამენტის გრაგნილი ამოიღო და სულტნის მდივანს გადასცა.

მუჰამედმა თავის ოდნავ დახრით გახსნა ბაგე და ღიმილი მოეფინა მის სახეს. ქართველთა ელჩს მადლი გადაუხადა საქართველოს მეფის ძღვენისა და კეთილი სურვილებისათვის და მარგველი თავის გვერდით, მოფარდაგებულ კიბის დაბალ საფეხურზე მდგარ, ბალიშებით გაწყობილ გრძელ ტახტზე დასაჯდომად მიიწვია. ქართველმა თავადმა მადლობა მოახსენა და დაჯდა.

სულტნის მდივანმა გრაგნილი გაშალა, წაიკითხა. წერილი მოკლე იყო და მარგველის მიერ ზეპირად თქმულს გადმოსცემდა უფრო მაღალფარდოვნად.

_ მსმენია თქვენი მეფის მაღალ წარმოშობასა და ძლიერებაზე, _ ტკეპნით დაიწყო სულტანმა, _ ისიც ვუწყით, რომ საქართველოს ხელმწიფეს ბევრი მეფე ჰყავს ყმად და მის სახელს ღირსეულ პატივს სცემენ აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამიტომ დიდად გვეკეთა მისი სურვილი, მოგვილოცოს ჩვენი დიდი მამის სამფლობელოში მობრძანება. ჩვენც აგრეთვე სურვილს გამოვთქვამთ _ დავამყაროთ საქართველოს მეფეთა მეფე გიორგისთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა.

მუჰამედი ერთხანს შეყოვნდა და ქართველთა ელჩს ქვეშ-ქვეშ გახედა.

_ ამბობენ, გურჯების ლაშქარი ჩვენს სამფლობელოს, ადარბადაგანს შემოსევიაო, _ განაგრძო ხვარაზმშამ და ელჩს თვალი თვალში გაუყარა, _ რატომ ინება ქართველთა მეფემ ჩვენს მიწა-წყალზე ომით შემოსვლა მაშინ, როცა ელჩების პირითა და თავისი უსტარით მეგობრობას გვიცხადებს?

_ მხოლოდ და მხოლოდ ადარბადაგანის ვერაგი ათაბაგის უზბეგის დასასჯელად ამხედრდა ჩვენი ხელმწიფე. დიდებულ სულტანს თავადაც კარგად მოეხსენება ადარბადაგანის ათაბაგის პირუმტკიცობა და ორგულობა, _ ელჩი წამით გაჩუმდა. სულტანს გამომცდელად შეხედა და უფრო ხმადაბლა განაგრძო, _ უზბეგმა ჩვენს ქვეყანას ბევრი ზიანი მიაყენა თავისი ორპირობით და ვერაგობით... თუ დიდებული სულტანი ინებებს, ჩვენი მეფე შეიპყრობს და ტყვედ მოჰგვრის მუხანათ უზბეგს.

ხვარაზმშას შეეტყო, რომ ეამა ქართველთა მეფის შემონათვალი, მაგრამ უზბეგზე სიტყვის გაგრძელება არ ისურვა და საუბარს ცოტა გეზი უცვალა.

_ სადამდე აპირებს ქართველთა მეფე ადარბადაგანის დალაშქვრას ან როდემდე ფიქრობს ჩვენს მიწა-წყალზე დარჩენას? _ იკითხა სულტანმა.

_ თუ თქვენი დიდებულების სურვილი იქნება, ქართველთა ჯარი დღესვე დაიწყებს ადარბადაგანიდან უკან დახევას და ორ-სამ დღეში თავისსავე მიწა-წყალზე დაბრუნდება.

_ თუ ქართველთა მეფეს სხვა განზრახვა არა აქვს და აღთქმას აღასრულებს, დიდად გვაამებს. როცა გიორგი მეფე თავისი ჯარით ჩვენს სამფლობელოს დატოვებს, მასთან მეგობრობის დასამყარებლად, ჩვენის მხრივ, დაბრკოლება აღარ იქნება.

_ დღესვე მალემსრბოლელს გავუგზავნი ჩვენს მეფეს, თქვენს სურვილს შევატყობინებ და ყოველივე ისე იქნება, როგორც დიდებულ სულტანს ნებავს და თავად ჩვენი ხელმწიფის წადილიც არის.

_ ჩვენთვის სასიამოვნო იქნება, თუ ქართველთა ელჩები ჩვენს კარზე დაჰყოფენ, ვიდრე ადარბადაგანიდან გურჯისტანის ლაშქრის წასვლა მოგვხსენდება. ხოლო, როცა გიორგი მეფე ამ ნაბიჯითაც დაადასტურებს ჩვენთა მეგობრობის სურვილს, ქართველთა ხელმწიფეს საპასუხო უსტარს მივწერთ, ჩვენს ელჩებს გამოგაყოლებთ და შესაფერ ნიჭსაც ვაახლებთ.

მუჰამედმა ხელი აღმართა და თავი დახარა.

ქართველი ელჩები მიხვდნენ, რომ ხვარაზმშამ მათთან საუბარი დაასრულა.

ფეხზე წამოდგნენ. სულტანს ეთაყვანენ და დარბაზიდან გავიდნენ.

ხვარაზმელთა მეწინავე ლაშქარი ბაღდადისკენ დაიძრა.

ახალი შემოდგომა იდგა. ჯერ კიდევ თბილოდა და ხვარაზმშას ლაშქარი საზაფხულოდ გამოწყობილი მიემართებოდა სახალიფოსკენ.

ბაღდადის ხალიფა მარტო იყო, მას არც რომელიმე მუსულმანური სამეფო პირდებოდა შველას ძლევამოსილი ხვარაზმშას შიშით, არც თვითონ შეეძლო იმდენი ჯარის გამოყვანა, რომ თითქმის მთელი აღმოსავლეთის მპყრობელ ლაშქარს წინ აღდგომოდა.

ხვარაზმელებმა იცოდნენ, რომ იოლი გამარჯვება ელოდათ და უფრო მეტს ბაღდადის საზღაპრო სიმდიდრის დატაცებაზე ფიქრობდნენ, ვიდრე ლაშქრობის სიძნელესა და ომის ბედზე.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა. ქურდისტანის მთებში, ესედაბადის უღელტეხილზე მოულოდნელად დიდი თოვლი მოვიდა და საშინელი ქარბუქი ამოვარდა. მსუბუქად ჩაცმულ სიცივისაგან გათოშილ ხვარაზმელებს გზა აერიათ, თოვლის კორიანტელში ვეღარაფერს ხედავდნენ, ცხენი და კაცი უფსკრულში ცვიოდა. ამ დღეში მყოფთ თავს ქურთის ტომები დაესხნენ, ხვარაზმელთა უმრავლესობა გაჟლიტეს და დიდძალი ალაფი წაიღეს.

ოცი ათასი კაცისაგან მაჰადანამდე მათხოვრებივით ტანფეხჩამოგლეჯილმა ლტოლვილთა მცირე ჯგუფმა ძლივსღა მიაღწია.

ხვარაზმშას მეწინავე ლაშქრის განადგურების ხმა ელვის უსწრაფესად გავრცელდა. ხალიფ ნასირმა ბუკსა ჰკრა და ქვეყანას ამცნო ალაჰის მიერ ხვარაზმშას თავზე მოვლენილი სასტიკი სასჯელი მუჰამედის ურწმუნოებისა და ხალიფის წმინდა უფლებების ხელყოფისათვის. სულტნის ლაშქრის განადგურებამ გაახარა ის მორწმუნე მუსულმანები, რომლებიც გულში არ თანაუგრძნობდნენ ხვარაზმის სულტნის მტრულ მოქმედებას აბასიანი ხალიფის წინააღმდეგ. ადრე შემოდგომაზე არნახული თოვლის მოსვლა და ქურდისტანის მთებში საშინელი ქარბუქის ამოვარდნა განგებას მიაწერეს. ალაჰმა სამაგალითოდ დასაჯა ხალიფის წმინდა უფლებების ხელმყოფი სულტანი და მტრის მძლავრობისაგან იხსნა ლოცვისა და ღვთის შეწევნის იმედზე დამყარებული საისლამოს სულიერი მამა _ ხალიფი ნასირიო.

მუსულმანთა შორის გავრცელებული ეს აზრი ხვარაზმშას ყურამდე აღწევდა. ისედაც ჯავრისაგან გულგახეთქილი მუჰამედი კიდევ უფრო ხელდებოდა. საგონებელში ჩავარდნილი სულტანი თავისი სიმართლის დასამტკიცებლად და ხალიფის დასამხობად ახალ ღონეს ეძებდა და მზად იყო ჯოჯოხეთის ძალებთანაც კი შეეკრა კავშირი, ოღონდ ნასირის ჯავრი ამოეყარა და მთელი საისლამოსათვის ალაჰის წინაშე თავისი უდანაშაულობა დაენახვებინა. თუმცა ხალიფის წინააღმდეგ ხვარაზმშას აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი მაინც მორწმუნე და ღვთისმოშიში იყო. ქურდისტანის მთებში დატრიალებული უბედურება ზოგჯერ მასაც განგებისაგან მოვლენილ სასჯელად ეჩვენებოდა და ხალიფაზე შურისძიებისათვის ხელ-ფეხს უბორკავდა.

ამ ყოყმანსა და ბჭობაში რომ იყო, მავერანარხიდან ამბავი მოუვიდა: ნაიმანები თურმე მის სამფლობელოში შესასევად ემზადებოდნენ.

ხვარაზმშამ მომთაბარეთა მოუსვენარი მეფის ქუჩლუკის ახალ მტრულ გამოსვლაშიაც ხალიფ ნასირის ხელი დაინახა და კიდევ უფრო გამწარდა.

სწორედ ორი დღის წინ მუჰამედს ქართველთა ლაშქრის მიერ ადარბადაგანის მიწა-წყლის დატოვება მოხსენდა. ხალიფზე გაბოროტებული ხვარაზმშა ქართველთა მეფის ამ ნაბიჯმა ასიამოვნა და მის ფიქრს ახალი მიმართულება მისცა.

მთელი ირანი და ადარბადაგანი ქართველთა ძლიერებაზე ლაპარაკობდა. თუ ქართველთა მეფეს მართლა ამდენი ძალა შესწევდა, ეგებ მისი მოკავშირობა უსარგებლო არ ყოფილიყო

ხვარაზმშა მუჰამედისათვის. ბაღდადის წინააღმდეგ მუსულმანთა ახალ ლაშქრობას მორწმუნეთაგან მხარდაჭერის ნაცვლად, გმობა და გაკიცხვა მოჰყვებოდა. უმჯობესი ჩანდა ბაღდადს ურწმუნოები შესეოდნენ. მუჰამედი სხვისი ხელით მოგლეჯდა ნარს და ბაღდადის ხალიფის ჯავრს ისე ამოიყრიდა, მის მიმართ ეჭვსაც ვერავინ აიღებდა. თავად ბაღდადის ხალიფი ამ წესით, ასე მუხანათურად მოქმედებდა ხვარაზმშას სამტროდ, ახლაც მან აუჯანყა და შეუსია მის სამფლობელოს მომთაბარე ნაიმანთა მეფე ქუჩლუკ-ხანი. „თვალი _ თვალისა წილ და კბილი _ კბილისა წილო“, _ ამბობს წინასწარმეტყველი და ღვთისათვის აუგი რად უნდა იყოს, თუ მუჰამედი თავის დაუძინებელ მტერს იმავე ხერხით გადაუხდის სამაგიეროს, როგორითაც ხალიფი ებრძვის მას.

ქართველთა ქრისტიანი მეფე მეგობრობას სთავაზობს ხვარაზმშას და რატომ არ უნდა გამოიყენოს მუჰამედმა გიორგი მეფის სწრაფვა დიდმპყრობელობისაკენ? თუ ქრისტიანი ქართველები ბაღდადს დაიპყრობენ და ხალიფს დაამხობენ, მაშინ მუსულმანთა ქომაგს და ისლამის ჯარის მეთაურს _ ხვარაზმშას არა მარტო უფლება მიეცემა დაიპყროს ბაღდადი, არამედ მუსულმანთა თვალში ვალდებულიც იქნება გაათავისუფლოს სამაჰმადიანოს „წმიდა ადგილები“ ქრისტიან ქართველთა მძლავრობისაგან.

თუ ქართველებთან წინასწარ ყველაფერი შეთანხმებული იქნება, მუჰამედი უსისხლოდ გაათავისუფლებს ბაღდადს. მაგრამ საქმე რომ ომზეც მიდგეს, მუსულმანთათვის ქრისტიან ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით აღმაფრთოვანებელი იქნება, ვიდრე მორწმუნეთა სულიერი მეთაურის _ ბაღდადის ხალიფის დასამხობად დაწყებული ლაშქრობა.

ნასირზე შურისძიების ჟინით შეპყრობილმა ხვარაზმშამ ყველაფერი კარგად ასწონ-დასწონა და ქართველთა ელჩი საიდუმლო მოლაპარაკებისათვის იხმო.

* * *

ქალაქის გულში ქართველთა ელჩებისათვის საგანგებოდ გამართულ მდიდრულ კარავში მარგველს ძილი არ ეკარებოდა. ხვარაზმშა მუჰამედთან ერთი შეხვედრისა და საუბრისაგან გარკვეული აზრი ვერ გამოიტანა გამოცდილმა ელჩმა, მუჰამედს ვერც წყენა შეატყო და ვერც სიხარული. სულტანი ადარბადაგანს თავის უნაპირო სამფლობელოს ნაწილად თვლიდა და, ბუნებრივია, ქართველების მიერ მისი დალაშქვრა არ ესიამოვნებოდა. მაგრამ დაკვირვებულმა ელჩმა ისიც შეიტყო, რომ მუჰამედს მოღალატე უზბეგის დასჯა არ სწყენია და, თუმცა ამ საგანზე არაფერი უთქვამს, ჩანდა, წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ თავხედ ათაბაგს შეპყრობილს მიჰგვრიდნენ ქართველები.

არც ის გამოპარვია მარგველს, როგორი კმაყოფილება გამოეხატა ხვარაზმშას სახეზე, როცა მოახსენა, რომ ქართველთა მეფე მზად იყო, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ადარბადაგანის მიწა-წყალი, თუ ამას ხვარაზმის სულტანი ინებებდა. ქართველ ელჩებთან ახალი შეხვედრის ვადად სულტანმა ის დღე დათქვა, როცა გურჯთა ლაშქარი ადარბადაგანს გაეცლებოდა.

სამი დღის წინ მარგველმა თავად აცნობა სულტნის ვაზირს, რომ ქართველთა ლაშქარი თავის მიწა-წყალზე დაბრუნდა. სამი დღე ცოტა ხანი როდია. უცდის მარგველი ხვარაზმშას წვევას, უცდის და მოლოდინით გული ელევა.

ჰამადანი არც ისე დიდი ქალაქია. ქალაქის შუა მოედანზე დგას საქართველოს ელჩთა კარვები. სულტანმა ერთხელ რომ მაინც გამოიხედოს თავისი სასახლიდან, არ შეიძლება ის კარვები არ დაინახოს და გურჯისტანის მეფის ელჩობა არ გაიხსენოს.

ხვარაზმშა ხედავს ქართველთა კარვებს, ალბათ, თავისი პირობაც ახსოვს, მაგრამ...

ჰამადანი ჭრელი ქალაქია. ზოგს ენა აქვს დიდი და ზოგს ყური...

ქართველი ელჩები ქალაქში იშვიათად დადიან, მაგრამ მათ კარვებამდეც მოაღწია ჩურჩულმა და მითქმა-მოთქმამ.

რას არ ამბობენ ეს მოსყიდული თუ მოუსყიდავი მსტოვრები თუ მოენეები. ეს _ ხვარაზმელთა ლაშქარი დაიღუპაო, ეს _ ხალიფის ლოცვამ გასჭრა და სულტანი ალაჰმა დასაჯაო.

ქართველმა ელჩებმა იმასაც მოჰკრეს ყური, ხვარაზმშას მალე მთელი საისლამო აუჯანყდება და ხალიფ ნასირს მიემხრობაო. ბოლოს ის ხმაც გავრცელდა, ხვარაზმის სამფლობელოს აღმოსავლეთ საზღვრებს რომელიღაც მომთაბარე ხალხი შეესია და ისიც ხალიფ ნასირის მომხრეაო.

ამ მითქმა-მოთქმაში ყველაფერი არც მართალი იქნება და არც ტყუილი. ელჩის მოვალეობა ისაა, ყოველივე გამოიძიოს, გამოიკითხოს და თავის მეფეს ყველაფერი ისე მოახსენოს, როგორც გაუგია და როგორც თვითონ ფიქრობს.

სულტნის ლაშქრის განადგურებაზე დარხეული ხმა ხალიფის მომხრეთაგან გაზვიადებული უნდა იყოს, მაგრამ ქართველმა ელჩებმა თავისი თვალით ნახეს ჩამოფლეთილი ლტოლვილები, რომლებიც მაწანწალა გლახებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ძლევამოსილი სულტნის ჯარისკაცებს. ტალახში ამოგანგლული, ქანცგაწყვეტილი ცხენებით ჩნდებოდნენ ლტოლვილები ჰამადანის ქუჩებში, პირდაპირ სულტნის სასახლისკენ მიეშურებოდნენ და იქ უეცრად ქრებოდნენ.

თუ ყოველივე მართალია, თუ ხვარაზმელთა ლაშქარი მართლა დაიღუპა ქურდისტანის მთებში და ხვარაზმშას სამფლობელოს აღმოსავლეთიდან ახალი მტერი შეესია, მაშინ ადარბადაგანიდან ქართველთა ლაშქრის წასვლა ნაადრევი ყოფილა. ლაშა-გიორგიმ, მარგველის რჩევით, გაიყვანა ადარბადაგანიდან თავისი ლაშქარი. ქართველებმა იმდენი სისხლისა და შრომის ფასად აღებული ციხეები დატოვეს და თავისი ნებით უკუიქცნენ. მარგველმა თავის ხელმწიფეს ძლევამოსილ ხვარაზმელებთან ომის თავიდან აცილების მიზნით ურჩია ადარბადაგანის გაცლა და, ვაითუ, ნაადრევად. თუ ხვარაზმის სულტანს ჯარიც დაეღუპა და ქვეყნის შიგნითაც საქმე აეწეწა, ამაზე კარგი შემთხვევა როდისღა ექნებათ ქართველებს თავიანთი დიდი ხნის ოცნების _ ადარბადაგანის დაპყრობის განსახორციელებლად! ახლა ხვარაზმელთაგან დამარცხებული უზბეგი მთებშია შელტოლვილი, ხოლო თუ ხვარაზმშას ბედიც ჩარხუკუღმა დატრიალებული აღმოჩნდება, ადარბადაგანი უპატრონოდ ყოფილა და ქართველების იქიდან წასვლა უბრალო შეცდომა კი არ იქნება, დანაშაულს ემგვანება...

კარავთან ცხენის ფეხის ხმა გაისმა, მერე ჩურჩულიც მისწვდა მარგველის ყურს. კარავში მონა შემოვიდა და ქართულად მოახსენა:

_ ხვარაზმელი დიდებული გეახლათ, თქვენს ნახვას თხოულობს.

* * *

ნაშუაღამევს ხვარაზმელი დიდებული ჰამადანის უკაცრიელი ქუჩებით წაუძღვა მარგველს. საიდუმლო გზითა და შესასვლელებით სულტნის სასახლეში შევიდნენ, მერე კიბეებით დაბლა დაეშვნენ და რკინის კარებით შეჭედილ პალატებთან შედგნენ.

რკინის კართან გაქვავებულმა მცველებმა გზა უხმოდ მისცეს და მარგველი სულტნის სამყოფელში შეუშვეს.

უეცარმა შუქმა თვალი მოსჭრა მარგველს. იატაკი და კედლები ძვირფასი ნოხებით იყო დაფარული. გრძელი ოთახის სიღრმეში აბრეშუმის ბალიშებზე წამოწოლილი სულტანი ჩანდა. სულტანს ფარჩის ხალათი ოდნავ მოეშილიფებინა. წინ პატარა მაგიდა ედგა ღვინითა და შარბათით, ხილითა და ტკბილეულით, კუთხეში სულტნის მდივანი იჯდა. წინ გაშლილი წიგნი და საწერ-კალამი ედო.

მარგველი შორიდანვე ეთაყვანა სულტანს.

_ ახლო მოიწი, გურჯო სტუმარო, დღეს შენთან სუფრაზე შექცევა და საიდუმლო ლაპარაკი მსურს.

იატაკამდე დახრილი მარგველი წამოდგა და ნელი ნაბიჯით მიეახლა სულტანს.

_ დაბრძანდი, ცოტა ვისეროთ და საქმეზეც ვისაუბროთ, _ წარმოსთქვა ხვარაზმშამ.

მარგველი სულტნის პირისპირ დაჯდა.

_ ქართველებს ღვინოს გიქებენ და მეც ჩვენებური ღვინით უნდა გიმასპინძლო, _ ღიმილით თქვა მუჰამედმა და ხელით ანიშნა მდივანს.

მდივანი წამოდგა, ოქროს თასი აუვსო ღვინით მარგველს, სურა ხელში შეაჩერა და მბრძანებელს მიაჩერდა.

_ მე მართლმორწმუნე მუსულმანი ვარ და ღვინოს ვერ ვეწყობი, მაჰმადის წესს ვიცავ და მხოლოდ შარბათს ვსვამ, _ ბოდიშის მოხდასავით თქვა სულტანმა და მდივანს ანიშნა შარბათი დაესხა.

მარგველმა კარგად იცოდა: მუსულმან მეფეებს საქვეყნოდ წინასწარმეტყველის წესების სასტიკად დაცვით მოჰქონდათ თავი, მაგრამ ღვინოს ვერ იკრძალავდნენ და სხვის დასანახად თუ არა, ფარულად მაინც, ზოგჯერ ქრისტიანებზე მეტადაც ეტანებოდნენ.

პირველად როდი იყო მარგველი უცხო მეფის სუფრაზე.

მეფის ელჩს სიფრთხილე მართებდა მუდამ. სასმელი ათასგვარია, შეიძლება ისე იყოს შეზავებული, ერთმა ყლუპმაც დაათროს კაცი, თავგზა აუბნიოს და ისეთი რამ ალაპარაკოს, რისი დაცდენაც სახელმწიფოს ღალატსა და საკუთარი ხელმწიფის გაცემას ემგვანება.

მარგველმა ღვინიანი თასი იქით მისწია.

_ მართალია, ვაზის ქვეყნიდან გახლავართ, მაგრამ სიყრმიდანვე ღვინის მოძულე ვარ, დიდებულო სულტანო... თუ თქვენი ნება იქნება, მეც მცირეოდენ შარბათს შევსვამდი სამწყურვალოდ...

_ შენი ნებაა, ოღონდ ეს იცოდე, შენი დათრობა არც მიფიქრია, რადგან შენთან ისეთ საქმეზე მსურს საუბარი, რომლის განსჯაც მხოლოდ ფხიზლად და საიდუმლოდ შეიძლება.

მუჰამედმა მდივანს ანიშნა, შარბათი დაესხა სტუმრისათვის. თავად ცოტა მოსვა და, თითქოს სხვათა შორის გაახსენდაო, ბალიშზე მიყრდნობილმა იკითხა:

_ რაოდენი ლაშქრის გამოყვანა შეუძლია თქვენს მეფეს?

მარგველი ამ შეკითხვას არ მოელოდა.

_ საკუთრივ ქართველთა ლაშქარი ასი ათასს აღემატება, მაგრამ როცა ჩვენი ხელმწიფე თავის ყმადნაფიცი მეფეების ჯარსაც მოირთავს ხოლმე, ბრძოლის ველზე ზოგჯერ ორი ამდენიც გამოჰყავს.

ქართველებს იმ დროისათვის ოთხმოციათასიანი ლაშქარი გამოჰყავდათ, ელჩმა ცოტა მოუმატა, მაგრამ გაზვიადებასაც მოერიდა, სულტანი არ დაიჯერებსო.

_ ასიათასიანი ლაშქრით გურჯისტანის მეფე ბაღდადს ადვილად დაიპყრობს. ხალიფს ტრაბახი და ფაფხური უყვარს, ვერაგობა და მუხანათობა ემარჯვება, თორემ საკმაო არც ჯარი ჰყავს და არც ლაშქრის გაძღოლა შეუძლია.

მარგველი სმენად იქცა.

_ ქართველთა ელჩს, ალბათ, მოეხსენება, რაოდენ უღირსად იქცევა ბაღდადის ხალიფა. იგი ჩემს მოსაკლავად ისმაილიტ ასასინებს ქირაობს და საიდუმლოდ მიგზავნის, მეზობელ ხელმწიფეებს მტრად მკიდებს და ჩემს ქვეშევრდომებს მიჯანყებს. იმამთა სრულიად საისლამოს კრებამ უკვე დაადგინა ნასირის გადაყენება და ისღა დაგვრჩენოდა, ლაშქარს წავძღოლოდით და ბაღდადი დაგვეჭირა. მაგრამ, ალბათ, გეცოდინება, ჩვენი სამფლობელო რაოდენ უნაპირო, ამჟამად სხვა უფრო საშური საქმე გამოგვიჩნდა და სატახტოში უნდა დავბრუნდე.

სულტანი ზვიადად ლაპარაკობდა, მორწმუნეთა განწყობილება და ქურდისტანის მთებში დაღუპვა არც ახსენა, ვითომც ანგარიშში ჩასაგდები არ იყო.

_ მუხთალი ნასირისთვის ახლა არა მცალია, მაგრამ ისე წასვლაც არ მინდა, ხალიფა არ დავსაჯო და დანაშაული არ ვანანო.

სულტანმა მუშტი შეჰკრა და ჰაერში მუქარით შემართა:

_ ქართველთა მეფეს ბაღდადისკენ გზას მივცემთ, ერაყის სატახტო აიღოს, ხალიფა გადააყენოს და შეიპყროს.

მარგველი გაფართოებული თვალებით შეჰყურებდა სულტანს, მის ბაგეთაგან ახლა ის ესმოდა, რასაც ყველაზე თამამი ოცნების დროსაც ვერ წარმოიდგენდა.

_ ალაფში წილს არ დავიდებთ, _ განაგრძობდა სულტანი, _ ბაღდადის დაპყრობისა და ხალიფის გადაგდების ან შეპყრობის შემდეგ ქართველთა მეფე ერაყს ჩვენ დაგვითმობს. მისი შრომისა და გარჯის სამუქფოთ ჩვენ ჩვენის მხრივ ადარბადაგანის დიდ ნაწილს მივცემთ მეფე გიორგის და ათაბაგ უზბეგს მას დავუმორჩილებთ.

სულტანი წამით შეჩერდა. მერე მარგველს თვალი გაუსწორა და ღიმილით იკითხა:

_ როგორ უყურებს ჩვენს გადაწყვეტილებას ქართველთა ელჩი?

სხვაგან რომ სადმე შეკითხვოდნენ, მარგველი აღტაცებული წამოიძახებდა, ეს მარტო თქვენი სურვილი კი არა, მთელი საქართველოს დიდი ხნის ოცნება არისო, მაგრამ სულტნის წინაშე თავი შეიკავა ელჩმა და თავისი მდგომარეობის შესაფერისად მოახსენა:

_ ჩემს აზრს ესოდენ დიდ საქმეზე მნიშვნელობა არ ექნება დიდებული სულტნისათვის. თუ თქვენი ნება იქნება, თქვენი სურვილი ჩვენს მეფეს მოხსენდება. ჩემი მხრივ, ვფიქრობ, რომ ქართველთა მეფისათვის სათნო იქნება თქვენი გადაწყვეტილება.

_ თუ შენც ასე ფიქრობ, ჩვენი განზრახვა თქვენს მეფეს აცნობე. ხვალ დილისათვის საქართველოს მეფის გადასაცემ წერილს მიიღებ ჩვენგან, თან ჩვენს ელჩებსაც გამოგაყოლებთ. თუ საქართველოს მეფე ჩვენს განზრახვას მოიწონებს, მისი დასტური მაცნობეთ; ლაშქრობისა და მომავალი საზღვრების პირობებზე კვლავ ჩვენთან შევთანხმდებით. დრო საშურია და გირჩევთ, ხვალვე გაემგზავროთ. ჩვენ, ალბათ, აქ ვეღარ ჩამოგვისწრებთ და ჩვენს ელჩებთან ერთად ხვარაზმს ჩამოხვალთ, ჩემს სატახტოში, მოლაპარაკების დასასრულებლად.

ხვარაზმელი ელჩების მოსვლამ და სულტან მუჰამედის წერილმა დიდად გაახარა ლაშა-გიორგი.

საიდუმლოდ შეკრიბა მცირე დარბაზი, დარბაზმა სულტნის წერილი გაიცნო და საქართველოს ელჩის _ მარგველის ნაამბობი მოისმინა. საქართველოს ძლიერებისათვის მზრუნველი, იერუსალიმის გამოხსნაზე და თამარის ანდერძის აღსრულებაზე მეოცნებე ვაზირები სიხარულით ცას ეწივნენ.

მეფემ წინ ახლო აღმოსავლეთის რუკები დაიდო. აშკარად ჩანდა, რა ხელსაყრელი პირობებიც იქმნებოდა ქართველთა ამ უდიდესი ლაშქრობისათვის.

ადარბადაგანისა და ერაყის უბრძოლველად გავლით და ბაღდადის აღებით, ქართველები დასავლეთიდან შევიწროებული ეგვიპტის ზურგში ჩნდებოდნენ დიდძალი ლაშქრით. თუ დასავლეთის ჯვაროსნებიც თავის მხრივ დამიეტიდან დაიწყებდნენ შეტევას, სალადანი და მისი მოკავშირეები ორ ცეცხლშუა აღმოჩნდებოდნენ, უკანდასახევი გზა აღარ ექნებოდათ და იარაღის დაყრის მეტი აღარაფერი რჩებოდათ.

რაკი ხვარაზმელთაგან ზურგი უზრუნველი ექნებოდათ, ქართველებს ბაღდადის აღება საძნელო საქმედ არ ეჩვენებოდათ. ერაყი მდიდარი ქვეყანა იყო, ხოლო ბაღდადის განძსა და ხალიფის სალაროზე მთელ საისლამოში ზღაპრებს ყვებოდნენ.

ხვარაზმშა ქართველთა მეფეს სახალიფოში აღებული ალაფიდან წილს არ სთხოვდა. ქართველები დიდი დავლის აღებას ელოდნენ, მაგრამ მათი ოცნება ამით როდი იზღუდებოდა.

პალესტინაში ქართველებს უამრავი მონასტერი ჰქონდათ და საქართველოს მეფეთა სიმდიდრის ნაწილი განუწყვეტლივ მიედინებოდა ამ კერებისაკენ უამრავი შესაწირავისა და ძღვენის სახით.

ქართველთა წინაშე გარკვეულად ისახებოდა იერუსალიმისა და მთელი პალესტინის არა მარტო განთავისუფლების, არამედ დაპყრობის შესაძლებლობა. ის, რაც ადრე ოცნებისთვის მიუწვდომელი იყო, ახლა ადვილად განსახორციელებლი ჩანდა და საქართველოს სამეფოს მესვეურებს თავდადებისა და გმირობისათვის ფრთებს ასხამდა.

ქართველებმა მოიწონეს ხვარაზმშა მუჰამედის წვევა. მისი ელჩები დაასაჩუქრეს, სულტანს ფასდაუდებელი ძღვენი აახლეს და თან ქართველთა ელჩები გააყოლეს ისევ მარგველის მეთაურობით.

ამჟამად დესპანებს შორის რამდენიმე სარდალი და სამხედრო საქმის მცოდნეც იყო.

> თემუჩინის ეს ოთხი ქოფაკი ადამიანის ხორცითაა გამოკვებილი. მან ეს ქოფაკები ჯაჭვით დაბა. მათ რკინის შუბლები, დალესილი კბილები, სადგისისებური ენები და ქვის გულები აქვთ. მათრახის ნაცვლად მათ მოღუნული ხმლები უპყრიათ ხელთ; ისინი დილის ნამს სვამენ და ქარს დაჭენებენ. ომში კაცის ხორცს სჭამენ. ახლა ეს ქოფაკები აუშვეს, პირს დორბლი მოსდით და გახარებული არიან. ეს ოთხი ქოფაკია: ჯებე, ყუბილაი, ჯელმე და სუბუდაი.
>
> **მონგოლური ეპოსიდან**

იერუსალიმზე დიდი და შორეული ლაშქრობისათვის საჭირო იყო მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარის კარგად აღჭურვა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

ყოველივე ეს დიდ ხარჯსა და ზრუნვას მოითხოვდა.

მეფემ საჭურჭლე გახსნა და მთელი ქვეყანა სალაშქროდ კაზმვასა და მზადებას შეუდგა.

ქართველები რომ ამ ყოფაში იყვნენ, აღმოსავლეთში რაღაც დიდი და საშინელი ამბები ხდებოდა.

საქართველოს სამხრეთ ქვეყნები განაბულნი და მიჩუმებულნი იყვნენ. ეს სიჩუმე დიდი ქარიშხლის წინა სიჩუმეს ჰგავდა, ტყეზე რომ ხვატი ჩამოწვება ხოლმე, ჰაერი შეიხუთება და ფრინველები ჟივილ-ხივილს სწყვეტენ. ამ სიჩუმეში ყველაფერი დიდი გრიგალისა თუ ხანძრის მოახლოებას მოასწავებდა. როგორც ფრინველები და ცხოველები გრძნობენ ხანძრისა თუ გრიგალის მოახლოებას და თავს გაქცევით შველიან, ისე ვაჭართა ქარავნები, მლოცველთა და მოხეტიალე დერვიშთა გუნდები დაიძრნენ შუა აზიიდან ახლო აღმოსავლეთში მყუდრო თავშესაფრის საძებნელად.

ჯერ შორეული ხანძრის ბოლი არ ჩანდა, არც დიდი ავდრის ღრუბლები აბნელებდა მოწმენდილ ცას, მაგრამ ხანძრისა თუ წარღვნის სიახლოვე და გარდუვალობა ყველგან და ყველაფერში იგრძნობოდა.

მჩხიბავები და რამლისმყრელები ვარსკვლავთა უცნაურსა და უჩვეულო ურთიერთმიმართებაში მომავალი უბედურების გარდუვალობას კითხულობდნენ, ხოლო მაწანწალა დერვიშთა, მკითხავ-ქადაგთა „წინასწარმეტყველებით“ შეშინებული უბრალო ხალხი ყოველ უჩვეულო მოვლენას ღვთიური განგების გამოცხადებად და მომავალი საშინელების მომასწავებლად თვლიდა.

შუა აგვისტოში ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდა. იგი პირველად კვირაძალს შენიშნეს. ვარსკვლავის კუდის სიგრძე და შუქი დღითიდღე იზრდებოდა და მატულობდა.

ეს უცნაური ვარსკვლავი ჯერ დილდილობით ჩნდებოდა, შემდეგ მხოლოდ შუადღისას ჩანდა და ბოლოს საღამოობითღა ენთებოდა.

მნათობი აღმოსავლეთიდან ამოდიოდა. პირველად მისი შუქი ძლივს აღწევდა დედამიწაზე, მერე თანდათან იმატა და იმდენად გაბრწყინდა, რომ მხილველები შიშმა და ძრწოლამ მოიცვა.

საშინელი ვარსკვლავის სხივები საოცარი სისწრაფით იზრდებოდნენ და დამაბრმავებლად კაშკაშებდნენ.

მნათობი გაივსო, ლახვრის სახე მიიღო და შუქით სხვა მნათობებს ელვარება დაუკარგა.

ამ ვარსკვლავის გამოჩენის წინაშე შიშს ზედ ახალი უბედურება დაემატა: მთელ სამეფოში უდიდესი მიწისძვრა მოხდა წირვის დროს, სომხეთის ერთი ტაძარი დაინგრა, ქვეშ ოთხი ხუცესი მოჰყვა და ოთხივე ცოცხლად დაიმარხა.

ეკლესიამაც და ეტლის მჩხრეკელებმაც ორივე ეს ნიშანი იმის მომასწავებლად აღიარეს, რომ მტრის ლახვარი ქვეყნის მშვიდობას დაარღვევდა.

* * *

მშვიდობა და ზავი კი საქართველოსაგან შორს კარგა ხნის დარღვეული იყო.

თვალუწვდენელი ველებიდან და უღრანი ტყეებიდან გამოსული, დაუჭედელ ცხენებზე ამხედრებული უცნობი ხალხი უდაბნოს ქარივით მოდიოდა და მთელ მსოფლიოს წალეკვას უქადდა.

ამ ველურ ხალხს სათავეში ჭკვიანი და გამჭრიახი მხედართმთავარი ედგა. თათარ-მონგოლთა სასტიკსა და ულმობელ მბრძანებელს ჩინგიზ-ხანს ბავშვობა გაჭირვებასა და განსაცდელში გაეტარებინა, გზა საკუთარი ნიჭითა და ვაჟკაცობით გაეკაფა, წინააღმდგომნი დაემარცხებინა, მოესპო და მანამდე მომთაბარე ტომები ერთ უძლეველ ძალად გაეერთიანებინა.

ამ ხალხმა ომისა და ნადირობის გარდა არა იცოდა რა. ცხენზე არ იბადებოდნენ, თორემ მთელ სიცოცხლეს ცხენოსნობაში ატარებდნენ, უმაგრესი მშვილდით უცდომლად ისროდნენ და მათ ნაკრავ ისარს ვერავითარი საჭურველი ვერ უდგებოდა.

თვითონ წერა-კითხვის უცოდინარმა, მომთაბარე ხალხის მეთაურმა ჩინგიზმა მონგოლთა ძლიერი და ორგანიზებული მხედრობა შექმნა. ამ მხედრობით მაშინდელი აღმოსავლეთის უძლეველი არმიები გაანადგურა, ქალაქები მიწასთან გაასწორა, მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები დალეწა და ტახტზე მორჭმით მჯდომარე ხელმწიფეები დაამხო.

მონგოლებმა ჯერ ციმბირში მცხოვრები ხალხები დაიმორჩილეს, შემდეგ უიღურებზე გაბატონდნენ და ბოლოს ხატაეთს შეესივნენ.

ამის შემდეგ შუა აზიის ქვეყნების ჯერი დადგა.

თათართა ურდო გრიგალივით მოდიოდა და ყოველგვარ ზღუდეს მიწის პირისაგან გვიდა. იქ, სადაც ალყა და მუქარა არ სჭრიდა, სიმაგრეებს მანქანებით დიდრონ ქვებსა და ცეცხლმოკიდებულ ნავთიან ქოთნებს უშენდნენ, ანგრევდნენ ან ხანძარს უჩენდნენ, ხოლო, სადაც არც ერთი შველოდა და არც მეორე, სარწყავი არხების რაბებსა და საგუბრებს ხსნიდნენ და ქალაქებს მოვარდნილ წყალში სძირავდნენ.

* * *

ჰამადანიდან დაბრუნებული ხვარაზმშა ერთხანს ნიშაპურს შეჩერდა. მალე იქიდანაც აიყარა და ბუხარას მივიდა.

საქართველოს ელჩებიც სულტნის გზას დაადგნენ და მათაც ბუხარაში ამოჰყვეს თავი.

გრძელი და ძნელი გზით დაღლილმა ქართველებმა შესვენება არ ისურვეს და ბუხარაში ჩასვლისთანავე სულტნის ნახვა მოინდომეს.

ახალ ამბებსა და გარემოში გაურკვეველი ქართველები, სულტნის ნახვის პირველი ცდისთანავე მიხვდნენ, რომ ხვარაზმშას მათთვის არ ეცალა და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით იყო გართული.

ქართველებს, სხვა მრავალი ქვეყნის ელჩებსავით, ბინა მიუჩინეს და უთხრეს, სულტნისაგან წვევას დალოდებოდნენ.

მას შემდეგ, რაც თბილისიდან წამოვიდნენ, ისედაც დიდი დრო გასულიყო.

მარგველმა იცოდა, რომ მისი ქვეყნისათვის ყოველი დღე ძვირად ღირდა. ბაღდადსა და იერუსალიმზე ლაშქრობას წარმატება მაშინ ექნებოდა, თუ ქართველები მანამდე შესძლებდნენ მუსულმანთა ზურგში გამოჩენას, სანამ ეგვიპტეს დასავლეთიდან უტევდნენ ჯვაროსნები.

საიდან არ უტრიალა მარგველმა ხვარაზმშას კარს, როგორ არ ეცადა, მაგრამ ვერ იქნა და სულტანთან ვერ შეაღწია. სამაგიეროდ, ბევრი ისეთი საიდუმლო გაიგო, რასაც არა მარტო ხვარაზმისათვის, არამედ საქართველოს მომავლისათვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

_ სულტანს თავის დედასთან თურქანხათუნთან გაუთავებელი ჩხუბი და უთანხმოება აქვს. თურქმანთა და ყივჩაღთა ჯარი თავიანთ დედოფალს _ თურქანხათუნს ემორჩილება, დედოფალი შვილისაგან დამოუკიდებლად მართავს ქვეყანას და სულტნის აზრსა და სურვილს ანგარიშს არ უწევსო, _ საიდუმლოდ გაანდეს ურგენჩელმა ვაჭრებმა მარგველს და ნათქვამი უამრავი მაგალითით დაამოწმეს.

_ არც ბუხარასა და სამარყანდში უყვართ სულტანი მუჰამედიო, _ ჩურჩულით უთხრეს ბუხარელმა მოქალაქეებმა ქართველთა ელჩს და ამ ყურმოკრულითა და საიდუმლოდ

განდობილი ამბებით მარგველს თანდათან თვალი ეხილებოდა. იგი ხედავდა, რომ სულტნის გარეგნული ბრწყინვალებისა და ძლიერების იქით მისი ძალაუფლების სისუსტე და ქვეყნის დაღუპვის მომასწავებელი შფოთი იმალებოდა.

ბუხარა სავსე იყო უამრავი მექარავნითა და ვაჭრებით, რომლებიც ქვეყნის ყოველ კუთხეში მოგზაურობდნენ. ისინი მომავალ დიდ ომებზე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ყოველ გზაჯვარედინზე ყვებოდნენ მანამდე უცნობ მონგოლ ხალხზე, რომელსაც თავისი უძლეველი მეფის მეთაურობით ჩინისა და მაჩინის ქვეყნები დაეპყრო და ახლა ხვარაზმის საზღვრებს მოდგომოდა.

ბუხარაში აღმოსავლეთიდან მომავალ ქრისტიანებსაც გადაეყარა მარგველი, ნესტორის წესის აღმსარებელი ქრისტიანები კარავში მიიპატიჟა და ქართულად გაუმასპინძლდა. ნესტორიანელმა ხუცესებმა სასიხარულო ამბავი უამბეს ქართველებს:

_ მონგოლ-თათართა მბრძანებელი ჩინგიზ-ყაენი ქრისტეს სარწმუნოების დამცველია. ქრისტეს რჯულის აღმსარებლებს არსად ისეთი პატივისცემით არ ეპყრობიან, როგორც მონგოლთა ყაენის კარზე. ჩინგიზ-ყაენმა თავისი შვილები, რძლები და დიდებულები ქრისტიან მღვდლებს მოანათვლინა. მალე საისლამოს შემოესევა, მუსულმანებს მოსპობს და ყველგან ქრისტეს სარწმუნოებას გააბატონებსო.

შორეულ აღმოსავლეთში ძლიერი ქრისტიანი მეფის გამოჩენა, მართლაც, სასიხარულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მონგოლთა სამფლობელოდან გამოსულთ რომ უსმენდა, ერთი შენიშნა მარგველმა: ქრისტიანებიც თავიანთი სარწმუნოების ქომაგად და დამცველად აცხადებდნენ მონგოლთა მბრძანებელს და მუსულმანებიც; ან ერთნი სტყუოდნენ, ან მეორენი. ან კიდევ ორივენი მოსყიდულნი იყვნენ და მონგოლთა დავალებით მოქმედებდნენ.

* * *

ხვარაზმშას სასახლეს მონგოლთა ელჩები მოადგნენ. ჯიშიან ცხენებზე ამხედრებულ ელჩებს უკან მონგოლთა მბრძანებლის ძღვენით დატვირთული უთვალავი აქლემი, ორთვალა და ურემი მოჰყავდათ.

ბუხარელებს იმდენი საზღაპრო და დაუჯერებელი რამ სმენოდათ მონგოლებზე, არ ეგონათ, თუ ოდესმე საკუთარი თვალით ნახავდნენ ამ ხალხს.

მთელი ქალაქი სეირის საყურებლად გამოსულიყო და გზის ორივ მხარეს ცნობისმოყვარეთა ცოცხალი კედელი იდგა.

მდიდრულად გამოწყობილი ელჩები ჩინგიზ-ყაენთან დაახლოებული მუსულმანები იყვნენ. ბევრ ბუხარელს ისინი მანამდისაც ენახა ხვარაზმის საქარავნო გზებზე, ამიტომ მათ იმდენად არაფერი აკვირვებდათ.

ცნობისმოყვარენი იმ ელჩების უკან მომავალ მონგოლებს უცქერდნენ გაოცებულნი.

_ ცხვირი სულ არა აქვთ, მარტო ნესტოები ატყვიათ.

_ რამოდენა თავები აქვთ და შუბლები კი არც მოუჩანთ.

_ თვალები როგორ მიწურვიათ, ყვრიმალებამდე აქვთ გაზიდული...

_ ტანად რასა გვანან, წელს ზევით ახოვნები არიან, მაგრამ წელს ქვემოთ ჯირკებზე ამოსულები გეგონება.

გაიძახოდნენ გაოცებული ბუხარელები და, როგორც ბუნების დაუჯერებელ საკვირველებას, ისე შეჰყურებდნენ ცხენებზე არხეინად გადამჯდარ თუ ფეხით მიმავალ მონგოლებს. მარგველი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის წინ მიმავალი ურმებისა და ორთვალების, ცხენებისა და აქლემების დაუსრულებელ ქარავანს. ერთხანს სცადა აქლემების დათვლა, მაგრამ ორასამდე რომ მიატანა, მერე ანგარიში დაკარგა და ისიც უცხო ტომის საოცარ ადამიანებს მიაშტერდა.

სად არ ყოფილა მარგველი, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, რა ჯურის და გარეგნობის ხალხი არ უნახავს, მაგრამ მსგავსი ადამიანები ჯერ არსად შეხვედრია.

მონგოლები იქეთ-აქეთ არც იხედებოდნენ, თითქო რული მორევიათო, თვალები თითქმის მოხუჭულივით ჰქონდათ და მოკლე ფეხებით მძიმედ მიაბიჯებდნენ.

ღონიერ, კისერწაგრძელებულ ცხენებს ვეება ფაშვები მაკეებსავით ძირს დაეშვათ და ნალდაუკრავ ფლოქვებს ღონივრად ადგამდნენ.

ელჩებიცა და მათი მხლებლებიც ბრწყინვალედ იყვნენ აღკაზმულნი.

მონგოლებს მარტოოდენ მშვილდები და ისრებით სავსე კაპარჭები ჰქონდათ გადაკიდებული. სხვა იარაღი არ მოუჩანდათ და მშვიდი, კმაყოფილი იერით უფრო სანადიროდ ან საქეიფოდ მიმავალთ ჰგავდნენ.

* * *

სამი დღის შემდეგ მონღოლთა ელჩებმა ბუხარა დატოვეს. სასახლიდან მონგოლთა ძღვენის ზღაპრული სიმდიდრის ხმა გამოვიდა. პატიოსანი თვლებისა და ძვირფასი ქსოვილების ანგარიშს რომ ჰყვებოდნენ, გაკვირვებას ვერ მალავდნენ, მაგრამ ხვარაზმელთა აღფრთოვანება საზღვარს კარგავდა, როცა აქლემის კისრისოდენა ოქროს ზოდზე მოუთხრობდნენ. ეს ძღვენი თურმე სიმდიდრითა და ქონებით უზომოდ განებივრებულ სულტანსაც განსაცვიფრებლად ჩვენებია, ხოლო მის მეჭურჭლეებსა და კარისკაცებს ბუნების სასწაულად ჩაუთვლიათ.

ხვარაზმშას პალატებიდან იმ საიდუმლომაც გამოჟონა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი მსოფლიოს შემდგომი მომავლისათვის: უსაზღვროდ განდიდებული სულტანი თავის წერილში მონგოლთა მბრძანებელს თურმე შვილად მოუხსენებია. ხვარაზმშას მისი უდიდებულესობისადმი მსგავსი მიმართვა შეურაცხყოფად მიუღია და განრისხებულა.

ამ მრისხანების ნაყოფი სულ მალე გახდა ყველასათვის დასანახი. პირველი ელჩობის შემდეგ ჩინგიზ-ყაენმა ხვარაზმისკენ დიდი ქარავანი გაგზავნა. ოთხასორმოცდაათი კაცი მიჰყვებოდა აურაცხელი სიმდიდრით დატვირთულ ქარავანს.

ქარავანი ხვარაზმის სამფლობელოში, ქალაქ ოტრარში შეჩერდა.

ქალაქის მმართველი ქაირხანი მონგოლთა ქარავნის სიმდიდრეს დახარბდა, ვაჭრები დაატუსაღა, საქონელი წაართვა და ხვარაზმშას აცნობა, რომ მექარავნეებად შემოგზავნილი მსტოვრები შეიპყრო.

მუჰამედმა ბევრი არ გამოიძია და უბრძანა, მექარავნე მონგოლები დაეხოცათ.

უზომოდ შეურაცხყოფილმა და სასტიკად განრისხებულმა ჩინგიზ-ყაენმა სულტანს მუქარის წერილი მისწერა და სამი დესპანის პირით თავისი პირობების დაკმაყოფილება მოითხოვა.

* * *

მარგველი გუმანით ხვდებოდა, რომ ხვარაზმშას სასახლეში რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი ხდებოდა. მალემსრბოლები ყოველდღე მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ.

ქართველთა ელჩმა მონგოლთა ქარავნის გაჟლეტის ამბავი რომ შეიტყო, ასი ყური და ასი თვალი გამოისხა.

მონგოლთა უკანასკნელი ელჩების მოსვლა საკუთარი თვალით ნახა. ფარჩასა და სტავრაში გამოწყობილი სამი მუსულმანი ვაჭარი ცხენდაცხენ მიადგა სასახლის გალავნის კარს. სამთავეს წვერი წელამდე სცემდა.

ალაყაფის კარი გაიღო და ისევ დაიკეტა.

დიდი ხანი არ გასულა, იმავე კარიდან ტანსაცმელშემოხეული და წვერშეჭრილი ელჩები ისევე ცხენდაცხენ გამოვიდნენ. მხოლოდ ამჟამად სამის ნაცვლად მარტო ორი ელჩი ბრუნდებოდა და ისიც სულტნის შეიარაღებული მცველებით გარშემორტყმული.

ცხენოსნებმა ჭენებით გაიქროლეს.

მარგველმა შეშფოთებით გააყოლა თვალი ჰაერში ამდგარი მტვრის ფარდის იქით მიმქროლავ ცხენოსნებს...

იმ საღამოს გვიან გაიგო: ჩინგიზის მუქარით განრისხებულ ხვარაზმშას მონგოლთა მთავარი ელჩი იქვე მოეკვლევინებინა, ხოლო დანარჩენი ორისთვის წვერი შეეკრიჭათ და, სულტნის ბრძანებით, ჩინგიზისთვის ამბის წასაღებად უკანვე გაეშვათ.

ახლოვდებოდა მრისხანე ჟამი _ განკითხვის დღის კვირაძალი. ხვარაზმის სამეფო, ნებით თუ უნებურად, უდიდეს ომში ებმებოდა და მის კარს არათუ საქართველოს ელჩებთან მოსალაპარაკებლად, სულტნის დაუძინებელი მტრის _ ხალიფ ნასირზე ფიქრისთვისაც აღარ ეცალა.

უცხო ქვეყნების ელჩებს ცალ-ცალკე გამოუცხადეს, რომ სულტანი შორეული ლაშქრობისათვის ემზადებოდა, ბუხარას მალე დატოვებდა და ელჩებთან სათათბიროდ დიდხანს ვერ მოიცლიდა.

ბუხარაში მყოფმა მრავალი ქვეყნის დესპანმა გუდა-ნაბადი აიკრა და სამშობლოს მიაშურა.

ქართველთა ელჩებიც უკანვე დაადგნენ საქართველოსკენ მიმავალ გრძელ გზას.

* * *

განრისხებული მონგოლთა მბრძანებელი ხვარაზმს შეესია.

უკვე მიმხცოვნებული, განცხრომას შეჩვეული ხვარაზმშა მუჰამედი მტრის წინააღმდეგ უნებისყოფოდ და დაბნეულად მოქმედებდა. იმის მაგივრად, რომ დიდძალი ჯარით მონგოლებს პირისპირ შებმოდა, მუჰამედმა ცალკე ქალაქების გამაგრება არჩია და მთელი იმედი თავისი უზარმაზარი სამფლობელოს უნაპირობასა და ქალაქების სიმტკიცეზე დაამყარა.

მონგოლები ცოცხლად ჩავარდნილ ტყვეებს სიმაგრეებზე იერიშისას წინ იმძღვარებდნენ, ასაღები ქალაქის მცხოვრებთ ერთიმეორესვე აჟლეტინებდნენ, დახოცილთა გვამების გორებს ზღუდეებზე მაღლა დგამდნენ, ზედ „ურრასა“ და „ყუყუს“ გიჟური კივილით გადარბოდნენ და ალმოდებულ ქალაქებს ხელჩართული ბრძოლით იღებდნენ.

დაპყრობილი ქალაქების მოსახლეობას უმეტეს შემთხვევაში მთლად ერთიანად, დიდიან-პატარიანად ჟლეტდნენ, ქალებს ჯენ ნამუსს ხდიდნენ და მერე ხოცავდნენ. ტყვეთაგან მხოლოდ ხელოსნებს ინდობდნენ, სამყოფთაგან ჰყრიდნენ და ზურგში მიერეკებოდნენ.

მკვდრებსა და ცოცხლებს, ყველას ერთნაირად ძარცვავდნენ. ყველაფერი, რისი წაღებაც შესაძლებელი იყო, თან მიჰქონდათ, დანარჩენს სპობდნენ და ანადგურებდნენ.

ქალაქებს რომ მიადგებოდნენ, წინააღმდეგობის გაუწევლობასა და მორჩილებას თხოულობდნენ. მაგრამ ნებით დამორჩილებულებსაც ისეთივე სისასტიკით უსწორდებოდნენ, როგორც წინააღმდეგობის გამწევთ.

მონგოლთა უძლეველობისა და სისასტიკის ხმა სწრაფად გავრცელდა და ხალხებს გარდუვალი უბედურების წინაშე შიში და ძრწოლა მოედო. მეფეთა და ამირათაგან ბედის ანაბარა მიტოვებული ქალაქები ზედიზედ ეცემოდნენ. მოსახლეობის თავგანწირვა ამაო და უშედეგო იყო ფეოდალების გამცემობისა და ძლევამოსილი მტრის მოძალების წინაშე.

ქვეყნის თავდაცვაში გეგმიანობა, ერთი აზრი და ნება არ იყო.

ლტოლვილმა ხვარაზმშამ ამუდარიაზე გადასვლისას გაიგო ბუხარისა და სამარყანდის დაცემა. შეშინებულსა და დაბნეულ მუჰამედს სწორედ ამ დროს აცნობეს საიდუმლოდ კიდევ უფრო საშინელი ამბები: დიდებულები შეთქმულიყნენ და მას მოკვლას უპირებდნენ. შეთქმულების გამცემისაგან გაფრთხილებულმა ხვარაზმშამ კარავი დატოვა და ღამე სხვა ადგილას გაათია.

დილით კარავი ისრებით დაცხრილული ნახეს.

ღალატითა და მტრის მოახლოებით შეშინებული მუჰამედი სამეფო სიღრმისკენ ივლტოდა, დიდებულთა და ახლობელთაგან აღარავის ენდობოდა, ყველას ეჭვით უცქერდა და ყველას რჩევა მტრულ განზრახვად ეჩვენებოდა.

არც ერთ ადგილას დიდხანს არ ჩერდებოდა, მისული არ იყო, რომ კვლავ იყრებოდა და ქალაქის მესვეურებს საჩქაროდ ზღუდისა და ციხე-გალავნის გამაგრებას ურჩევდა.

მოსახლეობას მეფის ეს რჩევა და სწრაფი აყრა მოსალოდნელი უბედურების შიშს უორკეცებდა და გადარჩენის იმედს უკარგავდა.

ჩინგიზ-ხანმა ლტოლვილ ხვარაზმშას თავისი ორი მხედართმთავარი _ ჯებე ნოინი და სუბუდაი ბაღათური დაადევნა, თითო დუმანი ჯარი მისცა და მკაცრად უბრძანა:

_ კვალში ჩაუდექით და მისდიეთ ხვარაზმშას. სადაც წამოეწევით, თუ შეატყობთ, რომ მორევნის ძალა არ შეგწევთ, დაუყოვნებლივ მაცნობეთ; თუ სუსტი იყოს, შეებით და სძლიეთ! რაკი მისი შიშისა და ძრწოლის ამბავი გამუდმებით მოდის, ეტყობა, უძლურია ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ვიდრე ხვარაზმშას ხელთ არ იგდებთ, უკან არ დაბრუნდეთ. უკეთუ თქვენი დევნით ქანცგაწყვეტილი ხვარაზმის მბრძანებელი რამდენიმე კაცით მიუვალ მთაში, ან მიუდგომელი კლდის ხვრელში დაგემალებათ, ან ადამიანის თვალთაგან უხილავი სულივით გაქრება, მის სამფლობელოში ქარიშხალივით შეიჭერით და გრიგალივით დალეწეთ ყოველი!

ჩინგიზ-ხანის ნაცადი ქოფაკები ჯებე და სუბუდაი ქალაქს ქალაქზე იღებდნენ, კვალდაკვალ მისდევდნენ ლტოლვილ მუჰამედსა და სულის მოთქმას არ აცლიდნენ.

იმდენად ჩქარა მოქროდნენ ხვარაზმშას მდევრები, რომ ზოგჯერ ცეცხლის დანთებისა და ხორცის მოხარშვისათვის დრო არ რჩებოდათ.

სასოწარკვეთილი ხვარაზმშა ხან ერთ კუთხეს აწყდებოდა, ხან მეორეს, ხან ბაღდადში ფიქრობდა თავის შეფარებას, ხან გილანში. ყოყმანსა და ბჭობაში მონგოლები ეწეოდნენ და მუჰამედი კვლავ თავგზააბნეული გარბოდა.

ბოლოს, მაზანდარანის დიდებულებმა ხვარაზმშას კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გახიზვნა ურჩიეს. მუჰამედი რჩევას დაჰყვა და ერთხანს კუნძულზე დაიმალა.

მდევრების მეწინავე ჯარმა მუჰამედის კვალი ზღვასთან დაკარგა. ამ დევნაში მონგოლებმა ხვარაზმშას ჰარემისა და საჭურჭლის ადგილსამყოფელს მიაკვლიეს, უკან შემობრუნდნენ, მუჰამედის ცოლები და განძეულობა ხელთ იგდეს და ნაალაფარი მთლიანად ჩინგიზ-ხანს აახლეს.

ისეც სიცოცხლემოძულებულ ხვარაზმშას ამ საშინელი ამბის გაგონებამ ბოლო მოუღო.

ერთ დროს ამაღლებულსა და სვესვიან ხელმწიფეს, უზარმაზარი და უმდიდრესი ქვეყნის განუყოფლად მფლობელ მუჰამედს, უკაცურ კუნძულზე ამოხდა სული.

რაც უფრო ცუდად მიდიოდა ხვარაზმელების საქმე, რაც უფრო ახლოვდებოდა მონგოლთა ურდოების ყოვლის წამლეკავი ტალღა, მით უფრო იბნეოდნენ და სასოწარკვეთას ეძლეოდნენ იმ ქვეყნების მეთაურნი, რომლებსაც მონგოლთა ეს შეუჩერებელი ტალღა უნდა მოსწყდომოდა.

ჩინგიზის ჯაშუშებმა მთელ აღმოსავლეთს მოჰფინეს ხმა: ღმერთმა სრულიად ქვეყანა მისცა დასაპყრობად მონგოლთა მბრძანებელს, იგი ღვთის განგებით მოქმედებს, მის დავალებას ასრულებს და ამაოა მისთვის წინააღმდეგობის გაწევაო.

მონგოლთა დაუჯერებელი გამარჯვებებით შეშინებულნი, მათი ხმლის უძლეველობის წინაშე მოცახცახე უნებისყოფო სულტნები და ათაბაგები განწირულნი გაიძახოდნენ: ცოდვათა და უსჯულოებათა ჩვენთათვის მიგვცა ღმერთმა მოსპოლვად უცხო ტომსო. გონდაკარგულნი და დამფრთხალნი სრულ უმოქმედობას იჩენდნენ მრისხანე და დაუნდობელი მტრის წინაშე.

ხვარაზმიდან დაბრუნებული ელჩების ნაამბობმა ქართველებს ბაღდადის დაპყრობის რწმენა კიდევ უფრო განუმტკიცა.

უნაპიროსა და ძლევამოსილ ხვარაზმს მონგოლთა ურდოები ანგრევდნენ და ანადგურებდნენ. ბაღდადისაკენ დაძრულ ქართველებს საისლამოს მხრივ შიში აღარაფრისა უნდა ჰქონოდათ, ადარბადაგანსა და ირანის ერაყს პატრონი აღარ ჰყავდა.

რუმის სულტანი ბიზანტიის ნამსხვრევებთან გამუდმებული ომებით იყო გართული. ბაღდადსა და იერუსალიმზე დიდი და შორეული ლაშქრობისათვის ქართველები უკეთეს პირობებს ვეღარ ინატრებდნენ.

საჭირო იყო დროის მოგება, განზრახულის დროზე განხორციელება, სანამ სამაჰმადიანო კიდევ გამოფხიზლდებოდა, ან აღმოსავლეთსა და დასავლეთში შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობა შეიცვლებოდა.

ქართველები ჩქარობდნენ, თავიანთი დიდი ხნის ოცნების ხორცის შესასხმელად გამალებულნი ემზადებოდნენ. ეს სამზადისი ორი ხაზით მიმდინარეობდა. ერთის მხრივ, საკუთრივ ქართველთა და მათი მორჩილი ქვეყნების ჯარების შეიარაღება, შორეული ლაშქრობისათვის სურსათით მომარაგება და საბრძოლო გაკაზმვა ხდებოდა, მეორეს მხრივ, ტრაპიზონის იმპერიის გამალებული მომზადება იკონიის სასულტნოსა და ნიკეის იმპერიის დასაპყრობად, დასავლეთიდან მტრული ქეიქაუსისა და ლასკარისაგან ქართველთა ზურგის უზრუნველსაყოფად მომავალი დიდი ლაშქრობის დროს. ეს უკანასკნელი ამოცანა ძალთა დიდ დაძაბვას, გეგმიან მოქმედებასა და დიდ სიფრთხილესაც მოითხოვდა, რადგან ტრაპიზონის მომავალი მოწინააღმდეგენი საკმაოდ ძლიერნი იყვნენ.

სამზადისი დიდი საიდუმლოებით მიმდინარეობდა.

ამასობაში, ყივჩაღეთისა და რუსეთის ველებისკენ მიმავალმა მონგოლებმა ადარბადაგანს მოაღწიეს და მათ გზაზე მდებარე საქართველოს ძლიერი სამეფოს გამსტორვასა და დაზვერვას შეუდგნენ. საქართველო მაწანწალა დერვიშებითა და მოხეტიალე ქრისტიანი ბერებით აივსო. ერთნიც და მეორენიც ხმას ავრცელებდნენ: მონგოლები ქრისტიანები არიან, მაჰმადის ცრუ სარწმუნოებას ებრძვიან და უსჯულოთაგან წმიდა ადგილების გასათავისუფლებლად მოდიანო.

ამ მონაგონის დასამტკიცებლად მონგოლთა ჯაშუშები საქართველოს მეფესა და დიდებულებს ათასგვარ ზღაპარსა და ჭორს მოუთხრობდნენ.

ერთნი დარწმუნებით ჰყვებოდნენ:

_ „ხოლო ვითარ მოიწყო თემუჩინმა თათარნი, გამოჩნდა კაცი ვინმე საკვირველი, ესე მივიდა ყაენს წინაშე და ეტყოდა: მე მას მთასა, რომელსა უწოდებენ ბალიყ, წარვალ, ღვთისა სიტყვა მესმის. ამას ბრძანებს ღმერთი, ყოველი ქვეყანა თემურჩისა და მისთა ლაშქართათვის მიმიცია, და სახელადცა ჩინგიზ-ყაენი ერქვას“.

მეორენი მხილველთაგან ნაამბობს ფიცით ამტკიცებდნენ და ნამდვილ ამბად ასაღებდნენ:

_ „ხოლო იქმნა რა ყაენად ჩინგიზ და მივიდა ხატაეთსა და შევიდა ხილვად ქრისტეანთა ეკლესიასა, იხილა მუნ ხატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი, მეყვსეულად თაყვანი სცა და ჰრქვა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხილე. ამა სახითა იყო, ამან მასწავლა ყოველი ესე წესი“, ესე შეიყვარა ჩინგიზ-ყაენმა ქრისტე ღმერთი და მაცხოვარი მას აკურთხევდის, და მისი მცნება რაოდენიცა ამცნო, ყოველი მტკიცედ დაიცვა, ჯვარისა წამძღვარებითა და ქრისტეს განგებით წარვალს ყაენი იგი მოსპოლვად უსჯულო წარმართთა და სალხენად ყოველთა ქრისტიანთა და ჭეშმარიტი ღმერთის იესოს მავედრებელთა“.

ქართველები შორიდან ხედავდნენ, თუ როგორ ანადგურებდნენ მონგოლთა ურდოები სამაჰმადიანო ქვეყნებს, როგორ ნგრევასა და შეშფოთებას მისცემოდა მთელი საისლამო. ნახული და გაგონილი სარწმუნოს ჰგავდა და საქართველოს სამეფოს მესვეურებმა გულუბრყვილოდ დაიჯერეს მონგოლთა ქრისტიანობა.

მათ ერთიღა აწუხებდათ: ვაითუ, ჩვენ ვერ მოვასწროთ ლაშქრის დროზე მომზადება და ქრისტიანთა ახალმა ტომმა უჩვენოდ დაიხსნას უსჯულოთაგან მაცხოვრის საფლავიო.

* * *

რუს და ქართველ ვაჭართა ქარავანი ადარბადაგანიდან საქართველოსაკენ მოეშურებოდა.

სამხრეთში შეგვიანებულ ტიხონს მონგოლთა ლაშქრის წამოწევისა ეშინოდა და საქართველოს მიწა-წყალზე შემოსწრებას ჩქარობდა.

ტიხონთან ერთად კაციტაისძეც სამშობლოსკენ მოიჩქაროდა.

უკვე საქართველოს საზღვრებს უახლოვდებოდა დიდძალი საქონლით დატვირთული ქარავანი. მექარავნეთ სიცოცხლე ხიფათს გადარჩენილი ეგონათ, რომ მოულოდნელად ვაჭრები მონგოლთა მეწინავე რაზმს წააწყდნენ.

მონგოლებმა გზა გადაუღობეს ქარავანს, მექარავნეებს იარაღი აჰყარეს, ხელები შეუკრეს და უკან შემოაბრუნეს.

წინააღმდეგობის გაწევისას რუსი დიდვაჭარი მძიმედ დაჭრეს და აქლემზე შესვეს, რომ მონგოლთა ბანაკამდის ცოცხალი ჩაეყვანათ.

რანის ფართო ველზე ტყვედ წასხმულ რუს და ქართველ ვაჭრებს თვალწინ საოცარი სანახაობა გადაეშალათ: მინდორი თეთრი რიყის ქვას თუ უთვალავ თეთრ სოკოს დაეფარა.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ მექარავნეები, ეს რიყე თუ უთვალავი სოკო თანდათან იზრდებოდა, მაღლდებოდა და მრავლდებოდა.

ბოლოს, მათ თვალწინ ქეჩის უთვალავი თეთრი იურტა აღიმართა.

ათ-ათი იურტა წრედ იდგა და ერთ რგოლს ან კურენს შეადგენდა. კურენის შუაში ათისთავის ხარგა იყო ამართული.

ასე ცალკე კურენებად და იურტებად გაშლილი მონგოლთა ბანაკი ორ დუმანად ანუ ორ ათიათასეულად იყო გაყოფილი. როგორც ერთი, ისე მეორე დუმანის შუა, მეტი სითეთრისათვის, კირით შეფეთქილი თითო იურტა იდგა. ორივე იურტის სახურავს შუაში სვეტი ჰქონდა აღმართული. ამ სვეტს კამბეჩის რქები და ცხენის ძუები ამშვენებდა.

ეს კარვები დუმნების მეთაურებს, ჩინგიზის სახელგანთქმულ მხედართმთავრებს _ ჯებე ნოინსა და სუბუდაი ბაღათურს ეკუთვნოდათ.

* * *

ტახტზე წამოწოლილი ჯებეს მხარქვეშ ნაგაზს ამოეყო თავი.

ჯებეს გაწყვეტაზე ჰქონდა ჭიანჭველასავით წვრილი წელი, ხოლო მხრები _ ბრტყელი და ფართო, იმდენად ფართო, რომ წამოწოლილ ჯებეს მხარქვეშ მის საყვარელ ნაგაზს მერგენს თავისუფლად შეეძლო გაძრომა.

როგორც პატრონს ტახტზე წამოწოლილს დაინახავდა, მერგენი მხარქვეშ შეუძვრებოდა, მის იღლიაში მოიკალათებდა ხოლმე და ყურებდაცქვეტილი მისჩერებოდა კარს, რომ უცხო არავინ შემოსულიყო.

კბილებდალესილი მერგენი ღრენით აყოლებდა თვალს ტახტზე წამოწოლილი ნოინის წინ რიგრიგად ჩატარებულ უცხო ქალებს.

იმ დილით ქადან ბაღათურის რაზმს საქართველოს სამხრეთში, გაგში, ერთ-ერთი მონასტერი აეკლო, მონასტრის სიმდიდრე დაეტაცნა, საქონელი გამოერეკა და ლამაზი მონაზვნები ტყვედ წამოესხა.

მონაზვნები ჯებესა და სუბუდაისთვის მიეყვანათ.

სარდლებს თანასწორად მიეთვალათ როგორც ნაძარცვი, ისე ტყვე ქალები და ახლა ჯებესთან ცალ-ცალკე შემოჰყავდათ მისი წილხდომილი მონაზვნები. ჯებე ნოინს ერთი შეხედვით გამოჰქონდა მსჯავრი. ორი წლის მანძილზე, ლტოლვილ ხვარაზმშას ძებნაში, იმდენ ლამაზ ქალს გაევლო მის ხელში, რომ უკვე მოყირჭებულიც ჰქონდა ხვარაზმელი და ერაყელი, ხორასნელი და გურგანელი, მაზანდარანელი და ადარბადაგანელი ტურფების ხვევნა.

იგი უკვე ორმოცდაათ წელს იყო მიწევნილი, ხოლო ამ ჰასაკში მონგოლთა წესი თითქმის უკრძალავდა ჩინგიზის მეომრებს ქალთან კავშირს.

თვითონ ჩინგიზი თავისი პირადი მაგალითითა და რჩევით მუდამ აფრთხილებდა მონგოლ მხედრებს, რათა ლაშქრობისა და ბრძოლის წინ ქალებისაგან შორს დაეჭირათ თავი.

ახლა, როცა მონგოლები შორეული და უცნობი ქვეყნის საზღვრებში იყვნენ შემოსულნი, სადაც ძლიერი და ფიცხელი ბრძოლები ელოდათ, ჯებეს ჩვეულებრივი ქალის ალერსი დროის დაკარგვად მიაჩნდა. ტყვე ქალებს იქვე თავის ათასისა და ასისთავებს ურიგებდა.

ხარგაში ახალ-ახალი ქალები შემოჰყავდათ. ყველაზე ლამაზებსა და თვალტანადებს ჯებე იქვე აშიშვლებინებდა და სირცხვილით დამწვარ მონაზვნებს მუშტრის თვალით სინჯავდა. ორი წლის წინ ამ ქალთაგან თვითეულისათვის ჯებე ნოინი, ალბათ, მთელ ჯოგს მისცემდა, ახლა კი მათ დიდხანს ცქერასაც არ კადრულობდა.

უკანასკნელად თვალჟუჟუნა თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალიშვილი შემოუყვანეს ჯეგეს, გოგონას თმები ჩამოშლოდა და ხელგაკავებული ამაოდ ცდილობდა მტირალი სახე მხრებში ჩაემალა.

მონაზონს წერწეტი ტანი და ახლად აშლილი მკერდი ჰქონდა. იგი არ ჰგავდა არც ერთს, ჯეგესაგან მანამდე ნახულ ქალს, მისი თეთრი კანი საოცარი ძალით იზიდავდა ვაჟკაცის თვალს და ის იყო, ჯეგეს ტურღაუდისათვის მორიგი ქალის გაშიშვლება უნდა ენიშნებინა, რომ მოულოდნელად იკითხა:

_ სულ ეს არი, ქადან?

_ ეს გახლავთ უკანასკნელი, _ თავდახრით უპასუხა მთვრალმა ქადან ბაღათურმა, წაბარბაცდა და იურტის კედელს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო.

_ იმ ბებერს, ალბათ, უკეთესები შეხვდა! _ ჩაილაპარაკა ჯეგემ და კბილები დააღრჭიალა.

ქადან ბაღათურს გაეღიმა, იქ მყოფთ თვალი მოავლო და ჯეგეს ჩურჩულით უთხრა:

_ სუბუდაი ბაღათურს ერთი გურჯი ხათუნი შეხვდა, ჯეგე ნოინის საუკეთესო ცხენად ღირს.

_ უკვე ჰყავდა? _ იკითხა შურით გაბერილმა ჯეგემ.

_ არა, სუბუდაი ბაღათური დილით მოყვანილი მექარავნეებით იყო გართული და სამაგისოდ ჯერ არ ეცალა, _ მაამებელი ქირქილით თქვა ქადანმა და ბარბაცით აედევნა იურტიდან გასულ ჯეგე ნოინს.

* * *

მონგოლთა ბანაკში შემოსულმა დატყვევებულმა მექარავნეებმა მცველების რამდენიმე წყება გაიარეს.

მონგოლთა ნუქერების ერთმა ნაწილმა საქონლით დატვირთული აქლემები ცალ მხარეს წაასხა, ხოლო თავად მექარავნეები სუბუდაი ბაღათურის კურენისაკენ წაიყვანეს, შემოღობილ ბაკში შერეკეს და მცველები მიუყენეს.

კამბეჩის რქებითა და ცხენის ძუით შემკული იურტიდან ორი კაცი გამოვიდა.

ერთი ზორბა, მაგრამ წელში ოდნავ მოხრილი იყო. მწითურ სახეზე ცალი თვალის ადგილას თეთრ-წითელი ხვრელი აჩნდა და წარბს ზემოთ და ამაღლებული ღაწვის თავზე ღრმა ნახმლევის კვალი ეტყობოდა. მეორე საღი თვალი ყვრიმალისკენ გაზიდვოდა და ისე მიწურვოდა, თითქო ჭუჭრუტანიდან იცქირებაო. სუბუდაი ბაღათურს გამხმარი მარჯვენა მოღუნვოდა და გაშეშებოდა. კოჭლობით მოდიოდა და ვეება სხეული რწევით მოჰქონდა.

მონგოლ სარდალს უკან მასავით კოჭლი და ღიპგასიებული ქონდრისკაცი მოსდევდა. ტიხონმა და შიომ მაშინვე იცნეს თბილისელი ვაჭარი ჰამადავლე, ერთმანეთს გადახედეს და რაღაც თვალით ანიშნეს.

_ რა ვქნა, ეს მაჯლაჯუნაც მეცნობა, _ გადაულაპარაკა შიომ ტიხონს.

_ მეც მეცნობა, თითქო სადღაც მინახავს და ვერ კი გამიხსენებია, ვინ უნდა იყოს...

უფრო რომ მოუახლოვდნენ, შიო სუბუდაის მიაჩერდა და უცებ რაღაც გაახსენდა:

_ მეფის მცველი ლუხუმია, ტიხონ, გავიხსენე, სწორედ ის არი...

_ არა, ის არ უნდა იყოს...

_ ღმერთო, როგორ ჰგავს!.. _ აღმოხდა შიოს, ტურღაუდის მუჯლუგუნზე ხმა გაკმინდა და თავი ჩაღუნა.

სუბუდაი ბაღათური და ჰამადავლე ტყვეებს მიუახლოვდნენ და მათ პირისპირ შედგნენ.

ჰამადავლემ მაშინვე იცნო ორივე დიდვაჭარი.

_ გამარჯობათ! აქ საიდან გაჩნდით? _ ჰკითხა ვითომ შეწუხებულმა ჰამადავლემ.

_ აქ შენ რა გინდა, თორემ ჩვენი კი გეცოდინება, _ კუშტად უთხრა შიომ და წარბშეკრულმა შეუბღვირა უგვარტომო ქონდრისკაცს.

ჰამადავლემ მაშინვე თვალი აარიდა ტყვეებს, სუბუდაისკენ მობრუნდა და ხმადაბლა მოახსენა:

_ კარგად უნადირიათ შენს ნუქერებს. ერთი რუსი დიდვაჭარია, მეორე _ საქართველოს მეფის ახლოკაცი _ ვაჭართუხუცესი.

სუბუდაი ბაღათურის მოჭუტულ საღ თვალში კმაყოფილების შუქმა გაიელვა.

სუბუდაიმ ერთხანს უცქირა ტყვეებს, მერე უცებ ზურგი შეაქცია და ხველებით და კოჭლ ფეხზე რწევით თავისი იურტისკენ წავიდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაკში ასისთავმა შემოიხედა და ნუქერებს ტიხონის გამოყვანა ანიშნა. ოთხმა ვაჟკაცმა ძლივს წამოაყენა ფეხზე დაჭრილი ტიხონი. სისხლისაგან თითქმის დაცლილი ტიხონი მთლად გათეთრებულიყო, ღონე მიხდოდა და ფეხები აღარ ემორჩილებოდა. ნუქერები მხარში შეუდგნენ და დაჭრილი ისე წაიყვანეს.

იურტაში ორნი იყვნენ _ სუბუდაი ბაღათური და ჰამადავლე. წინ ნახაზებითა და წარწერებით აჭრელებული ეტრატი გაეშალათ და ორივე ბეჯითად ჩაჰკირკიტებდა.

_ დაჯდეს! _ მიუთითა სუბუდაიმ ისე, რომ თავი არ აუღია და ეტრატისათვის თვალი არ მოუცილებია.

ტიხონი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ მაინც დაჯდომა არ ინდომა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

_ გაწყენინეს, რუსო, ჩვენმა ნუქერებმა? _ ეშმაკური ღიმილით შეეკითხა სუბუდაი. ჰამადავლემ ნათქვამი მაშინვე სპარსულად უთარგმნა რუს ვაჭარს. ტიხონმა მხოლოდ ამოიოხრა და ბაგეები ბრაზით მოკუმა.

_ შენ ჩვენი ნუქერებისა და ჩვენ ბრძანებას არ დამორჩილდი: წინააღმდეგობა გაგვიწიე და ხალხი დაგვიხოცე. ასეთი თავხედობისათვის ჩვენ სიკვდილით ვსჯით. _ სუბუდაიმ სახე მოჭმუხნა და რუს ვაჭარს რისხვით შეხედა. _ მაგრამ ჩვენ ვაჭრებს არ ვძარცვავთ და არ ვხოცავთ, _ განაგრძო სუბუდაიმ. _ ჩინგიზ-ყაენის უნაპირო სამფლობელოში ქარავნები თავისუფლად მოგზაურობენ და ვაჭრები დიდ სარგებელს ნახულობენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, შენი საქონელი დაგიბრუნოთ და მთელ დუნიაზე თავისუფალი ვაჭრობისა და მოგზაურობის ნიშანი _ იარლიყი მოგცეთ. _ ტიხონი გაოცებული შეაჩერდა ცალთვალა ნოინს. _ ასეთი წყალობისთვის შენც მცირე სამსახური გმართებს. _ სუბუდაის ეშმაკურად გაეღიმა და ცალი წვრილი თვალი მთლად მიეჭუტა. მონგოლმა სარდალმა ხელით ანიშნა ტიხონს, ახლო მიწეულიყო და დაბლა დახრილიყო.

ტიხონმა ზურგზე გაკრული ხელები დასჭიმა, მკერდი წინ წამოსწია და თავგადაგდებულმა ამოიძახა:

_ წყალი!

_ ხელები გაუხსენით და კუმისი მიართვით! _ ბრძანა სუბუდაიმ.

ნუქერებმა წამსვე ხელები გაუხსნეს ტყვეს და შუშხუნა კუმისით სავსე სასმისი მიაწოდეს. ხელებგათავისუფლებულმა ტიხონმა, თითქო გაიზმორაო, მკლავები გაშალა, კუმისი ტუჩებთან მიიტანა, მოსვა. უსიამოვნო გემომ სახე დაუჭყანა. სასმისი იქვე დადო და პირი აარიდა.

სუბუდაის არც შეუხედავს, ისე გაუმეორა:

_ აქეთ მოიწი!..

ტიხონი გადაიწია და ეტრატზე დაიხარა.

_ ეს გურჯების ქვეყანაა... _ უშველებელი თითი შემოატარა ეტრატზე სუბუდაი ბაღათურმა. _ ჩინგიზ-ყაენს მთელი მსოფლიო უნდა დაემორჩილოს. გურჯისტანის შემდეგ დიდი მთაა, _ სუბუდაიმ გრძელი ჩხირი დადო ეტრატზე, _ ამ მთის გადაღმა დიდი ველებია _ დეშტი-ყიფჩაღი... მერე თქვენი ქვეყანაა...

ტიხონი უხმოდ ჩაჰყურებდა არაბული ასოებით აჭრელებულ რუკას და თავში ათასგვარი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა.

_ ყივჩაღთა ველს იქით ერთ მხარეს თქვენი ქვეყანაა, მეორე მხარეს _ ჩვენი. _ სუბუდაიმ თავი აიღო და ტიხონს შეხედა.

_ ეგრე არ არი, რუსო?!

ტიხონმა პირი მოარიდა და არაფერი თქვა.

_ ამ დიდ მთას ხვრელები აქვს! იმ ხვრელებში გასასვლელი გზები შენ კარგად იცი.

ტიხონმა ტუჩებზე იკბინა და თვალი მოხუჭა.

_ ეს გზები შენზე კარგად არავინ იცის, რამდენჯერ გივლია. _ ჩაერია ჰამადავლე. _ ვაჭარი კაცი ხარ და ისე მოიქეცი, სარგებელი ნახო.

ტიხონმა თავი ჰამადავლესკენ ოდნავ მოაბრუნა და შეუბღვირა.

_ ამ მთისა და ზღვის შუა რკინის კარი ყოფილა. ეს კარი შენ უნდა გაგვატარო და კიევის ქვეყანაში მიგვიყვანო, _ სუბუდაიმ ჩაახველა და საღი წვრილი თვალი ტიხონის მრისხანე თვალებს ნემსივით გაუყარა.

_ წინ უნდა წარუძღვე და კიევის გზა უჩვენო, _ განმარტა სარდლის ნათქვამი ჰამადავლემ.

_ ჩემს სამშობლოზე გავუძღვე მტერს და გზა ვუჩვენო? _ აღშფოთებით ჰკითხა სახეშეშლილმა ტიხონმა.

_ ჰო, უნდა გაუძღვე და გზა უჩვენო, ქარავანს და ქონებას დაიბრუნებ და სხვა სარგებელსაც ბევრს ნახავ.

_ აი, ჩემი სარგებელი! _ შესძახა ტიხონმა, კუმისით სავსე სასმისს ხელი დასტაცა, მთელი ძალით მოიქნია და ჰამადავლეს ტიტველ თავზე ჩამოამხო.

ნუქერები მაშინვე ტიხონს მისცვივდნენ, ხელებში ეცნენ და გადაუტრიალეს. ღონეგამოლეული ვაჟკაცი ერთხანს ბრდღვინავდა, მძიმედ სუნთქავდა და შფოთავდა.

განრისხებული სუბუდაი გაკავებული ტიხონის წინ აღიმართა და გაანჩხლებულმა ჭროღა საღი თვალი დააშტერა.

_ ეს არი შენი მადლობა, რუსო?

_ ეს არი! _ ამოიძახა ტიხონმა და სუბუდაი ბაღათურს შიგ თვალში მიაფურთხა.

_ გაათრიეთ! სცემეთ! _ იყვირა სუბუდაიმ და ფურთხით ავსებულ საღ თვალზე სახელო მიიფარა.

ტიხონი ნუქერებმა იურტიდან გაათრიეს, გააშიშვლეს და ძირს დასცეს, წაქცეულ დიდვაჭარს ფეხით შედგნენ სუბუდაის ნუქერები და უწყალოდ დაუწყეს გვემა.

გულის ჯავრი რომ იყარეს, ცემისაგან დაოსებული, სულთმობრძავი ტიხონი ისევ ბაკში შეაგდეს. იგი თითქმის ცოცხალ-მკვდარი იყო და შიოსთან, ალბათ, იმიტომ დააბრუნეს, რომ მონგოლთა ურჩობის მაგალითით ქართველი ტყვე დაეშინებინათ.

ხელფეხშეკრული შიო ხოხვით მიუახლოვდა ტიხონს და დასისხლიანებულ, წამოსიებულ სახეში ჩააცქერდა.

_ ტიხონ! ტიხონ! როგორა ხარ? _ ჩასძახა შიომ.

გაბერილი ქუთუთოები ოდნავ შეირხა და ტიხონმა ჩალურჯებული თვალებით ამოხედა შიოს.

_ მომკლეს ურჯულოებმა, შვილო... შენ მაინც ეცადე, რომ გადარჩე და აქედან როგორმე თავი დააღწიო. თქვენს მეფეს და კიევის მთავარს აცნობე, რომ ჩვენს ქვეყნებს დიდი უბედურება ელის, წალეკვა და განადგურება ელის. მონგოლებს რუსეთში გადასვლა სურთ და მე გზის ჩვენებას, მეგზურობას მაკისრებდნენ. ჯილდო და პატივი აღმითქვეს, მაგრამ ჩემს ქვეყანას როგორ გავყიდდი. ვაი... ვაი! _ ამოიკვნესა ტიხონმა, ტკივილისაგან სახე დაეღმინჭა და თვალი ისევ მიხუჭა. _ როგორმე აქედან თავი დაიძვრინე. ქართველთა მეფე ნახე, მერე რუსეთს გადადი. კიევის მთავარსა და ყივჩაღთა ხანს უთხარი, საქართველოს მოეშველონ... მონგოლები საერთო ძალით გაანადგურონ... ეს ხალხი თუ კავკასიონს გასცდა და ძნელად გასასვლელი მთები გაიარა, მერე ველებზე მას ვეღარავინ გაუმკლავდება და ჩვენს ხალხს დიდ უბედურებას დაატეხს თავს. _ ტიხონმა ოხვრასა და სუნთქვას უმატა, სული ყელში ებჯინებოდა და კიდევ მაინც რაღაცის თქმას ცდილობდა. _ წა.. წადი აქედან... როგორმე გაიქეცი... თავი დაიხსენი... _ ლუღლუღით ამოსთქვა და თვალი გაახილა, მაგრამ თვალებში აზრი და სიცოცხლე აღარ ჰქონდა.

დიდვაჭარი დადუმდა. ერთხანს კიდევ გამალებით სუნთქავდა, მერე სუნთქვაც შეუნელდა და სულის ღაფვად ექცა.

შიოს თვალთაგან ცრემლი გადმოსცვივდა, ხელებშეკრულს იმის ღონეც აღარ ჰქონდა, რომ თავისი მეგობრისათვის თვალი დაეხუჭა. მკვდრის გადატრიალებულ, გაქვავებულ თვალებს ვეღარ უყურა და ტუჩების კვნეტით პირი იბრუნა.

ბაკის კარი გაიღო. მონგოლი ნუქერები შემოვიდნენ, შიო ფეხზე წამოაგდეს და სუბუდაი ბაღათურის იურტისკენ წაიყვანეს.

სუბუდაი ვახშამს შეექცეოდა. ცხვრის უმ ხორცს მგელივით გლეჯდა და დროდადრო ზედ შუშხუნა კუმისს აყოლებდა. კუთხეში თავშეხვეული ჰამადავლე იჯდა მობუზული.

ტურღაუდებმა შიო იურტაში შეაგდეს და ხელებშეკრულ ტყვეს აქეთ-იქით გუშაგები ამოუდგნენ.

_ მოკვდა რუსი ვაჭარი? _ იკითხა სუბუდაიმ.

შიომ მონგოლთა სარდლის ნათქვამი გაიგო, მაგრამ მაინც ჰამადავლესკენ გაიხედა. ჰამადავლემ მაშინვე თარგმნა ნათქვამი, შიომ არაფერი უპასუხა.

_ იმ სულელს ეგონა, ჩვენი ურჩობა შერჩებოდა... ტყუილად თავი შეგვაკლა. დარუბანდის კარს ჩვენ უიმისოდაც გავივლით, მან კი თავისი უგნურებით, სიმდიდრისა და ჩვენი წყალობის გარდა, თავიც წააგო. _ სუბუდაიმ ცხვრის გახრული ბეჭი პირში გამოივლო და შორს გასტყორცნა. მერე ხელი ჰამადავლეს გულ-მკერდზე შეაწმინდა და ნუქერის მოწოდებული კუმისი გადაჰკრა.

_ შენ ახალგაზრდა კაცი ხარ... რუსეთში გივლია...

თანხმობის ნიშნად შიომ თავი დაუკრა და სპარსულად დაუდასტურა.

_ მივლია. ბევრჯერ ვყოფილვარ.

_ გურჯების ქვეყანას ჩვენ არ ვავნებთ, მხოლოდ გზად გავივლით და დეშტი-ყიფჩაღში გადავალთ, რომ იქიდან მთელი ქვეყნის მბრძანებელს ვეახლოთ. საქართველოსთან ჩვენ საქმე არა გვაქვს, ჩვენც თქვენსავით ქრისტიანები ვართ, ურჯულო მაჰმადის მიმდევრები გვძულს და ვებრძვით. ჩვენ გვინდა, მარტო შენი კი არა, რუსთა ქარავნის მთელი სიმდიდრეც შენ დაგიბრუნოთ და სხვა ჯილდოც მოგცეთ, თუ... _ სუბუდაიმ საღი წვრილი თვალი მთლად მიწურა და ისარივით ჩაასო თვალში შიოს. შიოს ბრაზისაგან ქვედა ყბა აუძაგძაგდა. თავით დაძგერება და ამ ცალთვალა მონგოლი სარდლის ქვეშ მოგდება რად არ უღირდა, მაგრამ ყურში მომაკვდავი ტიხონის უკანასკნელი სიტყვები ესმოდა:

„როგორმე აქედან გაიქეცი. საქართველოს მეფეს და კიევის მთავარს აცნობე, რომ მონგოლებს საერთო ძალით დახვდნენ...“

ხელშეკრულმა ტყვემ მღელვარებას სძლია, გადაწყვიტა, ყველაფერი აეტანა, ყველაფერზე თანხმობა მიეცა, ოღონდ აქედან ცოცხალი გასულიყო, რუსი დიდვაჭრის ანდერძი შეესრულებინა და თავისსა და ტიხონის სამშობლოს ცოტა მაინც წადგომოდა.

შიომ ჰამადავლესკენ გაიხედა და სუბუდაი ბაღათურს უთხრა:

_ ამ საუბარზე მონგოლთა მბრძანებელს, მგონი, მოწმე არ სჭირდება.

სუბუდაი მიუხვდა ტყვეს და ნუქერებს ჰამადავლეზე ანიშნა. ჰამადავლე თვითონ წამოდგა ფეხზე გახარებული, რომ ქართველი ტყვის თვალების ბრიალს მაინც გადარჩა, და იურტიდან ქურდივით გაიპარა.

ცოტა ხნის შემდეგ სუბუდაი ბაღათურს წელგამართული და ხელგაშლილი ესაუბრებოდა შიო. მის სუფრაზე იჯდა და მისი ნუქერების მიერ მოწოდებული ადარბადაგანის ღვინოს მიირთმევდა.

შიო ყველაფერზე დათანხმებულიყო და სუბუდაისთვის დარუბანდის კარისკენ მეგზურობა აღეთქვა. საუბრის დასასრულს, სუბუდაი ბაღათურმა ყელზე ოქროსფერი პაიცა გადაჰკიდა შიოს, კარებამდე მიაცილა და მისთვის განკუთვნილი იურტისკენ ნუქერები აახლა.

* * *

დილით ხმაურმა გააღვიძა შიო. მის იურტაში ჰამადავლეს მეტი არავინ იყო. ამ მახინჯის გვერდით ყოფნა არაფრად ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია, მიესალმა და ამბავი ჰკითხა.

ჰამადავლემ უამბო: ღამით ქადან ბაღათური მომკვდარიყო გულისრევისა და მუცლის ტკივილისაგან. სიკვდილის წინ ქადანს ეთქვა, მონასტერში წინამძღვარმა სუფრა გამიშალა და ნამდვილად იქ მომწამლესო. ჯებეს და სუბუდაის ცხენოსანთა რაზმი ეფრინათ და მონასტრის

მოხუცი წინამძღვარი შეეპყროთ. დაკითხვისას მოხუცს ეთქვა: მონგოლები საპატიო სტუმრებივით მივიღე, ცხვრები დავუკალი და ზედაშის ღვინო ვასვიო.

ნოინები ჩასციებოდნენ, ალბათ, სასმელ-საჭმელში საწამლავი შეურიეო. მოხუცი ფიცით უარყოფდა, მსგავსი ბოროტება ღვთისა და ქრისტეს სჯულის წინააღმდეგია, ჩვენ, მონასტრის წმიდა მსახურები, ამას როგორ ჩავიდენდითო.

_ მონგოლებმა სმა-ჭამის ზომა არ იციან, გაძღომას ვერ გებულობენ. ალბათ, მეტისმეტმა ღორმუცელობამ მოჰკლა ქადანი. მოხუცის თავისმართლება არ დაიჯერეს და ახლა ტყუილად აწამებენ... _ დაამთავრა ჰამადავლემ და შიო იურტიდან გაახედა: მონგოლი ნუქერები მიწაში პალოს ასობდნენ... შიო გაფაციცებით ადევნებდა თვალს მათ სწრაფ მოქმედებას.

რამდენი რამ გაეგონა შიოს მათზე, საშინელი და უცნაური. ნაამბობი ყოველთვის გაზვიადებული ეგონა, მაგრამ სინამდვილე, საკუთარი თვალით დანახული, კიდევ უფრო უცნაურად და დაუჯერებლად ეჩვენა.

მხარბეჭიანები და ახოვნები იყვნენ ჩინგიზის მეომრები. კამეჩებივით დიდ თავზე ხშირი შავი თმა ემოსათ. დაბალ, ბრტყელ შუბლქვეშ წიწილის ვიწრო თვალები ვერცხლისწყალივით მოუსვენრად დაურბოდათ. ცხვირი კატასავით მოკლე ჰქონდათ, ღაწვებზე დაბლა გართხმოდათ და ნესტოები ძლივს ეტყობოდათ. წვერი ან სულ არ ესხათ, ან რამდენიმე გრძელი ღერი ეკიდათ. ღორივით მოკლე, მაგრამ ბოძივით მაგარი ფეხებით სწრაფად დარბოდნენ და ერთიმეორეს არწივისებური გამყივანი ხმით გასძახოდნენ.

მოედანზე ხელფეხშეკრული მონასტრის წინამძღვარი გამოიყვანეს.

ჯეგე და სუბუდაი ამაღლებულ ადგილზე დასხდნენ.

დატყვევებული მონაზვნები მოაყვანინეს, შუა მოედანზე დააყენეს და წინამძღვრის თვალწინ გააშიშვლეს.

მოხუცმა ვეღარ უყურა მონაზვნების შერცხვენას, ხელები ცისკენ აღაპყრო და ჩიფჩიფით იწყო ლოცვა. გვერდში მდგარმა ტურღაუდმა მოხუცს წვერში წაავლო ხელი და მაგრად აჰქაჩა, რომ წინამძღვარს მონაზვნების შეგინება დაენახა.

_ ღმერთო, მიჰრიდე თვალი ჩემი ბიწიერებისაგან და მიიღე სული ჩემი მართალი!.. _ შეჰღაღადა მოხუცმა და ცრემლიანი თვალები დახუჭა, რომ საშინელებისათვის არ ეცქირნა.

ლოცვითა და ვედრებით სურდა ჩაეხშო წინამძღვარს ქალების გულგამგმირავი კივილი და სეირის მაყურებელთა აღტყინებული ღრიანცელი.

როგორც იყო, ჟინმოკლულმა ნუქერებმა ღონემიხდილი მონაზვნები გაიყვანეს.

წინამძღვარი წააქციეს და მიწაში ჩასობილ ოთხ პალოზე მიაკრეს მხრებითა და ფეხებით. მოხუცს ქვეშ ცეცხლი შეუნთეს, თანდათან შეუკეთეს და ბოლოს კოცონი ააბრიალეს.

თმააბურძგნული და სახეშეშლილი შეჰყურებდა საშინელ სურათს შიო. ამ ბრბოს პირველყოფილ ადამიანისებურ უშუალო ქცევაში არავითარი პირობითობა არ იყო, რიდი და სირცხვილი, დანდობა და სიბრალული მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი უნდა ყოფილიყო.

ამ ურდოს მართლაც შეეძლო მთელი ქალაქების დაწვა და წყალში ჩაძირვა, ბავშვებისა და ქალების ერთიანად გაჟუჟვა, უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების გორებზე ცხენების ჭენება.

„ეს ურდო თუ კავკასიონს გასცდა, მერე ველზე მათ ვეღარავინ გაუმკლავდება და ჩვენს ქვეყნებს დიდ უბედურებას დაატეხენ...“ _ ჩაესმოდა საიდანღაც თუ ხსოვნაში მეორდებოდა ტიხონის ნათქვამი.

„წადი აქედან, როგორმე გაიქეცი... ხელიდან დაუსხლტი!“ _ ჩასძახოდა ყურში მომაკვდავი ტიხონი და შიომ, თითქო უცებ სიზმრიდან გამოერკვაო, იქაურობას თვალი მოავლო. ყველანი, მისთვის მიჩენილი ტურღაუდებიც, ჰამადავლეც, წინ წასულიყვნენ და სეირის მაყურებლებს შერეოდნენ.

შიო იურტის კედელს აეკრა და შეუმჩნევლად წავიდა ბანაკის სიღრმისაკენ.

რამდენიმე კურენს რომ გასცდა, წინ ნუქერები შემოხვდნენ, გულზე დაკიდებული პაიცა რომ დაუნახეს, გზა მისცეს.

იურტების რიგი თხელდებოდა, შიომ ნაბიჯს აუჩქარა.

განაპირა იურტას რომ გასცდა, ფორანზე გამობმულ ცხენს მოახტა. წამით შეყოყმანდა, ჩრდილოეთით, საქართველოსაკენ გზა მოკლე იყო, მაგრამ უიმედოდ ეჩვენა, რადგან მონგოლთა მთელი ბანაკი უნდა გაევლო. მხედარმა დაუჭედელ მონგოლურ ცხენს ქუსლი ჰკრა, სადავე მიუშვა და სამხრეთისაკენ გააქროლა.

@თავი ოცდამეხუთე.ლახვარჩაცემული ძლიერება

თუ ამოწყდეს გლეხიკაცი,
საქართველო დაძაბუნდეს.

არჩილი

ლილეს სიკვდილის შემდეგ მიგრიაული კიდევ უფრო მეტის გაბოროტებით იძიებდა შურს. ლუხუმს ამქვეყნად საოცნებო და გასახარელი აღარაფერი დარჩენოდა. ერთადერთი, რის გამოც სიცოცხლე კიდევ სურდა, შურისძიება იყო. სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, მართალი ხალხის გამმწარებლებს სასტიკად უსწორდებოდა და სხვაზე ჯავრს რომ იყრიდა, საკუთარი ბოღმაც უნელდებოდა.

მიგრიაულის სახელი ანდამატივით იზიდავდა ყველა ჩაგრულსა და უსამართლობისაგან გაუბედურებულს. აჯანყებულთა ახალ-ახალი ჯგუფები მისი იმედით გადიოდნენ ტყეში და მისივე მაგალითის მიხედვით უხდიდნენ სამაგიეროს მემამულეებსა და ხელისუფლების მოხელეებს.

კარი გულხელდაკრეფილი როდი უყურებდა მისთვის ესოდენ საშიშ გლეხთა მღელვარებას: მეამბოხეებს ჯარებით დასდევდნენ. პირისპირ ბრძოლას არ სჯერდებოდნენ და ზურგიდან მოღალატეებისა და მოსყიდულების ხელითაც მოქმედებდნენ.

მეკობრეთა შემფარებელ და ხელისშემწყობ გლეხებს არბევდნენ და იკლებდნენ, სახლ-კარს უწვავდნენ და ძელზე ჰკიდებდნენ.

მაგრამ ცეცხლი არ ქრებოდა, უფრო შორსა და მაღლა მიიწევდა.

სამეფო კარი დარწმუნდა, რომ ვიდრე მიგრიაულსა და მის მეამბოხეებს არ მოსპობდა, ქვეყანაში შფოთი და მოუსვენრობა არ დაცხრებოდა, ხოლო შორეულ ლაშქრობაზე ფიქრი ხომ არც შეიძლებოდა, სანამ საკუთარ ზურგში გლეხთა მღელვარების ეს მოგიზგიზე ხანძარი არ ჩაქრებოდა.

მეფემ გადაწყვიტა ერთი დაკვრით აჯანყებულთა განადგურება.

დიდ ჯარს ეგარსლან ბაკურციხელი უთავეს, მეკობრეთა ბანაკის მიწასთან გასწორება და მეამბოხეთა განუკითხავად გაჟლეტა დაავალეს.

ფრთხილი ბაკურციხელი სწრაფად და წინდახედულად მოქმედებდა.

ჯერ მსტოვრებისაგან მიგრიაულის ადგილსამყოფელის ასავალ-დასავალი გაიგო, მერე ღამით საიდუმლოდ დაიძრა მრავალრიცხოვანი ჯარით და აჯანყებულთა ბანაკს შემოადგა.

მეამბოხეებმა გვიან გაიგეს ხაფანგში მომწყვდევა.

წინ რომ დამსჯელი ჯარის გაუვალი კედელი ნახეს, უკან წასვლა და მთებში გახიზვნა განიზრახეს. მაგრამ ეს ერთადერთი გზაც გადაჭრილი აღმოჩნდა _ ეგარსლანს მიუვალი გზებით შემოევლო და ჯარის ნაწილით ზურგში მოქცეოდა მეამბოხეებს.

ბაკურციხელს ისეთი სიმაღლეები ეჭირა, ბრძოლის შემთხვევაში იქიდან ერთ მოისარს ათი მოწინააღმდეგის მოსრვა შეეძლო.

აჯანყებულებს ცოტა ხნის სამყოფი სურსათი კიდევ ჰქონდათ. ბანაკი გაამაგრეს და ბაკურციხელის იერიშს დაუწყეს ლოდინი, რომ ძვირად დაესვათ თავიანთი სიკვდილი.

ბაკურციხელი არ ჩქარობდა. ხანგრძლივი ალყისათვის ემზადებოდა.

ერთ თვეს გაუძლო ბანაკმა სურსათის სიმცირესა და ალყის სიძნელეს.

მეორე თვეში საჭმელი გათავდა და შიმშილობა დაიწყო.

მეამბოხეების სიმტკიცე თანდათან ტყდებოდა.

უფრო უნებისყოფოებმა, აჯანყებულებთან შემთხვევით და ნაძარცვის საშოვნელად მიკედლებულებმა, ჯერ ჩუმად და მერე ხმამაღლა დაიწყეს დამორჩილებაზე ლაპარაკი.

მიგრიაული მკაცრად უსწორდებოდა გულგატეხილებს და სასოწარკვეთილებს, მაგრამ თვითონაც ხვდებოდა, რომ სხვა გზა აღარ იყო _ ან ეგარსლანს უნდა დანებებოდნენ, ან შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ.

იყო კიდევ ერთი გამოსავალი. ჩალხია ფხოველის რჩევით, მიგრიაულმა ერთგულ მეამბოხეებთან მოითათბირა და ეგარსლანს შეუთვალა: უვნებლობის გზა მოგვეცი, სამეფოს საზღვარს გადავალთ, საქართველოს დავეხსნებით და უცხოეთში დავიკარგებითო.

ბაკურციხელმა მიგრიაულის პირობა არ მიიღო, მეამბოხეებს ერთი კვირის ვადა დაუდო, თუ არ დამმორჩილდებით, იერიშს დავიწყებ და ერთიანად გაგჟუჟავთო. მიგრიაულს გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოცხალი თავით მეფეს ხელთ არ ჩავარდნოდა, მაგრამ ალყაშემორტყმულებს არჩევანი აღარ ჰქონდათ და ლუხუმმა წინააღმდეგობა აღარ გაუწია მეკობრეებს, ეგარსლანს სთხოვეს, მეფე და ახალციხელი მობრძანდნენ და იმათ მიგვითვალონო.

ეგარსლანმა მეამბოხეების პირობა თბილისს აცნობა და პასუხს დაელოდა.

ვაზირებმა მეფეს წასვლა არ ურჩიეს. ყაჩაღებთან პირისპირ ლაპარაკი რა მეფის საკადრისია, ბაკურციხელს ჯარი კიდევ მივაშველოთ და საქმეს უთქვენოდ გაათავებსო.

შალვა ახალციხელმა თვით განაცხადა სურვილი მეამბოხეებთან შეხვედრისა _ ძნელი ომისათვის ვემზადებით, მიგრიაულს ხალხში დიდი სახელი აქვს და აჯანყებულების მშვიდობიანი შემორიგება მეფის ხელისუფლებას ხალხის თვალში აღამაღლებს, მიგრიაულის მეკობრეები სულ რჩეული მეომრები არიან და მათ გაწყვეტას ისა სჯობს, ქვეყნის მტრებთან ომში გამოვიყენოთ ისინიო.

მეფე ყოყმანობდა. ბოლოს, მიგრიაულთან შეხვედრის უნდობლობამ დასძლია, ვაზირების რჩევას დაეთანხმა და მეამბოხეებთან მარტო შალვა ახალციხელი წარგზავნა.

ამასობაში ერთ კვირაზე მეტი გავიდა, აჯანყებულებმა თავიანთი უკანასკნელი პირობის შესრულების იმედიც გადაიწყვიტეს. ლუხუმი დარწმუნდა, რომ ალყიდან მხოლოდ მაშინ გავიდოდა მეკობრეთა ერთი ნაწილი მაინც, თუ მეორე, უფრო დიდი ნაწილი გზას გაუკაფავდა და მტრის მოწოლისაგან დაიფარავდა. მეამბოხეთაგან უფრო ახალგაზრდები გადაარჩია და, ქარუმას მეთაურობით, გარემოცვიდან გასასვლელად მოამზადა.

გვიან ღამით ეკვეთნენ მთელი ძალით მტერს. დარტყმა ძლიერი და მოულოდნელი იყო. ალყა გაირღვა და მეამბოხეებმა იხუვლეს.

გონს მოსული ეგარსლანი თვითონ ეკვეთა მტერს და ხელჩართულ ბრძოლაში კვლავ შეიკრა უზარმაზარი წრე დარჩენილი მეამბოხეების ირგვლივ.

მიგრიაულმა ქარუმას რაზმი წინ გაუშვა, თავად უკან შემობრუნდა და თავგანწირვით მიაგდო ცხენი ეგარსლანზე. ის იყო, ლუხუმმა ხმალი აღმართა, რომ ზურგში ჩაკრულმა ლახვარმა ცხენიდან გადმოაგდო და მრისხანედ ანთებული ერთადერთი თვალიც სამუდამოდ დაუხუჭა.

ხოსიტა გაცეცხლებული მივარდა ლუხუმს, ჯერ კიდევ ცოცხალი ეგონა, ამოდენა ვაჟკაცი მხარზე მოიგდო და ძუნძულით გაიქცა.

მტრის ისარმა მასაც ზურგში უწია და ორი მეამბოხის უსულო სხეული ერთად დავარდა გვამებით მოფენილ მიწაზე.

ბანაკში ახალციხელი და თორელი ამოვიდნენ. უკვე ყველაფერი გათავებული იყო, მეამბოხეების უმრავლესობა გაეჟლიტათ, მხოლოდ მცირე გუნდი გასულიყო ალყიდან.

ცხენის ფლოქვებისაგან თავდაჩეჩქვილი მეკობრეები და მეფის ჯარისკაცები ერთიმეორეში არეულიყვნენ.

მუცელგამოფატრულ ვაჟკაცს ხმალზე მარჯვენა ხელი შეჰყინოდა, მარცხენათი ფანდურს ჩაფრენოდა და ზედ გაციებული თითები დაკრუნჩხოდა.

თორელი დააცქერდა მოკლულს: ლაშარის ხატში ნანახი ბრმა მეფანდურე იცნო.

_ ამ უბედურს რაღა უნდოდა აქ?! _ აღმოხდა თორელს და ახალციხელისაკენ გაიხედა. ახალციხელი მომაკვდავ ფხოველთან დახრილიყო.

დაჭრილი ფხოველი ოდნავ წამოიწია, შალვას ხელი მოუფათურა და მარჯვნივ გაახედა: პირქვე დამხობილ უზარმაზარ ვაჟკაცს ლახვარი შიგ ზურგში ჰქონდა გაყრილი.

_ ხედავ, შალვა? ლუხუმია, მიგრიაული!..

ფრთებდალეწილი არწივივით გართხმული გოლიათის დანახვაზე ახალციხელს ჟრუანტელმა დაუარა.

_ ვიცოდი, რომ ეს ბოლო გვექნებოდა! _ განაგრძობდა ფხოველი. _ სანამ ყმა ყმის კვლაზე ხელს არ აიღებს, გლეხის საშველი არ იქნება. ეს დრო კი, ვინ იცის, როდის დადგება!.. ჩვენ გლეხების თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და მეფემ ჩვენი თავი ისევ ყმა გლეხებს ამოაჟლეტინა. მაგრამ ეს იცოდე, შალვა, კარგი დღე არც მეფესა და ჩვენს ქვეყანას დაადგება. ეგ ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება მიგრიაულისთანა პატიოსან ყმა გლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!..

ფხოველმა უკანასკნელი სიტყვები ამოიგმინა და გათავდა.

მიგრიაულის სახელით ბევრი სხვა მეკობრეც ყაჩაღობდა.

ხალხს რომ მეამბოხეთა მეთაურის სიკვდილი ერწმუნებინა და სხვა აჯანყებულებიც დაეშინებინათ, ლუხუმის გვამი ძელზე ჩამოჰკიდეს ქალაქის მთავარ მოედანზე.

მოლოდინი არ გამართლდა.

ხალხი მოკლული გვამის შეგინებასა და შეურაცხყოფას სულაც არ ფიქრობდა.

სახემოღუშულნი, თავჩაღუნულნი გროვდებოდნენ ძელთან, წარბშეკრულნი ახედავდნენ უსამართლობის მსხვერპლსა და თავის ქნევით და გულში მჯიღის ცემით შორდებოდნენ იქაურობას.

ქალები ცრემლს არ იშურებდნენ უბედურისათვის და ზოგჯერ ხმამაღლაც მოთქვამდნენ ყველას გასაგონად.

ერთ დღეს ეკიდა მხოლოდ ლუხუმი ძელზე.

მეორე დილას გაქრა მოედნიდან ძელიცა და მიგრიაულის გვამიც.

ხალხში ათასგვარი მითქმა-მოთქმა იყო, დანამდვილებით კი არავინ იცოდა, ვინ გაიტაცა მეფის მცველყოფილისა და მეკობრეთა მეთაურის გვამი.

ერთნი მეფეზე ლაპარაკობდნენ: ვერ გაუძლო ერთგულად ნამსახურისა და უბრალოდ გაუბედურებულის, ძელზე დაკიდებული ყმის ცქერას, სინდისმა შეაწუხა, ღამით მალულად ჩამოახსნევინა და დაამარხვინაო.

მეორენი გვამის გაქრობას ხელისუფალთ აბრალებდნენ: ხალხში ზიზღისა და სიძულვილის, შიშისა და მორჩილების გრძნობის ნაცვლად, ლუხუმის გვამის ძელზე ჩამოკიდებამ მსხვერპლისადმი სიბრალული და მხარდაჭერა, უსამართლობისადმი აღშფოთება და შეძრწუნება გამოიწვია და ხელისუფალნი იძულებულნი გახდნენ, მიგრიაულის გვამი გაექროთო.

მესამენი ხმადაბლა ჩურჩულებდნენ: ქალაქის მდაბიოებმა, ხელოსნებმა, მონებმა და მსახურებმა მოიპარეს ლუხუმის გვამი და ღამით ჩუმად მიაბარეს მიწასო.

* * *

საქართველოს განაპირა საერისთაოების, გაგისა და ჰერეთის საზღვრებში მონგოლთა მეწინავე ჯარის მოულოდნელმა გამოჩენამ, მამულებისა და მონასტრების რბევამ ფეხზე დააყენა მთელი სამეფო.

ვარამ გაგელმა და ჰერეთის ერისთავმა მაშინვე აცნობეს უცხო ნათესავთა მოსვლა მეფესა და ამირსპასალარს. მტერი ქვეყნის საზღვრებში იყო შემოსული, მისი არც რიცხვი იცოდნენ და არც განზრახვა. ქართველებმა სასწრაფოდ შეკრიბეს ათიათასიანი ლაშქარი და მონგოლებს პირისპირ ეკვეთნენ.

მონგოლთა მეწინავე ჯარი მცირერიცხოვანი იყო და ამიტომ პირველი ძლიერი ბრძოლისთანავე უკან დაიხია. ქართველები დაედევნენ, მტერი დროდადრო ჩერდებოდა, მდევარს შემოუტევდა და კვლავ უკან დახევას განაგრძობდა.

ასე სდიეს ორი დღის სავალზე ბალისწყლამდე. მონგოლები ბალისწყალზე გადავიდნენ და წყალგაღმაც არ შეჩერდნენ. ქართველები მიხვდნენ, რომ მტერი მახეს უგებდა, შორს მიჰყავდა, რომ მთავარი ძალების განლაგებაში შეეტყუებინა, ახალი ძლიერი ლაშქრით თავს დასხმოდა და მდევარი გაენადგურებინა.

ქართველების ლაშქარი ისეც მცირე იყო და ამ ბრძოლებსა და დევნაში ხომ საკმაოდ შეთხელდა.

ახალი დიდი ბრძოლის გამართვა ქართველებისათვის ხელსაყრელი არ იყო და ამიტომ მონგოლთა შემდგომ დევნას უკან შემობრუნება არჩიეს.

* * *

დაჭრილი მონგოლებისა და მსტოვრებისაგან ქართველთა სარდლობამ შეიტყო, რომ მას ბრძოლა მხოლოდ მონგოლთა მეწინავე ჯართან ჰქონდა. მეწინავე ჯარის უკან მონგოლთა დიდი ლაშქარი იდგა, რომელმაც ხვარაზმშას დევნაში თითქმის მთელი შუა აზია დაიპყრო. ამ მცირე ბრძოლამაც დაანახვა ქართველებს, რომ საქმე კარგად აღჭურვილ და ბრძოლაში ნაცად ძლიერ მტერთან ჰქონდათ. მონგოლები სწორუპოვარი მოისარნი იყვნენ, ამტანი და სწრაფი ცხენები ჰყავდათ და ხერხიანად და დაკვირვებით იბრძოდნენ.

მათ წყობაში ერთიანობა და მკაცრი წესრიგი იგრძნობოდა, ყველანი თავგანწირვით იბრძოდნენ და მტერს ცოცხალი თავით ტყვედ არ ნებდებოდნენ.

თვითონ ლაშამ და მხარგრძელმა საკუთარი თვალით ნახეს მონგოლი მებრძოლის თავზე ხელაღება: ერთი მონგოლი ნუქერი მზვერავ რაზმს ჩამორჩა და ქართველებით გარშემორტყმული აღმოჩნდა; მონგოლმა გაქცევა და თავის დახსნა რომ ვეღარ შეძლო, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი არჩია _ ცხენი ყალყზე შეაყენა, ქუსლი ჰკრა და ნაპრალში გადაიჩეხა.

ასეთი თავგანწირული მებრძოლებისაგან შემდგარი დიდი და ძლევამოსილი ლაშქრის შებმა სწრაფსა და გონიერ მოქმედებას მოითხოვდა. ქართველებს ჯვაროსნული ლაშქრობისათვის სამზადისი აქ გამოადგათ. სარდლობამ დაუყოვნებლივ იწყო ჯარის შეკრება.

ხლათისა და არზრუმის სულტნებს ჯარის გამოყვანა დააკისრა, ხოლო ადარბადაგანის მფლობელს უზბეგს საერთო მტრის წინააღმდეგ ომში თანადგომა და ლაშქრით შეწევნა სთხოვა.

ადარბადაგანის მფლობელი ილდეგიზიანი, ჯეჰან ფეჰლევანის შთამომავალი უზბეგი მხდალი და უნებისყოფო, ქეიფსა და ქალებს გადაყოლილი, აზიზი და ნებიერი ჭაბუკი იყო. მისი მთელი ცხოვრება გაუთავებელი დროსტარება და გამოუფხიზლებელი სმა იყო. ქვეყანას მისი ჭკვიანი ცოლი და ერთგული ვაზირები მართავდნენ. მას არაფერს ეკითხებოდნენ და არც თვითონ ერეოდა სახელმწიფო საქმეებში.

როცა ზამთრის დიდი თოვლისა და სიცივისაგან შეწუხებული მონგოლები ჰამადანიდან ადარბადაგანისკენ დაიძრნენ თბილ ადგილებში გამოსაზამთრებლად, გზა-გზა რბევითა და ნგრევით უზბეგის სატახტო ქალაქს თავრეზს მოადგნენ.

უზბეგი სულაც არ ფიქრობდა კარზე მომდგარი მტრის ხმალდახმალ დახვედრას; მისმა ვაზირებმა ომს მონგოლთაგან ხარკით თავის დახსნა არჩიეს: უთვალავ ოქროსთან ერთად, ურიცხვი ჯოგი და ჯორკიდებული ძვირფასი ქსოვილები და სურსათი გაუგზავნეს და მონგოლებისაგან ზავი და უვნებლობა ითხოვეს.

მონგოლებმა უზბეგის თხოვნა შეიწყნარეს, ხარკი მიითვალეს და თავრეზს უომრად გაეცალნენ.

უზბეგმა განსაცდელი გავლილად ჩასთვალა და ისევ განცხრომასა და ქეიფს მიჰყვა.

სწორედ ამ დროს მოუვიდა ქართველთა მეფის დესპანი ადარბადაგანის მფლობელს. საქართველოს მეფე საერთო მტრის _ მონგოლების წინააღმდეგ ომში ჯარით შეწევნასა და თანადგომას სთხოვდა.

ადარბადაგანის მმართველმა ქართველებს დახმარება აღუთქვა; მონგოლები ამ ცივ და დიდთოვლიან ზამთარში საომრად არ წამოვლენ, მუღანის თბილ ველებზე გამოიზამთრებენ, გაზაფხულისათვის კი ჩვენც მზად ვიქნებით და დიდი ლაშქრით დავკრავთ ზურგში საქართველოსკენ წამოსულ თათრებსო.

ხლათის მელიქმაც უჩვეულო ზამთარი მოიმიზეზა და მანაც გაზაფხულისთვის გადადო თავისი ლაშქრის მოშველება.

ქართველთა სარდლობა ყოყმანობდა. სარწმუნოს ჰგავდა ადარბადაგანის მფლობელისა და ხლათის მელიქის მოსაზრება: ასეთ მკაცრ ზამთარში მონგოლებს ვერ უნდა გაებედნათ მთაგორიანი საქართველოს ტყეებით დაფარულ ვიწრო ხეობებში შემოჭრა. გონიერება მონგოლებს რანის ველებზე გამოზამთრებას კარნახობდა.

მეზობლების რწმუნება თბილისში შიოს მოულოდნელმა გამოჩენამაც გაამაგრა, ტანფეხჩამოხეული, თმაწვერგაბუძგული შიო პირდაპირ სასახლეში გამოცხადდა და მეფისა და ამირსპასალარის ნახვა ითხოვა.

მეფე და ათაბაგი დარბაზის სხდომაზე იყვნენ. მონგოლთაგან დაპყრობილ ქვეყნებში დაკარგულ შიოს ნახვას აღარავინ ელოდა, მტრის გარემოცვიდან გამოსული ქართველი ვაჭრის მოსმენა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს და შიო პირდაპირ სხდომაზე შეიყვანეს.

სულგანაბული ისმენდა დარბაზი შიოსა და რუსთა ქარავნის თავგადასავალს. თათრებთან ტყვედყოფილმა ყოველივე უამბო გაგონილი და თვალით ნახული მონგოლთა სისასტიკესა და ულმობლობაზე.

მონაზვნებისა და წინამძღვრის შეგინებისა და წამების ამბავმა დარბაზი შეაძრწუნა და აღაშფოთა.

_ დააშინნეს ყოველნი სისასტიკითა და მრისხანებითა ბილწთა მათ მუღალთა, ესოდენ, რომ არავინა ჩანს წინააღმდგომი მათი. მასმია, რამეთუ ცხენოსანი ვინმე თათართაგანი გამოვალს გზასა კვლად და ხოცვად კაცთა მართალთა და არავინ არს შემმართებელ ათი მარტოოდენ ერთისა მიმართ, შიშისა გამო მათ ურჯულოთა. ხოლო ესეც უთქვამთ: მუღალმან ერთმან შეიპყრა თურმე კაცი ვინმე გზად მიმავალი. და არა აქვნდა მას მუღალს თანა არცა ხმალი, არცა მშვილდი და ისარი და არცა დანა მცირე. _ დადევ თავი შენი ქვეყანასა ზედა, _ რქვა მუღალმან კაცსა მას, _ და არა მოიცვალო ფეხი ადგილისა ამისაგან, ვიდრე არა მოვიდოდე მე! მან კაცმან დადვა თავი ადგილსა მას ზედა გზისასა, ხოლო მუღალი მიბრუნდა მოტანად ხმლისა. აღიჭურვა მახვილითა და შემოიქცა უკან. იხილა კაცი იგი მუნვე დადებულითა თავითა ქვეყანასა ზედან. აღიღო მახვილი და მოკლა.

ქართველებს მაინცდამაინც არ გაკვირვებიათ ძლიერი მტრის წინაშე უიარაღო ხალხის ესოდენ კრთომა და მორჩილება.

_ რაოდენ არიან მუღალნი, რომელნი მოსულან საზღვრად სამეფოისა ჩვენისა? _ იკითხა მეფემ.

_ აღურაცხელ არს სახლნი მათნი, კარავნი ველსა ზედა, ვითარცა ქვიშა წყალსა შინა და ვითარცა ვარსკვლავნი ცათა შინა მაღალთა. ხოლო წინამძღოლად ჰყავთ მთავარნი ორნი ჯეგე და სებე, ერთგულნი და ფრიად ნამსახურნი დიდისა მის ჩინგიზ-ყაენისა, კაცნი მხნენი წყობასა შინა და დაუმშვრალნი ცხენოსნობასა და ომსა შინა. თავადი იგი სებე მცველყოფილსა ჰგავს მეფისასა ჩვენისასა ლუხუმს ცალთვალობითა ესოდენ, რომ ვგონებდი ხილვასა პირველ მცველყოფილად.

მეფემ თავი ჩაღუნა და თვალი ათაბაგისკენ გააპარა: მხარგრძელის სახეზე დამცინავი ღიმილი თამაშობდა. ლაშამ მაშინვე საუბრის გეზი შესცვალა და შიოს მონგოლთა საქართველოში მოსვლის მიზანი გამოჰკითხა.

შიომ დაწვრილებით გააცნო დარბაზს მონგოლთა განზრახვა _ დარუბანდის კარით ყივჩაღეთს გადასვლა და რუსთა ქვეყნის დალაშქვრა.

დარბაზმა მოიწონა შიოს გადაწყვეტილება, კიევის მთავრისა და ყივჩაღთა ხანისთვის ეცნობებინა ტიხონის დანაბარები. საქართველოს კარმა, თავის მხრივ, კიევის დიდი მთავრისა და ყივჩაღთა ხანის წინაშე საერთო მტრის წინააღმდეგ ლაშქრით თანადგომისა და მოშველიების მოციქულობა დაავალა შიოს და ორივესთან წიგნები მიუწერა.

იმ დღესვე ყივჩაღთა ხანისა და კიევის მთავრისადმი საქართველოს მეფის წერილებით შიო ჩრდილოეთის გზას გაუდგა.

ქართველების ფიქრშიც შიოს ნაამბობით ის აზრი მტკიცდებოდა, რომ მონგოლები საქართველოში შემოსევას და დარუბანდის გზით რუსეთს გადასვლას გაზაფხულისათვის გადასდებდნენ. დიდი თოვლი იდო და სასტიკი ყინვები იდგა. საქართველოს სარდლობა მონგოლებთან დიდ ომს გაზაფხულისათვის ელოდა.

მონგოლთა სამხედრო გამჭრიახობამ აქაც თავი იჩინა და სრულიად მოულოდნელად ყინვასა და უგზოობაში მტრის ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა.

მონგოლებმა ადარბადაგანში მომთაბარე თურქმანების ათიათასიანი ლაშქარი შეიერთეს და წინ გაიმძღვარეს. თურქმანები ჩინებული მეომრები იყვნენ და საქართველოსკენ მომავალი გზები კარგად იცოდნენ.

საქართველოს მეფეს მონგოლთა გაფრთხილება მოუვიდა: „ვაცნობებთ საქართველოს მეფეს, მის ემირებსა და ქვეშევრდომებს, რომ მთელი დედამიწის ზურგი, მზის აღმოსავლეთიდან დასავლამდე განგებას ჩვენთვის მოუცია. ყოველი, ვინც ჩვენ დაგვემორჩილება, იხსნის თავს და სიკვდილისაგან გადაარჩენს ცოლ-შვილსა და ახლობლებს. ყოველი, ვინც გვეურჩება და წინაღგვიდგება, დაიღუპავს თავს, გასწირავს ცოლ-შვილს, ნათესავებსა და ახლობლებს, უკეთუ დაგვმორჩილდებით და მიგვიღებთ პატივით, არც ჩვენ გავნებთ, გულმოწყალედ შეგივრდომებთ და მოგაგებთ ღირსეულ ნიჭსა და პატივს, ხოლო, თუ ურჩობას გაბედავთ და მიენდობით თქვენი სამეფოს მიუვალობას, ციხეთა სიმტკიცესა და ლაშქრის სიმრავლეს, ყოველივე ამაო იქნება, შევმუსრავთ და დავამხობთ თქვენს ამპარტავნებას და მიწის პირისაგან აღვგვით თქვენს მოდგმას!“

ქართველებს მორჩილებაზე ფიქრი ერთ წამსაც არ მოსვლიათ. მეზობლებისა და ყმადნაფიცი ქვეყნების მაშველი ჯარის ლოდინის დრო აღარ იყო, სამოცი ათასი მეომარი შეკრიბეს და მტერს საბრძოლველად გაეგებნენ: ქართველები მტკვრისა და ქციის შესართავის ახლო, ხუნანის ველზე დაბანაკდნენ.

@თავი ოცდამეექვსე.ცალთვალა სარდალი

> მტრისაგან გაქცევის არ რცხვენიათ, გაქცეულები შემობრუნდებიან და ისვრიან, ცხენები ძაღლებივით ჰყავთ გაწვრთნილი, რომელ მხარესაც უნდათ, იქით ატრიალებენ. ოტებულნი, ისე მარჯვედ და ძლიერად იბრძვიან, თითქო მტერს პირისპირ უდგნენ. გარბიან და უკან იხედებიან, უცთომლად ესვრიან და ხოცავენ მდევრებსაც და მათ ცხენებსაც. მტერს ჰგონია, რომ აირივნენ და იძლივნენ, მაგრამ თვითონ აგებს ომს, რადგან დევნაში ცხენებიც ბლომად ეხოცება და ჯარიც უთხელდება. თათრები, როგორც კი დაინახავენ, რომ მტრის ცხენები და მდევრები საკმაოდ დახოცეს, უკან შემობრუნდებიან და მამაცურად იბრძვიან, ჟლეტენ და ამარცხებენ მტერს.
>
> **მარკო პოლო**

დარბაზის საიდუმლო სხდომაზე შიოს ნათქვამი ხალხში როგორღაც გამოვიდა და გადასხვანაირებულად გავრცელდა:

_ მეფის მცველყოფილი, მეამბოხე ლუხუმი ცოცხალი ყოფილა, საქართველოდან გაქცეულა, მონგოლების სარდალი გამხდარა და ახლა მეფეზე შურის საძიებლად მტრის ჯარს მოუძღვისო, _ ამბობდნენ ლაშქარში.

სარდლები და ჯარის ნაწილების უფროსები ყველგან უარყოფდნენ ამ მონაჭორს. ამტკიცებდნენ, ლუხუმი კარგა ხანია მკვდარიაო, მაგრამ საომრად გამოყვანილ ყმა გლეხებს მეთაურების მტკიცება არ სჯეროდათ და ერთხელ ნათქვამ ჭორს ასჯერ იმეორებდნენ:

_ თუ ნამდვილად ლუხუმი იყო მოედანზე ჩამოკიდებული მეკობრე, რად გადამალეს, რატომ ხალხს არ აცალეს მისი ნახვაო.

მათი გადაჯერება მით უფრო ძნელი იყო, რომ მონგოლთა ცალთვალა სარდალსა და ლუხუმის მსგავსებას ყველა ერთპირად ადასტურებდა.

* * *

მონგოლები ერთი დღის სავალზე იყვნენ.

ქართველებმა ბანაკი მტკვრის ციხესთან დასცეს, გუშაგები დააყენეს. მეორე დღეს დიდი ომი და გარჯა ელოდათ, ლაშქარს კარგად უნდა დაესვენა, რომ საბრძოლველად მოსწრაფე მტერს მხნე და ძალამოკლებული დახვედროდა.

მეფემ ძილის წინ ცოტა დალია და კარავში ადრე მიიძინა.

თენდებოდა. სარდლები უკვე ფეხზე იყვნენ. ბანაკში ბუკისა და დაფდაფის ცემა იყო.

ლაშქარი ფეხზე დგებოდა და საომარ თადარიგს იწყებდა. კარგად მოსვენებული მეფე მხნედ წამოდგა და კარვიდან გამობრძანდა.

მეფეს სარდლები მოეგებნენ, კოშკზე აიყვანეს და მტრის ბანაკისაკენ გაახედეს.

ხუნანის ველზე გარიჟრაჟის მკრთალი ნათელი იდგა. თვალუწვდენელი დათოვლილი ველი მონგოლთა ლაშქარს მკალივით დაეფარა, მიწა აღარ ჩანდა. გაჩიანსა და ბერდუჯს შუა, ცის დასალიერამდე, უთვალავი შავი აჩრდილი მოძრაობდა. აქა-იქ უკვე ჩანავლებული კოცონები ბოლავდნენ.

ზღვასავით უნაპირო იყო იდუმალებით მოცული მტრის ბანაკი.

პირმოკუმულნი, შუბლშეკრულნი გაჰყურებდნენ მეფე და სარდლები მტრის თვალუწვდენელ ბანაკს.

_ ფრიადნი ჩანან რიცხვით! _ წარმოსთქვა მეფემ ბანაკისაგან თვალმოუშორებლად.

_ უმრავლეს არიან ქვიშისა ზღვათა შინა და ვარსკვლავთა ცათა შინა. _ დაუდასტურა მხარგრძელმა.

მეფე ციხეში შებრუნდა, მცირე ტაბლა მოიღო და სამხედრო ბჭობა გამართა.

სამხედრო საბჭოზე მტრის მრავალრიცხოვნება და ძლიერება ყველამ აღნიშნა.

ივანე მხარგრძელი, ვარამ გაგელი და ჰერეთის ერისთავი მტერზე დაუყოვნებლივ შეტევის დაწყებას მოითხოვდნენ. სამივე ქართველთა განლაგების უპირატესობას აღიარებდა და მეფეს შორი გზით დაქანცულ მტერთან დაუყოვნებლივ ბრძოლის გამართვას ურჩევდა.

მეფე ყურადღებით უსმენდა.

სამთავეს აზრი რომ მოისმინეს, უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. თავს არავინ სწევდა და ხმას არავინ იღებდა.

მეფემ იქ მყოფთ თვალი მოავლო და იკითხა:

_ ვინ არს მსურველ განბრჭობად და რჩევის თქმად?

მძიმედ წამოდგა ახალციხელი, მეფეს და დიდებულებს თავი დაუკრა და დინჯად დაიწყო:

_ მეფევ და დიდებულნო, ძლიერნო და უძლეველნო, დამამხობელნო მტერთა სამეფოთანო, გსმენიათ, ვითარ ძლევამოსილ არიან თათარნი ველად ბრძოლასა შინა, რამეთუ არიან ველთა და მინდორთა შინა ზრდილნი და ველისა ბრძოლისა მარჯვენი. ხოლო ქვეყანა ჩვენი სავსეა იწროებითა და ხეობებითა, სადაც უძლურნი აღმოჩნდებიან მუღალთა ნათესავნი ქართველთა წინააღმდეგ წყობად, რადგან უჩვევ არიან კლდეთა და ხნარცვთა შორის წყობასა და კვეთებას. ჩვენს წინ ველი მდებარეობს და ისიც თოვლით დაფარული. მუღალთა დაუჭედელ ცხენთათვის ადვილი იქნება თოვლიან ველზე რბევა, ხოლო ქართველთა ცხენებს გაუჭირდებათ დაჭედილი ფეხით სრბოლა. ვგონებ, უმჯობეს იყოს, არ შევებათ ველსა ზედა, სადაც უძლიერესნი იქნებიან მტერნი. უკუვდგეთ იწროთა და სიმაგრეთა შინა და იქ ვაჩვენოთ ომი ძლიერი, ახოვანება და კვეთება ქართველთა მსგავს გოლიათთა.

_ ვითარ უკუვდგეთ! _ წამოვარდა ფეხზე აღშფოთებული ვარამ გაგელი, _ ვითარ უკუვდგეთ, ოდეს მტერთაგან კლებასა და ოხრებასა არს მამული და ყოველი სამკვიდრო ჩვენი!

_ იქნებ თბილისიდან გახიზვნასაც გვირჩევს ახალციხელი, რამეთუ მთათა შინა კავკასიისა უმეტეს არიან ხევნი და იწრონი გამაგრებულნი, _ ღვარძლით თქვა ივანე მხარგრძელმა და დამცინავად მოხედა ახალციხელს.

_ უკეთუ არა გული სტკივათ მეფესა და დიდებულთა ქართველთა ოხრებისა და ტყვევნისა გამო მამულთა და სამყოფელთა ჩვენთა, ჩვენ მარტონი შევებმით მტერსა და ვერა უკუვდგებით ლაშქრითა ჩვენითა და თავითა ცოცხალითა, _ მოსჭრა გაცეცხლებულმა ჰერეთის ერისთავმა და მეფე მიხვდა, რომ კამათის გაგრძელება ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა.

მონგოლთა ლაშქრისაგან რბევასა და შეწუხებას სამი სამთავრო _ გაგი, სომხითი და ჰერეთი განიცდიდა ჯერჯერობით. ამიტომ მეფისთვის გასაგები იყო საქართველოს ამ სამი უმნიშვნელოვანესი საერისთავოს მფლობელების აღშფოთება და თავის გამოდება.

მეფის გონება ახალციხელის რჩევისაკენ იხრებოდა. სხვა დროს, დაწყნარებული განსჯისას, მისი უპირატესობა აშკარად გამოჩნდებოდა, მაგრამ ახლა, როცა ყოველი დიდებული მთელი ქვეყნის ბედს საკუთარი მამულის ინტერესს უკავშირებდა, უკვე ძნელი იყო დამშვიდებული ბჭობა და სამხედრო თვალსაზრისით უკეთესის გამორჩევა.

ბრძოლა მაინც გარდუვალი იყო და მეფეს მტერზე გამარჯვების ყველაზე უკეთეს პირობად ამ ბრძოლაში ქართველთა ერთიანობა მიაჩნდა.

უკან, უფრო საიმედო პოზიციებისაკენ დაწევას სარდალთა შორის განხეთქილება და საერთო ძალის დასუსტება მოჰყვებოდა. ასეთ პირობებში კი ძლიერი მტრის წინააღმდეგობა შეუძლებელი იქნებოდა.

_ მეც უმჯობეს მიჩნს ომი ამა ველსა ზედა. აწ აღვიმხედროთ და შეწევნითა ღვთისათა და წარმძღვარებითა ჯვარისა პატიოსნისა ვძლიოთ ნათესავნი უცხონი, _ მოჭრა ხელმწიფემ და დავა დასრულდა.

მეფის სიტყვის შემდეგ საბჭომ ივანე მხარგრძელის საომარი გეგმა მიიღო:

მარცხენა ფრთას ამირსპასალარი უთავეს, მარჯვენას _ ვარამ გაგელი, ხოლო ლაშქრის შუაგული მეფეს ჩააბარეს.

სამთავ თორელს მეფის სარდლობით ბრძოლა ხვდა წილად.

* * *

თითქოს შავი ღრუბელი წამოვიდაო, უცებ მოსწყდა ცის დასავალს მონგოლთა ლაშქარი.

მტერს რომ დაეახლნენ, ცხენებს სადავე მოუშვეს და ისრის სეტყვა დაუშინეს მათკენ მიმქროლავ ქართველებს.

ისრის ტყორცნითვე შეხვდნენ ქართველები. შურდულებივით გამოქანებული მონგოლები ცხენების შეუყოვნებლად ისროდნენ ისრებს და უცნაური ხმით გაჰკიოდნენ:

_ ყუუ-ყუ! ყუუ-ყუუ! ურრაჰ-ურრაჰ! ურრაჰ-ურრაჰ!

ქუხილივით გრგვინავდნენ, საშინლად კიოდნენ და ეს ყურისწამღები და ცისა და მიწის შემძვრელი ყივილი ზარდამცემად გაისმოდა ისრების ზუზუნსა და გაჭენებული ცხენების ფეხის ხმაში.

მონგოლ ცხენოსანთა მწყობრი ზღვაში შეჭრილ მთის მდინარესავით შევარდა ქართველთა წყობაში, თანდათან შემდორდა და ქროლვა შეაჩერა.

გამყინავი, შეშლილი სახეები დამხვდურთა გაოცებულ, აფორიაქებულ სახეებში აირია, ისრის წვიმა ნელ-ნელა მისწყდა და თანდათან ხმლებისა და ფარების ჩახაჩუხით შეიცვალა.

შენივთებულ ბრძოლაში გრიგალივით ბრუნავდნენ ქართველი მეომრები. შუბის ნალეწი და ჩაბალახზე მოქნეული ხმლების ნაკვესი ურიცხვ ნაპერწკლებად ირეოდნენ, შემზარავად მოისმოდა მომაკვდავთა კვნესა და უმხედროდ დარჩენილი ცხენების ჭიხვინი.

დიდხანს გაგრძელდა ხელჩართული ძლიერი ბრძოლა, ცხენმოკლული მხედრები ქვეითად უტევდნენ, ხმალ და აბჯარდალეწილი მეომრები დაცემულთა იარაღს იშველიებდნენ. სისხლისაგან წითლად აჭრელდა თეთრი თოვლით დაფარული ველი.

ნელ-ნელა შეიძრა მონგოლთა წყობა, ნაბიჯ-ნაბიჯ უკან დაიხია და უცებ მოსწყდა მტერს.

მონგოლებმა ზურგი აჩვენეს ქართველებს, ცხენებს ქუსლი ჰკრეს და უნაგირზე წახრილები სილტოლვად მიიქცნენ.

_ ჰკა მაგას! _ შესძახა ლაშამ და ქართველთა ლაშქარი „ვაშას“ გუგუნით გამოუდგა ოტებულ მტერს.

გარბიან მონგოლები, ირბენენ, ირბენენ, წუთით შეჩერდებიან და დადევნებულ მტერს მოუბრუნდებიან, ისრის სეტყვას დააყრიან და კვლავ ცხენხეთქებით მიჰქრიან თოვლზე. დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ ქართველებს უჭირთ მონგოლთა შემობრუნებისას ცხენების შეჩერება, მაინც ზედ აწყდებიან, მისდევენ გაქცეულებს, ზოგს ისრით ეწევიან, ზოგს ხმლით ჰყრიან უწყალოდ ცხენებიდან და კვლავ „ვაშას“ გუგუნით მიჰქრიან წინ, სისხლითა და კვეთებით მთვრალნი და თავდავიწყებულნი.

ასე ირბინეს კარგა ხანს ლტოლვილებმა და მდევრებმა.

თოვლით დაფარულ ტრიალ ველზე, მარჯვნივ, ასწლოვანი მუხების ატეხილი ტყე იყო.

ბრძოლით ჩაუქროლეს დევნილებმა და მდევრებმა ტყეს, ცოტაც გასცდნენ და მტრის დევნით გართულ ქართველებს ტყის ბოლოს მზირად ჩასაფრებული მონგოლთა ჯარი ეკვეთა ზურგიდან ჯებე ნოინის მეთაურობით.

მოულოდნელი მძლავრი დარტყმისაგან ქართველთა ზურგი აირია. წინ მიმქროლავმა, დინებას მიყოლილმა ცხენოსანმა ლაშქარმა ერთბაშად შეჩერება და შემობრუნება ვერ მოახერხა.

ამდენ ხანს ოტებული მონგოლები უცებ შემოიქცნენ და მდევრებს აქეთ შემოუტიეს.

ქართველები ორცეცხლშუა მოხვდნენ.

დარახტული ქურანით მიმქროლავ მხედარს მისდევდა ლაშა. როგორც კი ქართველთა ზურგში ატეხილი მონგოლების ყიჟინი გაისმა, გაქცეულმა თავისიანებს მონგოლურად შეუძახა და ცხენი შემოაბრუნა.

ლაშამ თოვლზე ფეხაცურებული ცხენის შეჩერება ვერ მოასწრო, მის წინ წამით მშვილდმომარჯვებული ცალთვალა ცხენოსანი აღიმართა.

_ ღმერთო, როგორ ჰგავდა იგი ლუხუმ მიგრიაულს!

მეფე დაიბნა, ვეღარც ხმა დაძრა, ვეღარც ცხენი შეამაგრა.

ცალთვალა სუბუდაი ბაღათურმა ერთი „ყუუ-ყუუ“ ამოიძახა და მეფეს შიგ მკერდში აძგერა ისარი.

სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული ლუხუმის სახე მოეჩვენა ლაშას წამით და დაფეთებული ცხენიდან გატყორცნილი დაეცა მიწაზე.

* * *

არეულად იბრძოდნენ ქართველები. დაქანცულებს ორივ მხრიდან მოწოლილი მტრის შეკავების ძალა აღარ ჰყოფნიდათ.

_ მეფე მოჰკლეს! _ გაისმა უცებ, წყობა ერთიანად დაინგრა და აიშალა. მეომრები შიშის ზარმა მოიცვა, მტერს ზურგი აქციეს და უწესრიგოდ გაიქცნენ.

ამაოდ გაჰკიოდნენ ახალციხელები, ბექა ჯაყელი და მემნი ბოცოსძე.

მათ ირგვლივ ერთი მუჭა ქართველებიღა ტრიალებდნენ. თავგანწირული ვაჟკაცების მცირე გუნდი ერთდროულად ცდილობდა ლტოლვილი თანამებრძოლების შეჩერებასაც და ორმხრივ მოწოლილი ურიცხვი მტრის გამკლავებასაც.

აი, კივილით წამოსულ მონგოლს მუცელში აძგერა შუბი და თავად თავგაჩეხილი დაეცა ახალციხელის თვალწინ მეჭურჭლეთუხუცეს ყვარყვარეს ერთადერთი ვაჟი ბექა. ახალციხელი მარჯვნივ და მარცხნივ იქნევდა ხმალს და უცებ უკან მოიხედა: ბრძოლის ველიდან გარბოდნენ მისი ძველი თანამებრძოლებიც, ოროტისა და კერჩულის ბრძოლების გმირები.

მაშინ გაახსენდა შალვას ლუხუმ მიგრიაული, ოროტის აღების დროს ფიცხელ ბრძოლაში შემდრკალ ქართველებს რომ შეუძახა, უკან შემოაბრუნა და იერიშზე გაუძღვა დამფრთხალ, გაფანტულ მეომრებს.

ბეჭში მოხვედრილმა ისარმა შეატორტმანა და კინაღამ მაშინვე ცხენიდან გადმოაგდო ახალციხელი. ზურგში ლახვარდარტყმული მიგრიაული მოელანდა და ფხოველის ხმა ჩაესმა:

_ ეს ლახვარი მარტო მიგრიაულს კი არა, საქართველოს ძლიერებას ჩასცეს ზურგში, რადგან საქართველოს ძლიერება მიგრიაულისთანა პატიოსანი ყმა-გლეხების ძალასა და სიმტკიცეზე იყო მუდამ დამყარებული!

ბინდბუნდად ხედავდა ახალციხელი, როგორ შეიძრა და უკუიქცა მაღალი და საჩინო, სვესვიანი და უძლეველი გორგასლიანისა და დავითიანის დროშა.

მარცხნივ მიიხედა შალვამ: ბრძოლის ველიდან გარბოდა ხმალ და ჩაბალახდალეწილი, დაკორტნილი მამალივით დასისხლიანებული მხარგრძელი.

ახალციხელს თვალთ დაუბნელდა და ცხენიდან გადმოვარდა.

* * *

ალყიდან ბრძოლით გასულმა ქარუმამ თავისი მცირე რაზმით ერთხანს ტყეს შეაფარა თავი. ზამთარი რომ დადგა და ყინვები დაიჭირა, ტყეც ძნელი გასაძლისი გახდა. ბარად ჩამოსვლა და სოფელში გამოჩენა სახიფათო იყო მცირერიცხოვანი მეამბოხეებისათვის. ქარუმა რჩევას დაჰყვა და უცხოობაში გასვლა, სამშობლოდან გადახვეწა გადაწყვიტა.

საქართველოდან სამხრეთისაკენ ფარულად მიმავალმა მეკობრეებმა ჭორად იცოდნენ მტრის შემოსევის ამბავი.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საზღვარს, მით უფრო ენანებოდათ მშობელი მიწის დატოვება. გული წყდებოდათ და სევდა ერეოდათ. სად უნდა წასულიყვნენ, ვის კარს უნდა მისდგომოდნენ, ვისთვის უნდა ეთხოვათ ლუკმა და თავშესაფარი? ღირდა კი უცხოობაში მწარე ლუკმისა და დამადლებული ჭერის ძებნა?!

მიდიოდნენ და ფეხი უკან რჩებოდათ საცოდავებს. მარტო ფეხი კი არა, გულიცა და ფიქრიც, სიყვარულიც და ოცნებაც, განვლილიც და მოსაგონარიც, კარგიც და ავიც, ტკბილიცა და მწარეც... ყველაფერი, რაც ადამიანის ცხოვრებას შინაარსით ავსებს და მის მომავალ სიცოცხლესაც აზრს აძლევს.

მტკვრის ხეობას რომ გადმოხედეს, არეული ბრძოლის ველი დაინახეს.

ნელ-ნელა დაეშვნენ დაბლა.

ბრძოლის ველიდან ლტოლვილები მორბოდნენ.

მეკობრეებმა გამოქცეულთაგან გაიგეს ქართველთა მარცხი და განსაცდელი.

დაფეთებული ლტოლვილები შიშით და კანკალით ჰყვებოდნენ უცხო ნათესავთა გაუგონარ სიმრავლესა და სიძლიერეზე, ქართველთა განადგურებასა და ერთიანად დაღუპვაზე.

რძეგამშრალი დედა ტირილისაგან გადაბჟირებულ ბალღს პირში ძუძუს სჩრიდა. ბალღი ცარიელ ძუძუს არ იკარებდა და ტირილს უფრო უმატებდა.

_ გვიშველეთ, ხალხო! ქართველები არა ხართ?... _ შეჰღაღადა სასომიხდილმა დედამ, _ სახლ-კარი დაგვიწვეს და აკვნები ცხენებით გადაგვითქერეს... გვიხსენით მტრის მძლავრობისაგან, ქრისტიანები არა ხართ? _ შეჰქვითინა სახედაკაწრულმა, ჯავრისაგან უდროოდ გათეთრებულმა ქალმა.

მეკობრეები შეჩოჩქოლდნენ.

_ თუ მთელი ქვეყანა იღუპება, ჩვენ სადღა მივდივართ?!

_ სადაც სხვა, ჩვენც იქ!

_ უცხოობაში ძაღლურ სიცოცხლეს, სამშობლოში კაცური სიკვდილი გვიჯობს! _ შემოადგნენ აქეთ-იქიდან ქარუმას.

ქარუმაც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ მაინც კიდევ ყოყმანობდა.

მეკობრეები რომ ამ საგონებელში იყვნენ, უცებ მათკენ მომქროლავი ცხენოსნები დაინახეს.

ცხენოსნები დაუახლოვდნენ და ყაჩაღებმა ბრძოლის ველიდან გამოქცეული ჰერეთის ბატონი იცნეს.

თავზე ჩაბალახჩამოფხრეწილ ერისთავს უკან რამდენიმე დაჭრილი და დაფეთებული მოლაშქრე მოსდევდა.

_ ჰაი, შე ლაჩარო! _ შეუტია ქარუმამ და ბატონს ხმალაღმართული წინ გადაუდგა, _ უიარაღო ყმებზე და ქვრივ-ობლებზე გაქვს დიდი გული, განა! ახლავ შებრუნდი მტრისკენ, თორემ აქვე გაგათავებ.

ერისთავმა უაზრო, გაოგნებული თვალებით შეხედა ხმალშემართულ ქარუმას, ცხენი უსიტყვოდ შეატრიალა და ბრძოლის ველისკენ მიიქცა.

მეკობრეთა მცირე რაზმმა ხმლები იშიშვლა, უკან მიჰყვა და ნიაღვარივით გადაეშვა ხელჩართულ ბრძოლაში.

* * *

იმის გამო, რომ მეფეს ჩვეულებრივად, უბრალო დიდებულთაგანივით ეცვა, მისი დაჭრისათვის არც სუბუდაის მიუქცევია ყურადღება და არც ძარცვა-გლეჯაზე დახარბებულ მონგოლ მეომრებს.

პირველად მეფე მის მხარდამხარ მებრძოლმა თურმან თორელმა მოისაკლისა, შენივთებული ბრძოლიდან ხმლით გზა გაიკაფა და უკან დახეულ ქართველებისაგან დატოვებულ ნაომარ ველზე გავიდა.

გვამებით მოფენილ თოვლიან ველზე თავბრუდასხმულივით ტრიალებდა და ხმამაღლა ჭიხვინებლა ლაშას ფაფარგაშლილი ლურჯა. თორელმა უპატრონოდ მოყიალე ლურჯას მიაშურა, დაჭრილ-დახოცილებში მეფე მოძებნა, ცხენიდან გადმოხდა და ლაშას წინ ჩაიჩოქა.

თვალმიხუჭული მეფე სისხლისაგან იცლებოდა. თორელმა საკინძი გაიღეღა, პერანგი ჩამოიხია და ჭრილობის შეხვევას შეუდგა.

_ წყალი! _ ძლივს წაიჩურჩულა მეფემ და სიცხიან პირში გამშრალი ენა გაასავსავა.

_ ახლავე, მეფევ! _ ჩასჩურჩულა თორელმა და ჭრილობის შეხვევას აუჩქარა.

მეფემ ხმაზე იცნო თორელი, თვალი გაახილა და შეეხვეწა:

_ მიმღერე რამე, თურმან!.. უკანასკნელად მიმღერე რამე!

მეფე ხელის ფათურით მისწვდა თორელის ხელს. მეფის ხელი ნაღვერდალივით ცხელი იყო.

თორელი ლაშას გაფითრებულ, ოდნავ გალურჯებულ სახეს ჩააცქერდა და თვალთაგან ცრემლი წასკდა.

სახელოთი მოიწმინდა ცრემლი თურმანმა და ხმადაბლა ნაღვლიანი, ტკბილი ხმით წამოიწყო ლაშას საყვარელი სიმღერა:

წარმავალია ნათელი, სულ მოსაჩვენრად ბრწყინდება,
ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება.
რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდება,
ჩვენს ნასახლარზეც ოდესმე ბალახი აბიბინდება...

სიმღერით და საკუთარი დარდით თავდავიწყებულ თორელს მეფის მწარე ამოკვნესა ჩაესმა და ლაშას მოხედა.

ხელმწიფეს სახე ტკივილისაგან დაღრეჯოდა.

გახურებული ტუჩები შესძრა მეფემ და თორელმა ძლივს გაიგონა:

_ გესმის, თურმან? მეძახის...

თურმანს არაფერი ესმოდა.

_ ლილე მეძახის... ლაშა... ლაშარელაო... გესმის?..

თორელს ისევ ცრემლი მოერია და გულმოკლულმა, თვითონაც არ იცოდა რატომ, თავისდაუნებურად, განაგრძო სიმღერა:

იმასაც მოკლედ უვლია, გრძლად ვინც გვეგონა იარა.
შუქს ბნელი შესჭამს, ვარდს _ ჭია, კაცის გულს _
ჯავრის იარა.

მოვა სიკვდილი უჩინო, ერთ წამში აგვყრის იარაღს,
ჩვენ რას წავიღებთ ქვეყნიდან, სხვას არა წაუღია რა...
თურმანი მღეროდა და ტიროდა, მეფეს აღარც ერთი აღარ ესმოდა.
_ ლაშა... ლაშარელა...
ლილეს ხმა და სიოს ჩურჩული უკანასკნელად მისწვდა მეფის ყურს და ხელმწიფემ თვალი წყნარად მიხუჭა.
ხელმწიფის სახეზე სიმშვიდე გამეფდა.

* * *

მინდორზე შავტაიჭოსანი ვაჟკაცი გამოვარდა.
თორელთან მიიჭრა ეგარსლანი და ცხენიდან დასძახა:
_ რა დროს სიმღერაა, თურმან?
ეგარსლანი ცხენიდან გადმოიჭრა, მეფის ლურჯას დაედევნა, აღვირში ხელი სტაცა და მეფესთან მოიყვანა.
ლურჯამ პატრონს დახედა და ერთი გულსაკლავად შესჭიხვინა უნაპირო ზეცას თუ თავის უხილავ ღმერთს.
გრძნობადაკარგული ხელმწიფე ფრთხილად აიყვანეს. ეგარსლანი მეფის ლურჯას მოახტა, თორელმა ატატებული მეფე მისცა და მუხლებზე გადაწვენილი ლაშა მარჯვენა ფრთისაკენ გააქროლა ბაკურციხელმა.
იქ, ბრძოლის ველის მარჯვენა ფრთაზე, ქართველები ჯერ კიდევ მედგრად აწვებოდნენ მტერს.

@თავი ოცდამეშვიდე. სიზმარ-ცხადი ანუ გათავებული სიჭაბუკე

მონგოლები სამშვილდემდე მოვიდნენ.
ქართველებს უკვე მოესწროთ ისედაც მიუდგომელი ციხის გამაგრება.
თათრები მიხვდნენ, რომ ესოდენ მიუვალ ციხე-სიმაგრეს იერიშით ვერ აიღებდნენ, მაგრამ არც მისი გვერდის ავლა და უკან მოტოვება შეიძლებოდა.
სამშვილდეს მდებარეობა მისი სანახევროდ გარემოცვის საშუალებასაც ძლივს იძლეოდა. ქართველთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი, ვარამ გაგელის მეთაურობით, სამშვილდეში იყო გამაგრებული და მის დასაცავად კიდევ ახალ ძალებს უყრიდნენ თავს.
ვიწრო და უგზო ხეობაში მონგოლთა მრავალრიცხოვანი მხედრობა გაშლას ვერ ახერხებდა და, ვინ იცის, მტრის მოულოდნელ თავდასხმას ეგებ მთელი ლაშქარი საფრთხეში ჩაეგდო.
მონგოლებს არც წინ წასვლა შეეძლოთ, არც ვიწრო ხეობაში ბანაკად დგომა. ჩინგიზის გამჭრიახმა სარდლებმა გარემოება აწონ-დაწონეს, უჩვეულოდ ცივსა და დიდთოვლიან ზამთარში ციხე-სიმაგრის ალყა განუხორციელებლად და სახიფათოდ მიიჩნიეს და უკანდახევა ამჯობინეს...
სულ ახლო იყო თბილისი, სიმდიდრითა და ფუფუნებით საქვეყნოდ განთქმული ქართველთა დედაქალაქი. მონგოლებს თბილისის აკლებასა და გაძარცვაზე სული მისდიოდათ, მაგრამ ქართველებთან მძიმე ომში უკვე განახევრებული და მოქანცული ლაშქრით თბილისის აღება შეუძლებლად ჩათვალეს.
დიდი იყო თბილისისაკენ წასვლის ცთუნება, მაგრამ მონგოლთა ხარბმა სარდლებმა მადა დაიოკეს და უკან გაბრუნება არჩიეს.

მონგოლთა ლაშქარი შებერტყილი, შეთხელებული დაადგა რანის გზას.

* * *

ბრძოლის ველიდან გამოტაცებული მეფე თბილისში მოიყვანეს.

მონგოლის ისარს მკერდი შეენგრია ლაშასათვის, მაგრამ იღბლად გულს ასცდენოდა. ჭრილობა ღრმა იყო და საშიში.

დასტაქრებმა ჭრილობა გაუწმინდეს, გაკვეთილი და გახეული გაუკერეს და სათუთად შეუხვიეს.

სისხლისაგან დაცლილი, ძალაგამოლეული მეფე ძილად მივარდა.

იწვა სახეგაფითრებული და ტუჩებგალურჯებული ლაშა გაუნძრევლად და სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.

თავით სულგანაბული დასტაქარი უჯდა და ხელიდან არ უშვებდა მეფის მაჯას.

მეორე დღეს წამწამები შესძრა ლაშამ და ბაგეები შეუტოკდა, ექიმებმა შვებით ამოისუნთქეს და წამლები მისცეს.

მეფე ისევ ძილად მივარდა, მხოლოდ წინანდებურად მკვდარს აღარ ჰგავდა. გაფითრებულ ლოყებს ოდნავ ფერი მოუბრუნდა და დაჭრილს სუნთქვაც შეეტყო.

მესამე დღეს მეფემ თვალი გაახილა და იქ მყოფთ მოავლო. ხედვა თორელზე შეაჩერა. თურმანი მიხვდა, რომ რაღაცას უსიტყვოდ ეკითხებოდა. ხელმწიფის საწოლთან მუხლზე დავარდა და ხარბად დააცქერდა, მაგრამ ვერც მეფემ თქვა ვერაფერი და ვერც თორელმა გაუგო ლაშას სათქმელი.

ხელმწიფეს წამწამზე ცრემლი მოსწყდა, თვალი უღონოდ მიხუჭა და ისევ მიიძინა.

სიზმარი ნახა მეფემ.

სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრიდან გამოდიოდნენ ის და ლილე ჯვარდაწერილნი.

თავს ორივეს ოქროს გვირგვინი ედგა, ორივენი ლამაზები იყვნენ, ახალგაზრდები და ბავშვებივით ბედნიერები.

ხალხი თვალს ვერ აშორებდა, ვერ ძღებოდნენ მათი ჭვრეტით.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოსულიყვნენ მეფის ქორწილის დასასწრებად, ათასნაირი ტანსაცმლით ირეოდნენ ერთმანეთში, ათასნაირი სიმღერა ცვლიდა ერთიმეორეს.

გუნდ-გუნდად ეწყო ლაშქარი, დაუსრულებლად გუგუნებდა ძლიერი ვაშა და საქორწილო სიმღერებს მხედრული ცვლიდა.

მუხლზე ჩოქვით, ძვირფასი ძღვენით მოდიოდნენ საქართველოს ყმადნაფიცები: შირვანშა და განძის ათაბაგი, არზრუმის სულტანი და ხლათის მელიქი.

დარახტულ ცხენებზე ისხდნენ სახელოვანი ქართველი სარდლები, ჭარმაგი მხარგრძელი და ბრგე ახალციხელი, ვარამ გაგელი და ბექა ჯაყელი, ქართლის ერისთავი და ეგარსლან ბაკურციხელი, დადიანი და აფხაზთა და სვანთა ერისთავი, რაჭის ერისთავი და მარგველი.

სიმღერით დაიძრა მაყრიონი, თავლუწვდენელ ყვავილოვან ველზე გამოვიდნენ და ნელი ნაბიჯით შემოემართნენ. მოდიოდნენ გალობითა და ლაღობით მუხლამდე ბალახსა და ყვავილებში.

უცებ შავმა ღრუბელმა დაჰფარა ცა და ვრცელ მინდორზე ჩამოწვა.

უცხო ლაშქარი მოვარდა. ყვავილები გაქელა და მაყრიონთან მიიჭრა. ჩაბალახით სახედაბურულმა უცნობმა მხედარმა დედოფალი ლილე ცხენზე აიტაცა და გაქუსლა.

შეჩოჩქოლდა, შეიძრა მეფის მაყრიონი. დაბნეული ლაშა წამსვე გამოფხიზლდა, თავის სარდლებსა და ლაშქარს შეუძახა და ყველანი ერთად დაედევნენ დედოფლის გამტაცებელს.

წინ მიჰქრიან მიწას გაკრული ცხენები, ყურთან ზუზუნებენ გასროლილი ისრები და ცას სწვდება ცხენთა ფეხის მტვერი.

დაეწევიან ქართველები, შემოუბრუნდებიან უცხო მტრები, დაიწყება ხელჩართული, ფარ-ხმლის ჩახაჩუხი, ისევ მოსწყდებიან უცხო ცხენოსნები, ისევ მიჰქრიან და მისდევენ ქართველები.

ის კი, ის, ჩაბალახით სახედაბურული ცხენოსანი, რომელმაც ლილე დედოფალი გაიტაცა, წამით არ ჩერდება, უკანმოუხედავად მიჰქრის დაუჭედელი ღონიერი ცხენით და მეფეც სულმოუთქმელად მისდევს მწევარივით გრძელსა და გამხდარ კვიცზე ამხედრებული.

აი, მდინარესთან დაეწია მეფე უცხო მხედარს. ცხენოსანი გაჭენებულ ცხენზევე შემობრუნდა, მშვილდის ლარს მოსწია და შიგ გულში აძგერა ისარი წამოწეულ ლაშას.

მეფე ფარის ფარებას ან გვერდზე გახტომას მოასწრებდა, მაგრამ უცხო მხედარს ჩაბალახი მოხდოდა და, მისი ნახვით გაოცებული, შეყოვნდა. ანკი როგორ არ გაოცებულიყო ლაშა, როცა მის წინ ის ცალთვალა მონგოლი სარდალი იყო, ხუნანის ველზე რომ გულში ისარი აძგერა. მონგოლი სარდალი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ლუხუმ მიგრიაულს და სისხლიანი ცალი თვალით მრისხანედ უყურებდა.

დაჭრილი მეფე ცხენზე გადმოეკიდა, ლილემ შემზარავად შეჰკივლა და ლაშასკენ გაიწია.

გამარჯვებულმა ცალთვალა ლუხუმმა თუ მონგოლმა სარდალმა გატაცებული დედოფალი დათვივით ჩაბღუჯა და მდინარეში შეაგდო გაქაფული ცხენი.

მინდორზე გდია დაჭრილი მეფე. სისხლისაგან იცლება და მშველელი არავინა ჰყავს. თავს დარახტული ლურჯა ადგას. აღარც გაქცეული უცხოთა ლაშქარია, აღარც მათი მდევარი ქართველები ჩანან...

წყალი სწყურია სიცხისაგან პირგამშრალ ლაშას. მდინარესთან უნდა ხოხვით მისვლა, მაგრამ ძალა არა აქვს, რომ ადგილიდან დაიძრას. წყალგაღმა გახედა მეფემ და დაინახა _ ცალთვალა უცხო ცხენოსანი ლილეს მიაქროლებდა.

არა, ლილეს კი არა, საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერების დროშას!..

უკან გაიხედა მეფემ: სპარსელთა და ბიზანტიელთა, არაბთა და თურქთა უღლისაგან გამათავისუფლებელ ბრძოლაში დაღუპული გმირები დაინახა. წყევლა-კრულვას, შეჩვენებას უგზავნიდნენ სამშობლოსათვის სისხლდათხეულ მამულიშვილთა თაობები, მათ ძვლებზე აშენებული, დიდი ხნის ნაოცნებარი ძლიერი და თავისუფალი საქართველოს დაღუპვის გამო.

ზიზღსა და აღშფოთებას, საყვედურსა და სინანულს გამოხატავდნენ ნაჭრევებით დაღარულ გმირთა სახეებიდან მოშტერებული მრისხანე თვალები.

ისედაც ღონემიხდილმა, სულითა და ჯანით გატეხილმა ლაშამ ვეღარ გაუძლო მათ დაჟინებულ ცქერას, თვალი აარიდა მათ გატანჯულ სახეებს. თავი მხრებში ჩარგო დამნაშავესავით და გმირ წინაპართაგან პირი იბრუნა.

წინ გაიხედა ოდნავ გახელილი თვალით და შორს, ძალიან შორს მისწვდა განწირული მეფის მზერა: უცხოთა ბატონობის უღელში გაბმულ თაობებს თაობები მისდევდნენ კვნესითა და ზუზუნით, ოხვრითა და ტირილით. ეს ქართველთა მოდგმის ახალი თაობები იყვნენ, რომელთაც დიდი და ძლიერი საქართველოს ხელმწიფე მემკვიდრეობად მონის უღელს, უცხოთაგან ჩაგვრასა და გაჩენის დღის წყევლას უტოვებდა.

უღელში გაბმულებმა წამით იბრუნეს პირი ლაშასკენ და მაწყევართა და მყვედრებელთა უთვალავ სახეებში ლაშამ თავისი ერთადერთი შვილი იცნო _ დავითი. უკვე დავაჟკაცებულ ტახტის მემკვიდრეს ყელზე პირუტყვივით არკანი ება და უცხოთა ბატონობისაგან გატანჯულ თავის ხალხს მიუძღოდა.

ხალხი გუგუნებდა, წყევლიდა და კრულავდა ამ განსაცდელში ქართველთა ჩამგდებთ. ლაშას ძე დავითი ხმას არ იღებდა, ტკივილს არ ამჟღავნებდა და უდრტვინველად იტანდა ორმაგ ტანჯვას: ერთი სატანჯველი მონის ხვედრი იყო, მეორე _ ქართველი ხალხის მიერ ამ უბედურების მიზეზად მისი საყვარელი მამის ლაშა-გიორგის მიჩნევა.

_ რას გვემართლებოდი?! რად ჩაგვაგდე სატანჯველში?! რამდენი სისხლი უნდა დავღვაროთ, რამდენი უნდა ვეწამოთ, რომ სამშობლოს ძლიერება და თავისუფლება დავიბრუნოთ!

შეზმუვლეს და შეჰღაღადეს ქედწახრილმა თაობებმა ლაშას და მეფეს უდანაშაულოდ დასჯილი ბავშვივით გული ამოუჯდა სატირლად.

უნდოდა, დაეყვირა ხმამაღლა, რომ ყველაზე შორეული თაობისთვისაც მიეწვდინა:

_ ჩემი ბრალი არ არი. ჩემს ნებაზე ქვეყნის მომავლის კი არა, საკუთარი ბედის გადაწყვეტა არ დამანებეს ჩემმა დიდებულებმა. მე თქვენზე უბედური ვიყავი, მტერმა მარტო სამშობლოს თავისუფლება და ძლიერება კი არა, სატრფოც მომტაცა, გულის სატრფო!

ენა არ ემორჩილებოდა ლაშას და ყელში ხმა არ ამოსდიოდა. ხარკით წელგაზნექილ და უცხოთა ომებით ილაჯგაწყვეტილ თაობებს ხმა ვერ მიაწვდინა, მათ წინაშე თავი ვერ იმართლა.

ყელი უშრება წყურვილისაგან ძლიერი და თავისუფალი საქართველოს უკანასკნელ ხელმწიფეს, უბედურსა და უიღბლო ვაჟკაცს. მდინარესთან ხოხვით მისვლის ღონეც აღარა აქვს და მავედრებელი თვალით იხედება უკან მომდგარი წინაპრებისაკენ.

წვეთ წყალს, სულ ერთ წვეთ წყალს სთხოვს თავის დიდ წინაპრებს, თამარსა და დავითს, ვახტანგსა და ფარნავაზს განწირული მეფე.

წინაპართა კუშტ სახეებზე ზიზღი და მრისხანება აღბეჭდილა წყურვილით სულთმობრძავი შთამომავლისადმი.

გარემიაქციეს პირი მისი ტანჯვისაგან და არა მოიღეს წყალი მცირე მავედრებლის წინაშე.

მხოლოდ თამარს გადმოსცვივდა თვალთაგან მდუღარე.

_ ვაი, შენს დედას!

გულის დამწველად აღმოხდა და ტკივილისა და მწუხარებისაგან შეშლილ სახეზე ხელი აიფარა.

სიცხისაგან გამხმარ ენას უღონოდ ატრიალებდა გამომშრალ პირში მომაკვდავი ლაშა.

შეუბრალებელი წინაპრებისაგან ახლა შთამომავლებისაკენ იბრუნა პირი და მათ შესთხოვა წვეთი წყალი, მაგრამ ირანის უდაბურსა და ციმბირის ყინულოვან ველებზე მიმავალ ბორკილგაყრილ შთამომავლებს წყალი თავადაც ენატრებოდათ და ტვირთისაგან ქედდადრეკილმა თაობებმა ნიშნისმოგებით მოხედეს ერთ წამს. სიძულვილი და დაცინვა ამოიკითხა ლაშამ მათ თვალებში. მხოლოდ მისი მემკვიდრე, მის შემდგომ ქართველთა უბედური თაობების პირველი მეფე შედგა წამით, მოყვარული შვილის გულმა მამის შველა უკარნახა დავითს და ის იყო, წყლის გაწოდებას აპირებდა, რომ უცხო მბრძანებელმა არკანს მოსწია, უკან მოტრიალება არ აცალა და შოლტის ცემით გაიგდო წინ.

_ ვაიმე! _ დაიგმინა შოლტით ფეხაჩქარებულმა დავითმა და ლაშას ტკივილისა და დამცირებისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა.

_ ვაიმე! _ ამოიკვნესა მძინარე მეფემ და თვალი გაახილა. იქ მყოფნი შეჩოჩქოლდნენ და მეფისკენ დაიხარნენ.

ნაწამები, გატანჯული სახე ჰქონდა ლაშას და თურმანმა მის მზერაში საშინელი შეშფოთება ამოიკითხა.

თორელი ახლო დააცქერდა მეფეს და თვალს არ დაუჯერა: ხელმწიფის შავი თმები თითქო ვიღაცას შეეცვალა, ლაშა წისქვილში ღამენათევივით ერთიანად გათეთრებულიყო.

სანახაობამ შესძრა თურმანი: იგი მიხვდა, მეფის სიჭაბუკე იმ წუთებში გათავებულიყო.

_ სად ვართ? _ ჩურჩულით იკითხა მეფემ და თვალი შეშფოთებულმა შემოატარა.

_ თბილისში ვართ, ხელმწიფევ, შენს სატახტოში, _ ჩასძახა საწოლთან ჩაჩოქილმა თორელმა.

_ ისევ ჩვენია თბილისი? _ გამოცოცხლდა მეფე.

_ ჩვენია, ხელმწიფევ. მტერმა დიდი ზარალი ნახა ხუნანის ომში. განახევრებული ლაშქრით თბილისზე წამოსვლა ვერ გაბედა და უკანვე გაბრუნდა სირცხვილეული.

_ მადლობა უფალს! მადლობა უფალს! _ აბუტბუტდა ლაშა და თვალთაგან სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა.

მას თვალწინ ედგა საშინელი სიზმარი და ბავშვივით უხაროდა, რომ ის ზმანება არ გამართლდა: საქართველო ისევ თავისუფალი იყო. ქართველ ხალხს დაპყრობის უღელი არ ედგა და თვითონაც ჯერ კიდევ ძლიერი სახელმწიფოს პატრონი იყო.

მაშ, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ ყოფილა, ჯერ კიდევ შეიძლება ქვეყნის ბედის იმგვარად წარმართვა, რომ არც ამქვეყნად დარჩეს საწყევად მისი სახელი შთამომავლობას, არც იმ ქვეყნად მიჰრიდონ პირი წინაპრებმა მის აჩრდილს.

რაკი სიზმრად ნახული მთავარი უბედურება არ გამართლდა და ქვეყანა მტრისგან ძლეულ-დამონებული არ იყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შველა, სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება და ხალხის კეთილდღეობის ამაღლება. მეფე ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, სულ რაღაც ოცდაცხრა წლის! წინ დიდი გზა ჰქონდა ერისა და სამშობლოს სამსახურისათვის. მშობელ ხალხს თავდადებითა და ზრუნვით დაავიწყებდა ახალგაზრდობისას, თავისდაუნებურად,

გამოუცდელობით მიყენებულ წყენასა და ურვას. ჯერ კიდევ ყველაფერი გაფლანგული და დაკარგული არ იყო, მეფე ახალ ცხოვრებას დაიწყებდა, უზომო ლხინსა და დროსტარებაზე ხელს აიღებდა და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს სამეფოს ძლიერებისათვის ფიქრსა და ზრუნვაში დალევდა.

საშინლად მოუნდა ლაშას სიცოცხლე, ფეხზე დადგომა და თავისი ერის ბედნიერებისათვის ბრძოლა.

_ მოვრჩები, ექიმო? _ მუდარით მიაპყრო დასტაქარს შიშჩამდგარი თვალები მეფემ.

_ მორჩები, მეფევ! ღვთის შეწევნით, მორჩები და განიკურნები.

_ მალე მოვრჩები? _ იმედმოცემულმა ჩაჰკითხა მეფემ.

_ მალე მორჩები, მეფევ, რაკი უფლის ნებაც არის და შენი სურვილიც. ოღონდ ხელი შეგვიწყე, ხელმწიფევ, გამხნევდი და პირს ნუ მიიქცევ წამლისა და საზრდელისაგან.

ლაშას ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გადაეფინა, თვალი მიხუჭა და მშვიდად, უშფოთველად მიიძინა.

* * *

მეფეს თანდათან მომჯობინება დაეტყო. თავს ძალას ატანდა, წამალსა და სასმელ-საჭმელს თავად თხოულობდა.

წყლულმა პირის შეკვრა იწყო და ექიმებმა ვაზირებს სახელმწიფო საქმეების მოსახსენებლად შესვლის ნება დართეს.

ყველანი მოდიოდნენ. მხოლოდ შალვა ახალციხელი არსად ჩანდა და მეფე მიხვდა, რომ ახალციხელს მასზე მეტად უჭირდა, რაკი ქვეყნისათვის ესოდენ დიდი განსაცდელის ჟამს სამეფო საქმეებს ჩამოშორებოდა.

ცოტა კიდევ რომ მოიკეთა, მეფემ ვაზირები და ერისთავთ-ერისთავები თავის საწოლში შეკრიბა და სამხედრო ბჭობა გამართა.

მონგოლები რანში იდგნენ და, როგორც ჩანდა, გამოზამთრებას იქ აპირებდნენ. მაგრამ გულხელდაკრეფილნი როდი იყვნენ თურმე ჯეზე ნოინი და სუბუდაი ბაღათური. მსტოვრების ცნობით, მონგოლები თავიანთ ლაშქარსა და ცხენებს ასვენებდნენ, რანსა და ადარბადაგანში იარაღს იძენდნენ და მომთაბარე ტომებს შორის დამხმარე ჯარებს კრებდნენ, ეჭვი არ იყო, საქართველოზე გამოსალაშქრებლად ემზადებოდნენ და, რაკი მტრის ძლიერება უკვე ნაწვნევი ჰქონდათ, ახლა უფრო მეტ თადარიგს იჭერდნენ გურჯების ქვეყნის დასაპყრობად.

გრძელი და სასტიკი ზამთარი იდგა. მონგოლები თოვლის აღებასა და გზების გაშრობას დაუცდიდნენ, ალბათ, და გაზაფხულზე ისევ დაიძვრებოდნენ საქართველოსკენ.

ვაზირებს ბევრი რამ უმეფოდაც გაეკეთებინათ, რანიდან მიმავალ გზებზე ციხეები გაემაგრებინათ და ხიდები დაენგრიათ. მთელ საქართველოში ლაშქრის წვევა გამოეცხადებინათ და იარაღის კაზმვას შედგომოდნენ.

ლაშამ ვაზირებს ერთგულება და სამეფოსათვის ზრუნვა მოუწონა, ქვეყნის გამრიგეებს სამსახურისათვის მადლი შესწირა და თავის მხრივაც სხვა ღონე იძია: მთიულთა, ლეკთა და ალანთა, ჯიქთა და ძურძუკთა წვევა ბრძანა და ყივჩაღთა გამოსხმაც აუცილებლად ჩათვალა, რადგანაც ომი წინანდელზე გაცილებით ძნელი და სასტიკი იყო მოსალოდნელი.

* * *

როგორც იყო, ლაშა ფეხზე წამოდგა. კათალიკოსმა მეფის გამოჯანმრთელების პარაკლისი გადაიხადა, ლაშა სიონში თავისი ფეხით წავიდა და მღვდელმთავარს კურთხევა გამოსთხოვა.

წირვის შემდეგ კათალიკოსს ძვირფასი ძღვენი მიართვა და დიდხანს ესაუბრა თავისი ნეტარი დედის იერუსალიმს წასვენების თაობაზე.

მეფემ ერთიმეორის მიყოლებით თამარისა და დავითის, ვახტანგისა და ფარნავაზისათვის ცალ-ცალკე აწირვინა კათალიკოსს და საქართველოს ეკლესიის მეთაურის ქადაგება თვითონაც სასოებით მოისმინა.

ლაშა იმდენად გაერთო სამეფოს საქმეებზე ზრუნვით, რომ ლხინისა და განსვენებისათვის დრო აღარ რჩებოდა.

სასახლიდან ნელ-ნელა გაიფანტნენ უსაქმოდ დარჩენილი მსახიობნი და მემუსიკენი.

ლაშქრის საომრად წვევისა და კაზმვის ყველა წვრილმანში ერეოდა ლაშა.

ცხენზე დიდხანს ჯდომას უშლიდნენ ექიმები, მაგრამ მეფემ მაინც შესძლო საქართველოს სამხედრო გზებზე ციხე-სიმაგრეების მოვლა და მოხილვა.

თბილისისა და სამშვილდეს გამაგრებას თვითონ ლაშა ხელმძღვანელობდა, მშენებლებს თავს ადგა და დღე და ღამეს ასწორებინებდა.

უკვირდათ, გაოცებულნი აკვირდებოდნენ მეფის ზნის შეცვლას, მეფის ზრუნვით გამხნევებული ხალხი იმედის თვალით შეჰყურებდა მომავალს და გულმოდგინედ ემზადებოდა მტრის დასახვედრად.

* * *

თოვლი დადნა და ხეში წყალი ჩადგა. გაზაფხულის თბილმა სუნთქვამ, თბილისსაც მოატანა. მინდვრებზე ოხშივარი დადგა და გზებმა შრობა იწყო.

მონგოლებმა აღარ დააყოვნეს. ერთბაშად დაიძრნენ და საქართველოს მოადგნენ.

ქართველები დიდძალი ლაშქრით გაეგებნენ მტერს.

მოწინააღმდეგისათვის რომ მრავალრიცხოვანებით შიშის ზარი დაეცათ, მონგოლებმა თავიანთ ნაცად ხერხს მიმართეს. ცხენებზე თოჯინები შესვეს და თითოეულ მხედარს რამდენიმე ასეთი „ცხენოსანი“ მარქაფად ამოუყენეს გვერდით.

შორიდან მონგოლთა ლაშქარი მართლაც აურაცხელის შთაბეჭდილებას ახდენდა და ქვეყნის წასალეკად დაძაბულ ბობოქარ ზღვას ჰგავდა.

დადგა გადამწყვეტი წუთი.

ლაშქრის თავში მდგარი მეფე სიზმრად ნახულ უბედურებას, ქვეყნის ძლიერების დამხობასა და ერის დამონების საშინელ სურათს ხედავდა. როგორ არ ეცადა, გონების თვალთაგან მოეშორებინა ის სურათი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოიცილა, რაზედაც არ უნდა ეფიქრა და რისთვისაც არ უნდა ეცქირა, თვალწინ მაინც დამპყრობლის უღელქვეშ მგმინავი შთამომავლები და მისგან ზურგშექცეული წინაპრები ედგნენ.

_ ნუ იყოფინ, უფალო! ნუ იყოფინ! _ თავისთვის გულში იმეორებდა ლაშა და ცხენზე ტოკავდა.

ქართველთა ლაშქარი შეტევაზე გადასვლის ნიშანს უცდიდა. ხმალამოღებული მხედრები წუთიწუთზე მზად იყვნენ ცხენებისათვის სადავეების მისაშვებად და...

სწორედ იმ წუთს მოხდა დაუჯერებელი და გაუგონარი სასწაული: მონგოლთა ლაშქარმა მტერს პირი მიჰრიდა და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიქცა.

ქართველები თვალს არ უჯერებდნენ: პირისპირ მდგარი უძლეველი მხედრობა უომრად ტოვებდა ბრძოლის ველს და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გაცლას ესწრაფოდა.

რაც უფრო მეტად აკვირდებოდა ლაშა დარუბანდის გზით მიმქროლავ ლაშქარს, მით უფრო კარგავდა განსჯისა და სასწაულში გარკვევის უნარს.

_ მადლი შენ, უფალო! მადლი შენ, უფალო! _ მოჯადოებულივით უხმოდ იმეორებდა ლაშა და უცებ ნისლი მოეფარა აკვიატებული სიზმრის საშინელ სურათს. სადღაც შორს ფარნავაზისა და ვახტანგის, დავით აღმაშენებლისა და თამარის აჩრდილებმა გაიელვეს, მადლიერი თვალით მოხედეს წამით და ლოცვა გადმოუვლინეს მათი ტახტისა და სკიპტრის მემკვიდრეს.

გაოგნებულ ლაშას თავი კვლავაც სიზმარში ეგონა და ისე ეჩვენებოდა, თითქო მტრის ლაშქარი კი არა, ცხენზე ამხედრებული გრიგალი მიჰქროდა და უთვალავი ცხენის ფეხთა მტვერში ინთქმებოდა მისი შეშფოთებაც და მომავლის წინაშე ძრწოლაც.